დავით კაციტაძე

ირანის ისტორია
III – XVIII სს.

თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა
თბილისი 2001

JDK 955
ქ 363

საყვარელი მასწავლებლის – ვალერიან გაბაშვილის ნათელ ხსოვნას.
აეტორი

წიგნში განხილულია III-XVIIIსს. ირანის ისტორიის უმთავრესი საკითხები: ირანის პოლიტიკური, სოციალ-ეკონომიკური და კულტურის ისტორია, მისი ურთიერთობა რომთან, ბიზანტიასთან, რუსეთთან, არაბთა სახალიფოებთან, თურქეთთან, დასავლეთ ევროპის, შუა აზიისა და შორეული აღმოსავლეთის ქვეყნებთან; სათანადო ადგილი აქვს დათმობილი ირან-საქართველოს ურთიერთობის წარმოჩენას; წიგნში ნაჩვენებია აგრეთვე ქართველების როლი ირანის პოლიტიკურ ცხოვრებაში.

წიგნი განკუთვნილია, პირველ რიგში, აღმოსავლეთმცოდნე ისტორიკოსებისათვის – სტუდენტების, ასპირანტებისა და ყველა იმ პირისათვის, ვისაც აინტერესებს ჩვენი მეზობელი დიდი და ძველი სასულმწიფოებრიობის და კულტურის მქონე ქვეყნის ისტორია. ბუნებრივია, იგი დიდ დახმარებას გაუწევს საქართველოს ისტორიის სპეციალისტებს და საერთოდ ქართველოლოგებს.

რედაქტორი – ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი,
პროფესორი *კარლო კუცია*

რეცენზენტები: ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი,
პროფესორი *გიული ალასანია*

ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი,
პროფესორი *ნანა გელაშვილი*

© თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, 2001

0503030000
ქ 608(06) – 00

ISBN 99928 - 842 - 5 - 8

წინასიტყვაობა

ირანის ისტორიის შესწავლას თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში დიდი ტრადიცია აქვს. ივანე ჯავახიშვილი ხაგგასმით აღნიშნავდა, რომ საქართველოს ისტორიის მეცნიერული შესწავლა ირანის (ისევე, როგორც არაბეთის, ბიზანტიის, სომხეთის...) ისტორიის შესწავლის გარეშე შეუძლებელია. სწორედ ამიტომ, დღიდან უნივერსიტეტის დაარსებისა დიდი ყურადღება ექცეოდა ირანის (სპარსეთის) და ირან-საქართველოს ურთიერთობის ისტორიის შესწავლას.

მიუხედავად ამისა, ირანის ისტორიის სახელმძღვანელო ქართულ ენაზე არა გვაქვს.

წინამდებარე წიგნი არის პირველი ცდა ქართულ ენაზე III-XVIII სს-ის ირანის ისტორიის სახელმძღვანელოს (თუ დამხმარე სახელმძღვანელოს) შედგენისა. ჩვენს მიერ გამოყენებულია რუსულ და ქართულ ენებზე არსებული სახელმძღვანელოები და დამხმარე სახელმძღვანელოები, აგრეთვე ვ. ბარტოლდის, ა. იაკუბოვსკის, ნ. პიგულევსკაიას, მ. ლუკონინის, ი. პეტრუშევსკის, ივ. ჯავახიშვილის, ს. ჯანაშიას, ნ. ბერძენიშვილის, ე. გაბაშვილის, ვლ. ფუთურიძის, კ. კუციას, რ. კიკნაძის, კ. ტაბატაძის, ნ. გელაშვილის, გ. ბერაძის, ნ. სურგულაძის, გ. ამირანაშვილის, თ. ჩხეიძის, თ. ნატროშვილის, ლ. შენგელიას, ნ. შენგელიას, ზ. შარაშენიძის, დ. კაციტაძის და სხვათა ნაშრომები.

განსაკუთრებული ყურადღება მივაქციეთ ირან-საქართველოს ურთიერთობის ისტორიის წარმოჩენას.

ვფიქრობთ, რომ წიგნი დაეხმარება აღმოსავლეთმცოდნეობის, ისტორიის, ფილოლოგიის ფაკულტეტების სტუდენტებსა და ასპირანტებს, აგრეთვე ირანისა და ირან-საქართველოს ურთიერთობის ისტორიით დაინტერესებულ პირთ.

მკითხველის ყოველსაირი სამართლიანი შენიშენა მაღლობით იქნება მიღებული და ყათვალისწინებული.

დავით კაციტაძე

შესავალი

აღმოსავლური ფეოდალიზმის გენეზისის და ფეოდალური ურთიერთობის პერიოდიზაციის პრობლემა

აღმოსავლური ფეოდალიზმის გენეზისის და ფეოდალური ურთიერთობის პერიოდიზაციის პრობლემა ორიენტალისტიკის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი საკითხთაგანია.

ამასთან დაკავშირებით მეცნიერებაში კარგა ხნის განმავლობაში აზრთა სხვადასხვაობა იყო. ზოგიერთი ცნობილი მეცნიერი ირანში ფეოდალიზმის არსებობას საერთოდ უარყოფდა: მაგ., აკად. ვ.ვ. ბარტოლდმა მხოლოდ 1923 წელს აღიარა გლეხთა მიწაზე მიმაგრების ფაქტი ილსანთა ირანში, მაგრამ მალევე მან განაცხადა, რომ ირანში გლეხები არ არიან მიწაზე მიმაგრებულნი და მათ შეუძლიათ ადგილგადანაცვლება. აკად. ვ.ვ. ბარტოლდის აზრით, ყველგან, სადაც კი ბატონობს მუსლიმური კულტურა, ჩვენ ვხედავთ ასეთ ცხოვრებას, განსხვავებულს ევროპული ფეოდალური წყობილებისაგან; მუსლიმურ სამყაროში არაა ბატონყმური სამართლი და არაა მიწისმფლობელის პირადი ბატონობა მიწაზე.

ზოგიერთები კი: მაგ., თეოდორ ნოელდეკე, არტურ ქრისტენსენი, ფ. ალტჰაიმი განვითარებულ ფეოდალიზმს ხედავდნენ სასანიანთა ირანში (III-VII სს). ამასთანავე, ისინი იძლეოდნენ სრულ ანალოგიას დასავლეთ ევროპულ ფეოდალურ ინსტიტუტებსა და აღმოსავლურ ფეოდალურ ინსტიტუტებს შორის.

კიდევ მეტი, ზოგიერთი ცნობილი ისტორიკოსი ფეოდალიზმს ხედავდა ძველი აღმოსავლეთის ქვეყნებში და არშაკუნიანთა (პართიის) სახელმწიფოშიც. მაგ., ცნობილი ელინისტი პროფ. მ. როსტოვცევი ხაზგასმით აღნიშნავდა, რომ „პართიის იმპერიის ფეოდალური სტრუქტურა არშაკუნიანებმა მემკვიდრეობით მიიღეს აქემენიანებისაგან და შემდეგ გადასცეს ის სასანელ ხელმწიფეებს“ (ვ. გაბაშვილი).

სასანიანთა ირანის ერთ-ერთი გამოჩენილი მკვლევარი არტურ ქრისტენსენი ირანში ფეოდალური ურთიერთობის საწყისს ხედავდა აქემენიანთა სახელმწიფოში, მხოლოდ, მისი აზრით, ფეოდალიზმი აქემენიანთა ხანაში არ იყო საკმაოდ განვითარებული.

ფეოდალიზმს პართელთა სახელმწიფოში სცნობდა აგრეთვე ერსსტ პერცფელდი. იგი ფეოდალური ორგანიზაციის შექმნას არშაკუნიანთა ირანში მიაწერდა მითრიდატე II (124-87 წწ ჩვ.წ.აღ-მდე), ე.ი. სცნობდა ფეოდალიზმის არსებობას ირანში სასანიანთა სახელმწიფოს წარმოქმნამდე კარგა ხნით ადრე.

ამჯერი მოსაზრებები სხვა არაფერია, თუ არა ე.წ. „უნივერსალური ფეოდალიზმის" თეორიის სხვადასხვა ვარიანტი. „უნივერსალური ფეოდალიზმის" თეორია კი კარგა ხანია სათანადოდაა შეფასებული სამეცნიერო, მათ შორის ქართულ სამეცნიერო ლიტერატურაში.

„უნივერსალური ფეოდალიზმის" ანუ „მარადიული ფეოდალიზმის" თეორიის მისედეით, აღმოსავლეთის ხალხები ისტორიულ ცხოვრებას იმთავითვე ფეოდალიზმით იწყებენ, ფეოდალიზმი მათ თითქოს დასაწყისიდანვე მოსდეედათ. აქეე ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ევროპული ელინისტური და ორიენტალისტური ისტორიოგრაფია აღმოსავლეთის ქვეყნებში ფეოდალიზმის გენეზისს და ფეოდალური ურთიერთობის მარადიულობას ორგანულად უკავშირებს „ბარბაროს" ხალხთა განუწყვეტელ მოძრაობას, ტომებისა და ხალხების შემოსეეებს. მათი აზრით, ძველი აღმოსავლეთის საზოგადოებაში დაუყოვნებლივ ჩნდება ფეოდალური ელემენტი, როდესაც „ბარბაროსები" ცივილიზებულ ქვეყანაში იმარჯვებენ.

რუსი და ქართველი ორიენტალისტი-ისტორიკოსები (ნ. პიგულევსკაია, ა. იაკუბოვსკი, ს. ტოლსტოვი, ი. პეტრუშევსკი, ბ. ზახოდერი, პ. ივანოვი, ე. გაბაშვილი და სხვ.) აღმოსავლეთის ქვეყნებში ფეოდალური ურთიერთობის ჩასახვას და აღმოცენებას უკავშირებენ მონათმფლობელობის კრიზისს. ამასთანავე, ზოგიერთი მათგანი (ნ. პიგულევსკაია, ბ. ზახოდერი...) აღნიშნავს, რომ ირანში ადრეფეოდალური ხანის დასაწყისად III საუკუნის მიჩნევა საკმაოდ შესაძლებელია. ამ მოსაზრებას არ ეთანხმება პროფ. ვ. გაბაშვილი. იგი ყოველად დაუშვებლად მიიჩნევს III-V საუკუნეების ადრეფეოდალურ ხანად გამოცხადებას და, თავის მხრივ, მთელ რიგ ფაქტებზე დაყრდობით, ფეოდალიზმის გამარჯვებას ირანში VI საუკუნისათვის ვარაუდობს (მაშასადამე, ადრეფეოდალური ხანის დასაწყისად ვ. გაბაშვილს მიაჩნია VI ს). ამავე დროს, იგი [illegible] სოციალურ-ეკონომიკური ხასიათის ტერმინების (დასავლური, ხვაგაი ბუნი...) ანალიზს და აცხადებს, რომ ეს ტერმინები [illegible]ობელობის დროინდელი ტერმინებია (III-IV სს-ში

დასთგერდები ქმნიდნენ ირანელ მონათმფლობელთა მსხვილ მიწისმფლობელობას, ლატიფუნდიებს, მაზდეანური სარწმუნოების ქურუმთა საკაძრო მამულებს, რომლებიც მონების საშუალებით მუშაედებოდა; ასეთიეე შინაარსის იყო III-IV სს-ში „სეატაჲ ბ·ენი"), რომელნიც V და განსაკუთრებით კი VI ს-ში ფეოდალურ შინაარსს იძენენ.

როგორც ვსედავთ, რუსული და ქართული თანამედროვე ისტორიოგრაფია აღმოსავლეთის ქვეყნებში ფეოდალური ურთიერთობის ჩასასვას უშუალოდ მონათმფლობელობის კრიზისს უკავშირებს. „ჩვენი წელთაღრიცხვის III ს-ში მკაფიო გამოვლინება პპოვეს ეკონომიკური განვითარების იმ ტენდენციებმა, რომელთა სათავეს პართიის სახელმწიფოს არსებობის უკანასკნელ პერიოდში ეხედავთ" (ვ. გაბაშვილი).

თანამედროვე ისტორიოგრაფიამ საგანგებოდ შეისწავლა აღმოსავლური ფეოდალური ურთიერთობის განვითარება და ამ ურთიერთობის პერიოდიზაცია.

ამ უკანასკნელ ხანებამდე რუსულ ისტორიოგრაფიაში მიღებული იყო აღმოსაელეთში ფეოდალური ურთიერთობის განვითარების შემდეგი სქემა: I. აღრეფეოდალური ხანა – VI-X სს; II – განვითარებული ფეოდალიზმის ხანა – X-XIV სს; III – გვიანფეოდალური ხანა – XV-XVIII სს. მკვლევარებს, საესებით სამართლიანად, XIV ს. დასაწყისი მიაჩნიათ აღმოსავლეთში, კერძოდ ირანში, ფეოდალური ურთიერთობის ზენიგად, განვითარებული ფეოდალიზმის დასასრულად. მსედეელობაშია მიღებული ყაზან-ყაენის ცნობილი იარლიყი გლეხთა მიწაზე მიმაგრების შესასებ (1302 წ.), რომლის მიხედვითაც გლეხებს ეკრძალებოდათ აყრა-გადასასლება, ადგილგადანაცვლება. გლესი ფაქტობრივად ყმად იქცა. ამის შემდეგ, ფეოდალური ურთიერთობის განვითარება რომ შეუფერხებლად წარმართულიყო, XV საუკუნიდან უნდა დაწყებულიყო გვიანფეოდალური სანა (ზრდადასრულებული, განვითარების მწვერვალს მიღწეული ფეოდალური ურთიერთობის წიაღში უნდა ჩასახულიყო შემდგომი, უფრო პროგრესული ფორმაციის – კაპიტალისტური ურთიერთობის ელემენტები), მაგრამ როგორც ცნობილია, ირანში (ისევე, როგორც საქართველოში) ფეოდალური ურთიერთობის განვითარება ნორმალურად არ წარმართულა.

სწორედ ამ გარემობას მიაქცია ყურადღება პროფ. ვ. გაბაშვილმა. მან ჯერ კიდევ 1957 წ. გამოქვეყნებულ ნაშრომში ეჭვქვეშ დააყენა ირანში განვითარებული ფეოდალიზმისა და გვიანფეოდალური ხანის ქრონოლოგიური ჩარჩოები. მკვლევარი წერდა: „მახლობელი აღმოსავლეთის ქვეყნებმა განვლეს ადრეფეოდალური (VI-X სს) და განვითარებული ფეოდალიზმის ხანა (XI-XVI სს). მაგრამ XVII-XVIII საუკუნეები მეტად თავისებური აღმოჩნდა მახლობელი და შუა აღმოსავლეთის ხალხთა ისტორიაში. მომთაბარეების მრავალსაუკუნოვანი ბატონობის წყალობით აღმოსავლეთის კულტურული (მიწისმოქმედი) ხალხები ფეოდალიზმის უმდაბლეს, ბარბაროსულ საფეხურზე აღმოჩნდნენ. გაბატონებული იყო მეურნეობის მარტივი და პოლიტიკური წყობილების ჩამორჩენილი ფორმები. ისტორიის ახალსა და უახლეს პერიოდში კი კოლონიურმა პოლიტიკამ უბრუნველყო ფეოდალური ეკონომიკის და ფეოდალური წყობილების გადანაშთების კონსერვაცია აღმოსავლეთში“.

შემდეგ ვ. გაბაშვილი კვლავ უბრუნდება აღმოსავლეთში ფეოდალური ურთიერთობის პერიოდიზაციის საკითხს და ხაზგასმით აღნიშნავს, რომ მონღოლებმა შეაჩერეს განვითარებული ფეოდალიზმის (შუაფეოდალური ხანა) შემდგომი აღმასვლა აღმოსავლეთში. ხოლო უფრო გვიან ოსმალებისა და ყიზილბაშების ბატონობამ ხელოვნურად გაახანგრძლივა განვითარებული ფეოდალიზმის პერიოდი.

1970 წ. გამოქვეყნებულ ნაშრომში მკვლევარი გვაძლევს ირანში ფეოდალური ურთიერთობის განვითარების ორიგინალურ სქემას. იგი საგანგებოდ გახაზავს იმ გარემობას, რომ „კლასიკური ფეოდალიზმის ქვეყნებისაგან განსხვავებით ყველგან წინა აზიის ქვეყნებში ხელოვნურად შეფერხდა ფეოდალურ ურთიერთობათა ნორმალური განვითარება“. იგი იქვე ასახელებს ნორმალური განვითარების შემაფერხებელ მიზეზებს — მომთაბარეთა განუწყვეტელ შემოსევებს, რომელთაც მნიშვნელოვნად განაპირობეს ადრეფეოდალური, მომწიფებული ფეოდალიზმისა და გვიანფეოდალური პერიოდების სპეციფიკური თავისებურებანი აღმოსავლეთში.

ვ. გაბაშვილის აზრით, ადრეფეოდალური ხანა (VI-X სს) ხელოვნურად გახანგრძლივდა არაბთა შემოსევებისა და ბატონობის გამო, რამაც ხელი შეუწყო მონათმფლობელობისა და თემური წყობილების გადმონაშთების დროებით სტაბილიზაციას. მარ-

თალია, განვითარების უფრო მაღალ დონეზე მდგომმა ქვეყნებმა და ხალხებმა დამპყრობელი არაბები საბოლოოდ თავიანთ გაჟლენაში მოაქციეს, მაგრამ ამას საკმაო დრო დასჭირდა; ფეოდალური ურთიერთობის განვითარება აღმოსავლეთში (კერძოდ ირანში) შეფერხდა, თუმცა შემდეგ, კარგა ხნის დაყოვნებით, კვლავ აღმავალი გზით წავიდა.

განვითარებული (შუა ფეოდალიზმის) ხანის პირველ საუკუნეებს (XI-XIII სს) დაემთხვა მომთაბარეთა ახალი შემოსევები: ჯერ თურქ-სელჩუკებმა (XI ს), ხოლო შემდეგ კი მონღოლებმა (XIII ს) შეაფერხეს ფეოდალური ურთიერთობის შემდგომი განვითარება. როგორც ცნობილია, თურქ-სელჩუკთა შემოსევები და ბატონობა კიდევ უფრო ზიანის მომტანი იყო განვითარების მაღალ დონეზე მდგომი ქვეყნებისა და ხალხებისათვის, ვიდრე არაბთა ბატონობა. თურქ-სელჩუკები მომთაბარეები იყვნენ, ისინი ექსტენსიურ მეურნეობას მისდევდნენ, რაც შეუთავსებელი იყო დაპყრობილი ხალხების ინტენსიურ მეურნეობასთან.

XIV ს. მეორე ნახევრიდან ახლო აღმოსავლეთში თითქმის განუწყვეტლივ ადგილი აქვს მომთაბარეთა ახალ-ახალ შემოსევებს (ჯალაირიანები, ჩობანიანები, თემურ-ლენგი, „შაებატკნიანები", „თეთრბატკნიანები"...). მომთაბარეები განსაკუთრებით მრავალად ჩამოსხდნენ ირანში, რამაც დიდი ხნით შეაჩერა ამ ქვეყნის სოციალური, პოლიტიკური, ეკონომიკური და კულტურული განვითარება. შემდეგ, მკვლევარი დაასკვნის: „ყველა ამის შედეგად მცირე აზიაშიც, არაბულ ქვეყნებშიც, ირანშიც, და შუა აზიაშიც ხელოვნურად გახანგრძლივდა ფეოდალური განვითარების შუა ხანა — მომწიფებული ფეოდალიზმის პერიოდი".

მომთაბარეთა ჩამოსხდომის (ინტენსიური მეურნეობის გაჩანაგების და ექსტენსიური მეურნეობის ფორმების დამკვიდრების) შედეგად შეფერხდა ფეოდალური ურთიერთობის განვითარება: აქეთ გადმოიწია გვიანფეოდალური ხანის ქრონოლოგიურმა ჩარჩოებმა. ე. გაბაშვილის აზრით, გვიანფეოდალური ხანისათვის დამახასიათებელ ნიშნებს ახლო და შუა აღმოსავლეთის ქვეყნებში ვამჩნევთ XVIII ს. მეორე ნახევარში, ხოლო გამოკვეთილი სახით გვიანფეოდალური ხანის ნიშნები ეეხედება XIX-XX საუკუნეებში".

როგორც ვხედავთ, ე. გაბაშვილი აღმოსავლეთში ფეოდალური ურთიერთობის ნორმალური განვითარების ხელშემშლელ პირო-

ბად მომთაბარეთა შემოსევებსა და ბატონობას თელის. ამ შემთხვევაში ძისთვის ამოსავალია კ. მარქსისა და ფ. ენგელსის ცნობილი ღებულება: „ბარბაროსული ხალხების შემოსევა, ჩვეულებრივი ომებიც კი, საკმარისია, რათა განვითარებული საწარმოო ძალებისა და მოთხოვნილებების რომელიმე ქვეყანა იქამდე მივიღეს, რომ იძულებული გახდეს ყველაფერი თავიდან დაიწყოს“.

მკვლევარი ყურადღებას აქცევს გვიანფეოდალური პერიოდის, როგორც ფეოდალური განვითარების უკანასკნელი, უფრო მაღალი საფეხურის, თავისებურებას ახლო აღმოსავლეთში, რაც განპირობებული იყო, ერთი მხრივ, ძლიერი ფეოდალური გადმონაშთების არსებობით, ხოლო მეორე მხრივ, კაპიტალისტური სახელმწიფოების კოლონიური პოლიტიკით.

ვ. გაბაშვილი დაასკვნის: I ადრეფეოდალური ხანა ირანში თავსდება VI-X სს-ის ქრონოლოგიურ ჩარჩოებში; II განვითარებული ფეოდალიზმის ხანა – X-XVIII საუკუნის პირველი ნახევარი; III. გვიანფეოდალური ხანა – XVIII ს-ის მეორე ნახევარი – XIX საუკუნე. იგივე სქემა, მხოლოდ ოდნავი ცვლილებით, მკვლევარს მოცემული აქვს შუა საუკუნეების ახლოაღმოსავლური კულტურისადმი მიძღვნილ ნაშრომში.

ოდნავი ცვლილება შეეხება ადრეფეოდალური აღმოსავლური კულტურის ქრონოლოგიურ ჩარჩოებს, რასაც ვ. გაბაშვილი ამ შემთხვევაში ათავსებს არა VI-X, არამედ VII-X, საუკუნეებში და იქვე შენიშნავს: ამგვარი ქრონოლოგიური დაყოფა იმითაა გამართლებული, რომ ფეოდალური პერიოდის ახლოაღმოსავლური კულტურა მჭიდროდ და ორგანულად უკავშირდება ისლამს და ისლამურ კულტურას, თუმცა მკვლევარი არ გამორიცხავს ახლოაღმოსავლური ფეოდალური კულტურის საწყისების ძიებას სასანიანთა ირანში.

აქაც, ისევე როგორც ზემოხსენებულ ნაშრომებში, წინა აზიაში (აგრეთვე კავკასიასა და შუა აზიაში) განვითარებული ფეოდალიზმის საფეხურის ხელოვნურად გახანგრძლივებას მკვლევარი მთელი რიგი პოლიტიკური, სოციალური და ეკონომიკური ფაქტორებით ხსნის, რომელთა შორის ერთ-ერთი უმთავრესთაგანია მომთაბარე ტომებისა და ხალხების დაუსრულებელი შემოსევები, რის გამოც აღმოსავლეთის კულტურულ ხალხებს ხშირად უხდებოდათ განვითარების კვლავ თავიდან დაწყება.

თავი I

სასანიანთა ირანის წარმოშობის დრო და პირობები

სასანიანთა ირანის წარმოშობის დროისა და პირობების უკეთ გასაგებად აუცილებელია, მოკლედ მაინც, თვალი გადავაელოთ პართიის ანუ არშაკიანთა სახელმწიფოს ისტორიას. აუცილებელია იმიტომ, რომ „სასანური ირანის პოლიტიკური ორგანიზაცია პართიის სახელმწიფოს ეკონომიკური განვითარების ნაყოფი იყო“ (ვ. გაბაშვილი).

პართიის მონათმფლობელური სამეფო სელევკიანთა სახელმწიფოს გამოეყო ჩ.წ. აღრიცხვამდე III საუკუნის II ნახევარში არშაკ I-ის (250-247 წწ) დროს. სამეფო წარმოიშვა კასპიის ზღვის სამხრეთ-აღმოსაელეთ ნაწილში. თავისი ძლიერების პერიოდში იგი მოიცავდა ირანის, თანამედროვე თურქმენეთის, ერაყის (მათ შორის ძველი ბაბილონის), ავღანისტანის და პაკისტანის ნაწილს. იგი წარმოიშვა თურქმენეთის სამხრეთის და ჩრდ. ხორასნის ნახევრადუდაბნო და მთიან რეგიონებში, ხოლო შემდეგ იქცა თავისი დროის უდიდეს მსოფლიო იმპერიად. სახელმწიფოს დედაქალაქი ძვ.წ. აღ-ით I საუკუნემდე იყო ქ. ნესა (თანამედროვე აშხაბადის მახლობლად). შემდეგ არშაკიანები იპყრობენ დასავლეთ ირანს, სომხეთსა და მესოპოტამიის ნაწილს. ამისდა კვალად სახელმწიფოს ცენტრი გადაიტანეს უფრო მარჯვე ადგილას: მეფე ოროდის დროს (56-37 წწ ჩ.წ. აღ-მდე) მდ. ტიგროსის ნაპირას დაარსდა სახელმწიფოს ახალი პოლიტიკური ცენტრი ქტესიფონი (არაბული მადაინი).

პართიის სახელმწიფოში გაბატონებული იყო მონათმფლობელური წყობა აღმოსაელური მონათმფლობელობისათვის დამახასიათებელი ნიშნებით: პართიის მონათმფლობელურ სახელმწიფოში წამყვან როლს ისევ სასოფლო თემი ასრულებდა. აღმოსაელური დესპოტიზმი დაფუძნებული იყო თემურ მიწისმფლობელობაზე.

პართიის სახელმწიფოში პოლიტიკური ძალაუფლება გვაროვნული არისტოკრატიის ხელთ იყო. მსხვილი მონათმფლობელები მონის შრომას იყენებდნენ მიწათმოქმედებასა და საირიგაციო

სამუშაოებზე. განვითარებული ირიგაციის არსებობა ზრდიდა დასაბუშავებლად გამოსადეგ მიწის ფართობებს. გაზრდილი მიწისმფლობელობა თანდათან ძირს უთხრიდა პატრიარქალურ დამოკიდებულებას, რომელიც თანდათან გადაპყავდა დამოკიდებულების ახალ ფორმებზე. ამ პროცესმა დაარღვია სათემო მიწისმფლობელობა და გამოიწვია კლასობრივი დიფერენციაცია საზოგადოების დაბალ, მაგრამ თავისუფალ ფენებში.

პართიის სამეფოს გვაროვნული არისტოკრატია აქტიურად მონაწილეობდა საერთაშორისო ვაჭრობაში დასავლეთის ქვეყნებთან, ჩინეთთან, ინდოეთთან. აბრეშუმით ვაჭრობის საქმეში პართია უპირველეს როლს ასრულებდა. ამავე დროს, პართიის სახელმწიფო სასტიკად იცავდა „აბრეშუმის გზის“ მარშრუტების საიდუმლოს რომის ხელყოფისაგან. პართია ცდილობდა აღმოსავლეთის ქვეყნებსა და რომს შორის ვაჭრობის საქმეში შუამავლის როლის შენარჩუნებას: იგი ყოველთვის ხელს უშლიდა რომის იმპერიის უშუალო კონტაქტს ჩინეთის სახელმწიფოსთან. ერთ-ერთი მიზეზი პართიის სასელმწიფოსა და რომს შორის გაუთავებელი ომებისა (სხვა მიზეზებთან ერთად) ესეც იყო.

ამავე დროს, რომის იმპერია მიისწრაფოდა მდიდარ მესოპოტამიაში და სომხეთში გაბატონებისაკენ (ამ ქვეყნებზე გადიოდა მსოფლიო საეაჭრო-სატრანზიტო გზების მნიშვნელოვანი ნაწილი). პართიის სახელმწიფო და რომის იმპერია დიდ ყურადღებას აქცევდნენ აგრეთვე დაპყრობილი ქვეყნებიდან იაფი მუშახელის — მონების გამოყვანას.

პართიის სასელმწიფო მიზნად ისახავდა მდიდარ მესოპოტამიაში ერთპიროვნულ ბატონობას. იგი, როგორც ჩანს, უფრო შორსაც იხედებოდა: ლამობდა მცირე აზიის, არაბეთის და ეგვიპტის დაპყრობას. მისი საბოლოო მიზანი საესებით ნათელი იყო: აქემენიანთა ირანის ოდინდელი საზღვრების აღდგენა.

პართიის სამეფოს არსებობის პირველი სამი საუკუნის განმავლობაში ძლიერი იყო ელინისტური კულტურის და იდეოლოგიის გავლენა. პართიის მეფეები თავიან თავს „ელინოფილებს“ („ბერძენთა მეგობრებს“) უწოდებდნენ, რის გარეგნულ გამოსატულებასაც წარმოადგენდა, სხვათა მორის, ისიც, რომ მონეტები იჭრებოდა ბერძნული ზედწერილებით; ფართოდ იყო გავრცელებული ბერძნული თეატრი, მწერლობა, არქიტექტურა და სხვ.

ასეთი ვითარება იყო ჩვ.წ. აღრიცხვით I საუკუნის დამდეგამდე, როდესაც თავი იჩინა მკვეთრმა გამიჯვნამ ელინიზმისაგან. „რეაქცია ელინიზმის წინააღმდეგ გამოიწვია არა მარტო რომის ექსპანსიის გაძლიერებამ, არამედ, უწინარეს ყოვლისა, სოციალურ-ეკონომიურ წყობაში მომხდარმა ცვლილებებმა“ (ვ. გაბაშვილი).

ცვლილებები მოხდა რელიგიაშიც: ზარათუშტრას მოძღვრება (ზოროასტრიზმი, ცეცხლთაყვანისმცემლობა) იქცა ჯვაროვნული არისტოკრატიის იდეოლოგიურ დასაყრდენად. გაძლიერდა მაზდეანური სარწმუნოების ქურუმთა გაელენა. ვოლოგეზ I-ის დროს (51-77 წწ) მნიშვნელოვანი ცვლილებები მოხდა პართიის სახელმწიფოს შინაურ ცხოვრებაში. ამ დროს დაარსდა ვოლოგეზოკერტი (მდ. ევფრატის მარჯვენა ნაპირზე), რომელმაც შეცვალა სელევკია (ქტეზიფონი), როგორც შუამდინარეთის უმნიშვნელოვანესი სავაჭრო-ეკონომიკური ცენტრი.

ვოლოგეზ I-ის დროს უნდა მომხდარიყო ავესტის პირველი კოდიფიკაცია. პირველად პართულ მონეტებზე ჩნდება ფალაური მედწერილები და საგზბლის გამოსახულება. ვოლოგეზის მეფობის დროს კულტურის ფართო სფეროში აისახა გაბატონებული კლასების იმ დაჯგუფების დამარცხება, რომლებიც რომზე და ბერძნულ პოლისებზე აკეთებდნენ ორიენტაციას. სწორედ ჩვ.წ. აღრიცხვის I საუკუნის შუა ხანებში ხდება გარდატეხა კულტურის სფეროში ადგილობრივი ტრადიციების სასარგებლოდ.

გაძლიერდა ცენტრალიზაციის პოლიტიკა. ვოლოგეზ I-ის დროს არშაკუნიანი უფლისწულები მეფეებად დასხდნენ მთელ რიგ ქვეყნებში, მათ შორის სომხეთში, შემდეგ იბერიასა და ალბანეთში. ძლიერდება ბრძოლა ცალკეულ არშაკელ უფლისწულთა შორის პირველობისათვის, რამაც ხელი შეუწყო რომის ექსპანსიის გაძლიერებას აღმოსავლეთში.

114 წ. რომის იმპერატორი ტრაიანე იწყებს პართიის წინააღმდეგ საგულდაგულოდ მომზადებულ ლაშქრობას, რომლის პირველი ეტაპიც დაგვირგვინდა სომხეთის დაპყრობით, საიდანაც რომაელები შეიჭრნენ ზემო მესოპოტამიაში. ჩრდილო მესოპოტამიის ცალკეული მმართველები თითქმის უბრძოლველად დამორჩილდნენ რომის იმპერატორს.

რომის წარმატება განაპირობა თვით პართიის სახელმწიფოში მიმდინარე მოვლენებმა: სახელმწიფოში იყო ბრძოლა ხოსროსა

და ეოლოგეზ II შორის. ამავე დროს იფეთქა აჯანყებამ პართელთა წინააღმდეგ ელმაიდში და პერსიდაში, რამაც რომაელებს გაუადვილა ჩრდილო მესოპოტამიის დაპყრობა (115 წ).

116 წ. გაზაფხულზე რომაელებმა დაიწყეს გენერალური შეტევა სამხრეთისაკენ. მათ აიღეს პართიის სახელმწიფოს დედაქალაქი ქტესიფონი და უზარმაზარი ნადავლი იგდეს ხელთ, რომელთა შორისაც იყო არშაკიდების ოქროს ტახტი. რომაელთა ლაშქარმა ტიგროსის სამდინარო გზით მიაღწია სპარსეთის ყურეს, მაგრამ მალე ვითარება შეიცვალა: რომაელთა მიერ დაპყრობილ შუამდინარეთის ტერიტორიაზე აჯანყებებმა იფეთქა, რომელთა ძირითადი მიზეზი იყო შუამდინარეთში რომაული პროვინციული მმართველობის შემოღება. რომაელთა ბევრი გარნიზონი გაანადგურეს. ამავე დროს, არშაკიანთა სამეფო სახლის წარმომადგენლებმა, რომლებიც ადრე ურთიერთშორის ქიშპსა და მტრობაში იყვნენ გართულნი, გააერთიანეს თავიანთი ძალები საერთო მტრის წინააღმდეგ. „დიდმა მეფემ" სოსრომ მესოპოტამიაში გააგზავნა პართელთა ჯარის ძირითადი ძალები, რამაც პართელთა სასარგებლოდ მოახდინა გარდატეხა. ამასთანავე, რომის აღმოსავლეთ პროვინციებში იფეთქა აჯანყებებმა, რომელთა ჩასაქრობადაც იმპერატორს მოუსდა ჯარის დიდი ნაწილის გადასროლა. ტრაიანეს ჯარმა იწყო თანდათანობით უკანდახევა და რომაელებმა 117 წ. დატოვეს მათ მიერ დაპყრობილი პართიის სახელმწიფოს ტერიტორია.

იმპერატორმა ტრაიანემ დაგეგმა ახალი ექსპედიცია აღმოსავლეთში, მაგრამ მისმა სიკვდილმა შეწყვიტა ეს მზადება.

ტრაიანეს შემცელელმა იმპერატორმა ადრიანემ ამჯობინა პართიასთან საზავო სელშეკრულების ღადება, რომლის პირობებიც ითვალისწინებდა პართიასა და რომს შორის ომის წინადროინდელი საზღვრების აღდგენას.

რამდენიმე ათწლეულის განმავლობაში პართიასა და რომს შორის მშვიდობიანი ურთიერთობა იყო. შედარებით მშვიდობიანი იყო ტრაიანეს ლაშქრობის შემდგომი პერიოდი საკუთრივ პართიაშიც: ეოლოგეზ II-ის (129-147 წწ) და განსაკუთრებით ეოლოგეზ III-ის (148-192 წწ) მეფობაში სერიოზული შინაგინასტიური ბრძოლები არ ყოფილა, მაგრამ პართიის სახელმწიფოს მდგომარეობა მაინც არ იყო მყარი: სახელმწიფოს ჩრდილოეთ და აღმოსაელეთის საზღვრე-

ბზე თავი იჩინა სერიობულმა გართულებებმა – აღმოსაელეთიღან პართიას ემუქრებოდა გაძლიერებული კუშანთა სამეფო; როგორც ჩანს, ამ დროისათვის საბოლოოდ მიაღწია დამოუკიდებლობას ჰირკანიამ; ჩრდილოეთ საზღვრებს თავს ესხმოდნენ ალანები (განსაკუთრებით ძლიერი თაედასხმა იყო 136 წ).

რომისა და პართიის ურთიერთობაში ქიშპის ძირითადი ობიექტი კვლავ სომხეთი იყო: არცერთ მოქიშპე მხარეს არ უნდოდა მოწინააღმდეგის გაელენის გაძლიერება სომხეთში. რომმა ანტონიუს პიუსის მეფობის დროს (155 წ) მოახერხა თავისი კონტროლისათვის არმენიის დამორჩილება. პართელებმა ვერ შეძლეს მდგომარეობის გამოსწორების მიზნით საომარი მოქმედების მაშინვე დაწყება; მათ მხოლოდ 6 წლის შემდეგ, იმპერატორიის სიკვდილისთანავე, ისარგებლეს რომში შინაური აშლილობით და ილაშქრეს არმენიაში. რომაელთა გარნიზონებმა სუსტი წინააღმდეგობა გაუწიეს სირიაში შეჭრილ პართელებს, სადაც ადგილობრივმა მოსახლეობამ ხელსაყრელად სცნო დრო რომის ბატონობისაგან გასათავისუფლებლად. რომმა ძალთა დიდი დაძაბვის ფასად შეძლო ამ საფრთხის ლიკვიდაცია.

ომის მსვლელობაში გარდატეხა შეინიშნება 163 წ. პართელები გაანადგურეს სომხეთში, შემდეგ კი რომაელები გაიჭრნენ მესოპოტამიისაკენ. პართია იძულებული გახდა დათანხმებოდა ზაეის მეტად მძიმე პირობებს: პართელთა სამფლობელოების დასავლეთი მესოპოტამიის ნაწილი მდ. ხაბურამდე ამიერიდან რომის ხელში გადავიდა.

რომსა და პართიას შორის მშვიდობიანი ურთიერთობა დაახლოებით 30 წელი გაგრძელდა. ამ დროის გასვლის შემდეგ პართიაში თავი იჩინა შინაღინასტიურმა ბრძოლამ, რომელიც რამდენიმე თვე გაგრძელდა: ვოლოგეზ III ტახტიდან ჩამოაგდეს და ხელისუფლება ვოლოგეზ IV იგდო ხელთ (192 წ.); რომში კი სამოქალაქო ომი დაიწყო (193 წ.), რამაც პართიის ახალ მეფეს დაკარგული ტერიტორიების დაბრუნების ხელსაყრელი შემთხვევა მისცა. ამავე დროს, პართელებმა მხარი დაუჭირეს რომის ტახტის ერთერთ პრეტენდენტს პისციენიუს ნიგერს. ამით ისარგებლა რომის ტახტისათვის ბრძოლაში გამარჯვებულმა პრეტენდენტმა სევერმა და პართიასთან ომი დაიწყო. 195 წ. რომაელთა ჯარი შეიჭრა

პართიის სამეფოს ფარგლებში; ბრძოლა მესოპოტამიის ტერიტორიაზე რამდენიმე წელს გაგრძელდა.

რომაელებს გამარჯვებაში ხელი შეუწყო იმ გარემოებამაც, რომ მიდიასა და პერსიდაში აღგილი პქონდა აჯანყებებს, რომელთა ჩაქრობა ვოლოგეზმა დიდი გაჭირვებით შეძლო. რომის სამხედრო ექსპედიციამ პართიას საგრძნობი ზარალი მიაყენა: ქვეყნის უმდიდრესი რეგიონები განადგურდა, 100000 მცხოვრები სირიაში მონად გაყიდეს.

207/208 წ. ვოლოგეზ IV ტასტზე მეცვალა მისმა შვილმა ვოლოგეზ V, რომლის წინააღმდეგაც 213 წ. გამოვიდა მისი ძმა, მიდიის მმართველი არტაბანი. ამან კელავ შეუწყო ხელი პართიის საქმეებში რომის ჩარევას: 216 წლის ზაფხულში რომაელები იმპერატორ კარაკალას მეთაურობით შეიჭრნენ მესოპოტამიაში, რომელიც ამ დროს არტაბანის ხელთ იყო (ვოლოგეზი აგრძელებდა მმართველობას სელევკიაში). მესოპოტამიის მნიშვნელოვანი ნაწილი და მიდიის რეგიონები რომაელებმა გაანადგურეს.

217 წლის ზაფხულში არტაბან V, რომელმაც მნიშვნელოვანი ძალები შეაგროვა, დაიწყო რომაელთა წინააღმდეგ გადამწყეტი ბრძოლა. ამასობაში, იმპერატორი კარაკალა მოკლეს და ტახტი დაიკავა მაკრინმა. რომაელებსა და პართელებს შორის გადამწყეტი ბრძოლა მოხდა ნიზიბინთან. სამდღიანი ბრძოლის შემდეგ რომაელები იძულებული გახდნენ დაეწყოთ საშავო მოლაპარაკება. რომმა იკისრა 200 მილიონი სესტრეცის გადახდა, ტყვეების დაბრუნება და მათ მიერ დანგრეული რაიონების აღდგენა. ამგვარად, მიუხედავად თავდაპირველად რომის წარმატებისა, მისი ბოლო ლაშქრობა პართიის წინააღმდეგ რომაელთა დამარცხებით დამთავრდა.

ეს იყო პართელთა უკანასკნელი გამარჯვება: არშაკუნიანთა სახელმწიფოს არსებობის დღეები დათვლილი იყო; პერსიდის (ფარსის) მმართველმა არდაშირმა, რომელიც დაუკავშირდა ზოგიერთ ადგილობრივ მბრძანებელს, აჯანყება მოაწყო. 223 წ. მან დაამარცხა ვოლოგეზ V, ხოლო 224 წ. ორმიზდაგანის ველზე — არტაბან V.

არშაკუნიანთა სახელმწიფოს დაღუპვა ძველ ეპოქაში განისილებოდა როგორც აღმოსავლეთში ხელისუფლების გადასვლა პართელთა ხელიდან სპარსელთა ხელში, ანუ იმ ისტორიული ვი-

თარების აღდგენა, რომელიც ალექსანდრე მაკედონელის დაპყრობებამდე იყო. მაგრამ მთლად მართებული არ იქნება ყველაფერი დაეიყვანოთ მხოლოდ და მხოლოდ გაბატონებული ეთნოსის (ანდა თუნდაც ღინასტიის) შეცვლამდე.

პართიის სახელმწიფო ნაკლებ ცენტრალიზებული იყო. მიუხედავად იმისა, რომ პართელთა ჯარი ზოგჯერ სასტიკად ამარცხებდა რომაელთა ლეგიონებს, მისი სამხედრო ორგანიზაცია უკვე მოძველებული იყო. „ცენტრალიზებული სახელმწიფოს შექმნის მოთხოვნა უშუალო კავშირში იმყოფებოდა როგორც შინაგანი ხასიათის მოვლენებთან, ისე საგარეო ფაქტორებთან, უპირველეს ყოვლისა რომის ექსპანსიის გაძლიერებასთან“ (ვ. გაბაშვილი).

შემთხვევით არ მოხდარა, რომ პართელთა წინააღმდეგ მოძრაობის ცენტრი ფარსში გამოიკვეთა. რომის წარმატებამ მესოპოტამიასა და ამიერკავკასიაში სამხრეთისაკენ გადაანაცვლა მსოფლიო სავაჭრო-სატრანზიტო გზა, რამაც წინ წამოსწია ფარსი და განსაკუთრებული მნიშვნელობა მიანიჭა სპარსეთის ყურეს.

ფარსის გაძლიერებულმა გვაროვნულმა არისტოკრატიამ ისთასრი (პერსეპოლისი) და ფასარგადი აქცია არშაკელთა წინააღმდეგ ბრძოლის ცენტრებად. ამ რეგიონში ძალზე ძლიერი იყო ცეცხლთაყვანისმცემელთა სარწმუნოების ქურუმების გაელენა, რომელთაც ირანელთა უძველესი რელიგია (ზოროასტრის — ზარათუშტრას მოძღვრება) დაუპირისპირეს მითრას კულტს და ბერძნულ ღვთაებებს — არშაკიანთა სახელმწიფოში გაერცელებულ რელიგიებს, აგრეთვე ახლად გავრცელებულ ქრისტიანობას.

ასეთი იყო სოციალურ-ეკონომიკური და პოლიტიკური ვითარება პართიის სახელმწიფოში ჩვენი წ. აღრიცხვის პირველი მეოთხედისათვის, როდესაც წარმოიშვა სასანიანთა ირანის სახელმწიფო.

თავი II

ირანი III–VII საუკუნეებში

§1. ირანი III–V საუკუნეებში

III საუკუნის პირველი მეოთხედიდან მოყოლებული VII ს-ის შუასანებამდე ირანში სასანიანთა დინასტია მეფობდა (226-651 წწ), რომელიც ისევე, როგორც აქემენიანთა საგვარეულო, ფარსიდან იყო.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, III საუკუნის დასაწყისისათვის ირანი მსოლოდ ნომინალურად იყო გაერთიანებული პართელთა დინასტიის ძალაუფლების ქვეშ. გამუდმებულმა შინააშლილობამ და რომთან ომებმა ძალზე დაასუსტეს ქვეყანა. უკმაყოფილება პართელთა (არშაკელთა) ბატონობით სულ უფრო და უფრო იზრდება. მომწიფდა პირობები უფრო ძლიერი და ცენტრალიზებული სასელმწიფოს წარმოქმნისათვის.

ირანის მიწების ახალი გაერთიანება დაიწყო ფარსიდან, სწორედ ამ დროს წინაურდებიან სასანიანთა საგვარეულოს წარმომადგენლები. სასანი იყო ქალღმერთ ანაჰიტის ტაძრის ქურუმი, მისი შვილი ბაბაქი – ისთახრის (პერსეპოლისის) მმართველი (მას მეფის წოდება ჰქონდა), შვილიშვილი არდაშირი – ციხე დარაბგერდის მმართველი (ფარსის ოლქში). არდაშირ ბაბაქის ძემ მოახერხა მთელი რიგი მთაერების დამორჩილება და განამტკიცა თავისი ძალაუფლება ირანის სამხრეთ პროვინციებში. თავისი დაპყრობითი პოლიტიკის გატარებისას ის სარგებლობდა ქურუმებისა და გვაროვნული არისტოკრატიის მხარდაჭერით. მას განსაკუთრებით უჭერდნენ მხარს სურენისა და კარენის პართული საგვარეულოები.

224 წ. არდაშირმა ორმიზდაგანის ველზე სასტიკად დაამარცხა პართელთა უკანასკნელი მეფე არტაბან V და 226 წ. საზეიმოდ დაიდგა გვირგვინი. მან მიიღო მეფეთა-მეფის (შაჰინ-შაჰის, არაბულად მალაქან-მალაქას) ტიტული. შემდეგ მან დაიმორჩილა მიდია, აზერბაიჯანი (ირანი), საკასტანი (სისტანი), ხორასანი, მერვის ოაზისი. ახლაწარმოქმნილი სასელმწიფოს საზღვარმა ჩრდილოეთით მიაღწია კასპიისპირა ოლქებს, სამხრეთით – სპარსეთის ყურეს, აღმოსავლეთით – მდ. ქაბულს. ირანის ჯარი აგრძელებდა

წინსელას ევფრატის გადაღმაც, ძაგრამ რომის ლეგიონერებმა შეაჩერეს. ახლადწარმოქმნილი სასელმწიფოს დედაქალაქად იქცა ორმაგი სახელწოდების ქალაქი სელევკია (ეეპ-არდაშირი) – ქტესიფონი, რომელიც მდ. ტიგროსის ორივე ნაპირზე მდებარეობდა.

სასანიანთა სასელმწიფოს წარმოშობა და განმტკიცება უკავშირდება ირანში ფეოდალური ურთიერთობის ჩასახვას. მონათმფლობელური სისტემის კრიზისი, რომელმაც III ს-ში მოიცვა მთელი ხმელთაშუაზღვის აუზი, წინა აზია და ამიერკავკასია, შეეხო ამ ქვეყანასაც. ფეოდალიზაციის პროცესისათვის დამახასიათებელი ელემენტები უფრო მკაფიოდ იკვეთება V საუკუნის ბოლოსათვის. ერთ-ერთი მიზეზი სასანიანთა შეღარებით იოლი გამარჯვებისა ირანში იყო მძაფრი რეაქცია ელინისტური კულტურის წინააღმდეგ.

სასანიანთა სახელმწიფო თავის წარმოშობისთანავე ატარებდა აქტიურ საგარეო პოლიტიკას. ირანის წინააღმდეგობას რომთან და შემდეგ მის მემკვიდრე ბიზანტიასთან ღრმა ეკონომიკური მიზეზები ჰქონდა: ორივე მეომარ მხარეს სურდა აღმოსავლეთისა და დასავლეთის დამაკავშირებელ უმთავრეს საეაჭრო-სატრანზიტო შაგისტრალებზე გაბატონება. ასე აღმოჩნდა ამიერკავკასია ჩათრეული ზემოხსენებული დიდი იმპერიების ქიშპში. არმენიის, აღმოსავლეთ საქართველოს – იბერიის და დასავლეთ საქართველოს – ლაზიკის დაპყრობა ირანს შაეი მღვის სანაპირებზე გასვლის საშუალებას მისცემდა.

ირანის ბრძოლა რომთან შუამდინარეთისა და არმენიისათვის, რომელიც არდაშირ I-მა დაიწყო, გაგრძელდა მისი შვილის შაბურ I-ის (241-272 წწ) დროსაც. რომთან ომი შაბურ I-მა დაამთავრა 244 წ. მათ შორის დადებული ზავით არმენია ირანს ერგო წილად.

შაბურ I-ს მთელი რიგი შეტაკებები ჰქონდა კასპიისპირეთის ხალხებთან. არბელას სირიული ქრონიკა გვამცნობს, რომ თავისი მეფობის პირველ წლებში შაბური ომობდა ხვარაზმელებთან და მიდიელებთან, რომლებიც სასტიკ ბრძოლებში დაამარცხა. ამის შემდეგ იგი წავიდა გელების, დეილემიტების და პირკანიელების დასამორჩილებლად. რომლებიც კასპიის მღვის ახლოს მდებარე მთებში ცხოვრობდნენ. ხორასანში მან დაამარცხა „თუარნის“ მეფე, მოკლა იგი და ამ ბრძოლის ადგილას დააფუძნა ქალაქი ნევშაბური (ნიშაბური). ყველა ამ გამარჯვების შემდეგ, შაბურმა

მიიღო ტიტული „ირანისა და არა ირანის შაპინშაპისა“ („შაპინ-შაპე ირან ეა ანირან“). ამ ტიტულს უნდა აესახა ირანის სიდიადე, რომლის მეფემაც გააერთიანა არამარტო ირანი, არამედ ის ოლქებიც, რომლებიც ადრე არ შედიოდა მასში.

სპარსელებმა რომთან ახალ ომში მთელი რიგი მნიშვნელოვანი გამარჯვებები მოიპოვეს და შეიჭრნენ მცირე აზიაში. 256 წ. მათ აიღეს ანტიოქია, ხოლო 260 წ. გაანადგურეს რომაელთა ჯარი და ტყვედ იგდეს ხელთ იმპერატორი ვალერიანე. რომაელ ტყვეებს (მათ შორის იმპერატორსაც) ამუშავებდნენ მდ. კარუნზე კაშხალის მშენებლობაზე (ამ კაშხალის ნანგრევები ახლაც „კეისრის კაშსალის“ „ბანდე კეისარ“-ის სახელით არის ცნობილი) აუარებელი ტყვე წაიყვანეს აგრეთვე სირიისა და მცირე აზიის ქალაქებიდან და სოფლებიდან, რომელთა დიდი ნაწილი, უმთავრესად ხელოსნები, დაასახლეს შაბურის მიერ დაარსებულ ქ. გუნდეშაბურში.

ირანის ეს ბრწყინვალე გამარჯვება აღბეჭდილია ვრცელ წარწერაში, რომელიც ამოკვეთილია ზოროასტრელთა ტაძრის კედელზე ნაყშ-ი რუსტამში.

წარწერის დასაწყისში, შაჰინ-შაპ შაბურის ჩვეულებრივი ტიტულატურის შემდეგ, აღწერილია ირანშაპრის — ირანის ქვეყნის საზღვრები, რომელიც ჩრდილოეთით კავკასიის ქედს და ალანების კარს აღწევდა; ჩრდ. დასავლეთით და დასავლეთით მოიცავდა მთელ სომხეთს, იბერიას, კაპადოკიას, კილიკიას, ევფრატისპირა ოლქებს, მესენას; აღმოსავლეთით ვრცელდებოდა ფეშაევერამდე.

შემდეგ წარწერაში დაწვრილებითაა მოთხრობილი რომთან ომებში შაბურის გამარჯვებების შესახებ (მაგ., შაბურის გამარჯვება იმპერატორ ვალერიანეზე და სხვ.). წარწერა ცნობებს გვაწვდის სასანიანთა სახელმწიფოს კარის მოხელეებზეც (მ. ლუკონინი).

ირანის ჯარის შემდგომი წინსვლა შეაჩერა პალმირის არაბთა მეფის ოდეინატის წინააღმდეგობამ. რომის მოკავშირე პალმირის მეფე ოდეინატი თავს დაესხა შაბურს. პალმირას ოაზისში, სირიის უდაბნოს შუაგულში, საქარავნო-საგრანზიტო გზების შესაყარზე წარმოიშვა ქ. პალმირა, რომელიც თავისი ხელსაყრელი მდებარეობის გამო მალე იქცა ძლიერ და მდიდარ ქალაქად. ოდეინატმა თავის ხელში გააერთიანა სირია და შუამდინარეთის ოლქები, რომლებიც რომს ეკუთვნოდა. იმპერატორ გალიენისაგან მან მი-

იღო იმპერატორის ტიტული. სპარსელთა ბრძოლა ოდეინატის წინააღმდეგ 265 წლამდე უშედეგო იყო, მაგრამ ოდეინატი ღალატით მოკლეს. იგი ტახტზე შეცვალა მისმა ცოლმა ზენობიამ და შვილმა, რომელთა არაჟრთხილმა და პრეტენზიულმა პოლიტიკამ საბედისწერო როლი შეასრულა ამ სამეფოს ისტორიაში: პალმირას მდგომარეობა ძალზე დამოუკიდებელი აღმოჩნდა და 272 წ. რომის იმპერატორ აერელიანეს ჯარებმა დაანგრიეს ქალაქი, ხოლო ზენობია ტყვედ წაიყვანეს რომში.

შაბურ I 272 წ. გარდაიცვალა. ტახტი დაიკავა მისმა შვილმა ჰორმიზდ I (ჰორმიზდ-არდაშირი), რომელიც ცოტა ხანს მეფობდა (272-273 წწ). იგი შეცვალა მისმა ძმამ ბაპრამ I (273-276 წწ). მისი შვილის ბაპრამ II-ის დროს (276-293 წწ) განახლდა რომთან ომი. იმპერატორმა კარმა თავისი ჯარით ქტესიფონს მიაღწია, მაგრამ მისმა მოულოდნელმა სიკვდილმა რომაელთა ლაშქრობა შეწყვიტა.

283 წ. ირანსა და რომს შორის დადებულ იქნა ხელშეკრულება, რომლის ძალითაც ირანმა რომს დაუთმო მესოპოტამია და სომხეთის ნაწილი. შაჰინშაპი იძულებით დათანხმდა ასეთ საგაეო ხელშეკრულებას, რადგანაც მას სახელმწიფოში შინაური პრობლემები ჰქონდა: ხორასანში აჯანყდა მისი ძმა — ამ ოლქის მმართველი, რომელსაც უნდოდა საკების, კუშანების და გელების დახმარებით განსაკუთრებული აღმოსავლური სამეფოს შექმნა. აჯანყების ჩაქრობის შემდეგ შაჰინშაპმა ამ ოლქების მმართველად დანიშნა თავისი შვილი საკანშაჰის ტიტულით.

III ს-ის უკანასკნელ ათასწლეულში ნერსეს მეფობის დროს (293-302 წწ) ირანსა და რომს შორის ქიშპის მთავარი ობიექტი იყო არმენია. მეფე თრდატ III (287-330 წწ), რომელსაც მხარს უჭერდა რომი, ირანელებმა გააძევეს, მაგრამ რომაელთა ჯარებმა იმპერატორ გალერიუსის მეთაურობით სასტიკად დაამარცხეს ირანელები: 298 წლის ნიზიბინის ზავით არმენია და მესოპოტამიის ჩრდილო ნაწილის ხუთი პროვინცია რომს ერგო. არმენიის მეფე თრდატი კელავ აღადგინეს ტახტზე.

ნერსეს მონაცვლე ჰორმიზდ II (302-309 წწ) დროს აღგილი აქვს შინაურ ბრძოლას ვუზურგანებს შორის. 309 წ. დიდებულებმა ტახტზე აიყვანეს ჰორმიზდ II-ის შვილი მცირეწლოვანი შაბურ II, რომლის სრულწლოვანებამდე სახელმწიფოს მართავდა მისი დედა. შაბურ II ტახტზე იჯდა 379 წლამდე.

ირან-რომის ომების ახალი ეტაპი უშუალოდ უკავშირდება შაბურ II-ის (309-379 წწ) დროს. დამოუკიდებლად მეფობის პირველ წლებში იგი დაკავებული იყო დიდებულებთან ბრძოლით, შემდეგ კი შეუდგა სახელმწიფოს საზღვრების განმტკიცებასა და გაფართოებას. სპარსეთის ყურეში, არაბეთის სანაპიროზე ფესის მოკიდების მიზნით მან დაიწყო ბრძოლა მოუსვენარ არაბულ ტომებთან და დაიპყრო ბაჰრეინი.

ირან-რომის ურთიერთობის ხასიათზე სერიოზულად იმოქმედა ქრისტიანობის გავრცელებამ. IV საუკუნის დასაწყისიდან მთელ რიგ ქვეყნებში (301-303 წწ. არმენიაში, დაახლოვებით 337 წ. საქართველოში, უფრო გვიან ალბანეთში, 325 წ. რომში) ქრისტიანობა ცნობილ იქნა ოფიციალურ რელიგიად. ბუნებრივია, რომ არმენიის ქრისტიანიზაცია (ამიერკავკასიის ქვეყნებიდან პირველად ქრისტიანობა არმენიაში გავრცელდა) მას აახლოვებდა რომის იმპერიასთან. მაგრამ არმენიაში მოხდა განხეთქილება – ნაწილი სომეხი დიდებულებისა მიემხრო რომს, მეორე ნაწილმა კი ირანთან დაახლოვების გზა ამჯობინა.

338 წ. შაბურ II განაახლა რომთან ომი და შეიჭრა არმენიასა და ჩრდ. მესოპოტამიაში. ნიზიბინის ალყა მისთვის წარუმატებლად დამთავრდა, ხოლო სინგარასთან ომში რომაელებმა გაიმარჯვეს. ასე რომ, სპარსელთა წარმატებანი ძალზე უმნიშვნელო იყო. პირველი გამარჯვებების შემდეგ შაპინ-შაპმა თავისი ჯარები დასავლეთიდან გადაისროლა სახელმწიფოს ჩრდილო-აღმოსავლეთ საზღვრებზე. მან დაამარცხა პიონიტი-ჰუნები და ისინი თავის მოკავშირეებად გაიხადა (ისევე როგორც საკები). ამრიგად, მან აღმოსავლეთში თავისი მდგომარეობა განამტკიცა და მთელი ყურადღება კვლავ დასავლეთს მიაქცია.

356 წ. კონსტანტინოპოლიდან ირანში მოვიდა წინადადება ზავის დადების შესახებ. ამის საპასუხოდ შაბურმა იმპერატორ კონსტანცის გაუგზავნა მდიდრული ძღვენი და მოითხოვა, რომ რომის მიერ მისი პაპისათვის მოტყუებით წართმეული არმენია და მესოპოტამია დაებრუნებინა ირანისათვის, წინააღმდეგ შემთხვევაში სპარსელთა ჯარი გაილაშქრებდა იმპერიის წინააღმდეგ. ამ მოთხოვნაზე იმპერატორმა კატეგორიული უარით უპასუხა. ომი განახლდა. სპარსელებმა ალყა შემოარტყეს ქ. ამიდს, რომელიც სანგრძლივი ალყის შემდეგ აიღეს 359 წელს. შაბური თეითონ

მეთაურობდა ჯარს; მისი მოკავშირეები იყვნენ ჰიონიტების მეფე გრუმბატი და ალბანეთის მეფე.

361 წ. იმპერატორი კონსტანცი გარდაიცვალა. იგი ტახტზე შეცვალა იულიანემ, რომლის დროსაც აღგილი ჰქონდა წარუმატებელ ცდას იმპერიის კვლავ კერპთაყვანისმცემლობაზე მოსაქცევად (იულიანემ მიიღო განდგომილის სახელი). მაგრამ იულიანეს მცდელობას უკვე აღარ შეეძლო იმპერიის გასვითარების შეჩერება და ახალი იდეოლოგიის – ქრისტიანობის შეცვლა.

იმპერატორი იულიანე რომაელთა ჯარით დაიძრა შაბურის წინააღმდეგ. მას მხარს უჭერდა სომეხთა მეფე არშაკ III. ერთ-ერთი მისი მხედართმთავართაგანი იყო შაბურის განდევნილი ძმა ჰორმიზდი, რომლის დასმასაც ირანის ტახტზე ფიქრობდა იულიანე.

რომაელთა ჯარმა გაიარა მესოპოტამია და დაიძრა ქტეზიფონისაკენ. მაგრამ წარმატება დროებითი აღმოჩნდა. 363 წ. იმპერატორი იულიანე დაიღუპა. მის ნაცვლად ტახტზე ასული იოვიანე იძულებული გახდა დაედო ზაეი ირანთან ამ უკანასკნელისათვის სასარგებლო პირობებით, 30 წლით: ნიზიბინი, სინგარა და მც. არმენიის ოლქები ერგო ირანს, ხოლო დიდი არმენიის მეფე არშაკი შაბურმა ტახტიდან გადააყენა, როგორც რომაელების მიერ დასმული კაცი.

იმპერატორი ვალენტი ცდილობდა სომხეთის მეფე პაპისათვის მხარდაჭერას და ამით სომხეთში თავისი გავლენის შენარჩუნებას, მაგრამ უშედეგოდ. 370 წ. სპარსელებმა დაარბიეს არმენია, ხოლო 371 წ. შაბურ II დაიძრა არმენიისა და იბერიის წინააღმდეგ. იმპერატორმა ვალენტიმ დამსმარე ჯარი გაუგზავნა სომხებს, რასაც მოქცევა ამ უკანასკნელთა გამარჯვება სპარსელებზე. შაბურ II იძულებული გახდა ეცნო სომხეთის მეფედ პაპი.

მეფე პაპი ყოველნაირად ცდილობდა თავის სახელმწიფოს დამოუკიდებლობის უზრუნველყოფას. იგი ორბუნება ხასიათის პოლიტიკას აწარმოებდა: კეთილმეზობლურ ურთიერთობას ინარჩუნებდა ერთი მხრივ კონსტანტინოპოლთან, ხოლო მეორე მხრივ – ქტეზიფონთან. მის მიერ გატარდა სომხეთის ეკლესიის სრული დამოუკიდებლობის პოლიტიკა, რამაც ძალზე გააღიზიანა იმპერატორი ვალენტი, რომელმაც მხარდაჭერა ჰპოვა სომხეთის დიდებულებსა და სამღვდელოების ნაწილში. 374 წ. მეფე პაპი მოღალატურად მოკლეს.

სიკვდილამდე ცოტა ხნით აღრე შაბური ჩაერია სომხეთის დიდებულთა შინაურ ბრძოლაში. მსედართმთავარი სურენი, რომელიც სპარსელთა ჯარით გაგზავნილი იყო რომაელთა წინააღმდეგ, დანიშნეს არმენიის მარზბანად.

ომი ამ ორ დიდ სახელმწიფოს შორის კვლავ გრძელდებოდა ცვალებადი წარმატებით.

ახალი, 387 წლის ზავის პირობებით არმენია და საქართველო გაელენის სფეროებად იქნა გაყოფილი: არმენიის დასავლეთ ნაწილში მმართველს ამტკიცებდა იმპერატორი, ხოლო აღმოსავლეთი ნაწილი (პერსარმენია) ირანზე აღმოჩნდა დამოკიდებული; ლაზიკა მოექცა რომის გაელენის სფეროში, ქართლი — ირანისაში.

შაბურ II-ის ხანგრძლივი მეფობა აღინიშნა ირანში ქრისტიანთა სასტიკი დევნით. ირანელ ქრისტიანებს აეკრძალათ ლაშქრობაში მონაწილეობა, მათ ორმაგად უნდა გადაეხადათ გადასახადები. გადასახადების აკრეფის პასუხისმგებლობა ირანის ქრისტიანთა კათოლიკოსს დაეკისრა, მაგრამ მან უარი განაცხადა იმ მოტივით, რომ იგი ხარკის ამკრეფი მოხელე არ იყო. მისი უარი გახდა ქრისტიანთა დევნის საბაბი. ირანის ქალაქებში სიკვდილით დასაჯეს ეპისკოპოსები, მღვდლები, მონაზვნები, დაანგრიეს ქრისტიანული საკულტო ნაგებობანი. შესაფერისი ღონისძიებების განხორციელებას შეუდგა ირანის მთავრობა აგრეთვე იბერიასა და არმენიაში. აქ მაზდეანობის გავრცელება მან თავისი პოლიტიკური ბატონობის აუცილებელ პირობად მიიჩნია.

მშვიდობიანი ურთიერთობა იმპერიებს შორის შენარჩუნებული იქნა V საუკუნის განმავლობაში (მხოლოდ დროებით დაირღვა ორი სანმოკლე ომით). ძველი მოქიშპენი იძულებული გახდნენ გაერთიანებულიყვნენ მომთაბარე ტომთა (ჰუნების) წინააღმდეგ, რომელნიც ჩრდილოეთიდან უტევდნენ ირანს. კავკასიის უღელტეხილების დაცვა ბიზანტიისა და ირანის ერთობლივ ინტერესს წარმოადგენდა. ირანი კისრულობდა კასპიის (დარუბანდის) და ალანების (დარიალის) უღელტეხილების დაცვას, იქ ციხეების აგებას და გარნიზონების ჩაყენებას, ბიზანტია კი — ამ ციხეების გარნიზონების შენახვას.

შაბურ II-ის სიკვდილის შემდეგ (379 წ.) ტახტი 20 წლის განმაელობაში დიდებულებისა და ქურუმების ნებასურვილის მიხედვით ხელიდან ხელში გადიოდა. შედარებით სტაბილური მდგო-

მარეობა შეიქმნა 399 წ., როდესაც შაპად დაჯდა იეზდიგერდ I, რომელმაც შეძლო კარის დიდებულების ძალაუფლების შებღუდვა. იგი ცდილობდა მოსახლეობის სხვადასხვა ფენებში, უმთავრესად ხელოსნებსა და ვაჭრებს შორის, რომელთა მნიშვნელოვანი ნაწილი ქრისტიანი იყო, დასაყრდენის მონახვას. შაბურ II-ისაგან განსხვავებით, იეზდიგერდ I შეწყვიტა ქრისტიანების დევნა: ნება მისცა მათ დანგრეული ეკლესიების აღდგენისა, გაათავისუფლა პატიმრები. მან თავი გამოაცხადა მცირეწლოვანი თეოდოსი II-ის მეურვედ და ამით ხაზი გაუსვა ქრისტიანებისადმი თავის კეთილგანწყობილებას.

მაგრამ ასეთი მდგომარეობა არ შეიძლებოდა დიდხანს გაგრძელებულიყო. დიდებულები და ქურუმები ძალიან უკმაყოფილონი იყვნენ ქრისტიანებისადმი შაპის ამგვარი დამოკიდებულების გამო. სიცოცხლის ბოლო წლებში იეზდიგერდმა ერთგვარად შეცვალა თავისი პოლიტიკა ქრისტიანებისადმი დამოკიდებულების საკითხთან დაკავშირებით: იგი შეაშინა დიდებულებისა და ქურუმების უკმაყოფილებამ და ირანელ ქრისტიანებს მთელი რიგი პრივილეგიები შეუკვეცა.

421 წ. იეზდიგერდ I გარდაიცვალა (როგორც ფიქრობენ, იგი მოკლეს). დიდებულებს უნდოდათ იეზიდგერდის შვილების ტახტიდან ჩამოცილება, ამიტომაც მათ წინ წამოსწიეს ტახტის პრეტენდენტად სასანიანთა სამეფო სახლის გვერდითი შტოს წარმომადგენელი.

იეზდიგერდის შვილი შაბური – სომხეთის მმართველი ტახტის დაკავების მიზნით მივიდა დედაქალაქში, მაგრამ დიდებულებმა იგი მოკლეს, სასანიანთა სამეფო ტახტი არაბთა ჯარის დახმარებით დაიკავა მისმა ძმამ ბაპრამმა, რომელიც ხირის მეფის მუნდარ იბნ-ნუმანის კარზე ცხოვრობდა.

ბაპრამ V (გური) სახელმწიფოს მართვა-გამგებლობაში მაინც და მაინც არ ერეოდა. ეს საქმე მინდობილი ჰქონდა დიდ მოსელეებს. განსაკუთრებით დაწინაურდა ბოზორგ-ფრამადაპრი მიჰრ ნარსე სპანდიადის ძლიერი გვარიდან. მიუხედავად ამისა, ბაპრამს მიეწერება წინა წლებში აულებელი გადასახადების გაუქმება. გარდა ამისა, მან ტახტზე ასვლის წელს მოსახლეობას აპატია მიწაზე დადებული გადასახადის მესამედი. მაგრამ, ამავე დროს მისი მეფობის წლებში (421-438) განასლდა ქრისტიანების დევნა. შევიწროე-

ბული ქრისტიანები ეცადნენ ბიზანტიაში გაქცევას, მაგრამ მობედან-ძობედის შიპრ-შაბურის ბრძანებით არაბულმა ტომებმა მათ გზა გადუღობეს. ბევრი ლტოლვილი ქრისტიანი არაბთა მიერ დახოცილ იქნა, ბევრიც უკან დაბრუნდა. ირანის მთავრობის ამგვარმა დამოკიდებულებამ ქრისტიანებისადმი აიძულა ირანის ნესტორიანული ეკლესიის ეპისკოპოსები მოეწვიათ საეკლესიო კრება, რომელმაც დააკანონა ირანული ქრისტიანული ეკლესიის გამიჯვნა ბიზანტიური ბერძნულ-მართლმადიდებლური ეკლესიიდან. ამგვარად, ბიზანტიასთან დაახლოვების პოლიტიკამ მარცხი განიცადა.

ირან-ბიზანტიის ახალმა ომმა ბიზანტიას მოუტანა გამარჯვება და ირანელმა ქრისტიანებმა კელავ მიიღეს აღმსარებლობის ზოგიერთი თავისუფლება.

ბაპრამ V მეფობაში (421-438) გახშირდა ირანზე ჩრდილოეთიდან და ჩრდ.-აღმოსავლეთიდან მომთაბარეთა თავდასხმები. მერვთან ბრძოლაში ბაპრამ V გაანადგურა ეფტალიტები, რის შედეგადაც სასანიანთა სახელმწიფოს საზღვარმა დროებით ამუდარიასკენ გადაიწია.

ბაპრამ V 438 წ. გარდაიცვალა. გამეფდა მისი შვილი იეზდიგერდ II, რომლის მეფობაშიც ირანი ცდილობდა არმენიაში ფეხის მოკიდებას და იქ ზოროასტრიზმის დანერგვას. არმენიაში აჯანყებამ იფეთქა; ნასარარებმა დახმარებისათვის ბიზანტიას მიმართეს, მაგრამ იმ დროს ბიზანტიას არ ჰქონდა დასმარების გაწევის შესაძლებლობა. თავდაპირველად გაიმარჯვეს სომხებმა, რომელთაც შეიპყრეს სპარსელთა მიერ არმენიის მარზბანად დანიშნული, გამაზდეანებული ვასაკ სიუნიკელი, რომელიც დატყვევების შემდეგ კელავ გაქრისტიანდა. 451 წ. იეზდიგერდმა ჯარი გააგზავნა არმენიაში და დაამარცხა აჯანყებული ნახარარები, რომელთა ნაწილი ბრძოლაში დაიღუპა, ნაწილი კი სიკვდილით დასაჯეს. ირანი არმენიაში ძველებურად აგზავნიდა თავის მოხელეს — მარზბანს. მართალია, ეს აჯანყება დამარცხდა, მაგრამ მას სომხეთისათვის გარკვეული დადებითი შედეგი მაინც ჰქონდა: ირანმა ვერ შეძლო სომხეთის სრული დამორჩილება; ამასთანავე, სომხეთმა ქრისტიანობა შეინარჩუნა.

ირანის ჩრდ.-აღმოსავლეთ საზღვარზე კვლავ დაძაბული ვითარება იყო: ეფტალიტებთან ბრძოლა გრძელდებოდა. ტალაკანსა და ბალხის რაიონებში ბრძოლები მომთაბარეების დამარცხებით

დასრულდა. შაპინ-შაპმა იქ დააარსა ციხე-ქალაქი „შაპრისტანი-ე იეზდიგერდ“.

იეზდიგერდ II 457 წ. გარდაიცვალა, რის შემდეგაც დაიწყო ორწლიანი შინადისასტიური ბრძოლები. 459 წ. ტახტი დაიკავა მისმა შვილმა პეროზმა, რომელმაც მემკვიდრეობად მიიღო ძალზე დასუსტებული სახელმწიფო: გვალვითა და შინაური შფოთით გამოწვეული სახელმწიფოს მძიმე მდგომარეობა კიდევ უფრო დაამძიმა გარეშე მტრების შემოსევებმა. შაპინ-შაპის ბრძანებით სასაზღვრო ზოლში გააძლიერეს გარნიზონები და იქ სამი ციხე დააარსეს: რამ-პეროზი აშენებულ იქნა რეის რაიონში — კასპიის ზღვის სამხრეთ სანაპიროს კიდევ უფრო სამხრეთით, თანამედროვე თეირანის მიდამოებში; როუშან-პეროზი აშენდა როგორც ციხე-სიმაგრე კასპიის ზღვის სამხრეთ-აღმოსავლეთ სანაპიროზე; მესამე ციხე-სიმაგრე შაპრამ-პეროზი დაფუძნდა აზერბაიჯანში, კასპიის ზღვის დასავლეთ სანაპიროზე. ეს ციხე-სიმაგრეები ძირითადად ჰუნების შემოსევისაგან თავდასაცავად შენდებოდა. კავკასიის დაცვა ჰუნებისაგან შედიოდა ბიზანტიის ინტერესებშიც: მაგ., ციხე-სიმაგრე იუროეი-პაახი (იბერია) — კასპიის კართან შენდებოდა ამ სახელმწიფოების საერთო ხარჯით. სტიქიური უბედურება და გაზრდილი სამსედრო სარჯები პეროზს აიძულებენ ბიზანტიას მიმართოს დახმარებისათვის. ამ ნაბიჯს იგი ამართლებს კავკასიაში მათი საერთო ინტერესებით. მაგრამ ბიზანტია, ჩვეულებრივად, ერთბაშად არ თანხმდებოდა დოტაციის მიცემაზე. ბოლოს და ბოლოს ბიზანტიამ შეასრულა ირანის თხოვნა: იგი თვლიდა, რომ ამ თხოვნის შესრულებაზე დიდად იყო დამოკიდებული ზაეის შენარჩუნება.

პეროზის მეფობის მთელ სიგრძეზე ირანის ჩრდ. აღმოსავლეთის საზღვარზე მიმდინარეობდა ომი კიდარიტებთან. ამან შეუშალა ხელი პეროზს და იგი ვერ დაეხმარა ბიზანტიის წინააღმდეგ ბრძოლაში ლაზებს, რომლებმაც მას დახმარების შესახებ თხოვნით მიმართეს. 468 წ. სპარსელებმა გაიმარჯვეს კიდარიტებზე, დაიპყრეს მათი მიწები და შეუერთეს თავიანთ სახელმწიფოს, დამარცხებული კიდარიტები იძულებულნი გახდნენ წასულიყვნენ. მათ ვერ გაუწიეს წინააღმდეგობა ეფტალიტებს, რომლებმაც ისინი დაიპყრეს. ეფტალიტები — „თეთრი ჰუნები“ უშუალოდ გაუმეზობლდნენ სპარსელებს, მათ სახელმწიფოში შედიოდა სოგდიანის, ხორეზმის ოლქები; ისინი გაბატონდნენ „აბრეშუმის გზაზე“ და

ღაიპყრეს ჩრდ. ინდოეთი. კასპიის ზღვის აღმოსაელეთი სანაპირო და ხორასნის ნაწილი მათ ხელთ იყო. ეფტალიტების გაბატონებულმა ზეღაფენამ შეითვისა სოგდელებისა და ხორეზმელების უძველესი კულტურა და თავისებურად განავითარა იგი.

ახალმა ძლიერმა მტერმა ირანს შეუქმნა უშუალოდ შემოჭრის საფრთხე. მოსალოდნელი ომისათვის პეროზს სჭირდებოდა ფული, რის შოვნასაც იგი ბიზანტიაში შეეცადა. კონსტანტინოპოლი ირანს ფულად სუბსიდიებს აძლევდა ორივე სახელმწიფოს საერთო მტრის — მომოიაბარეთა წინააღმდეგ საბრძოლველად.

ჰუნების ცალკეულ ტომთა შორის წინააღმდეგობამ გამოიწვია მათი ამოძრავება. ისინი იძეროდნენ კასპიის ზღვის სანაპიროს გასწერივ და ცდილობდნენ დარუბანდის კარით გადმოსვლას, მაგრამ მათ გზა გადაულობა სპარსულმა გარნიზონმა. ისინი სხვა გზით — იბერების ქვეყნის გაელით დაიძრნენ და თავს დაესხნენ არმენიას. ირანმა ბიზანტიას მოსთხოვა სუბსიდია კავკასიის ქედის ცისვების დასაცავად (სპარსელების აზრით, ამ ციხვების დაცვა ბიზანტიის ინტერესებშიაც შედიოდა), მაგრამ ბიზანტიამ ირანს ფული არ გამოუყო, თუმცა კი, იგი პეროზის ბრძოლისადმი ჰეფტალიტების წინააღმდეგ გარკვეულ ინტერესს იჩენდა.

460 წ. პეროზმა ომი დაიწყო ჰეფტალიტ ჰუნების წინააღმდეგ. ამ ომში ირანის მსარეს ვახტანგ გორგასალიც მონაწილეობდა. ეს ომი 468 წ. დამთავრდა.

პეროზის ომები ჰეფტალიტებთან ძალზე გახანგრძლიედა. სპარსელები დამარცსდნენ: ჰეფტალიტებმა თვითონ შაჰინ-შაპიც დაატყვევეს. თითქოს იმპერატორმა ზენონმა პეროზი ტყვეობიდან გამოისყიდა და შემდეგ შეარიგა კიდეც ჰეფტალიტებთან. პეროზი კვლავ აგრძელებს ბრძოლას მათთან. არის ცნობა, რომ ჰეფტალიტებმა იგი შეიტყუეს ვიწრო ხეობაში და დაატყვევეს. ჰეფტალიტებმა მისი გათავისუფლების ფასად დიდი გამოსასყიდი მოითხოვეს. პეროზმა 20 ტომარა ოქრო გადაიხადა, სოლო 10 ტომრის საფასურში მძეელად დატოვა თავისი ვაჟი კავადი. ტყვეობიდან დაბრუნების შემდეგ პეროზმა მოსახლეობას შეაწერა ახალი სულადობრივი გადასახადი და აკრეფილი თანხით გამოისყიდა კავადი.

პეროზმა ჰეფტალიტებთან ურთიერთობის მოწესრიგების მიზნით მათ მეფეს ცოლად შესთავაზა თავისი ასული, მაგრამ

გაუგზავნა სსუა ქალიშვილი, რომელმაც სინამდვილე გაამეღავნა. განრისხებულმა პეფთალიტების მეფემ პერომს სთხოვა სარდლების გაგზავნა თითქოს ჯარის ინსტრუქტაჟისათვის. როდესაც სარდლები მივიდნენ პეფტალიტებთან, მეფემ მათი ნაწილი დაახოცინა, ნაწილი დაასახიჩრა და გაუგზავნა პერომს იმის შესატყობინებლად, რომ ეს მისი შურისძიებაა. ომი განახლდა. ამ ომში პეროზი დამარცხდა. იგი დაიღუპა.

იმ დროს, როდესაც პეროზი დაკავებული იყო ომებით ირანის ჩრდილო-აღმოსავლეთის საზღვრებზე, აღმოსავლეთ საქართველოში, არმენიაში და ალბანეთში იფეთქა აჯანყებამ ეასტანგ გორგასალის და სომეხი მთავრის ვაჰან მამიკონიანის მეთაურობით (483-484 წწ). აჯანყებულებმა გარკვეულ წარმატებას მიაღწიეს, მაგრამ ქართლის დიდებულთა და სომეხი ნახარარების ღალატის წყალობით, ეს აჯანყება დამარცხდა. მიუხედავად ამისა, ამ აჯანყებამ აიძულა ირანი უფრო მეტად გაეწია ანგარიში ამიერკავკასიის ქვეყნების დიდებულებისათვის; მარზბანების დანიშვნაც მათ წრიდან დაიწყეს.

პეროზის შემდეგ ტახტზე ავიდა მისი ძმა ვალაში (ბალაში) — 484-488 წწ. იგი მშვიდობისმოყვარე კაცი ყოფილა. მას მეფობის დაწყება მოუხდა არასახარბიელო ვითარებაში. სახელმწიფო ხაზინა ცარიელი იყო, ამიტომაც მას არ შეეძლო ჯარის შენახვა, ჯარი ფაქტობრივად აღარ ემორჩილებოდა მას. იგი დიდებულების ხელში სათამაშო ბურთად იქცა. განსაკუთრებით დიდი გავლენით სარგებლობდნენ ზარმიპრი (კარენის ცნობილი გვარიდან) საკასტანის პროვინციის მმართველი და შაბური (მიპრანის გვარიდან) — რეის მმართველი. ორივემ დიდი ზეგავლენა მოახდინა ტახტის მემკვიდრეობის წესზე. ზარმიპრი სახელმწიფოს საქმეებს განაგებდა ვალაშის მთელი მეფობის განმავლობაში. ამას ხელს უწყობდა ის გარემოებაც, რომ იგი მხარს უჭერდა სომეხ დიდებულებს. ვაჰან მამიკონიანი აჯანყებული სომხების მეთაური იყო. სწორედ მასთან დადო ირანმა ზავი, ზოგიერთი რამ დათმო, ქრისტიანებს მისცა სარწმუნოებრივი აღმსარებლობის სრული თავისუფლება, სოლო ეაჰან მამიკონიანი დანიშნულ იქნა არმენიის მარზბანად. თავის მხრივ, მან მხარი დაუჭირა ზარმიპრს, რომელმაც დიდი სნის განმავლობაში მყარი მდგომარეობა მოიპოვა.

ვალაში კარგად ხელაედა საზოგადოების დაბალი უენების აუტანელ მდგომარეობას და ცდილობდა როგორმე შეემსუბუქებინა იგი. წყაროები მოგვითხრობენ, რომ თითქოს მან ბრძანა იმ დეპეანების (მიწისმფლობელების) დასჯა, რომელთა სოფლებიდან გლესები გარბოდნენ. მაგრამ მას მალე აუმხედრდნენ დიდებულები, რომელთა წინააღმდეგაც მას ჯარის გამოყვანა არ შეეძლო: ჯარში მას დასაყრდენი არ ჰქონდა.

ვალაში ცდილობდა კოსსტანტინეპოლთან მშვიდობიანი ურთიერთობის შენარჩუნებას, ამიტომაც იქ გააგზავნა ელჩობა. იგი დასაყრდენს ეძებდა ირანის ნესტორიანულ მოსახლეობაში, რაც აგრეთვე აღიზიანებდა ირანელ დიდებულებს. ოთხწლიანი მმართველობის შემდეგ იგი ტასტიდან ჩამოაგდეს და დააბრმავეს, ხოლო ტასტზე დასვეს პეროზის შვილი კავადი (488 წ.). საფიქრებელია, რომ სასახლის გადატრიალებას ხელმძღვანელობდა ზარმიჰრი, რომელსაც მიაჩნდა, რომ კავადი, რომელმაც რამდენიმე წელი გაატარა ეფტალიტების მეფის კარზე, შეძლებდა ეფტალიტებთან ურთიერთობის გაუმჯობესებას, რაც ნაწილობრივ გამართლდა. მაგრამ ირანი აგრძელებდა ეფტალიტებისათვის ხარკის გადახდას.

§2. ირანის საზოგადოებრივი და სახელმწიფო წყობილება III–V საუკუნეებში

IV საუკუნის ბოლოსათვის სასანიანთა ირანის სახელმწიფოს საზოგადოების ძირითადი სახე საკმაოდ ნათლად გამოიკვეთა. სახელმწიფოს სათავეში იდგა შაპინშაპი, რომელიც სასანიანთა სამეფო ვარს ეკუთვნოდა. ტახტის მემკვიდრეობის წესი ჯერ კიდევ არ იყო მტკიცედ დადგენილი, ამიტომაც შაპინ-შაპი ცდილობდა თავისივე სიცოცხლეში მემკვიდრის დანიშვნას. მაგრამ ხშირად ესეც არ შველოდა საქმეს: უფლისწულები ერთმანეთს ექიშპებოდნენ ტახტისათვის. შემდეგ ხანებში ტასტის გადასვლის წესი მამიდან შვილზე სულ უფრო და უფრო მყარ საფუძველზე დგებოდა.

სასანიანთა სახელმწიფო ემყარებოდა განვითარებულ წოდებრივ სისტემას. წოდებებად დაყოფა რელიგიის მიერ იყო კურთხეული. მის მტკიცედ დაცვას თვალყურს ადევნებდა სახელმწიფო თავისი აპარატის საშუალებით.

ძველი ირანისათვის (აქემენიანთა ირანისათვის) დამახასიათებელი იყო თავისუფალი სამი წოდება: 1. ქურუმები — ათრავან, 2. მხედრები — რათაესტო, 3. მიწისმოქმედნი — ვასტრიოფშიუონ.

სასანიანები თავიანთ თავს აქემენიანების მემკვიდრეებად მიიჩნეულნენ. მათ ბევრი რამ გადმოიღეს აქემენიანთა ირანიდან (მათ შორის რელიგია — ზოროასტრიზმი, ცეცხლის თაყვანისცემა). გადმოღებულ იქნა წოდებრივი დაყოფაც. IV საუკუნისათვის ოთხი წოდება ჩამოყალიბდა: 1. ქურუმები, 2. მხედრები, 3. მწერლები, 4. გადასახადის გადამხდელები. როგორც უკვე აღვნიშნეთ, სახელმწიფოს საითაეში იდგა შაჰინ-შაჰი. მას ხელისუფლება მიღებული ჰქონდა ღმერთის — აპურამაზდას ხელიდან (საინტერესოა, რომ ნაყშ-ი რუსტამის რელიეფზე არდაშირ პირველი სამეფო გვირგვინს აპურამაზდას ხელიდან იღებს). სახელმწიფოს მართვის საქმეში მისი უახლოესი დამხმარენი იყვნენ: ზოროასტრული რელიგიის კულტის მსახურთა მეთაური — მობედან-მობედი (ქურუმთა-ქურუმი), მთავარსარდალი — ერანისპაჰბედი, მწერალთა უფროსი — დაბირაბედი, საგადასახადო უწყების უფროსი — ვასტრიოშანსალარი.

წოდებათა შიგნით იყო რთული იერარქიული დაყოფა. ქურუმთა წოდებაში უმაღლესი ფენა იყო მობედთა, რომელთა სათავეშიც იყო მობედან-მობედი, რომელსაც პირველი ადგილი ეკავა მეფის შემდეგ. მობედები აკონტროლებდნენ მოგვების საქმიანობას ოლქებსა და პროვინციებში.

სამხედრო წოდებაში ერანისპაპბედის შემდეგ იყვნენ შაპრდარები — შაპრების, ქვეყნების ნახევრადდამოუკიდებული მმართველები, რომლებიც სამეფო საგვარეულოს წევრებიდან და აღგილობრივი პატარა მეფეებიდან ინიშნებოდნენ.

შემდეგ მოდიოდნენ ვისფუპრები — შვიდი ძველი ირანული საგვარეულოს (სურენის, კარენის, მიჰრანის, არშაკიანთა და სხვ.) წარმომადგენლები, რომლებიც მონაწილეობდნენ შაპის-შაპის ხელდასხმაში. კერძოდ, არშაკიანთა საგვარეულოს წარმომადგენელს შაჰინ-შაჰისათვის თავზე უნდა დაედგა სამეფო გვირგვინი. ვისფურების ხელთ იყო სახელმწიფოს ყველაზე დიდი თანამდებობები. IV ს-ის დამდეგიდან ისინი დიდი გაელენით სარგებლობდნენ სახელმწიფო საბჭოში.

დიდი უფლებებით სარგებლობდნენ აგრეთვე ვუზურგანები. მათ ხელთ იყო სახელმწიფო, სამხედრო და სამოქალაქო თანამდებობები.

აზატნი შეადგენდნენ გაბატონებული კლასის ყველაზე დაბალ, ყველაზე უფრო მრავალრიცხოვან ფენას. მიწისმფლობელთა ეს მრავალრიცხოვანი ფენა წარმოადგენდა სასანიანთა სახელმწიფოს მთავარ დასაყრდენს. აზატებისაგან დაკომპლექტებული იყო მხედრობა, რომელიც ირანის ლაშქრის ბირთვს შეადგენდა.

მწერალთა წოდებაში შედიოდნენ სახელმწიფო მოხელეები, მათ შორის მდივნები, დიპლომატიური ხასიათის დოკუმენტების შემდგენლები, შაპინ-შაპების ბიოგრაფები, ექიმები, ასტროლოგები, თარჯიმნები და სხვ.

მეოთხე — გადასახადის გადამხდელთა ფენა აერთიანებდა მიწათმოქმედებს, ხელოსნებს, ვაჭრებს და ხელზე მოვაჭრეებს.

პირველი სამი წოდება პრივილეგირებული იყო და წარმოადგენდა მიწისმფლობელთა კლასს, მეოთხე წოდების უმეტესობა — დამოკიდებულ მიწათმოქმედებს. ისინი ისდიდნენ გადასახადების უმეტეს ნაწილს და ასრულებდნენ ვალდებულებებს.

III-V სს სოციალურ-ეკონომიკური წყობა ასეთნაირად გვესახება. ჩ.წ. აღრიცხვით პირველი საუკუნეებისათვის აქ დამახასიათებელია თავისუფალი სასოფლო თემის არსებობა, რაც ვითარდებოდა პირველყოფილი-თემური ორგანიზაციიდან და მონათმფლობელობა, რომელიც საკმაო სისრულით ვერ განვითარდა. III-V სს-ში სასანიანთა სახელმწიფოში იყო ადრეფეოდალური საგოგადოებისათვის დამახასიათებელი მთელი რიგი ნიშნები. ირანში ფეოდალური ურთიერთობის ჩასახვა-აღმოცენებას თან ახლდა, უპირველეს ყოვლისა, მიწაზე საკუთრების ხასიათის შეცვლა. პირობითი კერძო მიწისმფლობელობის სახით დიდებულებს ხშირად ეძლეოდათ მთელი სოფლები გლეხებითურთ. თემის ექსპლოატაციის და მისი დასუსტების შედეგად ყალიბდება ფეოდალური ტიპის მიწისმფლობელთა კლასი. მეორე მხრივ, მონობა თანდათან კარგავდა თავის წამყვან როლს მიწისმფლობელი არისტოკრატიის მსხვილ მეურნეობებში. იმ დროის იურიდიული ძეგლები გვიდასტურებენ მონათმფლობელობიდან ფეოდალურ ურთიერთობაზე გარდამავალი ფორმების არსებობას, მონების ნაწილობრივ გათავისუფლებას და მათთვის მიწების მიცემას.

მონების ნაწილობრივი გათავისუფლება პასუხობდა ახალი ტიპის მმრომელის (მიწის მუშის...) მოთხოვნილებებს, რომელიც უფრო დაინტერესებული იყო თავისი შრომის მეღეგით. ნაწილობრივ გათავისუფლებული მონა სოციალურად უახლოვდებოდა დაყმეევებულ მეთემეს.

გლეხთა მდგომარეობის შესახებ მწირი ცნობები მოგვეპოვება და რაცა გვაქვს, ისიც ეხება გადასახადებსა და საგადასახადო სისტემას.

სახელმწიფოსა და დიდებულთათვის გადასახადი იყო შემოსაველის მთავარი წყარო. გადასახადების ძირითადი ნაწილი ხმინაში შედიოდა რენტა-ხარკის სახით. მიწაზე დაღებული გადასახადი შეადგენდა მოსაველის 1/3 ან ნახევარს. მას ეწოდებოდა „ხარაგ“ (არაბული „ხარაჯა“). მისი გადახდა ხდებოდა როგორც ნატურით, ასევე ფულადი სახით. ამას გარდა, იყო სულადობრივი გადასახადი „გეზით“ (არაბული „ჯიზია“), რომელსაც ისდიდნენ როგორც მამაკაცები, ასევე ქალები 20-დან 50 წლის ასაკამდე. ამ გადასახადის გადახდიდან განთავისუფლებული იყვნენ დიდებულები, ქურუმები, მეომრები და მოხელეები. ექსპლოატირებული მოსახლეობა გაჰყავდათ სახელმწიფოს სამუშაოების შესასრულებლად (ქალაქის და ციხე-სიმაგრეების გალაენების, საირიგაციო სამუშაოების, გზების, ხიდების მშენებლობაზე და სხვ.), რასაც ეწოდებოდა „ბეგარა“.

§3. რელიგია სასანიანთა ირანის სახელმწიფოში

სასანიანთა ირანში გაბატონებულ რელიგიად, რამაც შეცვალა პართელთა რელიგიური სინკრეტიზმი, იქცა ზოროასტრიზმი. პირველი შაპინ-შაპების განკარგულებით შეაგროვეს და რედაქცია გაუკეთეს ავესტის – ზოროასტრელთა წმინდა წიგნის – ტექსტებს; ეს სამუშაო დასრულდა შაბურ II-ის მმართველობის წლებში. ავესტა იყო თავისებური ენციკლოპედია; მასში შეტანილი იყო, გარდა რელიგიურისა, ასტრონომიული, კოსმოგონიური, იურიდიული, მორალური და სხვ. ტექსტები. ავესტის ძველი სპარსულ ენა სასანიანთა ხანაში მოსახლეობის უმეტესობისათვის გაუგებარი იყო, ამიტომაც შედგენილ იქნა კომენტარები, რომელთაც „ზენდის“ სახელწოდება მიიღეს.

ზოროასტრის რელიგია დუალისტურ პრინციპზეა აგებული. სამყაროში ერთმანეთს გამუდმებით ებრძვის ორი საწყისი: კეთილი საწყისი წარმოდგენილია ღმერთ აპურამაზდათი, ბოროტი — ბნელი საწყისი კი — ბოროტი სულით აპრა (ანპრა) მანიუთი (არიმანით). აპურამაზდას ემორჩილება კეთილი ღმერთების ჯარი (მზე, მთვარე, ნაყოფიერების ქალღმერთი...), ანგელოსები, ხოლო არიმანს — ბოროტი სულების სამეფო. კეთილსა და ბოროტს შორის ბრძოლაში საბოლოოდ იმარჯვებს კეთილი საწყისი. ადამიანმა ამ ბრძოლაში მონაწილეობა უნდა მიიღოს აპურამაზდას მსარეზე. მან უნდა შეასრულოს მთელი რიგი წესები და რიტუალი, რაც მას გადაარჩენს ბოროტებისა და სიბნელის გავლენისაგან, რასაც იგი ყოველდღიურად ხვდება ცხოვრებაში.

ზოროასტრელები თაყვანს სცემდნენ აგრეთვე მეორეხარისხოვან ღმერთებს, წმინდა სტიქიას: ცეცხლს, მიწას და წყალს. კულტის თაყვანისცემის ადგილი იყო ცეცხლთაყვანისმცემელთა ტაძრები: სამი მათგანი (მხედრების ტაძარი, ქურუმების ტაძარი, მიწათმოქმედთა ტაძარი) უმთავრესი იყო; ტაძრები იყო ყოველ სოფელში, ქალაქში, დაბაში, დასახლებულ პუნქტში, ოლქში. ქურუმები მარტო მღვდელმსახურები არ იყვნენ: მათ თავის ხელში მოაქციეს განათლებისა და სასამართლოს საქმეები, მათვე ეკუთვნოდათ გადამწყვეტი სიტყვა მემკვიდრეობის საკითხებში. ისინი ერეოდნენ თვითეული ადამიანის პირად ცხოვრებაში. ნაწილობრივ ამიტომაც იყო, რომ III-V სს-ში სახალხო მოძრაობები იღებდნენ სექტანტობის, ან ახალი რელიგიისაკენ მიდრეკილების ელფერს.

ახალი რელიგია, რომელიც III საუკუნის შუა ხანებში გაჩნდა, მანიქეველობა იყო. მანის (დაიბადა 215 წ.) რელიგიურ-ფილოსოფიურ (გნოსტიკურ) მოძღვრებას აშკარად ეტყობოდა ქრისტიანობის გავლენა. მანიქეველობა წარმოადგენდა მაზდეანური, ქრისტიანული და ბუდისტური სარწმუნოებების სინთეზს. მანიმ საქვეყნოდ განაცხადა ახალი რელიგიის შექმნის შესახებ, რომელსაც, მისი აზრით, უნდა შეეცვალა წინამორბედი რელიგიები. ამავე დროს, მის რელიგიურ კონცეფციაში მნიშვნელოვანი ადგილი დაიჭირა ზოროასტრულმა დუალიზმმა.

მანის მოძღვრების მიხედვით, სინათლის (სიკეთის) ძალებმა შექმნეს პირველი ადამიანი. სიკეთე და ბოროტება ძველთაგანვე არსებობენ და მუდმივად ებრძვიან ერთმანეთს. ბოროტმა ძალე-

ბმა მოიცვეს პირველი აღამიანი; კეთილმა ძალებმა იგი გა-ათავისუფლეს, მაგრამ მასში ბევრი რამ დარჩა ბოროტი საწყისი-საგან. მანის მიხედვით, იმისათვის, რათა განთავისუფლდე ბოროტებისაგან, უნდა გაწყვიტო კავშირი შეგრძნებადი მატერიალური სამყაროს სიკეთესთან, უნდა შეუდგე თვითსრულყოფას. მანის ქადაგება მოუწოდებდა ასკეტიზმისა და უქორწინებისაკენ, სისხლისღვრაზე ხელის აღებისაკენ. არსებითად იგი გამოხატავდა პასიურ პროტესტს ექსპლოატატორთა წინააღმდეგ.

მანიმ თავისი მოძღვრების ქადაგება ირანში დაიწყო 241-242 წლებში შაპინ-შაპ შაბურ I-ის დროს. შემდეგ იგი იძულებული გახდა დაეტოვებინა სამშობლო. იგი ცხოვრობდა ინდოეთში, ტიბეტში. ირანში დაბრუნების შემდეგ მანი შეიპყრეს და ზოროასტრული სამღვდელოების მოთხოვნით სიკვდილით დასაჯეს 276 წ. არაბულ წყაროებში შემონახული ცნობების მისედვით მანის ცოცხლად გააძვრეს ტყავი, თივით გატენეს და ქ. გუნდეშაბურის ალაყაფზე ჩამოკიდეს. მანიქეველთა თემების არსებობა ირანში XI საუკუნემდე შეინიშნება.

III-IV სს-ში შუამდინარეთში, ხუზისტანში, ნაწილობრივ ირანის სხვა ოლქებშიც გავრცელდა ქრისტიანობა. მას შემდეგ, რაც რომის იმპერიაში იგი სახელმწიფო რელიგიად გამოცხადდა (325 წ.), ირანელ ქრისტიანებს შაპინ-შაპი მიიჩნევდა რომის პოტენციურ მოკავშირეებად. ირანის ქრისტიანებს ხელისუფლება სასტიკად სდევნიდა IV ს-ის 30-იანი წლებიდან V ს-ის 80-იან წლებამდე (ნაწილობრივ, შემდეგაც). 484 წ. ირანში ქრისტიანულმა ეკლესიამ ნესტორიანობა მიიღო, რომელიც ბიზანტიაში ერესად იყო მიჩნეული. ამის შემდეგ, ქრისტიანთა დევნის პოლიტიკური მოტივები მოისპო და ორმა ქრისტიანულმა ეკლესიამ – ნესტორიანულმა და მონოფიზიტურმა ლეგალური არსებობის უფლება მოიპოვა.

ირანელ ქრისტიანთა ძირითადი მასა შედგებოდა სირიელებისა (მესოპოტამიის) და ამიერკავკასიის ქვეყნების მცხოვრებთაგან. აღმოსავლეთისაკენ – მერვის რაიონისაკენ, ქრისტიანობის გავრცელებასთან ერთად, ქრისტიანულ თემებში შედიოდნენ ირანულენოვანი ხალხების წარმომადგენლებიც.

სასანიანთა სახელმწიფოში ბევრი იუდეველი ცხოვრობდა (შუამდინარეთში, ისპაანში...). იუდაიზმი ირანში არ იდევნებოდა,

რადგან იგი რომში განიცდიდა ღევნას; ასე რომ, ირანის შაჰინ-შაპს იუდეველები პოტენციურ მოკავშირეებადაც ესახებოდა.

სასანიანთა სახელმწიფოს აღმოსავლეთ რაიონებში (ბალხის რაიონი) გავრცელებული იყო ბუდიზმი.

§4. მაზდაქელთა მოძრაობა

V-VI საუკუნეთა მიჯნაზე ირანი შეძრა დიდმა სახალხო მოძრაობამ, რომელმაც გამოიწვია მნიშვნელოვანი ცვლილებები მის სახელმწიფოებრივ წყობაში. ამ მოძრაობის ფესვები უფრო ადრეულ სანაშია საძიებელი. ბიზანტიელი მემატიანე იოანე მალალა მოგვითხრობს, რომ იმპერატორ დიოკლეტიანეს მეფობაში, III ს-ის ბოლოს რომში ქადაგება დაიწყო ვინმე ბუნდოსმა, მანიქეველმა. იგი ამტკიცებდა, რომ სიკეთესა და ბოროტებას შორის ბრძოლაში იმარჯვებს კეთილი საწყისი. ეს ქადაგება მან გააგრძელა ირანშიც. კეთილი საწყისის გამარჯვების იდეამ განაპირობა შესაბამისი დასკვნა, რომლის მიხედვითაც აუცილებლად უნდა მოეღოს ბოლო ამ ქვეყანაზე ბოროტებას. ამ საქმეში აქტიური მონაწილეობა უნდა მიიღოს ხალხმა. V-VI საუკუნეების მიჯნაზე ამგვარი იდეების მქადაგებელი ირანში იყო მაზდაქი. წყაროები მას თვლიან ერეტიკოს-მობედად.

მაზდაქის მოძღვრებაში ანსახვავებენ ორ კონცეფციას: რელიგიურსა და სოციალურს. მაზდაქიზმი როგორც რელიგიური მოძღვრება სინკრეტულია. იგი აერთიანებდა ზოროასტრიზმის, მანიქეველობის, ელინისტური სამყაროს ფილოსოფიური მოძღვრებების და ქრისტიანობის ელემენტებს. მაზდაქელებმა ზოროასტრიზმიდან ისესხეს დუალიზმი. მანიქეველთაგან განსხვავებით, მაზდაქელებმა სიკეთის (სინათლის) საწყისი შეამკეს ნებისყოფითა და გონებით, ხოლო სიბნელის (ბოროტების) საწყისი სტიქიურობისა და უმეცრების ატრიბუტებით, რაც პქმნიდა წანამძღვარს უფრო აქტიური პოლიტიკური მოქმედებისათვის.

მაზდაქიზმის სოციალური კონცეფცია შემდეგი იყო: სამყაროში არსებული უთანასწორობა და უსამართლობა შექმნილია ბოროტი საწყისის მიერ. ყონიერებისა და სამართლიანობის სამეფო შეიძლება აშენდეს საერთო თანასწორობისა და სიკეთის თანაბარი განაწილების საფუძველზე, რამდენადაც ყველა ადამიანს

აქვს უფლება ნებისმიერ ქონებაზე. სისხლის დაღვრა ცოდვაა, თუ იგი გაპირობებული არაა ბოროტების წინააღმდეგ ბრძოლით. ეს უკანასკნელი თეზისი ამართლებდა სახალსო აჯანყებებს მჩაგვრელთა და ექსპლოატატორთა წინააღმდეგ.

მასობრივი სახალსო მოძრაობების საფუძვლები ირანში მომზადებული იყო ფეოდალიზაციის პროცესის ინტენსიობით და ეკონომიკური კრიზისით. V ს-ის მეორე ნახევარში თავისუფალი მეთემეების მნიშვნელოვანი ნაწილი უკვე გადაიქცა დამოკიდებულ გლეხად. მათი გამოსვლა ახალი რელიგიის დროშის ქვეშ არაპირდაპირად ნიშნავდა თავისუფალი სასოფლო თემის აღორძინებისაკენ მისწრაფებას. „აჯანყებული გლეხების მთავარი მოთხოვნა იყო მიწისმფლობელობის არქაული ფორმების აღდგენა, თემურ წყობილებასთან უკან დაბრუნება. ამდენადვე მათი ბრძოლის მიზანი გამორიცხავდა საზოგადოების წინსვლას, მის განვითარებას. მაგრამ მაზდაქელთა დიდმა სოციალურმა მოძრაობამ, რომლის გამოძახილს თვით XII ს-ში ვნახულობთ, ძლიერ შეარყია მონათმფლობელობის დროის სახელმწიფოს საფუძვლები“ (ვ. გაბაშვილი).

მაზდაქელთა მოძრაობის ძირითადი ძალა გლეხობა იყო, მაგრამ მასში მონაწილეობა მიიღეს მონებმა, ხელოსნებმა, რომლებიც უკმაყოფილონი იყვნენ წოდებრივი დისკრიმინაციით.

ფართო მასების მოძრაობა განსაკუთრებით გაძლიერდა V ს-ის ბოლოსათვის. სტიქიურმა უბედურებამ, გვალვამ, მოუსავლიანობამ ამ აჯანყებას ბიძგი მისცა 491 წელს. აჯანყებულებმა მოითხოვეს სახელმწიფო ბეღლების გახსნა; ეს მოთხოვნა ხელისუფლებამ შეასრულა, მაგრამ კონფლიქტის თავიდან აცილება ხელისუფლებას უკვე აღარ შეეძლო. ხალხი იჭრებოდა მდიდართა სახლებში, არბევდა მათ ქონებას, ძარცვავდა იქაურობას, პარემებიდან გამოპყავდა დიდებულთა ცოლები და ხასები. სხვათა შორის, მაზდაქმა მოითხოვა ცოლების განსაზოგადოებრიობა. ეს მოთხოვნა იყო ერთ-ერთი გამოსატულება სტიქიური პროტესტისა წოდებრივი ბარიერების წინააღმდეგ.

მაზდაქელთა მოძრაობამ მძიმე ქონებრივი და მორალური ზარალი მიაყენა ცნობილ საგვარეულოებს და ზოროასტრული რელიგიის მსახურებს.

მაზდაქელთა მოძრაობა პირობითად შეიძლება ორ ეტაპად დავყოთ: 491 წლიდან 496 წლამდე, როდესაც მას მხარს უჭერდა

შაპინ-შაპი კავადი და 499 წლიდან 529 წლამდე, როდესაც ხელმწიფე გადაუდგა მოძრაობას და შემდეგ სისხლში ჩაახშო კიდეც.

488 წ. ირანის სამეფო ტახტზე ავიდა პეროზის ვაჟი კავად I, რომელმაც მაზდაქი თავის მრჩევლად გაიხადა. მაზდაქელთა დახმარებით იგი ვარაუდობდა აღზეიებულ-გაძლიერებული დიდებულების დასუსტებას, ქურუმების ალაგმვას, რომელთა ხშირი ჩარევა სახელმწიფო საქმეებშიც უკვე საშიშად მიაჩნდა შაპინ-შაპს. მაგრამ დიდებულებმა კავად I ტახტიდან ჩამოაგდეს (496 წ.) და გაამეფეს მისი ძმა ჯამასპი. არაბული და სპარსული წყაროების (ტაბარი, ბალამი...) ცნობით, კავადი დის დახმარებით გაიპარა ციხიდან და თავი შეაფარა ეფტალიტების მეფის ახშუნვარის კარს. აქ იგი დაქორწინდა ეფტალიტების მეფის ქალიშვილზე და ეფტალიტების ჯარის დახმარებით 499 წ. კვლავ დაიბრუნა ტახტი. გარდა ეფტალიტებისა, კავადს მხარი დაუჭირა დიდებულთა ნაწილმა და სამეფო საგვარეულომ. მან ყველაზე აქტიური და საშიში მოწინააღმდეგეები დიდებულთა შორის სიკეღილით დასაჯა, სხვებთან საერთო ენა გამონახა.

ამასობაში, კავად I-ის ავტორიტეტი სულ უფრო და უფრო იზრდებოდა. 502-506 წლებში კავად I-მა ბიზანტიასთან ომში დიდ წარმატებებს მიაღწია. მან დაიმორჩილა თიმურიტების და კუდაშიტების ტომები, რომლებიც, ეფტალიტებთან ერთად მას დაეხმარნენ ბიზანტიის წინააღმდეგ ომში. კავადი შეეიდა სომხეთში, მაგრამ სომხეთი მან არ გაძარცვა; პირიქით, კავადმა სომხებს დიდი საჩუქარი აღუთქვა, თუ ისინი ირანს დაეხმარებოდნენ ბიზანტიასთან ომში.

კავადის ლაშქრობა ბიზანტიაში მძარცველური ხასიათისა იყო. მაგ., ქ. ამიდი (ზემო მესოპოტამიაში) ხანგრძლივად იყო ალყაში მოქცეული. აღების შემდეგ, კავადმა თავის ჯარს სამი დღის განმავლობაში მისცა საძარცველად. შემდეგ იქიდან დიდი სიმდიდრე გამოიტანეს, რითაც შეავსეს ირანის სახელმწიფო ხაზინა. ქ. ედესა და ზემო მესოპოტამიის სხვა ქალაქები ყოველ წუთს მოელოდნენ რბევა-აოხრებას.

506 წ. ირანსა და ბიზანტიას შორის ხელმოწერილ იქნა საბავეო ხელშეკრულება. ბიზანტიამ მნიშვნელოვნად დაუთმო ირანს. ირანსა და ბიზანტიას შორის ზავის დადება იმითაც იყო განპირობებული, რომ ორივე სახელმწიფოს ჩრდილოეთ საზღვარზე

მძიმე მდგომაროება შეიქმნა: ჰუნების მომთაბარე ტომები კავკასიონის ულელტეხილებით (დარიალი, დარუბანდი...) თავს ესხმოდნენ მც. აზიის ნაყოფიერ ოლქებს. 516 წ. ჰუნები შემოიჭრნენ არმენიაში და იქიდან შეაღწიეს მც. აზიაში.

კავად I მთელი რიგი ღონისძიებები გაატარა ირანის ჩრდილოეთი საზღვრის დასაცავად. კერძოდ, მან გაამაგრა ქ. ბარდავი (პარტავი), რომელმაც მიიღო სახელწოდება პეროზ-კავადი (არაბთა დროს ამ ქალაქს ეწოდა ბერდა'ა-ბარდავი). ამავე დროს, კავადმა მთელი რიგი ქალაქები დააარსა ხუზისტანსა და ფარსში, გაიყვანა სარწყავი არხები, ააშენა ხიდები და სხვ.

ჯარი გამდიდრდა ალაფითა და ნადავლით; სახელმწიფო საგინა შეივსო. როგორც უკვე აღენიშნეთ, კავად I-ის ავტორიტეტი გაიზარდა; ახლა იგი უკვე აღარ საჭიროებდა მაზდაქელთა მხრიდან მხარდაჭერას. ახალ პირობებში მისი პოლიტიკა მიმართული იყო მათი დასუსტებისაკენ. 529 წ. მაზდაქი გაასამართლეს და სიკვდილით დასაჯეს. დაიწყო მაზდაქელებთან საერთო ანგარიშსწორება: ბევრი მათგანი დახოცეს, ბევრი გაიქცა ირანის განაპირა რაიონებში და მის საზღვრებს გარეთაც.

„გლესთა ამ დიდი მოძრაობის და მრისხანე აჯანყების პირდაპირი შედეგი იყო მნიშვნელოვანი ცვლილებები ირანის საზოგადოებრივ ცხოვრებასა და სახელმწიფო წყობილებაში. გლესთა აჯანყებამ ობიექტურად ხელი შეუწყო ფეოდალური ელემენტების წარმატებას, ფეოდალურ ურთიერთობათა განვითარებას. მაზდაქურმა მოძრაობამ სპეციფიკური მიმართულება მისცა ფეოდალიზაციის პროცესს ირანში.

საქმე ისაა, რომ გაქცეულ-დახოცილი მიწისმფლობელებისაგან დაცარიელებული მიწები სახელმწიფოს განკარგულებაში აღმოჩნდა. ცენტრალურმა ხელისუფლებამ ეს მიწები დაურიგა დასუსტებულ და დაღარიბებულ წარჩინებულებს, რამაც უკანასკნელნი მსახურეულ წოდებად გადააქცია და, პირობითი მიწისმფლობელობის ნიადაგზე, განაპირობა მათი ცენტრალურ ხელისუფლებაზე ფეოდალური დამოკიდებულება. ამავე დროს ცენტრალური ხელისუფლება იძულებული იყო ცოტა რამ დაეთმო გლეხთათვის და მოეწესრიგებინა გადასახადები, რათა ამით უზრუნველეყო განადგურებული სოფლის მეურნეობის აღდგენა და მისი განვითარება.

მაზდაქური მოძრაობის ლიკვიდაციამ მოითხოვა „რეფორმების“ საჭიროება. „რეფორმების“ გატარებას იწყებს კავად I, მაგრამ ანსორციელებს მას ხოსრო I ანუშირვანი“ (ვ. გაბაშვილი).

კავადის წინაშე მთელი სიმწვავით დადგა ტახტის მემკვიდრეობის საკითხი: მისი უფროსი ვაჟი ქაუსი მაზდაქელთა მიმხრე იყო ამიტომაც მამამისმა იგი ტახტს ჩამოაშორა. კავადმა ტახტის მემკვიდრედ დანიშნა ხოსრო, რომელიც მას მხარში ედგა მაზდაქელებთან ბრძოლის დროს.

ამასობაში, ირანსა და ბიზანტიას შორის ბრძოლა ამიერკავკასიაში ახალი ძალით გაჩაღდა. ირანს უნდოდა დასაყრდენის მოპოვება ქართლში, სადაც თავისი პოლიტიკური და ეკონომიკური ინტერესების შემაგრებას ცდილობდა იდეოლოგიური კავშირებით: იგი ქართლისაგან მოითხოვდა ზოროასტრული რელიგიის მიღებას. ქართლის მეფე გურგენმა დახმარებისათვის მიმართა ბიზანტიას, რომელმაც ხელიდან არ გაუშვა მარჯვე შემთხვევა: 527 წ. იფეთქა ირან-ბიზანტიის ახალმა ომმა.

531 წ. კავადი მძიმედ გახდა ავად და გარდაიცვალა. ანდერძით მან ტახტი გადასცა ხოსროს, რომლის გახელმწიფებასაც ხელი შეუწყეს ქურუმებმა და დიდებულებმა. ეს უკანასკნელნი ხოსრო I-ში ხედავდნენ მომავალ ენერგიულ და ძლიერ შაჰინ-შაჰს (მოვიგონოთ, რომ ხოსრომ, ტახტის მემკვიდრეობის დროს, მამასთან ერთად, სისხლში ჩაახშო მაზდაქელთა მოძრაობა). ხოსროს გახელმწიფების შემდეგ მაზდაქის იდეები აგრძელებს არსებობას მხოლოდ და მხოლოდ საიდუმლოდ. ეს იდეები იდევნებოდა ცენტრალური ხელისუფლების მიერ. მაგრამ, უნდა ითქვას, რომ მაზდაქიზმის იდეებმა დიდი ხნის განმავლობაში შეინარჩუნეს სოციალური სიმწვავე (აღ-მუკანას აჯანყება VIII ს-ის ბოლოს შუა აზიაში და ბაბექის აჯანყება IX ს-ის დასაწყისში ამიერკავკასიაში იდეოლოგიურად უკავშრდებოდნენ მაზდაქელთა მოძღვრებას თანასწორობის შესახებ).

§5. ხოსრო I ანუშირვანის რეფორმები

მაზდაქელთა მოძრაობას ძალზე მნიშვნელოვანი შედეგები ჰქონდა. შაჰინ-შაჰმა მიიღო ფაქტობრივად შეუზღუდავი უმაღლესი ხელისუფლება, რამდენადაც საგვარეულო არისტოკრატიის ძლი-

ერება და გაელენა მნიშვნელოვნად შესუსტებული იყო; ასევე ძირი გამოეთხარა ქურუმების გაბატონებულ მდგომარეობას, თუმცა ისიც უნდა ითქვას, რომ საშიში ერეტიკული მოძრაობის ჩასშობა მათ ინტერესებსაც შეესაბამებოდა. რანგების (თანამდებობების) რიგში მობედან-მობედმა – ქურუმთა წოლების მეთაურმა გადაინაცელა საერო ხელისუფლების შემდეგ. სამაგიეროდ, წინ წამოიწია სამოქალაქო ბიუროკრატიამ, რომელიც ფაქტობრივად ახალ წოდებად იქცა. ამასთან დაკავშირებით გაძლიერდა ვეზირი (ბოზორგფრამადაპრი). საგრძნობლად გაიზარდა სამადიანშწიგნობროებსა და საფინანსო დაწესებულებებში მოღვაწე მწერლებისა და საფინანსო მოხელეების როლი, რომლებიც ვეზირს ემორჩილებოდნენ. ვეზირი ბოზორგმიპრი (არაბული წყაროებით ბოზორჯმიპრი) ხოსრო I-ის მარჯვენა ხელი, რეფორმების ენერგიული გამტარებელი და სახელმწიფოს რეორგანიზაციის მონაწილე იყო.

მაზდაქელთა მოძრაობის უმნიშვნელოვანესი შედეგი იყო საგადასახადო რეფორმა, რომლის გატარებისთვისაც საშზადისი დაიწყო კავად I, მაგრამ ვერ დაასრულა (სიკვდილმა შეუშალა ხელი). საგადასახადო რეფორმა გაატარა ხოსრო I ანუშირვანმა. არსებული საგადასახადო სისტემა მოძველებული იყო და ვეღარ აკმაყოფილებდა ხაზინის მოთხოვნილებებს. ხოსრო ანუშირვანის რეფორმებამდე მიწაზე დადებული გადასახადი (ხარაგ) აიღებოდა ნატურით და მოიცავდა მოსავლის 1/8-დან 1/3-მდე. გადასახადების რაოდენობა დგინდებოდა ხარჯთამკრეფების მიერ, რაც ხელს უწყობდა მათ ბოროტმოქმედებას, რადგან გადასახადების რაოდენობა წინასწარ არ იყო დადგენილი.

ხოსრო I-ის საგადასახადო რეფორმა ეყრდნობოდა კადასტრებს, რომლებიც შედგენილ იქნა დასამუშავებლად გამოსადეგი ყველა მიწის წინასწარი აზომვის შემდეგ. ამასთან დაკავშირებით უადგილო არ იქნება მოვიგონოთ X ს-ის არაბული და სპარსული წყაროების (ტაბარი, ბალამი...) ცნობები იმის თაობაზე, რომ საგადასახადო სისტემის მოწესრიგებაზე ბრუნვა ჯერ კიდევ კავად I დაუწყია (ზემოხსენებულ წყაროებში მოტანილია ლამაზი ლეგენდა კავად I და გლეხის ქალის შესახებ). ხოსრო I-ის ბრძანებით აღწერეს მოსახლეობა. დათვალეს ნაყოფის მომცემი ხეხილის ხეები. მტკიცედ იქნა დადგენილი საგადასახადო ნიხრები სასოფლო-

სამეურნეო კულტურის, მორწყვის პირობების და მიწების ქალაქთან სიახლოვე-სიშორის მიხედვით. ახალ პირობებში გადასახადი აიღებოდა არა მარტო ნატურით, არამედ ფულადი სახითაც.

მიწაზე დადებული გადასახადი განსაზღვრული იყო ერთ ღერიბ მიწაზე (ჰექტარის 1/4-დან 1/3-მდე) მარცვლეულზე, ვენახზე და საქონლის გამოსაკვებ ბალახზე; ხოლო ზეთისხილის ხეებზე, ფინიკის პალმებზე და ხეხილზე გადასასადი დადებული იყო მათი რაოდენობის მიხედვით.

სულადობრივი გადასახადი „გეზითი" აიღებოდა ფულადი სახით. მას იხდიდა გადასახადის გადამხდელი მოსახლეობა 20-დან 50 წლამდე 4, 6, 8, 10, 12 დირჰემის რაოდენობით, ყოველწლიურად, ქონებრივი მდგომარეობის შესაბამისად.

ხოსრო I ცდილობდა მაზდაქელთა მოძრაობის დროს დაზარალებული და გაღატაკებული ცნობილი საგვარეულოების აღდგენა-მოღონიერებას. ამასთანავე, იგი ზრუნავდა არა იმდენად ძველი საგვარეულოების აღდგენაზე, რამდენადაც ახალი, ცენტრალურ სელისუფლებაზე დამოკიდებულ მიწისმფლბელთა ჯგუფის შექმნაზე.

ხოსრო ანუშირვანი მხარს უჭერდა დიდებულებს, ამავე დროს მათგან მოითხოვდა ჯარში ან ხელმწიფის კარზე სამსახურს. შაპინ-შაპი მათი წრიდან ნიშნავდა მოხელეებს.

სოციალური ძალების გადაჯგუფებამ წინა პლანზე წამოსწია საშუალო ფენები სამსედრო და მწერალთა წოდებიდან. წვრილი და საშუალო მიწისმფლობელები — დეპყანები შეადგენდნენ ამიერიდან უეოდალთა კლასის მრავალრიცხოვან ნაწილს, ხოლო ძველი თაეისუფალი მეთემე დამოკიდებულად იქცა. მაგრამ ახლადჩამოყალიბებულ ადრეფეოდალურ საზოგადოებაში კიდევ დიდხანს შემორჩა მონათმფლობელური და პატრიარქალური წყობა.

ხოსრო I ანუშირვანის მოღვაწეობასთან დაკავშირებულია სამხედრო-ადმინისტრაციული რეფორმის გატარება. ადრე არსებულ ირეგულარულ ცხენოსან ლაშქართან ერთად შეიქმნა რეგულარული ჯარი — საშუალო და წვრილი მიწისმფლობელებისაგან დაკომპლექტებული მძიმედ შეჯავშნული მხედრობა. გარდა ამისა, ირანში გადმოასახლეს მომთაბარე ტომთა ნაწილი, რომელთაც საზღვრების დაცვა დაეკისრა. რეგულარული ჯარისათვის აუცილებელი გახდა სამხედრო დათვალიერებები, რომლებშიც თვით შაპინ-შაპი მონაწილეობდა.

ხოსრო I-მა გააუქმა ერთი მსედართმთავრის — ერანისპაპბედის თანამდებობა და ეს თანამედბობა გაუყო ოთხ სპასპეტს — სპაპბედს, რომელიც ამავე დროს ოლქის სამოქალაქო მმართველის — ფადგოსპანის თანამდებობასაც ასრულებდა. ირანი დაყოფილი იქნა ოთხ ოლქად (ნაცვლად მანამდე არსებული 18 ოლქისა): 1. აღმოსავლეთის (ხორასანი), 2. ჩრდილოეთის (არმენია, აზერბაიჯანი, იბერია), 3. დასავლეთის (პამადანი, ერაყი), 4. სამხრეთის (ქერმანი, ხუზისტანი).

ხოსრო I ანუშირვანის რეფორმები გამოწვეული იყო ირანის საშოგადოებრივი და ეკონომიკური განვითარებით. პროფ. ნ.ვ. პიგულევსკაია მიუთითებდა, რომ ხოსრო I-ის რეფორმები ასახავდა საშოგადოების სტრუქტურაში მომხდარ ცვლილებებს. ცვლილებებს, რომელთაც შეიძლება ფეოდალიზაცია ვუწოდოთ: „საწარმოო ძალების განუხრელი განვითარება ვეღარ უთავსებდა ძველ წარმოებით ურთიერთობას, მოითხოვდა მონათმფლობელური ექსპლოატაციის წესიდან ფეოდალური ექსპლოატაციის წესზე გადასვლას. დამახასიათებელია, რომ მიწისმფლობელებს საკუთრივ ირანელი მონები („ბანდაქ") თანდათან დამოკიდებულების ახალ ფორმაზე გადაპყავთ და მეურნეობაში მონის მდგომარეობას მხოლოდ ტყვედმოყვანილებს, უცხო ეროვნების მონებს („ანშაპრ") უნარჩუნებენ".

პროფ. ვ. გაბაშვილის აზრით, „ყველა აღწერილი მოვლენა საფუძველს გვაძლევს აღვნიშნოთ, რომ III-V სს სასანური ირანის ისტორია შეიძლება განვიხილოთ როგორც მონათმფლობელობიდან ფეოდალიზმში გარდამავალი პერიოდი".

§6. ირანი VI–VII საუკუნეებში

ქვეყნის შიგნით უმნიშვნელოვანეს გარდაქმნებთან ერთად ხოსრო I აგარებდა აქტიურ საგარეო პოლიტიკას. ტახტზე ასვლისთანავე იგი იძულებული გახდა დაეღო ბიზანტიასთან ზავი ე.წ. „საუკუნო ზავი" (532 წ.), რომლის თანახმადაც აღმოსავლეთი საქართველო ირანს ერგო, ხოლო სკანდა და შორაპანი ირანმა ბიზანტიას დაუბრუნა. მაგრამ ეს ზავი მალევე, 540 წ. დაირღვა და საომარი მოქმედება განახლდა. შაპინ-შაპის ჯარებმა გაიარეს სირია და გაძარცვეს ანტიოქია ორონტზე. ომი ცვალებადი წარ-

მატებით გაგრძელდა 545 წლამდე, ვიდრე მეომარ მხარეების შორის ზავი არ დაიდო. შემდეგ საომარი მოქმედება გადატანილ იქნა კავკასიაში და ლაზიკა წლების განმავლობაში ამ ორ დიდ სახელმწიფოს შორის ქიშპის ობიექტად იქცა. ირანს უნდოდა შავი ზღვის სანაპიროზე მკვიდრად ფეხის მოკიდება, რასაც არავითარ შემთხვევაში არ დაუშვებდა ბიზანტია. ლაზიკაში სწორად შეაფასეს შექმნილი ვითარება: ლაზიკის მეფე გუბაზმა ხოსროსთან გააგზავნა ელჩები, მფარველობა და ბიზანტიის მხრიდან ძალმოძრეობისაგან დაცვა სთხოვა. ამავე დროს, გუბაზი ირანს უსახავდა იმ სარგებლობას, რასაც იგი შავ ზღვაზე გასვლით ნახავდა.

562 წ. ხოსრო I ანუშირვანსა და იმპერატორ იუსტინიანე I შორის დადებული იქნა „საუკუნო ზავი", რომელმაც იმპერიას ძველი საზღვრები შეუნარჩუნა. ათი წლის შემდეგ ზავი კვლავ დაირღვა.

ირანსა და ბიზანტიას შორის ქიშპი ამიერკავკასიით და შავი ზღვის აუზით არ შემოიფარგლა. მათი ინტერესები ერთმანეთს შეეჯახა სამხრეთ არაბეთში, სადაც გადიოდა ძველი „გუნდრუკის გზა", რომელიც იემენს შუამდინარეთთან აკავშირებდა. ამ გზით მიქონდათ ბიზანტიაში ინდური ნელსაცხებლები, სპილოს ძვალი, საღებავები და ქსოვილები, იემენური სანდალოზის ხე, ოქროს ქვიშა და ზოდები, გაპყავდათ მონები. ამ სავაჭრო გზაზე გაბატონების საქმეში მოქიშპე ქვეყნებმა გამოიყენეს იემენის ქრისტიანია და იუდეველთა თემებს შორის მტრობა. პირველს ორიენტაცია აღებული ჰქონდა ბიზანტიაზე, მეორეს — ირანზე. 517 წ. ჰიმიარიტელების სამეფო ტახტზე ახლად ასულმა იუსუფ ზუნუვასმა (ჰიმიარიტელების სამხრეთ არაბული სამეფო თავის შემადგენლობაში აერთიანებდა იემენს და ხადრამაუტს) მიიღო იუდაიზმი და დაიწყო ბიზანტიისადმი მტრული პოლიტიკის გატარება. ბიზანტია ეთიოპიელთა ჯარის დახმარებით შეეცადა თავისი შერყეული მდგომარეობის განმტკიცებას. ეთიოპიელთა პირველი შეჭრა იემენში წარუმატებლად დამთავრდა, მაგრამ 525 წელს მათ შეძლეს სამხრეთ არაბეთში ფეხის მოკიდება, სადაც კვლავ ქრისტიანობამ მოიპოვა უპირატესობა.

ეთიოპიელთა ბატონობა იემენში 50 წელი გაგრძელდა. 577 წ. ჰიმიარიტელების დიდებულების ნაწილმა სეიფ იბნ ზუ იაზანის მეთაურობით და ხოსრო ანუშირვანის მიერ ზღვით გაგზავნილი ირანელთა ჯარის მხარდაჭერით, მოახდინა გადატრიალება და

ქვეყანა ეთიოპიელთა ბატონობისაგან გაათავისუფლა. ამ დროიდან იემენი ხარკს უხდიდა შაპინ-შაპს. იემენის საბოლოო შეერთება ირანთან 598-599 წლებში მოხდა. 628 წლამდე მის სათავეში შაპინ-შაპის დანიშნული მარზბანები იდგნენ. უმთავრესი ნაწილი სირიის საეკლესიო-საქარაგნო გზისა სპარსელთა ხელთ აღმოჩნდა.

563-567 წწ-ში ხოსრო I-მა მოახერხა ირანის ჩრდ. აღმოსავლეთ საზღვართან ეფტალიტების დამარცხება და აღრე დაკარგული სამფლობელოების დაბრუნება. ირანის ბრძოლა ეფტალიტებთან იმით იყო გააღვილებული, რომ ამ უკანასკნელებს აღმოსავლეთიდან თავს ესხმოდნენ შუაპიელი თურქული ტომები, რომლებიც VI ს-ის შუა ხანებში გაერთიანდნენ ხაყან სილჯიბუს (ისტემის) ხელმძღვანელობით. ეფტალიტების განადგურების შემდეგ თურქები უშუალოდ გაუმეზობლდნენ ირანს. ახალგამრდა თურქულმა სახელმწიფომ მაშინვე მიიპყრო ბიზანტიის ყურადღება; ბიზანტია ყოველნაირად ცდილობდა თურქებთან პირდაპირი კავშირის დამყარებას, რათა ირანის ყველდის ავლით გაეტანა ძვირფასი ჩინური აბრეშუმი.

აღმოსავლეთსა და დასავლეთის დამაკავშირებელ უმთავრეს სავაჭრო-საქარავნო გზებზე გაბატონებისაკენ მისწრაფებამ ირანი და ბიზანტია 571 წელს ახალ ომამდე მიიყვანა, ბიზანტია ირანს ბრალს დებდა იმაში, რომ თითქოს ეს უკანასკნელი ჰიმიარიტებს აქეზებდა ეთიოპიისაგან ჩამოსაცილებლად; ამასთანავე, თითქოს ირანი ხელს უშლიდან კონსტანტინოპოლსა და თურქებს შორის პირდაპირ დიპლომატიურ კავშირს. თავის მხრივ, ირანი ბიზნატიას ბრალს დებდა „პერსარმენიის“ უკანონო ხელყოფაში, აგრეთვე იმ ვალდებულებების დარღვევაში, რომლებიც დაკავშირებული იყო ბიზანტიის მხრივ კავკასიის ციხეების დასაცავი ყოველწლიური დოტაციის გაღებასთან. საომარი მოქმედების ასპრეზად კელავ ამიერკავკასია იქცა. ბრძოლა, რომელიც ხოსრო I-ის დროს დაიწყო, დასრულდა მისი შვილიშვილის ხოსრო II-ის დროს.

579 წ., ხოსრო I-ის სიკვდილის შემდეგ ტახტზე ავიდა მისი ვაჟი ჰორმიზდ IV 8579-590 წწ). ჰორმიზდ IV-ის მეფობა აღსანიშნავია ბიზანტიასთან გაუთავებელი ომით, სამხედრო ექსპედიციებით ხაზარებისა და იურქების წინააღმდეგ, დიდებულებთან შეურიგებელი ბრძოლით, ზოროასტრული რელიგიის ქურუმებთან დაპირისპირებით. ამავე დროს, იგი შეღავათებს აძლევდა ქალაქების ქრისტიანულ მოსახლეობას. VI ს-ში ნესტორიანთა ეკლესია

ირანში მაზდეანობის საშიში მეტოქე აღმოჩნდა. ირანის ქალაქების მოსახლეობის დიდი ნაწილი, უმთავრესად ეაჭარ-ხელოსნები, ქრისტიანული იყო. შაპინშაპი ჰორმიზდ IV ანგარიშს უწევდა ქალაქების ქრისტიანი მოსახლეობის ეკონომიკურ მდგომარეობას, მის როლს მსოფლიო ვაჭრობაში და ამიტომაც გარკვეულ პრივილეგიებს ანიჭებდა მას. ჰორმიზდ IV მიეწერება თქმა, რომ როგორც მისი სამეფო ტასტი ვერ გაჩერდება მხოლოდ ორ წინა უესზე, ასევე მისი სამეფო ვერ იარსებებს მხოლოდ და მხოლოდ ზოროასტრულ სარწმუნოებაზე დაყრდნობით. იგი სხვა რელიგიებსაც უნდა დაეყრდნოს.

პირდაპირ ცნობები იმის შესახებ, რომ ჰორმიზდ IV შეამსუბუქა დამოკიდებულ მიწისმოქმედთა მდგომარეობა, არ მოგვეპოვება. ჰორმიზდ IV, ისევე, როგორც მამამისი, ეყრდნობოდა საშუალო და წვრილ მიწისმფლობელებს. მაგრამ ის წვრილი მიწისმფლობლები, რომლებსაც ხოსრო I-მა მისცა მნიშვნელოვანი თანამდებობები, უკვე მის სიცოცხლეშივე გადაიქცნენ მსხვილ მიწათმფლობელებად. მათ სამემკვიდრეოდ აქციეს შემოსავლიანი თანამდებობები და შექმნეს ფეოდალთა კლასი, რომელიც ცენტრალურ ხელისუფლებას აღარ ემორჩილებოდა და ცენტრიდანულ მისწრაფებებს ამყღავნებდა. ფაქტობრივად მარზბანები (ოლქების მბრძანებლები) და ფადგოსპანები (ირანის პროვინციების მეოთსედის მმართველები) თავიანთ საგამგებლოებში სრულუფლებიანი ბატონ-პატრონები გახდნენ; და თუ ხოსრო I-ის დროს ფეოდალებისა და ოლქების მბრძანებლების ცენტრალური ხელისუფლებისადმი დაუმორჩილებლობის ცალკეული შემთხვევები იყო, ჰორმიზდ IV-ის დროს ისინი ჩვეულებრივი გახდა. ჰორმიზდიც შეძლებისადაგვარად სასტიკად უსწორდებოდა ამბოხებულ დიდებულებს: ქრონიკების ცნობით, მის მიერ სიკვდილით დასჯილ დიდებულთა რიცხვი ცამეტ ათასს აღწევდა.

ჰორმიზდ IV-ის დროს გამწვავდა ირანის საგარეო მდგომარეობა, რასაც გადაეჯაჭვა შინაური ეკონომიკური კრიზისი. ბიზანტიასთან ომი სულ ახალ-ახალ ხარჯებს მოითხოვდა. სასანიანთა ირანს განსაკუთრებული საფრთხე დაემუქრა მას შემდეგ, რაც ჩრდილოეთ კავკასიიდან შემოუტიეს ხაზარებმა, აღმოსავლეთიდან, ამუ-დარიას მხრიდან — თურქებმა და მათზე დამოკიდებულმა ეფტალიტებმა, სამხრეთიდან, სირიის უდაბნოს მხრიდან — არაბებმა.

ირანმა მოახერხა შექმნილი მძიმე მდგომარეობიდან გამოსვლა: არაბები გამოსასყიდით მოიცილეს, ხაზარები უკუაქციეს, ხოლო განსაკუთრებით საშიში მტრები – თურქები 589 წ. სასტიკად დაამარცხეს. მხედართმთავარმა ბაპრამ ჩუბინმა პირწმინდად გაძარცვა საყანის ურდო და აუარებელი ოქრო-ვერცხლი იგდო ხელთ, რისი მსოლოდ მცირე ნაწილი გააგზავნა ქტეზიფონში. ჰორმიზდმა გამოსცა ბრძანება მთავარსარდლობიდან ბაპრამის გადაყენების შესახებ. ამის საპასუხოდ ბაპრამმა აჯანყება მოაწყო და ქტეზიფონისაკენ დაძრა ჯარები. აჯანყების ჩასაქრობად გაგზავნილი მთავრობის ჯარები მას შეუერთდნენ.

ჰორმიზდის წინააღმდეგ დედაქალაქში მოეწყო შეთქმულება, რომელსაც ხელმძღვანელობდნენ შაპინ-შაპის ცოლის ძმები ბინდოი და ბისტამი. ამბოხებულებმა ჰორმიზდი ტახტიდან ჩამოაგდეს და დააბრმავეს. მის ნაცვლად ტახტზე აიყვანეს მისი ვაჟი ხოსრო II ფარვიზი. ხოსრო II ფარვიზი (590-628 წწ) ჯერ კიდევ ახალგაზრდა კაცი იყო და მორჩილად ასრულებდა თავისი გავლენიანი ბიძების – ბინდოისა და ბისტამის ნება-სურვილს. ხოსრომ გაილაშქრა ბაპრამ ჩუბინის წინააღმდეგ, მაგრამ დამარცხდა და იძულებული გახდა გაქცეულიყო ბიზანტიაში. მისი ფარული თანხმობით ბინდოიმ და ბისტამმა ჰორმიზდ IV მოკლეს.

ამასობაში, ბაპრამ ჩუბინი ქტეზიფონში შეეიდა და ტახტი ხელთ იგდო. იგი ერთი წლის განმალვობაში მართავდა ქვეყანას. ბიზანტიის კეისარი მავრიკე ხოსრო II ფარვიზს ჯარით დაეხმარა, სამაგიეროდ მან ბიზანტიას დაუთმო ქართლის ნაწილი თბილისამდე, სომხეთის ნაწილი ვანის ტბამდე და ქალაქ დარამდე და მაიფერკატამდე მესოპოტამიაში.

ირანელთა და ბიზანტიელთა გაერთიანებულმა ჯარმა ბაპრამ ჩუბინი დაამარცხა. ტახტი კვლავ ხოსრო II-მ დაიკავა, რომელმაც ზავი დადო ბიზანტიასთან. ბაპრამ ჩუბინი გაიქცა თურქთა ხაყანთან, სადაც სასანიანთა დიპლომატიის ინტრიგების წყალობით იგი მოკლეს.

ბიზანტიასთან მშვიდობიანი ურთიერთობის პერიოდი (591-604 წწ) ირანში დაძაბული შინაური ბრძოლით ხასიათდება. ბიძების – ბინდოისა და ბისტამის მეურვეობა უმძიმდა ხოსრო II-ს. მან ისინი თავიდან მოიცილა: ბინდოი, რომელიც შაპინ-შაპის კარზე მსახურობდა, სიკვდილით დასაჯეს, ხოლო ბისტამი – ხორასანის გამგებელი, აჯანყდა, ეს აჯანყება 595 წელს ჩაახშეს.

აჯანყებებს აღგილი ჰქონდა გურგანსა, ტაბარისტანსა და ნიზიბინში.

ბიზანტიასთან ღადებულმა საზავო ხელშეკრულებამ განაპირობა შაპინშაპის პოლიტიკა ირანელი ქრისტიანების მიმართ. ირანელ ქრისტიანებს უფლება მისცეს ეკლესიებისა და მონასტრების აშენება-განახლებისა, თავიანთი რელიგიური წეს-ჩვეულებების შესრულების და დღესასწაულების ჩატარებისა. ხელმწიფის კარზე ტრაპეზის კურთხევა ქრისტიანთა პატრიარქის უფლება იყო. ქრისტიანები დაუშვეს ხელმწიფის კარზე, სადაც ისინი ექიმებად და თარჯიმნებად მსახურობდნენ. კიდევ მეტი: ერთსანს ვასტრიოშანსალარის თანამდებობა ქრისტიან იეზდინს ჰქონდა. ხოსრო II-ის ზეობის ხანა აღსანიშნავია ოფიციალური წრეების დიდი სარწმუნოებრივი შემწყნარებლობით, თუმცა აშკარაა, რომ მაზდეანური სარწმუნოების ქურუმები რეაქციული ძალების დამრაზმელთა როლში გამოდიან. მაგრამ მათ მხოლოდ ის შეძლეს, რომ გამოცემული კანონით აიკრძალა ცეცხლთაყვანისმცემელთა გადასელა ქრისტიანულ სარწმუნოებაში. თავისთავად ასეთი კანონის გამოცემა აღასტურებდა ქრისტიანობის გავლენის ზრდას და მაზდეანობის გავლენის შესუსტებას.

602 წ. ხოსრო II-მ გააუქმა ხირის ვასალური არაბული სამეფოს თვითმმართველობა და სიკვდილით დასჯილი მეფე ნუმანის ნაცვლად თავის მოადგილედ დანიშნა ერთ-ერთი არაბი, რომელიც მანამდე შაპინშაპის მცველთა რაზმში მსახურობდა. ირანის საზღვარი გაშიშვლდა. ასე რომ, 604-605 წლებში ბუ-კართან ბრძოლაში შაპინშაპის ჯარზე არაბი ბედუინების გამარჯვებას ამ გარემოებამაც შეუწყო ხელი.

საქმე ისაა, რომ ჯერ კიდევ ჩვ.წ. აღრიცხვამდე არაბთა მნიშვნელოვანი ჯგუფები განსახლდნენ არაბეთის ნახევარკუნძულიდან პალესტინაში, სირიასა და მესოპოტამიაში. თანამედროვე იორდანიის ტერიტორიაზე V-VI სს მიჯნაზე წარმოიშვა არაბული სამეფო პასანიანთა დინასტიით სათავეში (იემენიტური აზდის ტომიდან). პასანიანები ბიზანტიისადმი ვასალურ დამოკიდებულებაში იყვნენ. პასანიანთა არაბული სამეფო (ისინი აღიარებდნენ მონოფიზიტური აღმსარებლობის ქრისტიანობას) ბიზანტიისათვის საფარს წარმოადგენდა ერთი მხრივ სასანიანთა ირანის, სოლო მეორე მხრივ არაბ-ბედუინთა თავდასხმის შემთხვევაში.

სირიის უღაბნოსა და მესოპოტამიის საზღვარზე IV საუკუნისათვის ჩამოყალიბდა მეორე არაბული სამეფო ლაპმიდების დინასტიით სათაურში (აკრეთვე იემენიტური წარმოშობისა). ამ სამეფოს ცენტრი იყო ქ. ხირა. ეს სამეფო ირანზე იყო დამოკიდებული და იცავდა ირანის სამღვრებს ბიზანტიისა და შიდა არაბეთის ბედუინების თავდასხმისაგან. ლაპმიდების სამეფოს გაქრისტიანება მოხდა უკვე VI ს-ის მეორე ნახევარში.

604 წ. დაიწყო ირან-ბიზანტიის ომთაგან ყველაზე გრანდიოზული ომი. ხოსრო II-მ მოიმიზეზა მაურიკე კეისრის მკვლელობა და თითქოს შურისმაძიებლის როლში გამოვიდა (604 წ. ბიზანტიელებმა მოკლეს მაურიკე კეისარი და ტახტზე აიყვანეს ცენტურიონი ფოკა). 604 წ. მან ილაშქრა მესოპოტამიაში და აიღო ქ. დარა. შემდეგ, სპარსელებმა დაიპყრეს ქ. ამიდი, მაიფერკატი, ედესა და სხვა დიდი ქალაქები. 607 წლისათვის ირანელებმა მთელი მესოპოტამია დაიპყრეს. სპარსელები გადავიდნენ ევფრატზე და დაიძრნენ სირიისაკენ. 611 წ. მათ აიღეს ანტიოქია. 610-611 წლებს ეკუთვნის მიხეილ სირიელის შემდეგი ცნობა: „სპარსელებმა დაიპყრეს მთელი სირია, ფინიკია, არმენია, კაპადოკია და პალესტინა. მათ აიღეს გალათია და პაფლაგონია და მივიდნენ ქალკედონამდე". 613 წ. სპარსელებმა აიღეს დამასკო, 614 წ. იერუსალიმი. მც. აზიაში ისინი ორჯერ მივიდნენ ქალკედონამდე (ბოსფორის აღმ. სანაპიროზე). ასირია-ფინიკიის საზღვარზე ფეხის მოკიდების შემდეგ, ხოსრომ დაგეგმა ბიზანტიის „პურის ბეღლის", უმდიდრესი პროვინციის — ეგვიპტის დაპყრობა. ალექსანდრია მოტუებით აიღეს. ეგვიპტე 10 წლის განმავლობაში იყო ირანის ხელთ. სპარსელები სამჯერ მიუახლოვდნენ კონსტანტინეპოლს.

აღსანიშნავია, რომ შეიცვალა ომის ხასიათიც: თუ ადრე მოწინააღმდეგის ტერიტორიაზე შეჭრისას ირანელები ალაფსა და ნადავლს სჯერდებოდნენ, ახლა ისინი იპყრობენ ტერიტორიებს და თანდათანობით უერთებენ მათ ირანს. დაპყრობილ ტერიტორიებზე მცხოვრებ მონოფიზიტებს ხოსრო II მფარველობდა. ომის II ეტაპზე ბიზანტიამ მოახერხა დაკარგული ტერიტორიების დაბრუნება (622-628 წწ).

ბიზანტიაში კვლავ სასახლის გადატრიალება მოხდა. შეთქმულებმა ტახტიდან ჩამოაგდეს ფოკა და ტაახელმწიფეს პერაკლე. იმპერატორმა ჰერაკლემ ირანზე კოალიციური ლაშქრობა ვადაწყვიტა, რისთვისაც იგი ხანგრძლივად ემზადებოდა: 622 წ. იგი შეუთანხმდა

თურქების სახელმწიფოს და მის ქვეშევრდომ ხაზართა საკანს ჩრდ. კავკასიაში და საომარი ოპერაციები გადაიტანა ამიერკავკასიაში, საიდანაც იგი უტევდა ირანს. 627 წ. ხაზარები და ბიზანტიელები მოადგნენ თბილისის ციხეს, მაგრამ ამჯერად იგი ვერ აიღეს. 628 წ. თბილისი აიღეს და სასტიკად გაძარცვეს ხაზარებმა.

628 წლის დასაწყისში ჰერაკლემ გაიარა არმენია და ჩრდილოეთიდან მიუახლოვდა ქტეზიფონს. ირანის სამხედრო დიდებულთა ნაწილმა, რომლებსაც მხარს უჭერდნენ ნესტორიანი ვაჭრები (ეს უკანასკნელნი უკმაყოფილონი იყვნენ ხოსრო II-ის დაახლოებითი მონოფიზიტებიას), მოაწყო შეთქმულება, რის შედეგადაც ხოსრო II ტახტიდან ჩამოაგდეს და მერე მოკლეს. შაჰინშაჰად გამოაცხადეს მისი უკანა კავად შიროი. მან ბიზანტიასთან დადო საზავო ხელშეკრულება, რომლის ძალითაც ირანის ჯარებმა გაათავისუფლეს მათ მიერ დაკავებული ტერიტორია.

კავად შიროიმ სიკვდილით დასაჯა სასანიანთა დინასტიის რამდენიმე ათეული წევრი (მოქიმპეები მოიცილა თავიადნ), მაგრამ ექვსი თვის შემდეგ ისიც ჩამოაგდეს ტახტიდან. დაიწყო შაჰინშაჰების ხშირი ცვლა: 628-632 წლებში ირანელი წარჩინებულები თავიანთი ნება-სურვილის მიხედვით ზედიზედ ცვლიდნენ ხელმწიფეებს. ტახტზე ზოგჯერ ქალებიც სხედან. ირანის ცალკეულმა ოლქებმა დაკარგეს კავშირი ცენტრთან. ირანში შედარებით სტაბილური მდგომარეობა შეიქმნა იეზდიგერდ III-ის ტახტზე ასვლასთან დაკავშირებით. 632 წ. ხორასნის მმართველმა როსტომმა იგი ტახტზე დასვა, მის დროს იყო ირანის გაერთიანების უკანასკნელი ცდები. მაგრამ დასუსტებულ ირანს უკვე აღარ შეეძლო გამკლავებოდა ახალი მტრის — არაბების თავდასხმას.

§7. სასანიანთა ირანის სახელმწიფოს მეართვველობა VI საუკუნის II ნახევარსა და VII საუკუნის დასაწყისში

ხოსრო I-ის რეფორმების შედეგად ირანმა მემკვიდრეობად რთული ბიუროკრატიული აპარატი მიიღო, რომელიც განეითარდა და სრულყოფილ იქნა ხოსრო II ფარვიზის დროს. დაპყრობილი

ქვეყნებიდან გატანილმა სიმდიდრემ შეავსო საგინა; ამავე დროს, მისი საშუალებით შესაძლებელი გახდა მოხელეთა უგარმაგარი შტატის შენახვა. სხვადასხვა სახის დოკუმენტის დასამტკიცებლად სხვადასხვა ბეჭედი იყო. მეფეთა-მეფეს პქონდა საიდუმლო საქმეების, წერილებისა და კორესპონდენციებისათვის სხვადასხვა ბეჭედი. განსაკუთრებული ბეჭედი იყო წყალობის დასამტკიცებლად (კერძოდ, მიწის წყალობის დასამტკიცებლად); საფინანსო უწყებას პქონდა თავისი განსაკუთრებული „ხარაგის" ბეჭედი. სპეციალური ბეჭდებით იბეჭდებოდა არქივები, საგინა და შაპინ-შაპის გარდერობი, მეფის საჭმელი და წამლები, აბანო. განსაკუთრებული ბეჭედი პქონდა კისერზე შებმული სიკვდილმისჯილ დამნაშავეს.

მაგრამ, დანაწყერებული ბიუროკრატიული აპარატი და სასასლის კარის ბრწყინვალე ცხოვრება არ ასახავდა სასელმწიფოს ეკონომიკურ მდგომარეობას. ირან-ბიზანტიის ომში ირანის საგიანოდ გარდატეხის შემდეგ შეწყდა ალაფისა და ნადავლის შემოტანა, რასაც თან მოპყვა გადასახადების გაზრდა, ხოსრო II-ის მთავრობამ ბრძანება გასცა 20-30 წლის აუღებელი გადასახადების აკრეფის შესახებ. აუტანელი გადასახადების გამო გლეხები ხშირად გარბოდნენ ქვეყნიდან. მრავალი ათასი დეპყანი და გლეხი გაჩანაგდა იმ დროს. როდესაც საომარი მოქმედება ირანის ტერიტორიაზე მიმდინარეობდა, ირანის ჩრდილო-აღმოსავლეთის საზღვრებს თავს ესხმოდნენ თურქები. საერთო გაჭირვებას აღრმავებდა ხშირი სტიქიური უბედურება. ხოსრო II-ის მეფობის უკანასკნელ წელს ტიგროსი და ევფრატი ადიდდნენ და დატბორეს საყოფიერი მიწების დიდი მასივები, გაანადგურეს ნათესები.

ხოსრო II-მ თავის მემკვიდრეებს დაუტოვა წაგებული ომი და მოშლილი მეურნეობა.

§8. ქალაქები, საქალაქო ცხოვრება

სასანიანთა ირანში ძალზე განვითარებული იყო საქალაქო ცხოვრება. შაპინ-შაპები აარსებდნენ ახალ ქალაქებს: არდაშირ I-ს მიეწერება რვა ქალაქის დაარსება (ვეპ არდაშირი ქერმანის და ქტეზიფონის მახლობლად, რეე არდაშირი, ბით არდაშირი და სხვ.); შაბურ I-ის მიერ დაარსებულია გუნდეშაბური ხუზისტანში, ვეპ-შაბური ფარსში, ნეე-შაბური და სხვ. პეროზის მიერ დაარსებულია

რამ პეროზი, რომან-პეროზი, ბაპრამ-პეროზი, ფირუზ-აბაღი; კაეად I-ის მიერ — ეეპ-კაეადი, კავად-ხურაპი, კობადიანი და სხვ.

ასალი ქალაქების დაარსება ანდა ძველი ქალაქების ასლად აშენება უშუალოდ იყო დაკავშირებული სასანიანთა ცენტრალისტურ პოლიტიკასთან.

ქალაქები აქტიურად მონაწილეობდნენ გაცხოველებულ საერთაშორისო ვაჭრობაში ჩინეთთან, ჩრდ. ინდოეთთან, რომთან (ბიზანტიასთან), ამიერკავკასიის ქვეყნებთან და სხვ. როგორც ცნობილია, ე.წ. „აბრეშუმის გზის" დიდი მონაკვეთი ირანის ტერიტორიაზე გადიოდა. საკაჭრო ქარავნები დაბეგრილი იყო საბაჟო გადასახადით, რაც ირანის საგინის შემოსავლის ერთ-ერთ წყაროს წარმოადგენდა. ირანი ოცნებობდა არაბეთის ნახევარკუნძულის დაპყრობაზე და მასზე გამაეალი ცნობილი „გუნდრუკის გზის" ხელში ჩაგდებაზე.

ქალაქების ზრდის პირდაპირი შედეგი იყო შრომის დანაწილება და საქალაქო ხელოსნობის სოფლის მეურნეობიდან გამოყოფა. ხელოსნობის განეითარება მთავარი პირობა იყო საქალაქო ცხოვრების გართულებისა, ვაჭრობა აღებ-მიცემობის განეითარებისა.

სასანიანთა ირანის ქალაქები ვაჭრობისა და ხელოსნური წარმოების ცენტრებს წარმოადგენდნენ. ჩვენამდე მოღწეულია ცნობები ქალაქებში ვაჭრულ-ხელოსნური კორპორაციების არსებობის შესახებ. ვაჭარ-ხელოსანთა ამხანაგობას „ჰამბაიჰ" ეწოდებოდა (ქართული „ამხანაგი" ნაწარმოებია სპარსული „ჰამხანაგიდან", რაც ერთად მოქმედებას ნიშნავს). ქალაქის გული ბაზარი იყო, რასაც უკავშირდებოდა ქუჩები. თითოეული ქუჩა სხვადასხვა დარგის ხელოსნებითა და ვაჭრებით იყო დასახლებული.

ირანის ქალაქების ვაჭრებისა და ხელოსნების უმეტესობა ქრისტიანები, ძირითადად ნესტორიანები, იყვნენ, რაც გამოწვეული იყო შემდეგი გარემოებით: სანამ რომში ქრისტიანებს დევნიდნენ, ირანის მთავრობა ხელს არ უშლიდა ირანში ქრისტიანული მოსახლეობის ზრდას. შემდეგ, როდესაც რომში ქრისტიანობა ოფიციალურ რელიგიად გამოცხადდა, სასანიანმა შაპინ-შაპებმა ირანელ ქრისტიანებში დაინახეს რომის პოტენციური მოკავშირეები და დაიწყეს მათი დევნა. მაგრამ V ს-ში ქრისტიანობის წიაღში თავი იჩინა სხვადასხვა რელიგიურმა მიმდინარეობამ, რომლებიც ოფიციალური რელიგიის მიერ მწვალებლობად გამოცხადდა. რომში (ბიზანტიაში) დაიწყო იაკობიტების, ნესტორიანების და არიანების დევნა, რო-

მელთაც თავი შეაფარეს ირანს. ირანის მთავრობამ ახლა ბიზანტიიდან ლტოლვილ ქრისტიანებში თავისი მოკავშირეები დაინახა და ბიზანტიას დაუპირისპირა ქრისტიანული ერესები, განსაკუთრებით კი ნესტორიანობა. ნესტორიანთა ეპისკოპოსები ისხდნენ რეიში, ამოლში, გურგანში, აბიეერდში, პერათში, მერვში, საგისტანში.

V-VI სს-ში, ირანში შაპინ-შაპის ნებართვით ხშირად ეწყობოდა ნესტორიანთა საეკლესიო კრებები. ამ კრებების დადგენილებები შედგენილია სირიულ ენაზე. მათ ხელს აწერენ არა მარტო სასულიერო პირები — კათოლიკოსები, ეპისკოპოსები, არქიდიაკონები — არამედ საერო პირებიც. საერო პირთა შორის არიან ხელოსანთა და ვაჭართა კორპორაციების ხელმძღვანელებიც (მაგ., „ხელოსნების უფროსი“ ეარდიაბი ხელს აწერს 544 წ. ნესტორიანელი პატრიარქის მარაბა I ღროს მოწვეული საეკლესიო კრების ძეგლისწერაში). სხვადასხვა ღარგის ხელოსნური კორპორაციების ხელმძღვანელებს სირიულად ეწოდებოდა „კაშა“ (მამასახლისი, უხუცესი), ან „რიშა“ (მოთავე). ამ პირთა ხელმოწერა საეკლესიო ძეგლისწერებზე იმაზე მიუთითებს, რომ კორპორაციათა წარმომადგენლები იყვნენ გამოჩენილი, მდიდარი და ქალაქში (ისევე, როგორც სახელმწიფოში) გავლენიანი ხალხი. როგორც ჩანს, ირანის ხელისუფლება ახლა ანგარიშს უწევს ქალაქების ვაჭარ-ხელოსანთა ეკონომიკურ პოზიციებს და ცდილობს მათ გამოყენებას სახელმწიფოს ინტერესებისათვის. „დიდვაჭარი და გამდიდრებული მევახშე ახლა თვალსაჩინო ფიგურაა ირანის ეკონომიკურ და პოლიტიკურ ცხოვრებაში. თვითონ ქრისტიანული ეკლესია სულ უფრო და უფრო ძლიერდება და მდიდრდება. ქონების, მონების და მიწების შეწირულების ნიადაგზე გაჩნდნენ მიწის მსხვილი მესაკუთრენი, მომავალი სასულიერო ფეოდალები. ეს იყო ფეოდალიზაციის პროცესის ერთი მნიშვნელოვანი მოვლენათაგანი სასანური ირანის სინამდვილეში. ქრისტიანობა, როგორც იდეოლოგია, მკვეთრად დაუპირისპირდა სასანური ირანის ოფიციალურ რელიგიას — მამდეანობას“ (ვ. გაბაშვილი).

§9. სასანიანთა ირანის კულტურა

სასანიანთა ირანში კულტურა ძალიან მაღალ დონეზე იდგა. საშუალო სპარსულ ენაზე შეიქმნა მდიდარი ლიტერატურა, რომლის მცირე ნაწილმა მოაღწია ჩვენამდე ორიგინალის სახით;

ზოგიერთი მათგანი ჩვენთვის ცნობილია გეიანი ხანის არაბული და სპარსული (ასალსპარსული) ვერსიებით. სასანიანთა სანის ლიტერატურული ძეგლებიდან უნდა დავასახელოთ ისეთი ნაწარმოებები, როგორიცაა „არტაკ-ვირაზ-ნამაქ“ – თავისებური ზოროასტრული „ღვთაებრივი კომედია“, „იადგარე-ზარირან“ – ზარირზე პართელთა დროინდელი ლეგენდის გადამუშავებული ვარიანტი (ზარირმა თავი შესწირა სამშობლოს), ისტორიული რომანი „არდაშირ პაპაკის ძის საქმეთა წიგნი“ („ქარნამე – ი არდაშირ პაპაკან). ამ ოსზულებას დიდი მნიშვნელობა აქვს სასანელთა ირანის სოციალური სტრუქტურის გასარკვევად. მასში მოხსენებულნი არიან შაპინ-შაპთან დაახლოებული პირები შემდეგი თანამიმდევრობით: მობედან მობედი, ერანისპაპბედი, დაბირების (მწერლების) უფროსი და სხვ. რომანები „ვამიყ და აზრა“, „ვეის ო რამინ“ პირვანდელი სახით არ შემონახულან, მაგრამ ეს სიუჟეტები უფრო გვიან სპარსელმა პოეტებმა გადაამუშავეს ახალსპარსულ ენაზე. ასევე, ჩვენამდე არ მოუღწევია საისტორიო რომანებს მაზდაქზე („მაზდაქ-ნამე“) და ბაპრამ ჩუბინზე, მაგრამ ცნობილია ფრაგმენტები ამ რომანებიდან.

სასანიანთა ირანში ძალზე გავრცელებული იყო ე.წ. „რჩევის წიგნები“ („ფანდნამე“) ან „დარიგების წიგნები“ („ანდარზ-ნამე“) – „ჭკუის სასწავლებელი“ მოთხრობების კრებულები, სადაც მოცემულია ქცევის წესები, ეთიკის ნორმები, მმართველობისათვის საჭალდებულო ცხოვრების ნორმები და სხვ.

თავდაპირველი სახით ჩვენამდე არ მოსულა, მაგრამ ვიცით, რომ სასანიანთა ირანში ყოფილა ტრაქტატები ნადირობის, ცხენების მოვლის, ჭადრაკის თამაშის, სამხედრო საქმის („აიინ-ნამაქ“ – „წესდების წიგნი“ – ჩვენთვის ცნობილია IX საუკუნის თარგმანით) შესახებ და სხვ.

სასანიანთა ირანის ძალზე მნიშვნელოვანი იურიდიული ძეგლია „მატიკან-ე ჰაზარ დადასტან“ („ათასი სასამართლო გადაწყვეტილების კრებული“).

სასანიანთა კარზე განვითარებული ყოფილა სახოტბო პოეზია. მესოტბე მომღერლები აქებ-ადიდებდნენ სასანიანი შაპინ-შაჰების ნამოქმედარს.

სასანიანთა ირანის ისტორიისა და კულტურის შესახებ ბევრი მასალა არის პართულსა და საშუალო სპარსულ (ფალაურ) ენებზე

შესრულებულ წარწერებში (ეს უკანასკნელი იყო სახელმწიფო ენა სასანიანთა დროს). მაგალითისათვის შეგვიძლია დავასახელოთ არდაშირ I, შაბურ I, შაბურ II და სხვათა წარწერები, აგრეთვე ქონეტები მეფეთა სახელებითა და მმართველობის წლებით.

III-VII სს ირანში ძალიან გაძლიერდა ინტერესი წარსულისადმი: წინა პლანზე წამოიწია ძველმა ირანულმა ტრადიციებმა და ლეგენდებმა.

სასანიანი შაპინ-შაჰები უშუალოდ, ფიზიკურად მონაწილეობდნენ უამრავი მტრის წინააღმდეგ ბრძოლებში, ამიტომაც მათი სწავლა-აღზრდის დროს დიდი როლი ენიჭებოდა ფიზიკურსა და სამხედრო წრთობას. ცნობილია, რომ ხოსრო I ანუშირვანი ყოველთვის მონაწილეობდა ჯარის დათვალიერებაში და დაუყოვნებლივ ცხალდებოდა მხედართმთავრის დაძახილზე (ტაბარის ცნობა).

სასანიანთა ირანში შემუშავებული ყოფილა ბავშვის აღზრდის წესი: შაპინ-შაპი ან რომელიმე დიდებული თავის ვაჟს აღსაზრდელად მიაბარებდა სოციალურად უფრო დაბლა მდგომი პირის ოჯახში. „აღმზრდელსა და აღსაზრდელს შორის მყარდებოდა მეტად მჭიდრო ურთიერთკავშირი, სისხლით ნათესაობაზე უფრო ძლიერი. აღმზრდელი აღზრდილს ყოველგვარ სიტუაციაში იცავდა განსაცდელისა და ხიფათისაგან. თავის მხრივ, როცა აღზრდილი მიაღწევდა მაღალ თანამდებობას, არ იშორებდა გამზრდელს, იგი რჩებოდა მის კარზე, ვითარცა ინტიმური მეგობარი და ძრჩეველი და იღებდა მაღალ თანამდებობებს“ (თ. ჩხეიძე).

სასანიანთა ირანში საისტორიო თხზულება VIII ს-ის დასაწყისამდე არ ყოფილა. შაპინ-შაპის კარზე რეგულარულად აღნუსხავდნენ მნიშვნელოვან მოვლენებს. ამის თაობაზე გვამცნობს ბიზანტიელი ისტორიკოსი აგათია სქოლასტიკოსი (VI ს.). იგი ამ ჩანაწერებს „მეფეთა პერგამენტებს“ უწოდებს. მეფეთა არქიეის ამ ჩანაწერებს ჩვენამდე არ მოუღწევია, მაგრამ ისინი გამოუყენებია VII ს-ის პირველ ნახევარში ეიღაც დეკყან დანეშვარს, რომელმაც შეადგინა ნაშრომი ირანის ისტორიის შესახებ. ეს ნაშრომი იწყებოდა ირანის მითიური მეფეების და ძველი ირანელი გმირების შესახებ თხრობით და მთავრდებოდა სასანიანი ხელმწიფე ხოსრო II-თი. ნაშრომს ეწოდებოდა „სვადაჲ ნამაქი“, ხოდაინამე – ახალსპარსულ ენაზე, „მეფეთა წიგნი“).

ზემოხსენებულ თხზულებაში სასანიანი ხელმწიფეები ძალზე იდეალიზირებულნი არიან (განსაკუთრებით, ხოსრო I ანუშირვანი, რომელიც გამოყვანილია როგორც იდეალი მამაცი, ბრძენი და სამართლიანი მმართველისა). „ხვადაჲ ნამაქის“ ფალაური ტექსტი ჩვენთვის უცნობია. ჩვენამდე არ მოულწეია აგრეთვე მემოხსენებული თხზულების VIII-IX სს. არაბულ თარგმანებს (იბნ ალ-მუკაფეა და სხვათა თარგმანები). ამ თხზულების შინაარსი ჩვენთვის ცნობილია მხოლოდ IX-X სს არაბული და ახალსპარსული გადამუშაებული ვარიანტების საშუალებით (ტაბარი, ბალაში...).

სასანიანთა ირანში განვითარების მაღალ დონეს მიაღწია არქიტექტურამ. ამენდა მონუმენტური ნაგებობები (საერო, სამხედრო, სასულიერო...). მაგალითისათვის შეგვიძლია დავასახელოთ მეფის სასახლე ქტეზიფონში, სასახლე სარვისტანში, ციხე კასრ-ე შირინ და სხვ. სასანიანთა არქიტექტურამ გაელენა მოახდინა ბიზანტიური სტილის ჩასახვაზე VI ს-ში.

მაღალი ხელოვნებით გამოირჩეა კედლებზე და კლდეზე შესრულებული ბარელიეფი და გორელიეფები ნაყშ-ე რუსტამში და ნაყშ-ე რაჯაბში (მაგ., შაბურ I-ის ტრიუმფი დატყვევებულ იმპერატორ ვალერიანეზე — ნაყშ-ე რუსტამი, ინვესტიტურის სცენა — არდაშირ I იღებს გვირგვინს ღმერთ აჰურამაზდასაგან — ნაყშ-ე რუსტამი, შაბურ I და მისი კარისკაცები — ნაყშ-ე რუსტამი და სხვ.).

უმაღლეს დონეს მიაღწია ვერცხლის ჭურჭლის და სხვადასხვა საგნების დამზადების ხელოვნებამ (თასები, ლანგრები, შანდლები, ლარნაკები და სხვა). სასანური ვერცხლის ჭურჭლის მდიდარი კოლექცია დაცულია ერმიტაჟში. ცნობილი მეცნიერების (ი.ა. ორბელი, კ.ვ. ტრევერი, ა.ი. ბორისოვი...) ნაშრომებში სასანური ირანის ხელოვნება განხილულია არა როგორც მხოლოდ და მხოლოდ ირანის სამეფო კარის ხელოვნება, არამედ უმთავრესად როგორც ასასვა ირანისა და მეზობელი ქვეყნების ფეოდალური იდეოლოგიისა. აკად. ი.ა. ორბელმა პირველმა დააყენა ე.წ. იფიციალური სასანური ხელოვნების პრობლემა, რომლის ძირითადი მიზანიც იყო მთელი ხალხისა და მთელი მსოფლიოს წინაშე დინასტიის განდიდება. სამეფო კარისა და დიდებულების სასახლეების ბრწყინვალება ზღაპრული იყო. სასანიანთა ირანის საკვირველებათა შორის ასახელებენ სამეფო ტახტს და შაპინშაპთა გვირგვინებს, რომელნიც მნახველს ატყვევებდნენ თავისი სიმდიდრით და

მაღალმსატერული შესრულებით. ხოსრო ფარეიზის უზარმაზარ სიმდიდრეთა შორის გამოირჩეოდა ხალიჩა, რომელზეც ასახული იყო გაზაფხულის სურათები; ეს სურათები იმდენად ცოცხლად იყო ასახული, რომ მისაღებ დარბაზში გაშლილი ხალიჩა გამთარში გაზაფხულის შთაბეჭდილებას ახდენდა მნახველზე. იგი მოქსოვილი ყოფილა ოქროსა და ვერცხლის ძაფებით, ამასთანავე, შემკული — ძვირფასი ქვებით. ზემოხსენებული ხალიჩა არაბებმა ქტეზიფონის აღების შემდეგ ნაკუწებად აქციეს და ურთიერთშორის გაიყვეს როგორც ძვირფასი ნადავლი. ერთი ნაკუწი, რომელიც ალის ერგო წილად, შეფასებული იყო 20000 დინარად.

IV-VII საუკუნეების ირანის კულტურის განვითარებაში მნიშვნელოვან როლს თამაშობდნენ სირიელი ქრისტიანები, რომელთაც სირიულ ენაზე შექმნეს მდიდარი ლიტერატურა. ისინი ბერძნულიდან სირიულად, ხოლო შემდეგ სირიულიდან სპარსულდა თარგმნიდნენ ლოგიკის, ფილოსოფიის, მედიცინის და სხვ. თხზულებებს. არისტოტელეს თხზულების ბერძნულიდან სირიულად მთარგმნელი იყო სპარსელი, ნესტორიანელი ეპისკოპოსი პაველ ღერმეპრელი (VI ს.).

განსაკუთრებით ცნობილი იყო სირიელ ქრისტიანთა მიერ დაარსებული უმაღლესი საღვთისმეტყველო სკოლა ნიზიბინში და სამედიცინო აკადემია გუნდეშაბურში, რომელმაც არსებობა განაგრძო არაბთა მიერ ირანის დაპყრობის შემდეგაც.

სასანიანთა დროს განმტკიცდა კულტურული კავშირები ირანისა ინდოეთთან. სანსკრიტიდან საშუალო სპარსულ ენაზე ითარგმნა სამეცნიერო თხზულებები და მხატერული პროზის კრებულები „ქილილა და დიმნა“, „ვარლაამისა და იოდასაფის წიგნი“, „სინდბადის წიგნი“ და სხვ. შემდეგ ეს თხზულებები გადაითარგმნა არაბულად და ცნობილი გახდა ევროპის ხალხებისათვის.

სასანიანთა დინასტიის მეფეები

1. არდაშირ I (226-241)
2. შაბურ I (242-272)
3. პორმიზდ I (პორმიზდ-არდაშირი) 272-273
4. ბაპრამ I (273-276)
5. ბაპრამ II (276-293)

6. ბაპრამ III (293)
7. ნერსე (293-302)
8. ჰორმიზდ II (302-309)
9. შაბურ II (309-379)
10. არდაშირა II (279-383)
11. შაბურ III (383-388)
12. ბაპრამ IV (388-399)
13. იეზდიგერდ I (399-420/421)
14. ბაპრამ V „გური“ (421-439)
15. იეზდიგერდ II (439-457)
16. ჰორმიზდ III (457-459)
17. პეროზი (459-484)
18. ბალაში (ვალაში) 484-488
19. კავად I (488-496; 499-531)
20. ჯამასპი (496-499)
21. ხოსრო I „ანუშირვანი“ (531-579)
22. ჰორმიზდ IV (579-590)
23. ბაპრამ ჩუბინი (590-591. არასასანიანთა საგვარეულოდან)
24. ხოსრო II ფარეიზი (591-628)
25. კავად II (შიროე) 628
26. არდაშირ III (628-629)
27. ფარუხან შაპრვარაზი (629. არასასანელთა გვარიდან)
28. ბორან (დედოფალი, 629-630)
29. აზარმედუხტი (დედოფალი. 630-631)

629-632 წლებში სახელმწიფოს სხვაღასხვა რეგიონებში მეფეებად ითვლებოდნენ ხოსრო III, ჰორმიზდ V, 631-632 წლებში ქტეზიფონში ტახტზე იჯდა ფაროპზად ხოსრო.

30. იეზდიგერდ III (632-651 ან 652).

თავი III

არაბთა მიერ ირანის დაპყრობა

§1. არაბთა მიერ ირანის დაპყრობის სოციალურ-ეკონომიკური და პოლიტიკური წანაპძღვრები

VII საუკუნის დასაწყისისათვის ირანის საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ცხოვრებაში ღრმა შინაგანი წინააღმდეგობები იყო. გაძლიერდა დაპირისპირება ფეოდალიზებულ მიწისმფლობელ არისტოკრატიასა და გაღარიბების გზაზე დამდგარ თავისუფლებადაკარგულ გლეხობას შორის, ამავე დროს – წინააღმდეგობაა თვით გაბატონებული კლასის შიგნით: სამხედრო არისტოკრატია და ქურუმების ზედაფენა დაუპირისპირდა ე.წ. „სამოქალაქო ბიუროკრატიას“ (მწერლები, ფინანსისტები, „კალმის სალხი“) და წვრილ მიწათმფლობელებს (დეჰყანებს). ამ უკანასკნელთ სურდათ ძლიერი სამეფო ხელისუფლების შენარჩუნება და სახელმწიფოს დაშლის თავიდან აცილება. სამხედრო არისტოკრატია და ქურუმები, რომელთა ეკონომიკური დასაყრდენი იყო მიწის მდიდარი რესურსები, არ უწევდნენ ანგარიშს ცენტრალურ ხელისუფლებას და მთელ რიგ ხელსაყრელ შემთხვევაში მიისწრაფოდნენ დამოუკიდებლობისაკენ.

ირანსა და ბიზანტიას შორის უკანასკნელმა, 604-628 წწ. ომმა (ეს ომი თავდაპირველად ირანისათვის წარმატებით მიმდინარეობდა, ხოლო შემდეგ ბიზანტიის ახალმა კეისარმა ჰერაკლემ ირანს ზედიზედ მწარე დამარცხება აგემა) ძირი გამოუთხარა ირანის ეკონომიკას: გლეხობა და ქალაქის მცხოვრებლები უმარმაზარი გადასახადებით გაანადგურა (ეს გადასახადები სამხედრო საჭიროებით იყო გამოწვეული. ომმა დაასუსტა ირანის სამხედრო პოტენციალი და დასცა შაპინ-შაპის ავტორიტეტი. ირანის შინაური მდგომარეობა განსაკუთრებით დაძაბა ცალკეულ დაჯგუფებებს შორის შაპინ-შაპის ტახტისათვის ბრძოლამ. 628-632 წწ-ში ირანელი წარჩინებულები თავიანთი ნება-სურვილის მიხედვით ზედიზედ ცვლიან შაპინ-შაპებს. ტახტზე ქალებიც

აპყაედათ: მაგ., ბორან დედოფალი (630-631 წწ.), აზარმედუხტ დედოფალი (630-631 წწ). სასელმწიფო „სიძედ“ გასდომის სურვილი კიდევ უფრო აძლიერებდა შინაკლასობრივ ბრძოლას. იეზდიგერდ III-ის გამეფებამდე უკანასკნელი მეფე იყო ფარუპზადი. კავად შიროეს დროს ის ჯერ კიდევ ბავშვი იყო, ამიტომაც გადაურჩა სიკვდილს. შემდეგ, იგი ტახტზე თავისი სურვილის წინააღმდეგ დასვეს. იგი სასელმწიფო საქმეებში ვერ ერკვეოდა და საერთოდ გონებაჩლუნგად ითვლებოდა. ბუნებრივია, რომ მათრვა-გამგებლობა ხელში ჩაიგდეს დიდებულებმა. ფარუპზადი ექვსი თვე იჯდა ტასტზე. 632 წლის ბოლოს ან 633 წლის დასაწყისში ფარსის დიდებულებმა მეფედ გამოაცხადეს იეზდიგერდიშაპრიარის შვილი და შემდეგ დაძრეს ჯარები ქტეზიფონისაკენ. მათ გაიმარჯვეს: ფარუპზადი მოკლეს და ტახტი დაიკავა 16 წლის იეზდიგერდმა.

უკანასკნელი სასანიანი შაჰინ-შაპი იეზდიგერდ III (632-651 წწ.) თითქმის მთლიანად დაკავებული იყო არაბთა წინააღმდეგ ბრძოლით, რაც 651 წ. დამთავრდა არაბთა მიერ მთელი ირანის დაპყრობით. იეზდიგერდ III არ შეეძლო არ სცოდნოდა, რომ იგი ოდნავადაც ვერ შეედრებოდა თავისი ძალაუფლების სიმტკიცით ხოსრო I ანუშირვანს და ხოსრო II ფარვიზს, მაგრამ ირანში არავინ ფიქრობდა, რომ ირანს 20-30-იან წწ-ში საფრთხე დაემუქრებოდა არა ბიზანტიის ან შუააზიელი თურქების, არამედ არაბთა მხრიდან. სასანიანები არაბებს სერიოზულ მოწინააღმდეგეებად არ თვლიდნენ. ისინი მათ მიიჩნევდნენ მოუსვენარ მეზობელ მომთაბარეებად, რომელნიც ალაფისა და ნადაელის შოვნის მიზნით თავს ესხმოდნენ ირანის მოსაზღვრე რაიონებს და არბევდნენ მათ. სინამდვილეში არაბები ისეთი მტრები აღმოჩნდნენ, რომელთა მსგავსი ირანს არ ახსოვს ალექსანდრე მაკედონელის შემდეგ.

602 წ. სასანიანებმა გააუქმეს ლაჰმიდების არაბული სამეფო და ხირას ოლქი ირანის ჩვეულებრივ პროვინციად გადააქციეს, რის შემდეგაც ჩრდ. დასავლეთით ირანს უშუალოდ გაუმეზობლდნენ რაბი'ას ჯგუფის არაბული მომთაბარე ტომები (ბაქრ იბნ ვა'ილ). 604 ან 605 წ. მესოპოტამიაში, ზუ-კართან, ახლანდელი ქუფას ახლოს ბაქრიტებმა დაამარცხეს მათ დასამშვიდებლად გაგზავნილი შაჰინ-შაჰის ლაშქარი. შემდეგში, გართულებულმა საგა-

რეო და საშინაო პოლიტიკურმა ვითარებამ ირანში (ბიზანტიასთან სანგრძლივი ომი, შინაური ბრძოლა, სამეურნეო ხასიათის სიძნელეები) სასანიანებს არ მისცა საშუალება არამარტო ბედუინების განადგურების, არამედ იმისიც კი, რომ ცოტად თუ ბევრად, ხელი შეეშალათ მათი თავდასხმებისათვის.

არაბთა დაპყრობების წანამძღვრები შექმნილი იყო მათ საზოგადოებაში VI-VII სს. მიჯნაზე მომხდარი სოციალურ-ეკონომიკური ძვრებით. VII ს-ის დასაწყისისათვის არაბეთის ნახევარკუნძულის მცხოვრებთა უდიდესი ნაწილი მომთაბარე იყო (ბედუინები — უდაბნოს, ველის მცხოვრებნი). ისინი მისდევდნენ ძირითადად აქლემისა და თხის, სოლო იშვიათად ცხენისა და ცხვრის მოშენებას. სამხრეთ არაბეთში (იემენი, ჰადრამაუტი, მაპრა), აგრეთვე ჩრდ. არაბეთის ოაზისებში ცხოვრობდნენ არაბი მიწათმოქმედები.

არაბეთის ნახევარკუნძულის ძირითად ნაწილში, როგორც ბედუინებს, ისე მიწათმოქმედებს შორის VII ს. დასაწყისისათვის კიდევ იყო შემორჩენილი გვაროვნულ-ტომობრივი ყოფა. მაგრამ ეს პატრიარქალურ-საგვარეულო წყობილებაზე დამყარებული საზოგადოება უკვე იყოფოდა ქონებრივ-სოციალური ნიშნით: ტომთა შიგნით უკვე გამოყოფილი იყო არისტოკრატია — მდიდრები, რომლებიც ფლობდნენ დიდ ფარებს, მონებს, მისდევდნენ საქარავნო ვაჭრობას. კლასობრივი საზოგადოება — განუვითარებელი მონათმფლობელური, პატრიარქალურ-თემობრივი წყობილების ძლიერი გადმონაშთებით და ტომობრივი დაყოფით არსებობდა არაბეთის სამხრეთ-დასავლეთ რეგიონებში და იემენში, რომელიც შუამდინარეთსა და ინდოეთს შორის გამავალ სავაჭრო-საქარავნო-საზღვაო გზაზე მდებარეობდა.

არაბთა საზოგადოების სოციალურ-ეკონომიკური განვითარების შესახებ მეცნიერებაში ორი შეხედულებაა. მეცნიერ-ორიენტალისტთა ერთი ნაწილი (ა.ი. იაკუბოვსკი, ს.პ. ტოლსტოვი, ბ.ნ. ზახოდერი, ე. ბელიაევი...) უიქრობს, რომ არაბთა საზოგადოებაში, დაპყრობების დაწყებამდე, არ იყო ფეოდალიზმის ჩანასახი. არაბეთში დაიწყო ჩამოყალიბება მონათმფლობელურმა ურთიერთობამ, რომელიც შემდეგ განვითარდებოდა, რომ არაბეთი სხვა ქვეყნებიდან იზოლირებული დარჩენილიყო (ეს ქვეყნები —ეკონომიკურად და კულტურულად გაცილებით

მაღალ დონეზე იდგნენ). მაგრამ VII-VIII სს. დიდ დაპყრობებთან დაკავშირებით არაბეთი და არაბები ჩათრეული აღმოჩნდნენ ფეოდალიზაციის საერთო პროცესში, რომელიც უკვე მიმდინარეობდა ასლო და შუა აღმოსავლეთის იმ ქვეყნებში, რომლებიც არაბებმა უკვე დაიპყრეს და, სადაც მონობა გადმონაშთის სახით დარჩა.

ზოგიერთი მეცნიერის აზრით (ნ.ვ. პიგულევსკაია...), არაბთა საზოგადოებაში, მათ მიერ დაპყრობების დაწყებამდე (VII ს.) ისახებოდა ფეოდალური ურთიერთობა. ირანის მიერ იემენის დაპყრობის შემდეგ (572 წ.) იემენიდან მექისაკენ მიმავალი ბიზანტია-ინდოეთის დამაკავშირებელი სავაჭრო-სატრანზიტო გზა სასანიანთა ირანის პოლიტიკის გამო გადაჭრილი აღმოჩნდა. ირანის მიწანი იყო ჩინეთიდან და ინდოეთიდან ხმელთაშუა ზღვის ქვეყნებში აბრეშუმისა და ნელსაცსებლების (სანელებლების) გატანაზე მონოპოლიის მოპოვება, ამიტომაც ცდილობდა ამ ვაჭრობისათვის ტრანსირანული მიმართულების მიცემას.

იემენიდან პიჯამისაკენ მიმავალი სავაჭრო გზის ჩრდილოეთისაკენ გადანაცვლებას მთელი არაბეთის ეკონომიკისათვის მძიმე შედეგი მოპყვა. მექისა და იემენის საშუამავლო როლი ვაჭრობაში ძალიან დაეცა. ბედუინები, რომლებიც ვაჭართა ქარავნებს მიაქირავებდნენ აქლემებს, ქარავნის მეგზურებს და სსე. და ამით საარსებო საშუალებას შოულობდნენ, გაღარიბდნენ. მექის გვაროვნული არისტოკრატია იძულებული გახდა შეეწყვიტა თავისი საშუამავლო-სავაჭრო ოპერაციები და მევახშეობა დაეწყო. მექაში მცხოვრები არაბთა გვაროვნული დემოკრატიის ბევრი გაღარიბებული წარმომადგენელი მექის გვაროვნული არისტოკრატიისადმი კაბალაში აღმოჩნდა. მექაში დაწყებული ეკონომიკური კრიზისი მთელ არაბეთზე გავრცელდა და შემდეგ სოციალურ კრიზისში გადაიზარდა. ამ კრიზისიდან გამოსავლის გზების ძიებისას არაბთა ზედაფენაში (განსაკუთრებით მექის გვაროვნულ არისტოკრატიაში) ჩაისახა აზრი საგარეო-დაპყრობითი ომებისა და სირიიდან ირანში გამავალი სავაჭრო-სატრანზიტო გზის ხელთგდების შესახებ. მაგრამ საამისოდ აუცილებელი იყო არაბთა დაქსაქსული ტომების ანუ მთელი არაბეთის პოლიტიკური გაერთიანება, რაც შესაძლებელი იქნებოდა იდეოლოგიური ერთობის, ანუ ერთიანი რელიგიის საფარველ

ქვეშ, რომელიც გააერთიანებდა ყველა არაბს და დიდი ღაპყრობების იდეოლოგიად იქცეოდა. ეს იდეოლოგიური ფუნქცია შეასრულა ახალმა მსოფლიო რელიგიამ ისლამმა, რომლის ფუძემდებლადაც ითვლება მუჰამედი.

მუჰამედ ბენ აბდალაჰი მექელი იყო, ყურეიშიტების ტომიდან, ჰაშიმიანია საყვარეულოდან. ეკუთვნოდა მექის გვაროვნულ ლეშოკრატიას. მისი მამა აბდალაჰი ღარიბი ვაჭარი იყო, რომელმაც სიკვდილის ჟამს თაყის ცოლს ამინეს დაუტოვა მხოლოდ ხუთი აქლემი, რამდენიმე ცხვარი და ერთი მონა ქალი. 6 წლის იყო მუჰამედი, როდესაც დედაც გარდაეცვალა. მისი აღზრდა იკისრა პაპამ აბდ ალ-მუთალიბმა. 10 წლის მუჰამედმა პაპაც დაკარგა და მისი მეურვეობა იკისრა ბიძამ აბუ-თალიბმა (დედის ძმამ, ალის მამამ).

ტრადიციის მიხედვით მუჰამედი დაიბადა 570 წლის ახლო სანებში. ბავშვობაში იგი ბიძამისის ცხვრებს მწყემსავდა. 25 წლის მუჰამედი დაქორწინდა ასაკით ბევრად უფროს (40 წლის) მდიდარი ვაჭრის ქერიე ხატიჯეზე. ამ ქორწინებამ მას მატერიალური უზრუნველყოფა მოუტანა. ვადმოცემის თანახმად, მას უყვარდა საუბარი ქრისტიან ბერებთან, იუდეველთა რაბინებთან და ხანიფებთან. ქრისტიანობისა და იუდეველობის შესახებ ცნობები მან ზეპირი გზით შეითვისა. იგი მონოთეისტი გახდა.

მუჰამედმა ორივე მონოთეისტური რელიგიიდან აიღო ის, რაც მათში საერთო იყო: ერთღმერთიანობა და მოძღვრება ღვთაებრივი ზეშთაგონების შესახებ, რომელიც ხალხს მოციქულთა საშუალებით ეცნობებოდა; ცნობები განკითხვის დღის, საშოთხის, ჯოჯოხეთის შესახებ და სხვ. იგი ხალხს არწმუნებდა, რომ თვითონაა ღვთის მიერ რჩეული და უკანასკნელი მოციქული. მუჰამედმა ახალი რელიგიის ქადაგება მექაში დაიწყო დაახლოებით 610 წ. ახალი რელიგიის მიმდევრებს შორის (ამ რელიგიას მუჰამედმა უწოდა ისლამი — მინდობა ღვთისადმი, მის მიმდევრებს კი უწოდეს მუსლიმები — მინდობილები) ვამოირჩეოდნენ ვაჭრები აბუ-ბექრი და ოსმანი, მუჰამედის სიძე (მისი საყვარელი ქალიშვილის ფატიმას ქმარი) და ბიძაშვილი ალი, ასალგაზრდა, ენერგიული ომარი. თავდაპირველად მუსლიმები მექაში ბევრნი არ იყვნენ. მექის გვაროვნულმა არისტოკრატიამ, ომაელთა გვარის უხუცესის აბუ-სუფიანით სათავეში, შეიძულა მუჰამედი და მუსლიმები. გვაროვნულ არისტოკრატიას ეშინოდა, რომ მონოთეიზ-

მის ქადაგება და კერპთაყვანისმცემლობის უარყოფა გამოიწვევდა ქააბას კულტის და კერპების ავტორიტეტის დაცემას, რაც თავის მხრივ განაპირობებდა მექის, როგორც საავჭრო და რელიგიური ცენტრის მნიშვნელობის შესუსტებას და მისი პოლიტიკური ავტორიტეტის დისკრეტიზაციას.

მუჰამედის მოღვაწეობა პირობითად ორ პერიოდად იყოფა: I – მექის პერიოდი (610-622); II – მედინის პერიოდი (622-632 წწ.). თავისი მოღვაწეობის მექის პერიოდში მუჰამედი ახალი რელიგიის მქადაგებელი პროპაგანდისტი იყო; სხვათა შორის, პროპაგანდის დროს იგი იუდეველებსა და ქრისტიანებს თავის თანამოაზრეებად თვლიდა, როგორც „საღვთო წერილის“ მქონე ხალხს.

მუჰამედი მსმენელებს თავის მოძღვრებას აცნობდა როგორც გამოცხადებას, ზეშთაგონებას, რომელიც უმაღლესი ღმერთისაგან – ალაჰისაგან მიიღო სულიწმინდის მეშვეობით. მუჰამედის შეგონებანი იწერებოდა პალმის ფოთლებზე, ბრტყელ ძვლებსა და ქვებზე; სშირად შეისწავლიდნენ ზეპირად და რეჩიტატივით სდებოდა დეკლამაცია, მსგავსად რაფსოდების მიერ ძველარაბული ფოლკლორული პოეზიის ნიმუშების დეკლამაციით კითხვისა. მუჰამედის გარდაცვალების შემდეგ „ზეშთაგონების“ ფრაგმენტები შეაგროვეს, რედაქცია გაუკეთეს და შეადგინეს მუსლიმთა საკითხავი „წმინდა“ წიგნი „ყურანი“.

საგვარეულოს უხუცესთა კრებამ „სათათბირო სახლში“ ჰაშიმიანთაგან მოითხოვა, რომ მათ უარი ეთქვათ მუჰამედის მფარველობასა და დაცვაზე, წინააღმდეგ შემთხვევაში მათ დაემუქრენ დანარჩენი გვარებისაგან და ტომისაგან მოკვეთით. ჰაშიმიანები, მცირეოდენი გამონაკლისის გარდა, არ თანაუგრძნობდნენ მუჰამედის რელიგიას, მაგრამ მათ მაინც არ უთხრეს უარი მუჰამედს დასმარებაზე: ისინი ხელმძღვანელობდნენ ძველი არაბული ადათობრივი სამართლით, რომლის ძალითაც გვარის თითოეული წევრი გვარის ინტერესებს იცავდა, ხოლო გვარი – თავისი თითოეული წევრისას, თუნდაც ის მართალი არ ყოფილიყო. ყორეიშიტების ტომის თავკაცებმა ჰაშიმიანთა მთელ საგვარეულოს ბოიკოტი გამოუცხადეს. მუჰამედი ასლა იშეიათად გამოდიოდა სახლიდან, ეშინოდა შეურაცხყოფის. ასეთ რთულ ვითარებაში მას მექაში დარჩენა აღარ შეეძლო. მუჰამედმა მსარდაჭერა პპოეა იასრიბის ოაზისში, იქ მცხოვრებ მიწისმო-

ქმედ აუსის და ხაზრაჯის ტომებში, რომელთაც მდიდარი მექელი საგვარეულო არისტოკრატია ეჯაერებოდათ – ნაწილობრივ ძველი ტომობრივი შულლის, ნაწილობრივ კი იმიტომაც, რომ ბევრი იასრიბელი მიწისმოქმედი მექელი მეეახშეების ყალში იყო. მუჰამედი, როგორც მექელი მეეახშეების (გვაროვნული არისტოკრატიის) მტერი, აუსიტებსა და ჰაზრაჯიტებს თავიანთი ბუნებრივ მოკავშირედ ესახებოდათ. 620, 622 წლებში მუჰამედი ორჯერ, თავის უახლოეს თანამზრახველებთან ერთად, აქაბაში შეხვდა აუსიტებისა და ჰაზრაჯიტების თავკაცებს. მათსა და მუჰამედს შორის დადებული იქნა ფიცით განმტკიცებული ხელშეკრულება: ორივე ტომი კისრულობდა მუჰამედისა და მისი თანამზრახველების (მუსლიმები) იასრიბში მიღებას და მათ დაცვას, თუ საჭირო გახდებოდა, იარაღით ხელშიც კი. მუსლიმები იასრიბში განსაკუთრებული თემის უფლებით უნდა დასახლებულიყვნენ.

622 წლის 16 იელისს, პარასკევს, მუჰამედი, თავის თანამზრახველებთან ერთად, გადავიდა მექიდან იასრიბში. ეს გადასვლა ცნობილია „ჰიჯრის“ სახელწოდებით. იგი დაედო საფუძვლად მუსლიმურ წელთაღრიცხვას. იმ ხალხს, რომელიც მუჰამედს თან გაჰყვა მექიდან იასრიბში, ეწოდა „მუჰაჯირები“, ხოლო იმათ, ვინც მუჰამედს ისარიბში (ამიერიდან მედინაში) მიემხრო, უწოდეს „ანსარები“ („თანაშემწენი“).

მუჰამედმა მედინაში ერთმანეთს შეარიგა მოქიშპე ტომები – აუსიტები და ხაზრაჯიტები, რის შედეგადაც იგი მედინის ფაქტიური თავი გახდა.

მუსლიმურმა რელიგიურმა თემმა მიიღო უფრო ორგანიზებული სახეობა; ჩამოყალიბდა წესჩვეულებები, ამენდა პირველი მეჩეთი („მასჯიდ“) – უბრალო, სადა ნაგებობა, რომელიც ეზოში გამოდიოდა და ეკვროდა წინასწარმეტყველის სახლს. მეჩეთი იყო არა მარტო სალოცავი სახლი, არამედ შენობა საზოგადო თავყრილობებისა და მიღებებისათვის (ელჩების მიღება...). ყოველდღიური ლოცვისათვის (არაბ. სალათ, სპარს. ნამაზ). დაწესდა საათები. იმამის, ანუ ლოცვის პროცესის ხელმძღვანელის, ფუნქციებს ასრულებდნენ თვითონ მუჰამედი, აბუ ბექრი ან ომარი.

მედინის პერიოდში საფუძველი ჩაეყარა საერთოარაბულ ისლამურ სახელმწიფოს: მედინის ოაზისის პოლიტიკური გაერთიანება ამ სახელმწიფოს ჩანასახი აღმოჩნდა. ისლამი ახლა იყო არა

მარტო რელიგიური მიმდინარეობა, არამედ პოლიტიკური ფაქტორი. არაბეთის გაერთიანება განპირობებული იყო კლასობრივი საზოგადოების ჩამოყალიბების პროცესით, მაგრამ ისლამი აღმოჩნდა ფაქტორი, რომელმაც დააჩქარა ეს პროცესი, დააჩქარა პოლიტიკური გაერთიანება. წინასწარმეტყველის თანამებრძოლთა შეღარებით მცირე ჯგუფმა — ასპაბებმა შეადგინა ახალი არისტოკრატია, ახალი გაბატონებული კლასის ზედაფენა, რომელიც არაბთა დაპყრობების შემდეგ ფეოდალად გადაიქცა.

მედინაში მოხდა მუსლიმების გათიშვა „წერილის ხალხისაგან" — პირველად იუდეველებისაგან, ხოლო შემდეგ ქრისტიანებისაგან. ისლამი ამორყული მონოთეისტური მოძრაობიდან, ხანიფიზმის სახესხვაობიდან (როგორიც იყო მექაში) გადაიქცა დამოუკიდებელ რელიგიად.

მუჰამედი, იუდეველებთან კავშირის გაწყვეტის შემდეგ, გარკვეული დროის განმავლობაში კიდევ იმედოვნებდა ქრისტიანებთან კავშირ-ურთიერთობის შენარჩუნებას. ყურანის ერთ აღგილას ნათქვამია, რომ მუსლიმების ყველაზე უფრო შეურიგებელი მტრები იუდეველები და მრავალღმერთიანები (კერპთაყვანისმცემლები) არიან, ხოლო ჭეშმარიტი მეგობრები ნაზარეველები (ქრისტიანები) მათი მღვდლებითა და მონაზვნებით. მაგრამ მედინის პერიოდის ბოლოსათვის მუჰამედმა კავშირი გაწყვიტა ქრისტიანებთანაც (როგორც ჩანს, იმ დროს, როდესაც პირველი სასაზღვრო შეტაკებები მოხდა ბიზანტიის ჯართან). იუდეველებთან და ქრისტიანებთან მუსლიმების კავშირის გაწყვეტის ძირითადი მიზეზი პოლიტიკური მოტივები იყო: მუჰამედს მედინის პერიოდში გადაწყვეტილი ჰქონდა ბიზანტიის წინააღმდეგ გალაშქრება, ხოლო უფრო ადრე იუდეველების გამოცხადება მუსლიმების მტრებად განპირობებული იყო იმით, რომ მექიდან დევნილ მუჰამედს იასრიბის არაბულმა ტომებმა მისცეს თავშესაფარი, რის ნაცვლადაც მოციქული მათ დაპირდა იუდეველთა სელში მყოფი მიწების გადაცემას.

მუსლიმებს მტრული ურთიერთობა მარტო მედინის იუდეველთა ტომებთან არა ჰქონდათ. აუსიტებსა და ხაზრაჯიტებს შორის საკმაოდ იყვნენ ფარული მტრები, რომელთაც გარეგნულად მიიღეს ისლამი, ხოლო ფარულად მუჰამედის წინააღმდეგ მოქმედებდნენ და ცდილობდნენ მუსლიმური თემის შიგნიდან დარ-

ღეეკას. ამ ხალხმა მიიღო „მუნაფიკების“ („პირმოთნეების“, „თავმოკატუნებულების“) სახელწოდება.

მედინაში დასახლების შემდეგ, მუჰამედმა, ომართან და აბუ-ბექრთან ერთად, გააგრძელა ბრძოლა მექის კერპთაყვანისმცემელ გვაროვნულ არისტოკრატიასთან. მათ, როგორც ჩანს, ჩაიფიქრეს მექის სავაჭრო ოპერაციების პარალიზება, მექიდან სირიაში მიმავალი საკაჭრო გზის გადაჭრა მედინასთან. 623 წლის დასაწყისში მუსლიმები თავს დაესხნენ მექელთა ქარავანს და გაძარცვეს იგი. მედინელი მუსლიმების თავდასხმა სირიიდან უკანდაბრუნებულ მექელთა ქარავანზე გადაიზარდა ნამდვილ ბრძოლაში, რომელიც ცნობილია ბადრთან ბრძოლის სახელწოდებით (624წ. მარტი). ამ ბრძოლაში მექელები დამარცხდნენ: მათი ნაწილი ამ ბრძოლაში დაიღუპა, ნაწილი კი მუსლიმებმა ტყვეად იგდეს ხელთ. გადმოცემის თანასმად, 600 მექელის წინააღმდეგ 317 მუსლიმი იბრძოდა. მხოლოდ ორი თუ სამი მათგანი იყო ცხენზე ამხედრებული, დანარჩენები ან ქვეითები იყვნენ, ან აქლემებზე მსხდარნი. მუჰამედმა ნადავლი ისე გაანაწილა, რომ თითოეულმა მსედარმა სამჯერ მეტი მიიღო სხვებთან შედარებით; ნადავლის მეხუთედი გამოყოფილი იქნა წინასწარმეტყველისა და მისი ოჯახის, აგრეთვე ქვრივ-ობლების სასარგებლოდ. მუჰამედის განცხადებით, განაწილების ასეთი წესი მას უკარნახა „ზეშთაგონებამ“.

ამ ბრძოლას დიდი მნიშვნელობა ჰქონდა. მუჰამედი ცნობილი გახდა მედინის საზღვრებს გარეთაც, თვითონ მედინის ოაზისში მისი გავლენა განუსაზღვრელად გაიზარდა.

625 წ. მუსლიმებმა კვლავ გაძარცვეს მექელთა ქარავანი, რის საპასუხოდაც აბუ სუფიანმა მედინის წინააღმდეგ 3000 მექელი წაიყვანა. მუსლიმები სასტიკად დამარცხდნენ უხუდის მთასთან, მაგრამ მექელებმა ვერ გამოიყენეს თავიანთი გამარჯვება: ისინი არცკი შეეცადნენ მედინის აღებას, ისე დაბრუნდნენ მექაში. ამ დამარცხებამ მუჰამედის ავტორიტეტი ვერ შეარყია; მან გული არ გაიტეხა — ეს დამარცხება ახსნა მუსლიმთა შორის დისციპლინის სისუსტით და მუნაფიკების ღალატით.

627 წ. აბუ სუფიანმა მედინის წინააღმდეგ 10000-იანი ჯარი დაძრა, რომელშიც 4000 მექელის გარდა, იყვნენ მოკავშირე მეომრები და დაქირავებული ეთიოპები. მედინა დიდი საფრთხის

წინაშე აღმოჩნდა. მაგრამ მუჰამედმა და მუსლიმთა ბელადებმა მედინას 6 დღის განმავლობაში გარს შემოარტყეს ღრმა თხრილი და სანგრები (ხანდაკი). მუჰამედის მოწინააღმდეგეთა ჯარმა ალყაში მოაქცია მედინა. იუდეველთა ტომი ბანუ კურეიზა მათ ხელს უწყობდა. მაგრამ მოალყეთა შორის დაიწყო ქიშპი და შინაგანი წინააღმდეგობა. სამი კვირის შემდეგ, მექელთა ჯარმა (აბუ სუფიანის მეთაურობით) მედინას ალყა მოხსნა და წავიდა. დანარჩენი ლაშქარიც იძულებული გახდა წასულიყო. მათი წასვლის შემდეგ, მუსლიმებმა გაანადგურეს იუდეველთა ტომი ბანუ კურეიზა — უკანასკნელი იუდეველთა ტომი მედინის ოაზისში (ორი ებრაული ტომი მანამდე იყო გასახლებული). ბანუ კურეიზას ტომის მამაკაცებს თავები მოჰკვეთეს, ქალები და ბავშვები ნეჯდელ ბედუინებზე გაყიდეს (გაცვალეს აქლემებსა და იარაღში). იუდეველთა მიწები და ქონება მუსლიმებმა გაიყვეს.

628 წ. წინასწარმეტყველი, 1500 ასპაბით, პილიგრიმობის საბაბით მექისაკენ გაემართა, მაგრამ მექელებმა იგი შეაჩერეს. ყურეიშიტების ტომის გვაროვნულ არისტოკრატიასთან ხანგრძლივი მოლაპარაკების შემდეგ, მუჰამედმა მექასთან ახლოს, ხუდეიბიაში დადო ხელშეკრულება შემდეგი პირობებით: ხელშეკრულება დაიდო 10 წლის ვადით; მუსლიმებს ეძლეოდათ მექაში პილიგრიმობის ნება, მხოლოდ უიარაღოდ (მხოლოდ და მხოლოდ ხმლით); მუჰამედი კისრულობდა ვალდებულებას თავს არ დასხმოდა მექელთა ქარავნებს; ხელშეკრულებაში მუჰამედი წინასწარმეტყველად არ იყო მოხსენებული, მაგრამ მუჰამედმა, ომარმა და მუსლიმთა ზედაფენამ ეს ხელშეკრულება ისე შეაფასეს, როგორც წარმატება, რადგანაც ყურეიშიტების ტომობრივმა არისტოკრატიამ მუჰამედი პირველად სცნო თანასწორუფლებიან მხარედ.

ხუდეიბიას ხელშეკრულების შემდეგ მუჰამედის პოლიტიკური ავტორიტეტი კიდევ უფრო გაიზარდა. მექისადმი მტრულად განწყობილმა მთელმა რიგმა არაბულმა ტომებმა მუჰამედის პოლიტიკური ძალაუფლება სცნეს. ხელშეკრულების დადებისას მუჰამედი ყოველთვის არ ითხოვდა მათგან ისლამის მიღებას. ყურეიშიტების ტომის ცალკეული წარმომადგენლები, რომლებიც აღრე მტრობდნენ ისლამს, ახლა იღებენ ამ ახალ რელიგიას. ასე მოიქცა, სხვათა შორის, ჰალიდ იბნ ალ ვალიდი (ოხოდის მთასთან მე-

ქელთა გამარჯვების ორგანიზატორი) და ამირა იბნ ალ-ასი — შემდეგში ცნობილი მსედართმთავარი. ორივენი გულგრილნი იყვნენ რელიგიისადმი, მაგრამ მათ დაინახეს, რომ ისლამი ვადაიქცა სერიოზულ პოლიტიკურ ძალად და ამიტომაც მუსლიმებთან კავშირ-ურთიერთობა ხელსაყრელად მიიჩნიეს. თავის მხრივ, მუჰამედმაც გადაწყვიტა გარკვეული ნაბიჯები მექის ტომობრივ არისტოკრატიასთან დასაახლოებლად. 628 წლის შემდეგ მუჰამედი პოლიტიკური მოსაზრებით დაქორწინდა აბუ სუფიანის ქალიშვილზე (სხვათა შორის, მუჰამედს ცოლად პყავდა აბუ ბექრის ქალიშვილი აიშე, ომარის ქალიშვილი, მისი ერთგული აბუ ზეიდის ნაცოლარი ზეინაბი...).

მუსლიმური თემის ზედაფენა მუჰამედით, ომარით და აბუ ბექრით სათავეში, როგორც შემდეგ გამოირკვა, მიისწრაფოდა მექელი ღიდებულების მიმართ კომპრომისისაკენ, მაგრამ მუჰამედს და მის გარემოცვას ამგვარი კომპრომისი შესაძლებლად ესახებოდა მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ყურეიშიტთა ზედაფენა ისლამს გარეგნულად მაინც მიიღებდა. ამასობაში, მექელმა ყურეიშიტებმაც სხვანაირად დაუწყეს ყურება ისლამს; და ეს იმიტომ, რომ ისლამი მიიჩნიეს ისეთ პოლიტიკურ ძალად, რომელსაც შეუძლია არაბეთის გაერთიანება, არაბთა დიდი დაპყრობების ორგანიზება, ხმელთაშუა ზღვა — აზიის დამაკავშირებელი სავაჭრო-საქარავნო მაგისტრალებზე გაბატონება და სხვ.

630 წლის იანვრის პირველ რიცხვებში მუჰამედი 10000-იანი ლაშქრით მიუახლოდა მექას. ქალაქი მოემზადა თავდასაცავად. მუსლიმთა ბანაკში მიეიდა მუჰამედის ბიძა აბასი, რომელსაც უკვე მიღებული ჰქონდა ისლამი. აბასმა მოაწყო მუჰამედისა და მისი გარემოცვის შესვედრა აბუ სუფიანთან, რომელიც დათანხმდა მექის ჩაბარებაზე თავისი და თავისი საგვარეულოსათვის სასარგებლო პირობებით. ყველა მექელს, რომელიც დარჩებოდა თავის სახლში, ან თავს შეაფარებდა აბუ-სუფიანის სახლ-კარს, ან მექის ქააბას ტაძარს, ეძლეოდა უსაფრთხოების გარანტია. მხოლოდ ათიოდე, განსაკუთრებით დაუძინებელი მტერი ისლამისა არ იქნა შეწყნარებული. მექელებმა ისლამის მიღების ვალდებულება იკისრეს. ეს მოლაპარაკება მუსლიმთა ფართო მასისათვის საიდუმლოდ დარჩა. მუსლიმთა ჯარმა თითქმის უსისხლოდ დაიმორჩილა მექა. ქააბას ტაძარი კერპებისაგან გაწ-

მინლეს. იგი გადაიქცა მუსლიმთა უმთავრეს სალოცავად – „მასჯიდ ალ-ჰარამ“. თავისთავად ცსადია, რომ ყურეიშიტების ფართო მასამ და არა არისტოკრატიამ ისლამი მიიღო არა რწმენის, არამედ პოლიტიკური აუცილებლობის გამო.

630-631 წლებში ტაიფის ოაზისი და არაბეთის ნახევარკუნძულის უღიდესი ნაწილი მუჰამედს ღაემორჩილა, რასაც, უმეტეს შემთხვევაში თან ასლდა მათ მიერ ისლამის მიღება და კერპების მსხვერევა. არაბეთის ისლამიზაცია მალე დასრულდა.

მექის დანებების შემდეგ მუჰამედის რეზიდენციად მაინც მედინა დარჩა. მუჰამედი გასდა მთელი არაბეთის პოლიტიკური მეთაური, მაგრამ მან არ მიიღო მეფის (მალიქის) ტიტული. იგი არ მიისწრაფოდა სიმდიდრისა და ფუფუნებისაკენ, მაგრამ თავისი ოჯახი და თავისი გვარის წევრები ეკონომიკურად უზრუნველყო. მან დაადგინა, რომ ნებისმიერი სამხედრო დაელიდან მესუთედი (ხუმს) უნდა მოსმარებოდა მუჰამედის შთამომავლებისა და ნათესავების, „წმინდა ომში“ დაღუპული მეომრების ქვრივ-ობლების, ღარიბების და ღერვიშების შენახვას. მექაში მუჰამედს არ სცნობდნენ: იგი მხოლოდ ახალი რელიგიის მქადაგებელი იყო; მედინაში იგი პოლიტიკურ მოღვაწედ, მმართველად და სჯულმდებლად იქცა. მან თავი გამოიჩინა როგორც ნიჭიერმა დიპლომატმა და სამხედრო მოღვაწე-ბელადმა; რა თქმა უნდა, მის წარმატებაში დიდი როლი შეასრულა ომარის ორგანიზატორულმა ტალანტმა.

მუჰამედი გარდაიცვალა 632 წლის 8 ივნისს, მედინაში. იქვეა დასაფლავებული. მედინაში ჩამოყალიბდა პირველდაწყებითი ისლამის მოძღვრება. ისლამი სინკრეტული რელიგიაა, რომელიც მოიცავს იუდეველობის, ქრისტიანობის და ზოროასტრიზმის ცალკეულ ელემენტს. ისლამი მკაცრად და თანამიმდევრულად მონოთეისტური რელიგიაა. მორწმუნეთათვის სავალდებულოა შემდეგი დოგმების შესრულება: 1. არ არს ღმერთი გარდა ალაჰისა და მუჰამედია მისი წინასწარმეტყველი; 2. ყოველდღე ხუთჯერ ლოცვა (ნამაზი); 3. მარხვა რამაზანის თვეში (მუსლიმური მთვარის წლის IX თვე); 4. ზაქათი – ფარებიდან, ხელოსნობიდან და ვაჭრობიდან შემოსავლის 1/40 (ფორმალურად ღარიბთა სასარგებლოდ, უაქტობრივ კი არაბულ-მუსლიმური სასელმწიფოს სასარგებლოდ); 5. პილიგრი-

მიბა მექაში — ქაჯი; ქაჯი აუცილებელი არაა ქალების, ღარიბების, ღავრდომილებისა და მოხუცებისათვის.

ისლამის სხვა დოგმებიდან აღსანიშნავია: რწმენა ყურანის ღვთიური წარმოშობის შესახებ; რწმენა სამოთხისა და ჯოჯოხეთის, ანგელოზების, ეშმაკის (იბლისი), ბოროტი სულებისა (შაითანი) არსებობის თაობაზე.

ისლამი სცნობს მუჰამედის წინამორბედ წინასწარმეტყველებს. მუჰამედის გარდა მთავარ წინასწარმეტყველებად ითვლებიან ადამი, ნოე (ნუჰ), აბრაამი (იბრაჰიმი), მოსე (მუსა), იესო ქრისტე (ისა ალ-მასიჰი, მესია). მუჰამედი არის უდიდესი და უკანასკნელი წინასწარმეტყველი.

ისლამისათვის დამახასიათებელია სასულიერო თემისა და სახელმწიფოს, რელიგიისა და კანონის ერთიანობა. მუსლიმური სამართალი დაფუძნებული იყო პირველ რიგში ყურანსა და სუნაზე, რომელიც შეღგება ჰადისებისაგან (გამონათქვამები, რომლებიც მიეწერება მუჰამედს, მაგრამ სინამდვილეში ისინი გვიან, VII-IX სს-შია შეთხზული „წინასწარმეტყველის თანამშრომელთა“ და მის მოწაფეთა მიერ).

მუსლიმურ ღვთისმეტყველებაში დიდი ადგილი უკავია ღაზავათს (ჯიჰადს — საღვთო ომს). ისლამი აქეზებდა მორწმუნეებს ღაზავათში მონაწილეობისათვის. ყურანში არის სპეციალური VIII სურა — „სურა ას-ღანიმათ“ („სურა ღავლის შესახებ“, რომელიც მართლმორწმუნეებს მოუწოდებს გიაურებთან — ურწმუნოებთან ომისაკენ. ყურანის თანახმად, მუსლიმ მეომარს უფლება აქვს დახოცოს ყველა: ქალი, კაცი, მოხუცი, ახალგაზრდა, ბავშვი (გარდა მონაზონისა); მიისაკუთროს ყველაფერი. ნადაელის 1/5 (ხუმს) არაბულ-მუსლიმური სახელმწიფოს მეთაურის — იმამისაა, დანარჩენი 4/5 კი — მეომრებს შორის ნაწილდება შემდეგი პრინციპით: ერთი მესამედი ქვეითს, ორი — ცხენოსანს; „საღვთო ომში“ დაღუპულს „იმ ქვეყანაში“ სამოთხე მოელის. შემდეგ, უფრო გვიან, მუჰამედის მემკვიდრეების — სალიფების დროს, ჯიჰადის შესახებ მოძღვრება იქცა არაბთა დაპყრობითი ომების იდეოლოგიურ დასაყრდენად.

დაპყრობილ ქვეყნებში მიწებს და უძრავ ქონებას ისლამი განიხილავდა როგორც ფაის მუსლიმური თემის საერთო საკუთრებას (ანუ მუსლიმური სახელმწიფოს საერთო საკუთრებას),

პრაქტიკულად კი მიწების ფონდის უდიდესი ნაწილი ხალიფას ხელში გადაღიოდა.

630 წ. დასრულდა არაბეთის პოლიტიკური გაერთიანება. ახალი სახელმწიფოს გაბატონებული ზედაფენა ჩამოყალიბდა მექელი დიდებულების, სამხრეთ და ჩრდილოეთ არაბეთის ტომთა ბელადებისა და ასჰაბებისაგან (წინასწარმეტყველის თანამებრძოლების, მისი მოწაფეებისაგან).

მუჰამედის მონაცულეები იყვნენ ხალიფები, რომლებიც ერთდროულად სასულიერო და პოლიტიკურ წისამძღოლებად ითვლებოდნენ (იმამი და ამირა). პირველი ოთხი ხალიფა, რომელთაც შემდეგ „წმინდა", „კანონიერი" ხალიფების სახელწოდება მიიღეს, აბუ-ბექრი (632-634), ომარი (634-644), ოსმანი (644-656) და ალი (656-661) მუჰამედის ნათესაეები და თანამებრძოლნი იყვნენ.

დაპყრობითი ომები ჩდილოეთისაკენ, რომლებიც დაგეგმილი ჰქონდა მუჰამედს, მისი სიკედილის შემდეგ – ხალიფების დროს განხორციელდა. პირველი ხალიფა აბუ-ბექრი შინაური საქმეების მოწესრიგებით, ცრუმოციქულებთან ბრძოლით და აჯანყებების ჩაქრობით იყო დაკავებული. ომარის, ოსმანის და ალის დროს არაბთა ყურადღება ბიზანტიის პროეინციების – სირიის, პალესტინის, ეგვიპტის, აგრეთვე ირანის მიმართულებით ლაშქრობებზე იყო მიპყრობილი.

არაბთა ჯარი შედგებოდა ცხენოსნებისა და ქვეითებისაგან. თავდაპირველად ისინი აქლემებზე ისსდნენ. ჯარის წყობა იყო გვაროენულ-ტომობრიეი, რასაც ჰქონდა როგორც დადებითი, ასევე უარყოფითი მხარეები; დადებითად უნდა ჩაითვალოს ის, რომ ერთი გვარისა და ტომის ხალხი მხარდამხარ მედგრად იბრძოდა; უარყოფითი იყო ის, რომ ხშირად, გადამწყვეტ მომენტში, ტომების ბელადებს შორის ქიშპი ზიანს აყენებდა საერთო საქმეს. არაბთა ჯარი უფრო ცუდად იყო შეიარაღებული, ვიდრე ბიზანტიელთა ან სპარსელთა, მაგრამ უფრო მოქნილი და სწრაფი იყო. ბედუინები მოულოდნელ და სწრაფ რეიდებს აწყობდნენ მტრის ზურგში.

§2. არაბთა მიერ ირანის დაპყრობა

არაბთა დიდი დაპყრობები მოიცავენ პერიოდს 633 წლიდან 751 წლამდე. არაბებს უმარმაზარი სამხედრო ძალა პყავდათ, რადგან ყველა არაბი მამაკაცი მეომარი იყო. მათ ერთდროულად დაიწყეს

ომი ირანის (ერაყში შეჭრით 633 წ.) და ბიზანტიის (პალესტინაში შეჭრით 634 წ.) წინააღმდეგ. ომი მიმდინარეობდა „ღამაეთის“ იდეოლოგიური საბურველით. არაბთა საერთო მასაში ისლამის ერთგული მუსლიმები ცოტა იყვნენ (ძირითადმა მასამ ისლამი მიიღო პოლიტიკური მოსაზრებით), მაგრამ მათ მაინც დიდი–როლი ითამაშეს დაპყრობათა ორგანიზაციის საქმეში. არაბთა ზედაფენა თელიდა რომ ხმელთაშუა ზღვა – აზიის დამაკავშირებელი საკაჭრო-საქარავნო-საზღვაო გზების ხელში ჩაგდება გააფართოებდა ვაჭრობას, გაამდიდრებდა არაბებს, მათ ხელში ჩაუგდებდა ასალ-ახალ მიწებს, გაზრდიდა ალაფსა და ნადავლს; ამასთანავე, დაპყრობითი ომები დროებით მაინც შეასუსტებდა შინაურ წინააღმდეგობას და ტომთა სეპარატიზმს ბელუინების ჩაბმით ლაშქრობებში.

არაბთა დაპყრობების თავბრუდამხვევ წარმატებებს ხელს უწყობდა საერთაშორისო ვითარებაც. ორივე დიდი სახელმწიფო – ბიზანტია და ირანი გამოფიტული იყო უკანასკნელი ხანგრძლივი ომით და შინაური წინააღმდეგობების გამწვავებით. ბიზანტიაში სოციალური ბრძოლა, რომელშიც წინა პლანზე გამოდიოდნენ „მწყანეთა“ და „ცისფერთა“ პარტიები, გართულებული იყო რელიგიური ბრძოლით აღმოსავლური ქრისტიანობის ორ მთავარ მიმართულებას – ქალკედონიტობას (დიოფიზიტობა, მართლმადიდებლობა) და მონოფიზიტობას შორის. მონოფიზიტები ჭარბობდნენ სომხეთში, ზემო მესოპოტამიაში, სირიაში, ეგვიპტესა და ეთიოპიაში; მონოფიზიტობის საბურველში გამოსხვეული იყო სეპარატისტული ტენდენციები. იმპერატორი პერაკლე მონოფიზიტებს თავს ახვევდა უნიას მართლმადიდებლური ეკლესიის პრიორიტეტის შესახებ. ამავე დროს, მან დაიწყო იუდეველთა ღევნა. ირანში გაძლიერდა წინააღმდეგობა და აშკარა ბრძოლა ძალაუფლებისათვის სამხედრო არისტოკრატიასა და ქურუმებს შორის. მკვეთრად გამოელინდა ვასალი პატარ-პატარა მეფეებისა და მთავრების სეპარატიზმი.

არაბებმა პალესტინასა და სირიაში მთელ რიგ ბრძოლებში სასტიკად დაამარცხეს ბიზანტიელები: მათ 635 წ. აიღეს დამასკო, 637 წ. – იერუსალიმი, 638 წ. – ანტიოქია, 636 წლის აგვისტოში მდ. იარმუკის შესართავთან, პალესტინაში, მათ სასტიკად დაამარცხეს ჰერაკლე კეისარი. ამ ოლქების დაპყრობა დამთავრდა 640 წ.

მსიშესლოვანი პორგის კესარიის აღებით. 640-641 წწ. არაბებმა დაიპყრეს ეგვიპტე. მონოფიზიტი კოპტები ადვილად დაიმორჩილეს. 642 წლის სექტემბერში არაბებმა სელშეკრულების საფუძველზე დაიმორჩილეს ალექსანდრია. შემდეგ არაბებმა დაიპყრეს კირენაიკა (642 წ.), ლიბია (643 წ.) და შეიჭრნენ ბიზანტიის აფრიკაში (მაღრიბი: ტუნისი, ალჟირი, მაროკო). უფრო აღრე არაბებმა დაიპყრეს ზემო მესოპოტამია (641 წ.), ხოლო შემდეგ შეიჭრნენ სომხეთში, აიღეს მისი ღედაქალაქი ღვინი და ტყვედ წაიყვანეს 40000 კაცი (642 წ.). არაბებმა ბიზანტიას წაართვეს მისი სამფლობელოების ორ მესამედზე მეტი აზიასა და აფრიკაში.

ბიზანტიის წინააღმდეგ ლაშქრობების პარალელურად არაბებმა შეუტიეს ირანს. ჯერ კიდევ ხალიფა აბუ-ბექრის ღროს არაბთა ჯარი ჰალიდ იბნ ალ-ვალიდის („ისლამის მახვილი") მეთაურობით დაიძრა ირანის დასავლეთ საზღერებისაკენ. 633 წ. არაბებმა მუსანა იბნ ჰარისის მეთაურობით დაიკავეს ლაჰმიდების სამეფოს ღედაქალაქი ხირა და გაიმარჯვეს „ჯაჭვისებურ ომში" (სპარსელი მეომრები პირველ რიგებში ერთმანეთს ჯაჭვისებურად გადაებნენ, მაგრამ მათ ვერ შეძლეს არაბთა შემოტევის შეჩერება) და გადაეიღნენ ევფრატზე.

633 წლის მარტ-აპრილში ჰალიდ იბნ ვალიდმა, რომელიც იმ ღროს აბუ მუსეილიმას აჯანყების ჩასაქრობად იემამაში იმყოფებოღა, ხალიფა აბუ-ბექრისაგან მიიღო ბრძანება ერაყზე სალაშქროდ წასვლისა და მუსანა იბნ ჰარისის ლაშქართან შეერთების შესახებ. ბრძანების თანახმად, მათ ერთად უნდა ებრძოლათ ირანელთა გარნიზონების წინააღმდეგ. ზოგიერთი ცნობის მიხედვით, მუსანა იბნ ჰარისს არ უნდოდა ჰალიდის ლაშქართან შეერთება: იგი შიშობდა, რომ ხალიფა მთავარსარდლობას ჰალიდ იბნ ალ-ვალიდს გადასცემდა. მისი შიში უსაფუძვლო არ გამოღგა: შემდეგში ასეც მოხდა.

ჰალიდ იბნ ალ-ვალიდმა სპარსელებზე გაიმარჯვა უეეისასთან ბრძოლაში.

ირანის ჯარის მთავარსარდლად დაინიშნა ხორასნის მმართველი რუსტამი შეილი ფაროპზადისა, რომელიც ცნობილი იყო თავისი სამხედრო ნიჭით და იმითაც, რომ მან აქტიური მონაწილეობა მიიღო 632 წ. ხოსრო II-ის შეილიშვილის იეზდიგერდ III-ის ტახტზე აყვანაში. რუსტამმა 634 წ. ნოემბერში

„ხიდთან ბრძოლაში“ („ქუს ან-ნატიფთან“) სასტიკად დაამარცხა არაბები, მაგრამ 635 წ. ბუეიბასთან (ხირის მახლობლად) ბრძოლაში არაბებმა კვლავ დაამარცხეს სპარსელები.

იეზიდგერდ III და მისი გარემოცვა დარწმუნდა იმაში, რომ მათ საათანადოდ ვერ შეაფასეს არაბთა ძალა. სპაპბედმა როსტომმა ირანის ყველა ოლქიდან ჯარის შეგროვება ბრძანა. ჯარის შეგროვებასა და შეიარაღებაში თითქმის ეროი წელი გავიდა.

636 წლის შემოდგომაზე სპარსელთა მრავალრიცხოვარი ჯარი დაბანაკდა კადისიასთან, ხირის მახლობლად. მოშორებით იდგნენ არაბები სა'ად იბნ აბუ ვაყასის მეთაურობით (ხალიფა ომარის განკარგულებით, 634 წ. ჰალიდ იბნ ალ-ვალიდი სირიაში იქნა გადასროლილი. ირანის წინააღმდეგ ბრძოლაში იგი შეცვალა სა'ად იბნ აბუ ვაყასმა).

სპარსელთა ჯარის მთავარსარდალმა, სახელგანთქმულმა მხედართმთაყარმა როსტომმა, მიუხედავად სპარსელთა მნიშვნელოვანი რიცხობრივი უპირატესობისა, ვერ გაბედა ბრძოლის დაწყება. იგი კარგად ხედავდა სპარსელთა ჯარის სუსტ აღგილებს. როსტომი კარგად იცნობდა თაეის სარდლებს, იცოდა მათი პრეტენზიები, სეპარატიზმისაკენ მიდრეკილება, სამხედრო წრეებში შინაური განსეთქილება, მხედართმთავრის ბრძანებისადმი დაუმორჩილებლობა და სხვ. ბრძოლა, ცვალებადი წარმატებით, 3 დღის განმავლობაში გრძელდებოდა. ამასობაში, არაბებს დამხმარე ძალა მოუვიდა სირიიდან. ბრძოლის ბოლო დღეს ქარი ამოვარდა, რომელმაც ირანელ მხედრებს ქვიშა მიაყარა თვალებში. ამან დააჩქარა არაბთა გამარჯვება. სპაპბედი როსტომი ბრძოლაში მოკლეს. მთავარსარდლის სიკვდილმა ირანის ჯარში დიდი არევ-დარევა შეიტანა. არაბებმა ამ ბრძოლაში სელთ იგდეს ირანის სახელმწიფო დროშა, რომელიც შეკერილი იყო ლეოპარდის ტყავისაგან და ძვირფასი ქვებით მოოჭვილი. გადმოცემის მიხედვით, იგი ირანული ეპოსის ლეგენდარული პერსონაჟის ეროენული გმირის, მჭედელ კავას ტყავის წინსაფრისაგან იყო შეკერილი.

კადისიასთან ბრძოლაში ირანის ჯარის განადგურების ამბის მიღებისთანავე იეზდიგერდ III-ის სამეფო კარი ზაგროსის მთებში გაიქცა. ირანის ღედაქალაქ ქტესიფონისაკენ (არაბ. ალ-მადაინი) გზა ხსნილი იყო. 637 წლის ზაფხულში არაბებმა ქტესიფონი აიღეს, დაანგრიეს და გაძარცვეს; მათ სელთ იგდეს აუარებელი დაეცა

(ოქრო-ვერცხლი, ხელოვნების ნიმუშები და სხვ.). მცხოვრებლები, რომელთაც გაქცევა ვერ მოასწრეს, ნაწილობრივ დახოცეს, ნაწილობრივ კი ტყვედ წაიყვანეს.

არაბი მეომრები, თვით ცნობილი მხედართუფროსებიც კი, თავისი ინტელექტუალური განვითარებით ისეთ დონეზე იდგნენ, რომ მათ არ შეეძლოთ ქტესიფონში სელთჯდებული ნადავლის მსატვრული ღირებულების დაფასება. ისინი ადნობდნენ ოქროსა და ვერცხლის უძვირფასეს ნივთებს, სჭრიდნენ ფარჩისა და აბრეშუმის ქსოვილებს. მათ დაანაკუწეს შესანიშნავი ხალიჩა, რომელიც ხოსრო II ფარვიზის სასახლის მისაღებ დარბაზში იყო დაფენილი. ეს სალიჩა მოქსოვილი იყო ოქროსა და ვერცხლის ძაფებით და მოოჭვილი ძვირფასი ქვებით. ერთი ნაკუწი, რომელიც ალის შეხედა წილად, 20000 დინარად იქნა შეფასებული. საერთოდ, ქტესიფონის აოხრებისა და გაძარცვის შედეგად არაბთა მიერ ნაშოვნი დაევლა 900 მილიონი დირჰემით განისაზღვრა.

არაბთა მიერ სასანიანთა ირანის დედაქალაქის აღებამ და მისმა დანგრევამ ირანის მოსახლეობაზე ძლიერი შთაბეჭდილება მოახდინა. ირანში, როგორც იქნა, მიხვდნენ, რომ არაბთა შემოსევა მარტო ყაჩაღური თავდასხმა კი არაა, არამედ სერიოზული და ძლიერი მტრის შემოსევა. იეზდიგერდ III და მისი გარემოცვა ყველაფერს აკეთებდნენ დიდი ჯარის შესაგროვებლად და არაბებთან მეორე დიდი ბრძოლის გასამართად. არაბთა მიერ ხულოვანისა და სუზისტანის დაპყრობის შემდეგ, ირანელთა ჯარმა თავი მოიყარა ნეჰავენდთან — მიდიის ცენტრში. არსებითად, ეს იყო არა რეგულარული ჯარი, არამედ იეზდიგერდ III-ის მოწოდებით არაბთა მიერ ჯერ კიდევ დაუპყრობი პროვინციებიდან მოგროვილი სახალხო ლაშქარი. შაჰინშაჰის მხედრებს გარდა (მიდიელები და ისპაანელები) ნეჰავენდთან მოვიდნენ რაზმები ხორასანიდან, სისტანიდან, ფარსიდან, კასპიისპირეთის პროვინციებიდან, აგრეთვე — ბელუჯების სახალხო ლაშქარი ქირმანიდან. წყაროები ამ ლაშქრის სხვადასხვა რიცხვს ასახელებენ (60000, 100000, 150000 კაცი). ეს არაერთგვაროვანი სახალხო ლაშქარი ლეგენდარული კავას დროშის ქვეშ გაერთიანდა.

როგორც ვხედავთ, ირანელები სერიოზულად ემზადებოდნენ გადამწყვეტი ბრძოლისათვის. ამავე დროს, არაბებიც აგროვებდნენ დიდძალ ჯარს, რადგან ირანელებთან ახალი ბრძოლა

სერიოზულ მომზადებას მოითხოვდა. გადმოცემის თანახმად, ომარმა დახმარებისათვის მიმართა აღგილობრივი არაბული და ირანული ტომების (სუფისტანსა და ფარსში მცხოვრებ) ბელადებს. ისინი, თითქოს, მაშინვე გამოეხმაურნენ ამ მოწოდებას.

ხალიფამ მუსლიმთა გაერთიანებული ჯარის სარდლად დანიშნა წინასწარმეტყველის ერთ-ერთი თანამებრძოლი ნუმან იბნ მუკარრანი, რომელსაც იმ დროს ქაშგარის ოლქის მთავარი სარჯთამკრეფი მოხელის თანამდებობა ეკავა.

სასანიანთა ჯარის ძირითადი ძალები მოგროვდნენ ნეჰავენდის შემოგარენში. ირანელები საგულდაგულოდ ემზადებოდნენ თავდაცვითი ბრძოლებისათვის. ქალაქის მისადგომებთან და სამხედრო ბანაკთან მათ დააყენეს რკინის „კბილები" მოწინააღმდეგის კავალერიის წინააღმდეგ. ბალაძორისა და ტაბარის ცნობების მიხედვით, ქვეითი მეომრები, ხუთ-ხუთი, ათ-ათი კაცი ერთმანეთს გადაებნენ ჯაჭვებით, რათა გამოერიცხათ უკანდახევის ყოველგვარი შესაძლებლობა.

ირანელთა მხრიდან იყო მცდელობა არაბებთან მორიგებისა მათ მიერ ნეჰავენდის სანახების დატოვების თაობაზე; მაგრამ მოლაპარაკებამ არავითარი შედეგი არ გამოიღო; პირიქით, უფრო გაამწვავა მათ შორის ურთიერთობა და აუცილებელი გახადა საკითხის გადაწყვეტა იარაღის ძალით. დაპირისპირებული მხარეები დიდი ხნის განმავლობაში არ იწყებდნენ აქტიურ საომარ მოქმედებას. ირანელები საფრიდან წარმატებით იგერიებდნენ მტრის იერიშებს და არ აძლევდნენ მათ მოახლოვების საშუალებას. არაბებმა სამხედრო ხერხს მიმართეს: მათ მოახდინეს უკანდახევის იმიტაცია; ირანელები მოტყუვდნენ: საფრიდან გამოვიდნენ ღია მინდორში და ჩაებნენ სასტიკ ბრძოლაში, რომელიც რამდენიმე დღე გაგრძელდა. ორივე მხარემ დიდი დანაკლისი განიცადა. უკანასკნელ ომში პირადად მონაწილეობდა ნუმან იბნ მუკარრინი. არაბებმა გაიმარჯვეს, მაგრამ მხედართმთავარი დაიღუპა. არაბებს მხედართმთავრის დაღუპვა არ შეუმჩნევიათ: მათ გააგრძელეს მტრის დევნა. განსაკუთრებით დიდი დანაკლისი განიცადა სპარსელთა ქვეითმა ჯარმა, რომელსაც უკანდახევის საშუალება მოესპო. ირანის ჯარის დანარჩენმა ნაწილმა თავი შეაფარა ციხე-სიმაგრეს, რომელიც ნეჰავენდიდან ორ ფარსანგზე მდებარეობდა, რადგან ქალაქის ციხეში მათთვის

ადგილი აღარ იყო. ირანელთა ჯარის საწილმა ალყაში ჯდომას ღია ადგილას ბრძოლა ამჯობინა, მაგრამ მუსლიმებმა ისინი დაამარცხეს.

ერთ-ერთი დიდგვაროვანი ირანელი, ნეჰაევენდის გამგებელი დინარი ჩაბარდა არაბებს და თავისთვის, ისევე როგორც ქალაქის მცხოვრებთათვის მიიღო „დაცვის სიგელი". ნეჰაევენდმა არაბებს გაუღო ქალაქის კარი. არაბებმა ხელთ იგდეს დიდი დავლა, მათ შორის ხოსრო II-თან დაახლოებული პირის ნაჰვერგანის საგანძური, რომელიც ცეცხლთაყვანისმცემელთა ტაძარში იყო დამალული. ეს მოხდა 642 წლის გაზაფხულზე.

არაბთა მიერ დამარცხებული, დაქსაქსული ირანის სახალხო ლაშქარი და ადგილობრივი მმართველები ეელარ გაერთიანდნენ. მუსლიმებისაგან დევნილმა ირანის ჯარმა ჰამადანისაკენ (ნეჰაევენდიდან 14 ფარსახზე) დაიხია. მათი მთავარსარდალი არაბებს ჩაუვარდა ტყვედ, ხოლო ჯარმა მოასწრო ციხე-სიმაგრეში ჩაკეტვა. სანამ არაბები რუსთაკებს არბევდნენ, ირანელმა მხედართუფროსებმა მიზანშეწონილად ჩათვალეს არაბებთან ზავის დადება. ამით მათ შეინარჩუნეს ჰამადანი და დასთაბუ.

ნეჰაევენდისა და ჰამადანის მაგალითს მიბაძა მთელი მიდიის მოსახლეობამ: სასანიანთა სახელმწიფოს ამ ნაწილში დადებული იქნა სამშვიდობო ხელშეკრულებები. ბალაძორის მიხედვით, არაბებმა ამგვარი ხელშეკრულებების საფუძველზე მოახერხეს დინაევრის, მისაბადანის და მიპრგან-კადაკის დამორჩილება. ნეჰაევენდისა და ჰამადანის დამორჩილების, მიდიაში ფეხმოკიდების შემდეგ არაბებმა გაილაშქრეს სასანიანთა ირანის კასპიისპირეთის პროვინციების დასაპყრობად (642-643 წწ.).

არაბებმა დაიპყრეს ყუმი, ქაშანი და დაიძრნენ რეისაკენ. რეი იყო მიპრანის ცნობილი საგვარეულო სამფლობელო. არაბთა ლაშქრობების დროს რეის მმართველი იყო სიიაპვაპში — ბაჰრამ ჩუბინის შეილიშვილი.

მაგრამ ადგილობრივი მოსახლეობის მორჩილება ყოველთვის სანყრძლიეი არ იყო, რაც კარგად ჩანს ჰამადანის მაგალითზე: როგორც კი არაბებმა ქალაქი დატოვეს, ირანელებმა დაარღვიეს ხელშეკრულება და მათგან თავი გაითავისუფლეს. არაბ ხელისუფლებს დასჭირდა ახალი ლაშქრობის მოწყობა აჯანყებული ქალაქის დასასჯელად და დასამორჩილებლად. არაბებმა მეორე-

ჯერ დაიმორჩილეს ოლქები პამადანიდან ჯარმიდანამდე და დატოვეს იქ თავისი მმართველები, სოლო ქ. პამადანს ალყა შემოარტყეს, ქალაქის მცხოვრებლებმა მათ დაბაჟება სთხოვეს. არაბებმა ეს თხოვნა დაკმაყოფილეს, მაგრამ ბავის პირობები გაცილებით უფრო მძიმე იყო, ვიდრე პირველად. ჰამადანი მეორედ დაიმორჩილეს 644 წელს.

643-644 წწ-ში არაბებმა დაიპყრეს ისპაანი. ნეჰავენდთან ბრძოლას ირანის ისტორიისათვის გადამწყვეტი მნიშვნელობა ქონდა. იეზდიგერდის ხელთ აღარ იყო აღარც ძველი ძალაუფლება და აღარც ავტორიტეტი, რომელიც მის ირგვლივ გააერთიანებდა დაქსაქსულ ძალებს არაბთა წინააღმდეგ საბრძოლველად. მდიდარი ქვეყანა პროვინციის დიდი მარაგით, კარგი შეიარაღებითა და მრავალრიცხოვანი მოსახლეობით აღმოჩნდა ფაქტობრივად ცენტრალური ხელმძღვანელობის გარეშე.

ნეჰავენდთან ბრძოლის შემდეგ ქვეყანა პატარ-პატარა სამფლობელოებად დაიშალა. იმის გასაგებად, თუ როგორ მოხდა ეს ასე სწრაფად, უნდა მოვიგონოთ სასანიანთა სახელმწიფოს ხასიათი VII ს-ის პირველ ნახევარში. თვით ტიტული შაპინ-შაპი იმაგე მიუთითებდა, რომ სასანიანთა ირანში მეფე იყო მეფეთა-მეფე, წვრილ-წვრილ მფლობელთა უფროსი, ფარსში, ხუზისტანში, ქერმანში, ტაბარისტანში, დეილემში, გურგანში, ხორასანში, აზერბაიჯანში ისხდნენ მემკვიდრეობით მფლობელნი ადგილობრივი ტიტულატურით. არაბულენოვანი ისტორიკოსები (ბალაძორი, ტაბარი...), რომელნიც აგვიწერენ არაბთა მიერ ირანისა და შუა აზიის დაპყრობას, ამ მფლობელებს უწოდებენ დეპყანებს. ყოველი ამგვარი დეპყანი სასლში თავს გრძნობდა როგორც ბატონ-პატრონი და მიისწრაფოდა სრულ დამოუკიდებლობისაკენ.

დეპყანების სეპარატისტული ტენდენციები ხელს უწყობდა სასანიანთა სასელმწიფოს დაცემას. შაპინშაპის, როგორც ერთადერთი უზენაესი წინამძღოლის, ირგვლივ შემჭიდროების ნაცელად, მათ დაიწყეს ფიქრი და ბჭობა იმის თაობაზე, რომ იეზდიგერდ III უბედური მეფეა, რომ არაბები ძალიან ძლიერნი არიან და მათი დამარცხება არ შეიძლება, რომ უკეთესია მათთან ბავზე მოლაპარაკება, ვიდრე უშედეგო წინააღმდეგობის გაწევა. დეპყანებამდე მოდიოდა ხმები, რომ დამორჩილების შემთხვევაში,

არაბები, ხარკის გადახდის პირობით, დაიცავენ ხალხის სიცოცხლეს და ქონებას; დაიცავენ ქალაქებს.

ნეპავენდთან ბრძოლის შემდეგ იეზდიგერდ III პატარა რაზმით და უზარმაზარი ამალით (კარისკაცები და პარემი. სულ 1000 კაცი) დაიწყო ქვეყანაში ხეტიალი: იგი ხან ერთ მმართველთან მიდიოდა დახმარების სათხოვად, ხან მეორესთან. მას ყველა პპირდებოდა დახმარებას, მაგრამ რეალურად მცირე ერთგული რაზმისა და ამალის გარდა აღარავინ შერჩა. ფარსში არაბები შეიჭრნენ 644 წ. ზღვიდან — ბაპრეინიდან და სმელეთიდან — ხუზისტანიდან. ფარსის ლაშქარი, რომელსაც სათავეში ედგა ფარსის მარზბანი შეპრეკი, დამარცხდა სისხლისმღვრელ ბრძოლაში რეიშეპრთან, თაეაჯის ახლოს. მაგრამ ფარსის დაპყრობა არაბებმა მხოლოდ 648 წ. მოახერხეს. ზოგიერთმა ქალაქმა, მაგ., ისთაპრიმ, არაბებთან დადებული ხელშეკრულებით შეინარჩუნა პირადი თავისუფლება, სარწმუნოების და ქონების ხელშეუხებლობა. 649 წ. ისთაპრის მცხოვრებნი აჯანყდნენ არაბთა წინააღმდეგ და ამოწყვიტეს გარნიზონი. არაბებმა ქალაქს ალყა შემოარტყეს; აიღეს და დაანგრიეს ისთაპრი, 40000 მამაკაცი გაწყვიტეს, ქალები და ბავშვები ტყვედ წაიყვანეს. ფარსის ირანელი დიდებულების ნაწილი დაემორჩილა არაბებს: მათ შეინარჩუნეს თავიანთი მიწები და ციხე სიმაგრეები. ფარსიდან აკრეფილი ხარაჯა 33 მილიონ დირჰემს უდრიდა, ჯიზია — 18 მილიონ დირჰემს.

იეზდიგერდ III ერთი ოლქიდან მეორეში გადადიოდა: ჯალულიესთან ირანელთა დამარცხების შემდეგ, შაპინშაპი, რომელიც იმ დროს სულვანში იმყოფებოდა, მრავალრიცხოვანი ამალით გაემართა რეისაკენ. რეიში იგი იმყოფებოდა ნეპავენდთან ბრძოლის დამთავრებამდე, შემდეგ მან დატოვა რეი და გაემართა ქვეყნის შუაგულისაკენ. იგი პირველად ისპაანში შეჩერდა, შემდეგ კი ქერმანში. რამდენიმე თვის შემდეგ იგი ხორასანში წავიდა, შეჩერდა ნიშაბურში, მერე კი მერვისაკენ გაემართა. მერვი იყო სასანიანთა ბაგონობის დასაყრდენი ირანის ჩრდ. აღმოსავლეთ ნაწილში. შაპინშაპმა მერვიდან ირანის იმ პროვინციებში, რომლებიც ჯერჯერობით არ იყო არაბთაგან დაპყრობილი, გააგზავნა მაცნეები და მოუწოდა ხალხს არაბთა წინააღმდეგ ბრძოლისაკენ. პასუხად მიიღო ეასალების ერთგულების დამადასტურებელი ცნო-

ბები. შაპინ-შაპის მოწოდებებმა გამოიწვია მთელი რიგი აჯანყებები არაბთაგან დაპყრობილ რეგიონებში (ფარსში, მიდიაში...).

იეზდიგერდმა თავის მუდმივ რეზიდენციად აირჩია მერვი; ქალაქიდან ორი ფარსანგის შანძილზე დააღგმეინა რეიდან წამოღებული ძველი საკურთხეველი და ის აღგილი ბაღებითა და ყვავილნარით გაამშვენიერებინა.

მერვთან არაბების მიახლოებისთანავე, იეზდიგერდმა თავისი რეზიდენცია დატოვა და წავიდა მერვერუდში, საიდანაც მაცნეები გააგზავნა თურქების ხაყანთან, სოღდისა და ჩინეთის მეფეებთან. შემდგომში მოვლენები შემდეგნაირად წარიმართა: სანამ შაპინშაპი მეზობელი მბრძანებლებისაგან დახმარებას მიიღებდა, სალიფას ბრძანებით არაბებს ქუფიდან ახალი მაშველი ძალა მოუვიდათ. არაბმა სარდალმა აპნაფ იბნ კაისმა მერვში დატოვა გარნიზონი და დაიძრა მერვერუდისაკენ, ხოლო იეზდიგერდი იძულებული გახდა დაეხია მერვერუდიდან ბალხისაკენ. არაბებმა ბალხი აიღეს; იეზდიგერდი იძულებული გახდა გადასულიყო ამუ-დარიას მიღმა. აპნაფ იბნ კაისმა თავისი ბანაკი გადაიტანა ბალხში. სორასნის მოსახლეობა ნიშაბურიდან თოხარისტანის უკიდურეს საზღვრებამდე დამორჩილდა არაბებს და მათთან სამშვიდობო ხელშეკრულება დადო.

აპნაფ იბნ კაისი ჯარით მერვერუდში დაბრუნდა; მან ბალხში თავისი ნაცვალი დატოვა. წყაროების ცნობით, ხორასნის დაპყრობა ჯერჯერობით არ შედიოდა არაბთა ხელმძღვანელობის გეგმებში. გადმოცემის მისედვით, ამ ამბავმა – არაბების გამარჯვებამ აღმოსავლეთში, ხალიფა გააბრაზა, რადგანაც ხორასანი მიჩნეული იყო ნეიტრალურ ზონად სახალიფოსა და მომთაბარეებს შორის. სორასნის დაპყრობით არაბები უშუალოდ უმეზობლდებოდნენ მომთაბარე თურქებს.

შაპინშაპმა, ამუ-დარიაზე გადასვლის შემდეგ, სოღდელებისა და თურქებისაგან მიიღო დიდი ჯარი; იგი დამხმარე ჯართან ერთად უკან გადმოვიდა მდინარეზე და მიუახლოვდა ბალხს. არაბი მმართველი სასწრაფოდ დაბრუნდა მერვერუდში. მალე იქ მივიდა შაპინშაპისა და ხაყანის გაერთიანებული ჯარი – გაძლიერებული ბალხისა და თოხარისტანის სახალხო ლაშქრით. არაბთა ჯარში 20000 კაცი იყო; ბალამის მიხედვით, შაპინშაპის ჯარში – 50000 მეომარი. არაბებმა უკან დაიხიეს მთისკენ, რათა მტრისთვის არ

მიეცათ ზურგიდან თავდასხმის საშუალება. დღისით ბრძოლამ არ-
ცერთ მხარეს არ მოუტანა წარმატება. მაშინ არაბებმა შეტევა
ღამით განაგრძეს, რის დროსაც დაიღუპა ხაყანის რამდენიმე
ნათესავი. თურქების რაზმები ბალხისაკენ დაიძრნენ. შაჰინ-შაპი
ბუღის ანაბარად მიატოვეს.

იეზდიგერდ III მიზანშეწონილად ჩათვალა მერვთან მისვლა.
იგი დაემუქრა არაბთა გარნიზონს. არაბები მოემზადნენ თავ-
დაცვისათვის, მაგრამ შაპინშაპმა მხოლოდ ხაზინა და საგანძური
წაიღო: იგი წასვლას აპირებდა თურქებთან ან ჩინეთში. იეზდი-
გერდ III-ის ამ გადაწყვეტილებამ აღაშფოთა ჯარი, რომელმაც
შაპინ-შაპს წაართვა ხაზინა და გააძევა იგი. იეზდიგერდს სხვა გზა
არ პქონდა: მან თავშესაფარი ეძია თურქთა საყანთან. უწი-
სამძღოლოდ დარჩენილმა ჯარმა ხაზინა გადასცა აპნაფ იბნ კაისს
და მიიღო მუსლიმთა მფარველობა. მერვის მარზბანი მახუია აკ-
ონტროლებდა ტერიტორიას ამუ-დარიამდე. მდინარის იქით იწყებ-
ოდა თურქთა სახაყანოს ტერიტორია. მახუიამ თურქთა საყანთან
საიდუმლო ხელშეკრულება დადო, რაც ითვალისწინებდა იეზდი-
გერდის წინააღმდეგ მოქმედებას. არის აზრი, რომ იეზდიგერდი
საერთოდ არ შეუშვეს მერვში: მახუიას ბრძანებით მას ქალაქის
კარი დაუკეტეს. უკანასკნელმა სასანიანმა შაჰინშაპმა ჯარის ნარ-
ჩენები დაკარგა ბალხის რაიონში მომთაბარე თურქებთან შე-
ტაკებაში. იგი გაიქცა და თავი შეაფარა მდ. მურღაბის ნაპირას
მდებარე წისქვილს. ბალამის მიხედვით, იგი მოკლა მეწისქვილემ,
რომელიც დასარბდა მის ტანსაცმელს.

არის ცნობები, რომელთა მისედვითაც, როდესაც მოკლულში
შეიცვნეს სპარსთა მეფე, მერვის მიტროპოლიტმა ილიამ შეაგროვა
ქრისტიანები და მიმართა მათ სიტყვით, რომელშიც ნათქვამი იყო,
რომ იეზდიგერდი შვილია შაპრიარის, შაპრიარი შვილია ხოსრო
II ფარვიზის და ქრისტიანი შირინის, ე.ი. მოკლული მეფეც ქრისტი-
ანია თავისი წარმოშობით. მიტროპოლიტმა მოუწოდა თავის სამ-
წყსოს: ეგლოვათ სპარსთა მეფე და პატივით დაესაფლავებინათ
იგი. მიტროპოლიტის ბაღში ააგეს აკლდამა, სადაც დაასვენეს
იეზდიგერდი.

ბალამის მიხეღვით შაჰინშაპის მოღალატე მარზბანი მახუია
მერვში არაბების მოსელამდე იყო. როდესაც მუსლიმები უკვე
ქალაქის კარიბჭესთან იყვნენ, მახუია გაიქცა ამუ-დარიას იქით და

სიცოცხლის დარჩენილი წლები თურქთა ხაყანთან გაატარა. არაბებმა დაიპყრეს მერვი, პერათი, ბალხი და ამუ-დარიამდე დაამყარეს ისლამის პოლიტიკური ბატონობა. არაბმა მხედართმთავარმა აქნაფმა თავის რეზიდენციად აირჩია მერვერუდი, ხოლო შემდეგ გადასახლდა ქალაქიდან 4 ფარსახის მანძილზე მისოეის სპეციალურად აშენებულ ცისე-სიმაგრეში. ეს მოხდა 651 წელს.

651 წ. იეზდიგერდ III-ის სიკვდილის შემდეგ ირანმა, როგორც დამოუკიდებელმა სახელმწიფომ, ფაქტობრივად შეწყვიტა არსებობა. არაბებს სამხედრო მოქმედება ყველაზე უფრო გაუძნელდათ ირანის ჩრდილო-კასპიისპირეთის მთიან რეგიონებში: ტაბარისტანში, დეილემში, გილიანში, სადაც თავისუფლებისმოყვარე მოსახლეობა დამპყრობლებს წინააღმდეგობას უწევდა და დამოუკიდებელ პოლიტიკურ ცხოვრებას აგრძელებდა; ხოლო გილიანის მთიანი ნაწილის – დეილემის დაპყრობა არაბებმა საერთოდ ვერ შეძლეს.

სისტანში და თოხარისტანში არაბთადმი წინააღმდეგობა გრძელდებოდა VIII საუკუნის დასაწყისამდე. 661 წ. თოხარისტანის (ბალხის ოლქი) დეპყანებმა, რომელთაც მხარს უჭერდნენ დასავლეთის თურქები და ჩინეთი, მეფედ გამოაცხადეს იეზდიგერდ III-ის შვილი პეროზი. საქმე ისაა, რომ VII ს-ში ჩინეთს თვითონ უნდოდა შუა აზიის დაპყრობა, ამიტომაც ყოველნაირად ხელს უშლიდა არაბთა ექსპანსიის გავრცელებას აღმოსავლეთისაკენ. იგი მხარს უჭერდა სორასნისა და თოხარისტანის ბრძოლას არაბი დამპყრობლების წინააღმდეგ. მაგრამ შორეული ჩინეთის დახმარება არ შეიძლებოდა ეფექტური ყოფილიყო. 674 წელს არაბთაგან განდევნილმა პეროზმა თავშესაფრის ძებნა დაიწყო ჩინეთში. უფრო გვიან პეროზის შვილი ნერსე დაბრუნდა თოხარისტანში და სათავეში ჩაუდგა არაბთა წინააღმდეგ ბრძოლას. 707 წ. ბალხი საბოლოოდ დაიპყრეს არაბებმა. ნერსე ჩინეთში გაიქცა.

პეროზი და ნერსე ჩინეთის საიმპერატორო კარზე ოფიციალურად სპარსეთის მეფეებად იყვნენ ცნობილნი. VIII ს-ის დასაწყისში მთელი ირანის ზეგანი, გარდა ქაბულის რეგიონისა და გურის მთიანების ოლქისა (მდ. ხერი-რუდის ზემო წელი) – უზარმაზარი ტერიტორია მდიდარი საკვაჭრო ქალაქებით, მრავალი სარწყავი არხით და დამუშავებული მიწებით, მრავალრიცხოვანი მიწათმო-

ქმედი მოსახლეობით შევიდა ომაელთა არაბული სახალიფოს შეიმაღგენლობაში (661-750 წწ).

აღსანიშნაკია, რომ არაბთა მიერ ირანის დაპყრობას შეღეგად მოპყვა დამარცხებული სასანიანთა სასელმწიფოდან მიგრაცია აღმოსავლეთში. წყაროები მოგვითხრობენ ზოროასტრელთა თემების შესახებ ინდოეთში, შუა აზიაში, ჩინეთში, იაპონიაშიც კი.

თავი IV

ირანი VII საუკუნის II ნახევარსა და XI საუკუნის პირველ მესამედში

§1. ირანი ომაელთა სახალიფოს შემადგენლობაში

651 წ. იეზდიგერდ III სიკვდილის შემდეგ სასანიანთა ირანმა შეწყვიტა არსებობა როგორც დამოუკიდებელმა სახელმწიფომ. არაბებს საომარი მოქმედება განსაკუთრებით გაუძნელდათ ირანის ჩრდილოეთ რეგიონებში — კასპიისპირეთის მთიან ოლქებში: ტაბარსიტანში, დეილემში, გილიანში, სადაც თავისუფლებისმოყვარე მოსახლეობა მათ სასტიკ წინააღმდეგობას უწევდა და დიდი დროის განმავლობაში აგრძელებდა თითქმის დამოუკიდებელ პოლიტიკურ ცხოვრებას. აღსანიშნავია, რომ გილიანის მთიანი ნაწილი — დეილემი არაბთა მიერ არასოდეს ყოფილა დაპყრობილი. სისტანში და თოხარისტანში არაბებს წინააღმდეგობას VIII ს-ის დასაწყისამდე უწევდნენ. 661 წ. თოხარისტანის (ბალხის ოლქი) დეპყანებმა, რომლებსაც მსარს უჭერდნენ დასავლეთის თურქები და ჩინეთი, ირანის მეფედ გამოაცხადეს იეზიდგერდ III-ის შვილი უფლისწული პეროზი. საქმე ისაა, რომ ჩინეთის იმპერია VII ს-ში თვითონ ცდილობდა მავერანაჰრის დამორჩილებას, მას არ აწყობდა არაბთა ექსპანსიის გაფართოება; სწორედ ამიტომ, ჩინეთი მსარს უჭერდა ხორასნისა და თოხარისტანის ბრძოლას არაბთა წინააღმდეგ; მაგრამ შორეული ჩინეთის დახმარება ნაკლებეფექტური იყო. 674 წ. არაბთაგან შევიწროებულმა პეროზმა თავშესაფარი ჩინეთში ეძია. პეროზის შვილი ნერსე უფრო მოგვიანებით დაბრუნდა თოხარისტანში: იგი არაბთა წინააღმდეგ ბრძოლას ჩაუდგა სათავეში. 707 წ. ბალხი საბოლოოდ დაიპყრეს არაბებმა. ნერსე ჩინეთში გაიქცა. ჩინეთის იმპერატორმა პეროზი და ნერსე ოფიციალურად სცნო ირანის შაპინ-შაპებად. VII ს-ის დასაწყისისათვის მთელი ირანის ზეგანი, გარდა ქაბულის რეგიონისა და გურის ოლქისა ომაელთა სახალიფოს შემადგენლობაში მოექცა.

არაბი დამპყრობლები კულტურული დონით დაბლა იდგნენ მათ მიერ დაპყრობილ ირანელებზე. არაბებმა ირანში მოიტანეს

მხოლოდ და მხოლოდ მდიდარი არაბული ენა და ახალი რელიგია — ისლამი. მათ არ ჰქონდათ დიდი მასშტაბის სახელმწიფოს მართვის გამოცდილება, არ ჰყავდათ საქმის მცოდნე და გამოცდილი მოხელეები, ამიტომაც ისინი იძულებულნი იყვნენ თავიანთი მოთხოვნებისათვის მიესადაგებინათ ირანში არსებული პოლიტიკური წყობა და ტრადიციები.

არაბები დაპყრობილ ქვეყნებში დაინტერესებული იყვნენ, უპირველეს ყოვლისა, დამორჩილებული მოსახლეობის „ჭამით". VIII ს-ის არაბები ხალიფა ომარ I მიაწერენ სიტყვებს: „მუსლიმები ჭამენ მათ (დამორჩილებულებს), სანამ ისინი ცოცხლები არიან; როცა ჩვენც და ისინიც დავიხოცებით, ჩვენი შვილები შეჭამენ მათ შვილებს, სანამ ისინი ცოცხლები იქნებიან". როგორც იტყვიან, კომენტარი ზედმეტია. დაპყრობები მიზნად ისახავდა არაბთა სახალიფოს გაბატონებული ზედაფენის ცხოვრების უზრუნველყოფას დაპყრობილი ხალხების (კოპტები, სირიელები, სპარსელები, სოღდები, სორეზმელები, სომხები, ქართველები და სხვ.) ხარჯზე. ირანი მდიდარი ქვეყანა იყო და იქიდან უნდა ამოექაჩათ რაც შეიძლებოდა მეტი დოვლათი. ომების პროცესში ეს დოვლათი არაბებს ხელთ უვარდებოდათ დავლის სახით. სალაშქროდ მიმავალ არაბებს თან მიჰყავდათ ალაფისა და ნადავლის გასანაწილებლად გამოყოფილი სპეციალური მოხელეები, რომლებსაც არაბი მეომრები აბარებდნენ ნაძარცვს, რასაც შემდეგ მეომრებს შორის ანაწილებდნენ; ამავე დროს, თვალყურს ადევნებდნენ, რომ განაწილების პრინციპი არ დარღვეულიყო. მოგვაქვს ერთი მაგალითი ალაფისა და ნადავლის განაწილებისა: ომაელთა მხედართმთავარმა 716 წ. დაამარცხა და შეიპყრო თურქთა პატარ მეფე სულა ბუხეირაში (ქალაქი კასპიის ზღვის სანაპიროზე, გურგანის სპარსული ოლქის მოსაზღვრედ), სადაც ხელთ იგდო აურაცხელი დოვლათი. ხალიფა იაზიდ II დანიშნა ვინმე იდრის იბნ ხანშალუ ამ დავლის აღსარიცხავად და მეომრებისათვის დასარიგებლად. ნადავლი დათვალეს ტომრების სახით და კანონის თანახმად დაურიგეს მეომრებს.

სამხედრო ნადავლთან ერთად არაბები იყენებდნენ აგრეთვე ხარკის — გადასახადის თავდაპირველი და პრიმიტიული ფორმის პრინციპსაც. გადასახადი შეწერილი ჰქონდა იმ ოლქებს და მიწებს, რომლებიც ახლად იყო დაპყრობილი არაბთა მიერ, ანდა რომლე-

ბიც წინააღმდეგობის გარეშე დამორჩილდნენ. არაბი ისტორიკოსები მოგვითხრობენ, რომ მერეს, რომელიც 651 წელს ნებაყოფლობით ჩააბარა არაბებს მარზბანმა მახუიამ, უნდა გადაესადა 1000000 დირჰემი ფულად და სხვა სიმდიდრე, მათ შორის 200 ჯერიბი პური და ქერი. ბალაძორისთან ჩამოთვლილია ის საგნები, რომლებიც ხელშეკრულების თანახმად შერეული ფორმით უნდა გადაესადათ ირანის ცალკეული ოლქების მბრძანებლებს (ნატურით და ფულადი სახით, ნატურალური ნაწილის აშკარა უპირატესობით). არაბ დიდებულებს უმთავრესად მონები (ახალგაზრდა მამაკაცები და ქალები), მატყლი, ბამბა, ქსოვილები, მარცვლეული, საქონელი, ცხენები, ტყავეული, იარაღი, ოქრო-ვერცხლი სჭირდებოდათ. VII ს-ში ირანში მიმოქცევაში იყო ვერცხლის მონეტა დრაქმა, რომელსაც არაბები დირჰემს უწოდებდნენ. ამ მონეტის ფასი ოქროს კურსით უღრიდა 25 კაპ. ფული ქვეყანაში, განსაკუთრებით ირანის აღმოსავლეთ რეგიონებში ცოტა იყო. მისი მსყიდველობითი უნარი მაღალი იყო. როდესაც IX-X სს არაბ ისტორიკოსთა მონათხრობში დამორჩილებული ირანის პირველი წლების ხარკის რაოდენობის უზარმაზარი ციფრებია დასახელებული (ფულადი ხარკის სახით), ეს უნდა გავიგოთ არა როგორც რეალური ფული, არამედ როგორც პირობითი ერთეული, რომელიც გამოიყენებოდა ნატურალური გადასახადების შეფასებისა და ანგარიშის აღსანიშნავად. პრიმიტიული გადასახადი, როგორც გადახდის ფორმა, არ აკმაყოფილებდა ახალგაზრდა არაბულ სახელმწიფოს, რადგანაც მასში ბევრი იყო შემთხვევითობის ელემენტები. დამორჩილებული მოსახლეობის ექსპლოატაციის უფრო საიმედო აღრიცხვას დაქვემდებარებული ფორმა არაბმა ხელისუფლებმა მზამზარეული სახით ნახეს ირანში. სასანიანთა ხანაში მიწისმოქმედი იხდიდა მიწაზე დადებულ გადასახადს – სარაგს და სულადობრივ გადასახადს – გეზითს. არაბმა ხელისუფლებმა გაითვალისწინეს ირანული საგადასახადო სისტემის დადებითი მხარეები და გაეაწყვიტეს თავიანთი ინტერესებისათვის მათი გამოყენება. არაბებმა „ხარაგ“ „ხარაჯად“ აქციეს, ხოლო „გეზით“ – „ჯიზიად“. VIII ს-ის დასაწყისამდე არაბი ხელისუფლები ამ ორი ტერმინის შინაარსს მკვეთრად არ ანსხვავებდნენ: „ხარაჯს“ მიიჩნევდნენ მიწაზე დადებულ გადასახადად, „ჯიზიას“ კი – სულადობრივად, ზოგჯერ კი პირიქით („ხარაჯა“ სულადობრივ გადასახადს აღნიშნავდა, „ჯიზია“

კი — მიწაზე დაღებულის). მყარი შინაარსი ამ ტერმინებმა შეიძინა მხოლოდ აბასიანთა დროს.

ისლამისწინანდელი და ისლამის ხანის მონაცემების შედარებამ გვიჩვენა, რომ არაბებმა მიწაზე დაღებული გადასახადის რაოდენობა გააღიდეს. ამის შესახებ შეიძლება მსჯელობა ერაყის (მესოპოტამიის) მაგალითზე. ეს უმდიდრესი რეგიონი სასანიანთა დროს, VI ს-ში, გადასახადების სახით ყოველწლიურად 214 მილიონ დირჰემს იძლეოდა. არაბმა დამპყრობლებმა დააწესეს ხარაჯა შემდეგი რაოდენობით: 1 ღერიბ ხორბლით დათესილ მიწაზე დაწესებული იყო ხარაჯა 4 დირჰემის რაოდენობით 1 ღერიბ ქერის ნათესზე — 2 დირჰემი (ხოსრო ანუშირვანის დროს 1 ღერიბ ხორბლის ან ქერის ნათესზე დაწესებული იყო მხოლოდ 1 დირჰემი გადასახადი), 1 ღერიბ ფინიკის პალმაზე — 8 დირჰემი, 1 ღერიბ ვენახზე — 6 დირჰემი. ერაყში აკრეფილი გადასახადების საერთო რაოდენობა 120 მილიონი დირჰემიდან (ხალიფა ალის დროს) სწრაფად დაეცა 100 მილიონ დირჰემამდე (ომაელი ხალიფა მოაეიას დროს). VIII ს-ის ბოლოსათვის სახალიფოს აღმოსავლეთის პროვინციების მმართველის სასტიკი ღონისძიებების წყალობით შემოსავალი დროებით გაიზარდა 135 მილიონ დირჰემამდე, მაგრამ უკანასკნელი ომაელების დროს კვლავ დაეცა 70 მილიონ დირჰემამდე (ე.ი., ანუშირვანის ეპოქასთან შედარებით სამჯერ შემცირდა). უკვე VII ს-ში, დამორჩილებული სპარსელები სარწყავი და დამუშავებული მიწებიდან იხდიდნენ მთელი მოწეული სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის 1/4 -დან 1/3-მდე.

მუსლიმური რელიგიის პრინციპის მიხედვით „ჯიზია“ ანუ სულადობრივი გადასახადი აიღებოდა მხოლოდ „ურწმუნოებისაგან“. ვინც ისლამს მიიღებდა, ამ გადასახადს არ იხდიდა. არაბთა დაპყრობების პირველ ათწლეულში „ხარაჯაც“ მხოლოდ არამუსლიმებისაგან — ზოროასტრელების, ქრისტიანების და იუდეველებისაგან აიღებოდა იმ შემთხვევაში, თუ ისინი მიწას ამუშავებდნენ. მუსლიმები კი, თუ ისინი ფლობდნენ მიწას ისდიდნენ მეათედს (არაბ. უშრ), ე.ი., გაცილებით ნაკლებს, ვიდრე არამუსლიმები. მაგრამ 700 წ. სახალიფოს აღმოსავლეთის პროვინციების გამგებელმა ენერგიულმა, ძუნწმა, უაღრესად სასტიკმა ჰაჯაჯ იბნ იუსუფმა გამოსცა ბრძანება, რომლის თანასმადაც ახლად გამუსლიმებული სპარსელები, ებრაელები და სხვა არაარაბები არ თავისუფლდებოდნენ

სარჯას გადასდისაგან. დადგენილი წესის თანახმად ხარაჯათი აღრე დაბეგრილი მიწა ხარაჯას მიწად რჩებოდა სამუდამოდ (იმ შემთხვევაშიც კი, თუ მიწისმფლობელი შემდეგ მიიღებდა ისლამს). 700 წლის კანონმა გლეხთა დიდი მღელვარება გამოიწვია.

IX-X სს-ის არაბულ წყაროებში ცნობები არის იმის თაობაზე, რომ დაპყრობების შემდეგ პირველი ათი წლის განმავლობაში, არაბებმა გადასახადების აკრეფა დააკალეს დამორჩილებულ აღგილობრივ მფლობელებს. არაბებს აინტერესებდათ სხვადასხვა მატერიალური უპირატესობის მხოლოდ რაოდენობა, ხოლო ვინ და როგორ მოაგროვებდა ამ სიმდიდრეს, მათთვის სულერთი იყო. ბალაძორი მოგვითხრობს, რომ ხალიფა ალიმ გამოიძახა ქუფაში მერვის გამგებელი მახუია და მასთან ისაუბრა გადასახადების აკრეფის შესახებ. ისინი შეთანხმდნენ იმაზე, რომ ხალიფა ალი გამოსცემდა განსაკუთრებულ სიგელს, რის საფუძველზეც დეპყანები და სოფლის უხუცესები გადაიხდიდნენ ჯიზიას (სიგელის ტექსტიდან არ ჩანს ამ კონკრეტულ შემთხვევაში რას გულისხმობდა „ჯიზია" — მიწაზე დადებულ გადასახადს, თუ სულადობრივს), ხოლო მახუია მას (ე.ი. „ჯიზიას") გადასცემდა ხალიფას. ამგვარად, დეპყანები ძალაუნებურად ხდებოდნენ არაბთა მიერ საკუთარი თანამოძმეების ექსპლოატაციის საქმეში თანამონაწილენი. მამასახლისები და დეპყანები გადასახადების აკრეფაზე პასუხისმგებელნი იყვნენ, მაგრამ ეს მათთვისაც ხელსაყრელი იყო, რადგანაც სოფლის მეურნეობის პროდუქტების და ხელოსნური ნაწარმის არცთუ მცირე ნაწილი მათაც რჩებოდათ. არაბთა ხელში მახუია იქცა ირანელი მიწისმოქმედთა ექსპლოატაციის იარაღად, რომელმაც, ისევე, როგორც არაბთადმი დამორჩილებულმა მსხვილმა მიწისმფლობელებმა, შეინარჩუნა თავისი სიმდიდრე, მიწები და უძრავ-მოძრავი ქონება.

გადასახადების აკრეფის ზემოაღნიშნული სისტემის მთელი სიმძიმე ტვირთად დააწვა მიწისმოქმედთ. სასანიანთა დროს მათ ექსპლოატაციას უწევდნენ მსხვილი მიწისმფლობელები და სახელმწიფო. არაბთა ბატონობის დროს მათ ძველებურად ექსპლოატაციას უწევდნენ სახელმწიფო და მიწისმფლობელნი, მაგრამ ხარაჯასა და ჯიზიას რაოდენობა სასანიანთა დროსთან შედარებით გაცილებით დიდი იყო. დეპყანებისა და სოფლის მამასახლისებისათვის გადასახადების აკრეფის უფლების გადაცემამ გლეხები კიდევ უფრო დამოკიდებული გახადა გაბატონებულ კლასზე.

გლეხთა მღვომარეობა იმითაც გაუარესდა, რომ არაბები უფრო მეტად, ვიდრე წინანდელი სასანიანი მოხელეები სოფლის ძოსახლეობისაგან მოითხოვდნენ სხვადასხვა ფეოდალური ვალდებულებების შესრულებას (არხების გათხრა და გაწმენდა, გზების გაყვანა, ცისე-სიმაგრეების აშენება, მეჩეთებისა და არაბი დიდკაცების სასახლეების აგება და სხვ.).

მიწისმოქმედთა მდგომარეობა აუტანელი გახდა, როდესაც ხალიფებმა პრაქტიკაში შემოიღეს გლეხების დაბეჭდვა. ყველა გლეხს, რომელსაც ევალებოდა ჯიზიას და ხარაჯას გადახდა კისერზე შებმული ჰქონდა ტყვიის ბეჭედი, რომელზეც ამოტვიფრული იყო, თუ რომელი რუსთაკიდან, ან სოფლიდან იყო ესა თუ ის კაცი. თუ გლეხი, გადასახადების გადახდის თავის არიდების მიზნით, სხვა სოფელს შეაფარებდა თავს, მას იჭერდნენ და თავის საცხოვრებელ ადგილზე აბრუნებდნენ. თუ გლეხი ბეჭდის გარეშე გამოჩნდებოდა, მას აპატიმრებდნენ როგორც მაწანწალას. ამ ბეჭდებს მათ ხსნიდნენ გადასახადის მთლიანად გადახდის შემდეგ და კვლავ აბამდნენ კისერზე, როდესაც ახალი მოსავლის აღების დრო დადგებოდა. „დაბეჭდვის" სისტემის წყალობით გლეხები ვერ არიდებდნენ თავს ჯიზიასა და ხარაჯას გადახდას. ეს წესი, რომელიც გვაგონებს მონების დადაღვას, ირანის მოსახლეობას, რომელსაც ჯერ კიდევ კარგად ახსოვდა თავისუფალი სასოფლო თემის აღათ-წესები, შეურაცხყოფდა. „დაბეჭდვა" გავრცელებული იყო არაბთა მიერ დაპყრობილ ყველა ქვეყანაში: ეგვიპტეში, მესოპოტამიაში, არმენიაში, აზერბაიჯანში, ირანსა და შუა აზიაში.

§2. სოციალური ურთიერთობა ირანში VII–VIII ს-ის პირველ ნახევარში

არაბ დამპყრობლებს ირანში თან არ მოუტანიათ საზოგადოებრივი ურთიერობის ახალი ფორმები. სასანიანთა ღროს დაწყებული ირანის ფეოდალიზაციის პროცესი გაგრძელდა არაბთა დაპყრობების შემდეგაც. მაგრამ არაბთა დაპყრობებმა ეს პროცესი შეანელა. საქმე ისაა, რომ სახალიფოს დაპყრობით ომებს ირანში, ისევე, როგორც სხვა დაპყრობილ ქვეყნებში თან ასლდა მშვიდობიანი მოსახლეობის დიდი რაოდენობით დატყ-

ვეფეება და მონებად გადაქცეეა. მათი შრომა (მონის შრომის სახით) გამოიყენებოდა სოფლის მეურნეობაში, საირიგაციო სამუშაოებზე, საქონლის სამწყესაეად, მაღაროებში, სახელოსნოებში. მხოლოდ არაბთა ზეღაფენა აღმოჩნდა თანდათანობით ჩაითრეული წინა და შუა აზიაში მიმდინარე ფეოდალიზაციის საერთო პროცესში.

არაბთა დაპყრობებს თან ახლდა ქვეყნის მიწების ფონდის გადანაწილება. მიწების დიდი ნაწილი (დეპყანების, არაბთა წინააღმდეგ მებრძოლი დიდებულების, სასანიანთა სახელმწიფოს, სასანიანთა დინასტიის წევრთა და ზოროასტრელთა ტაძრების მიწები) გამოაცხადეს მუსლიმური თემის საერთო საკუთრებად (ფაი). არსებითად, ეს მიწები იქცა არაბთა სახელმწიფოს საკუთრებად. არაბთა დაპყრობების შემდეგ ირანში სათემო მიწები მიჩნეული იქნა სახელმწიფოს საკუთრებად. გლეხები ითვლებოდნენ სახელმწიფო მიწების მხოლოდ მჭერებად და იხდიდნენ ხარაჯას.

მიწაზე სახელმწიფო საკუთრება იყო წამყეანი ფორმა მიწაზე ფეოდალური საკუთრებისა, რამდენადაც თვითონ სახელმწიფო იყო ორგანიზაცია და იარაღი მმართველი კლასისა — გა-ფეოდალების გზაზე დამდგარი არაბი დიდებულებისა. ირანში, ისეეე, როგორც ახლო აღმოსაელეთის ბევრ ქვეყანაში, მიწაზე სახელმწიფო საკუთრება იყო უმთავრესი (მაგრამ არა ერთადერთი) ფორმა ფეოდალური მიწის საკუთრებისა. სახელმწიფო თავისი სამოხელეო აპარატის საშუალებით ექსპლოატაციას უწეეღა გლეხებს, იღებდა მათგან რენტა-გადასახადებს, რაც შემდეგ მეტწილად ჯამაგირის, პენსიის, სუბსიდიის და საჩუქრების სახით გადადიოდა მსახურეული პირების და დამპყრობელთა ზედაფენის ხელში. ესენი უყრიან საფუძველს ჩამოყალიბების პროცესში მყოფ ფეოდალთა კლასს. ამასთანავე, სახელმწიფო იყო მესაკუთრე სარწყავი ნაგებობებისა და წყლის რესურსებისა. ამგვარად, მიწა და წყალი — წარმოების ძირითადი საშუალებები მეტწილად ეკუთვნოდა სახელმწიფოს, რაც სახელმწიფოს ხელს უწყობდა ძლიერი ცენტრალიზებული აპარატის შექმნაში.

გარდა სახელმწიფო საკუთრებისა, არსებობდა აგრეთვე მიწაზე კერძო ფეოდალური საკუთრება (მულქი). ეს იყო მიწები გადასული არაბი დიდგვაროვნების საკუთრებაში, აგრეთვე იმ სპარსელ დეპყანთა მიწები, რომლებიც ხელშეკრულების საფუძველზე დამორ-

ჩილდნენ არაბებს. ამ მიწების გაყიდვა და მემკვიდრეობით გადაცემა შეიძლებოდა. როგორც არაბ, ისე კერძო მიწათმფლობელთა მიწებზე (აგრეთვე სახელმწიფო მიწებზე) გლეხთა ფეოდალური ექსპლოატაცია არცთუ იშვიათად გადაჯაჭვული იყო მონების შრომის ექსპლოატაციასთან (ირანში ბევრი მონა იყო).

არაბთა სახალიფოს ბატონობის წინააღმდეგ სახალხო მოძრაობა ირანში ადრე დაიწყო. განსაკუთრებით ძლიერი იყო სახალხო მოძრაობა დამპყრობთა წინააღმდეგ ხორასანსა და მავერანაპრში (არაბ. „ზღინარის – ამუ დარიას იქითა მხარე". შუა აზია).

ჰაჯაჯ იბნ იუსუფმა ახლო აღმოსავლეთში ცუდი სახელი დატოვა. ეს იყო უკიდურესად ხარბი და სასტიკი მმართველი, რომელიც თელიდა, რომ სალხის მართვა შეიძლება მხოლოდ ძალით და მზაკვრობით. მან სასტიკი ღონისძიებებით აიძულა ირანის მიწისმოქმედი მოსახლეობა აღედგინათ არსები და დაემუშაევებინათ მიტოვებული მიწები. არცერთ არაბ მმართველს არ ამოუქაჩაეს მოსახლეობიდან იმდენი გადასახადი (სარაჯა, ჯიზია) და არ მოუთხოვია აუტანელი ფეოდალური ვალდებულებების შესრულება, როგორც მას. მაგრამ ჰაჯაჯმა მხოლოდ მოჩვენებით მიაღწია სალხის „დაშოშმინებას". 701 წ. ხალიფასა და მისი მოადგილის ჰაჯაჯის წინააღმდეგ აჯანყდა მხედართმთავარი აბდ არ-რაჰმან იბნ ალ-აშასი. აჯანყებულებს შეუერთდა ერაყში ჩაყენებული არაბთა ჯარი და ხალხის მასა (არაბები და არაარაბები). აჯანყებულებმა დაამარცხეს ხალიფას ჯარები, აიღეს ქუფა და ბასრა. ხალიფამ დიდი გაჭირვებით მოახერხა ამ აჯანყების ჩაქრობა (702 წ.).

არაბებმა გაითვალისწინეს დაპყრობილი ირანელების აჯანყებები დამპყრობთა წინააღმდეგ, ამიტომაც დაიწყეს თავიანთი გარნიზონების ჩაყენება დიდ და პატარა ქალაქებში. ამასთანავე, განსაკუთრებით მნიშვნელოვან ქალაქებში ასასლებდნენ არაბ მოახალშენეებს. ქალაქებში სახლდებოდნენ არა მარტო არაბი მხედართმთავრები და სამოქალაქო ბიუროკრატიის წარმომადგენლები ან მუსლიმი სასულიერო პირები (ეს უკანასკნელნი, პირველ ხანებში მხოლოდ და მხოლოდ არაბები იყვნენ), არამედ მეომრებიც. არაბი მოახალშენეები ოჯახებით სახლდებოდნენ, ასე რომ ახლად დაპყრობილ მიწებზე დასახლებულ არაბთა რიცხვი საკმაოდ დიდი იყო. ირანში არაბთა მიგრაციის პროცესი, უპირველეს ყოვლისა, დაკავშირებული იყო დაპყრობით ომებთან, მაგრამ

დაპყრობების შემდეგაც, არაბთა ჯაელენის გაბრდის მიზნით, სახალიფო ირანში აკბავნიდა ახალ-ახალ მოახალშენეებს. ასე, მაგ., პირველი ომაელი ხალიფა მოაეიას დროს, 671/2 წ. ერაყის გამგებელმა, რომელიც ქუფიდან განაგებდა სახალიფოს აღმოსავლეთ ოლქებს, 50000 არაბი მეომარი ოავიანთი ოჯახებით ჩაასახლა ნიშაბურში, მერეში, ბალხში და ხორასნისა და თოხარისტანის სხვა ქალაქებსა და სოფლებში (მისცა მათ მიწები და სახლები).

არაბთა ჩამოსახლებას ირანში ხალხთა მასები, ქალაქებისა და სოფლების მოსახლეობა დიდ წინააღმდეგობას უწევდა. მსხვილი მიწათმფლობელები აღვილად შეურიგდნენ დამპყრობლებს. არაბები ცდილობდნენ დეჰყანებთან საერთო ენის გამონახვას: უტოვებდნენ მათ ძველ სოციალურ პრივილეგიებს, უპირველეს ყოვლისა — მიწებს. ამით არაბებმა დეჰყანები თანამონაწილეებად გაისადეს გლეხთა ექსპლოატაციის საქმეში. ზოგიერთი მათგანი არა მარტო შეეგუა დამპყრობლებთან სამსახურს, არამედ დაუნათესავდა კიდეც მათ. ხალხი ალმაცერად უყურებდა ამ რენეგატებს და აჯანყებების დროს, არაბებთან ერთად, მათაც ხოცავდა. არაბი ხალიფები ხელს უწყობდნენ ირანში არაბი არისტოკრატიის ხელში მიწების გადასვლას. ასე, მაგ., ხალიფა იაზიდ I (680-683 წწ). ნეჰაევნდის, დინავერის და ხულოვანის არაბ გამგებელს აჩუქა საკუთრივ დინავერის რაიონში დიდი მიწები, საღაც ამ უკანასკნელმა ციხე-სიმაგრე ააშენა. ზოგიერთი არაბი მმართველი თვითონ უკაეშირდებოდა აღგილობრივ არისტოკრატიას: ისინი იღებდნენ აღგილობრივ ტრადიციებს, ბაძავდნენ აღგილობრივ ღიდებულებს ჩაცმა-დახურვაში; ასრულებდნენ ღვესასწაულების ცერემონიალს: მაგ., ხორასნის მმართველი ასად იბნ აბდალაჰი მხარს უჭერდა ზოგიერთი ძველი სპარსული ღვესასწაულის აღნიშვნას. ტაბარი მოგვითხრობს, რომ ასაღმა მიჰრგანის ღვეს (შემოდგომის ბუნიობის ღვესასწაული) მოაწყო აღგილობრივი დეჰყანების და არაბი მხედართმთავრების მიღება. დამასასიათებელია, რომ ამ ღვეს სპარსელმა დეჰყანებმა ასად იბნ აბდალაპს ისეთი საჩუქრები მიართვეს, როგორიც წინათ მიპქონდათ აღგილობრივ მბრძანებელთან.

არაბი არისტოკრატია დაპყრობილ ხალხთა შორის ისლამის გავრცელებას დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა. ისინი ისლამში სედავდნენ თავიანთი ძალაუფლებისადმი ხალხის დამორჩილების

იარაღს. სსვანაირად არც შეიძლებოდა რომ ყოფილიყო. ხალიფა იყო არა მარტო საერო სელისუფალი (ამირა), არამედ წინასწარმეტყველ მუჰამედის მოადგილე სულიერი ცხოვრების სფერომი (იმამი). აქედან გამომდინარე, სსვა რელიგიის აღმსარებელი თუ გამუსლიმდებოდა, ახალი რელიგიის მიხედვით, ეალდებული იყო ერწმუნა ხალიფას და მისი მოადგილეების ავტორიტეტი და ძალაუფლება. პირველ ხანებში მხოლოდ მსხვილი ვაჭრები და არისტოკრატიის ზოგიერთი წარმომადგენელი იღებდა ნებაყოფლობით ისლამს. მაგრამ ომაელთა დროს ყოფილი არამუსლიმები, კერძოდ სპარსელი – ზოროასტრელები, გამუსლიმების შემდეგაც თავიანთი უფლებებით არ იყვნენ გათანაბრებული არაბებთან. ასე, მაგ., სპარსელი დეპყანები არაბთა ჯარში თავიანთი ლაშქრით შესვლის შემთხვევაშიც კი, არაბი მეომრების ყველა უფლებებით არ სარგებლობდნენ; იმ დროს, როდესაც არაბი მეომარი გარდა დავლის გარკვეული წილისა, იღებდა ჯამაგირს, ახლად გამუსლიმებული არაარაბები ჯამაგირს არ იღებდნენ: მათ უფლება ჰქონდათ მხოლოდ დავლის წილის მიღებისა. VII-VIII სს-ში არაბებს შენარჩუნებული ჰქონდათ გვაროვნულ-ტომობრივი წყობის გადმონაშთები, ამდენად ახალ გამუსლიმებული არაარაბი ვალდებული იყო გამხდარიყო „კლიენტი“ (არაბ, მაულა, მრ. მავალი) ამა თუ იმ არაბული გვარისა თუ ტომისა.

სპარსელი მავალების ფენა VIII ს. ირანში საკმაოდ მნიშვნელოვანი იყო; მათ არაბებს გადასცეს ირანული კულტურის და სახელმწიფოს მართვის ირანული ტრადიციების მიღწევები. ამდენად, მავალები დიდ როლს ასრულებდნენ ახალგაზრდა არაბული სახელმწიფოს ცხოვრებაში: მაგ., ხორასანელი სულეიმან იბნ აბუ-ს სარი, რომელიც გამუსლიმების შემდეგ გახდა „კლიენტი“ უვაფას არაბული ტომისა, ხალიფა ომარ II-ის დროს (717-720 წწ) არაბებს დაეხმარა ხორასანსა და მავერანაპრში ფოსტის მოწყობაში. სახელმწიფო ფოსტა (ბერიდი) დიდ როლს ასრულებდა არაბთა სახელმწიფოს ცხოვრებაში, რამდენადაც იგი უზრუნველყოფდა სახალიფოს ცენტრის – დამასკოს სწრაფ კავშირს მოშორებით მდებარე პროვინციებთან.

ფოსტა ირანში ჯერ კიდევ სასანიანთა დროს მაღალ დონეზე იყო მოწყობილი. მას ჰქონდა ძველი ტრადიციები, რომელთა ფესვები აქემენიანთა ხანაში არის საძიებელი. არაბმა მმართველებმა

და მხედართმთავრებმა სწრაფად აულეს ალღო საფოსტო სამსახურის სარგებლიანობას, ამიტომაც ისინი კატეგორიულად მოითხოვდნენ საფოსტო სადგურებისა და საფოსტო გზების აღდგენა-შეკეთებას, რაც გლეხთა ფეოდალური ვალდებულების წესით ხდებოდა. გლეხებს ეკისრებოდათ აგრეთვე საფოსტო ცხენების და მალემსრბოლების შენახვა. ასეთი საფოსტო სამსახურის შესახებ ისხენიება ფანჯიკენტის (შუა აზია) დეჰყანის დიეამტიჩის წერილში სორასნისა და მაეერანაპრის მმართველისადმი (სალიფა ომარ II-ის დროს. 717-720 წწ). საინტერესოა, რომ უკვე იმ დროს საფოსტო სადგურის გვერდით გზებზე შენდებოდა ხანაგები, ე.ი. ქარავანსარაები, სადაც მოგზაურს, ვაჭარსა და მთელ ქარავანსაც შეეძლო დასასვენებლად გაჩერება, სასმელ-საჭმელის მომარაგება და სხვ.

ომაელთა დროს ირანში ჯერ კიდევ ცოტანი იყვნენ „მავალები“: მოსახლეობის ძირითადი მასა ჯერ კიდევ ზოროასტრელი იყო. ისთაჰრის და იბნ-ჰაუკალის მოწმობით, ფარსის ოლქში X ს-შიც კი მოსახლეობის უმეტესობა ზოროასტრელი იყო: არ იყო არცერთი დასახლებული პუნქტი ცეცხლთაყვანისმცემელთა ტაძრის გარეშე. X ს-ში კასპიისპირეთსა და ჯიბალში (ძველი მიდია) ბევრი ცეცხლთაყვანისმცემელი იყო. ირანის ქალაქებში, გარდა მუსლიმებისა და ზოროასტრელებისა, XIII ს-მდე საკმაოდ ბევრი (განსაკურთებით ხუზისტანში) ქრისტიანი და იუდეველი ცხოვრობდა. ქრისტიანები, იუდეველები და ზოროასტრელები – მუსლიმური სახელმწიფოს ქვეშეერდომები დაბეგრილი იყვნენ „ხარაჯათი“ და „ჯიზიათი“; ისინი არაბთა მიერ იწოდებოდნენ „ზიმიებად“. ყველა „ზიმია“, როგორც ურწმუნო, მიუხედავად მისი კლასობრივი მდგომარეობისა, შეზღუდული იყო თავის უფლებებში და ჩამოცილებული პოლიტიკურ მოღვაწეობას. განსაკუთრებით მძიმე იყო ზიმია-გლეხების მდგომარეობა.

§3. ომაელთა სახალიფოს წინააღმდეგ ბრძოლა ირანში

ომაელთა ბატონობით (661-750 წწ) უკმაყოფილება იზრდებოდა არა მარტო სპარსელებსა და არაბთა მიერ დაპყრობილ სხვა ხალხებს, არამედ თვით არაბებს შორისაც. არაბ დიდებულთა ზედაფ-

ენის და განსაკუთრებით ომაელების მომხრეთა პოლიტიკით არაბი ხალხის ფართო მასების უკმაყოფილება გამოიხატა მუსლიმთა შორის VII ს-ის შუა ხანებში ხარეჯიტების სექტის წარმოშობით.

ხარეჯიტთა შესედულებების ძირითადი არსი იმაში მდგომარეობდა, რომ ომაელთა დინასტიის ხალიფებმა მკვეთრად გაწყვიტეს კავშირი პირველყოფილი ისლამის პრინციპებთან (როგორც ეს ესმოდათ ხარეჯიტებს). ხარეჯიტების შეხედულებების თანახმად, მუსლიმური სახელმწიფო, ე.ი. სახალიფო, იმგვარად უნდა აშენდეს, რომ ყველა მუსლიმი რელიგიური თემის ფარგლებში თანასწორუფლებიანი იყოს: მათ შორის არ უნდა იყოს დაყოფა მღიდრებად და ღარიბებად. ხარეჯიტების მოძღვრების თანახმად, მუსლიმები უნდა ცხოვრობდნენ დაუმორჩილებელ „ურწმუნოებთან" ომში მოპოვებული სამხეღრო დავლის ხარჯზე; ამასთანავე – დამორჩილებული „ურწმუნოებისაგან" ე.წ. „ზიმიებისაგან" აღებული „ჯიზიათი" და „ხარაჯათი". მიწა უნდა ეკუთვნოდეს მთელ მუსლიმურ თემს. ყველა ის, ვინც მიიღო ისლამი – როგორც არაბი, ისე არაარაბი უნდა გათავისუფლდეს ჯიზიასა და ხარაჯასაგან. ხარეჯიტების მოძღვრების მიხედვით, ხალიფა უნდა აირჩიოს მთელმა მუსლიმურმა თემმა, რომელსაც აქვს უფლება ყველა მართლმორწმუნე მუსლიმის – თვით მონა ზანგისაც კი – ხალიფად არჩევისა. ხარეჯიტების პროპაგანდას დიდი წარმატება ჰქონდა უღარიბეს არაბულ მოსახლეობაში. ხარეჯიტების მოძრაობამ დიდი საფიქრალი გაუჩინა ომაელთა ხელისუფლებას, რამდენადაც უკვე VII ს-ის ბოლოდან ხარეჯიტებს მიეკედლენ სპარსელი ხელოსნები და გლეხები. VIII-IX სს-ში ირანის ოლქი სისტანი მთავარი კერა იყო ხარეჯიტული მოძრაობისა. მალე ხარეჯიტები რამდენიმე სექტად დაიყვნენ.

სხვა ხასიათისა იყო შიიტური მოძრაობა, რაც დასრულდა ორთოდოქსალური ისლამიდან განსაკუთრებული – ერთდროულად პოლიტიკური და რელიგიური – მიმდინარეობის გამოყოფით. სახელწოდება „შიიტები" მომდინარეობს არაბული სიტყვა „ში'იადან", რაც ნიშნავს ხალხს, სექტას, დაჯგუფებას. მაგრამ ამ ტერმინმა შეიძინა სპეციფიკური მნიშვნელობა – სექტა ან დაჯგუფება ალისა და მისი შთამომავლების მიმდევრებისა. შიიტები თვლიდნენ, რომ არც ომაელებს და არც სხვა ვინმეს, გარდა ალიდების (როგორც მუჰამეღის ნათესაეების), არა აქვთ უფლება ხალიფას ტახტის და-

ყაენების (იმამობის). შიიტები ალის შთამომაელებს მიიჩნეელნენ იმამებად, ე.ი. მუსლიმური თემის სასულიერო და პრინციპში პოლიტიკურ ხელმძღვანელებად, ხოლო ომაელებს, ისევე, როგორც პირველ სამ ხალიფას – აბუ ბექრს, ომარს და ოსმანს – უგურპატორებად.

თავდაპირველად შიიტობა არ ატარებდა სახალხო ხასიათს და თუ ხალხი მხარს უჭერდა შიიტურ მოძრაობას, ეს იმიტომ, რომ იგი მიმართული იყო ომაელთა დინასტიისა და მათ მხარდამჭერთა წინააღმდეგ.

ომაელთა სახალიფოს წინააღმდეგ ოპოზიცია ირანში, სხვათა შორის, იმითაც გამოიხატა, რომ სპარსელები, როდესაც ისლამს იღებდნენ, იღებდნენ არა მართლმადიდებლური (ორთოდოქსალური) სუნიტური ფორმით, არამედ „ერეტიკული“ – შიიტური ან ხარეჯიტული ფორმით.

ხალიფა აბდ ალ-მალიქის დროს (685-705 წწ) ერაყში და ხუზისტანში (685-687 წწ) იფეთქა აჯანყებამ შიიტების დროშის ქვეშ, რომლის სათავეშიც იყო არაბი მუხთარ იბნ აბუ უბეიდი. ეს აჯანყება თავისი ეთნიკური და კლასობრივი შეღგენილობით ჭრელი იყო: მას მხარს უჭერდნენ არა მარტო ღარიბი არაბები, სპარსელი გლეხები და ხელოსნები, არამედ სპარსელ მიწისმფლობელთა ის ნაწილიც, რომელიც ბამპყრობელთა ბატონობას არ შეურიგდა. აბდ-ალ-მალიქის ჯარებმა ამ აჯანყების ჩაქრობა მხოლოდ დიდი გაჭირვებით შეძლეს.

686 წ. ერაყსა და ხუზისტანში აჯანყდნენ ბედუინები, არაბი და სპარსელი გლეხები, რომლებიც გაერთიანდნენ აზრაქიტების ხარეჯიტული სექტის დროშის ქვეშ. აზრაქიტების სექტა ქადაგებდა, რომ ნებისმიერი მმართველი, რომელიც გადაუხვევდა პირველდაწყებითი ისლამის მცნებებს როგორც ეს ხარეჯიტებს ესმოდათ (ყველა მუსლიმს შორის სოციალური თანასწორობა), მიჩნეული იქნებოდა ურწმუნოდ და მასთან იომებდნენ „ჯიჰადის“ პრინციპით. ხარეჯიტ-აზრაქიტების მოძრაობა სამინელი სისასტიკით ჩაახშო ჰაჯაჯ იბნ იუსუფმა მხოლოდ 697 წ.

VIII ს-ის დასაწყისში ომაელებს ახალი მოწინააღმდეგეები გამოუჩნდათ, რომლებმაც VIII ს-ის 20-იანი წლებიდან დაიწყეს თავისი იდეების წარმატებით პროპაგანდა. ეს იყო დაჯგუფება, რომელიც თვლიდა, რომ ხალიფობის უფლება ჰქონდა აბასიანთა

– მუჰამედის ბიძის აბასის – შთამომავლებს. აბასიანთა დაჯგუფების დამაარსებელი იყო იმამი მუჰამედ იბნ ალი, მუჰამედის ბიძის – აბასის შეილისშვილის შვილი. ამ აბასის სახელის მიხედვით მისი შთამომავლები იწოდებოდნენ აბასიანებად. აბასიანთა მომხრეებს შორის იყვნენ ჭკვიანი, ენერგიული და პოლიტიკურად შორსმჭვრეტელი პიროვნებები. ისინი კარგად ერკვეოდნენ შექმნილ ვითარებაში, სედაედნენ დაპყრობილ ხალხებს – განსაკუთრებით ირანელებს შორის ომაელთა არაპოპულარობას და ცდილობდნენ მის გამოყენებას თავისი ინტერესებისათვის. ისინი ქადაგებდნენ, რომ აბასიანებს, როგორც პირდაპირ მემკვიდრეებს წინასწარმეტყველის ბიძისას, ხალიფას ტახტის დაკავების მეტი უფლება ჰქონდა, ვიდრე ომაელებს, რომლებიც წინასწარმეტყველის გვარიდან არ იყვნენ. აბასიანთა საიდუმლო ორგანიზაცია ჩამოყალიბდა 724 წ. მისი ხელმძღვანელი იყო მდიდარი სპარსელი ვაჭარი ბუკეირ იბნ მახანი. მან შეარჩია ენერგიული და ერთგული მიმდევრები, რომელთა გაგზავნაც, როგორც პროპაგანდისტების, შეიძლებოდა სახალიფოს სხვადასხვა ოლქებში. აბასიანთა პროპაგანდისათვის განსაკუთრებით შესაფერისი ვითარება იყო ხორასანსა და მავერანაჰრში. სწორედ იქ გააგზავნეს პროპაგანდისტები (არაბ. და'ი). ისინი ხალხს აპირდებოდნენ, რომ აბასიანთა გამარჯვების შემთხვევაში, ახალი დინასტია ხელისუფლებაში დაუშვებდა ირანელებსაც და სხვა ხალხებსაც. მუჰამედ იბნ ალის პროპაგანდისტები გლეხებს და ქალაქის მცხოვრებთა დაბალ ფენებს აპირდებოდნენ გადასახადებისა და ფეოდალური ვალდებულებების შემცირებას. მაგრამ აბასელებმა, როდესაც ისინი ხალხში მხარდაჭერას ეძიებდნენ, ვერ გაითვალისწინეს ერთი გარემოება: ხალხს შეეძლო გამოსულიყო დამოუკიდებელი ლოზუნგებით. ხორასანში აბასიანთა ერთ-ერთმა პროპაგანდისტმა ხიდაშმა მუჰამედ იბნ ალის და ბუკეირ იბნ მახანს გაუცრუა იმედები. მან აბასიანთა იდეების საფარველ ქვეშ დაიწყო ქადაგება ირანში მარად ცოცხალი მაზდაქიზმის იდეების.

VIII ს. მაზდაქელები ცნობილი იყვნენ ხურამიტების სახელწოდებით. ხიდაშს ხორასნელ გლეხებში უზარმაზარი წარმატება ჰქონდა, რადგანაც ის და მისი მიმდევრები გლეხების აღუთქვამდნენ მიწებისა და სხვა ქონების განაწილებას. ხორასნისა და მავერ-

ანაპრის არაბი ამირებისათვის ცნობილი იყო აბასიანთა პროპაგანდის შესახებ. ისინი სდევნიდნენ მათ ხელმძღვანელებს, მაგრამ ხელისუფლება განსაკუთრებით შეშფოთდა, როდესაც პროპაგანდამ მაზდაქური ხასიათი მიიღო. ხორასნისა და მაევრანაპრის მმართველმა დააპატიმრა სიდამი, რომელიც სასტიკად დასაჯეს: მას ამოართვეს ენა, მოკვეთეს ხელები, დაებრმავეს და ბოლოს თავიც მოკვეთეს. როდესაც მუკამედ იბნ ალიმ გაიგო ხიდამის ქადაგების შესახებ, იგი გაბრაზდა: მას ძალიან ამფოთებდა აბასიანთა იდეების პროპაგანდის გადაზრდა მაზდაქური იდეების პროპაგანდაში.

743 წ. აბასიანთა მომხრეების საიდუმლო თათბირზე ბუკეირ იბნ მასანი შეიპყრეს და ციხეში დაამწყვდიეს. აქ ბუკეირ იბნ მასანიმ გაიცნო ახალგაზრდა სპარსელი, აბასელთა მომხრე ციხეში მსხდომი ორი ძმის მონა, აბუ-მუსლიმი, რომელმაც თავისი ჭკუითა და ენერგიით დიდი მთავბეჭდილება მოახდინა ბუკეირ იბნ მასანიზე. ციხიდან გამოსვლის შემდეგ, ბუკეირ იბნ მასანიმ მოასხენა აბასიანთა საგვარეულოს მაშინდელ ხელმძღვანელს — გარდაცვლილი მუკამედ იბნ ალის შვილს იმამ იბრაკამ იბნ მუკამედს აბასიანთა საქმისათვის სასარგებლო და ნიჭიერი აბუ მუსლიმის შესახებ. მალე იმამმა იბრაკიმ იბნ მუკამედმა აბუ მუსლიმი თავისთან გამოიძახა ერაყში და ესაუბრა მას.

§4. აბუ მუსლიმის აჯანყება

იმამ იბრაკიმის მითითებით აბუ მუსლიმი 745 წ. წავიდა ხორასანში აბასიანთა შაეი დროშით აჯანყების მოსამზადებლად და მისი ხელმძღვანელობისათვის. ხორასნის არაბი მმართველი ნასრ იბნ სეიარი (738-748 წწ) იყო კინანის ტომიდან, რომელიც ეკუთვნოდა ჩრდილოეთ არაბეთში მცხოვრებ მუღარის ტომს. ეს ტომი გამოირჩეოდა ომაელთა, განსაუთრებით კი ხალიფა მერვან II-ის (744-750 წწ) ერთგულებით. ნასრი მტრობდა ხორასანში დასახლებულ სამხრეთარაბულ იემენიტების ტომს. მუღარიტების მიერ შევიწროვებული ხორასნელი იემენიტები ბოლოს და ბოლოს აჯანყდნენ ომაელთა წინააღმდეგ, რამაც აშკარად შეუშალა ხელი ნასრ იბნ სეიარს აბასიანთა მოძრაობის წინააღმდეგ ბრძოლაში. ასეთი ვითარება იყო ხორასანსა და მერვის ოაზისში, როდესაც იქ აბუ მუსლიმი მიეიდა. თავის შტაბ-ბინად მან აირჩია კარგად გამა-

ერებული სოფელი სეფიზანჯი, მერეის ახლოს. იგი აშკარად მოუწოდებდა აბასიანთა ლოზუნგებით ხალხს აჯანყებისაკენ. ისტორიკოსები აბუ ხანიფა ად-დინაველი და ტაბარი დაწერილებით მოგვითხრობენ ომაელთა წინააღმდეგ აჯანყების მომზადებისა და სოციალური შემადგენლობის შესახებ. ტაბარის მიხედვით, აჯანყების დაწყებისათვის დანიშნულ საღამოს 129 წლის რამაზანის 25 (747 წლის 9 ივნისს), აბუ მუსლიმის ბრძანებით საფიზანჯის შემოგარენში კოცონები აინთო: ეს იყო აჯანყების სიგნალი. აბუ მუსლიმთან მოგროვდნენ ახლო-მახლო სოფლების სასელდახელოდ შეიარაღებული გლეხები, წერილი და საშუალო მიწისმფლობელები, ქალაქის მცხოვრებნი; სხვათა შორის, მოდიოდნენ მაკალებიც. აჯანყებულები მოდიოდნენ პატარა და დიდი რაზმების სახით. ტაბარის სიტყვით, ერთ დღეს მოვიდა ხალხი 60 სოფლიდან. ერთი სოფლის მცხოვრებთა რაზმი წარმოდგენილი იყო 900 ქვეითით და 4 მხედრით. მეორე სოფლის რაზმში იყო 1300 ქვეითი და 16 მხედარი. ეს ციფრები აჯანყებულთა კლასობრივ შემადგენლობის შესასწავლად ძალზე ყურადსაღებია: მხედრები შეიძლებოდა ყოფილიყვნენ მხოლოდ წერილი და მსხვილი მიწისმფლობელნი — დეჰყანები, ხოლო ქვეითები — გლეხები. ომაელთა წინააღმდეგ აჯანყებაში ჭარბობდნენ გლეხები (არა მარგო მუსლიმები, არამედ სხვა რელიგიის აღმსარებელნიც); აჯანყებულთა ზედაფენა შედგებოდა დეჰყანებისაგან. აბუ მუსლიმმა და მისმა მომხრეებმა აჯანყების ფერად შავი ფერი აირჩიეს და დაიწყეს თავისი ტანსაცმლის და სამთითების შეღებვა შავად. აჯანყებულთა უმეტესობა სამთითებით იყო შეიარაღებული.

საფიზანჯს მაღალი კედლები და გამაგრებული კოშკები ჰქონდა, მაგრამ მან მაინც ვერ შეძლო აბუ მუსლიმის მთავარი ძალების დატევა, ამიტომაც მან თავისი შტაბ-ბინა გადაიტანა დიდ გამაგრებულ სოფელ მახუვანში (ამჟამად ამ ადგილზე, ან მის ახლოს არის თურქმენეთის ქალაქი მარი. აბუ მუსლიმმა მახუვანში მოაწყო ნამდვილი სამთავრობო ცენტრი. მას ჰქონდა ჯარის დივანი, ჰყავდა თავისი ყადი (სასულიერო მოსამართლე), პოლიციის უფროსი (პარასი) და პირადი დაცვის უფროსი (შურტა). ჯარის დივანში ხლებოდა აჯანყებისადმი მიტმასნილთა რეგისტრაცია, აქვე ანაწილებდნენ რაზმებად, ურიგებდნენ ჯამაგირს (პირველად 3 დირჰემს, შემდეგ — 5 დირჰემს). მახუვანში მოვიდნენ მონათა

წარმომადგენლებიც, რომელთაც განაცხადეს, რომ მონები თანაუგრძნობენ აბუ მუსლიმის საქმეს და მზად არიან მხარდასაჭერად. აბუ მუსლიმმა თავდაპირველად ისინი კარგად მიიღო და მზად იყო გამოეყენებინა მათი ძალა, მაგრამ, როდესაც მონათა დიდმა მასამ მოიყარა თავი, აღგილობრიემა ღეპყანებმა დაიწყეს ჩიეილი, რომ ისინი კარგავენ მონებს. ამ სოციალური მოძრაობის ზემო ფენებში აშკარად შიშობდნენ, რომ მონები თავიანთ გათავისუფლებას მოითხოვდნენ. აბუ მუსლიმმა მონებს უბრძანა: დაბრუნებოდნენ თავიანთ ბატონებს; როდესაც მათ უარი განაცხადეს, მათ ერთად მოუყარა თავი განცალკეეებულ ბანაკში, დაუყენა უფროსი და ფაქტიურად იზოლაციაში მოაქცია. მონებთან დაკავშირებით ეს შემოსვევა იმაზე მიუთითებს, რომ იმ დროს მოწინავე აღამიანთა შეგნებაშიც კი ჯერ კიდევ მყარად იყო გაბატონებული აზრი მონობაზე როგორც ნორმალურ და „კანონიერ" მოელენაზე.

ნასრ იბნ სეიარმა ვერ მოახერხა ხორასნელ არაბთა შორის შინაური შუღლის შეწყვეტა. ნასრი და მუდარიტები ორ ფრონტზე აწარმოებდნენ ბრძოლას: იემენიტების და მათი ბელადის ჯუდეიია ალ-ქერმანის და აბუ-მუსლიმის წინააღმდეგ. დატყვევებული ალ-ქერმანი ნასრ იბნ-სეაიარმა სიკვდილით დასაჯა. იემენიტებს შურისძიება უნდოდათ. აბუ მუსლიმმა იემენიტებთან შეერა კავშირი ნასრ იბნ სეიარის წიანაღმდეგ. 748 წლის დასაწყისში აბუ მუსლიმმა მერვი დაიკავა. ამის შემდეგ აჯანყებულებმა წარმატება წარმატებაზე მოიპოვეს. ხალხს სრული გამარჯვების იმედი მიეცა და ომაელთა სახალიფოს დედაქალაქზე ლაშქრობის მომზრეთა რიცხვი სულ უფრო და უფრო გაიზარდა. რამდენიმე ბრძოლაში დამარცხებული ნასრ იბნ სეიარი ხორასნიდან გაიქცა და მალე მოკედა. აბუ მუსლიმის ჯარში მხედართმთავრებად დაწინაურდნენ არაბი კაპტაბა იბნ ჰაბიბი და სპარსელი ჰალიდ იბნ ბარმაქი (ბარმაქანთა ცნობილი დეპყანური გვარიდან, რომლის წარმომადგენლებიც შემდეგ, პირველი აბასიანების დროს, მნიშვნელოვან როლს თამაშობდნენ სახალიფოს პოლიტიკურ ცხოვრებაში როგორც ვეზირები). აბასიანთა იმამი იბრაჰიმი ბოლომდე არ ენდობოდა აბუ მუსლიმს: იგი მასში ხედავდა ელეხთა ინტერესების დამცველს, ამიტომაც მან აჯანყებულია ჯარის უმაღლეს მთავარსარდლად დანიშნა კაპტაბუ. 748 წ. გაფხულში აჯანყებულებმა ომაელთა ჯარი დაამარცხეს ტუსის ახლოს, შემოდგომაზე კი დაი-

კაევს ნიშაბური. აჯანყებულებმა ორი ასალი გამარჯვების შემდეგ, 748 წ. გურგანში და 749 წ. ზაფხულში ნეკავენდთან, მთელი ირანი დაიკავეს. მდ. დიდ ზაბთან (ტიგროსის შესართავი) ბრძოლაში 750 წ. იანვარში ომაელთა მომხრეები სასტიკად დამარცხდნენ. მათ შეწყვიტეს წინააღმდეგობა. ხალიფა მერვან II (ქართული წყაროების მურვან ყრუ) იძულებული გახდა ეგვიპტეში გაქცეულიყო, საღაც დაიღუპა. აჯანყებულთათვის გზა დასავლეთისაკენ გახსნილი იყო. 750 წ. დაემსო ომაელთა დინასტია და ტახტზე ავიდა აბასიანების დინასტია (750-945 წ.).

§5. ირანი აბასიანთა ბატონობის ქვეშ

ცხარე ბრძოლის დროს, მაგრამ უკვე მაშინ, როდესაც ცხადი იყო აბასიანთა გამარჯვება, აბუ-ლ აბას ას-საფაშმა — იბრაჰიმ იბნ მუჰამედის შემცველმა, რომელიც ხალიფად იქნა გამოცხადებული, ქუფას კათედრალურ მეჩეთში წარმოთქვა დემაგოგიური სიტყვა, რომლითაც ხალხს აღუთქვა, რომ აბასიანები, როგორც კი ძალაუფლებას ჩაიგდებენ ხელში, ხალხს შეუმსუბუქებენ გადასახადებს და ფეოდალურ ვალდებულებებს. უახლოესმა თვეებმა და წლებმა გვიჩვენა, რომ აბასიანებმა არცერთი დაპირება არ შეასრულეს.

აბასიანთა გამარჯვება განპირობებული იყო მხოლოდ ხალხის მხარდაჭერით, მაგრამ თვითონ აბასიანები ხალხისათვის უცხონი იყვნენ. ისინი გამოსაგაყდნენ ერაყისა და ირანის გაფეოდალების გზაზე დამდგარი მიწისმფლობელების ინტერესებს. ისინი სასტიკი და მბაკვარი მმართველები აღმოჩნდნენ. ცნობილია ის არაადამიანური ტერორი, რომლითაც ისინი გაუსწორდნენ ომაელთა დინასტიის წევრებს: მათ ცოცხალი არ დაუტოვებიათ არც მოხუცი, არც ახალგაზრდა, არც ქალი, არც კაცი, ჩვილი ბავშვებიც კი; ყველა დახოცეს. გადარჩა მხოლოდ ის, ვინც თავი შეაფარა ეგვიპტესა და მაღრიბის ქვეყნებს.

როგორი იყო აბასიანებით ომაელების შეცვლის რეალური შედეგები? ომაელთა დროს ძალაუფლება სახალიფოში მთლიანად არაბული ტომობრივი არისტოკრატიის ხელთ იყო, რომელმაც ისლამის არსებობის ასი წლის განმაელობაში, რა თქმა უნდა, განიცადა ცვლილებები. მმართველი ზედაფენა მსხვილ მიწათმფლობელებად გადაიქცა; ზოგიერთი მათგანი ვაჭრობაშიც

მონაწილეობდა. დაპყრობების პროცესში ბევრი გვარისა და ტომის ბელადი მიწის მსხვილი მესაკუთრე ხდებოდა: ისინი დიდი ფართობის მიწებს ფლობდნენ ომაელთა უზარმაზარი სახელმწიფოს სხვადასხვა რეგიონებში. მათ დიდი ქონება ჰქონდათ ქალაქებშიც. დამახასიათებელია, რომ ისინი ყოველთვის არ წყვეტდნენ კავშირს მომთაბარულ ცხოვრების წესთან. VIII ს-ის პირველ ნახევარში არაბული არისტოკრატიის წრეში არცთუ ცოტა იყო საგვარეულო, რომელთა წევრებიც ნახევრადმომთაბარე, ნახევრადბინადარ ცხოვრების წესს მისდევდნენ. ეს მრავალრიცხოვანი არაბული არისტოკრატია იყო სახალიფოს საფუძველი და დასაყრდენი. არაბი დიდებულების მეურნეობაში ფართო მასშტაბით გამოიყენებოდა მონის შრომა.

აბასელთა ბატონობის პირველმა ათასწლეულმა გვიჩვენა, რომ ხელისუფლების კლასობრივი საფუძველი ომაელთა დროინდელი დარჩა. ხალხის მასების მდგომარეობა არათუ არ გაუმჯობესდა, პირიქით, თანდათანობით ხარაჯა და ფეოდალური ყალდებულებები წინა დროსთან შედარებით უფრო გაიზარდა.

ცვლილებები შეეხო უმთავრესად გაბატონებული კლასის ეთნიკურ შემადგენლობას, რომელიც მონაწილეობდა სახელმწიფოს მართვა-გამგებლობაში (როგორც ცენტრალურში, ასევე ოლქებისაში). განსაკუთრებით გააქტიურდა ირანული ელემენტი. ახალ ვითარებაში და პირობებში ირანელებმა შეიგრძნეს და შეიცნეს თავიანთი მეობა. დაიწყო ინტელექტუალური მოძრაობა – „შუ'უბია", რომელიც შემდეგ ამკარად გადაიზარდა პოლიტიკურ მოძრაობაში. „შუ'უბიას" მთავარი მოტივი („ჩვენ – ირანელები ჯემშიდების ჩამომაელები ვართ, არაბს კი თავის პაპის სახელიც არ ახსოვს"), რომლითაც ირანელთა კულტურული უპირატესობა და ათასწლოვანი სახელმწიფოებრივი ტრადიციები იყო ხაზგასმული, არაბთა ბატონობის დასამარების ლოზუნგად იქცა.

აბასიანთა დროს სახელმწიფოში უმაღლესი თანამდებობები დაიკავეს არამარტო არაბებმა, არამედ ირანული მიწისმფლობელი არისტოკრატიის (დეჰყანების) წარმომადგენლებმა. მათ უეჭველად ისარგებლეს აბასიანთა მოძრაობითა და გამარჯვებით. ირანელმა არისტოკრატებმა სახელმწიფოს მმართველობაში თითქმის იმდენივე ადგილი დაიკავეს, რამდენიც არაბებმა; ირანელთა შორის პირველი, რომელმაც აბასიანთა დროს დიდი

თანამდებობა დაიკავა, იყო დეჰყანი ბალხიდან, დიდი მიწის მეპატრონე. ალ-ბერუნი ჰალიდ იბნ ბარმაქი.

პირველი აბასიანი ხალიფები აბუ-ლ აბას ას-საფა (750-754 წწ) და მისი ძმა აბუ ჯაფარ ალ-მანსური (754-775 წწ) ცდილობდნენ დაყრდნობოდნენ ირანელ დიდებულებს და ამიტომაც მათ გადაწყვიტეს დედაქალაქის დაარსება ირანთან ახლოს, რადგანაც ძველ დედაქალაქში — დამასკოში ძალზე ძლიერი იყო ომაელთა ტრადიციები. აბუ-ლ აბას ას-საფა თავის საპროგრამო სიტყვაში ხალხს ჰპირდებოდა ქუფას გამოცხადებას დედაქალაქად, მაგრამ მან ეს პირობა არ შეასრულა, რადგანაც ქუფაში ძალიან ძლიერი იყო ოპოზიციური დაჯგუფება — განსაკუთრებით სარეჯიტები. აბასიანთა დედაქალაქი ბაღდადი 762 წ. დაარსდა.

აბუ მუსლიმის მიმართ აბასიანებმა უმადურობა გამოამჟღავნეს. ხალიფა საფაპს აბუ მუსლიმი არ უყვარდა, შურდა მისი პოპულარობისა ირანის მოსახლეობაში და ეშინოდა მისი როგორც პოტენციური მეტოქისა. ასევე მტრულად იყო აბუ მუსლიმისადმი განწყობილი მისი ძმა და მემკვიდრე ალ-მანსური. ამასთანავე, აბუ მუსლიმის პოპულარობა ხალხში იმდენად დიდი იყო, რომ არ შეიძლებოდა იგი რაიმე დიდ თანამდებობაზე არ დაენიშნათ. პირველმა აბასიანებმა გადაწყვიტეს: არ გაეჩერებინათ იგი ერაყში, არ მიეწვიათ ხალიფას კარზე და დაეტოვებინათ ხორასნის გამგებლად ქ. მერვში, სადაც აბუ მუსლიმის აჯანყებულებმა პირველი გამარჯვება მოიპოვეს. აბუ მუსლიმი გრძნობდა მისდამი ხალიფების საეჭვო დამოკიდებულებას და ისიც სათანადოდ პასუხობდა. აბუ მუსლიმსა და ხალიფებს შორის არ იყო თანხმობა აგრეთვე საშინაო პოლიტიკის ძირითად საკითხებში. ხალიფებისა და მათი უახლოესი გარემოცვის საპირისპიროდ, ის აუცილებლად თვლიდა აბასიანთა მიერ ხალხისათვის მიცემული დაპირებების შესრულებას (აბასიანთა პროპაგანდისტები ხალხს თანასწორობას, საგადასახადო სისტემის მოწესრიგებასა და შერბილებას ჰპირდებოდნენ). საქმე ეხებოდა უმთავრესად გადასასადებისა და ნატურალური ვალდებულებების შემსუბუქებას. აბუ მუსლიმსა და ხალიფებს შორის დიდი დაპირისპირების მიუხედავად, აბუ მუსლიმი მაინც ვერ ბედავდა ხალიფებთან აშკარად ურთიერთობის გაწყვეტას და ელოდა მათ მოღვაწეობაში რაიმე სასიკეთო ცვლილებებს. უფრო გადამწყვეტი ნაბიჯი

გადაღვა ხალხმა. ხალხი გულგატეხილი იყო პირველი აბასიანი ხალიფების მოქმედების გამო. გლესები აშკარად ლაპარაკობდნენ, რომ ისინი იმიტომ კი არ ღვრიდნენ სისხლს, რომ აბასიანებს, რომელთაც მათთვის სასიკეთო არაფერი გაუკეთებიათ, დამორჩილებოდნენ?! 751 წ. ბუხარის ოაზისში იფეთქა აბასიანთა წინააღმდეგ აჯანყებამ, რომელსაც სათავეში ჩაუდგა ეინმე შერიკ ალ-მაპრი, შიიტი. ხალხის ფართო მასა მაშინ ცუდად ერკვეოდა შიიზმის სპეციფიკაში და მხარს უჭერდა მის ლოზუნგებს მხოლოდ იმიტომ, რომ იგი მიუმართა აბასიანთა ხელისუფლების წინააღმდეგ. შერიკმა მოახერხა ხელოსნების, ბუხარის წვრილი ვაჭრების, მისი შემოგარენის ხელოსნების და გლესების მიმხრობა (სულ 30000 კაცამდე). აჯანყება დამარცხდა: აჯანყებულები ან სმლით დახოცეს, ან ჩამოახრჩვეს ბუხარის ალაყაფის კარზე (ამის შესახებ მოგვითხრობს ადგილობრივი, X ს. ისტორიკოსი ნერშაპი თავის „ბუხარის ისტორიაში". ჩვენამდე მოღწეულია XII ს-ის სპარსულენოვანი ვარიანტი).

აბუ მუსლიმი (შიიტების მოწინააღმდეგე) აბასიანებს მიემხრო ბუხარის სახალხო მოძრაობის დროს. ეს იყო აბუ მუსლიმის უდიდესი შეცდომა: მან ამით, თავის საზიანოდ, აბასიანთა პოზიციები გაამაგრა.

755 წ. აბუ მუსლიმმა გადაწყვიტა ჰაჯი (პილიგრიმობა) მექაში. მას გზად უნდა გაევლო ერაყში. იგი ხორასნის ამირა იყო (ხალიფას მოადგილე), ამდენად თავისი სამსახურებრივი მდგომარეობის გამო, ვალდებული იყო მოენახულებინა ხალიფა მის რეზიდენციაში ქუფის ახლოს. ხალიფა ალ-მანსურმა აბუ-მუსლიმი კეთილგანწყობილებით და პატივისცემით მიიღო, მოეფერა და ამით მისი სიფრთხილე მოადუნა. მეორე დღეს აბუ-მუსლიმი ხალიფას მიწვევით ამალისა და მცველების გარეშე გამოცხადდა სასახლეში. ცბიერმა და მზაკვარმა ალ-მანსურმა უიარაღო აბუ მუსლიმი, კაცი, რომლის ხელითაც აბასიანთა დინასტიამ ხელთ იგდო ტახტი, მოაკვლევინა.

ცნობამ აბუ მუსლიმის ვერაგული მკელელობის შესახებ სწრაფად მიაღწია ირანს და ძლიერი შთაბეჭდილება მოახდინა მოსახლეობაზე, განსაკუთრებით აღმოსავლეთ პროვინციებში — ხორასანში, სისტანში, მავერანაპრში. აბუ მუსლიმის შესახებ ხალხში სწრაფად შეიქმნა ლეგენდები. ხალხში ხმა დაირხა, რომ ხალიფა

ალ-მანსურმა აბუ-მუსლიმი იმიტომ მოაკვლევინა, რომ იგი მოითხოვდა სალსის მდგომარეობის გაუმჯობესებას, უპირველეს ყოვლისა, გადასახადებისა და ფეოდალური ვალდებულებების შემცირებას. მაგდაქურმა (სურამიტულმა) წრეებმა იგი მაგდაქელად აქციეს (აბუ მუსლიმი მაგდაქელი არ ყოფილა). შუა საუკუნეების არცერთ პოლიტიკურ მოღვაწეს არ დაუტოვებია ფოლკლორში ისეთი კვალი, როგორც აბუ მუსლიმს. აბუ მუსლიმის შესახებ სალსში გავრცელებული თქმულებები საფუძველად დაედო სპარსულ ენაზე დაწერილ ირანსა და შუა აზიაში ფართოდ გავრცელებულ ატ-ტარტუსის ისტორიულ რომანს. ჩვენამდე მოღწეული ვერსია, მიუსედავად ძველი ფენების არსებობისა, XIII საუკუნისაა.

§6. აბასიანთა საშინაო პოლიტიკა

სასანიანთა ძველი დედაქალაქის — ქტესიფონის ნანგრევების ახლოს, მდ. ტიგროსის დასავლეთ ნაპირზე დაარსდა ქ. ბაღდადი, ანუ როგორც მას 1258 წლამდე ოფიციალურად უწოდებდნენ, მადინათ ას-სალამ (არაბ. ქალაქი მშვიდობისა ანუ კეთილდღეობისა). ბაღდადის მდებარეობა ეკონომიკური თვალსაზრისით მეტად მომგებიანი იყო: მდ. ტიგროსის ზემოწელიდან გემებით შეიძლებოდა ბევრი ხორბლის, თევზის, ხორცის და პროდუქტის შემოტანა, სოლო ქვემოწელიდან — ბასრიდან და სპარსეთის ყურიდან — სხვადასხვა, ფლეისიქითა საგნებისა. არანაკლები მნიშვნელობა ჰქონდა ამ ადგილს პოლიტიკური თვალსაზრისითაც: დიდებული ქტესიფონის ნანგრევების ადგილზე დედაქალაქის დაარსებისას სალიფა ალ-მანსური თითქოს ხაზს უსვამდა იმ გარემოებას, რომ მისთვის ძვირფასი და ახლობელი იყო სასანიანთა ირანის პოლიტიკური და კულტურული ტრადიციები. სასანიანთა ირანის დედაქალაქის ნანგრევებზე ბაღდადის დაარსება უნდა მოსწონებოდა ირანის მიწისმფლობელურ არისტოკრატიას; მას უნდა მოსწონებოდა აგრეთვე სალიფა მანსურის და მისი უახლოესი მემკვიდრეების გეგმა: სასანიანთა ირანის ადმინისტრაციული მმართველობის და სამხედრო საქმის ტრადიციების დანერგვა ქვეყნის მართვა-გამგებლობაში.

აბასიანთა სახალიფოში საყოველთაოდ გავრცელდა ირანული პოლიტიკური ინსტიტუტები (ვეზირის თანამდებობა, მრავალუწყე-

ბიანი დივანი...), მიწისმოქმედებასთან დაკავშირებული ირანული ეროვნული დღესასწულები (ნოერუზი, მიპრაგანი...), მწერლობა (ფალაურიდან არაბულად გადათარგმნილი თხზულებები), ტანსაცმელი, თვით სპარსული მენიუც კი.

ამ ტრადიციების დამცველნი და ცხოვრებაში გამტარებელნი იყვნენ ზემოხსენებული ირანული არისტოკრატიის წარმომადგენლები და უპირველეს ყოვლისა ბარმექიანთა ძლიერი ირანული საგვარეულო (ხორასნიდან), რომლის წევრებსაც თითქმის 40 წლის განმავლობაში, სამი თაობის მანძილზე ეკავათ ვეზირის თანამდებობა და სახელმწიფოს მართვა-გამგებლობის სადავეები. 803 წ. ვეზირი ჯაფარ ბარმექიდი სიკვდილით დასაჯეს, ბარმექიანთა საგვარეულოს დანარჩენი წევრები ციხეში ჩასვეს, მათი ქონება საგინამ წაიღო. ბარმექიანთა საგვარეულოს დამცრობის მიზეზი ის იყო, რომ თითქოს მათ უნდოდათ სასალიფოს ცენტრიდან აღმოსავლეთის პროვინციების – ხორასნისა და შუა აზიის მოწყვეტა და დამოუკიდებელი სახელმწიფოს შექმნა.

უკვე ხალიფა მანსურის ზეობის ხანაში ომაელთა ბატონობასთან შედარებით სახელმწიფოს მმართველობის ცენტრალიზებული აპარატის შექმნის საქმეში წინ გადაიდგა ნაბიჯი: ჩამოყალიბდა ცენტრალური მმართველობის უწყებები – დივანები. IX ს-ის ისტორიკოსის და გეოგრაფის იაკუბის მიხედვით, უკვე პირველი აბასიანების დროს შემდეგი ცენტრალური დივანები იყო: სახელმწიფო საგინის, სახელმწიფო არსენალის, დოკუმენტების, ხარაჯას (შემოსავლის), სახელმწიფო ბეჭდის, ჯუნდის (სამხედრო უწყება) და სხვ. შემდეგში აბასიანებმა გაზარდეს ცენტრალური დივანების რიცხვი, სრულყვეს ისინი, დაუკავშირეს ოლქების მართვას და მათ დაწესებულებებს, მაგრამ ამ საქმეს საფუძველი ხალიფა მანსურის დროს ჩაეყარა.

აბასიანთა სახალიფოს სათავეში იდგა ხალიფა, რომლის ხელთ იყო მთელი საერო და სასულიერო ძალაუფლება. იგი წარმოადგენდა „ალაჰის ჩრდილს“ დედამიწაზე (თავდაპირველად ხალიფა ნიშნავდა მოციქულის მოადგილეს. აბასიანთა ხანიდან მოყოლებული ხალიფა ნიშნავს არამარტო მოციქულის მოადგილეს, არამედ ალაჰის მოადგილესაც). ხალიფა სახელმწიფოს სხვადასხვა უწყების ანუ დივანის საშუალებით განაგებდა. პირველი პირი სახელმწიფოში ხალიფას შემდეგ და ამ დაწესე-

ბულებათა ფაქტიური სელმძღვანელი ვეზირი იყო (ხალიფას მოადგილე საერო საქმეების დარგში). ვეზირის სასელისუფლოს საკითხავი იყო ყველა სამოქალაქო და სამხედრო საქმე, ადმინისტრაციის, უინანსების და ჯარის ზედამხედველობა. ვეზირის უპირველეს მოვალეობას შეადგენდა ხალიფასა და სახელმწიფო მიწებიდან გადასახადების აკრეფისათვის თვალყურის დევნება. ვეზირის ხელთ იყო აგრეთვე სასელმწიფო კონტროლის საქმე, რომელსაც იგი ახორციელებდა სპეციალური დაწესებულებების ღიკან აშ-შურტას და ბარიდის, საფოსტო სადგურის საშუალებით.

ოლქების მართვა-გამგებლობა ძველებურად ხალიფას მოადგილეების ხელთ იყო. მათ განკარგულებაში იყო დიდი სამხედრო ძალა და უზარმაზარი მატერიალური სიმდიდრე სხვადასხვა პროდუქტისა და მსატერული ნაწარმის სახით. მოხელეების მიერ აკრეფილი ფული ბაღდადში ჩატანამდე ადგილობრივი მმართველობის ხელში გადიოდა. სარაჯის აკრეფასთან დაკავშირებულმა საფინანსო უწყების მოხელეებმა შეითვისეს სასანიანთა ხანის მოხელეების ყველა თვისება: ისინი სასტიკად ექცეოდნენ გლეხებს, იღებდნენ ქრთამებს, ატყუებდნენ ხალხს — ძალმომრეობის გზით ართმევდნენ დაწესებულ გადასახადზე მეტს. აბასიანთა დროს მოხელეების უმეტესობა ადგილობრივი, ირანული მოსახლეობიდან იყო.

ადგილობრივ მმართველობაში და ცენტრთან მის კავშირში განსაკუთრებული მნიშვნელობა პქონდა საპებ ბერიდის (საფოსტო უწყების უფროსის) თანამდებობას. საპებ ბერიდის მოვალეობა იყო არამარტო სასელმწიფო საფოსტო ურთიერთობის ორგანიზაცია (ფოსტა მაშინ კერძო პირებს არ ემსახურებოდა), არამედ სასელმწიფო მოხელეების, უპირატესად ხალიფას ნაცვლებისა და ამირების შესახებ საიდუმლო ინფორმაციის მიწოდება. ამ უკანასკნელთ ემინოდათ თავიანთი საპებ ბერიდებისა, რომლებიც მათ ყოველ ნაბიჯს უთვალთვალებდნენ. საპებ ბერიდებთან ბრძოლა იმითაც იყო გაძნელებული, რომ ისინი უშუალოდ ცენტრალურ ხელისუფლებას ემორჩილებოდნენ. მაგრამ, მიუხედავად ბერიდების საიდუმლო მეთვალყურეობისა, ისეთი დიდი ოლქების მბრძანებლები, როგორიც იყო ხორასანი, მავერანაპრი, სამხრეთ აზერბაიჯანი, ტაბარისტანი, არმინიათ (არმენია, საქართველო, არანი, ჩრდ. აზერბაიჯანი) ახერხებენ ისე გაძლიერებას, რომ ფაქტიურად დამოუკიდებლობას აღწევენ. ხალიფებს ძლიერი

მოაღგილეების გადაყენების ეშინოდათ და მათ თავიდან იცილებდნენ საიდუმლო მკელელობის გზით.

აბასიანთა დროს ძირფესვიანი ცვლილებები მოხდა ჯარის ორგანიზაციის საქმეშიც, რაც განსაკუთრებულად აისახა ირანის ისტორიაში. ომაელთა დროს არაბული ჯარი ატარებდა გვაროვნულ-ტომობრივ ხასიათს. ირანში ეს ჯარი დაბანაკებული იყო ცალკეულ ოლქებში. არაბთა ჯარის შემადგენლობაში იყვნენ „მავალების" რაზმებიც, რომლებიც სახალხო ლაშქრის პრინციპით იყვნენ ჩამოყალიბებული ადგილობრივი, ისლამმიღებული ირანული მოსახლეობიდან. ამ რაზმების სათავეში იდგნენ არაბთა მხარეზე გადასული ირანელი დიდებულები.

აბასიანები, რომლებიც მნიშვნელოვან წილად ირანული არისტოკრატიის მიერ იყენენ ხელისუფლებაში მოყვანილნი, ვერ ენდობოდნენ არაბულ ტომობრივ არისტოკრატიას — ვერც იემენიტებს და ვერც, მით უმეტეს, მუდარიტებს. ჯარის ორგანიზაციის გვაროვნულ-ტომობრივი პრინციპი გამორიცხული იყო. ამავე დროს, აღსანიშნავია, რომ სახალიფოს შექმნიდან ას წელზე მეტი გავიდა; ბევრი არაბული ტომი, უფრო ზუსტად, ირანსა და შუა აზიაში მიმოფანტული მათი ცალკეული დაჯგუფებები, მომთაბარული ცხოვრების წესიდან ბინადარზე გადავიდნენ. ბინადარ ცხოვრებაზე გადასვლა კი, როგორც ცნობილია, შედარებით სწრაფად არღვევს გვაროენულ-ტომობრივ ურთიერთობებს. ამ შემთხვევაში ცვლილებები დაკავშირებული იყო ფეოდალიზაციის პროცესის აღმავლობასთან. ამან გავლენა მოახდინა აბასიანთა ჯარის ჩამოყალიბებაზე. აბასიანმა ხალიფებმა, უპირველეს ყოვლისა, იმრუნეს თავისი გვარდიის შექმნაზე, რომლის უპირველესი ამოცანა იყო ხალიფასა და დინასტიის დაცვა. საომარი ოპერაციების დროს გვარდიის ცალკეულ რაზმებს ხალიფა არცერთი წუთით არ უნდა მიეტოვებინათ. ხალიფა ალ-მამუნის (813-833 წწ) და განსაკუთრებით ალ-მუთასიმის (833-842 წწ) დროს გვარდია კომპლექტდებოდა მონებით მოვაჭრეებთან ნაყიდი და შემდეგ სპეციალურად სამხედრო სამსახურისათვის გაწვრთნილი მონების, ე.წ. ღოლამებისაგან (აბისინიელები, ხაზარები, სლავები, განსაკუთრებით თურქები...). ალ-მამუნის ხალიფობის ბოლო წლებიდან გვარდიის დაკომპლექტება ხდებოდა მხოლოდ შუაზიელი თურქებიდან. „ცენტრმსრბოლ ძალებს აბასელმა ხალიფებმა თურქული ელე-

მენტი დაუპირისპირეს. მაგრამ ხალიფა ალ-მუთასიმის (833-842 წწ) „სამხედრო რეფორმამ“ (თურქი ღოლამების დაწინაურება სასალიფოს სამხედრო ასპარეზზე) ხალიფას ხელისუფლებისათვის სრულიად საწინააღმდეგო შედეგი გამოიღო: აღზევებული თურქების თვითნებობამ კიდევ უფრო დაასუსტა ხალიფას ხელისუფლება. ფეოდალიზაციის პროცესის გაძლიერება სასალიფოს ფეოდალურ დაშლას გარდაუვალს ხდიდა.

აშკარაა „სამხედრო რეფორმის“ კლასობრივი მიზანი. თურქი ღოლამები უპირატესად ექსპლოატირებული ფენების დასათრგუნავად იყენენ მოწოდებულნი. თუმც მათვე ევალებოდათ გამდგარი აბირების დამორჩილება და დასჯა (ამ დროს მოღვაწეობს სწორედ ქართული წყაროებით კარგად ცნობილი ბუღა-თურქი). თურქი სარდლები სამხედრო მოვალეობას პირნათლად ასრულებდნენ, მაგრამ თან თავიანთ მეომრებთან ერთად პირწმინდად ძარცვავდნენ მოსახლეობას სოფლებში, ქალაქებში, შარაგზებზე, ბაღდადის ქუჩებში თურქები დღის სინათლეზე ავკაცობდნენ და ყაჩაღობდნენ. თვითონ ხალიფა ალ-მუთავაქილი ისე დაფრთხა, რომ ბაღდადიდან საცხოერებლად ახლო მდებარე სამარაში გადავიღა, მაგრამ თურქებმა ის არც აქ მოასვენეს და სასახლეში საბლით მოაშთვეს“ (ე. გაბაშვილი).

ჯარის ძირითადი მასა ორგანიზებული იყო სახალხო ლაშქრის პრინციპით. ოლქების გამგებლები, აგრეთვე ზოგიერთ რეგიონში შემორჩენილი ადგილობრივი მფლობელები, ვალდებული იყვნენ შეეგროვებინათ ქვეითების და მხედრების გარკვეული რაოდენობა. მხედრები მსხვილი და საშუალო მიწისმფლობელები იყვნენ, ხოლო ქვეითები – გლეხები. სასალხო ლაშქრის მეომრებს თვითონ უნდა ებრუნათ შეიარაღებაზე, ტანსაცმელზე და სხვ. სასელმწიფო ვალდებული იყო სახალხო ლაშქარი ომიანობის დროს მოემარაგებინა საჭმელ-სასმელით, ფურაჟით და სხვ. ასე, თანდათანობით ყალიბდებოდა ჯარი, რომელიც თავისი ხასიათით გვაგონებდა უფრო გვიანდელი ხანის ტიპიურ ფეოდალურ სახალხო ლაშქარს.

მომთაბარე ტომებით დასახლებულ ირანის ოლქების გამგებლებს რაზმები გამოპყავდათ გვაროვნულ-ტომობრივი პრინციპის მიხედვით.

ირანში, IX ს-ში კიდევ იყო ჯარის შევსების ერთი წყარო. IX-X სს ირანში (განსაკუთრებით დასავლეთ და ჩრდ. აღმოსავლეთ

რეგიონებში) გაიზარდა ქალაქების მოსახლეობა. ეს იყო დრო, როდესაც გაცხოველდა ვაჭრობა, ხელოსნობა და ქალაქებში ჩამოყალიბდა ინტენსიური საბაზრო ცხოვრება. ირღვეოდა სასოფლო თემი. მიწადაკარგული ბევრი მეთემე და გლეხი ტოვებდა სოფელს და სამუშაოს საძებნელად მიდიოდა ქალაქში. მაგრამ ქალაქში ყველა ვერ შოულობდა სამუშაოს თავისი ხელობის მიხედვით; ბევრი დეკლასირებულად – მაწანწალად გადაიქცა. საისტორიო წყაროები მათ „აიარს“ უწოდებენ. სამხედრო საქმის მცოდნე, ამავე დროს ფულიანი და ენერგიული ავანტიურისტები ქირაობდნენ ამ მოხეტიალეებს, აყალიბებდნენ მათგან რაზმებს, ასწავლიდნენ სამხედრო საქმეს, აიარაღებდნენ და მათთან ერთად შედიოდნენ ამა თუ იმ მმართველის სამსახურში. ამ დაქირავებულ მეომრებს წყაროები უწოდებდნენ მუთატავიას (მოხალისეებს). თუ რამდენად ძლიერი იყვნენ ასეთი რაზმები, კარგად ჩანს საყარიანთა სახელმწიფოს წარმოშობის ისტორიიდან. მუთატავიები გამოირჩეოდნენ თაეზეხელაღებულობითა და სიმამაცით. ისინი ძვირად ფასობდნენ როგორც მეომრები. მათ ნაწილს გზავნიდნენ საზღვარზე მომთაბარე თურქი ტომებისაგან ქვეყნის დასაცავად. მათ უწოდებდნენ „ღაზიებს“ (სარწმუნოებისათვის მებრძოლებს). ამ რაზმების საერთო რაოდენობა საკმაოდ ბევრი იყო, ასე რომ, ისინი მნიშვნელოვან როლს ასრულებდნენ ქვეყნის პოლიტიკურ ცხოვრებაში. მოხალისეების ანუ „ღაზიების“ რაზმები დაქირავებული ჯარი იყო.

§7. სოციალური ურთიერთობა ირანში VIII ს-ის II ნახევარსა და IX საუკუნეში

აბასიანთა და მათი მხარდამჭერი ირანული მიწისმფლობელური არისტოკრატიის (დეჰყანების) გამარჯვების შემდეგ ირანში გაძლიერდა ფეოდალური ტენდენციები. მიუხედავად მონების დიდი რაოდენობისა, მონობა არ იყო წარმოების ძირითადი საშუალება: იგი მხოლოდ გადმონაშთის სახით იყო შემორჩენილი ადრეფეოდალურ საზოგადოებაში, თუმცა დიდ გავლენას ახდენდა ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკურ ცხოვრებაზე. მონები მეტწილად დასაქმებული იყვნენ საირიგაციო სამუშაოებზე.

არაბი ავტორების ცნობებით, VIII-X სს-ში ირანისა და ერაყის ყველა დიდ ქალაქში იყო მონათა სპეციალური ბაზრები (ბაღდადში, სამარაში, რეიში, ნიშაბურში, ბალხში და სხვ.), სადაც შეიძლებოდა ნებისმიერი პროფესიის მონის ყიდვა (შაჰი მუშის, კარგი ხელოსნის, ღოლამის, მეომრის, მუსიკოსის, მოცეკვავის, მომღერლის და სხვ.).

ფეოდალური ტენდენციები ირანში გამომჟღავნდა უწინარეს ყოვლისა მიწაზე და წყალზე ფეოდალური საკუთრების განვითარებაში. VIII ს-ის მეორე ნახევარსა და IX ს-ში, ისევე, როგორც ომაელთა ხანაში, მიწაზე ფეოდალური საკუთრების სახელმწიფო საკუთრების ფორმა იყო წამყვანი (სახელმწიფო საკუთრება იყო წამყვანი ფორმა საირიგაციო ნაგებობებზეც). ადრეფეოდალური სახელმწიფო გამოდიოდა მიწაზე მესაკუთრის როლში.

სახელმწიფო მიწებთან ერთად იყო „მულქის" მიწები, რომლებიც ადგილობრივ მიწისმფლობელებს – დეჰყანებს უპირობო მემკვიდრეობითი უფლებით ეკუთვნოდა. VIII-IX სს-ში ჩამოყალიბდა კიდევ ერთი კატეგორია მიწაზე და წყალზე ფეოდალური საკუთრებისა – ვაკუფი//ვაკფი. ეს იყო მუსლიმური რელიგიური და საქველმოქმედო დაწესებულებების მიწები. ვაკუფის მიწებისა და უძრავი ქონების გაყიდვა და გასხვისება არ შეიძლებოდა.

ჯერ კიდევ ომაელთა დროს წარმოიშვა, მაგრამ აბასიანთა დროს მნიშვნელოვნად გაფართოდა პირობითი ფეოდალური საკუთრების ფორმა-იკტა (არაბ. ნაწყალობევი). თავდაპირველად მისი შინაარსი ასეთი იყო: მსახურეულ პირებს სამსახურის ან სიცოცხლის განმავლობაში ეძლეოდათ უფლება რენტა-სარკის წილზე სამსახურის სანაცვლოდ მიცემული გარკვეული მოცულობის სახელმწიფო კატეგორიის მიწიდან. იკტას რამდენიმე სახეობა იყო, აქედან მხოლოდ ერთი სახეობის იკტა (იკტა თამლიქი) ითვალისწინებდა რენტა-გადასახადისა (სარკის) აღების უფლებასთან ერთად მიწაზე განკარგულების უფლებასაც. იკტა შეესატყვისებოდა დასავლეთევროპული პირობითი მიწისმფლობელობის ფორმას – ბენეფიციუმს. იკტას მიწები თანდათანობით ფართოვდებოდა სახელმწიფო მიწების ხარჯზე.

ირანის სოფლის მოსახლეობა გაერთიანებული იყო თემებში (VII-IX სს-ში). როგორც წესი, მცირემიწიანობის გამო, სასოფლო თემი თავის წევრებს მიწით ვერ აკმაყოფილებდა, ამიტომაც

მათი ნაწილი იძულებული იყო მიწა სხვაგან ეძებნა. ირანში ბევრი იყო მსხვილი და საშუალო ირანელი და არაბი მიწისმფლობელი. ირანში მიწის მსხვილი მესაკუთრე, ისევე როგორც წინა და შუა აზიის სხვა ქვეყნებში (გარდა საქართველოსა და სომხეთისა), თვითონ არ აწარმოებდა მიწის ექსპლოატაციას, თვითონ არ მისდევდა მეურნეობას. იგი მიწას პატარა ნაკვეთების სახით არენდით ურიგებდა იმ მეშობელი სოფლების გლეხებს, რომლებიც მიწების ნაკლებობას განიცდიდნენ. ახლო აღმოსაელეთში საზიარო არენდა იყო გაერცელებული ფორმა გლეხთა ფეოდალური ექსპლუატაციისა. საზიანო არენდის არსი შემდეგი იყო: მიწისმოქმედი მისთვის არენდით მიცემულ მიწას ამუშავებდა მოწეული მოსავლის ნახევრის, მესამედის, მეოთხედის, მეექვსედის, მეშვიდედის გადახდის პირობით, იმისდა მიხედვით, თუ რას იღებდა მოზიარე მიწის პატრონისაგან. თუ მიწისმოქმედი მიწის მესაკუთრისაგან მიწის გარდა იღებდა სათესლეს, წარმოების იარაღებს და მუშა პირუტყვს (მთლიანად ან ნაწილობრივ), მისი წილი მოყვანილ მოსავალში შესაბამისად მცირდებოდა. მხოლოდ გაჭირვება და მიწის უქონლობა აიძულებდა გლეხს დაედო კაბალური ხელშეკრულება. კაბალა — ეს სიტყვა არაბული წარმოშობისაა. კაბალა — ესაა რაზედაც დაწერილია შეთანხმება, ხოლო კიბალა — ესაა შეთანხმების შინაარსი. ირანის გლეხებს შორის ბევრი იყო მცირემიწიანი და, ზოგიერთი, საესებით უმიწოც, რომლებსაც არ უნდოდათ სოფლის მეურნეობის მიტოვება, სწორედ ამიტომ, ძალიან ბევრი იყო მოზიარე, რომლებიც მიწას ამუშავებდნენ მოსავლის მეოთხედის, მეექვსედის და მეშვიდედის წილის პირობით. საზიარო არენდის წყალობით ბევრი სასოფლო თემი (ჯერ კიდევ ყველა არა) აღმოჩნდა სახელმწიფოზე, დეჰყანებზე ან იკტას მფლობელებზე ფეოდალურ დამოკიდებულებაში. გლეხები მასობრივად ისხდნენ სახელმწიფო, მულქის, ვაკუფის ან იკტას მიწებზე, ამუშავებდნენ ამ მიწებს სასოფლო თემის განაწესის მიხედვით.

დაბეგერის თვალსაზრისით მიწები იყოფოდა: 1. ხარაჯის მიწებად, ან იმ მიწებად, რომელიც დაბეგრილი იყო ხარაჯით; ძირითადად, ეს იყო სახელმწიფო მიწები; 2. უშრის მიწები, ანუ მიწები, რომლებიც დაბეგრილი იყო უშრით, ე.ი. მოსავლის მეათედი ნაწილით; 3. მიწები, რომლებიც მთლიანად ან ნაწილობრივ იყო

ვათავისუფლებული გადასახადებიდან. ამ კატეგორიას ეკუთვნოდა უმაღლესი მუსლიმი სასულიერო პირების, პირველ რიგში სეიდების, ე.ი. წინასწარმეტყველ მუჰამედის ნამდვილი და ცრუ შთამომავლების, მიწები — ვაკუფები.

აბასიანთა დროს გლეხების მდგომარეობა კიდევ უფრო გაუარესდა. თითქმის IX ს-ის მეორე ნახევრამდე შემორჩენილი იყო ტყვეების ბეჭდებით გლეხების დაბეჭდვა. ეს წესი გაქრა გლეხთა დიდი აჯანყებების შემდეგ. გლეხთა მდგომარეობის გაუარესება გამოიხატა ხარაჯის ზრდასა და ფეოდალური ვალდებულებების დამძიმებაში. აბუ იუსუფ იაკუბის „ქითაბ ალ-ხარაჯის" მისედვით, გლეხი, რომელიც ხარაჯას იხდიდა, მძიმე მდგომარეობაში იყო. იგი ასალი მოსავლით ვერ ისარგებლებდა მანამ, სანამ მთლიანად არ გაასწორებდა ანგარიშს სახელმწიფოსთან. მოხელეები თვალყურს ადევნებდნენ, რომ მიწისმოქმედს არ ესარგებლა აუღებელი მოსავლით, მარცელეულის მკა და ლეწვა არ დაყოვნებულიყო, რომ ხარჯთამკრეფებს სახელმწიფოს წილი რაც შეიძლება დროზე შეეტანათ სახელმწიფო ამბრებში. ხარაჯას ორი ფორმა იყო გავრცელებული — მუკასამა და მისაჰა. მუკასამა — ხარაჯა, რომელიც აიღებოდა მოსავლის გარკვეული წილის მიხედვით, ნატურით. აბასიანთა დროს გლეხობა სახელმწიფოს უსდიდა ხარაჯა — მუკასამას სახით მთელი სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის ერთი მეხუთედიდან ნახევრამდე (სამუალოდ). მისაჰა — ხარაჯა, რომელიც ხაზინაში შედიოდა აზომილი და კადასტრში გატარებული მიწებიდან. იგი დამოკიდებული იყო მიწის ვარგისიანობასა და მასზე მოყვანილი კულტურის სახეობაზე (მაგ., ხორბალი, ჭვავი, ბრინჯი, ფინიკის პალმა, ყურძენი და სხვ.); აიღებოდა შერეული ფორმით (ფულადი სახით და ნატურით) თითოეული ღერიბი (ჯერიბი) მიწიდან. ხარაჯა მისაჰა არ იცვლებოდა მოსავლის რაოდენობასთან დაკავშირებით. ფარსში ხარაჯა ხშირად მისაჰას ფორმით აიღებოდა. განსაკუთრებით მძიმედ იყო დაბეგრილი შირაზის ოლქი. მოსახლეობას მძიმე ტვირთად აწვა ხარაჯა-მისაჰას შემსყიდველობითი სისტემა. ხარჯთამკრეფები მიმართავდნენ გამომძალველობას, აღგილობრივი ადმინისტრაციის მოქრთამვას. ამ ბოროტმოქმედების გამო მიწათმოქმედნი უაქტიურად დაწესებულ გადასახადზე მეტს იხდიდნენ.

გლეხთა მდგომარეობა მძიმდებოდა თითოეულ ოლქზე ხარაჯას გარკვეული რაოდენობის დაწესებით. ეს ნიშნავდა, რომ თუ გლეხების აყრა-გაქცევის და მიწების ნაწილის მიტოვება-გაუკაცრიელების გამო ოლქში ვერ მოხერხდებოდა დადგენილი თანხის შეგროვება, გადაუხდელი თანხა დამატებითი გადასახადის სახით დარჩენილ გლეხებზე ნაწილდებოდა. გლეხთა აჯანყებების შელეგად ხალიფა მაჰდიმ (775-785 წწ) ეს სისტემა გააუქმა, ხოლო ხალიფა მამუნის დროს (813-833 წწ) ხარაჯა-მუკასამას გადახდა (ნატურით) შეამცირეს ეოსაელის ნახევრიდან მოსავლის 2/5-დე. მაგრამ ეს შეღავათები უმნიშვნელო იყო. გლეხთა მდგომარეობა კელავ მძიმე რჩებოდა.

IX, განსაკუთრებით კი X ს-ში შეინიშნებოდა საქალაქო ცხოერების დიდი ზრდა. ქალაქები სახალიფოში იზრდებოდა საწარმოო ძალების საერთო აღმაველობის შედეგად. ირანში ქალაქების ზრდას ხელს უწყობდა ქალაქსა და სოფელს შორის საქონლის გაცვლის გაძლიერება, ეაჭრობა ირანის თითქმის ყველა ოლქში მცხოვრებ მომთაბარეებთან, აგრეთვე საქარაენო ეაჭრობა, რასაც განსაკუთრებული მნიშვნელობა ჰქონდა მთავარ საეაჭრო-საქარავნო გზებზე მდებარე ქალაქებისათეის. დასავლეთ ირანისათვის დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ერაყის — ქალაქებს ბაღდადს, ბასრას და სხვ.

§8. სახალხო მოძრაობები სახალიფოში VIII–IX საუკუნეებში

VIII საუკუნეში სახალიფოში გაძლიერდა ბრძოლა აბასიანთა ბატონობის წინააღმდეგ. ამ ბრძოლის ძირითადი მონაწილეები იყვნენ გლეხები. ბრძოლა პირველ რიგში მიმართული იყო არაბი დამპყრობლების, ხოლო შემდეგ მათთან დაკავშირებული აღგილობრივი ფეოდალების წინააღმდეგ. VIII ს-ის მეორე ნახევარში ბრძოლამ უფრო მკვეთრად გამოხატული კლასობრივი ხასიათი მიიღო, ვიდრე VIII ს-ის პირველ ნახევარში, როდესაც ხალხის მასებთან ერთად ომაელთა წინააღმდეგ გამოვიდნენ დაპყრობილი ხალხების გაბატონებული კლასების წარმომადგენლები,

რომლებიც იმედოვნებდნენ, რომ დაიბრუნებდნენ დაკარგულ ძველ სელისუფლებას.

755 წელს ქ. ნიშაბურსა და რეიში იფეთქა აჯანყებამ, რომელსაც სათავეში ჩაუდგა სუმბათ მოგეი. ამ აჯანყებას ბიძგი მისცა აბუ მუსლიმის მკვლელობამ. სუმბათი წარმოშობით ნიშაბურის რეგიონიდან იყო, რწმენით ზოროასტრელი. მას დიდი გაელენა პქონდა აღგილობრივ გლეხურ მოსახლეობაზე. თავდაპირველად აჯანყება წარმატებით მიმდინარეობდა: აჯანყებულებმა დაიკავეს ნიშაბური მისი ოლქით, ყუმი და რეი მათი სანახებით. რეიში მათ ხელთ იგდეს აბუ მუსლიმის მდიდარი სალარო, რომელიც აქ გადმოტანილი იყო მერვიდან. ტაბარისა და ნიზამ ულ-მულქის ცნობები – არეული ნახევრადლეგენდარულ ფოლკლორულ მასალაში, შესაძლებლობას გვაძლევენ კარგად წარმოვიდგინოთ აჯანყების იდეოლოგია და შემადგენლობა. სუმბათი ცდილობდა აჯანყებისათვის ფართო ბაზის შექმნას. აჯანყებაში მონაწილეობდნენ შიიტები და მაზდაქელებიც კი. ტაბარის მიხედვით (ტაბარი თითქმის ყოველთვის ზუსტ ცნობებს იძლევა), ხალიფა ალ-მანსურმა სუმბათის წინააღმდეგ 10000 კაციანი ჯარი გააგზავნა. უწყლო ველის სულ განაპირას, რეისა და ჰამადანს შუა მოხდა ბრძოლა, რომელშიც აჯანყებულთა რაზმები დამარცხდნენ და გაიქცნენ. გაქცევის დროს 6000 აჯანყებული მოკლეს. მოკლეს სუმბათ მოგეიც. ტაბარის სიტყვით, აჯანყება 70 დღეს გაგრძელდა. მიუხედავად შედარებით იოლი გამარჯვებისა, ხალიფა ალ-მანსური ძშვიდად მაინც არ იყო. იგი ხედავდა, რომ გლეხთა ახალი ამბოხება მზადდებოდა. მისი საჰიბ ბერიდები ცნობებს აწედიდნენ, რომ ირანის ჩრდ. აღმოსავლეთ რეგიონებში, ისევე როგორც აზერბაიჯანსა და მავერანაჰრში, მაზდაქელები – ხურამიტების სახელით თავიანთი მოძღვრების ძალზე აქტიურ პროპაგანდას აწარმოებდნენ და ხალხს აქტიური მოქმედებისაკენ მოუწოდებდნენ. მართლაც, ხალიფა ალ-მანსურის დროს ხურამიტები ძალიან გააქტიურდნენ. შაჰრისტანი – ავტორი წიგნისა რელიგიური და ფილოსოფიური სკოლების შესახებ (XII ს.) – კარგად იცნობდა შუა საუკუნეების ახლო აღმოსავლეთის სხვადასხვა რელიგიურ მიმდინარეობებს. იგი მოგვითხრობს, რომ VIII-IX სს-ში ხურამიტები რამდენიმე სექტად იყოფოდნენ: აბუ მუსლიმია, მახანია, კუდაქია, ასფიჯამაგია და სხვ. პირველ ორ სექტას მომხრე

ები ჰყავდა ფარსში და ხუზისტანში, ხოლო დანარჩენებს — მაევერ-ანაჰრში.

ხურამიტების სექტა აბუ მუსლიმია წარმოიშვა საყვარელი სახალხო გმირის იდეალიზაციის შედეგად, რომელსაც ხურამიტები ღმერთის განსახიერებად თელიდნენ. სექტა ასფიჯამაგიამ (არაბ. სპარს. „საფიდ ჯამაგან") — ნიშნაეს „კაცებს თეთრ ტანსაცმელში", 776-783 წწ-ში შუა აზიაში დიდი სახალხო მოძრაობა წარმოშვა, რომელმაც შეარყია აბასიანთა სახალიფო. ეს აჯანყება ცნობილია ალ-მუკანას აჯანყების სახელწოდებით.

767 წ. ხორასანში მოხდა გლეხთა დიდი აჯანყება „წინასწარმეტყველ" უსტად სისის ხელმძღვანელობით. 778-779 წწ-ში გურგანში იფეთქა გლეხთა დიდმა აჯანყებამ, რომლის მონაწილეებიც ცნობილნი იყვნენ „წითელდროშიანების" („სურხ ალემ") სახელწოდებით. ესაა წითელი დროშის, როგორც აჯანყების ემბლემის გამოყენების პირველი შემთხვევა.

816-837 წწ. აზერბაიჯანსა და დასავლეთ ირანში მოხდა გლეხთა დიდი აჯანყება ბაბექის ხელმძღვანელობით. 839 წ. ტაბარისტანში (მაზანდარანი) იფეთქა დიდმა სახალხო აჯანყებამ მაზიარის ხელმძღვანელობით. ამ აჯანყების დროს გლეხებმა არაბი მიწისმფლობელები განდევნეს და მათი მიწები დაიკავეს.

განსაკუთრებით დიდი სახალხო მოძრაობა იყო ბაბექის აჯანყება, რომლის მონაწილეებსაც უწოდებდნენ „წითლით მოსილებს" (არაბ. ალ-მუხამირა) ან „წითელდროშიანებს" (სპარს-არაბ. „სურს ალემ"). ბაბექის მოძრაობის იდეოლოგიური საბურველი, ისევე როგორც მთელი რიგი მსგავსი მოძრაობებისა (ალ-მუკანას აჯანყება შუა აზიაში, მაზიარის აჯანყება მაზანდარანში და სხვ.) იყო ხურამიტების მოძღვრება. ხურამიტები — ეს საერთო სახელია VIII-X სს-ის მთელი რიგი მონათესავე ოპოზიციური სექტებისა, რომელნიც V ს-ის მაზდაკიზმის საფუძველზე წარმოიშვნენ. ხურამიტები, ისევე როგორც მაზდაქელები, დუალისტები იყვნენ. ისინი სცნობდნენ ორი, ურთიერთშორის დაპირისპირებული სამყაროს საწყისის არსებობას — სინათლის და სიბნელის (სხვანაირად კეთილისა და ბოროტის), ღმერთის და ეშმაკის და სხვ. ძალმომრეობასა და ჩაგვრაზე დაფუძნებული ქონებრივ უთანასწორობაზე დამყარებულ საზოგადოებრივ სისტემას ხურამიტები თელიდნენ სამყაროს ბოროტი საწყისის წარმონაქმნად. მათი ლოზუნგი იყო:

მიწების საერთო სარგებლობაში ანუ მთელი დამუშაევული მიწების თავისუფალი სასოფლო თემებისათვის გადაცემა. ისინი ცდილობდნენ ფეოდალური გადასახადებიდან და დამოკიდებულებიდან, სასელმწიფო გადასახადებისა და ვალდებულებებიდან გლეხთა გათავისუფლებას და საყოველთაო თანასწორობის დამყარებას.

ხურამიტებს სწამდათ ღმერთის მუდმივად გარდასახვა ადამიანებად. ღვთაების ადამიანებად გარდასახვის მაგალითები მათი თვალსაზრისით იყო ადამი, აბრაამი, მოსე, იესო, მუჰამედი და შემდეგ სხვა ხურამიტი წინასწარმეტყველები. ზოგიერთები ასევე მიიჩნევდნენ აბუ-მუსლიმსაც კი.

სახალიფოსა და ისლამს ხურამიტები შეურიგებელი სიძულვილით უყურებდნენ.

ხურამიტები უმთავრეს მიზნად ისახავდნენ არაბთა სახალიფოს დამხობას. ხურამიტების მოძრაობა მიმართული იყო უცხოელ დამპყრობთა და ფეოდალური ექსპლოატაციის წინააღმდეგ, ამდენად ეს მოძრაობა პროგრესულ ისტორიულ როლს თამაშობდა. 816 წ. ხურამიტების სექტა „ხურხ ალემმა" თავის ბელადად სცნო ნიჭიერი და მამაცი ახალგაზრდა बाबექი. ხურამიტებმა იგი მიიჩნიეს ღვთის ახალ გამოცხადებად მიწაზე. बाबექის მამა ზეთისხილის ვაჭარი იყო. მამის სიკვდილის შემდეგ, დედამისი შინამოსამსახურედ დადგა, ხოლო თვითონ बाबექი ერთ-ერთი მიწისმფლობელის მწყემსად. შემდეგ იგი აქლემების გამყოლი, ხელოსნის შეგირდი იყო. მოვლილი პქონდა სხვადასხვა ქალაქი. 18 წლის बाबექი წავიდა თალიშის მთებში — बाबაზის ციხე-სიმაგრეში, სადაც ხურამიტების შტაბ-ბინა იყო. მალე იგი აჯანყებული ხურამიტების მეთაური გახდა და დაიწყო ბრძოლა არაბთა სახალიფოს წინააღმდეგ (819 წ.). ხურამიტების აჯანყება მალე გაერცელდა სამხრეთ (ირანის) აზერბაიჯანსა და არანში (ჩრდ. აზერბაიჯანში). बाबექს ქართველები და სომხებიც ესმარებოდნენ. ერთ-ერთ ბრძოლაში სოფ. გაეაზთან აზერბაიჯანელთა და ქართველთა შეიარაღებულმა ძალებმა სასტიკად დაამარცხეს არაბები. საერთოდ ხურამიტებმა არაბთა ჯარი სამჯერ (820, 823, 827 წწ-ში) სასტიკად დაამარცხეს. შემდეგ, ეს მოძრაობა დასავლეთ ირანშიც გავრცელდა. ხურამიტებმა დაიკავეს დიდი ტერიტორია დვინიდან და ბერდაადან ისპაანამდე (ირანში). बाबექი დაუკავშირდა ბიზანტიის იმპერატორ თეოფილეს, მაგრამ უშედეგოდ. აჯანყებულთა ძირითადი მასა

ელეხებისაკენ შეღგებოდა. IX ს-ის 30-იან წლებში ადგილობრივი ფეოდალების ღალატმა და მთელი სამხედრო ძალის მობილიზაციამ სახალიფოს გაუადვილა შეტევაზე გადასვლა. ხალიფას მრავალრიცხოვანი ჯარი ოსრუშანის მთავრის, წარმოშობით თურქი აფშინის მეთაურობით ნელ-ნელა, მეთოდურად ძიიწევდა წინ სამხრეთ აზერბაიჯანის ტერიტორიაზე. აფშინმა უარიოოდ გაშალა შპიონაჟის ქსელი, რამაც დემორალიზაცია შეიტანა ხურამიტების რიგებში. 835 წ. აფშინმა ბაბექი სასტიკად დაამარცხა, რის შემდეგაც ალყა შემოარტყა ბაბაზის ციხეს (ხურამიტების დასაყრდენ პუნქტს). 837 წ. აგვისტოში ბაბაზის ციხე სიმაგრე დაეცა. ბაბექი, რამდენიმე თანამგრძახველთან ერთად, საიდუმლო გვირაბით გაიქცა ალბანეთში. მან თავი შეაფარა ერთ-ერთ ალბანელ ქრისტიან მთავართან. ამ უკანასკნელმა არაბთაგან მიიღო დიდი საჩუქარი და ბაბექი გასცა. ბაბექი მიიყვანეს ხალიფას რეზიდენციაში — სამარიაში, ბაღდადის მასლობლად. ხალიფა ალ-მუთასიმის ბრძანებით მას ხელ-ფეხის მტევნები მოჰკეეთეს და ისე გააკრეს ჯვარზე 837 წ. 4 სექტემბერს.

გლეხთა მოძრაობისადმი კლასობრივი მტრობით განწყობილი წყაროები არაფერს გვამცნობენ ხურამიტების სოციალური პროგრამის განხორციელების შესახებ. უეჭველია მხოლოდ ის, რომ ბევრი მიწა სასოფლო თემების განკარგულებაში გადავიდა. მიუხედავად წარუმატებლობისა, ამ მოძრაობამ, ისევე, როგორც სხვა მოძრაობებმაც, გარკვეული კვალი დაამჩნიეს ირანის ისტორიას. მათ შეარყიეს სახალიფოს ბატონობა ირანში და აიძულეს იგი ერთგვარ დათმობებზე წასულიყო.

§9. არაბთა სახალიფოს დაშლის წანამძღვრები

უკვე IX საუკუნის პირველი მეოთხედიდან არაბთა სახალიფოში დაიწყო პოლიტიკური დაშლის თანდათანობითი პროცესი, რომელიც 945 წ. დამთავრდა. ეს პროცესი იყო სახალიფოს შიგნით ფეოდალური ურთიერთობის განვითარების კანონზომიერი შედეგი. აბასიანთა სახალიფო იყო იმპერია-კონგლომერატი ტომებისა და ხალხებისა, რომლებიც გაერთიანებული იყვნენ ხმლის ძალით — დაპყრობებით. სახელმწიფოს არ ჰქონდა ერთიანი ენა და ერთიანი ეკონომიკური ცხოვრება. მასში შემავალი ტომები და ხალხები იმყოფებოდნენ

ეკონომიკური და კულტურული განვითარების სხვადასხვა ეტაპზე სასალიფოში შემავალი ქვეყნების განვითარების სხვადასხვა დონე და სუსტი ეკონომიკური და ეთნიკური კავშირები ურთიერთშორის – ეს იყო პირველი ისტორიული ფაქტორი, რამაც ხელი შეუწყო სასალიფოს პოლიტიკურ დაშლილობას. სხვა ფაქტორები იყო: სასალხოგანმათავისუფლებელი მოძრაობა ირანში და სასალიფოს შემადგენლობაში შემავალ სხვა ქვეყნებში; ეს მოძრაობები მარცხდებოდნენ, მაგრამ არყევდნენ სასალიფოს ძლიერებას და მის ძალაუფლებას ადგილებზე; სასალიფოს რღვევას ხელს უწყობდა ცალკეულ ოლქებსა და პროვინციებში მსხვილი ფეოდალური უპირობო-ალოდიალური მიწისმფლობელობის (მულქი) და პირობითი მიწისმფლობელობის (იქტა) ზრდა სასელმწიფო მიწისმფლობელობის სარჯზე; სასელმწიფო მიწების უმნიშვენლოვანესი ნაწილი გადადიოდა აღგილობრივი ფეოდალური არისტოკრატიის ხელში, რაც ასუსტებდა სასალიფოს ცენტრალურ ხელისუფლებას. ამასთან დაკავშირებით ძლიერდებოდა ადგილობრიები მსხვილი ფეოდალების პოლიტიკური სეპარატიზმი. მათმა მისწრაფებამ დამოუკიდებლობისაკენ შედეგად მოგვცა ადგილობრიები მემკვიდრეობითი საამიროები, რომლებიც შემდეგ დამოუკიდებელ ფეოდალურ სასელმწიფოებში გადაიზარდნენ. ასეთი სასელმწიფოები ჩამოყალიბდნენ IX ს-ში და X ს-ის პირველ ნახევარში ირანში, ისევე როგორც სასალიფოს შემადგენლობაში შემავალ სხვა ქვეყნებში. ჯერ კიდევ 755 წ. ჩამოყალიბდა დამოუკიდებელი საამირო ესპანეთში, 788 წ. – მაროკოში, 800 წ. – თუნისში და ალეირში, 868 წ. ეგვიპტეში, 929 წ. ჩრდ. სირიაში. IX ს-ის განმავლობაში აღდგნენ ადგილობრივი ფეოდალური სასელმწიფოები საქართველოში, სომხეთში, აზერბაიჯანში. ასეთივე მემკვიდრეობითი საამიროები წარმოიშვა ირანსა და მავერანაჰრში: თაპერიანთა (821-873) – ხორასანში, საფარიანთა (861-900) სისტანში, შემდეგ – ხორასანში; სამანიანთა (819-999) მავერანაჰრში, აგრეთვე ხორასანში (900 წ-დან); ალიდების (864-928) – ტაბარისტანში (ახლანდელი მაზანდარანი, ზიარიდების (928-1042) გურგანში, აბუ დულაფიდების (825-898) – სამხრეთ აზერბაიჯანსა და ჯიბალში (ჩრდ.-დას. ირანში), ბუიდების (935-1055) – დას. ირანსა და ერაყში (მესოპოტამია).

ირანული დეჰყანური არისტოკრატიის გაერთგულების მიზნით ხალიფა იძულებული იყო დაენიშნა განსაკუთრებით გავლენიანი დიდებულები ამა თუ იმ ოლქის მემკვიდრეობით მბრძანებლად

(მოადგილედ). ასეთი საამიროები თანდათანობით გადაიქცნენ დამოუკიდებელ სახელმწიფოებად. იყო შემთხვევები, როდესაც ფეოდალები სამხედრო ძალაზე დაყრდნობით თვითნებურად ხელთ იგდებდნენ ძალაუფლებას. ასეთი მუთაგალიბები (არაბ. ძალმომრეობა, დამპყრობელნი, ტირანები...), როგორც მათ იხსენიებენ წყაროები, ფაქტიურად ახალი დინასტიის და დამოუკიდებელი სახელმწიფოების დამაარსებლები სდებოდნენ. მაგრამ ყველა ეს ადგილობრივი სახელმწიფო წარმოადგენდა წერილ-წერილი ერთეულების სამხედრო-ადმინისტრაციულ გაერთიანებებს.

„IX საუკუნეში ყალიბდება და ვითარდება ახალი სპარსული ენა, რომელმაც მალე არაბული შეცვალა და სწრაფად გავრცელდა შუა აზიასა და ირანში. ახალი სპარსული ენა მარჯვედ იქნა გამოყენებული დამოუკიდებელი ფეოდალური სახელმწიფოების მშენებლობაში. დამახასიათებელია, რომ ახალი სპარსული ენა არაბულს უპირისპირდება ხორასანსა და შუა აზიაში, სადაც პირველი დამოუკიდებელი ორგანიზმები წარმოიშვა“ (ვ. გაბაშვილი).

§10. სახალხო მოძრაობანი ირანის აღმოსავლეთ ნაწილში

ირანის აღმოსავლეთ ნაწილში ადგილობრივი სახელმწიფოების წარმოშობა დააჩქარა სახალიფოს მმართველ წრეებს შიგნით ბრძოლამ და სახალხო მოძრაობებმა, რამაც შეარყია სახალიფოს ძლიერება. VIII-XI სს მიჯნაზე ხალიფას მოადგილემ ხორასანსა და სისტანში ალი იბნ ისამ სახელი გაითქვა როგორც სასტიკმა ტირანმა და წამგლეჯმა. იგი არა მარტო სასტიკი ღონისძიებებით კრეფდა გადასასადებს, არამედ სშირად არაკანონიერ გადასახადებსაც ადებდა მოსახლეობას. ალი იბნ ისას ამგვარი საქციელით შეწუხებულნი იყვნენ გლეხები, ხელოსნები, ეაჭრები და ადგილობრივი მიწისმფლობელნი (დეჰყანები). ისტორიკოსები მოგვითხრობენ ალი იბნ ისას მიერ მიწების უკანონო კონფისკაციაზე და იმ ღონისძიებებზე, რომლითაც იგი კრეფდა გადასასადებს. ალი იბნ ისას ამგვარი „მოღვაწეობა“ მოსახლეობის საყოველთაო უკმაყოფილებას იწვევდა; მოსახლეობა ხალიფასთან ჩიოდა მისი ძალ-

მომრეობის შესახებ, მაგრამ უშედეგოდ: იგი ძეირფასი საჩუქრებით ახერხებდა ხალიფა ჰარუნ ალ-რაშიდის გულის მონადირებას.

ალი იბნ ისას რეკომმა ხორასანსა და სისტანში ორი დიდი მოძრაობა გამოიწვია (ერთმანეთისაგან დამოუკიდებლად): ხარეჯიტების (ფლეხებისა და ხელოსნების) მოძრაობა ჰამზა იბნ ათრაქის ხელმძღვანელობით სისტანში და სახალხო მოძრაობა მავერანაპრში რაფი იბნ ლაისის მეთაურობით.

ხარეჯიტების მოძრაობა სისტანში წარმოიშვა 798 წ., ე.ი. ჰარუნ ალ-რაშიდის მიერ ხორასანის გამგებლად ალი იბნ-ისას დანიშვნიდან ორი წლის შემდეგ. ამ მოძრაობის შესახებ დაწერილებითაა მოთხრობილი სპარსულენოვან ანონიმურ „სისტანის ისტორიაში“ (XI ს.). ჰამზა იბნ ათრაქმა მოახერხა დიდი ხნით სახალიფოსაგან სისტანის ჩამოშორება. ამასთანავე, იგი ხარეჯიტული შეხედულებების თანახმად, არ იღებდა ხარაჯას მუსლიმური მოსახლეობიდან, სოლო თავის ჯარისკაცებისა და მოხელეების შესანახ ხარჯს ფარავდა „ურწმუნოებთან“ ომში მოპოვებული დაელით. „ურწმუნოებად“ იგი თელიდა ყველას, ვინც სალიფას და მისი მოადგილის ერთგული რჩებოდა (მოხელეები, მეომრები...).

რაფი იბნ ლაისის მოძრაობის წარმოშობის მიზეზები იგივე იყო, რაც ხარეჯიტების მოძრაობისა, მაგრამ რაფი იბნ ლაისის მოძრაობა გახვეული იყო სულ სხვა იდეოლოგიურ საბურველში. მან მთელი მავერანაპრი მოიცვა. ზოგიერთი ცნობის მიხედვით, აჯანყებულთა შორის კიდევ ცოცხლობდა „თეთრხალათიანთა“ მოძრაობის ტრადიციები. მოძრაობის მეთაური რაფი იბნ ლაისი, როგორც ჩანს, პირადად იყო განაწყენებული ხალიფამე. ეს მოძრაობა წარმოიშვა 806 წ. 810 წ. იგი ჩააქრო ალ-მამუნმა, რომელიც ხორასნის მმართველი გასდა ალი იბნ ისას გადაყენების შემდეგ. თვით რაფი იბნ ლაისი ერთი წლით ადრე ჩამოშორდა ამ მოძრაობას.

809 წ. ხალიფა ჰარუნ ალ-რაშიდი გარდაიცვალა. მისი სიკვდილის შემდეგ, მის შვილებს ალ-ამინსა და ალ-მამუნს შორის აგეკლა ტასტისათვის ქიშპი და მტრობა. პირადი მტრობა ძმებს შორის უფრო ღრმა წინააღმდეგობების გამოხატულება იყო. ალ-ამინი კარგე არაბული ტენდენციების თაეგამოდებული დამცველი იყო, იმ დროს, როდესაც ალ-მამუნი — ჰარ-უნ ალ-რაშიდის „უკანონო“ შვილი (მისი დედა სპარსელი მონა ქალი იყო), მერვის ძმართველი, მჭიდროდ დაკავშირებული ირანელ მიწისმფლობე-

ლურ არისტოკრატიასთან, პროირანული ორიენტაციის გამტარებელი იყო. 809 წ. პარუნ ალ-რაშიდის ანდერძის თანახმად ხალიფა გახდა ალ-ამინი, თუმცა ალ-მამუნი ჰარუნ ალ-რაშიდის უფროსი შეილი იყო. ძმებს შორის ურთიერთობა კიდევ უფრო გამწვავდა.

811 წ. ალ-მამუნმა დაიწყო მერვეში თავისი სახელით მონეტის მოჭრა, რითაც ხაზი გაუსვა ბაღდადის ხალიფასაგან თავის დამოუკიდებლობას. ძმებსა და მათ მომხრეებს შორის ნამდვილი ომი დაიწყო. 813 წ. ალ-მამუნმა ბაღდადი აიღო. დატყვევებული ალ-ამინი მოკლეს და ტახტი გადავიდა მამუნის ხელთ. ეს ნიშნავდა სახალიფოს შინაურ პოლიტიკაში შემობრუნებას და ირანული დიდებულების გავლენის გაძლიერებას. შინაომისტიური ომის დროს დაწინაურდა თაპერ იბნ ჰუსეინი – სპარსული დეპყანური არისტოკრატიის წარმომადგენელი, რომელიც მემკვიდრეობით ფლობდა ქ. ბუშენგს და მის ოლქს ხორასანში. ალ-ამინთან ბრძოლაში გაწეული დახმარების სანაცვლოდ, ალ-მამუნმა ირანელ დეპყანებს მისცა მიწები და თანამდებობები. რაც შეეხება თაპერ იბნ ჰუსეინს, იგი ალ-მამუნმა დანიშნა თავის მოადგილედ ალ-ჯაზირეში (ბემო მესოპოტამია), ბაღდადის სამხეღრო უფროსად და ნატურალური გადასახადების გამგედ სავადში (ერაყი).

მამუნის კავშირი ირანთან და ირანის დეპყანურ წრეებთან პირველ ხანებში იმდენად ძლიერი იყო, რომ ახალმა ხალიფამ უცბად ვერ შეძლო ხორასნისათვის თავის დანებება და ბაღდადში გადასვლა: 819 წ-მდე იგი მერვეში ცხოვრობდა. მამუნმა მერვეში ყოფნის დროს განსაკუთრებული ყურადღება მიაქცია საყოველთაო უკმაყოფილებას: სისტანში მდგომარეობის ბატონ-პატრონი იყვნენ სარეჯიტები ჰამზა იბნ ათრაქით სათავეში; მავერანაპრში 810 წ. ჩააქრეს სახალხო მოძრაობა რაფი იბნ ლაისის მეთაურობით; ჩრდ. დასავლეთ ირანის და აზერბაიჯანის სხვადასხვა რეგიონებიდან მოდიოდა ცნობები გლეხთა შორის შიიტური და სურამიტული პროპაგანდის შესახებ. ალ-მამუნმა მეგობრული ურთიერთობა დაამყარა ზომიერი შიიტების ზედაფენასთან: ამ გზით იგი ფიქრობდა ხელისუფლებაში მათ ჩაბმას და ამით სახალსო უკმაყოფილების შესუსტებას. ამ დროს სალიფას კარზე დიდ როლს თამაშობდნენ სპარსელი ვეზირები ფაზლ იბნ საპლი და მისი ძმა პასან იბნ საპლი. ალ-მამუნმა, შიიტების გულის მოგების მიზნით, თავის მემკვიდრედ გამოაცხადა მერვე შიიტური იმამი

ალი ალ-რეზა. მანვე აბასელების დროშის შავი ფერი შეცვალა შიიტების დროშის მწვანე ფერით. მაგრამ მისი პოლიტიკის ზომიერმა შიიტურმა კურსმა სათანადო ნაყოფი არ გამოიღო: ირანელებმა ამ ცვლილებებით ფაქტიურად არაფერი მიიღეს, ამიტომაც სასლმა მღელვარება არ შეწყვიტა.

უკმაყოფილო იყო მიწისმფლობელი არისტოკრატიაც, განსაკუთრებით ის ნაწილი, რომელიც მსარს უჭერდა თაპერ იბნ ჰუსეინს. ისინი მკაცრად აკრიტიკებდნენ ხალიფას შიიტებთან დაასლოების ცდის გამო.

მამუნმა სწრაფად დაინახა თავისი პოლიტიკის კრახი, ამიტომაც გაწყვიტა კავშირი შიიტურ წრეებთან: ფაზლ იბნ საჰლი და იმამი ალი ალ-რეზა მოკლეს. თანახმად ერთი ვერსიისა, იგი ალ-მამუნის საიდუმლო ბრძანებით აბანოში მოკლეს, ხოლო იმამი ალი ალ-რეზა ყურძნის მტევანზე დაყრილი საწამლავით მოწამლეს. აბასიანთა დროშის შავი ფერი აღადგინეს და ხალიფა საბოლოოდ დაბრუნდა ბაღდადში.

ალ-მამუნი დროებით თაპერ იბნ ჰუსეინის გაელენის ქვეშ მოექცა. მაგრამ მალე ხალიფასა და მის ძლიერ სპარსელ დიდებულს შორის ხალიფას საზიანოდ ურთიერთობა გამწვაედა (821 წ.). ალ-მამუნმა თაპერ იბნ ჰუსეინი ხორასნის გამგებლად დანიშნა. ეს დანიშვნა უნდა ავხსნათ თაპერ იბნ ჰუსეინის პოპულარობით ხორასნელ დიდებულთა შორის. იგი თავს ირანელთა ლეგენდარული გმირის როსტომის შთამომავლად ასაღებდა. თაპერ იბნ ჰუსეინი ითვლება ხორასნის თაპერიანთა სახელმწიფოს ფუძემდებლად.

ხორასანში თაპერიანთა სახელმწიფოს წარმოშობის თანადროულად მავერანაპრში წარმოიშვა სამანიანთა სახელმწიფო. სამანიანები ხორასნელი დეპყანები იყვნენ. ფაქტობრივად, სამანიანებმა თაპერიანებზე უფრო ადრე ჩაიგდეს ხელში როგორც მავერანაპროს მბრძანებლებმა (მავერანაპრი ემორჩილებოდა ხორასნის მმართველს — ხალიფას მოადგილეს). სამანიანთა დინასტიის დამაარსებლად ითვლება სამან-ხუდათი, რომელიც ფლობდა სოფ. სამანს ბალხის ოლქში. იგი თაკს თვლიდა სასანიანთა მსედართმთავრის ბაპრამ ჩუბინის შთამომავლად. სამან ხუდათი სარგებლობდა ხალიფას მოადგილე ასად ბენ აბდალაპ ალ-კუშეირის მფარველობით. მან მიიღო ისლამი და თავის ვაკს თავისი მფარველის საპატივცემულოდ დაარქვა ასაღი. მისი ვაკები ნუჰი,

აპმელი, იაჰია და ილიასი მონაწილეობდნენ რაფი იბნ ლაისის აჯანყების ჩაქრობაში. ხორასნის მმართველმა ნუპი – სამარყანდის, აპმელი – ფერგანის, იაპია – შაშის, ხოლო ილიასი – პერათის მმართველად დაინიშნა. 855 წ. მათ ეს მიწები გააერთიანეს და ამრიგად სამანიანთა ხელში აღმოჩნდა მთელი მაყერანაპრი.

§11. თაპერიანთა სახელმწიფო ხორასანში (821–873)

თაპერ იბნ პუსეინი 821 წელს ხორასნის მმართველად დანიშნეს. უკვე ერთი წლის შემდეგ (822 წ.) თაპერმა მერვის კათედრალურ მეჩეთში ლოცვის დროს ხუტბიდან ამოაღებინა ხალიფას სახელი. მალე იგი მოკლეს, როგორც ჩანს, ხალიფას ვეზირის ბრძანებით, რომელსაც მერვის საპებ ბერიდმა აცნობა ამ აქტის შესახებ. თაპერს ნამდვილად უნდოდა ბაღდადიდან ირანის ოლქების ჩამოცილება: პირველად ჩრდ. აღმოსავლეთის და აღმოსაელეთის, ხოლო შემდეგ – დანარჩენების. მას უნდოდა ირანის დამოუკიდებელი სახელმწიფოს შექმნა. ხალიფა ალ-მამუნმა თაპერ იბნ პუსეინის ფეოდალური სახლის მიმართ ვერ გაბედა ისეთი რეპრესიების გატარება, როგორიც გაატარა ჰარუნ ალ-რაშიდმა ბარმექიანთა საგვარეულოს მიმართ 802 წ. ჯაფარ ბარმექიანის სიკვდილით დასჯის შემდეგ. თაპერ იბნ პუსეინის ნაცელად ხორასნის ამირა გახდა თალხა იბნ თაპერი (822-828 წწ.). ასე ჩაეყარა საფუძველი სახალიფოს აღმოსავლეთის ოლქებზე თაპერიანთა მემკვიდრეობით უფლებას. თაპერიანთა სახელმწიფოს შემდგომი ისტორია გვიჩვენებს, რომ ის ნომინალურად სახალიფოსაგან მოწყვეტილი არ იყო, ფორმალურად მის შემადგენლობაში რჩებოდა. ყოველ პარასკევს ხუტბაში იხსენიებდნენ ხალიფას სახელს, ხალიფას სახელით ჭრიდნენ ვერცხლის მონეტა დირპემს, ცენტრალურ ხაზინაში იხდიდნენ ხარაჯას და სხვა გადასახადების გარკვეულ წილს, მაგრამ ხორასნის შინაურ საქმეებში ხალიფას ჩარევას არ უშვებდნენ. მათ შექმნეს ვასალური, მაგრამ ძლიერი სახელმწიფო, რომელიც ფაქტობრივად დამოუკიდებელ ცხოვრებას ეწეოდა თავდაპირველად ხორასნის ტერიტორიაზე, ხოლო შემდეგ მოიცვა ტაბარისტანი და ირანის სხვა ოლქებიც. ამ სახელმწიფოს

ხასიათის შესახებ ჩვეულებრივ მსჯელობენ ამ დინასტიის წარმომადგენლის აბდალაპ იბნ თაპერის მოღვაწეობის მიხედვით.

ისეთი ფრთხილი და წყაროებისადმი კრიტიკულად განწყობილი მკვლევარიც კი, როგორიც იყო აკად. ვ.ვ. ბარტოლდი, იდეალურ ფერებში გვიხატავდა თაპერიანების, კერძოდ კი აბდალაპის, საშინაო პოლიტიკას. აკად ვ.ვ. ბარტოლდი შეცდომაში შეიყვანა იმან, რომ X-XV სს საისტორიო წყაროებში თაპერიანთა მოღვაწეობის ხანა წარმოდგენილია, როგორც ეპოქა ეკონომიკური აღმავლობისა. ამ ხანის ფეოდალური ისტორიოგრაფიის თვალსაზრისით აბდალაპი იდეალური მმართველია. სინამდვილეში ეს იყო მხოლოდ ფეოდალური კლასისი ჭკვიანი წარმომადგენელი. იგი ცდილობდა რენტა-გადასახადის (სარაჯას) ზუსტ ფიქსაციას, ქვეყნის საწარმოო ძალების აღმავლობას და გლეხთა გადასახადის გაღასდის უნარიანობის გადიდებას. რა თქმა უნდა, იმის უარყოფა, რომ პირველი თაპერიანების დროს ირანის აღმოსავლეთ ნაწილსა და მავერანაჰრში გლეხები გაცილებით უკეთესად ცხოვრობდნენ, ვიდრე არაბ მმართველთა დროს, არ შეიძლება, მაგრამ თაპერიანებისათვის ხალხზე მბრუნველთა და მოჭირნახულეთა ტიტულების მინიჭება არაა სწორი. თაპერიან აბადლაპის მოღვაწეობის კლასობრივი არსის კარგად გასაგებად და მისი პოლიტიკური შესეულებების უკეთ წარმოსადგენად, უნდა მოვიგონოთ ცნობილი წერილი-დარიგება, რომელიც თაპერ იბნ პუსეინმა — მამამისმა დაუწერა მას. არაბულ ენაზე დაწერილი ეს წერილი მოტანილია IX ს-ის არაბი ავტორის იბნ აბუ ტაიფურის „ბაღდადის ისტორიაში", შემდეგ კი არაბულენოვან ავტორებთან ტაბარისთან (X ს.) და იბნ ალ-ასირთან (XIII ს.). თაპერ იბნ ჰუსეინი აბასიანთა მთელ საგადასახადო სისტემას ნორმალურ მოელენად და კანონზომიერად ცნობს. ბოროტებას იგი ხედავს არა ხარაჯას მაღალ ნორმებში, არამედ ხარჯთამკრეფთა ბოროტმოქმედებაში და სარაჯას არასწორ განაწილებაში. მისი აზრით, შეწყდება თუ არა ბოროტმოქმედება, გაიზრდება მიწათმოქმედთა კეთილდღეობა და ისინი აღვილად გადაიხდიან გადასახადებს; გამდიდრდება არა-მარტო სახელმწიფო, არამედ მოსახლეობაც. თაპერ იბნ პუსეინის აზრით, სელმწიფე მდიდარია არა მაშინ, როდესაც მას სხვადასხვა ხერსებით ბევრი ოქრო აქვს დაგროვილი ხაზინაში, არამედ მაშინ, როდესაც მისი რაიათები მდიდრად და ბედნიერად ცხოვრობენ.

მდიდარი რაიათებისაგან ხაზინა თავისთავად მდიდრდება, რადგან მიწაზე დაღებული და სხვა სახის გადასახადების აკრეფა ადვილია. რაიათები უფრო დაემორჩილებიან თავიანთ ხელმწიფეს. თუ ხელმწიფეს შეიძლება ეწოდოს მწყემსი (რა'ი), ქვეშერდომებს კი ფარა (რა'ია), მაშინ მწყემსს უნდა ახსოვდეს, რომ ფარიდან აიღება მხოლოდ მისი ნამატი.

თაპერ იბნ ჰუსეინის კლასობრივი ინტერესები მკაფიოდაა ასახული მის ანდერძში: „უნდა ზრუნავდე გაჭირვეებაში ჩავარდნილ დიდებულებზე, რათა მათ თავიანთი სიღარიბე ვერ იგრძნონ". თაპერ იბნ ჰუსეინს მიწისმფლობელი არისტოკრატიის კარგი მდგომაროება მიაჩნია საზოგადოებრივი ცხოვრების საფუძვლად. თაპერი წერს ღარიბთა შესახებაც. აქაც იგივე მოტივია: არ დაუშვა ბოროტმოქმედება, ამავე დროს ხალხს თვალი აღევნე ჯაშუშების საშუალებით.

§12. საფარიანთა სახელმწიფო (861–900)

ხამუნის ტბის გარშემო მდებარე (წყალუხვი მდინარე ჰილმენდის ქვემო წელში) სისტანის ნაყოფიერი ოლქი ხშირად ჯანყდებოდა სახალიფოს ბატონობის წინააღმდეგ. აჯანყებებს იდეოლოგიურად ხელმძღვანელობდნენ სექტანტი ხარეჯიტები. სისტანი მთავარი დასაყრდენი იყო ხარეჯიტების სექტის, რომელიც გავრცელებული იყო გლეხებსა და ხელოსნებს შორის. ხარეჯიტ „ერეტიკოსებთან" საბრძოლველად სახალიფო იყენებდა ე.წ. „მოხალისეების" („მუთატავია", „ღაზიები") რაზმებს.

IX ს-ის II ნახევარში „ღაზიების" რიცხვში მოხვდა ღარიბი გლესი იაკუბ იბნ ლაისი. იგი ახალგაზრდობაში იძულებული იყო შეგირდად დადგომოდა ხელოსან მჭედელს (არაბ. საფარ. აქედან ეწოდა დინასტიას საფარიანთა), რომელიც მას თვეში 15 დირჰემს უხდიდა. მისი ძმა ამრი აქლემების ქარავნის გამყოლად მუშაობდა. იაკუბს შრომითი ცხოერება მოსწყინდა და იგი ყაჩაღთა ბრბოს მეთაური გახდა. (ეს ბრბო მასავით დეკლასირებული ელემენტებისაგან შედგებოდა). შემდეგ იაკუბი მთელი რაზმით ხალიფას დაექირავა და აჯანყებულ ხარეჯიტებთან საბრძოლველად წავიდა. ხარეჯიტების მორიგი აჯანყების დაშოშმინების შემდეგ, მოხალისეები თვითონ აჯანყდნენ ხალიფას წინააღმდეგ და სის-

ტანში ძალაუფლება ჩაიგდეს ხელში. 861 წ. მათ იაკუბ იბნ ლაისი სისტანის ამირად გამოაცხადეს. ამგვარად, იაკუბ იბნ ლაისი იქცა მუთაგალიბად და სისტანის ფეოდალურ მყლობელად. მასთან ერთად დაწინაურდა მისი ძმა ამრიც. ორივენი ისინი შიიტები იყვნენ.

იაკუბ იბნ ლაისის პიროვნება კარგადაა გამოკვეთილი წყაროებში. ეს იყო მკაცრი, ყოველთვის მოღუშული, სიტყვაძუნწი, ძლიერი ნებისყოფის, მამაცი მეომარი. მას პირდაპირ მიწაზე ეძინა, თავქვეშ ელო ღროშაში გახვეული ფარი; იკვებებოდა ხმელი პურით და ხახვით, რასაც ჩექმის ყელში ატარებდა. ცხელ საჭმელს იშვიათად ჭამდა. იგი არავითარ გასართობს არ ცნობდა. ამ თვისებებით, აგრეთვე სიმამაცით და მხედართმთავრული ნიჭით, მან თავის დაქირავებულ მეომართა შორის დამსახურებული ავტორიტეტი მოიპოვა. ჯარში მას მკაცრი ღისციპლინა ჰქონდა. იგი უაღრესად პატიუმოყვარე იყო. მას შემდეგ, რაც ფეოდალი გახდა, მან თავი გამოამჟღავნა როგორც სასტიკმა ექსპლოატატორმა და სარბმა მომსვეჭმა. იაკუბი, როგორც ნამდვილი მუთაგალიბი, აბასიანი ხალიფას ძალაუფლებას არ სცნობდა.

იაკუბ იბნ ლაისის ჯარმა დაიპყრო ჰერათი და ბალხი თავისი ოლქებით. 873 წ. იაკუბი თავისი ჯარით გამოჩნდა ნიშაბურთან – უკანასკნელი თაჰერიანის, მუჰამედის რეზიდენციასთან და მოითხოვა მისგან ხელისუფლების გადაცემა. თაჰერიანთა ელჩმა უპასუხა: „წარმოადგინე მართლმორწმუნეთა მბრძანებლისაგან ბოძებული სიგელი და ღროშა, თუ არადა წადი აქეღან“. „აი, ჩემი სიგელი და ღროშა“ – უპასუხა იაკუბმა და იძრო მახვილი. იაკუბმა დაიპყრო მთელი ხორასანი და დაამხო თაჰერიანთა ღინასტია. იაკუბმა ღროებით მოახერხა ქერმანის და ფარსის დაპყრობაც. შირაზში მან ხელთ იგდო 30 მილიონი დირჰემი, რომელიც ოლქის სალაროში იდო. იგი ამით არ დაკმაყოფილდა და თვით ბაღდადის დაპყრობაც მოინდომა, მაგრამ სასტიკად ღამარცხდა. იაკუბის სიკვდილის შემდეგ ხორასნის და სისტანის ამირა გახდა ამრი, იგი ფორმალურად შეურიგდა ხალიფას და მისგან მიიღო სიგელი და ღროშა. თაჰერიანებისაგან განსხვავებით არც იაკუბი და არც ამრი უკეე აღარ უგზავნიდნენ ხალიფას ხარკს. ისინი ხარაჯას სახით აკრეფილ თანხას (40 მილიონ დირჰემზე მეტს) თვითონ ითვისებდნენ. ამრმა უცვლელად დატოვა სიქა – მონეტის ავერსზე ხალიფას სახელი, რევერსზე კი თავისი სახელი

ამოატვიფრინა. ასევე, ხუტბაში პირველ ადგილზე ხალიფას სახელის მოხსენიება ძალაში დარჩა. უბრალოდ რომ ვთქვათ, ამრი ხალიფას ძალაუფლებას მხოლოდ ნომინალურად სცნობდა, ფაქტობრივად კი ხორასანი და სისტანი საფარიანთა დროს სახალიფოსაგან დამოუკიდებელი იყო. იაკუბ იბნ ლაისის მსგავსად ამრიც სასტიკი მმართველი და ექსპლოატატორი იყო. მან სპეციალური გადასახადები დააწესა მოხუცებზე, რომლებიც ქსოვდნენ, გაბარდა ვაჭრებსა და მოგზაურებზე დადებული გადასახადები.

ხალიფას ეშინოდა ამრის და ცდილობდა მის შეჯახებას მავერანაპრის სამანიან ამირა ისმაილთან (892-907). ამრმა ხალიფა მუთაიდილისაგან მავერანაპრის დასაკავებლად მიიღო სიგელი და დროშა. ამრი წავიდა ისმაილ სამანიანის წინააღმდეგ საბრძოლველად. ამავე დროს, ხალიფა ისმაილ სამანიანსაც აქეზებდა ამრის წინააღმდეგ. ორივე ლაშქარი ერთმანეთს შეხვდა ბალხთან. საფარიანთა ჯარი დამარცხდა; ამრი ხელთ იგდო ისმაილ სამანიანმა და გააგზავნა ხალიფასთან, სადაც ის სიკვდილით დასაჯეს. მთელი ხორასანი სამანიანთა სახელმწიფოს შემადგენლობაში შევიდა (900 წ.), ხოლო რამდენიმე წლის შემდეგ სამანიანებმა დაიპყრეს სისტანი. მათ ხალიფასაგან მიიღეს ამ ოლქების ფლობის სიგელი და დროშა. მაგრამ სამანიანები ხალიფას ძალაუფლებას მხოლოდ ნომინალურად სცნობდნენ: ხალიფას არ უხდიდნენ არავითარ ხარკს. შემდეგ, უფრო გვიან, სამანიანებმა სისტანი დაუბრუნეს საფარიანთა ერთ-ერთ შთამომავალს, მაგრამ უკვე როგორც თავის ვასალს. ხორასანი სამანიანთა ხელში დარჩა 999 წლამდე, ე.ი. მთელი საუკუნე.

§13. სახალხო მოძრაობანი კასპიისპირეთის ოლქებში. ალიდების სახელმწიფო (864–929)

ირანის კასპიისპირეთის რეგიონები დიდი ხნის განმავლობაში ეკონომიკურად და პოლიტიკურად სუსტად იყვნენ დაკავშირებული დანარჩენ ირანთან. არაბებმა მხოლოდ VIII ს-ში დაიპყრეს კასპიის ზღვის სამხრეთ-აღმოსავლეთ სანაპიროზე მდებარე გურგანი (ჯურჯანი) და ტაბარისტანი (მაზანდარანი). მაგრამ ხალიფას ძალაუფლება იქ არასოდეს ყოფილა ძლიერი. ხალიფას ვასალების

სტატუსით იქ ფეხმოკიდებული იყვნენ ტაბარისტანელი მთავრებ-ისფაპბელების დინასტიიდან. მონეტები იქ იჭრებოდა ფალაური ლ-არა არაბული სიქით.

კასპიისპირეთის სხვა ოლქები: გილანი (კასპიის ზღვის სამხრ-დასავლეთ სანაპიროზე) და დეილემი (გილანის სამხრეთით) არა-სოდეს ყოფილა ღაპყრობილი არაბთა მიერ. ამ ოლქებში ბინა-ლრობდნენ და მკაცრ ცხოვრებას ეწეოდნენ ადგილობრივი ხალხები — გილიანელები და დეილემიტები, რომლებიც ლა-პარაკობდნენ ირანული ჯგუფის განსაკუთრებულ ენაზე.

არაბები არაერთხელ დასხმიან თავს დეილემს და გილიანს სამხეთრო დავლისათვის — განსაკუთრებით მონებისათვის. ის-ლამი (შიიტური და მართლმადიდებლური) დეილემში გავრცელდა IX ს-ის მეორე ნახევრიდან. იგი აქ გააერცელეს სახალიფოდან ლტოლვილმა შიიტებმა და ალიდებმა.

ღეილემში და გილიანში IX ს-ში მხოლოდ იწყებოდა ადრე-ფეოდალური საზოგადოების ჩამოყალიბება; პატრიარქალურ-თემური წყობილება ჯერ კიდევ მტკიცე იყო. არაბი გეოგრაფები მოგვითხრობენ, რომ ღარიბი და თავისუფლებისმოყვარე დეილე-მელი მთიელები, რადგან მწირი ნიადაგი მათ საკმაო სარჩოს არ აძლევდა, მიექირავებოდნენ ხოლმე როგორც მეომრები აბასიან სალიფებს და აბასიან ამირებს, რომელთა კარზე ცხენოსანი ჯარი (გვარდია) დაკომპლექტებული იყო ახალგაზრდა თურქი მონებით (ღოლამები), ხოლო ქვეითი ჯარი — დეილემელი და გილანელი დაქირავებულებით. X ს-ში ზოგიერთი ამ დაქირავე-ბულთაგან მხედართმთავრად წინაურდებოდა, ძლიერდებოდა, თავის თანატომთა რაზმებზე დაყრდნობით იპყრობდა ამა თუ იმ ოლქს და ხდებოდა მუთაგალიბი — ახალი დინასტიის დამაარსე-ბელი. ღეილემური და გილიანური წარმოშობისა იყვნენ სალა-რიდები (მუზაფერიდები) სამხრეთ-აზერბაიჯანში (941-979 წწ), ზიარიდები — გურგანში (928-1042 წწ), ბუიდები//ბუვეიდები, რო-მელთაც დასავლეთი ირანი და ერაყი დაიპყრეს (945-1055 წწ).

ტაბარისტანში, თუმცა უკვე გაიმარჯვა ფეოდალურმა ურთ-იერთობამ, მაგრამ სასოფლო თემი IX-X სს-ში მაინც თამაშობდა მნიშვნელოვან როლს და ეწინააღმდეგებოდა რენტა-ხარკის ზრდას. უკანასკნელი თაპერიანის მუჰამედის მოადგილე ძალიან ავიწროვებდა ტაბარისტანელ გლეხებს: იგი მათგან სამმაგად

იღებდა ხარაჯას, ებრძოდა სასოფლო თემს და სხვ. მან სახელმწიფოს საკუთრებად გამოაცხადა სასოფლო თემის კუთვნილი ტყეები და საძოვრები, რამაც გამოიწვია გლეხთა მასობრივი აჯანყება 864 წ., რომელიც შიიტურ იდეოლოგიურ საბურველში იყო გამოხვეული. ამ აჯანყებას სათავეში ჩაუდგა ადგილობრივი შიიტების ბელადი, ალის შთამომავალი ჰასან იბნ ზეიდი, რომელმაც გლეხთა აჯანყება გამოიყენა კასპიის ზღვის სამხრეთ სანაპიროზე ალიდების დამოუკიდებელი შიიტური სახელმწიფოს დასაარსებლად. ამ სახელმწიფოს გაელენა გილიანზე და დეილემზე ვრცელდებოდა. ჰასან იბნ ზეიდის სიკვდილის შემდეგ, სამანიანთა სახელმწიფომ, რომელმაც გაანადგურა საფარიანთა სახელმწიფო და დაიპყრო სორასანი, მოახერხა ტაბარისტანის დაკავება (900 წ.). ალიდების დინასტიის წევრებმა და მათმა მომხრეებმა შეძლეს გაქცევა და დამალვა ელბრუსის მთის ტყეებსა და გამოქვაბულებში. სამანიანი მმართველის მხრიდან შეეიწროვებამ გლეხთა ახალი აჯანყება გამოიწვია, რომელიც მიმართული იყო არამარტო სამანიანი მმართველის, არამედ ადგილობრივი ფეოდალების წინააღმდეგაც (913 წ.). აჯანყებას ხელმძღვანელობდა ენერგიული და მჭერმეტყველი, ალიდების გვარის წევრი ჰასან იბნ ალი, მეტსახელად უთრუში (ყრუ). იგი შეეცადა აჯანყებისათვის შიიტური იდეოლოგიური ხასიათის მიცემას. მისი წაქეზებით გლეხები აძევებდნენ ფეოდალ-დეპყანებს და იკავებდნენ მათ მიწებს. XI ს-ის ენციკლოპედისტი ალბირუნი, რომელიც ფეოდალთა თვალსაზრისს გამოხატავდა, აღშფოთებით წერდა, რომ მიწისმფლობელი დეპყანები დაყენებული იყვნენ ძველი ირანის მეფის ფერიდუნის მიერ, ახლა კი ჰასან უთრუშს მოეხასიათა მათი გაძევება, რათა ყველა მეამბოხე ისეთიეე მიწისმფლობელი გახადოს, როგორიც ეს საპატივცემო ხალხია.

სამანიანების ბრძოლა დეილემში იმითაც იყო გართულებული, რომ რუსები ანუ კიეველი მთვარის იგორის რაზმები 913 წელს შემოვიდნენ კასპიის ზღვაში და გადმოსხდნენ ზღვის დასავლეთ და სამხრეთ სანაპიროზე. რუსები ებრძოდნენ სამანიანებს და ამით ობიექტურად უადვილებდნენ ბრძოლას ტაბარისტანელ ამბოხებულებს. რუსებმა დიდი დავლა იგდეს ხელი და გემებით წავიდნენ. ამასობაში, აჯანყებულებმა განდევნეს სამანიანი მოხ-

ელეები და მათი ჯარი. ალიდების სახელმწიფო ტაბარისტანში, გილიანსა და დეილემში აღდგა. წყაროების მიხედვით, ხალხს არ ენახა მეორე ისეთი სამართლიანი მმართველი, როგორიც პასან უთრუში იყო (913-917 წწ). საფიქრებელია, რომ ალიდების სახელმწიფო გადაიზრდებოდა ჩვეულებრივ ფეოდალურ სახელმწიფოში, მაგრამ მან მხოლოდ 928 წლამდე იარსება.

§14. ზინჯების აჯანყება

აბასიანთა სახალიფოს ბატონობას ერაყში და ირანში უღიდესი ღარტყმა მიაყენა ზინჯების აჯანყებამ IX ს-ში და კარმატების მოძრაობამ IX ს-ის ბოლოს და X ს-ში. ზინჯების აჯანყება დაიწყეს მონებმა – ძირითადად შავკანიანმა აფრიკელებმა. მათ უმთავრესად ყიდულობდნენ ზინჯში (ბასზიბარში) მონათა ბაზარზე, ამიტომაც ამ მონებს სახალიფოში უწოდებდნენ ზინჯებს. ზინჯები გაერთიანებულები იყვნენ დიდ ჯგუფებად. მათ ამუშაებდნენ ბასრის გარეუბანში (ერაყში) სახელმწიფო მიწებზე, რასაც ეწოდებოდა შავათ (მკვდარი) მიწა. თუ რაოდენ დიდი იყო შავი და თეთრი მონების რაოდენობა სახალიფოში იქიდან ჩანს, რომ ზინჯების აჯანყების თანამედროვე ისტორიკოს ტაბარის მოწმობით, ერაყის მხოლოდ ერთ ოლქში (ქვემო მესოპოტამიაში) სახელმწიფო მიწებზე 15000 მონა მუშაობდა. ყველა შეუერთდა აჯანყებულებს. აჯანყებას სათავეში ჩაუდგა ენერგიული და განათლებული ბელადი, წარმოშობით არაბი ალი იბნ მუჰამედ ალ ბარკუი, რომელიც ეკუთვნოდა ხარეჯიტ-აბრაქიტების სექტას. ზინჯების აჯანყება 14 წ. გაგრძელდა (869-883 წწ). მასში მონაწილეობდა ათეულ ათასობით მონა. მონების ასეთი დიდი აჯანყება იმის მაჩვენებელია, რომ IX საუკუნეში სახალიფოს აღრეფეოდალურ საზოგადოებაში მონათმფლობელური წყობის გადმონაშთებს (განსაკუთრებით ერაყში) კიდევ ჰქონდა მნიშვნელოვანი ხვედრითი წონა.

აჯანყებაში, გარდა მონებისა, ბევრი გლეხი და ბედუინი მონაწილეობდა; მიუსედავად ამისა, წამყვანი როლი ეკუთვნოდა ზინჯებს. ზინჯებმა ხელთ იგდეს ერაყის უდიდესი ნაწილი, დიდი და მდიდარი საპორტო ქალაქი ბასრა. მათ საფუძველი ჩაუყარეს ახალ ქალაქს – ალ-მუხთარას. ისინი არ დაკმაყოფილდნენ მიღ-

წეულით: მათ წინ წაიწიეს ხუზისტანში და აიღეს მნიშვნელოვანი ქალაქი ასვაზი.

ზინჯების აჯანყების ხელმძღვანელებმა მიითვისეს ნაყოფიერი მიწები და თვითონ გადაიქცნენ ფეოდალური ტიპის მიწათმფლობელებად. მათ გლეხები არ გაათავისუფლეს სარაჯას გადახდისაგან; მთლიანად არ გაუუქმებიათ მონობის ინსტიტუტი: მათ გაათავისუფლეს მხოლოდ აჯანყებაში მონაწილე მონები, მაგრამ ხუზისტანში და სხვა რეგიონებში ლაშქრობის დროს თვით ზინჯები იმონებდნენ მშვიდობიან მოსახლეობას. ზინჯების მეთაურებმა ზუსტად გადაიღეს სახალიფოს მართვა-გამგეობის ფორმები. მათ ალი იბნ მუჰამედი გამოაცხადეს ხალიფად. ყოველივე ამის ლოგიკური შედეგი ის იყო, რომ გლეხები და ბედუინები ამ აჯანყებას ჩამოშორდნენ. ზინჯები იზოლირებული აღმოჩნდნენ. ამან უშველა ხალიფას მრავალრიცხოვან ჯარს (50000 კაცი), რომელიც სამდინარო ფლოტსაც ფლობდა. ხანგრძლივი და სასტიკი ბრძოლის შემდეგ ზინჯების აჯანყება ჩააქრეს.

ზინჯების აჯანყებას, მიუხედავად მთელი რიგი ორგანიზაციული სუსტი მხარეებისა, სახალიფოს ქვეყნების ისტორიაში პროგრესული მნიშვნელობა ჰქონდა, რადგან ამ აჯანყებამ ერაყისა და ირანის ეკონომიკურ ცხოვრებაში მონის შრომის ხვედრითი წონა მნიშვნელოვნად შეამცირა. ამ აჯანყების შემდეგ სახელმწიფო და მსხვილი მიწათმფლობელები თავს არიდებდნენ მონების დიდი მასების ერთად თავმოყრას. IX-X სს-დან დაწყებული მიწათმფლობელნი მონებს უნაწილებდნენ მიწის ნაკვეთებს და აქცევდნენ მათ ფეოდალურად დამოკიდებულ გლეხებად.

§15. ისმაილიტები

VIII ს-ის მეორე ნახევარში შიიტები დაიყვნენ სექტებად: ზეიდიტები, იმამიტები (ზომიერი შიიტები), რომელნიც მეშვიდე იმამად სცნობდნენ ალიდ მუსა ყაზიმს და ისმაილიტები, რომელნიც იმამად სცნობდნენ მის ძმა ისმაილს. IX ს-ის მეორე ნახევარში ჩამოყალიბდა ისმაილიტების ძლიერი და საიდუმლო ორგანიზაცია, რომლის გავლენა გავრცელდა საკმაოდ დიდ ტერიტორიაზე შუა აზიიდან ხორასანამდე. ისმაილიტობა წარმოიშვა დემოკრატიულ, როგორც ჩანს, ხელოსნურ წრეებში. სახალიფოს აღმოსავლეთ

ნაწილში (სირია, ერაყი, ბაჰრეინი, ირანი და სხვ.) ისმაილიტებმა მიიღეს კარმატების სახელწოდება. კარმატები შემდეგ ცალკე სექტად ჩამოყალიბდნენ.

IX ს-ის ბოლოს ნეოპლატონიზმის იდეალისტური ფილოსოფიის, რომელიც გაერთიანდა ქრისტიანულ გნოსტიციზმთან, გავლენით ჩამოყალიბდა ისმაილიტების დოქტრინა, რომელიც ძალიან დაშორდა ე.წ. „მართლმადიდებლურ“ (სუნიტურ) ისლამს და ზომიერ შიიზმს. ისმაილიტების მოძღვრების თანახმად, ღმერთმა — აბსოლუტმა თავის თავიდან გამოპყო შემოქმედებითი სუბსტანცია — „მსოფლიო გონება“, რომელმაც შექმნა იდეების სამყარო და თავის მხრივ გამოპყო უმდაბლესი სუბსტანცია — „მსოფლიო სული“, რომელმაც შექმნა მატერია, პლანეტები და მიწა. ისმაილიტები ყურანს ალეგორიულად განმარტავდნენ და უარყოფდნენ ისლამის ზნეჩვეულებების უმეტეს ნაწილს.

ისმაილიტები ასწავლიდნენ, რომ დროის გარკვეული ციკლის შემდეგ მოციქული აღდგება სალსში. „მსოფლიო გონების“ გამოძხატველად ითვლება ნატიკი (მოლაპარკე) ანუ წინასწარმეტყველი, ხოლო „მსოფლიო სულის“ — მისი თანაშემწე, კომენტატორი მისი მოძღვრებისა — ასასი (ბაზისი, საფუძველი). ნატიკი ექვსი იყო: ადამი, ნოე, აბრაამი, მოსე, იესო ქრისტე და მუჰამედი. მეშვიდე უნდა გამოჩნდეს განკითხვის დღეს. ყოველ ნატიკს ჰყავდა თანაშემწე: მოსეს — აარონი, იესო ქრისტეს — პეტრე მოციქული, მუჰამედს — აღი. ისმაილიტების სექტა პირველად შეიდი, შემდეგ კი ცსრა საფეხურისაგან შედგებოდა. უმაღლეს საფეხურს მხოლოდ სექტის ზოგიერთი წევრი აღწევდა. მათ უნდა ბრმად დამორჩილებოდნენ, როგორც იარაღი, სექტის უფრო დაბალ საფეხურზე მდგარი სხვა წევრები. ისმაილიტების სექტა შეკრული იყო რკინისებური დისციპლინით.

§16. კარმატების მოძრაობა

კარმატების მოძრაობის სახელქვეშ ცნობილია ბედუინების უღარიბესი ფენების, გლეხებისა და ხელოსნების ფართო მასშტაბის ანტიფეოდალური მოძრაობა სირიაში, ერაყში, ბაჰრეინში, იემენსა და ხორასანში. კარმატების საიდუმლო ორგანიზაცია ჩამოყალიბდა ზინჯების აჯანყების დროს. მისი წარმოშობა შეიძლება დაკავშირებული იყოს საეჭვო კორპორაციებთან.

კარმატებმა წამოაყენეს ლოზუნგი სოციალური და ქონებრივი თანასწორობის შესახებ (მიწაზე არ ერცელდებოდა). კარმატების იდეოლოგია იყო ისმაილიტების შიიტური სექტის მოძღვრება. კარმატები ალეგორიულად განმარტავდნენ და უარჰყოფდნენ „მართლმადიდებლური“ ისლამის წეს-ჩვეულებებს. თავის უზენაეს მეთაურებად კარმატები რიგრიგობით მიიჩნეოდნენ ისმაილიტ ბელადებს, ალისა და ფატიმას შთამომავლებს. მეთაურის სახელს არასოდეს ახსენებდნენ: იგი უცნობი იყო უართო მასისათვის. მეთაური ქადაგებისათვის და აჯანყების მოსამზადებლად სხვადასხვა რეგიონში აგზავნიდა მისიონერებს (და'ი).

კარმატების პირველმა აჯანყებამ 890 წ. ქ. ვასიტის რეგიონში — ერაყში იფეთქა. აჯანყების ბელადი იყო ჰამდან კარმატი. აჯანყებულებმა საერთო ხაზინაში თავისი შემოსაყლის მეხუთედის შეტანის ვალდებულება იკისრეს. ისინი ცდილობდნენ მოსახლეობაში თანასწორი განაწილების პრინციპის დანერგვას. მათ შემოიღეს საერთო-საძმო ტრაპეზები.

894 წ. მოხდა კარმატების აჯანყება ბაპრეინში. 899 წ. აჯანყებულებმა დაიკავეს ქ. ლახსა, რომელიც ბაპრეინში ახალჩამოყალიბებული კარმატთა სახელმწიფოს დედაქალქი გახდა. ამ სახელმწიფომ 150 წელი იარსება.

900 წ. კარმატმა და'ი ზიკრავეიჰმა სირიის უდაბნოს ბედუინებს აჯანყებისაკენ მოუწოდა. აჯანყებამ მოიცვა სირია და ქვემო ერაყი. 901 წ. კარმატებმა ალყა შემოარტყეს ქ. დამასკოს. ხალიფას ჯარებმა ეს აჯანყება მხოლოდ 906 წ. ჩააქრეს, მაგრამ სირიისა და პალესტინის ზოგიერთ რეგიონში კარმატებმა ბრძოლა მთელი X ს-ის განმავლობაში გააგრძელეს.

902 წ-დან დაწყებული X ს-ის ორმოციან წლებამდე კარმატული აჯანყებები იყო სორასანსა და შუა აზიაში (907 წ. პერათში და სხვ.).

პოეტი-მოგზაური ისმაილიტი ნასირ-ი ხოსროუ, რომელმაც ლასსა ნახა XI ს-ის შუახანებში, ასე აგვიწერს კარმატების მიერ ბაპრეინში დაფუძნებულ საზოგადოებრივ წყობას. ბაპრეინის ძირითადი მოსახლეობა თავისუფალ მიწისმოქმედებისა და ხელოსნებიდან შედგებოდა. არცერთი მათგანი არავითარ გადასახადს არ ისდიდა. სახელმწიფოს სათაეში იდგა 6 მმართველისა და 6 თანაშემწისაგან (ვეზირები) შემდგარი კოლეგია. სახელმწიფოს ჰყავდა 30000 ზანგი და აბისინიელი მონა, რომლებიც მინდორში და

ბაღებში სამუშაოდ მიწათმოქმედებს ჰყავდათ ღარიგებული. ეს იყო ცდა ჩვენი წელთაღრიცხვის პირველი საუკუნეებისათვის დამახასიათებელი თემური წყობილების აღდგენისა. საზოგადოებრივი ხაზინიდან გაჭირვებულ მიწათმოქმედებს და ხელოსნებს ეძლეოდათ სესხი. ლაშქარში 20000 კაცი ირიცხებოდა. ბაპრეინის კარმატებს არ ჰქონდათ მეჩეთები; ისინი არ ლოცულობდნენ, არ იცავდნენ მარხვას; ისინი ლოიალურად ეპყრობოდნენ მათ შორის დასახლებულ ყველა რელიგიისა და სექტის მიმდევარს.

პერიოდის შედეგები

ირანის ისტორიული განვითარების გაგებისათვის ზემოთგანხილული პერიოდი მნიშვნელოვანია ორი უმთავრესი მოვლენით: I. ბინჯების აჯანყების შემდეგ ფეოდალიზმმა საბოლოოდ გაიმარჯვა მონათმფლობელური გადმონაშთების ტენდენციებზე. IX ს-ის ბოლოდან ადრეფეოდალური საზოგადოება ირანში — შემორჩენილი მონათმფლობელური და პატრიარქალური (თავისუფალი სასოფლო თემი) წყობის გადმონაშთებით, ადგილს უთმობს განვითარებულ ფეოდალურ საზოგადოებას, რომლის დამახასიათებელი ნიშნებია: მიწაზე ფეოდალური საკუთრების გამოკვეთილი ფორმები, გლეხების მთელი მასის დამოკიდებულება ფეოდალებზე, ქვეყნის ეკონომიკაში მონის შრომის მნიშვნელობის შემცირება; II. არაბთა სახალიფოს დაშლით და ადგილობრივი სახელმწიფოს აღორძინებით (თაპერიანთა სახელმწიფო და სხვ.) ირანი თანდათანობით განთავისუფლდა უცხოელთა ბატონობისაგან. ეს პროცესი დასრულდა 935 წ. ბუიდების ანუ ბუვეიდების სახელმწიფოს ჩამოყალიბებით დასავლეთ ირანში.

§17. სახალიფოს ბატონობის დაცემა ირანში

IX ს-ის განმავლობაში ირანის უდიდეს ნაწილში სახალიფოს ბატონობა დაეცა. იგი მხოლოდ დას. ირანზე ერცელდებოდა. X ს-ის 30-იან წწ-ში იგი აქაც დაეცა. ტაბარისტანში შიიტი ალიდი მეთაურის უთრუმის სიკვდილის შემდეგ დაიწყო ბრძოლა ხელისუფლებისათვის მის ნათესავებს — ალიდებს და სამანიანებს

შორის. ამ ბრძოლაში სულ უფრო და უფრო მნიშვნელოვან როლს თამაშობდნენ დეილემიტების რაზმები. ერთ-ერთი მათი წინამძღოლი მერდავიჯ იბნ ზიიარი იმდენად გაძლიერდა, რომ თავის დაქირავებულ დეილემიტების რაზმებზე დაყრდნობით 928 წ. დაიკავა ტაბარისტანი და გურგანი. მან საფუძველი ჩაუყარა ზიარიდების დინასტიას (928-1045 წწ). იბნ ალ-ასირის სიტყვით, მერდავიჯი იყო გაღატაკებული გლეხი დეილემიდან, რომელმაც თავი დაანება მიწათმოქმედებას, გახდა დაქირავებული ჯარისკაცი და გაიკეთა სამხედრო კარიერა. მოკლედ, იგი ისეთივე მუთაგალიბი იყო, როგორიც, თავის დროზე იაკუბ იბნ ლაისი საფარიანი. მერდავიჯი არ დაკმაყოფილდა ძალაუფლების ხელში ჩაგდებით ირანის კასპიისპირეთის შედარებით ღარიბ ოლქებში. მან დაქირავებულთაგან შეაგროვა დიდი ძალა და 932-935 წწ შორის დაიპყრო დას. ირანის ნაწილის ისეთი მნიშვნელოვანი ქალაქები, როგორიც იყო რეი, ყაზვინი, ჰამადანი, ისპაანი და შირაზი. გარეკა იქიდან ხალიფას ჯარი. ამგვარად, 935 წ. დასავლეთ ირანში აბასიანთა ბატონობა დაეცა.

მერდავიჯი თავის თავს ფორმალურად ხალიფას მოაგდილეს უწოდებდა, მაგრამ იგი ხალიფას არავითარ ანგარიშს აღარ უწევდა და ემზადებოდა ბაღდადზე სალაშქროდაც კი. მერდავიჯი ოცნებობდა ირანის სახელმწიფოს აღდგენაზე სასანიანთა ირანის ფარგლებში.

დასავლეთ ირანის დაპყრობის დროს თავი გამოიჩინეს მერდავიჯის მსედართმთავრებმა — სამმა ძმამ ბუიდების დეილემიტური გვარიდან ალიმ, ჰასანმა და აჰმედმა. მათი მამა აბუ შუჯა ბუი, ზოგიერთი წყაროს (იბნ ალ-ასირი და სხვ.) მიხედვით, დეილემელი ღარიბი გლეხი, ტყის მჭრელი და მეთევზე იყო. შემდეგ იგი თავისი სამი შვილით შევიდა ჯარში (უფრო გვიან მლიქენელი ისტორიკოსები ქმნიან ლეგენდას მერდავიჯის სასანიანებიდან, ხოლო ბუვეიანების ბაჰრამ V-დან წარმოშობის შესახებ).

მერდავიჯ იბნ ზიარის მეთაურობით ბუვეიანებმა სამხედრო კარიერა გაიკეთეს, ხოლო დასავლეთ ირანის დაპყრობის შემდეგ, სამი ძმა ბუვეიანთა გვარიდან, როგორც მხედართმთავრები და მერდავიჯის მოადგილეები, ფლობდნენ მნიშვნელოვან სამხედრო ძალას და რეალურ ხელისუფლებას ზოგიერთ ოლქში, კერძოდ შირაზში. მერდავიჯმა ვერ მოასერხა მის მიერ დაპყრობილი

ყველა ოლქის თავისი დინასტიისათვის შენარჩუნება. მის ჯარში, გარდა დაქირავებულებისა, იყო 4000 ცხენოსანი თურქი ღოლამი. მერდავიჯი ყოველთვის გამოარჩევდა თავის თანამემამულეებს — დეილემიტ დაქირავებულებს: იგი ღოლამებს მკაცრად ექცეოდა. ერთხელ იგი გაბრაზდა რამდენიმე ახალგაზრდა ღოლამზე იმის გამო, რომ ისინი ვეიანობამდე ასუფთავებდნენ ცხენებს და სმაურობდნენ, რითაც მას ძილი დაუფრთხეს. მან ბრძანა „დამნაშავე" ახალგაზრდა ღოლამების ცხენებივით შეკაზმვა. ამან ღოლამები გაამწარა. მათ დაიყოლიეს მერდავიჯის მონა, რათა მას გადაეტეხა მისი ხმალი და ისე ჩაეგო ქარქაშში. მერდავიჯს თავს დაესხნენ აბანოში. იგი ღიღსანს იცავდა თავს უიარაღოდ, მაგრამ იგი მაინც მოკლეს. ეს ამბავი მოთხრობილია მას'უდისთან და უფრო სრულად, ჩვენამდე მოუღწეველი პირველწყაროების მიხედვით — იბნ ალ-ასირთან.

მერდავიჯის მკელელობამ ისპაანში (935 წ.) მის გარემოცვამი გამოიწვია პანიკა და დაბნეულობა. ამით ისარგებლეს ძმებმა ბუიდებმა: მათ დაძრეს ჯარი შირაზიდან ისპაანზე. მაათი ხელისუფლება შემდეგ მთელ დასავლეთ ირანზე გავრცელდა. ასე ჩაეყარა საფუძველი ბუიდების (არაბ. ბუეიპიდების) სახელმწიფოს (935-1055 წწ). მერდავიჯის ნათესავმა ზიარიდებმა ძალაუფლება შეინარჩუნეს გურგანში. ათი წლის შემდეგ უმცროსმა ძმამ აპმედმა დაიპყრო არაბეთის ერაყი ბაღდადითურთ. მან აბასიან სალიფას წაართვა საერო (პოლიტიკური) ძალაუფლება და შეუნარჩუნა მხოლოდ სასულიერო. მართალია, ბუიდები ამის შემდეგაც მართავდნენ სახელმწიფოს ფორმალურად აბასიანი ხალიფას სახელით, მათ ამირთ-ამირას (ამირ ულ-ომარა) წოდება ჰქონდათ, მაგრამ რეალურად ხალიფები სახელმწიფო საქმეებს ჩამოაცილეს. ბუიდებმა აბასიან ხალიფას ჩამოართვეს მისი საგვარეულო მიწები, სამაგიეროდ მისცეს მიწა იკტად, როგორც ჩვეულებრივ მიწათმფლობელებს. ხალიფას სახელი ხუტბაში კელავ პირველ ადგილზე იხსენიებოდა, მონეტის ავერზზეც იყო ამოტვიფრული, ხოლო მეორე ადგილზე — ბუიდი ამირასი ბუიდების სახელმწიფოში შევიდა მთელი დასავლეთი და სამხრეთ ირანი, სპარსეთის ერაყის უდიდესი ნაწილი ქალაქებით ჰამადანით, ისპაანით, რეით; სუბისტანი, ფარსი, ქერმანი, აგრეთვე არაბეთის ერაყის დიდი ნაწილი ქ. ბაღდადით და ბასრით.

ხორასანი და სხვა ოლქები მაევრანაპრთან ერთად სამანიანების სახელმწიფოს შემადგენლობაში იყო. სამანიანი ამირები ცხოვრობდნენ ბუხარაში, ხოლო მათი მოადგილეები ხორასანში – ნიშაბურში. გურგანში ზიარიანთა სახელმწიფო (928-1042 წწ) სამანიანებისაგან ეასალურ დამოკიდებულებაში იყო, ამგვარად, თითქმის მთელი ირანი გაიყო ორ დიდ სახელმწიფოდ – სამანიანთა და ბუიანთა სახელმწიფოებად. მხოლოდ სამხრ. აზერბაიჯანი, ირანის ერაყის და გილიანის მიმდებარე ოლქებით, ქმნიდა განსაკუთრებულ საამიროს, რომელშიც თანმიმდევრობით იცვლებოდნენ საჯიდების (თურქული – 890-929), სალარიდების (დეილემური – 941-979), რაევადიდების (არაბული – 979-1070) დინასტიები.

§18. ირანის ეკონომიკა Xს–XI საუკუნის შუა ხანებში

ა. სოფლის მეურნეობა

განვითარებული ფეოდალური საზოგადოების ჩამოყალიბებას ირანის ეკონომიკისათვის პროგრესული მნიშვნელობა ჰქონდა. ეკონომიკურ აღმაფლობას ხელს უწყობდა აგრეთვე არაბთა სახალიფოს დაცემა და ადგილობრივი ირანული სახელმწიფოების აღდგენა. გლესებსა და ქალაქის მცხოვრებლებში შეგროვილი გადასასადი ახლა ქვეყნიდან აღარ გადიოდა (როგორც ეს სახალიფოს დროს იყო), არამედ იხარჯებოდა ირანის შიგნით ნაწილობრივ საირიგაციო ნაგებობების მშენებლობაზე. ირანი უკვე კარგა ხანია აღარ განიცდიდა უცხო სახელმწიფოთა თავდასხმებს, ხოლო შინაური ომები ზემოაღნიშნულ პერიოდში დიდი მასშტაბების არ იყო და არ იწვევდა ქვეყანაში დიდ რბევა-ოხრებას.

X ს. გეოგრაფები, განსაკუთრებით ისთახრი, მას'უდი, იბნ პაუკალი, მუკადასი და X ს-ის ბოლოს ანონიმი გეოგრაფი, გვაწვდიან ძალზე დაწვრილებით ცნობებს ირანის ეკონომიკური გეოგრაფიის შესახებ, რომლებზე დაყრდნობითაც შეგვიძლია დავასკვნათ, რომ აღნიშნულ პერიოდში ირანში საწარმოო ძალების ისეთი ზრდა იყო, რომლის მსგავსი არც ადრე და არც მერე, XX ს-მდე არ ყოფილა.

აღნიშნულ პერიოდში ირანში ყველგან აშენებდნენ საირიგაციო ნაგებობებს, რაც ხელს უწყობდა დამუშავებული ფართობის ზრდას. კიარიზების გაყვანის ტექნიკამ ისეთ დონეს მიაღწია, რომ მაგ., ქერმანში წყალი კიარიზით 5 დღის სავალზე (დაახლ. 125 კმ) მიედინებოდა. კიარიზების სიღრმე ზოგან — განსაკუთრებით ქუჰისტანში — 90 მ აღწევდა. გაფართოვდა ოთხიევე სახის ირიგაციო წყაროს წყლით მორწყვა, მორწყვა სამდინარო არხებით, კიარიზებით და ჭის წყლით. მდ. კარუნიდან, ჰილმენდიდან, სერერუდიდან, ზაიენდე-რუდიდან და სხვ. გაყვანილი იქნა ბევრი ახალი არხი. აშენდა კამხალები, შლიუზები, საგუბრები და სხვ. წყალსაქაჩი ბორბლების რამდენიმე სახეობა იყო ცნობილი. გრუნტის წყლების მოძებნის, კიარიზების მშენებლობის და სხვა სახის საირიგაციო სამუშაოების ბევრი კვალიფიციური სპეციალისტი იყო.

ფარსში მდ. კურზე, შირაზსა და ისთახარს შორის, ბუიდმა აზუდ ად-დოულემ X ს-ის მეორე ნახევარში ააშენა ცნობილი „აზუდის კაშალი" (მდინარე გადაღობა ქვის ფილებით აშენებული მტკიცე კედლით). ამ კაშხალზე ორ მხედარს ეერდიგეერდ თავისუფლად შეეძლო გავლა. წყალმა აიწია და შექმნა ხელოვნური ტბა, რომლის ნაპირებზეც დააყენეს 10 დიდი წყალსაქაჩი ბორბალი, ხოლო თითოეულ ბორბალთან თითო წყლის წისქვილი. წყალსაცავიდან გაიყვანეს არხები. ხუზისტანში მდ. კარუნზე მოაწყვეს დიდი წყალსაქაჩი ბორბლები, რომლებიც წყალს მაღალ ნაპირებზე ქაჩავდნენ, იქიდან კი არხებით მინდვრები ირწყვებოდა. ხელისა და პირუტყვის ძალით მომუშავე წისქვილები შეცვალეს წყლისა და ქარის წისქვილებით (სისტანში). მოძრაები ქვიშისაგან დასაცავად სპეციალურ ნაგებობებს აშენებდნენ.

გაფართოვდა კულტურული მცენარეების ძველი ჯიშების გაშენება, გამოჰყავდათ ახალი ჯიშები. ძალზე ფართოდ გავრცელდა ბრინჯის კულტურა, რომელიც სასანიანთა ირანში თითქმის არ იყო. ახლა ბრინჯი მოჰყავდათ ხუზისტანში, ფარსისა და ხორასნის დაბლობ რეგიონებში, სისტანში, კასპიისპირეთის ოლქებში. დაიწყეს ახალი კულტურული მცენარეების გაშენება: მაგ., ციტრუსების (ირანის სამხრ. რეგიონებში, კასპიისპირეთის ოლქებში, ბალხის ოაზისში და სხვ). ქერი და ხორბალი ირანის ზეგანზე ყველგან მოჰყავდათ (2500 მეტრამდე ზღვის ღონიდან, ზოგან უფრო მაღლაც). სპარსელი პოეტები და სხვა ავტორები

ქერს „ღარიბთა პურს“ უწოდებდნენ. სახალხო პოეტი ბაბა თაპურ ურიან ლური (XI ს. დასაწყისი) წერდა: „ჩემი ხელები რომ მისწვდნენ ცის თაღს, მე შეეეკითხებოდი მას: რატომ არის ერთი და რატომ არის მეორე? რატომ აძლევ ერთს ასობით სიკეთეს, ხოლო მეორეს — მხოლოდ ქერის კვერს, რომელიც ოფლის სისხლითაა გაჟღენთილი?“. დაბალთა პურად ითვლებოდა აგრეთვე უეტვი, რომლის კულტურაც ასევე ფართოდ გავრცელდა. ცხენების საკვებად ბევრგან თესდნენ იონჯას და სამყურას. ხორასანსა და ირანის ჩრდ. რეგიონებში, აგრეთვე ფარსსა და სამხრ. აზერბაიჯანში მოპყავდათ ბამბა. სელი უმთავრესად ფარსში იყო გაშენებული. მისგან ამზადებდნენ ზეთს, იგი გამოიყენებოდა საფეიქრო წარმოებაში (შემდეგ, მისი როგორც საფეიქრო ნედლეულის ადგილი დაიკავა ბამბამ). თესდნენ აგრეთვე კანაფსაც.

თესდნენ ისეთ მცენარეებსაც, რომლებისგანაც საღებავებს ამზადებდნენ: ზაფრანა (ყვითელი ფერი. სპარსეთის ერაყი, ყუმი, ლურისტანი, ზამინდაევრი); ეხდრო (წითელი ფერი. ხორასანი); ალისარჩული (ყვითელი ფერი. ხორასანი); ინდიგო (ლურჯი ფერი. ქერმანი).

ირანში ფართოდ იყო გავრცელებული პარკოსანი კულტურები. მოპყავდათ აგრეთვე ბოსტნეული: ბადრიჯანი, თალგამი, ბოლოკი, სტაფილო, კომბოსტო, ფერადი კომბოსტო, სხვადასხვა სახეობის სახვი და ჭარხალი, ისპანახი, მდოგვი, პილპილი და სხვ. ბალბოსტნები უმთავრესად ქალაქის შემოგარენში იყო. ფართოდ იყო გავრცელებული კიტრის კულტურა. ისთახრის ცნობით, შირაზის ახლოს დიდ ფართობზე მოპყავდათ კიტრი. ცნობილი იყო ნესეის 50-მდე სახეობა. საუკეთესოდ ითვლებოდა ისპაანური ნესვი. მოპყავდათ აგრეთვე გოგრა და საზამთრო.

ხეხილი იყოფოდა „გარმსირად“, რომელიც დაბლობში ხარობდა (1000-1200 მ-მდე): ლეღვი, ზეთისხილი, ლიმონი, ფორთოხალი, ფინიკის პალმა, ფშატი და „სარდსირად“ (1200-2000 მ ზევით): ვაშლი, მსხალი, კომში, ალუჩა, ალუბალი, ბალი, ქლიავი, აგამი, გარგარი, თუთა, ბროწეული, ნუში, კაკალი, შვინდი და სხვ.

ფინიკის პალმა, რომელიც ძველთაგანვე ცნობილი იყო ირანის სამხრეთში, ახლა გავრცელდა ჩრდილოეთითაც — გურგანამდე (რა თქმა უნდა, დაბლობ რაიონებში).

საუკეთესო ფინიკი გაპქონდათ ქერმანიდან, სადაც ისთახრის სიტყვით 100 მანი ფინიკი 1 ვერცხლის დირჰემი ღირდა. საუ-

კეთესო ლიმონი და ზეთისსილი ხარობდა ხუზისტანში, საუკეთესო ფორიოხალი – ქერმანში, ყურძენი ყველგან მოჰყავდათ 2000-2300 მ სიმაღლემდე. ზოგიერთ ოლქში (ხორასანი და სხვ.) ცნობილი იყო ასამდე ყურძნის ჯიში. შაქრის ლერწამი მოჰყავდათ ქერმანში, ფარსის დაბლობში, განსაკუთრებით ხუზისტანში.

ფარსში და გურგანში ფართოდ იყო გავრცელებული ყვავილების, არომატული და სამკურნალო მცენარეების მოყვანა. მიუსედავად ისლამური რელიგიის მსრიდან აკრძალვისა, ყველგან ამზადებდნენ და აშკარად ყიდდნენ ყურძნისა და ფინიკის პალმის ნაყოფისაგან დამზადებულ ღვინოს. სასელგანთქმული იყო შირაზის და რეის ღვინოები. ყურძნის, ფინიკისა და თუთისაგან ამზადებდნენ ტკბილ წვენებს (დუშ-აბ), აგრეთვე – მარინადს. ბევრი იყო სმელი ხილი (ქიშმიში, გარგარი, ფინიკი და სხვ.) ფარსი გადასასადის სახით ხაზინაში ყოველწლიურად იხდიდა 30000 ბოთლ ეარდის წყალს და 20000 რიტლ ქიშმიშს, ხუზისტანი – 30000 რიტლ შაქრის ლერწამს, ქერმანი – 20000 რიტლ გამხმარ ფინიკს.

წყაროები მოგვითხრობენ როგორც ბინადარი, ასევე მომთაბარე მესაქონლეობის შესახებ. მომთაბარე მესაქონლეობას ძირითადად ლურები და სხვა ირანელი მომთაბარე ტომები მისდევდნენ. გეოგრაფები აღწერენ ლურების 5 უძლიერეს ტომობრივ გაერთიანებას, რომელთაც ქურთებს უწოდებდნენ. ისინი ფარსის მთიან რეგიონებში მისდევდნენ მომთაბარულ მესაქონლეობას. ირანის ზეგანის შესანიშნავი ალპიური საძოვრები (1500-2000 მ) საზაფხულო საძოვრები – იალაღები იყო, ზამთრობით კი საქონელი დაბლობ ადგილებში, ზამთრის საძოვრებზე – ყიშლაღებზე გადაჰყავდათ.

ფარსის ქურთების (ლურების) შესახებ ისთახრი გვამცნობს: „ქურთების გვარები ისე მრავალრიცხოვანია, რომ ვერ დათვლით; ეს იქიდან ჩანს, რომ ისინი მთელ ფარსში არიან მოფენილი და ამბობენ, რომ ისინი 500000 ქეჩის კარავზე მეტი არიან. ზამთარზაფხულ ისინი ეძიებენ საძოვრებს ბედუინთა წესით. ერთი და იგივე კარავი ღამის გასათევად ემსახურება ბატონებს, მეომრებს და მწყემსებსაც. ბატონებს ერთიდან ათამდე მხლებელი ჰყავთ". ისთახრის სიტყვით, მომთაბარეებს ცხვრისა და თხის ფარები ჰყავდათ ძირითადად; აქლემები ცოტა ჰყავდათ, ხოლო ცხენები –

ცული ჯიშის. განთქმული იყო ხორასნული ჯიშის აქლემი და ცხენი. ცხერის მოშენებას ყველგან მისდევდნენ.

X ს-ში მეაბრეშუმეობა გავრცელებული იყო ხორასანში, გურგანში და ტაბარისტანში.

ბ. ხელოსნობა და ვაჭრობა

X ს-ის გეოგრაფებს ხაგგასმული აქვთ ხელოსნური წარმოების დიდი ზრდა, ხელოსნური ტექნიკის პროგრესი. ირანის ქალაქებში დიდი რაოდენობით ამზადებდნენ ფარჩას (ნიშაბური, ისპაანი, ტუსტერი და სხვ.), ოქროსა და ვერცხლის ძაფით საკერ აბრეშუმის ქსოვილებს (შირაზი, რეი, ისპაანი; ფარსისა და ხუზისტანის, აგრეთვე ხორასნის სხვა ქალაქები), ყოველგვარ აბრეშუმის ქსოვილს — ქამსა, ატლასი, დამასკინი და სხვ. (სისტანის, გურგანის და ტაბარისტანის ქალაქები; განსაკურებით იეზდი, შირაზი, ისპაანი, რეი, ნიშაბური). სელის ქსოვილებით განთქმულნი იყვნენ ფარსის ქალაქები, განსაკუთრებით კაზერუნი. იმ დროს კაზერუნის ქსოვილები (აღგილობრივი დამღით) სწრაფად იყიდებოდა წინა და შუა აზიის, აგრეთვე ჩრდ. აფრიკის ბაზრებზე, ისე რომ არც შლიდნენ მათ. ზოლიანი ლაბადების და შალის ქსოვილების დამზადებით განთქმული იყო შირაზი. აბრეშუმისა და შალის საუკეთესო ხალიჩები მზადდებოდა შირაზში, აგრეთვე ფარსის, ხუზისტანის და ხორასნის სხვა ქალაქებში. დიდი რაოდენობით ამზადებდნენ სხვადასხვა სახის ბამბის უსეშ ქსოვილებს (ღარიბთათვის) და თხელ, ნაზ ქსოვილებს (მდიდრებისათვის). ბამბის ქსოვილები მზადდებოდა ისპაანში, შირაზში, რეიში, ნიშაბურში. ამგვარად, საფეიქრო საქმემ უდიდეს განვითარებას მიაღწია.

ხელოსნობის სხვა დარგებიდან ძალიან მაღალ დონეს მიაღწია ფაიანსის ჭურჭლის წარმოებამ (ქაშანი, რეი და სხვ.). სპილენძის, ბრინჯაოს, ვერცხლისა და ოქროს ნივთები, ისევე როგორც იარაღი, მზადდებოდა ირანის ყველა ქალაქში; რკინის ნაკეთობებით განთქმული იყო შირაზი და ფარსის სხვა ქალაქები. შირაზში, შაბურსა და ფარსის სხვა ქალაქებში საექსპორტოდ ამზადებდნენ ყვავილის ზეთს, სუნამოს და ესენციებს. ხუზისტანისა და ქერმანის

ქალაქებში დიდი რაოდენობით ამზადებდნენ ლერწმის შაქარს და შაქრის ნაწარმს.

X ს-ში განვითარდა სამთამადნო საქმე. მაღაროები სახელმწიფოს ეკუთვნოდა და მათი ექსპლოატაცია ხდებოდა არტელების, ან შემსყიდველების მიერ, რომელნიც სახელმწიფოს უხდიდნენ გადასახადს (მოპოვებული მადნის 1/3). ამუშავებდნენ: ვერცხლს — ხორასანში, კუმისში, ტაბარისტანში, ფარსსა და ქერმანში; რკინას — ხორასანში, ფარსსა და ქერმანში; სპილენძს — ხორასანში, სპარსეთის ერაყში — იეზდის ახლოს, აზერბაიჯანსა და კასპიისზღვისპირა ოლქებში; ოქროს — ხორასანში; ნავთობს — ფარსში, კალას, ტყვიას, გოგირდს — დემავენდის მთის რაიონში; ლაზურიტს (ლილაქვას) — ბადახშანსა და აზერბაიჯანში; ლალს — ბადახშანსა და სხვა ადგილებში; მუმიას (მთის ფისი) — ფარსსა და სხვა ადგილებში.

მთავარ საქარავნო გზებთან და დიდ ქალაქებთან ახლოს მდებარე ადგილებში იმართებოდა ბაზრობები, სადაც იყიდებოდა სოფლის მეურნეობის პროდუქტები. X ს-ში გაცხოველდა საქარავნო და საზღვაო ვაჭრობა. სავაჭრო-სატრანზიტო გზებზე მთავარი ქალაქები იყო ჰამადინი, რეი, ნიშაბური, პერათი, ისპაანი, შირაზი, ახვაზი; ინდოეთთან დამაკავშირებელ სავაჭრო-სატრანზიტო გზაზე უმთავრესი ცენტრები იყო ბალხი და ქაბული; კასპიის ზღვაზე მთავარი ნავსადგურები იყო ამული და სარი, რომლებიც სავაჭრო-ეკონომიკური ურთიერთობით დაკავშირებულნი იყვნენ სორეგმთან, ამიერკავკასიის ქვეყნებთან, ხაზართა იტილთან, ვოლგისპირეთთან და რუსეთთან. ამულში და სარიში მოდიოდნენ „რუსთა გემები", რომელთაც მოპქონდათ ბეწვეული, ტყავეული, ცვილი, მონები და ცელიდნენ მათ ირანულ საქონელზე — ხელოსნურ ნაწარმზე. სპარსეთის ყურის უმნიშვნელოვანესი პორტი იყო სარაფი. სარაფელი ვაჭრები აკონტროლებდნენ საზღვაო ვაჭრობას. შედარებით ნაკლები მნიშვნელობის პორტები იყო ჯანაბა, ქიშმი (ამავე სახელწოდების კუნძულზე) და ორმუზი (რომელიც მაშინ მატერიკზე მდებარეობდა). ამ პორტებიდან ირანული საქონელი გაპქონდათ ბასრაში, არაბეთის პორტებში ეგვიპტეში, ინდოეთსა და ჩინეთში.

საინტერესოა ვაჭრების შესახებ ისთახრის ნაამბობი: „ვაჭრებში განსაკუთრებით შესამჩნევია მისწრაფება ქონების გაერთიანე

ბისაკენ (ანუ ვაჭართა კომპანიის შექმნისაკენ). სირაფისა და ზღვისპირეთის მცხოვრებლები ზღვით მოგზაურობენ. ზოგიერთი მათგანი მთელ თავის ცხოვრებას ზღვაზე ატარებს. როგორც მე მაცნობეს, სირაფის ერთი მცხოვრები 40 წლის განმავლობაში არ ჩამოსულა გემიდან. ყოველთვის, როდესაც ის ხმელეთის მიუახლოვდებოდა, აიძულებდა თავის მეგობრებს: ჩასულიყვნენ სმელეთზე და ამა თუ იმ ქალაქში მისი საქმეები მოეგვარებინათ. თუ გემზე აღმოაჩენდნენ ხვრელებს და ბზარებს (ე.ი., თუ გემი შეკეთებას საჭიროებდა), იგი გადადიოდა სხვა გემზე. აი, ამიტომაც აქვთ ვაჭრებს დიდი ქონება; ასე რომ ზოგიერთი ვაჭრის ქონება აღწევს 4 მილიონ დინარს. ახლა მე მისასელებენ უფრო დიდ თანხასაც. მაგრამ ასეთი კაცი (ვაჭარი) თავისი ჩაცმულობით არაფრით გამოირჩეოდა თავისი ხელქვეითებისაგან".

ამ მონათხრობში გამოელენილია საზღვაო ვაჭრობით დაკავებული X ს-ის სპარსელი ვაჭრის ტიპური ნიშნები: ენერგია, მოგზაურობით გატაცება, სიძუნწე, ფულის დაგროვებისაკენ მისწრაფება (არ ხარჯავს ფულს). იმის გასაგებად, თუ რა დიდი თანხა იყო ამ დროს 4 მილიონი დინარი, ანუ 40 მილიონი დირჰემი, საკმარისია მოვიგონოთ, რომ ეს ციფრი თითქმის უტოლდება წელიწადნახევრის განმავლობაში ფარსიდან აკრეფილ გადასახადს. დამახასიათებელია, რომ თუ სასანიანთა დროს სპარსელი მეზღვაურები თითქმის არ იყვნენ, X ს-ში, ისთახრის სიტყვით, სპარსეთის ყურის არაბეთის სანაპირზეც კი თითქმის ყველა მოგზაური და ვაჭარი სპარსელები იყვნენ.

ხმელთაშუაზღვის ქვეყნებში, არაბეთში, ინდოეთსა და ჩინეთში ირანიდან საქარავნო და საზღვაო გზით გაჰქონდათ: მარცელეული, ბამბა, სელისა და გუნჟუთის ზეთი, მცენარეული საღებაველები, ქიმმიში, ფინიკი და ყველანაირი ხილის ჩირი, მარინადი და მურაბები, თაფლი, სუბისტანის შაქარი, ნედლი აბრეშუმი, პარფიუმერია და სამკურნალო საშუალებები. გაპყავდათ აქლემები და ცხენები; ცხენები — ძირითადად ინდოეთში.

ირანული ხელოსნური წარმოების პროდუქცია, განსაკუთრებით ქსოვილები (უარჩის, აბრეშუმის, ნახევრად აბრეშუმის, სელის, ბამბის და შალის), ხალიჩები (აბრეშუმის და შალის), ბრინჯაოს, ვერცხლის და ლითონის ნაკეთობანი, ფაიანსის ჭურჭელი და სხვ. გაქონდათ არაბეთში და ხმელთაშუა ზღვის ქვეყნებში. ისთახრის

სიტყვით, სირაფი იყო საშუამავლო, გადასატვირთი პუნქტი ინდოეთიდან და ჩინეთიდან ირანში შემოტანილი საქონლისათვის. ინდოეთიდან აქ შემოპქონდათ ალოე, გუნდრუკი, ქაფური, ძვირფასი ქვები, ბამბუკი, სპილოს ძვალი, შავი და სანდალოზის ხე, პილპილი, არომატული მცენარეები, წამლები და სანელებლები, რომლებითაც სირაფი ამარაგებდა არამარტო მთელ ირანს, არამედ მეზობელ ქვეყნებსაც. საგარეო ვაჭრობაში სჭარბობდა ფუფუნების საგნები: ბუნებრივია, ეს ვაჭრობა ძირითადად ფეოდალებისა და მსხვილი ვაჭრების ინტერესებს ემსახურებოდა.

ირანში ფართოდ იყო გავრცელებული ორიეე სქესის მონებით ვაჭრობა. მონები შემოპყავდათ აღმ. ევროპის ქვეყნებიდან, თურქმენეთის ველებიდან, ინდოეთიდან, განსაკუთრებით კი — აფრიკის დასავლეთი სანაპიროდან. X ს-ის ბოლოს სპარსელი ანონიმი გეოგრაფის ცნობით, ამიერკავკასიიდან ირანში შეპყავდათ ბერძენი, სომეხი, პაჭანიკი, ხაზარი, სლავი მონები. ირანში იყვნენ აგრეთვე გური და ინდუსი მონებიც. სპარსული ფეოდალური ეპოქის ამსახველი ისზულება „ყაბუს-ნამე" (XI ს.) ასახელებს ირანში შემდეგი ეროვნების მონებს: ნუბიელები, აბისინიელები, ბერძნები, სომხები, ინდუსები, თურქები და რუსები. თუ როგორი მასშტაბებისა იყო მონებით ვაჭრობა, შეიძლება ვიმსჯელოთ ისთახრის ცნობის მიხედვით: ერთმა სპარსელმა ვაჭარმა სპარსეთის ყურის სანაპირდან ზაფხულის რეისის დროს (936 წ.) 400 ბარჟით, სხვა ტვირთთან ერთად, 12000 შავკანიანი მონა წაიყვანა. თუ ამდენი მონა მიპყავდა მხოლოდ ერთ ვაჭარს და ისიც ერთ სეზონში, შეიძლება წარმოვიდგინოთ, რამდენი ასეთი მონა იქნა შეყვანილი ირანში აფრიკიდან საუკუნის განმავლობაში. ნიზამი არუზი სამარყანდის ცნობით, ქ. ბალხში XI ს-ში იყო მთელი ქუჩა ანუ „კვარტალი" მონათა ვაჭრებისა („კუი-ი ბარდე ფორუშან"). როგორც ჩანს, მონები უმთავრესად გაპყავდათ თურქესტანიდან და აღმოსავლეთ ევროპიდან არაბეთის ქვეყნებში, აგრეთვე — ინდოეთიდან და აფრიკიდან შუა აზიაში და სხვ. ირანში ამ მონების მცირე ნაწილი რჩებოდა. სოფლის მეურნეობასა და სელოსნობაში მონის შრომის გამოყენება VII-IX სს-თან შეღარებით ძალიან შემცირდა, თუმცა საბოლოოდ არ გამქრალა. მონებით ვაჭრობის განსაკუთრებული სახეობა იყო პატარა ბიჭებით და ჭაბუკებით ვაჭრობა. ეს მონები ღოლამთა გვარდიაში სამსახურისათვის იყვნენ განკუთვნილი. თურქი მომთაბარეებისაგან მათ ყიდულობდნენ მონებით მოვაჭრენი შუა

აზიიდან და ირანიდან. მირხონდის სიტყვით, ასეთი წესი ყოფილა: თუ ვაჭარი ერთბაშად ყიდულობდა არანაკლებ 40 ჭაბუკისა, ერთს მას საჩუქრად აძლევდნენ. ვაჭრები ეალდებულნი იყვნეს პირველ რიგში ისინი შეეთავაზებინათ სახელმწიფოსათვის (სამანიანთა ან ბუიდთა მბრძანებლისათვის) და თუ ის არ იყიდდა, მაშინ შეეძლოთ სხვა ფეოდალზე გაყიდვა ან ბაზარზე გასაყიდად გამოყვანა. როგორც ვხედავთ, მონებით ვაჭრობა სახელმწიფოს კონტროლს ექვემდებარებოდა.

§19. ფეოდალური ურთიერთობა ირანში X ს. — XI ს-ის პირველ ნახევარში

როგორც უკვე აღვნიშნეთ, ზემოთაღწერილი პერიოდისთვის დამახასიათებელია ირანში განვითარებული ფეოდალიზმის ფორმების არსებობა. სამანიანთა და ბუვეიანთა სახელმწიფოებში მიწაზე და საირიგაციო საშუალებებზე ფეოდალური საკუთრების იგივე სახეობა იყო, როგორც არაბთა ბატონობის დროს ჩამოყალიბდა. მაგრამ ურთიერთდამოკიდებულება მიწისმფლობელობის კატეგორიებს შორის ძალზე შეიცვალა. სახელმწიფო მიწების, რომლის ექსპლოატაციასაც თაეის მოხელეების საშუალებით სახელმწიფო აწარმოებდა, და მულქის კატეგორიის მიწების ხარჯზე ძალიან გაიზარდა იკტას მიწები. გაიზარდა ვაკუფის მიწებიც. სხვანაირად რომ ვთქვათ, უპირობო და ამიტომ სუსტად განვითარებულ მიწაზე ფეოდალური საკუთრების ნაცვლად აღმოცენდა პირობითი, იერარქიული, ფეოდალიზმისათვის დამახასიათებელი, უფრო განვითარებული მიწისმფლობელობის ფორმა.

წყაროების ცნობებით, X ს-ში ფარსში სჭარბობდა მულქების რაოდენობა, თუმცა იყო სახელმწიფო მიწებიც. ისთახრის ცნობით, ფარსში საუკეთესო მიწები (მულქი) არაბ დამპყრობთა ხელში იყო. ფარსში შემორჩენილი იყო აგრეთვე ცისესიმაგრეების მფლობელი ბევრი დეპყანური გვარი. ისთახრის სიტყვით, ფარსში იყო 5000 ცისესიმაგრე, რომელთა პატრონებსაც (მფლობელებსაც) ეკუთვნოდათ მულქის მიწები.

ფარსის რეგიონალური ისტორიკოსების (იბნ ალ-ბალხი – XIV ს. დასაწყისი; იბნ ზერქუბი – XVI ს.) ცნობით, ფარსში, ბუიღების მიერ ოლქის დაპყრობამდე, სჭარბობდა მულქის მიწები, მაგრამ შემდეგ, როდესაც ეს მიწები გადასცეს სამხედრო მოსამსახურეებს (რომელთაც ბუიღები ეყრდნობოდნენ), მიწისმფლობელობის წამყვან ფორმად ფარსში იკტა იქცა. იკტას მიწები X ს-ში უართოდ გავრცელდა აგრეთვე ხორასანში. ორივე სახელმწიფოში X ს-ში იკტა იურიდიულად არ იყო მემკვიდრეობითი, მაგრამ მიწისმფლობელნი მიისწრაფოდნენ ამ მიწის სამემკვიდრეოდ გადაქცევისაკენ: ასე, მაგ., X ს-ში სიმჯურიღების ცნობილი გვარის 4 თაობა იკტას უულებით ფლობდა ქუჰისტანის მსარეს. იკტას კანონზომიერი ევოლუცია დროებითი მიწისმფლობელობის ფორმა – ბენეფიციუმიდან მემკვიდრეობით ლენებად დაიწყო X ს-ში და დამთავრდა XI-XIII სს შორის.

ირანში ახლა შემცირდა სახელმწიფო მიწების ფართობი, მაგრამ მიწისმფლობელობის ეს კატეგორია მაინც მნიშვნელოვანი იყო. ამ მიწებზე სახელმწიფო ძველებურად გამოდიოდა როგორც მიწების წერილი მფლობელების – ჯლესების უშუალო ექსპლოატატორი. ამ მიწებზე რენტა ემთხვეოდა გადასასადს. რენტა-გადასახადი (ხარაჯა) იკრიფებოდა საერთოდ პროდუქტების სახით; მოსავლის გარკვეული ნაწილი – ხარაჯა მუკასამა იკრიფებოდა ნატურით; ხარაჯას კრეფდნენ აგრეთვე ფულადი სახითაც მოსავლის რაოდენობისაგან დამოუკიდებლად, წინასწარ გარდაკვეთილი სახით – ხარაჯა მისაჰა. ხარაჯას ეს უკანასკნელი ფორმა პრაქტიკაში იყო დიდი ქალაქების გარეუბნებში, ანუ ისეთ რეგიონებში, სადაც განვითარებული იყო სასაქონლო წარმოება, სადაც სოფლის მეურნეობის პროდუქცია ბაზარზე მიდიოდა. სასანიანთა ეპოქასთან შედარებით ხარაჯა ძალიან გაიზარდა. ისთახრის და იბნ პაუკალის თანახმად, ხარაჯა ურწყავი მიწებიდან შეადგენდა 1/3 იმ ხარაჯისას, რომელიც აიღებოდა არხებით სარწყავი მიწებიდან. ეს იმიტომ, რომ ურწყავი მიწებიდან ნაკლებ მოსავალს იღებდნენ. ჭების, მდინარის წყლით, ან წყალსაქაჩი ბორბლების საშუალებით მორწყული მიწებიდან აღებული ხარაჯა შეადგენდა 2/3 იმ ხარაჯისას, რომელიც არხებით მორწყული მიწიდან აიღებოდა. სარწყავ მიწად ითელებოდა ის მიწა, რომელიც ორჯერ ირწყვებოდა სეზონში. მაგრამ, ამავე დროს, ფარსის მთელ

რიგ ოლქებში ხარაჯა აიღებოდა მოსავლის 1/10, 1/4, და 1/3 რაოდენობით. ისთასრის სიტყვით, დაბეგრის ეს ფორმა გამოიყენებოდა როგორც მულქის, ისე სახელმწიფო მიწებზე. სახელმწიფო ამ მიწებს გლეხებს აძლევდა არენდით (ეკონომიკურად ნაკლებგანვითარებულ რეგიონებში).

ფარსში ბევრი მიწა ეკუთვნოდა ბუიდ ხელმწიფეს (სავაფის ანუ სასის მიწები), რომელიც ექსპლოატაციას უწევდა მას, მემკვიდრეობით მფლობელობაში აძლევდა გლეხებს, მოსავლის წილიდან ნატურით იღებდა რენტას, ან ფულად გადასახადს დადგენილი წესით. იკტას მიწებიდან ხარაჯა მთლიანად აიღებოდა ამ მიწების მფლობელთა სასარგებლოდ.

X ს-ში ირანის მთელ რიგ ოლქებში, მაგ., ხორასანში, კიდევ ცხოვრობდნენ თავისუფალი გლეხები. ესენი იყვნენ სასოფლო თემის წევრები, რომლებიც თავისუფალ მეთემეებად დარჩნენ. იყვნენ აგრეთვე სასოფლო თემებიდან გამოყოფილი გლეხი-მიწისმესაკუთრენი (მეთემეების ზედაფენა). თავისუფალი თემების და წვრილი მესაკუთრე გლეხების მიწები მულქად იწოდებოდა, ისევე, როგორც უპირობო მემკვიდრეობითი საკუთრება მიწაზე (ფეოდალების კუთვნილი). ამგვარად, ერთი და იმავე ტერმინით — „მულქი" აღინიშნებოდა ორი, არსებითად სხვა და სხვა კატეგორია მიწის საკუთრებისა: ფეოდალების მიწები, რომელნიც ექსპლოატაციას უწევდნენ ამ მიწებზე მსხდარ გლეხებს და თავისუფალი გლეხების მიწები, რომელნიც არავის ექსპლოატაციას არ განიცდიდნენ. მიწების ეს უკანასკნელი კატეგორია ფეოდალური საზოგადოების პირობებში გადმონაშთი იყო და მალე უნდა გამქრალიყო.

ფეოდალურად დამოკიდებული გლეხების მდგომარეობა IX ს-ის ბოლოს და X ს-ის დასაწყისში, მთელი რიგი გლეხთა აჯანყებების შედეგად, სახალიფოში არსებულ გლეხთა მდგომარეობასთან შედარებით, როგორც ჩანს, გაუმჯობესდა. წყაროებში აღარ გვხვდება ცნობები გლეხებისათვის კისერზე ბეჭდების შექმის შესახებ, ბუიდი მმართველი აზუდ ად-დოულე აგარებდა რენტა-გადასასადის მკაცრი ფიქსაციის პოლიტიკას. მაგრამ, X ს-ის ბოლოსათვის ფეოდალური რენტის ზომის გადიდებასთან დაკავშირებით ფეოდალურად დამოკიდებული გლეხების მდგომარეობა კელავ გაუარესდა. X ს-ის ბოლოსათვის გაძლიერდა ფეოდალების შეტევა თავისუფლად დარჩენილ სასოფლო თემებსა და მიწების წვრილ მესაკუთრე გლეხე-

ბმე. ფეოდალები მათ მიწებს ხელთ იგდებდნენ სასამართლო პროცესებით ან ძალით, ხოლო გლეხებს ან აქცევდნენ ფეოდალურად დამოკიდებულ მეარენდეებად, ანდა — ბოგანოდ.

ამგვარად, X ს-ის ბოლოსათვის ძირითადად დამთავრდა თავისუფალ გლეხთა უმეტესობის ფეოდალურ-დამოკიდებულ გლეხებად გადაქცევის პროცესი. ერთ-ერთი გზა ამგვარი პროცესისა, ისევე, როგორც დას. ევროპაში, იყო კომენდაცია (არაბ. „ილთიჯა" — „მფარველობის ძიება"), ანუ ძლიერი ფეოდალის მფარველობაში, ფორმალურად ნებაყოფლობითი, ფაქტობრივად კი სიღარიბით და უუფლებო მდგომარეობით გამოწვეული, შესვლა ე.წ. პატრონაჟის ქვეშ („ილჯა"). გეოგრაფები ისთახრი და იბნ ჰაუკალი მოგვითხრობენ, რომ ფარსში იყო მიწები, რომელთა მფლობელები ამ მიწებს აძლევდნენ მეფესთან დაახლოებულ ცნობილ ხალხს მფარველობაში. ფორმალურად, მიწები გადადიოდა ამ ცნობილი ხალხის ხელში და ცნობდნენ მათ საკუთრებად, მაგრამ ფაქტობრივად რჩებოდა ძველი მიწისმფლობელების მემკვიდრეობით მფლობელობაში, რომელთაც ამ მიწაზე მოწეული მოსავლის 1/4 რჩებოდათ. წყაროების მოწმობით, კომენდაციის პრაქტიკა არსებობდა ხორასანშიც — სამანიანთა სამფლობელოში. ამგვარად, ადრე თავისუფალი მიწათმოქმედნი გადაიქცნენ ფეოდალურად დამოკიდებულ გლეხებად. ფეოდალური დამოკიდებულების გავრცელება გლესთა უდიდეს მასაზე — ესაა ერთ-ერთი დამახასიათებელი ნიშანი განვითარებული ფეოდალური საზოგადოებისა.

§20. ფეოდალური ქალაქი ირანში X ს. — XI ს-ის პირველ ნახევარში

სოფლის მეურნეობიდან ხელოსნობის გამოყოფამ და IX-X სს-ში სასაქონლო მეურნეობის ზრდამ ხელი შეუწყო ასალი, ფეოდალური ტიპის ქალაქის განვითარებას. ფეოდალური ქალაქის ჩამოყალიბება აგრეთვე დამახასიათებელი ნიშანია განვითარებული ფეოდალური საზოგადოებისა. ფეოდალური ქალაქის ჩამოყალიბება გარეგნულად ბევრ ქალაქში გამოიხატა შაპრისტანის (არაბ. მედინა), ანუ ქალაქის ძველი ნაწილის (დეჰყანების და არაბი დიდებულების სასლ-კარი და მიწები) კედომით და სა-

მეურნეო ცხოვრების ცენტრის რაბადში (სპარს. სინონიმი ბირუნ), ანუ სავაჭრო-სახელოსნო გარეუბანში, ანუ ახალ ქალაქში გადანაცვლებით. შაჰრისტანის კედომამ და რაბათის ბრდამ შეცვალა ირანის ქალაქების სოციალურ-ეკონომიკური, ამასთანავე ტოპოგრაფიული სტრუქტურაც. ანალოგიური პროცესი მიმდინარეობდა შუა აზიის ქალაქებშიც. აქ ჩამოყალიბდა შუასაუკუნეების ქალაქის ისეთივე ტიპი, როგორიც ირანში იყო. შუა აზიის შუასაუკუნეების ქალაქი გამოკვლეული და შესწავლილი აქვთ ვ.ვ. ბარტოლდს, ა.ი. იაკუბოვსკის, მ.გ. მასონს, ბ.ნ. ზახოდერს.

აღნიშნული პერიოდის ირანის ქალაქები იყო ხელოსნობისა და ვაჭრობის ცენტრი. განსაკუთრებით მნიშვნელოვანი ქალაქები — ასი ათასი მცხოვრებით (უფრო მნიშვნელოვანი და რიცხვმრავალი, ვიდრე შუა საუკუნეების დასავლეთევროპული ქალაქი) მდებარეობდნენ საქარავანო და საზღვაო გზების შესაყარზე. ისინი აკავშრებდნენ ხმელთაშუა ზღვის, ამიერკავკასიის და აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებს შუა აზიასთან, არაბეთთან, ინდოეთთან და ჩინეთან. ირანის ყველაზე დიდი და ეკონომიკურად მნიშვნელოვანი ქალაქები იყო ნიშაბური, რეი, ისპაანი და შირაზი. მნიშვნელოვანი, თუმცა ხელოსნობისა და ვაჭრობის უფრო ნაკლებად მსხვილი, ცენტრები იყო აგრეთვე ჰერათი, ტუსი, ბალხი, ქაბული, გურგანი, ამული, ჰამადანი, ყუმი ისთახრი, ფასა, ბალხი, სირაფის პორტი სპარსეთის ყურეში, კაზერუნი, აპვაზი, ტუსტერი და სხვ.

ირანის ქალაქებში ყალიბდებოდა ცეხების ტიპის ხელოსნური კორპორაციები, რომელთა ჩანასახიც ჯერ კიდევ სასანიანთა დროს არსებობდა. იყო აგრეთვე სავაჭრო კორპორაციებიც: ასე, მაგ., ნიშაბურში განსაკუთრებული გავლენით სარგებლობდნენ მეთოკეების, ნედლი აბრეშუმით და აბრეშუმის ქსოვილებით მოვაჭრეთა კორპორაციები.

ირანის ქალაქებში წამყვან როლს ასრულებდნენ ადგილობრივი ფეოდალი-მიწისმფლობელები (ძველი ირანელი დეჰყანებისა და არაბი მოახალშენეების შთამომავალნი). ეს ფეოდალები, რომლებიც ადრე უმთავრესად თავიანთ ციხესიმაგრეებში ბინადრობდნენ, ახლა უფრო ხშირად ქალაქებში ცხოვრობდნენ, ვიდრე თავიანთ მამულებში, სადაც ისინი მსხვილ მეურნეობას არ აწარმოებდნენ. ფეოდალები ერთდროულად დაკავშირებულნი იყვნენ მსხვილ სავაჭრო კომპანიებთან და საბითუმო-საგრანზიტო

ვაჭრობასთან. ისინი ფეოდალური რენტიდან თავის შემოსავლის ნაწილს შესაგანის სახით აბანდებდნენ მსხვილი სავაჭრო კომპანიის საქმიანობაში, ხოლო ეს უკანასკნელნი მონაგების სახით უბრუნებდნენ საქონლის გარკვეულ ნაწილს (უფრო ხშირად ფერილეულს). ფეოდალთა ზოგიერთი ჯგუფის დაახლოვება მსხვილ ვაჭრებთან დამახასიათებელია ირანისა და მთელი რიგი ქვეყნებისათვის. ამიტომაც აქ, შუა საუკუნეების დასავლეთ ევროპის ქვეყნებისაგან განსხვავებით, მსხვილი ვაჭრები არ უპირისპირდებოდნენ ფეოდალებს და არ ებრძოდნენ მათ. პირიქით – ფეოდალებთან ერთად იბრძოდნენ ხელოსნებისა და ქალაქის ღარიბების წინააღმდეგ. საზოგადოებრივი ძალების ასეთი დაჯგუფების გამო ხელოსნური კორპორაციები ირანის ქალაქებში გაცილებით სუსტი იყო, ვიდრე დასავლეთ ევროპის ქალაქებში: მათ ვერ შეძლეს ქალაქებში ცეხური მონოპოლიის მოპოვება; მათ არ შეეძლოთ თავისი ნება-სურვილით საბაზრო ფასების დაწესება ხელოსნურ ნაწარმზე (როგორც ეს იყო დასავლეთში). წყაროები მოგვითხრობენ, რომ როდესაც ქ. ღაზნაში მეფუნთუშეების კორპორაცია ცდილობდა პურზე ახალი, უფრო მაღალი ფასების დაწესებას, სულთანმა მაჰმუდ ღაზნელმა ბრძანა უსტაბაშის სიკვდილით დასჯა: იგი სპილოს გაათელინა.

ქალაქის ხელისუფალნი ივნენ: რაისი (ქალაქის თავი), ყადი (სასულიერო მოსამართლე და ოლქის სასულიერო პირების უფროსი), საკრებულო მეჩეთის იმამი, მუჰთასიბი (მორალის ცენზორი, ბაზრების ზედამხედველი, საზოგადოებრივი ცხოვრების ზედამხედველი), ასასი (ღაზის პოლიციის უფროსი) და სხვ. ისინი აღგილობრივ დიდებულებს ეკუთვნოდნენ. ირანში, ისევე როგორც წინა და შუა აზიის სხვა ქვეყნებში, საერთო-საქალაქო თვითმმართველობა ფეოდალთა წინააღმდეგობის გამო (მათ მხარს უჭერდნენ დიდვაჭრები) არ შექმნილა. თვითმმართველობა იყო ქალაქის ცალკეული კვარტალების ფარგლებში; ხელოსნური, სავაჭრო და სასულიერო კორპორაციების შიგნით, რომელთაც თავიანთი არჩეული მამასახლისები პყავდათ. ეს უკანასკნელნი კი ქალაქის რაისს ემორჩილებოდნენ. კორპორაციაში გაერთიანებული ხელოსნები იყოფოდნენ: ხელოსნად (უსტად), ოსტატის თანაშემწედ (ხალიფე) და მოწაფედ (შეგირდი). ისინი იურიდიულად თავისუფალნი იყვნენ, მაგრამ მთელ რიგ ქალაქებში თავი-

ანთი ნაწარმის სახით სახელმწიფოს ან ადგილობრივი ფეოდალური მმართველის სასარგებლოდ რენტა-გადასახადს იხდიდნენ.

ქალაქის სამოგაღოებრივი ცხოვრების ცენტრი იყო ბაზარი, უფრო ზუსტად — ბაზართა მთელი რიგი. ბაზრის გული იყო გუმბათით გადახურული მთავარი ქუჩების შესაყარი, რომელსაც სპარსულად ჩარსუ (არაბ. მურრაბა) ეწოდებოდა. ჩარსუს ახლოს, ქარავან-სარაებში (ბერძნ. ფუნდუკი) მიმდინარეობდა მსხვილი საბითუმო ვაჭრობა. ქარავან-სარაი ერთსა და იმავე დროს სასტუმროც იყო უცხოელი ვაჭრებისათვის, საქონლის საწყობიც და საბითუმო ვაჭრობის ბირჟაც. პოეტისა და მოგზაურის ნასერ-ი ხოსროუს სიტყვით, ისპაანში მხოლოდ ერთ ქუჩაზე 50 ქარავან-სარაი იყო. ჩვეულებრივ, თითოეულ სავაჭრო კომპანიას თავისი ქარავან-სარაი ჰქონდა.

გზებზე ყაჩაღობის გამო დიდი თანხის ტარება სამიში იყო, ამიტომაც მსხვილი საბითუმო ვაჭრობა ბარათების (ჩეკების) საშუალებით ხდებოდა. სიტყვა ჩეკი სპარსული წარმოშობისაა. ვაჭარი, რომელიც სხვა ქალაქში მიდიოდა სავაჭროდ, ფულს აბარებდა ადგილობრივ ზარაფს და მისგან მიიღებდა ჩეკს, რომელსაც შემდეგ წარუდგენდა იმ ქალაქის ზარაფს, სადაც სავაჭროდ მიდიოდა და იღებდა მისგან ჩეკში აღნიშნულ თანხას. XI ს-ის მწერალი აბუ შუჯა გვამცნობს, რომ ცნობილი მაღრიბელი ვაჭრების მიერ გაცემული ჩეკების განაღღება შუა აზიაში უფრო სწრაფად ხდებოდა, ვიდრე ადგილობრივი მმართველის მიერ ხაზინაში შესატანი ხარაჯის აკრეფა. ნასერ-ი ხოსროუ ასე აგვიწერს მსხვილ საბითუმო ვაჭრობას: უცხო ვაჭარი ჩამოტანილ საქონელს აბარებდა ზარაფს და მისგან იღებდა ხელწერილს (ჩეკი); შემდეგ ვაჭარი ყიდულობდა მისთვის საჭირო საქონელს და მის ღირებულებას იხდიდა ჩეკით. ქალაქში ყოფნის დროს იგი სარგებლობდა ზარაფის ხელწერილით.

ადგილობრივი ნაწარმით წვრილი ვაჭრობა წარმოებდა ნაღდ ანგარიშზე (ფულით). ხელოსნური ნაწარმი იყიდებოდა პირდაპირ სახელოსნოებში, ამიტომ სიტყვა დუქანი (არაბ.) ნიშნავდა სახელოსნოსაც და სავაჭრო ფარდულსაც. ჩვეულებრივად, ერთი და იმავე დარგის ხელოსნები ცხოვრობდნენ ცალკეულ კვარტალებში, სადაც იყო მათი დუქნებიც. იყო კვარტალები: მეაბრეშუმეების, შალეულის დამამზადებლების, სპილენძის ოსტატების, მღებავების, მე-

იარაღეების, მეთუნეების, იუველირების, დაბაღების და სხვ. ახლო-მახლო სოფლების გლეხებს ქალაქში მოპქონდათ პროდუქტები. მაგ., ისპაანის ბაზარზე ყოველდღიურად გასაყიდად მოპყავდათ 1000 ცხვარი და 100 ხარი. იქვე, დასამარილებლად ყოველდღიურად იყიდებოდა 100000 ცხვარამდე. ამ ციფრების მისედვით შეგვიძლია წარმოვიდგინოთ ქალაქის მჭიდროდ დასახლების შესახებ.

X ს-ში ჩამოყალიბდა მუსლიმური უმაღლესი სასულიერო სასწავლებლის — მედრესეს ტიპი. ქალაქებში ყალიბდებოდა მუსლიმი ღვთისმეტყველების და სეიდების სასულიერო კორპორაციები თავისი მამასახლისებით. მეჩეთები და მედრესეები ვაკუფის უფლებით ფლობდნენ სავაჭროებს და მთელ ბაზრებსაც კი. მათ შემოსავალი პქონდათ ხელოსნებიდან და ეაჭრებიდან აკრეფილი გაღასახადის სახით.

ამგვარად, X-XII სს ქალაქში იყო საზოგადოებრივი ცხოვრების ოთხი ძირითადი ცენტრი: 1. შაპრისტანი — ფეოდალური არისტოკრატიის სასახლეებით და მიწებით; 2. მედრესე, მეჩეთი და სხვა — სასულიერო კორპორაციებში გაერთიანებული მუსლიმურ-რელიგიური დაწესებულებები; 3. ჩარსუ (მურრაბა) — ქარავან-სარაებით, მსხვილი ვაჭრებით და საბითუმო ვაჭრობით; 4. ხელოსნური კვარტალი — ხელოსნური კორპორაციებით და მეორეხარისხოვანი ბაზარი წვრილი ვაჭრებით.

ირანის ქალაქების გარეგანი სახე აღწერილია X ს-ის გეოგრაფების, განსაკუთრებით ისთახრისა და მუკადასის მიერ. მუკადასი აგვიწერს ნიშაბურს და მოგვითხრობს მასზე როგორც უდიდეს ქალაქზე. იგი წერს: ირანის უდიდეს ქალაქ ნიშაბურს 1 კვ. ფარსანგი, ანუ 40 კვ.კმ ეჭირა. მუკადასის მსჯელობით, ნიშაბურში 44 კვარტალი იყო, რომელთაგან ზოგიერთის ფართობი შირაზის ნახევარს უდრიდა. ნიშაბური უფრო დიდი იყო ფუსტატზე (ეგვიპტეში) და უფრო ხალხმრავალი — ბაღდადზე. ეს გვაფიქრებინებს, რომ მისი მოსახლეობა რამდენიმე ათასი კაცი იყო. ნიშაბური იყო გასაღების ბაზარი ფარსის, სინდისა და ქერმანისათვის; საქონლის დასაბინავებელი აღგილი ხორეზმის, რეისა და გურგანისათვის. ქალაქი შეღგებოდა შაპრისთანისა და რაბათისაგან. ქალაქში 50 დიდი ქუჩა იყო. მსხვილი საბითუმო ვაჭრობა თავმოყრილი იყო ორ მთავარ ბაზარში, რომლებიც რაბათში მდებარეობდა: „დიდი ბაზარი" („მურრაბათ ალ-ქაბირი") — საკრებულო მეჩეთის აღმო-

საელეთით და „მცირე ბაზარი“ („მურრაბათ ალ-საღირა“), მისგან დასავლეთით. ორივე „ჩარსუ“ გარსშემორტყმული იყო ქარავანსარაებით და საქონლის საწყობებით.

მუკადასი ქალაქის აღწერისას აღნიშნავს, რომ ქალაქში ანტისანიტარია და სიძვირეა.

მუკადასის ასეთივე ცნობები აქვს შირაზის და სხვა ქალაქების შესახებაც. მისი თქმით, ქალაქებში ბევრი დეკლასირებული ელემენტი იყო და არსებობდა ღარიბთა კორპორაციაც.

ქალაქების მოსახლეობის რაოდენობის შესახებ ჩვენ ძალზე მწირი ცნობები გვაქვს. მაგ., ბალხი — არცთუ ისე დიდი ქალაქი XIII ს-ის დასაწყისისათვის 200000 მცხოვრებს ითვლიდა. მოსახლეობის მეოთხედს შეადგენდნენ სასულიერო პირები, ღვთისმეტყველები და მერჯულენი ოჯახებით, მასწავლებლები და მეღრესეს მოსწავლეები. მეორეხარისხოვან ქალაქ არაგანში (ფარსში) XI ს-ში 40000 მცხოვრები იყო. მცირე ქალაქ ფენჯშეპირში, ვერცხლის საბადოების მახლობლად, X ს-ში 20000 მცხოვრები იყო.

§21. ბუიდების სახელმწიფო. აზუდ ად-დოულე

სამივე ძმა ბუიდების საგვარეულოდან თავისი ფეოდალური სახლის ინტერესებისათვის იბრძოდა. ისინი მეგობრულად იყვნენ ერთმანეთში და ნებაყოფლობით ცნობდნენ უფროსი მათგანის იმად ად-დოულე ალის უფროსობას. თითოეული ძმის მიერ დაპყრობილი ტერიტორია, განიხილებოდა როგორც მისი საკუთრება და ეკუთვნოდა მის მემკვიდრეებს: ფარსი იყო იმად ად-დოულე ალის სამფლობელო; არაბეთის ერაყი, ხუზისტანი და ქერმანი ეკუთვნოდა მუ'იზ ად-დოულე აპმედს; რეი, პამადანი, ისპაანი თავისი ოლქებით — რუქნ ად-დოულე პასანს. უკანასკნელი ძმის პასანის სიკვდილის შემდეგ (976 წ.) მეორე თაობის ბუიდებს შორის დაიწყო შინაფეოდალური ომები. ამ ბრძოლებში დაწინაურდა პასანის შვილი აზუდ ად-დოულე ფენა ხოსროი (949-983 წწ), რომელმაც არამარტო დაიმორჩილა ბუიდების სხვა სამფლობელოები, არამედ მნიშვნელოვნად გააფართოვა ბუიდების სახელმწიფოს ფარგლები. აზუდ ად-დოულეს დროს ბუიდების სახელმწიფომ უღიდეს ძლიერებას მიაღწია. თავისი ბიძის ალისაგან აზუდ ად-დოულემ მიიღო ფარსი. 977 წ. მან მიიტაცა მისი ბიძაშვილის

კუთვნილი აპვაზი, ქერმანი, არაბეთის ერაყი და შეეიდა ბაღ-დადში. მისი სახელი ხალიფას სახელის შემდეგ მოიხსენიებოდა სუტბამი. აზუდ ად-დოულემ, არაბთა მიერ ირანის დაპყრობის შემდეგ, პირველმა მიიღო შაპინ-შაპის ძველი სპარსული ტიტული. მისი კავშირი ხალიფასთან განმტკიცდა ხალიფას დაქორწინებით მის ქალიშვილზე; აზუდ ად-დოულეს დაემორჩილა ერაყი და მთელი ირანი სინდამდე. გარდა სამანიანთა კუთვნილი ხორასნის, სისტანის და ტაბარისტანისა; არაბეთში მისი გავლენა ომანს გარდა, იემენშეც გაერცელდა; 981 წ. აზუდ ად-დოულეს გაგზავნილი ელჩობა კონსტანტინოპოლში მიიღეს.

შუა საუკუნეების ფეოდალური ისტორიოგრაფია აზუდ ად-დოულეში ხედავდა იდეალურ მმართველს, თავისი დროის ხელმწიფეთა შორის ყველაზე ცნობილ პიროვნებას, ენერგიულ, შორსმჭვრეტელ პოლიტიკოსს, ნიჭიერ მხედართმთავარს, გამოცდილ სახელმწიფო მოღვაწეს, რომელიც პირადად ერეოდა მმართველობის ყველა სფეროში, პოეტებისა და მეცნიერების მფარველს, სასახლეებისა და სხვა ნაგებობების მშენებელს. ისტორიკოსები მის დღის განრიგს შემდეგნაირად გვიხატავენ: აზუდ ად-დოულე აღრე დგებოდა, მიღიოდა აბანოში, იცვამდა და ლოცვის შემდეგ იწყებდა მიღებას. მიღებაზე იგი დაწერილებით გამოკითხავდა ვეზირს მის მიერ გაცემული ბრძანებების შესრულების და მიმდინარე საქმეების შესახებ. ვეზირის შემდეგ იგი იღებდა ხაზინადარს. შემდეგ შემოპქონდათ ცალკეული ოლქების გამგებლებისაგან გამოგზავნილი სახელმწიფო ფოსტა. მდივანი ხსნიდა მოხსენებით ბარათებს და იწერდა მბრძანებლის სათანადო გადაწყვეტილებებს. სადილის შემდეგ აზუდ ად-დოულე კვლავ სახელმწიფო საქმეებით იყო დაკავებული.

აზუდ ად-დოულემ გააფართოვა და გაალამაზა თავისი დედაქალაქი შირაზი, სადაც აიშენა დიდებული, 360 ოთახიანი სასახლე, რომლის ერთი დიდი დარბაზი დაეთმო ბიბლიოთეკას (ეს ბიბლიოთეკა კონკურენციას უწევდა სამანიანთა ცნობილ ბიბლიოთეკას ბუხარაში). მუკადასის სიტყვით, აზუდ ად-დოულემ შეაგროვა ყველა ცნობილი წიგნი მეცნიერების სხვადასხვა დარგიდან. წიგნები ინახებოდა არა სკივრებში (როგორც ბუხარის ბიბლიოთეკაში), არამედ სპეციალურ, ორი მეტრის სიმაღლის ნიშებში, რომლებსაც ცალკე კარი პქონდა და რომლებიც, ფაქტობრივად, პატარა ოთახები იყო. წიგნები

თაროებზე იყო დალაგებული ოემატური პრინციპის მიხედვით. იყო შემთხვევები, რომ ერთი დარგის ხელნაწერებს რამდენიმე ოთახი ეკავა. მუკადასი თავის თხზულებაში საკმაოდ ხშირად უთითებს ხელნაწერებს, რომლებითაც ის სარგებლობდა შირაზის ბიბლიოთეკაში.

ოუმცა ბაღდადი უკვე აღარ ითვლებოდა დედაქალაქად და არაბეთის ერაყი მიჩნეული იყო ერთ-ერთ პროვინციად, აზუდ აღ-დოულემ ბევრი გააკეთა ამ ქალაქის გასალამაზებლად. მან ააშენა შესანიშნავი ჰოსპიტალი, რომელიც ამავე დროს სამედიცინო ფაკულტეტის ფუნქციებსაც ასრულებდა. სახელმწიფოს ბევრ ქალაქში მისი ბრძანებით აშენდა მეჩეთები, მავზოლეუმები, საზოგადოებრივი სახლები; გაწმინდეს არხები, ხოლო მდ. კურზე – შირაზის ახლოს ააგეს კაშხალი.

აზუდ აღ-დოულესათვის უცხო იყო რელიგიური ფანატიზმი. იგი ერთნაირად მფარველობდა ყველა რელიგიური რწმენის და მიმართულების მეცნიერებს, პოეტებს, ფილოსოფოსებს. მას მიეძღვნა აბუ ალი აღ-ფარისის „განმარტებითი წიგნი". აზუდ აღ-დოულეს ყველა კულტურულ წამოწყებაში და საქველმოქმედო ღონისძიებაში მხარში ედგა ერთგული თანამშემწე, ქრისტიანი ვეზირი ნასირ იბნ პარუნი, რომელიც აშენებდა და აღადგენდა ქრისტიანულ ეკლესია-მონასტრებს.

§22. ბუიდები აზუდ აღ-დოულეს შემდეგ

ფეოდალიზაციის პროცესის განვითარებასთან ერთად, ბუიდების სახელმწიფო ცალკეულ ნაწილებად დაიყო. სამი ძმის მიერ დაპყრობილი ტერიტორიები, რომლებიც თავიდანვე არ შეადგენდნენ ერთიან ცენტრალიზებულ სახელმწიფოს, შემდეგ დაიყო მათ მემკვიდრეებს შორის. დინასტიის წევრები თავიანთ სამფლობელოებში საკუთარი დამოუკიდებელი იყვნენ. აზუდ აღ-დოულემ მხოლოდ მოკლე დროით შეძლო თავისი ძალაუფლებისათვის ბუიდების სხვა სამფლობელოების დამორჩილება, მაგრამ მისი სიკვდილის შემდეგ მალევე დაიწყო შინაური ბრძოლა მის სამ შვილს შორის. ამით ისარგებლა მათმა ბიძამ ფაპრ აღ-დოულემ და მოასერხა თავისი ძალაუფლების აღდგენა ისპაანში, რეიში, ჰამადანში და ამ რეგიონების დამტკიცება თავისი შთამომავლობისათვის.

ბუიდების დინასტიას საერთოაღიარებული მეთაური აღარ ჰყავდა, აზულ ად-დოულეს შვილების ბრძოლა ერთ-ერთი მათგანის ბეჰა ად-დოულეს გამარჯვებით დამთავრდა. მისი სიკვდილის შემდეგ (1012 წ.), მისმა ოთხმა შვილმა, რომლებიც ურთიერთშორის იბრძოდნენ, უკვე ვეღარ შეძლეს არაბეთის ერაყის შენარჩუნება. პოლიტიკური და ეკონომიკური კავშირების სისუსტემ, ფეოდალური დაქუცმაცებულობის და შინაური ომების ბრდამ სახელმწიფო დაშლამდე მიიყვანა. ცალკეული ბუიდი მმართველების მფლობელობაში მყოფი ეკონომიკურად და პოლიტიკურად დასუსტებული ტერიტორიები სხვადასხვა დამპყრობლებმა მიიტაცეს: 1029 წ. მაჰმუდ ღაზნეველმ დაიპყრო რეი, ჰამადანი და ისპაანი. ბუიდების დანარჩენი სამფლობელოები შემდეგ თურქ-სელჩუკებმა მიიტაცეს.

§23. ხორასანი სამანიანთა ბატონობის ქვეშ

თითქმის ასი წლის განმავლობაში (900-999 წწ) ხორასანი და აღმოსავლეთი ირანის სხვა ოლქები სამანიანთა სპარსულ-ტაჯიკური სახელმწიფოს შემადგენლობაში იყო (ცენტრი — ბუხარა, შუა აზიაში). სისტანში გადარჩა საფარიანთა სამფლობელოები (როგორც სამანიანთა ვასალი).

აღმოსავლეთ ირანის სოციალურ-ეკონომიკური განვითარება ისეთივე გზით მიდიოდა, როგორც დასავლეთ ირანისა. X ს-ის პირველი ოთხი ათწლეული აღინიშნება ხორასანში, ისევე, როგორც შუა აზიაში, კარმატული მოძრაობით. კარმატების მოძღვრების ცნობილი მქადაგებელი აქ იყო მოჰამედ ნახშები. კარმატობა გავრცელდა ხელოსანთა და გლეხთა ფენებში, მაგრამ ამ მოძრაობის გამოყენება თავისი ინტერესების სასარგებლოდ სცადეს მაღალი წრეების ცალკეულმა წარმომადგენლებმა: მაგ., სამანიანმა ხელმწიფემ ნასრ II იბნ აჰმედმა (914-943 წწ) კავშირი დაამყარა კარმატებთან. მან მოინდომა მათი გამოყენება ცენტრიდანული ძალების, სეპარატისტი ფეოდალების წინააღმდეგ ბრძოლაში და მათი საშუალებით ძალაუფლების განმტკიცება. ამ ცდამ მხოლოდ ის შედეგი გამოიღო, რომ ნასრ II-მ ტახტი დაკარგა. მისმა შვილმა და მემკვიდრემ ნუჰ II (943-954 წწ) მართლმადიდებელ (სუნიტურ) სასულიერო პირებსა და დიდებულებზე დაყრდნობით დაიწყო კარმატების სისხლიანი დევნა. კარმატთა მოძრაობა ხორასანში ჩაასშეს.

X ს-ის მეორე ნახევარში სამანიანები იბრძოლნენ ხორასანელი დეჰყანების ცენტრიდანული მისწრაფებების წინააღმდეგ, ცენტრალური ხელისუფლება ცდილობდა დეჰყანებისა და დეჰყანური ფეოდალური ლაშქრისათვის ღოლამების თურქული გვარდიისა და ღოლამია ბეღაფენიდან ახალი საშსეღრო არისტოკრატიის დაპირისპირებას; მაგრამ თურქი ღოლამების ზეღაფენა, მიწების იკტაღ მიღების შემდეგ, ცენტრალური ხელისუფლების მიმართ ისეთივე პოზიციას იკავებდა, როგორიც ძველ ღეჰყან დიდებულებს ეკავათ. სამანიანებმა ვერ შეძლეს ფეოდალური დაქუცმაცებულობის გაღალახვა. პირიქით, ეს დაქუცმაცებულობა უფრო გაიზარდა სახელმწიფო მიწების ხარჯზე იკტაღ მიწების გაცემის ზრღასთან დაკავშირებით.

სამანიანთა სახელმწიფოში ცენტრალური მმართველობა 10 უწყება-დივანისაგან შეღგებოდა. საოლქო მნიშვნელობის შესატყვისი დივანები იყო აგრეთვე ხორასნის ამირას კარზე. ეს დივანები იყო: ვეზირის დივანი, ფინანსების დივანი – განაგებდა გადასახადების აკრეფის საქმეს, საგარეო საქმეების დივანი, გვარდიის დივანი, ფოსტის უფროსის (საპიბ ბერიდის) დივანი – განაგებდა საიდუმლო აგენტურასაც, მუშრიბის დივანი (კონტროლის უწყება), მთავარი მუპთასიბის დივანი, ხასეს (სამეფო საგვარეულოს საკუთარი მიწების) დივანი, ვაკუფის დივანი – სასულიერო უწყების მიწების დივანი. ჯარი შეღგებოდა ღოლამთა გვარდიისა და ფეოდალური ლაშქრისაგან. აღსანიშნავია, რომ მთელი რიგი მსსვილი ფეოდალური სამფლობელოები სამანიან ხელმწიფეს არ უხღიდნენ სარაჯას და მათ თითქმის დამოუკიღებელი შინაური მმართველობა ჰქონდათ.

სამანიანთა სახელმწიფოში მაღალ ღონეზე იყო კულტურა (მწერლობა, არქიტექტურა, ისტორია, გეოგრაფია...). „შუუბიას“ მოტივები ყველაზე მკვეთრად ხაგგასმულია სამანიანთა კარზე მოღვაწე პოეტების (რუდაქი, დაყიყი, ფირდოუსი...) ნაწარმოებებში და, თუ ბუვეიღების სახელმწიფოში (დასავლეთ ირანში) ისევ არაბული იყო ჟაბატონებული, სამანიანთა სახელმწიფოში (მის ფარგლებში იყო წარმოდგენილი აღმოსავლეთ ირანიც) უაღრესად ღაიხეეწა და განვითარდა ახალი სპარსული ენა. X ს-ის მეორე ნახევარში არაბულიდან სპარსულად ითარგმნა ტაბარის საისტორიო თხზულება „ყველაზე უხვი ცნობების შემცველი სასანური ირანის ისტორიისათვის“ (ვ. გაბაშვილი).

სამხედრო არისტოკრატია ღოლამთა ზედაფენიდან ხშირად ჯანყდებოდა. 962 წ. მხედართმთავარი ალფ-თეგინი, რომელიც თურქი ღოლამების წრიდან იყო გამოსული, ფლობდა თითქმის 500 სოფელს იკბის ან მულქის პირობით და სხვა უამრავ სიმდიდრეს. მას რაგომღაც გაურისხდა სამანიანთა კარი; იგი გაიქცა ქ. ღაზნამი და დააარსა უაქტობრივად დამოუკიდებელი სამთავრო. ალფ-თეგინის მემკვიდრე ღაზნაში იყო მისი ყოფილი ღოლამი თურქი სუბუქ-თეგინი (977-997 წწ), რომელიც უაქტობრივად ღაზნევიანთა დინასტიის (977-1186 წწ) დამაარსებლად ითვლება. თავისი მბრძანებლობის ბოლო წლებში სუბუქ-თეგინმა ისარგებლა სამანიანთა სახელმწიფოს დასუსტებით, რომელიც დაკავებული იყო ჩრდილოეთიღან და ჩრდილო-აღმოსაელეთიდან შემოსეული თურქთა ტომებთან (კარლუკები, იაღმა – გაერთიანებული იყვნენ კარახანიანთა დინასტიის ძალაუფლების ქვეშ) ბრძოლით და გაავრცელა თავისი ძალაუფლება ავღანისტანის დიდ ნაწილსა და ხორასანზე.

§24. ღაზნევიანთა სახელმწიფო

დამოუკიდებელი სახელმწიფოს დაარსება ქ. ღაზნით მოხდა 962 წ. და ეს უაქტი დაკავშირებულია სამანიანთა აჯანყებული მხედართმთავრის ალფ-თეგინის სახელთან, მაგრამ ნამდვილ ძლიერებას მან მიაღწია სუბუქ-თეგინის და შემდეგ მისი შვილის მაპმუდის (998-1030 წწ.) დროს.

აკად. ვ. ბარტოლდის და პროფ. ა. იაკუბოვსკის ნაშრომებში შესწავლილია ამ სახელმწიფოს პოლიტიკური და სოციალურ-ეკონომიკური ისტორიის საკითხები. 999 წ. სამანიანთა სახელმწიფომ ყარახანიან თურქთა გაუთავებელი თავდასხმების შედეგად არსებობა შეწყვიტა. სამანიანთა აღრინდელი სამფლობელოს ნაწილი მდ. ამუ-დარიას ჩრდილოეთით და ჩრდილო-აღმოსავლეთით (მავერანაჰრი და სხვ.) მოექცა ყარახანიანთა სახელმწიფოს შემადგენლობაში, ხოლო ოლქები მდ. ამუ-დარიას სამხრეთით და სამხრეთ-დასავლეთით (ხორასანი, ტაბარისტანი, სისტანი და ახლანდელი ავღანისტანი) დაიპყრო მაპმუდ ღაზნევიმ და შეიყა ღაზნევიანთა სახელმწიფოს შემადგენლობაში. ამ დიდი დაპყრობების შედეგად გაძლიერებული ღაზნევიანთა სახელმწიფო მნიშვნელოვან როლს ასრულებდა ირანის ისტორიაში. მაპმუდი

ომობდა დასუსტებულ ბუიდებთან: მისი მიზანი იყო ძალაუფლების გაერცელება დასავლეთ ირანის ოლქებზე. მან დაიმორჩილა რეი და ისპაჰანი ოლქებითურთ. ადგილობრივი მმართველები იძულებულნი იყვნენ ეცნოთ მისი უზენაესი ხელისუფლება. მაპმუდმა დაიპყრო გურის მთიანი ოლქი და მდ. სერირუდის ზემო წელი, რომლის დაპყრობაც ვერ შეძლეს ვერც არაბმა დამპყრობლებმა და ვერც სორასნის მფლობელებმა. თავისი ოცდაათწლიანი მბრძანებლობის უდიდესი საწილი მაპმუდმა ომებში გაატარა. ამ ომების მთავარი ობიექტი იყო ინდოეთის ჩრდ. რეგიონები. ეს ლაშქრობები მიმდინარეობდა ინდოელ კერპთაყვანისმცემლებთან „საღვთო ომის“ და ისლამის გავრცელების ლოზუნგით. ჩვიდმეტჯერ ლაშქრობამ ინდოეთში მნიშვნელოვნად გააფართოოა მისი სამფლობელოს თავდაპირველი საზღვრები. ამ ლაშქრობებს თან ასლდა დაპყრობილი ოლქების არნახული ძარცვა: უზარმაზარი სიმდიდრე გაიტანეს და ასიათასობით მონა გაიყვანეს ღედაქალაქ ღაზნაში. ნაძარცვმა სიმდიდრემ მაპმუდს მესაძლებლობა მისცა მანამდე უმნიშვნელო ქალაქი ღაზნა გადაექცია იმ დროისათვის ერთ-ერთ ბრწყინვალე დედაქალაქად.

მაპმუდმა თავისი წარმატებები მოიპოვა სამხედრო ძალის ორგანიზებულობის წყალობით. ამ სამხედრო ძალის ბირთვს წარმოადგენდა თურქ-ღოლამთა გვარდია, რომელშიც, სახალიფოს და სამანიანთა ღოლამთა გვარდიისაგან განსხვავებით, მაპმუდმა შეძლო დისციპლინის დამყარება უმაღლეს დონეზე. ღოლამთა გვარდიის საშუალებით მაპმუდი ღიდ დაპყრობით ომებს აწარმოებდა და მორჩილებაში ჰყავდა ადგილობრივი მოსახლეობაც.

როგორც ა. ი. იაკუბოვსკიმ გამოარკვია, მაპმუდის მიერ „ღაზიების“ ჩაბმას ლაშქრობებში სამხედრო ძალის სახით არამარტო სამხედრო მნიშვნელობა ჰქონდა: იგი იყო მაპმუღის მიერ გატარებული გარკვეული სოციალური პოლიტიკის გამოხატულება. მაპმუდი „ღაზიების“ რიგებში გაღატაკებული, უმიწაწყლო გლეხების ჩაბმით ატყუებდა მათ და ინდოეთში გამდიდრების იმედს აძლევდა: ინდოეთში ნაშოვნი უზარმაზარი დავლის მხოლოდ უმნიშვნელო ნაწილს ურიგებდა მათ. ამით იგი ცდილობდა თავის სახელმწიფოში კლასობრიეი წინააღმდეგობის ჩახშობას და ხალხთა მასების უკმაყოფილების შესუსტებას: „ღაზიები“ ლაშქრობების შემდეგ ან რჩებოდნენ მათ მიერ დაპყრობილი ქვეყნის საზღვარზე, ან ბრუნდებოდნენ

ნაძარცვით, ანდა ისოცებოდნენ ომში. მაპმუდი ყველა შემთხვევამი სასურველ შედეგს აღწევდა: ხალხთა მასების უკმაყოფილება ღროებით შესუსტებული იყო.

რაც შეეხება ხალხთა ფართო მასებს — სოფლებისა და ქალაქების მშრომელ მოსახლეობას, მათთვის მაპმუდის კარის ბრწყინვალებას და მისი იარაღის წარმატებას არათუ არ მოუტანია რაიმე შემსუბუქება, არამედ პირიქით: მათი მდგომარეობა გაუარესდა. მართალია, მაპმუდის მიერ ომებში ნაშოვნი დაელა დიდი იყო, მაგრამ იგი ვერ ფარავდა ომისათვის საჭირო ხარჯებს; ამავე დროს, უზარმაზარი ხარჯები სჭირდებოდა ჯარის, სასახლის კარის, დიდებულებისა და სამხედრო-ფეოდალური არისტოკრატიის შენახვას. საგადასახადო ტვირთის სიმძიმე სულ უფრო და უფრო მძიმდებოდა, რადგან ინდოეთზე ლაშქრობებს დიდი თანხები სჭირდებოდა: შემოღებული იყო „განსაკუთრებული" გადასახადი. კარის ისტორიკოსებიც კი იძულებულნი არიან აღიარონ, რომ გადასახადების აკრეფის დროს მოხელეები ქვეშევრდომებს ცსვრებიეით ატყავებდნენ. რენტა-ხარკის საშინელმა ზრდამ და ხარჯთამკრეფი მოხელეების განუკითხავმა მომხვეჭელობამ გამოიწვია მოსახლეობის აყრა-გაქცევა: სოფლები დაცარიელდა, სარწყავი სისტემა მოიშალა, მიწა აღარ მუშავდებოდა (მაშასადამე, მოსავალს არ იძლეოდა), გლეხმა მიწა მიატოვა. მიწა გაიაფდა. სოფლები და ზოგჯერ მთელი რეგიონებიც კი გაუკაცრიელდა. გახშირდა მოუსაელიანობა, რამაც გამოიწვია სიკვდილიანობა როგორც ქალაქებში, ასევე სოფლებში.

როგორც აკად. ვ. ბარტოლდმა გამოარკვია, მაპმუდი იშვიათი თანამიმდევრობით ატარებდა ცხოვრებაში ფეოდალურ პრინციპს, რომლის მიხედვითაც გლეხები და ქალაქის მცხოვრებნი მიჩნეული იყვნენ მხოლოდ და მხოლოდ გადასახადების გადამხდელებად. აბულ ფაზლ ბეიპაყი მოგვითხრობს, რომ ბალხის მცხოვრებთ დანაშაულად ჩაუთვალეს ის, რომ მაპმუდთან შეუთანხმებლად, მათ წინააღმდეგობა გაუწიეს ყარახანიდ თურქებს. ისტორიკოსი მოგვითხრობს, თითქოს მაპმუდს მცხოვრებთათვის ეთქვას: „რა ქვეშევრდომების საქმეა ომი? ბუნებრივია, რომ თქვენი ქალაქი დაანგრიეს და მტრებმა დაწვეს ჩემი კუთვნილი ქონება, რომელსაც ბევრი შემოსავალი მოპქონდა. წესით, უნდა გადამეხდევინებინა თქვენთვის, მოყენებული ზარალი, მაგრამ მე თქვენ გაპა-

ტიებთ. მომავალში ეს აღარ გააკეთოთ! თუ რომელიმე მეფე აღმოჩნდება ძლიერი, თქვენგან მოითხოვს გადასახადს და დაგიცავთ თქვენ, თქვენ უნდა გადაიხადოთ გადასახადი და ამით გაღაირჩინოთ თავი". ამგვარად, მოსახლეობა მხოლოდ გადასახადის გადამხდელად იყო მიჩნეული.

ამასთან ერთად, იმდროინდელი პოლიტიკური ცხოვრების ფონზე, მაპმუდი უეჭველად გამოირჩეოდა როგორც მხედართმთავარი და მბრძანებელი – ენერგიით და არაჩვეულებრივი თვისებებით. მისი სახელმწიფოს ბრწყინვალე დედაქალაქი იზიდავდა უცხოელ ვაჭართა ქარავნებს. აქ, ღაზნაში, სათანადოდ აფასებდნენ ცნობილ, აღიარებულ ხელოსნებს. არ შეიძლება არ აღინიშნოს ისიც, რომ მაპმუდის მბრძანებლობის ხანა გამოირჩევა კულტურული აღმაველობითაც. მაგრამ, საინტერესოა მისი ნეგატიური დამოკიდებულება ფირდოუსისა და მისი „შაპ-ნამესადმი". საქმე ისაა, რომ „მაპმუდ ღაზნევიმ სულ სხვანაირად დასვა ირანის გაერთიანების საკითხი. მისთვის, როგორც თურქისათვის, მიუღებელი იყო ირანული ტრადიციები. ამიტომ მისი დამოკიდებულება ფირდოუსის „შაპ-ნამესთან" ისეთივე ანტიირანული დემონსტრაცია იყო, როგორც სასელმწიფო სამდივანმწიგნობროებში სპარსული ენის არაბულით შეცვლის განზრახვა.

შიიტური იდეებით გამსჭვალულ „შუ-უბიას" (ირანელთა ინტელექტუალურ პოლიტიკურ მოძრაობას არაბობის წინააღმდეგ) თურქებმა ორთოდოქსალური ისლამი (სუნიტობა) დაუპირისპირეს, თუმცა სუნას დაცვა და ხალიფას მფარველობა ნამდვილად მათ გასპარსებული ისლამის (ირანელთა პოლიტიკური ბრძოლის იდეოლოგიური იარაღის) დასათრგუნავად სჭირდებოდათ. ამ პოლიტიკურ ხაზს შემდეგ აგრძელებენ თურქ-სელჩუკი სულთნები, რომლებიც ფაქტობრივად ხალიფებისაგან სრულიად დამოუკიდებლად მოქმედებდნენ.

თურქ-სულჩუკებამდე კარგა ხნით ადრე მაპმუდ ღაზნევიმ ღასდო ხელი დეპყანურ მიწისმფლობელობას. მის ცენტრალისტურ პოლიტიკას დეჰყანების ეკონომიკური მდგომარეობა გაღაულახავ დაბრკოლებებს უქმნიდა. სულთანს კარგად ესმოდა, რომ სამანიანთა სახელმწიფოს ღასუსტების მთავარი მიზეზი დეჰყანების განკერძოებისათვის ბრძოლა იყო" (ვ. გაბაშვილი).

როგორც ზემოთ აღენიშნეთ, მაპმუდის ზეობის წლებში ღაზნეთა სახელმწიფო თავისი ძლიერების ზენიტში იყო, მაგრამ ეს იყო მხოლოდ ბრწყინვალე ფასადი, რომლის მიღმაც იმალებოდა სოციალური წინააღმდეგობები, აუტანელი გადასახადების გამო უკმაყოფილება და სხვ. მაპმუდის მიერ შექმნილი სახელმწიფოს სოციალური სისუსტე მალევე გამომჟღავნდა მისი სიკვდილის შემდეგ, მისი შვილის სულთან მას-უდის დროს (1030-1041 წწ.).

მას-უდი ხელისუფლების სათავეში მოვიდა ტახტის მეორე პრეტენდენტთან, თავის ძმა მუჰამედთან ბრძოლის შემდეგ, ამიტომაც იგი მალე მოექცა ტახტისათვის ბრძოლაში მისი მსარდამჭერი სამხედრო და კარის დიდებულების გაელენაში. მას-უდი ახალგაზრდობიდანვე განებიერებული და გარყვნილი იყო; ტახტზე ასვლის შემდეგ, იგი გაცილებით მეტ დროს უთმობდა ჰარემსა და ლოთობას, ვიდრე სახელმწიფო საქმეებს. მთელი ძალაუფლება დედაქალაქში, ისევე როგორც პროვინციებში, ხელთ იყდეს უნიჭო და ხარბმა მოხელეებმა, რომელთაც სახელმწიფო ფაქტობრივად დაღუპვამდე მიიყვანეს. ძალმომრეობის, უკანონობის და ძარცვა-გლეჯის შესახებ ჩვენ შეგვიძლია წარმოდგენა ვიქონიოთ ხორასნის მაგალითით. ხორასნის გამგებელი ყოფილა ვინმე აბულ ფაზლ სური, რომლის დახასიათება მოცემულია აბულ ფაზლ ბეიჰაყის ნაშრომში: „სური იყო სასტიკი და მრისხანე კაცი. როდესაც მას ხორასანში ხელები გაეხსნა, მან მოსპო ყველა დიდებული და რაისი და მიიტაცა ურიცხვი ფული. სუსტებს იგი საშინლად ჩაგრავდა. ივი კარის დიდებულებს და თვით ამირასაც უგზავნიდა ძვირფას საჩუქრებს, ამიტომაც გუთავებელი საჩივრები მის ძალმომრეობაზე უყურადღებოდა რჩებოდა: ამირა (მას-უდი) არავის საჩივარს უსმენდა და ამ საჩუქრებს უყურებდა როგორც ნამატს, მანამ, სანამ ხორასანი სულ არ წავიდა ხელიდან.“ ასეთივე მდგომარეობა იყო სახელმწიფოს სხვა ოლქებშიც. მაპმუდის გარდაცვალების შემდეგ სახელმწიფოს ძლიერება სწრაფად დაეცა. მას-უდის ტახტზე ასელისთანავე ღაზნევიანთა სახელმწიფოს ჩამოსცილდა ხორეზმი; შუა აზიის ცალკეული მმართველები ყარახანიანთა დინასტიიდან შეიჭრნენ ამუ დარიას ზემო წელში, რომელიც ღაზნევიანებს ეკუთვნოდა.

შინაური წინააღმდეგობა, სახელმწიფო აპარატის გახრწნა, ადგილობრივი ფეოდალების სეპარატიზმი და სამხედრო ძალის შესუსტება ის ფაქტორები იყო, რომლებმაც განაპირობეს ოღუზეთის მოძრაობა სელჩუკთა თაოსნობით.

თავი V

ირანი XI საუკუნის პირველ მესამედსა და XIII საუკუნის პირველ მესამედში

§1. ოღუზები და სელჩუკთა სახელმწიფოს ჩამოყალიბება

ოღუზების სახელით ცნობილი მომთაბარე ტომები უძველესი დროიდან სახლობდნენ მდ. სირ-დარიას ქვემო წელსა და კასპიის ზღვის არალის ზღვებს შორის მდებარე ველებში. ისინი ისსენიებიან ჩვ. წ. VIII ს-ის ჩინურ წყაროებში. შემდეგში ოღუზებს უწოდებდნენ აგრეთვე თურქმენებს; არაბი ავტორები მათ უწოდებდნენ ღუზებს. X ს-ში ოღუზებში შეინიშნება პირველყოფილი — თემური წყობილების რღვევის და კლასობრივი საზოგადოების ფორმირების პროცესი.

კლასობრივი საზოგადოების ჩამოყალიბება ოღუზებში ძირითადად იმავე გზით მიდიოდა, როგორც შუა აზიის დანარჩენ თურქულ მომთაბარულ გაერთიანებებში. თავდაპირველად უძველესი მომთაბარული საგვარეულო თემი, საწარმოო ძალების ზრდის შედეგად, შეიცვალა ე. წ. აულის მომთაბარული თემით, რომელიც საზოგადო საკუთრებაში ფლობდა მხოლოდ მიწას (საძოვრებს), საქონელი კი ცალკეული ოჯახების კერძო საკუთრებაში იყო. ნაწილობრივ საწარმოო ძალების ზრდის, ნაწილობრივ ომების და სამხედრო დაპყრობების ხელთაგდების შედეგად, ტომებს შიგნით ქონებრივი უთანასწორობა იზრდებოდა. ამან გამოიწვია მომთაბარული არისტოკრატიის გამოყოფა თანამეტომეთა საერთო მასიდან. მომთაბარული არისტოკრატიის გაჩენა იზრდებოდა მის გამო, რომ იგი ხელმძღვანელობდა მომთაბარეთა ორგანიზებულ ადგილგადანაცვლებას ფარეთან ერთად, საძოვრების განაწილებას, ჯოგის დაცვას მეზობელთა თავდასხმებისაგან და ბოლოს მეზობელ ტომებსა და სამიწათმოქმედო ოაზისებზე ყაჩაღურ თავდასხმებს. ყველაფერი ეს ნიადაგს უმზადებდა კლასებისა და ფეოდალური იერარქიის ჩამოყალიბებას. გვაროვნულ-ტომობრივი არისტოკრატიის ხელში მიწების (საძოვრების) განაწილების

ულების გადასელა დაკავშირებული იყო შიწაზე ფეოდალური საკუთრების წარმოშობასა და რიგითი მომთაბარეების მომთაბარული არისტოკრატიისადმი ფეოდალური ტიპის დამოკიდებულების ჩამოყალიბებასთან.

თურქულ მომთაბარე ტომებში მონობა, როგორც წარმოების გაბატონებული ფორმა, არ განვითარებულა: იგი დარჩა როგორც წესი. არისტოკრატიის მიერ რიგითი მომთაბარეების ექსპლუატაცია გახვეული იყო გვაროვნულ-ტომობრივი წესჩვეულებების საბურველში.

X ს-ის მეორე ნახევარში ოღუზების, კარლუკების და სხვა თურქული მოდგმის მომთაბარეებში აღმოცენდა სახელმწიფოებრივი გაერთიანებანი, რომელთა შორის განსაკუთრებული ისტორიული მნიშვნელობა ჰქონდა სელჩუკთა მომთაბარულ გაერთიანებას. ამ ოღუზურმა გაერთიანებამ სახელწოდება მიიღო კინიკის ოღუზური ტომის ნახევრადლეგენდარული ბელადის სელჩუკის სახელიდან, რომელიც ითვლება დინასტიის ფუძემდებლად. X ს-ის მეორე ნახევარში სელჩუკიანი ოღუზები, ისევე, როგორც შუა აზიის სხვა თურქულ-თურქმანული ტომები, იღებენ ისლამს. ეს იმით უნდა აიხსნას, რომ გაფეოდალების გზაზე დამდგარი, სამხედრო-ნომადური არისტოკრატია ძველი პრიმიტიული შამანობის ნაცვლად ასალ იდეოლოგიას საჭიროებდა. ამიტომაც, ხანებმა და თურქული — მომთაბარული ტომების არისტოკრატიამ მიიღო მეზობელი განვითარებული საზოგადოების რელიგია — ისლამი. ერავალრიცხოვანი ფარებისა და ჯოგების მფლობელი, მომთაბარული არისტოკრატია საძოვრების დიდ ნაკლებობას განიცდიდა. მაგრამ მარტო ეს არ იყო თურქ-სელჩუკთა მიგრაციის მიზეზი: მთავარი მაინც იყო მომთაბარული არისტოკრატიის მისწრაფება სამხედრო დაელის მოპოვებისა და სამიწათმოქმედო ოაზისების სელში ჩაგდებისა (ამ უკანასკნელის ბინადარი მოსახლეობის ფეოდალური ექსპლუატაციის მიზნით). ამან გამოიწვია დამპყრობლური და მიგრაციული მოძრაობა თურქული ტომებისა შუა აზიის სამიწათმოქმედო რეგიონებში (კარლუკები, ყარახანიანი თურქები) და ირანში (ოღუზები).

თავდაპირველად თურქ-სელჩუკი ოღუზები მომთაბარეობდნენ მდ. სირ-დარიას ქვემო წელში. X ს-ის ბოლოსათვის მათ გადაინაცვლეს მავერანაპრში, ნურატინის მთების რეგიონში. ოღუზთა ამ

ჯგუფის საოთავეში იმ დროს იდგნენ ძმები თოღრულ-ბეგ მუპამედი და ჩაღრი-ბეგ დავუდი (სელჩუკის შვილიშვილები). მაგერანაპრში ისინი დაუპირისპირდნენ ყარახანიან თურქებს. XI ს-ის ოციანი წლებისათვის მათ შორის ურთიერთობა იმდენად გამწვავდა, რომ ოღუზები იძულებული გახდნენ შუა აზიიდან გამოსახლებულიყვნენ. XI ს. სპარსელი ისტორიკოსის გარდიზის ცნობით, მათმა წინამძღოლებმა მაპმუდ ღაზნევის თხოვნით მიმართეს ხორასანში დასახლების შესახებ, რის სანაცვლოდაც სამხედრო სამსახურს ჰპირდებოდნენ. ასლობლები ურჩევდნენ მაპმუდს: არ შემოეშვა მომთაბარე თურქები და თუ შემოუშვებდა, ყველა დაეხოცა, ან მარჯვენა ხელზე ოითები დაეჭრა, რათა მათ მშვილდ-ისრის გამოყენება ვერ შეძლებოდათ. მაპმუდმა ამ რჩევას ყური არ ათხოვა: მან ნება დართო ოღუზებს ჩრდ. ხორასანში – სერახსა და აბიეერდს შორის დასახლებაზე (უნდა ჩამოსახლებულიყო 4000 ოჯახი). მაგრამ ჩამოსახლებულთა პირველ ნავალს ახალ-ახალი ჯგუფები მოჰყვა. მაპმუდის გარდაცვალების შემდეგ ამ მოძრაობამ ფართო ხასიათი მიიღო.

მაპმუდის მემკვიდრის მასუდის მმართველობის პირველ წლებში ჩრდ. ხორასანში უკვე წარმოიშვა მნიშვნელოვანი თურქული (ოღუზური) დასახლებები. დაიწყო შეტაკებები მეომარ მომთაბარეებსა და მშვიდობიან მიწათმოქმედ მოსახლეობას შორის. სელჩუკიანთა სამსედრო-ფეოდალური არისტოკრატია ყოველწლიურად სულ უფრო და უფრო დაჟინებით მოითხოვდა მას-უდისაგან ახალ-ახალი მიწების დათმობას.

1035 წ. ხორასანში მდგომარეობა ძალიან დაიძაბა. სელჩუკიანთა წინააღმდეგ რჩეული ჯარით გამოვიდა თვით სულთანი მასუდი. სელჩუკიანებმა მას-უდის დიდი ლაშქარი დაამარცხეს; სულთანი იძულებითი გახდა შეესრულებინა მათი მოთხოვნა: სელჩუკებს დასასახლებლად გადასცა ნესის, ფერავის და დეპისტანის რეგიონები. მაგრამ ამ დათმობამ თურქ-სელჩუკთა არისტოკრატია არ დააკმაყოფილა: მალე მათ მერვის რეგიონიც მოითხოვეს. ამ მოთხოვნის საპასუხოდ მას-უდმა ახალი ჯარი გააგზავნა, რომელიც სელჩუკებმა სასტიკად დაამარცხეს. მათ, თითქმის უომრად, დაიკავეს ნიშაბური, სადაც თოღრულ-ბეგის სახელზე მეჩეთებში ხუტბა იქნა წაკითხული. 1038 წ., როდესაც ეს ამბავი მოხდა, ითვლება თურქ-სელჩუკთა სახელმწიფოს წარმოშობის თარიღად,

თუმცა მათი ბრძოლა ღაზნევიანებთან ჯერ კიდევ არ იყო დასრულებული. მალე მას-უდმა მოახერხა სულჩუკიანების განდევნა ნიშაბურიდან, რის შემდეგაც სულთანი მრავალრიცხოვანი ჯარით, საომარი სპილოებით, გამოვიდა სელჩუკიანთა წინააღმდეგ. მასუდის ფეოდალური ლაშქარი, რომელშიც არ იყო შინაური ერთობა და მტკიცე დისციპლინა, სელჩუკებთან შესვედრამდე დაიმალა. 1040 წ. მაისში დანდანაკანთან ბრძოლაში (ხორასანში) მასუდის ლაშქარი სასტიკად დამარცხდა. თვითონ სულთანმა ძლივს უშველა გაქცევით თავს.

ღაზნევიანთა სამხედრო დამარცხებები აიხსნება სახელმწიფოს შინაური სისუსტით. სალხთა მასების სიძულვილმა მას-უდისადმი სახელმწიფოს მდგომარეობა კიდევ უფრო შეარყია. დანდანაკანთან ბრძოლის შემდეგ სორასანი მთლიანად გადავიდა სელჩუკთა ხელში. თოღრულ-ბეგი ტახტზე დაჯდა ნიშაბურში, ჩაღრი-ბეგი კი — მერეში. იბრაჰიმ-იანალის და ყუთულმიშს წილად ერგოთ ჯერაც დაუპყრობი ჰამადანი, გურგანი და დამღანი; ასევე დაუპყრობი ტერიტორიები ერგოთ წილად ჩაღრი-ბეგის უფროს ვაჟს — კავერდს (ქერმანი), მუსა ბაიდუს და მის შვილებს (ბუსტი, ჰერათი, სისტანი). ღაზნევიანთა ხელში დარჩა დღევანდელი ავღანისტანისა და უენჯაბის ნაწილი.

§2. ირანი სელჩუკიანთა ბატონობის ქვეშ

ჯერ კიდევ მანამ, სანამ გამოირკვეოდა ღაზნევიანთა სახელმწიფოსა და სელჩუკთა შორის ხორასნის თაობაზე ბრძოლის შედეგი, ოღუზთა ცალკეული რაზმები დასავლეთით, ირანის სიღრმეში შეიჭრნენ (1021 წ-დან). პირველად ეს მოძრაობა სტიქიური იყო. თითოეული ჯგუფის სათავეში იდგა წინამძღოლი, რომელიც თავისი რისკის მისედვით მოქმედებდა. სელჩუკების ხელში სორასნის გადასელის შემდეგ, დასავლეთისაკენ მიმართულმა დაპყრობებმა უფრო ორგანიზებული და სისტემატური ხასიათი მიიღო. სელჩუკთა ლაშქარს ხელმძღვანელობდნენ თოღრულ-ბეგი და ბიძამისი იბრაჰიმ იანალი. ხორასანში „აღმოსავლეთის მბრძანებლის“ სახით დარჩა ჩაღრი-ბეგი.

დასავლეთ ირანში იმ დროისათვის არ იყო ისეთი პოლიტიკური და სამხედრო ძალა, რომელიც სელჩუკთა წინსვლას ხელს

შეუშლიდა. 1040-1050 წწ. შორის სელჩუკებმა დაიპყრეს ირანის უმნიშვნელოვანესი ცენტრები: რეი, ისპაანი, ჰამადანი და სხვ. რეი დროებით თოღრულ-ბეგის დედაქალაქი გახდა. ამავე დროს, სელჩუკებმა დაიმორჩილეს ჩრდილოეთით ხორეზმი, აღმოსავლეთით – ჰერათი, სამხრეთით – სისტანი და ქერმანი. ცოტა უფრო გვიან მათ დაიპყრეს ფარსი. ოგუზთა განსაკუთრებით რიცხვმრავალი ჯგუფები დაიძრნენ აზერბაიჯანისაკენ, შეიჭრნენ ზემო მესოპოტამიასა და არმენიაში, სადაც მათ იზიდავდა შესანიშნავი მაღალმთიანი საძოვრები.

სელჩუკთა ბატონობის გაერცელების უმნიშვნელოვანეს ეტაპად ითვლება 1055 წ. ბაღდადის აღება. ამით აქ ბოლო მოეღო ბუიდთა ასწლოვან ბატონობას. „ხალიფამ თოღრულ-ბეგი სულთნად დალოცა. ხალიფას სასახლეში „ფესხშიშველა მწყემსმა“ თავზე ორრქიანი გვირგვინი დაიდგა. თაჯის ორი რქა სიმბოლურად აღნიშნავდა იმას, რომ ამიერიდან თურქ-სელჩუკი სულთანი აღმოსავლეთისა და დასავლეთის მბრძანებელი ხდებოდა. ხალიფა კი, რა თქმა უნდა ფორმალურად, მას ამის დასტურს აძლევდა“ (ვ. გაბაშვილი).

თოღრულ-ბეგის მიერ ბაღდადის დაპყრობის შემდეგ ხალიფას ბრძანებით მის სახელზე წაიკითხეს ხუტბა; თოღრულ-ბეგმა აიძულა ხალიფა კაიმი მიეცა მისთვის სულთნის ტიტული; ამასთანავე, იგი ხალიფას შვილიშვილზე დაქორწინდა. ხალიფას ძველებურად სასულიერო ხელისუფლება დარჩა.

სელჩუკების წინსვლა დასავლეთისაკენ ბაღდადის აღების შემდეგაც გაგრძელდა. სელჩუკებს დამორჩილდა ზემო მესოპოტამია; მათ დაიწყეს ძარცვა-რბევა ბიზანტიის სამფლობელოებშიც – არმენიასა და მცირე აზიაში.

1059 წ. ჩაღრი-ბეგი გარდაიცვალა და თოღრულ-ბეგი სიცოცხლის ბოლომდე – 1063 წ-მდე დარჩა სელჩუკიანთა სახელმწიფოს ერთადერთ მეთაურად. ამ დროს სახელმწიფოს სამღვრები გადაჭიმული იყო ამუ-დარიადან ევფრატამდე. სელჩუკთა დაპყრობები გრძელდებოდა თოღრულ-ბეგის ძმიშვილის – ჩაღრი ბეგის შვილის – ალფ-არსლანის (1063-1072 წწ) დროსაც. ალფ-არსლანმა ორჯერ, 1064 და 1068 წწ-ში სასტიკად ააოხრა აღმოსავლეთი საქართველო. მისი ზეობის უმნიშვნელოვანესი მოვლენა იყო ბიზანტიის ჯარის დამარცხება მანასკერტთან (ბერძნ. მანციკერტ) სომხეთში (1071). ამის შემდეგ, ათი წლის განმავლობაში სელჩუკე-

ბმა დაიპყრეს არა მარტო სომხეთი, არამედ თითქმის მთელი მცირე აზია. სელჩუკებმა დაიპყრეს აზერბაიჯანი, შირვანი, აღმოსაელეთი საქართველო, სირია, პალესტინა.

ალფ-არსლანს უნდოდა ყარახანიანთა სამფლობელოების დაპყრობაც მაევრანაჰრში. ამ მიზნით 1072 წ. დიდძალი ჯარით ღაიძრა მერვიდან ბუხარისაკენ, მაგრამ ეს ლაშქრობა წარუმატებლად დამთავრდა ალფ-არსლანის დაღუპვის გამო: მდ. ამუ-დარიას გაღალახვისათანავე, ივი მოკლა ყარახანიანთა ციხის ღატყეეებულმა კომენდანტმა. ჯარი დაბრუნდა მერვში.

სელჩუკიანთა სახელმწიფოს პოლიტიკური ძლიერების ზენიტად ითვლება ალფ-არსლანის შვილის მალიქ-შაპის ოცწლიანი ხელმწიფობა (1072-1092). მან შეძლო ყარასანიანთა სახელმწიფოს დამორჩილება და დახარკვა. მისი ზეობის ხანაში — 1080 წ. დაიწყო თურქთა ინტენსიური ჩამოსხდომა საქართველოში, ე. წ. „დიდი თურქობა". „მალიქ-შაპის მეფობის დროს (1072-1092) მნიშვნელოვნად გაფართოედა „დიდ სელჩუკთა" სახელმწიფოს ტერიტორია. სულთანი თავმომწონედ აღნიშნაედა, რომ შუა აზიიდან წამოსულმა, მან თავისი ცხენი ხმელთაშუა ზღვის წყლებში შეიყვანა. მაგრამ ეს ეფექტური წარმატება დროებითი აღმოჩნდა. ტერიტორიულ გაფართოებასთან დაკავშირებით ალაფისა და ნადავლის მოპოვებამ მსოლოდ დროებით შეასუსტა შინაგანი ხასიათის წინააღმდეგობები თურქ-სელჩუკთა სახელმწიფოში" (ვ. გაბაშვილი).

მისი მბრძანებლობის ბოლო ხანებისათვის სელჩუკთა იმპერიის საზღერები აღწევდა ხმელთაშუა და მარმარილოს ზღვებს დასავლეთით; ქაშგარს — აღმოსავლეთით; არალის ზღვას, მთავარ კავკასიის ქედს და შავ ზღვას ჩრდილოეთით; სპარსეთის ყურეს და სირიის უდაბნოს სამხრეთით. სხეა ხალხებს შორის, უდიდესი საფრთხის წინაშე აღმოჩნდა ქართველი ხალხიც. „თურქების შემოსევა არსებითად განსხვავდებოდა ბიზანტიელებისა თუ არაბების ბატონობისაგან. თურქები მომთაბარე-მეჯოგეები იყვნენ. ისინი გადმოსახლებით მოდიოდნენ და დაპყრობილ ქვეყნებში თავისი მეურნეობისათვის საჭირო მიწებს იჭერდნენ. დავით აღმაშენებლის ისტორიკოსი ხაზგასმით აღნიშნავს, თუ როგორ შეუთავსებელი, როგორ ერთიმეორის გამომრიცხველი იყო ორი მეურნეობა — თურქულ-მომთაბარული და ქართულ-ფეოდალური. თურქი დამპყრობლები, როგორც შევნიშნეთ, გადმოსახლებით

მოდიოდნენ. მათ პრიმიტულ მეურნეობას (მომთაბარე მეჯოგეობას) მიწის დიდი ფართობი სჭირდებოდა. დიდ მდინარეთა (არეზის, მტკვრის, ალაზნის, იორის) ნოყიერი ჭალები და მაღალმთიანეთის ალპური საძოერები თურქ მომთაბარეების ყიშლად-იალაღებად უნდა ქცეულიყვნენ. ადგილობრივ მკვიდრთა ინტენსიური სამიწათმოქმედო კულტურა იკვეცებოდა. ბალ-ეენახი, სელი და პურეული აღგილს უთმობდა პირველყოფილ საძოერებს. ქართული (კაეკასიური) ფეოდალური საზოგადოების განვითარება ფერხდებოდა, მას დაკნინება-გადაგვარება ემუქრებოდა. ასე რომ, თურქ-სელჩუკთა შემოსევა შეუდარებლად უფრო მძიმე და საშიში იყო, ვიდრე არაბთა (ან ბიზანტიელთა) ბატონობა. არაბობა ქართული (კაეკასიური) ფეოდალური მეურნეობის განვითარებას მძიმე ხარკით აფერხებდა. „თურქობა“ კი ამ მეურნეობას საფუძველს (მიწას) აცლიდა და მას ერთიანად გადაშენების საფრთხეს უქმნიდა“ (ნ. ბერძენიშვილი).

§3. სელჩუკთა სახელმწიფო და ნიზამ ულ-მულქი

თურქ-სელჩუკ სულთნებს დიდი კულტურული ქვეყნების მართეა-გამგებლობის გამოცდილება არ ჰქონდათ, ამიტომაც ისინი იძულებული გახდნენ ადმინისტრაციული და საფინანსო აპარატი დაეკომპლექტებინათ ღაზნეეიანთა და ბუიდთა სახელმწიფოების დაშლის შედეგად უსაქმოდ დარჩენილი ირანელი მოხელეებით. ირანული სასულიერო და სამოხელეო არისტოკრატია სწრაფად შეურიგდა სელჩუკი სულთნების ბატონობას. კიდევ მეტი: ოგუზთა სამხედრო არისტოკრატიამ მიწები იკტად მიიღო, გაისაკუთრა ისინი და დაიწყო ცენტრიდანული მისწრაფებების გამომეღავნება. მათ წინააღმდეგ ბრძოლაში სულთნები ეყრდნობოდნენ ირანულ სამოსელეო არისტოკრატიას, რომელიც დაკავშირებული იყო ცენტრალურ სასელმწიფო აპარატთან და ამდენად დაინტერესებული სულთნის ძლიერი ხელისუფლების არსებობით.

ირანულ სამოქალაქო ბიუროკრატიაში განსაკუთრებით გამორჩეული ფიგურა და მისი იდეოლოგი იყო ალფ-არსლანისა და მალიქ-შაპის ცნობილი ვეზირი აბუ ალი ჰასან ტუსი, რომელმაც

მიიღო „ნიზამ ულ-მულქის“ საპატიო ტიტული. იგი იყო ალფ-არსლანის და მალიქ-შაპის საგარეო პოლიტიკის სულისჩამდგმელი, ამავე დროს მთელი სამოქალაქო მართვა-გამგებლობის და სახელმწიფო ფინანსების ორგანიზატორი.

მისი პოლიტიკის სასიათის შესაფასებლად განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს ფართოდ ცნობილ პოლიტიკურ ტრაქტატს „სიასეთ-ნამეს“ („წიგნი პოლიტიკის შესახებ“), რომლის აეტორობა თეეთონ ნიზამ ულ-მულქს მიეწერება.

ამ თსზულების მისედვით, ნიზამ ულ-მულქი ირანული ცენტრალიზებული სასელმწიფოს ტრადიციების დამცველია, რომლის ნიმუშადაც არცთუ მორეულ წარსულში მას მიაჩნდა ღაზნევიანთა, სამანიანთა და ბუიდთა სახელმწიფოები, ხოლო უფრო შორეულ ხანაში სასანიანთა დიდი სასელმწიფო. ამ სასელმწიფოების სამინაო პოლიტიკას იგი წარმოგიდგენს იდეალიზირებულ ფერებში და მკვეთრად ილამქრებს ფეოდალური დაქუცმაცებულობის წინააღმდეგ.

ნიზამ ულ-მულქი — აღმოსაელეთის კულტურული და პოლიტიკური ტრადიციების პრაქტიკულად გამომსატეელი — თურქ-სელჩუკი სულთნების საყურადღებოდ ამბობდა: სულთანმა უნდა გაიყვანოს მიწისქვეშა რუები (ყანათ), გათხაროს მთავარი სარწყავი არსები, ააგოს ხიდები დიდ მდინარეებზე, სადაც გზები ერთმანეთს ხვდება. განავითაროს სოფლები, გაამაგროს ციხეები, ღააარსოს ახალი ქალაქები და კეთილმოწყობილი ნაგებობანი, უანჩატურები და თაეშესაფრები მთავარ გზებზე. ყველაფერი ეს სოფლის მეურნეობის, ქალაქების და საქალაქო ცხოერების (ვაჭრობა-სელოსნობის) განეითარებას გულისხმობდა.

ნიზამ ულ-მულქი სახელმწფოს ცენტრალიზების თვალსაზრისით დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა მუდმივი ჯარის შექმნას. მალიქ-შაპის სულთნობაში გატარდა სამხედრო რეფორმა: შეიქმნა ცენტრალურ ხელისუფლებაზე დამოკიდებული ხუთიათას კაციანი „ღოლამთა გვარდია“ (შემდეგ ამ გვარდიელების რიცხვი ათიათას კაცამდე ავიდა): ამ ჯარის მეომრებს დაურიგდათ ჯამაგირის ნაცელად მიწები იკტად. იკტა ამ დროს მკაფიოდ გამოკვეთილ სამხედრო-ლენურ სისტემად ჩამოყალიბდა.

სახელმწიფომი სტაბილური მდგომარეობის დამყარების მიზნით, ნიზამ ულ-მულქი მოითხოვდა მომთაბარე თურქ-სელჩუკების გარკეეული ნაწილის განსსმას ირანის ცენტრალური რე-

გიონებიდან და მათ გადაყვანას ბიზანტიისა და საქართველოს საზღვრებთან ახლოს. „ნიზამ ულ-მულქი დაუნათესაედა ბაგრატ IV-ს, მაგრამ ეს მას, რა თქმა უნდა, ხელს არ უშლიდა მ:ედამ მსედველობაში ჰქონოდა მთავარი მიზანი: მცირე აზიასა და კავკასიაში თურქ-სელჩუკთა მეურნეობისათვის საჭირო მიწის ფართობების განთავისუფლებით, ამ მიწების იალაღებად და ყიშ-ლაღებად გადაქცევის გზით მომთაბარეთა ენერგიის შესუსტება საკუთრივ ირანში" (ვ. გაბაშვილი).

ნიზამ ულ-მულქი განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობდა იკ-ტას ფეოდალური ინსტიტუტის იურიდიულ ჩარჩოებში მოქცევას. როგორც ცნობილია, იკტამ განვითარების რთული და ხანგრძლივი გზა განელო. „იკტას განვითარებაში მკაფიოდ გამოიყოფა სამი პერიოდი: პირველ პერიოდში (IX-X სს) იკტა გულისხმობდა მისი მფლობელის (არაბ. „მუკტა", სპარს. „იკტადარი") წილს მიწის შე-მოსავალში, მის უფლებას რენტა-ხარკის გადაკვეთილ წილზე; მეორე პერიოდში (XI-XIII სს) სამხედრო სამსახურის პირობით გაცემულ მიწას, რამაც საჭირო საფუძველი შეუქმნა სამხედრო-ლენური სისტემის ჩამოყალიბებას; მესამე პერიოდში (XIV-XV სს) იკტა აღწევს განვითარების ახალ უფრო მაღალ საფეხურს, რის გამოც სამხედრო-ლენური სისტემა დასრულებულ სახეს იღებს და, ამასთან, ვითარდება ფეოდალური იმუნიტეტი". თურქ-სელჩუკთა სახელმწიფოში იკტა ბენეფიციუმიდან გადაიქცა ლენად. ეს გარე-მოება კი ხელს უწყობდა ქვეყნის დეცენტრალიზაციას. ნიზამ ულ-მულქი თავის „სიასეთ-ნამეში" სპეციალურ თავებს უთმობს იკტას ფეოდალურ ინსტიტუტს.

ნიზამ ულ-მულქი შეშფოთებას გამოხატავდა სახელმწიფოში წესრიგის და სტაბილურობის მცირეოდენი დარღვევის გამოვ-ლინების გამოც კი. მას სახელმწიფოს ძლიერებისათვის გან-საკუთრებით საშიშად მიაჩნდა სულთან მალიქ-შაჰის ზეობის ხანაში ერეტიკოს-ისმაილიტების გაძლიერება; მისი აზრით, საშიში იყო აგრეთვე ქალთა გაელენა სახელმწიფოს მესვეურებზე. არეულობის გამომწვევად მას მიაჩნდა აგრეთვე ისიც, რომ ბევრი მოხელე უმუშევარი დარჩა. იგი მოითხოვს თვალყურის დევნებას იმაზე, რომ ორი და რამდენიმე თანამდებობა ერთი კაცის ხელით არ იყოს, რამდენადაც ეს ამცირებს სამსახურით უზრუნველყო-ფილი ხალხის რიცხვს.

ნიზამ ულ-მულქის თვალთახედვით, ქვეყნისათვის კიდევ უფრო საშიში იყო მალიქ-შაჰის სულთნობის ბოლო წლებში შემოღებული პროექტი სამხედრო ხარჯების შემცირების შესახებ. საქმე ის იყო, რომ სულთანთან დაახლოებულ ერთ-ერთ კაცს, მოუხერხებია მისი დარწმუნება იმაში, რომ არაა საჭირო 400 000 კაციანი მუღმიები ჯარის ყოლა და მეომრებისათვის ჯამაგირის ძლევა, რადგან ქვეყანაში მშვიდობაა და ამრიგად, შესაძლებელია მეომართა რაოდენობის 70 000 კაცამდე შემცირება. ძნელი მისახვედრი არაა, რომ ასეთი ღონისძიების გატარებით მმართველი დინასტია 330 000 შეიარაღებულ მტერს გაიჩენდა. ნიზამ ულ-მულქს მიზანშეწონილად მიაჩნია ჯარის გაზრდა 700 000 კაცამდე და აღმოსაელეთ აზიის, აფრიკის და საბერძნეთის დაპყრობა.

ნიზამ ულ-მულქი საყვედურობს მალიქ-შაჰს მისი სელმოჭერილობის გამო. მალიქ-შაჰი, თავისი წინამორბედების მსგავსად, არ მართავდა დიდ ნადიმებს ჯარისათვის. იგი აღნიშნავს, რომ ყველა ჯურის მომთაბარეთა თვალში, მეფეთა და გმირთა სასარგებლოდ ლაპარაკობს მათი ხელგაშლილობა. ვეზირი იგონებს თოღრულ-ბეგის ნადიმებს, აღნიშნავს ასეთი ნადიმების მნიშვნელობას ყარახანიანთა სახელმწიფოში. ამავე დროს იხსენებს, თუ როგორ გაუცრუვდათ იმედები მავერანაჰრის მცხოვრებლებს, როდესაც მავერანაჰრში ლაშქრობის დროს მალიქ-შაჰმა ერთხელაც არ უმასპინძლა მათ.

ნიზამ ულ-მულქი ზრუნავდა სახელმწიფოს კულტურულ-ინტელექტუალური დონის ამაღლებაზე. თურქ-სელჩუკი სულთნები გაუნათლებლები იყვნენ: მაგ.: სულთანმა სანჯარმა წერა-კითხვა არ იცოდა; არც მისი წინამორბედი სულთნები იყვნენ დიდად განათლებულნი, თუმცა აკად. ვ. ბარტოლდის აზრით, მალიქ-შაჰი კულტურული დონის თვალსაზრისით დანარჩენებზე უფრო მაღლა იდგა. გაუნათლებელ მბრძანებელს, რა თქმა უნდა, არ შეეძლო თვალყურის დევნება თავისი უზარმაზარი სახელმწიფოს რთული ბიუროკრატიული მმართველობისათვის, ასე რომ ეს ვალდებულება ვეზირს აწვა კისერზე. ამიტომაც იყო, რომ სელჩუკიანთა ეპოქაში ჩვენ ვხედავთ ისეთ ყოვლისშემძლე ვეზირებს, რომელთა მსგავსი აღრე არ იყვნენ. ნიზამ ულ-მულქს სრული უფლება ჰქონდა თავისი თავისათვის „სულთნის თანამმართველი“ ეწოდებინა.

ნიზამ ულ-მულქის ინიციატივით დაიწყო მზადება ახალი საკალენდრო სისტემის შემოსაღებად. საამისოდ მან ცნობილი ასტრონომები: ომარ ხაიამი, აბუ-ლ მუზაფერი, სეფერარი, მიმუნი, ასადი, მოქამედ ხაზინი და ბევრი სხვა მოიწვია, რომლებიც მალიქ-შაპის გარდაცვალებამდე ინტენსიურად საქმიანობდნენ, შემდეგ კი ეს საქმე ჩაკვდა.

მალიქ შაპის სულთნობაში, ნიზამ ულ-მულქის ინიციატივით, გახშირდა უმაღლესი სასულიერო სასწავლებლების — მედრესეების მშენებლობა, რომლებსაც „ნიზამიეები" ეწოდებოდა. ქ. ბაღდადში, მდ. ტიგროსის ნაპირზე აგებულმა ცნობილმა მედრესემ-ნიზამიემ უდიდესი როლი შეასრულა მეცნიერებისა და კულტურული ცხოვრების განვითარების საქმეში. ზემოხსენებულ „ნიზამიებში" თავმოყრილნი იყვნენ იმდროინდელი, ცნობილი სწავლულნი, რომელთა მიერ გამოზრდილი შეგირდები უმარჯვარი სახელმწიფოს სხვადასხვა რეგიონებში იგზავნებოდა დიდსა და საპასუხისმგებლო თანამდებობებზე.

ბაღდადის „ნიზამიეს" ბაზაზე დაარსდა მრავალი „ნიზამიე", რომელთა სათავეში აქ გამოზრდილი სწავლულები იდგნენ.

ნიზამ ულ-მულქის მცდელობით, მედრესეებსა და სხვა სასულიერო ცენტრებში არსდებოდა მდიდარი ბიბლიოთეკები. ამ პერიოდში მაღალ საფეხურზე ავიდა ზუსტი მეცნიერებანი, კალიგრაფია, ფილოსოფია, მხატვრული ლიტერატურა და სხვ.

ზემოთქმულიდან ნათლად ჩანს, რომ ნიზამ ულ-მულქის საშინაო პოლიტიკა მიზნად ისახავდა ქვეყნის ცენტრალიზაციას, მაგრამ ნიზამ ულ-მულქის ცენტრალისტური პოლიტიკა ფეოდალური ურთიერთობის განვითარების კანონზომიერ პროცესს არ შეესატყვისებოდა და ამიტომ უიღბლო აღმოჩნდა.

ალფ-არსლანისა და მალიქ-შაპის ზეობის სანა, როდესაც ნიზამ ულ-მულქი ფაქტობრივად მართავდა სახელმწიფოს, აღსანიშნავია დინასტიის ცალკეული წევრების და ცალკეული ცნობილი მსედართმთავრების, აგრეთვე ოგუზთა მომთაბარე ტომთა ბელადების სეპარატისტული ტენდენციების გამოვლინების გამწვავებით. ოგუზთა სამხედრო-ნომადური არისტოკრატიის უმაღლესი წარმომადგენლები მათთვის იკტად მიცემული მიწების ფაქტობრივად დამოუკიდებელ სამფლობელოებად გადაქცევას ცდილობდნენ. ამ წრეების

მხრიდან ზემოქმედების შეღეგად ნიგამ ულ-მულქი სიკვდილამდე ცოტა ხნით ადრე ვეზირის თანამდებობიდან გადაყენეს.

§4. სელჩუკიანთა სახელმწიფოს დაშლა

სელჩუკიანებმა მსოლოდ დროებით მოახერხეს ერთმანეთთან ეკონომიკურად სუსტად დაკავშირებული სხვადასხვა ეთნიკური შემადგენლობის ქვეყნებისა და ოლქების გაერთიანება, მაგრამ მათ ვერ შეძლეს ფეოდალური დაქსაქსულობის კანონზომიერი პროცესის შეჩერება. ჯერ კიდევ თოღრულ-ბეგის დროს ჩამოყალიბდა განსაკუთრებული ქერმანის სელჩუკური სასულთნო (1041-1187 წწ), სადაც გაბატონდნენ თოღრულ-ბეგის ძმის კაევრდის ჩამომაელები. მცირე აზიაში ჩამოყალიბდა აგრეთვე განსაკუთრებული სელჩუკური სასულთნო, ე. წ. რუმის სასულთნო (1077-1307), სადაც ფესი მოიკიდეს თოღრულ-ბეგის ბიძაშვილის ყუთულმიშის ჩამომაელებმა.

1092 წ. მალიქ-შაპის სიკვდილმა დინასტიის წევრებს შორის გამოიწვია სელისუფლებისათვის ბრძოლა, რაც ოც წელზე მეტხანს გაგრძელდა. ორი მთავარი პრეტენდენტის — მალიქ შაპის შვილების მაამუდისა და ბარქიაროკის სიკვდილის შემდეგ, 1118 წ. მალიქ-შაპის ცოცხლად დარჩენილმა შვილებმა სანჯარმა (სინჯარმა) და მუჰამედმა სახელმწიფო გაიყვეს: ირანის აღმოსავლეთი ოლქები წილად ხვდა სანჯარს („დიდ სელჩუკთა“ სასულთნო), დასავლეთი ირანი და არაბეთის ერაყი დარჩა მუჰამედს (ერაყის სელჩუკიანთა სასულთნო. 1118-1194 წწ). „დიდ სელჩუკთა“ სახელმწიფოს დედაქალაქი XII ს-ში იყო მერვი — დიდი საეაჭრო-სახელოსნო ცენტრი, რომლის მიმდებარე ტერიტორიები უზრუნველყოფილი იყო განვითარებული საირიგაციო ქსელით. მერეი იმ დროის ერთ-ერთი მსსვილი კულტურული ცენტრი იყო.

სელჩუკიანთა ორივე სასულთნოში ცენტრმსრბოლმა ძალებმა ფართო ასპარეზი მოიპოვეს. კერძოდ, დასავლეთი ირანი რამდენიმე სამთავროდ დაიყო, რომელთა სათავეშიც ზოგჯერ ისეთი პირები აღმოჩდნენ, რომელთაც მმართველ (სელჩუკთა) დინასტიასთან საერთოდ არავითარი კავშირი არ პქონდა.

„დიდ სელჩუკთა“ სასულთნოში (ხორასანი, სისტანი, სორეზმი, მერვის ოაზისი) 1118-1157 წწ-ში ტახტზე იჯდა სანჯარი, რომლის

უზენაეს ხელისუფლებას სცნობდნენ მაევრნაჰრშიც, საღაც ყარახანიანთა ტახტზე მისი ვასალები ისხდნენ. ამის გამო სულთან სანჯარს მაევრანაჰრის საშინაო საქმეებში ჩარევის უფლება ჰქონდა. ერთ-ერთი ასეთი ჩარევა სანჯარის სახელმწიფოსათვის საბედისწერო აღმოჩნდა. საქმე ისაა, რომ შუა აზიის ტერიტორიაზე გამოჩდნენ ახალი მომთაბარე ტომები ყარაკიდაელები, ანუ კიდაელები. ისინი გამოდევნილი იყვნენ ჩრდ. ჩინეთიდან, სადაც ცხოვრობდნენ X ს-ის დასაწყისიდან XII ს-ის დასაწყისამდე. ტუნგუსური თუ მონღოლური მოდგმის ამ მომთაბარეებმა 1128 წ. ახლო სანებში ყარახანიდებს წააროვეს აღმოსავლეთი თურქესტანის ოლქები (ახლა სინ ძიანი), შვიდმდინარეთი და იქ უზარმაზარი სახელმწიფო შექმნეს. სამარყანდელი ყარახანიანი სანის თხოვნით სანჯარმა მის დასახმარებლად ღიდძალი ჯარი გააგზავნა. სამარყანდის ახლოს, კატვანის ველზე გამართულ გადამწყვეტ ომში სანჯარისა და ყარახანიანთა გაერთიანებული ლაშქარი სასტიკად დამარცხდა: მათ ამ ბრძოლაში 30 000 კაცი დაკარგეს. სანჯარმა თავს გაქცევით უშველა. მაევრანაჰრი სელჩუკიანებისათვის ფაქტობრივად უკვე დაკარგული იყო. სანჯარის დამარცხებამ „უწრმუნოებთან" – არამუსლიმებთან ომში მუსლიმი ქვეშევრდომების თვალში მისი პრესტიჟი დაამცრო.

სანჯარის ამ დამარცხებით დაუყოვნებლივ ისარგებლეს მისმა საკუთარმა ვასალებმა. 1141 წ. ხორეზმის მემკვიდრეობითი მბრძანებელი ხორეზმშაპი ასტიზი თავს დაესხა მერვს და ნიშაბურს. მან თავი დამოუკიდებლად გამოაცხადა. სანჯარმა ღიდი ძალისხმევით მოახერხა ასტიზის მიერ უზენაეს ხელისუფლად ფორმალურად მისი ცნობა, მაგრამ ხორეზმი სელჩუკიანებისათვის უკვე დაკარგული იყო.

§5. ბალხელი ოღუზების აჯანყება

მალიქ-შაჰისა და მისი მემკვიდრეების ცენტრალისტურმა პოლიტიკამ, რომელიც ბიზნად ისახავდა ირანული სამოქალაქო და სასულიერო არისტოკრატიის, აგრეთვე სამოქალაქო ბიუროკრატიის სახელმწიფო სარბიელზე დაწინაურებას, გამოიწვია სელჩუკიანთა დინასტიასა და ოღუზ მომთაბარე ტომებს შორის ძველი კავშირების გაწყვეტა.

XII ს-ის ორმოცდაათიანი წლებისათვის ოღუზ მომთაბარეთა მნიშვნელოვანი ნაწილი თავმოყრილი აღმოჩნდა ხორასნის აღმოსაელეთ საზღვართან, უმთავრესად მდ. ამუ-დარიასი ზემო წელთან მიმდებარე რეგიონებში. ისინი სულთან სანჯარის ბალხელ მოაღგილეს ემორჩილებოდნენ, რომელიც სულთნის სახელით მართავდა სახელმწიფოს. სანჯარის ბალხელი ნაცვალი თავისი მოხელეების საშუალებით არაერთხელ ეცადა ბალხელ ოღუზებზე ბინადარ მოსახლეობაზე დადებული საგადასახადო სისტემის დაკანონებას, მაგრამ უშედეგოდ: ბალხელი ოღუზები სასტიკ წინააღმდეგობას უწევდნენ; სულთანსა და მათ შორის ხშირი იყო შეიარაღებული კონფლიქტები. ბალხელ ოღუზებს დააკისრეს სულთნის სამზარეულოსათვის წელიწადში 24 000 ბატკნის გადახდა. მოხელეების ძალმომრეობამ ბალხელი ოღუზების აჯანყება გამოიწვია (1153 წ). ოღუზებმა სულთნის ჯარი გაანადგურეს, თვით სანჯარი კი ტყვედ ხელთ იგდეს. მათ საშინლად ააოხრეს ხორასანი. განსაკუთრებით დაზარალდნენ ქალაქები მერვი და ნიშაბური: უამრავი მცხოვრები დახოცეს, შენობები დაანგრიეს. ამ ვითარებით დაუყოვნებლივ ისარგებლა ხორეზმშაჰმა ასტიზმა, რომელმაც კელავ გამოაცსადა თავი დამოუკიდებლად. მაგრამ ოღუზების ბელადებმა ურთიერთშორის იჩხუბეს დაელის გაყოფის გამო, რამაც ხელი შეუწყო სანჯარს ტყვეობიდან გაქცევაში (1156). 1157 წ. სანჯარი გარდაიცვალა. მისი სიკვდილით დამთავრდა „დიდ სელჩუკთა“ დინასტიის ბატონობა ხორასანში და დაიწყო ფეოდალური შინაომები. თითქმის ოცდაათწლიანი ბრძოლა ოღუზების ბელადებს, ხორეზმშაჰებს, ავღანისტანელ გურიდებს და სხვა ფეოდალურ მბრძანებლებს შორის ხორასნის დაუფლებისათვის დამთავრდა ხორეზმშაჰ თექეშის გამარჯვებით.

§6. ისმაილიტები ირანში

სელჩუკების დაპყრობებმა და ამასთან დაკავშირებულმა ფეოდალური ექსპლუატაციის ზრდამ ირანში კლასობრივი ბრძოლის გაძწვავება გამოიწვია. XI-XII სს-ში სელჩუკიანთა ბატონობის წინააღმდეგ ოპოზიციამ გამოხატულება პპოვა ისმაილიტების რელიგიური სექტის იდეოლოგიურ საბურველში გამოხვეულ მო-

ძრაობაში. ისმაილიზმი შიიზმის ერთ-ერთი მიმართულება იყო და სუნიტების თვალსაზრისით საშინელ ერესად ითვლებოდა.

ირანში ისმაილიტთა განსაკუთრებული სექტის დამაარსებელი იყო ეგვიპტის ისმაილიტი ფატიმიანი ხალიფების ემისარი ჰასან იბნ საბაჰი. 1090 წ. ისმაილიტებმა დაიპყრეს მიუვალი ციხე-სიმაგრე ალამუთი („არწივის ბუდე"), რომელიც ქ. ყაზვინის ახლოს მდებარეობდა, ელბრუსის მთებში (ჩრდ. ირანი), მათ დაიპყრეს აგრეთვე მთელი რიგი გამაგრებული ციხეები მთიან რეგიონებში: დეილემში, ქუჰისტანში, რუდბარში, ფარსში, აგრეთვე სირიაში — ლიბანის მთებში ჯვაროსნების სამფლობელოების ახლოს. ასე ჩამოყალიბდა ისმაილიტთა თეოკრატიული სახელმწიფო ალამუთით ცენტრში, რომელსაც სამფლობელოები ჰქონდა ირანსა და სირიაში. მალე ირანის ისმაილიტებმა ეგვიპტის ფატიმიანთა ხალიფებთან ყოველგვარი კავშირი გაწყვიტეს. ჰასან იბნ-საბაჰი გახდა ირანის და სირიის ისმაილიტთა სულიერი მეუფე, ამავე დროს კი სელმწიფე, რომელიც განაგებდა ისმაილიტთა ყველა საფლობელოს. „მთის მოხუცის" (ასე უწოდებდნენ ჰასან იბნ საბაჰს) და შემდეგ მისი მემკვიდრეების რეზიდენციად იქცა ალამუთი.

ალამუთის ისმაილიტების სექტა იყო საიდუმლო ორგანიზაცია, რომლის წევრებიც ურთიერთშორის რკინის დისციპლინით იყვნენ შეკრული: ისინი ვალდებული იყვნენ უსიტყვოდ შეესრულებინათ „მთის მოხუცის" ყველა ბრძანება. ისმაილიტების მეთაურის სასულიერო ავტორიტეტი კიდევ უფრო იზრდებოდა იმის გამო, რომ სექტის წევრობა, მისი პოლიტიკური მიზნები და რელიგიური დოგმატიკა უცხოთათვის მკაცრად იყო გასაიდუმლოებული.

ისმაილიტი მქადაგებლის (პროპაგანდისტის) მიერ საიდუმლოდ და საგულდაგულოდ მომზადებული მუსლიმი მხოლოდ იდეოლოგიური დამუშავებისა და ხანგრძლივი შემოწმების შემდეგ ხდებოდა სექტის პირველი საფეხურის წევრი. სულ იყო შვიდი საფეხური და ის პირები, რომლებიც უმაღლეს საფეხურს მიაღწევდნენ, „მთის მოხუცის" უახლოესი თანამშემწეები ხდებოდნენ. უმაღლეს საფეხურს ცოტა აღწევდა: რიგითი ისმაილიტი პირველ-მეორე საფეხურის ზევით ვერ მიდიოდა.

ციხესიმაგრეების ხელში ჩაგდებისა და მოქნილი, ამავე დროს ძლიერი, ორგანიზაცის შექმნის შემდეგ, ისმაილიტებმა დაიწყეს ბრძოლა სელჩუკიანთა სახელმწიფოს გაბატონებული კლასის

თვალსაჩინო წარმომადგენლებისა და ახლო აღმოსაელეთის სხვა ფეოდალური მბრძანებლების წინააღმდეგ. მათ საკმაო სამხედრო ძალა არ ჰყავდათ, ამიტომაც ისინი მიმართავდნენ ინდივიდუალურ ტერორს. „მთის მოსუცის“ ბრძანებით, მის მიერ გაგზავნილი მკვლელი — „ფიდაი“ (ე. ი. „თავგანწირული“) ვაჭრის, მაოხოერის, მსახურის თუ დერვიშის სახით, ყველგან ახერხებდა შეღწევას: ხელმწიფის (სალიფას, სულთნის) სასახლეში, მხედართმთავრის ბანაკში, მეჩეთში, ქალაქის ბაზარში და თავისი ბასრი სანჯლით სიცოცხლეს უსპობდა მინიშნებულ მსხვერპლს. ისმაილიტები ტერორისტულ აქტს საიდუმლოდ ამზადებდნენ, მაგრამ ამ აქტს საჯაროდ ასრულებდნენ: მათ გათვალისწინებული ჰქონდათ პოლიტიკური ეფექტი. სექტის სელმძღვანელები მკვლელ-ფიდაებს ასალგაზრდებიდან აკომპლექტებდნენ; ფიდაებს შორის ბევრი იყო გლესი, ხელოსანი, ქალაქის ღარიბი, რომელიც დიდებულთა წინააღმდეგ ბრძოლისაკენ მოწოდებას მხურვალედ ესმაურებოდა.

ალამუთის ისმაილიტები ფიდაების გასაბრუებლად ჰაშიშს იყენებდნენ. ჰაშიშისაგან გაბრუებულ ფიდაის ელანდებოდა სამოთხის ბაღები, ულამაზესი ჰურიები (ქალები), ანკარა წყაროები და სხვ., რაც მათ ელოდათ დავალების წარმატების შესრულების შემდეგ, ამიტომაც ისინი სიამოვნებით მიდიოდნენ საიდუმლო დავალების შესასრულებლად, თუმცა შესანიშნავად იცოდნენ, რომ მათი სიკვდილი გარდუვალი იყო (სამაგიეროდ მათ „სამოთხეში“ სამარადისო ცხოვრება გარანტირებული ჰქონდათ). ალამუთის ისმაილიტებს უწოდებდნენ „ჰაშიშის მწევლებს“ (არაბ. „ჰაშიშიუსუნ“). ეს სიტყვა — ჯვაროსნების მიერ დამახინჯებული, შევიდა ფრანგულსა და იტალიურ ენებში როგორც „ასასინი“ — მკვლელის მნიშვნელობით. ნიზამ ულ-მულქს კარგად ესმოდა ისმაილიზმის სოციალური მნიშვნელობა და ის საშიშროება, რასაც იგი წარმოადგენდა სელჩუკიანთა ფეოდალური სასელმწიფოსათვის. ყოველისშემძლე ვეზირის ბრძანებით ისმაილიტებს ან მათდამი სიმპათიით განწყობაში ეჭვმიტანილ პირებს სიკვდილით სჯიდნენ (ცოცხლად სწაველნენ). მუსლიმი სამღვდელოება, რომელიც გაბატონებული კლასის ინტერესებს იცავდა, ცდილობდა ისმაილიტების, როგორ ერეტიკოსებისადმი, მუსლიმი-სუნიტების სიძულვილის გაღვივებას. მკაცრმა და სასტიკმა დევნამ ვერ შეაჩერა ისმაილიტების საქმიანობა. 1092 წ. მათ მოკლეს ნიზამ ულ-მულქი, ხოლო

შემდეგ მისი შვილი. ისმაილიტების მსხვერპლთა სია დიდია: ერთი ფატიმიანი ხალიფა, ორი აბასიანი ხალიფა, მთელი რიგი უმაღლესი სასულიერო პირები, ამირები, სირიელ ჯვაროსანთა ბელადები და გაბატონებული კლასის სხვა წარმომადგენლები. ჩვენამდე მოაღწია ისმაილიტების მსხვერპლთა სიამ: მხოლოდ 1092-1162 წწ. შორის მათ მიერ 75 კაცია მოკლული, მათ შორის ნიზამ ულ-მულქი (1092), აბასიანი ხალიფები მუსთარაშიდი (1135) და რაშიდი (1136), ერაყის სელჩუკიანი სულთანი დაუდი (1132), ემირები, ამირები, რაისები, მუსლიმი ღვთისმეტყველები და სხვ. სელჩუკიანთა სულთანი მუჰამედი (1105-1118 წწ) ენერგიულად ებრძოდა ისმაილიტებს. მან ჩაქრო მათი აჯანყება ისპაანში და ალყა შემოარტყა ალამუთს; მაგრამ მისი სიკვდილის შემდეგ, ალამუთის ისმაილიტების სახელმწიფოს სერიოზული საფრთხე აღარ ემუქრებოდა (მონღოლთა მიერ ირანის დაპყრობამდე).

დროთა განმავლობაში ისმაილიტთა ალამუთის სახელმწიფოში მნიშვნელოვანი ცვლილებები მოხდა, რაც ფეოდალური ურთიერთობის განვითარების უშუალო შედეგი იყო. ისმაილიტების მეღაფენამ ხელთ იგდო გამაგრებულ ციხესიმაგრეებთან მიმდებარე მიწები, რომლებზედაც მსხდომი გლეხები და ქალაქის მცხოვრებნიც კი ფეოდალური ვალდებულებებით დაბეგრეს. ისინი აქტიურად მონაწილეობდნენ მეზობელ ქვეყნებთან საქარავნო ვაჭრობაში. ისმაილიტების მეღაფენა ჩვეულებრივ ფეოდალებად გადაიქცა, რომელთათვისაც უცხო იყო სექტისა და ისმაილიზმის ღოგმატიკა. XIII ს-ის დასაწყისისათვის ისმაილიტთა ალამუთის სახელმწიფო გადაიქცა ჩვეულებრივ ფეოდალურ სახელმწიფოდ.

§7. ათაბეგები და ხორეზმშაჰები ირანში

ერაყის სელჩუკიანთა სახელმწიფოში სულთნები იძულებულნი იყვნენ დაეთმოთ მიწები თურქული მომთაბარული არისტოკრატიის გამოჩენილი წარმომადგენლებისათვის, რომელთა ხელშიც თავმოყრილი იყო სამხედრო ძალა. ერაყის სელჩუკიანთა სასულთნო, ე. ი. დასავლეთი ირანი, დაიყო მთელ რიგ უაქტობრივად დამოუკიდებელ სამფლობელოდ, რომელთა მემკვიდრეობითი მბრძანებლები სუბრად იწოდებოდნენ ათაბეგებად. ამ სიტყვის წარმოშობა, რომელმაც ტიტულის მნიშვნელობა მიიღო, და-

კავშირებულია სელჩუკიანთა სახელმწიფოში გაბატონებულ პრაქ-ტიკასთან: სულთანი, როდესაც „უფლისწულს საგანმგებლოდ გადასცემდა ამა თუ იმ ოლქს, მას აღმზრდელად მიუჩენენ ცნობილ სარდალს — ამირას, „ლალედ", რომელიც ფაქტობრივად უფლის-წულის სახელით მართავდა ამა თუ იმ ოლქს.

ამგვარი ამირა იწოდებოდა ათაბეგად, რაც თურქულად „ბეგის მამას" ნიშნავს.

სელჩუკიანთა სახელმწიფოს დაშლის პროცესს საფუძვლად ედო ამ ეპოქაში სამხედრო-ლენური სისტემის, იკგას გაფართოება და გაღრმავება, რის წყალობითაც მსხვილი ლენების მფლობელები ფაქტობრივად ცენტრალური ხელისუფლებისაგან თითქმის და-მოუკიდებელნი იყვნენ. ირანის ტერიტორიაზე განსაკუთრებით მსხვილი საათაბაგოები წარმოიშვა ირანის აზერბაიჯანში, ფარსში და ლურისტანში, სადაც ფეხი მოიკიდეს ათაბეგების დინასტიებმა: ილდიგეზიდების (1136-1225 წწ. აზერბაიჯანში), სალგურიდების (1148-1287 წწ. ფარსში), ხაზარასპიდების (1148-1339 წწ. ლურისტანში).

ჯერ კიდევ სანჯარის სიცოცხლეში დამოუკიდებელი გახდა მთიანი ოლქი გური (პერათიდან აღმოსავლეთით), სადაც ფეხი მოიკიდა გურიდების დინასტიამ (1148-1215). გურიდებმა 1150 წ. აი-ღეს და დაანგრიეს ქ. ღაზნა, რის შედეგადაც თავისი ძალაუფლება გაავრცელეს მთელ დღევანდელ ავღანისტანსა და ჩრდ. ინდოეთზე (იქიდან გამოდევნეს ღაზნევიანები).

ამ მბრძანებლებს შორის XII ს-ის მეორე ნახევარში გამოირ-ჩეოდნენ ხორეზმშაჰები. ხორეზმი — ეს იყო უძველესი ოლქი ცნო-ბილი თავისი განვითარებული მიწისმოქმედებით და მაღალი საირიგაციო კულტურით. XI-XII სს-ში მისი ეკონომიკური აღორ-ძინება სავაჭრო-საგრანზიტო გზაშესაყარზე მისი მდებარეობით აიხსნება. საგრანზიტო ვაჭრობა ხორეზმშაპებს უზარმაზარ მატე-რიალურ რესურსებს აძლევდა.

ხორეზმშაჰ ასტიზის მემკვიდრეების, განსაკუთრებით კი თე-ქეშის დროს (1172-1200 წწ.), რომელმაც სულთნის ტიტული მიიღო, ხორეზმი ხორასნის (შემდეგ კი მთელი ირანის) პოლიტიკურ ცხოვრებაში ხელმძღვანელ როლს თამაშობდა. 1187 წ. თექეშმა დაიკავა ხორასნის დედაქალაქი ნიშაბური, ხოლო რამდენიმე ხნის შემდეგ ხორეზმშაპებმა შეძლეს დასავლეთ ირანის შინაურ საქმეებში ჩარევა. ამ დროს დასავლეთ ირანში (ერაყის სელჩუკი-

ანია სასულთნოში) შემღეგი ამბები მოხდა: ბაღდადის ხალიფებმა ისარგებლეს სელჩუკიანთა სასულთნოს რღვევით და ქვემო მესოპოტამიაში აღადგინეს ბუიდების დროიდან მთლიანად დაკარგული თავისი საერო ხელისუფლება: 1132 წ. სახალიფო აღდგა, თუმცა შემცირებულ ფარგლებში. ხალიფა ნასირმა (1180-1225 წწ) დიდი პოლიტიკური აქტიურობა გამოიჩინა და დაიმორჩილა ხუზისტანი. ერაყის უკანასკნელი სულთანი თოღრულ III (1177-1194 წწ) ცდილობდა დაკარგული ხელისუფლების დაბრუნებას. ამან გამოიწვია კონფლიქტი მასსა და მისი სახელით გამგებელ ერაყის სულთანს, აზერბაიჯანის ათაბეგ ყიზილ არსლან ილდიგეზიდს შორის, რომელსაც მხარი დაუჭირა ხალიფა ნასირმა. ყიზილ არსლანმა ჩამოაგდო თორღულ III, დაამწყვდია ციხეში და თავი გამოაცხადა სულთნად (1191 წ.) მაგრამ მალე ყიზილ არსლანი მოკლეს (როგორც ფიქრობენ, ისმაილიტებმა). თოღრულ III ტყვეობიდან გაიქცა და კვლავ შეძლო დასავლეთ ირანის დამორჩილება, მაგრამ დროებით: 1194 წ. ხორეზმშაჰ თექეშის ჯართან ბრძოლაში, რეის ახლოს, თოღრულ III-ის სელჩუკიანთა ლაშქარი განადგურდა. თოღრულ III დაიღუპა და სელჩუკიანთა ბატონობა ირანში დაემხო. რეისთან ხორეზმშაჰ თექეშის გამარჯვების შემღეგ მთელი დასავლეთი ირანი მის ხელში აღმოჩნდა. ხორეზმშაპის წინააღმდეგ ხალიფა ნასირი გამოვიდა. 1196 წ. მათ ჯარებს შორის შეტაკება მოხდა.

თექეშის მემკვიდრე სულთან მუჰამედ ხორეზმშაპის დროს (1200-1220 წწ) ხორეზმშაპების სახელმწიფომ თავისი საზღვრები გააფართოვა, გაანადგურა ყარა-კიდაები, შეიერთა მავერანაპრი, პერათი და ახლანდელი ავღანისტანი; დაიმორჩილა ილდიგეზიდების აზერბაიჯანული საათაბაგო. ხორეზმის სახელმწიფომ მთელი ირანი გააერთიანა, ხუზისტანს გარღა (ეს უკანასკნელი სახალიფოს შემადგენლობაში იყო).

1217 წ. ხორეზმშაჰმა მუჰამედმა გადაწყვიტა ბაღდადზე ლაშქრობა, მაგრამ ზაგროსის მთიანეთში ჯარის დიდი ნაწილის დაღუპვის გამო, მას უკანდახევა მოუხდა.

ხორეზმშაჰები თექეში და მუჰამედი ცდილობდნენ ცენტრალისტური პოლიტიკის გატარებას და მსხვილი მიწათმფლობელობის გაუქმებას, მაგრამ ამით ისინი მხოლოდ აღიზიანებდნენ ირანის სამხედრო-ფეოდალურ არისტოკრატიას. ამავე დროს, მსხვილი

ეასალების — ფარსის სალგურიღების და ლურისტანის ხაზარას-პიღების ხელის ხლებას ისინი ვერ ბედავღნენ.

§8. ფეოდალური ურთიერთობა ირანში XI ს-ის მეორე ნახევარსა და XII საუკუნეში

XI-XII საუკუნეებში ირანში გრძელდებოდა სახელმწიფო მიწების ხარჯზე იკტას მიწების ზრდა, ცენტრალური ხელისუფლების დასუსტება და ფეოდალური დაქუცმაცებულობის გაძლიერება. სელჩუკიანთა დროს ცენტრალური სახელმწიფო აპარატის დაწესებულებების მნიშვნელობა დაეცა. საუფლისწულოების სისტემის მმართველობის შემოღებასთან დაკავშირებით აღრე უმნიშვნელოვანესმა დაწესებულებებმა, როგორც მაგ., ცენტრალურმა საფინანსო უწყებამ (ხარაჯას დივანი), დაკარგეს თავისი მნიშვნელობა. ხარაჯას აღება გადაეიდა ათაბეგების, იკტას მფლობელების (იკტადარი) და სხვა აღგილობრივი ფეოდალების ხელში. გაჩნდა მთელი წყება მეტ-ნაკლებად შემთხვევითი დაწესებულებისა, რომელთა სასარგებლოდაც ცალკეული ოლქებიდან იკრიფებოდა გადასახადი. ამ დროისათვის დამახასიათებელია კარის ისეთი დაწესებულებები, როგორიც იყო „პირისაბნის უწყება", „გარდერობის უწყება" და სხვ. მათ ეძლეოდათ მიწები იკტაღ.

სელჩუკიანთა დროს სახეშეცვლილი იკტას ინსტიტუტი ფართოდ გაერცელდა ირანის მთელ ტერიტორიაზე. იკტას ინსტიტუტის განვითარება საკმაოდ ნათლად აისახა ნიზამ ულ-მულქის პოლიტიკურ ტრაქტატ „სიასეთ-ნამეში". ავტორი, რომელიც კარგად ხედავდა, რომ ამ სისტემაზე უარის თქმა არ შეიძლებოდა, მოითხოვდა იკტას მოქცევას აღრინდელი, აბასიანთა დროინდელი იკტას, ე. ი. ბენეფიციუმის ფარგლებში. ამავე დროს ავტორი კატეგორიულად მოითხოვდა, რომ ცენტრალურ სახელმწიფო ხელისუფლებას შეენარჩუნებინა იურიდიული კონტროლი იკტას მიწებსა და მასზე სხდომ გლეხებზე. ქვემოთ მოგვაქვს ნაწყვეტი ზემოხსენებული თავიდან, რომელიც გვაძლევს წარმოდგენას ნიზამ ულ-მულქის თვალსაზრისზე და ნათელს ჰფენს რეალურ ვითარებას: „მუკტამ, რომელიც იკტას ფლობს, რაიათებთან დაკავშირებით უნდა იცოდეს, რომ მათ მიცემული აქვთ მხოლოდ კანონიერი

გადასახადის აკრეფის უფლება. როდესაც ისინი ამ გადასახადს კრეფენ, რაიათების პიროვნება, ქონება, ცოლები, შვილები, ისევე, როგორც შრომის იარაღი და მიწის ნაკვეთები, უნდა იყოს დაცული და მუკტას მათზე ხელი არ უნდა მიუწვდებოდეს. ხოლო, თუ რაიათები კარზე წასვლას მოისურვებენ, რათა ხელმწიფეს თავიანთი ამბავი მოასხენონ, მათ ამაში ხელი არ უნდა შეუშალონ. თვითეულ მუკტას, რომელიც სხვანაირად მოიქცევა (ანუ გაუწევს წინააღმდეგობას, დაუმოკლონ ხელები, მას იკტა წაართვან და დასაჯონ, რათა სხვებს მაგალითი მისცენ. მათ უნდა იცოდნენ, რომ მიწაც და გლეხიც სულთანს ეკუთვნის, ხოლო მუკტა და მმართველები მისი მოადგილეები არიან; რაიათებთან მათ ისე უნდა ეჭიროთ თავი, როგორც ხელმწიფეს სხვებთან, რათა რაითები კმაყოფილნი იყვნენ, ხოლო თვით ისინი ამქვეყნიურ ცხოვრებაში გადაურჩნენ სასჯელსა და ტანჯვა-წამებას".

წიგნის სხვა ადგილებიდან კარგად ჩანს, რომ საქმის რეალური ვითარება სულ სხვა იყო. იმის საპირისპირო, რასაც ავტორი თხოულობდა. სელჩუკიანთა დროს იკტა ბენეფიციუმიდან გადაიქცა, თუ იურიდიულად არა, პრაქტიკულად მაინც, სამკვიდრო ლენად (ფეოდად).

არაბი ისტორიკოსის მაკრიზის თხზულებაში შემონახულია სელჩუკიანთა ხანაში (XII ს), სირიაში ერთ-ერთი სამხედრო ლენის მფლობელის სიტყვები: „იკტა ჩვენი კუთვნილებაა, რომელიც ეკუთვნის ჩვენს მემკვიდრეებს (იგი უნდა გადავიდეს როგორც საკუთრება) მამიდან შვილზე. ჩვენ მზად ვართ ვიბრძოლოთ მისთვის." ეს სიტყვები კარგად ასახავენ იკტას ევოლუციის სურათს.

წყაროებიდან ჩანს, რომ „იკტას" ზოგიერთი მიწა ერთი და იმავე ფეოდალური საგვარეულოს ხელში საუკუნეების განმავლობაში რჩებოდა. „იკტას" მემკვიდრეობის დაკანონებამ გარკვეული გავლენა მოახდინა გლეხების მდგომარეობაზე. სამკვიდრო იკტას მფლობელები, წინა დროის მოხელეთაგან – სახელმწიფო მიწებზე გადასახადის ამკრეფთა და „იკტას" დროებით მფლობელთაგან განსხვავებით, რომელთა მთავარი მიზანი იყო გლეხებისაგან რაც შეიძლება მეტი ხარაჯას ამოქაჩვა, თავიანთი ინტერესებიდან გამომდინარე ზრუნავდნენ, რათა იკტას მიწებზე მსხდომი გლეხების მეურნეობა რაც შეიძლება ნორმალურ დონეზე ყოფილიყო. მიუხედავად ამისა, რაიათების სრული დამოკიდებულება სამემ-

კვიდრეო „იკტას“ მფლობელებზე ელესთა მღვომარეობას აუარესებდა. XI-XIII სს-ში გაჩნდა მიწისმფლობელთა სასარგებლოდ დაწესებული მთელი რიგი ახალი სპეციფიკური ფეოდალური ვალდებულებანი და გადასახადები: ელესებს დაეკისრათ აუცილებელი მისართმეველის გამოღება მიწისმფლობელის ეკეის დაბადებასთან და ქორწილთან დაკავშირებით, ასევე სხვადასხვა გადასახადები: მაგ., გადასახადი იკტადარის ცხენის დაჭეღვაზე (როღესაც იგი სალაშქროდ მიდიოდა) და სხვ.

ირანის ქალაქებში XI-XII სს-ში ინტენსიურად იმრღება სავაჭრო-ხელოსნური გარეუბანი (რაბათი), სადაც შენღებოდა განსაკუთრებით მნიშვნელოვანი საზოგადოებრიეი შენობები. ჩვენამდე მოღწეული მატერიალური კულტურის ძეგლები ადასტურებენ, რომ შუა საუკუნეების ხელოსნობის ძირითადმა დარგებმა: ხუროთმოძღვრებამ, ლითონის ნაწარმის, ხალიჩების, ქსოვილების, კერამიკული ნაწარმის დამზადებამ როგორც ტექნიკური, ასევე მხატვრული თვალსაზრისით უმაღლეს დონეს მიაღწია.

XI-XII სს-ში გრძელდებოდა საერთაშორისო ვაჭრობის გაცხოველება. ამაზე მეტყველებენ დიდი სავაჭრო გაერთიანებები, რომლებიც აღებ-მიცემობას აწარმოებდნენ საერთაშორისო მასშტაბით. ამ საუკუნეებში საერთაშორისო ვაჭრობამ ძველი სამყაროს თითქმის ყველა ქვეყანა მოიცვა. ამასთანავე, ჯვაროსნულ ლაშქრობებთან დაკავშირებით მნიშვნელოვნად გაიზარდა მასში ევროპული ქვეყნების, განსაკუთრებით იტალიის, როლი. საერთაშორისო საქარავნო ვაჭრობის უმთავრესი გზები, როგორც ადრე, ირანზე გადიოდა, რაც სასიკეთო გავლენას ახდენდა ირანის ქალაქების განვითარებაზე.

ქალაქის ხელოსნური მოსახლეობა დამოკიდებული იყო ფეოდალებსა, ვაჭართა კომპანიებსა და სავახშო კაპიტალზე. ქალაქის ხელოსნებზე დადებული იყო მთელი რიგი ფეოდალური გადასასაღები და ვალდებულებანი. წყაროებში არაერთხელაა მოთხრობილი როგორც ცალკეული დარგის, ისე მთელი ქალაქის ხელოსნების თვითნებური დაბეგვრის შესახებ. ამ პერიოდში ირანში, ისევე, როგორც ახლო აღმოსავლეთის სხვა ქვეყნებშიც, ხელოსნური კორპორაციები არსებობდა, რომლებიც ხშირად დერეიშული ძმობების გავლენის ქვეშ იმყოფებოდნენ. ხელოსნებზე განსაკუთრებით დიდ გავლენას ახდენდა აპიების ძმობა, სხვა-

საირად „აჰლ-ე ფუტუვა“ (არაბ. ფუტუვა – „ახალგაზრდობა“, „სიჭაბუკე“, „კეთილშობილება“), რომელიც გამომხატველი იყო ფეოდალური ბედაფენის წინააღმდეგ მიმართული ოპოზიციის სულისკვეთებისა. აპიები ტირანების მკელელობას დასაშვებად თვლიდნენ. დიდი ყურადღებას უთმობდნენ ურთიერთდახმარებას, აწყობდნენ საძმო ტრაპეზებს.

XI-XII სს-ში განსაკუთრებით გამწვავდა სოციალური წინააღმდეგობანი. წყაროები არ გვაწვდიან ცნობებს გლეხთა დიდი აჯანყებების შესახებ, მაგრამ მოგვითხრობენ კლასობრივი ბრძოლის გამწვავებაზე ფეოდალებსა და ვაჭრებს (ერთი მხრივ) და ხელოსნებსა და გლეხებს შორის. კლასობრივი ბრძოლა ქალაქებში გარეგნულად გამოხატული იყო რელიგიურ ნიადაგზე შეტაკებებში: სუნიტებსა (არისტოკრატია, ვაჭრები...) და შიიტებს (გლეხები, ხელოსნები) შორის, ან სუნიტობის ცალკეული მიმართულებების მიმდევართა შორის ბრძოლაში. ცალკეული რელიგიურ დაჯგუფებებს შორის ბრძოლა, როგორც წესი, გადაიზრდებოდა შეიარაღებულ შეტაკებებში, მკელელობებში, მოწინააღმდეგის კვარტლების გადაწვაში. არცთუ იშვიათად, აღგილი ჰქონდა მთელი ქალაქების გაუდაბურებას (რეი, თეირანი...); ეს შეტაკებები ჩვეულებრივ იწყებოდა ქალაქებში, შემდეგ კი მიმდებარე სოფლებზე ვრცელდებოდა.

§9. იდეოლოგიური სისტემები X–XII საუკუნეებში

გაბატონებული კლასის იდეოლოგიად რჩებოდა „მართლმადიდებლური“ (სუნიტური) ისლამი. აღებულ პერიოდში დამთავრდა სუნიტური ისლამის, როგორც განეითარებული ფეოდალური საზოგადოების რელიგიის ჩამოყალიბება. X ს-ში სუნიტური ღვთისმეტყველება გამოეყო კანონმდებლობას, რაც ადრეულ ისლამში არ იყო. ჩამოყალიბდა სასულიერო წოდება – ღვთისმეტყველები და მერჯულენი, რაც ადრეული ისლამისათვის უცხო იყო. ისევე, როგორც შუა საუკუნეების ქრისტიანობაში ისლამში გავრცელდა მრავალრიცხოვანი წმინდანების, მათი აკლდამებისა და რელიქვიების კულტი.

X ს-ში ძველი სუნიტური საღვთისმეტყველო მოძღვრების („მაზაპბ“) გვერდით ჩამოყალიბდა ასალი სისტემა „მართლმადი-

ღებლური“ ღვთისმეტყველებისა („კალამ“) — გაცილებით უფრო რთული დოგმატიკით, ვიდრე აღრეულ ისლამში იყო. კალამის ფუძემდებელი იყო არაბი ღვთისმეტყველი აშ-არი (გარდ. 935 წ.), ხოლო სრულყოფას მიაღწია XII ს-ის დასაწყისისათვის იმამ მუჰამედ ღაზალის — სპარსელის (გარდ. 1111 წ.) თხზულებაში. კალამის დამახასიათებელი ნიშნები იყო: ანტროპომორფიზმის (ღმერთისათვის ადამიანური თვისებების და გამოსახულების მიწერა) უარყოფა (ადრეულ ისლამში ეს ნათლად იყო წარმოდგენილი); ღვთისმეტყველებაში ბერძნული ფილოსოფიური სისტემებიდან — პლატონიზმიდან, არისტოტელიზმიდან და ნეოპლატონიზმიდან ცნებებისა და ტერმინების სესხება. ამარი და ღაზალი, არისტოტელესა და სხვა ფილოსოფოსებზე მიუთითებლად, ცდილობდნენ ღვთისმეტყველების სამსახურში ფილოსოფიის ჩაყენებას. ისინი ცდილობდნენ ბედისწერის შესახებ ყურანის მოძღვრების შეგუებას სულის თავისუფლების შესახებ ფილოსოფიურ მოძღვრებასთან. უფრო მეტიც, ღაზალიმ ოფიციალური სუნიტური ღვთისმეტყველება დაუასლოვა მისტიციზმს (სუფიზმს). ღაზალის უმთავრესი, არაბულ ენაზე დაწერილი თხზულება „იაპია ულუმ-აღ-დინ“ („საღვთისმეტყველო მეცნიერებების გამოცოცხლება“) ფართოდ გავრცელდა სუნიტებს შორის. ღაზალის მეორე თხზულება „თაჰაფუთ ალ-ფალასიფა“ („ფილოსოფოსთა დაცემა“), რომელიც ფილოსოფოს-რაციონალისტების წინააღმდეგ იყო მიმართული, ჯერ კიდევ შუა საუკუნეებში გადათარგმნეს რუსულად (თუმცა არაარაბულიდან).

კალამის სისტემა ოფიციალური სუნიტი ღვთისმეტყველების მიერ ერთბაშად არ ყოფილა მიღებული. ჯერ კიდევ თოღრულ-ბეგის დროს აშარის მიმდევრებს დევნიდნენ, მაგრამ XII ს-ში ამარი-ღაზალის სისტემა გაბატონებულმა ზედა ფენამ ოფიციალურად მიიღო.

თავისი განვითარებისდა კვალად სუნიტური ისლამი სულ უფრო და უფრო ფანატიკური და შეურიგებელი ხდებოდა ქრისტიანების, იუდეველების და ზოროასტრელების, აგრეთვე მუსლიმი „ერეტიკოსების“ — შიიტების, ხარეჯიტების და მუთაზილების, ზინდიკების და დამოუკიდებელი საერო მეცნიერების მიმართ, სელჩუკი სულთნები ზინდიკებს და ფილოსოფოსებს მეთოდურად დევნიდნენ.

აღნიშნულ პერიოდში ისლამი უკვე უდავოდ გახდა ირანის მოსახლეობის უმეტესობის რელიგია. მაგრამ ხალხთა ძასებში, მთელ რიგ შემთხვევებში, ისლამი ვრცელდებოდა არა „მართლმადიდებლური“ — სუნიტური, არამედ ისლამური „ერესების“: შიიტობის (იმამიტები, ზეიდიტები, ისმაილიტები, კარმატები. ხარეჯიტები — სისტანში) ფორმით. X ს-ში ზოროასტრელები ირანში (განსაკუთრებით, ფარსში) ბევრი იყვნენ, მაგრამ შემდგომ საუკუნეებში მათი რიცხვი მკვეთრად შემცირდა, ხოლო XI ს-დან წყაროები მათ იშვიათად იხსენიებენ. ირანის ქალაქებში ცხოვრობდნენ ქრისტიანები და იუდეველები, რომელთა საცხოვრებლად ქალაქებში ცალკე კვარტალი იყო გამოყოფილი.

ზომიერმა შიიტურმა სექტებმა — ზეიდიტებმა და იმამიტებმა შეიმუშავეს თავისი დოგმატიკა, რომელიც ახლოს იყო მუთაზილობასთან (ანტროპომორფიზმის და ბედისწერის უარყოფა) და თავისი სამართალი. სელჩუკი სულთნები ღვნიღნენ შიიტებს, ამიტომაც ისინი თავიანთ რწმენას მალავდნენ.

განხილულ პერიოდში ირანში, თავდაპირველად სუნიტებს, მოგვიანებით შიიტ-იმამიტებს შორის, ფართოდ გავრცელდა მისტიკური მიმართულება ისლამში — სუფიზმი („თასაუვუფ“). როგორც საერთოდ მისტიციზმი, სუფიზმი ამტკიცებდა ყველა ადამიანის ღმერთთან ურთიერთობის შესაძლებლობას. ამის მისაღწევ გზას სუფიები თვითგვემაში, განდგომასა და მკაცრ ასკეტიზმში ხედავდნენ. მათ ჰყავდათ მოძღვარი „მოხუცი“ (არაბ. შეიხი ან მურშიდი, სპარს. — ფირ). მისტიკური გზის უკანასკნელ სტადიაზე (არაბ. ტარიკატ) სუფიები შესაძლებლად თვლიდნენ ღვთაებასთან სრული შერწყმის მიღწევასაც. ამის აუცილებელ პირობად ითვლებოდა „ფანა“ (არაბ. მოსპობა, გაქრობა), ე. ი. თავისი პიროვნების სრული უარყოფა, „ჩაკვლა“ და მისი გათქვეფა ღვთაებაში.

სუფიზმი ჩაისახა ჩვ. წელთაღრიცხვით I ს-ის ბოლოს. შემდეგ მან განიცადა ნეოპლატონიზმის გაელენა, რომელიც დამუშავებული იყო ქრისტიანი (სირიელი) მისტიკოსების მიერ (IV-VII). ირანში სუფიზმი უკვე IX ს-ში იყო ცნობილი, მაგრამ ფართოდ გავრცელდა XI ს-ში. ირანში (ხორასანში) XI ს-ში მოღვაწეობდნენ სპარსული სუფიზმის განსაკუთრებით ცნობილი წარმომადგენლები, შეიხები აბუ-ლ ქასან სარაკელი და აბუ სა-იდ მეიხენელი; აგრეთვე მთელი რიგი სუფიური ტრაქტატების ავტორები: კუეეირი („იმამ ალ-ქარამეინ“),

ეუშეირი, ჯულლაბი-პუჯვირი. სუფიზმის მთავარი გამავრცელებლები იყვნენ მუსლიმი ასკეტი — დერვიშები (სპარს., სხვანაირად ფაკირები (არაბ.). წარმოიშვა დერვიშული საეანეები (სპარს. ხანაგაპ), რომლებსაც შეიხები მართავდნენ. XII ს-იდან იწყება დერვიშული ორდენების ჩამოყალიბება (უძველესი ორდენი კადირიე, XIII ს.) სხვადასხვანაირი წესდებებით. დერვიშობა ირანში (ისევე, როგორც სხვა მუსლიმურ ქვეყნებში) ისეთივე როლს თამაშობდა, როგორც ქრისტიანული მონაზონობა, თუმცა დერვიშები, მონაზონებისაგან განსხვავებით, არ იძლეოდნენ უქორწინობის აღთქმას.

XI-XII სს-ში სუფიზმის გავლენის ზრდა, გარკვეულ წილად, სელჩუკიანთა მხრიდან ჩაგვრით გამოწვეული ხალხთა მასების უკმაყოფილების გამოხატულება იყო. ფრ. ენგელსი ამბობდა, რომ ფეოდალიზმის წინააღმდეგ ოპოზიცია შუა საუკუნეებში ჩვეულებრივ გამოდიოდა ან მისტიციზმის, ან სექტანტობის ან შეიარაღებული აჯანყების სახით. სუფიური ქადაგება თავშეკავებისა და უანგარობის, სიღარიბის, როგორც „სულის ხსნისათვის" საუკეთესო გზის შესახებ, არაკანონიერი გზით მოპოვებული ქონების დაგმობა სუფიების მიერ, ხალხთა მასებში, განსაკუთრებით ხელოსნებში დიდ თანაგრძნობას პოულობდა. მთელ რიგ შემთხვევებში ხელოსნურ კორპორაციებსა და დერვიშულ ძმობებს შორის მჭიდრო კავშირი მყარდებოდა.

მაგრამ სუფიზმის ყველა მიმართულება ირანში ხალხის ფართო მასების განწყობილებას არ გამოხატავდა. სუფიზმის მიმდევართა სოციალური შემადგენლობა ძალზე ჭრელი იყო, ამდენად სუფიზმის ზოგიერთი მიმდინარეობა სავსებით მიესადაგა ფეოდალური არისტოკრატიის ინტერესებს. ამ ტიპის სუფიები ნაცვლად მომხვეჭელობის, სიმდიდრის გაკიცხვისა და სიღარიბისადმი სიმპატიებისა, ქადაგებდნენ საზოგადოებრივ და პრაქტიკულ მოღვაწეობაზე უარის თქმას, კარჩაკეტილ ცხოვრებას, მოთმინებასა და მორჩილებას, ძალმომრეობისადმი წინაღუდგომლობას. ამ ჯურის დერვიშული შეიხები სარგებლობდნენ ფეოდალური არისტოკრატიის მხარდაჭერითა და მფარველობით. ფეოდალური არისტოკრატია შეიხებსა და მათ სავანეებს საჩუქრად აძლევდა მდიდარ ეაკუფებს — მიწებს მასზე მსხდომი გლეხებით, შემოსავლიან აღგილებს და სხვ. ამრიგად, სუფიზმი არ იყო ერთიანი სისტემა. ეს იყო მისტიციზმის სხვადასხვა მიმართულება, სხვადასხვა სო-

ციალური ბაზით. სუფიზმის ზოგიერთ მიმართულებას მსარს უჭერდნენ „მართლმადიდებელი“ სუნიტები, ზოგიერთს კი — „ერეტიკოსები“. „ერეტიკული“ სუფიზმი გახდა ხელოსნების იდეოლოგია.

სუფიური იდეა ღვთისაგან სამყაროს „გამოსხივების“, მთელი სამყაროს ღვთიური ძალის გამოვლინების რეალურ სამყაროში შესახებ, სუფიურ მსოფლმხედველობას მეტ-ნაკლებად ნათლად გამოხატული პანთეიზმის სასიათს აძლევდა. პანთეისტური მსოფლმხედველობა განსაკუთრებით ნათლადაა გამოხატული არაბი მისტიკოსის იბნ ალ-არაბის (1165-1240 წწ) თხზულებებში, რომლის იდეები გაზიარებული იქნა ირანისა და შუა აზიის სუფიების დიდი ნაწილის მიერ.

XI ს-დან დაწყებული სუფიზმმა ძლიერი გავლენა მოახდინა სპარსულ პოეზიაზე. მაგრამ სუფიური ფორმა და ფრაზეოლოგია, რომელიც სათქვამის სხვადასხვანაირად გაგების საშუალებას იძლეოდა, არცთუ იშვიათად იყო მსოლოდ საბურველი თავისუფალი აზროვნების, ანუ ცხოვრების სიტკბოების აპოლოგიისა — პოეტი, მუსლიმი სასულიერო პირების შიშით, ჩვეულებრივად ვერ ბედავდა სიყვარულის, ღვინის, თრობის აპოლოგიას (მას ბრალს დასდებდნენ „ურწმუნოებასა„ და „ერესში“), მაგრამ იგივე სიუჟეტები და სახეები ნებადართული ხდებოდა, როდესაც პოეტი მიგვანიშნებდა, რომ იგი სარგებლობს მით, როგორც ალეგორიით სუფიური იდეების გამოსახატავად: სიტყვები „ღვინო“, „თრობა“ გამოხატავენ თითქოს „მისტიურ ექსტაზს“; „ტრაქტირი, დუქანი“ — „ღვრეიშთა სალოცავ ადგილს.“ „ლოთი“, „მოქეიფე“ — „დერვიშს“; ხოლო სიტყვები: „მეკობარი“, „შეყვარებული“, „სიყვარულის ფიალა“, „ღვინის გამყიდველი“, „მედუქნე“ და სხვ. — „ღმერთს“ ნიშნავდა. სუფიური ფორმა პოეტებს თავისი აზრის გამოთქმის საშუალებას აძლევდა.

§10. ირანის კულტურა VIII-XIII ს-ის დასაწყისში

არაბთა დაპყრობებმა ირანში შეაფერხა არქიტექტურისა და მხატვრობის განვითარება. ისლამი მკრულად უყურებდა ისლამის წინაღროინდელ სპარსელთა მხატვრულ ტრადიციებს, ამიტომაც მხატვრობა საერთოდ აკრძალული იყო. მაგრამ ისლამმა ვერ შეძლო ირანში მხატვრობის სრულიად ჩაკვლა: იგი შემორჩა ქსოვილების, ჭურჭლის მოხატულობის სახით და სხვ. წყაროები

მოგვითხრობენ სასასლეების კედლის მოსატულობაზე სორასანში X-XI, სს., რომელთა ნიმუშებმა ჩვენამდე ვერ მოაღწია.

აღნიშნული პერიოდის ირანის არქიტექტურის ჩვენამდე მოღწეული ძეგლებიდან ჭარბობდა საკულტო ნაგებობები – მეჩეთები და შეღრესეები, რომელთა შორის მკვლევარები ორ ტიპს ანსხვავებენ. პირველი, უფრო ადრინდელი ტიპი, როგორც ჩანს, შემოტანილი იყო არაბ დამპყრობთა მიერ. ეს ტიპი, იმეორებს სირიის, ეგვიპტის, არაბეთის ერაყის ადრეული ხანის (VII-X სს) არაბული მეჩეთებისათვის დამახასიათებელ ნიშნებს. ასეთი მეჩეთი წარმოადგენს კვადრატულ ან სწორკუთხა ეზოს – ბოძებზე დაყრდნობილი თაღებით შემოზღუდულს. მას, ყიბლის (მექის მხარე) მხრიდან ეკვრის სწორკუთხედის ფორმის, სვეტებიანი, განზე გაზიდული სამლოცველო დარბაზი მექისაკენ მიმართული მიპრაბით. ირანში ამ ტიპის მეჩეთებია: სალიფა მაჰდის მეჩეთი რეიში (VIII ს. ბოლო შემორჩენილია მხოლოდ საფუძველი), მეჩეთი „ტარიკ-ხანე“ დამღანში (IX ს), საკრებულო მეჩეთი (მასჯედ ე ჯუმა) ნაიინში (X ს.), მეჩეთი დემავენდში (XI ს.).

საკულტო ნაგებობების მეორე ტიპი აგრძელებს სასანიანთა ეპოქის არქიტექტურულ ტრადიციებს – ამ ტიპის მეჩეთი პატარა კვადრატული ან რეკუთხედი, გუმბათიანი ნაგებობაა, რომელსაც თაღს ქვეეთ აქვს ტალანი და შიგნით მიპრაბი. ასეთებია საკრებულო მეჩეთები ნეირიზში, გულფაიგანში, ყაზვინში, არდისტანში, ისპაანში და სხვ. უფრო მოგვიანებით ამ მეჩეთებს ეკეროდა კვადრატული ან სწორკუთხედი ეზოები თაღებით და თაღებზე დაყრდნობილი ოთხი მაღალი პორტალით. უკვე XI-XIII სს-ში ჭარბობდა თაღების შეისრული ფორმა.

ჩვენამდე მოღწეული საერო ნაგებობებიდან უნდა აღინიშნოს მრავალწახნაგოვანი, კოშკისებური მაგზოლეუმები, რომლებიც კარვისებური გუმბათებით იყო გადახურული. ამ ტიპის განსაკუთრებით შესანიშნავი ძეგლია კაბუსის კოშკი-მავზოლეუმი გურგანში (XI ს. დასაწყისში). ირანში, ისევე, როგორც შუა აზიაში, მონუმენტური ნაგებობებისათვის უმოაკრესი სააღმშენებლო მასალა გამომწვარი აგური იყო. შენობები შიგნიდან და გარედან შემკობილი იყო გამომწვარი აგურისა და ალებასტრის სხვადასხვა სახის ორნამენტით. აღნიშნული პერიოდის ბოლოს ნაგებობის

ორნამენტირებისათვის იყენებდნენ ფერადი ფაიანსის ფილების მოზაიკას, ანდა ერავალფეროვანი ალებასტრის მოხატულობას.

X-XII სს-ში ირანში უმაღლეს საფეხურს მიაღწია მხატვრულმა ხელოსნობამ: ქსოვილების მოხატვამ, ორნამენტირებული ოქროქსოვილების და ვერცხლით ნაკერი ქსოვილების დამზადებამ, ხალიჩების ქსოვამ; ვერცხლისგან, ბრინჯაოსგან და სპილენძისგან ამზადებდნენ მაღამსატვრულ, ორნამენტირებულ ჭურჭელს და სხვა საგნებს, მაღალხარისხოვან ცივ იარაღს. XI-XII სს-ში განსაკუთრებულ ოსტატობას მიაღწია ირანის კერამიკის, განსაკუთრებით ფაიანსის წარმოებამ.

საუკეთესო ფაიანსი მზადდებოდა ქალაქებში რეისა და ქაშანში. განთქმული იყო მოჭიქული ფაიანსის ნაწარმი. კერამიკა დაფარული იყო გამჭვირვალე ან ბუნდოვანი, სხვადასხვა ფერის მინისებური მასით, რომელიც მიიღებოდა მინერალების გამოწვისა და გაცივების შედეგად. სპარსელებს განსაკუთრებით უყვარდათ ცისფრად (ფირუზისფრად) მოჭიქვა; იყენებდნენ აგრეთვე ლურჯ (კობალტის) და თეთრ (კალის) მოჭიქვას. გავრცელებული იყო წინწკლებიანი, ერთფეროვანი და მრავალფეროვანი მოჭიქული მოხატულობა.

ირანის კერამიკული ხელოვნების უმაღლეს მიღწევად ითვლება XII საუკუნიდან ლიუსტრინით მოხატულობა. ლიუსტრინი რთული შედგენილობის მასა იყო. იგი შედგებოდა ვერცხლის, ოქროს, მარკაზიტის, სპილენძის, დარიშხანისა და ნიტროლისგან. ამ მასას ხსნიდნენ ღვინის ძმარში და ოცდაოთხი საათის განმავლობაში გამოწვავდნენ ორ ღუმელში. ჩვენამდე მოღწეულია ლიუსტრინის დამზადების სპარსული რეცეპტი ქაშანის მცხოვრების აბუ-ლ ყასიმ აბდულლაპ იბნ აბუთაპერის წიგნში „წიგნი ქვებისა და ნელსაცხელებლების“ შესახებ. ბრწყინვალე ლიუსტრინი გამოიყენებოდა სინების, ლარნაკების და სხვადასხვა ჭურჭლის მოსახატავად, აგრეთვე არქიტექტურულ კერამიკაში ფაიანსის ფილების დასაფარავად; ეს ფილები განკუთვნილი იყო ნაგებობების, განსაკუთრებით კი პორტალების და გუმბათების დეკორირებისათვის. ლიუსტრინით მოპირკეთებული მიჰრაბები მეჩეთში დიდებულად გამოიყურება. ჩვენამდე მოღწეული ლიუსტრონის მორენკეცი 1217 წლითაა დათარიღებული, მაგრამ უეჭველია, რომ ასეთი მორენკეცები მზადდებოდა უკვე XII ს-ში. ირანი ლიუსტრონირე-

ბული კერამიკის სამშობლოა. იგი უცნობი იყო ევროპასა და შორეული აღმოსავლეთის ქვეყნებში.

არაბთა დაპყრობებმა და ისლამის გავრცელებამ შეაფერხა სპარსული მწერლობის განვითარება. არაბთა დაპყრობების შემდეგ ირანში ლიტერატურა მხოლოდ და მხოლოდ არაბულ ენაზე ვითარდებოდა. არაბული ენა მუსლიმურ ქვეყნებში ისეთივე საერთაშორისო ენის როლს ასრულებდა, როგორსაც ლათინური ენა დასავლეთ ევროპის ქვეყნებში. VIII ს-დან ირანში თავი იჩინა ე. წ. „შუ-უბიურმა“ მოძრაობამ, რომელიც არაბთა პოლიტიკური და კულტურული ბატონობის წინააღმდეგ მიმართული ირანული ოპოზიციის გამოსატულება იყო. სახელწოდება „შუ-უბია“ წარმოიშვა არაბული სიტყვიდან „შუ-უბ“ (მრ. რიცხვი „შა-აბ“-იდან – „ხალხი“), რომლითაც ყურანში (სუნა X IX, ლექსი 13) იწოდებიან ისლამმიღებული არაარაბები. შუ-უბიტები გამოსატავდნენ არაბთა მიერ დაპყრობილი ხალხების, მათ შორის სპარსელების, ფეოდალური არისტოკრატიისა და ნაწილობრივ მოქალაქეების მისწრაფებებს. ისინი ცდილობდნენ დამპყრობლებზე ამ ხალხების უპირატესობის ჩვენებას. ამავე დროს, თვითონ შუ-უბიტები თავიანთ ნაშრომებს არაბულად წერდნენ.

VIII ს-ში შუ-უბიტებთან დაახლოებული გამოჩენილი მოღვაწე იყო სპარსელი იბნ ალ-მუკაფა, რომელმაც შეაგროვა და არაბულად თარგმნა საშუალო სპარსულ (ფალაურ) ენაზე არსებული ლიტერატურული ძეგლები, კერძოდ, მან თარგმნა სასანიანთა ირანში შედგენილი საისტორიო თხზულება „ხოდაგ ნამაქ“. იბნ ალ-მუკაფა როგორც ერეტიკოსი 757 წ. სიკვდილით დასაჯეს.

IX ს-ში ჩამოყალიბდა ლიტერატურული ენა „დარი“ ანუ „ფარსი“ (ახალი სპარსული) – ორი მონათესავე ხალხის, სპარსელებისა და ტაჯიკების სალაპარაკო ენასთან ძალზე დაახლოებული ენა. თავდაპირველად ახალსპარსულ ენაზე იწერებოდა მხოლოდ და მხოლოდ პოეტური ნაწარმოებები, მაგრამ X ს-ის მეორე ნახევრიდან დაიწყო ამ ენაზე სამეცნიერო თხზულებების წერაც. ერთ-ერთი პირველი სამეცნიერო თხზულებათაგანი იყო აბუ-მანსურ მუვაფაკ ალ-ხერეევის ცნობილი ნაშრომი ფარმაკოლოგიაში (970 წ. ახლო ხანებში).

ახალსპარსულ ენაზე წერდნენ ირანში, შუა აზიაში, აზერბაიჯანსა და სელჩუკურ მც. აზიაში, აგრეთვე ინდოეთის მუსლიმურ

სასელმწიფოებშიც. ახალსპარსულ ენაზე ჩამოყალიბდა სპარსელების, ტაჯიკების, აზერბაიჯანლებისა და სხვა ხალხების თვითმყობადი ლიტერატურა.

იმ პოეტთა შორის, რომელნიც ახალსპარსულ ენაზე წერდნენ, უპირველეს ყოვლისა, უნდა დავასახელოთ აბუ-ლ ყასემ ფირდოუსი (934-1025 წ. ახლოს) — მსოფლიო მნიშვნელობის პოეტი, რომლის თხზულებებსაც სპარსელები და ტაჯიკები თანაბრად თელიან თავის საკუთრებად.

ფირდოუსის გრანდიოზული პოემა „შაპ-ნამე" („მეფეთა წიგნი") წარმოადგენს უმდიდრესი სპარსული საგმირო ეპოსის ფოლკლორული მასალის და სასანიანთა ხანის ოფიციალური ისტორიის „ხოდაჲ ნამაქ"-ის („მეფეთა წიგნი".) პოეტურ გადამუშავებას. ფირდოუსი „შაპ-ნამეში" პოეტური ფორმით გადმოგვცემს ირანისა და შუა აზიის ისტორიას უძველესი დროიდან არაბთა დაპყრობებამდე. პოემა გამსჭვალულია ჰეროიკისა და პატრიოტიზმის პათოსით, სამშობლოსადმი სიყვარულით, არაბი დამპყრობლებისა და მომთაბარე თურქებისადმი (რომლებიც ხშირად აწიოკებდნენ ირანს) სიძულვილით. პოემაში უხვადაა სასიყვარულო ეპიზოდები: ბეჟანისა და მანიჟეს, ზაალისა და რუდაბეს, ხოსრო II ფარეიზის და მისი ცოლის — შირინის სიყვარული და სხვ. ფირდოუსიმ განადიდა ირანის „რაინდების" — დეპყანების გმირული წარსული (თვითონ ის წერილი დეჰყანებიდან იყო). ყველაზე ნათლად პოემაში დასატულია გმირ რუსტამის (როსტომის) ფიგურა — მხურვალე პატრიოტი, სამშობლოსათვის თავდადებული მამაცი მებრძოლი, მოვალეობის ერთგული, მაგრამ ამავე დროს ჭირვეული და მეფესთან ურთიერთობაში დამოუკიდებელი. ფირდოუსი აქებს და ადიდებს ირანის დეპყანებს, მაგრამ ამავე დროს, ძალაუნებურად პატიჟისცემით იხსენიებს ირანის სახალხო მოძრაობის ბელადს — მაზდაქს.

ფირდოუსი, თავისი პოემის გამო, სულთან მაპმუდ ღაზნეველის მხრიდან დევნას განიცდიდა. იგი მაპმუდ ღაზნეველის კარზე ცხოვრობდა ქ. ღაზნაში, თავისი პოემა სულთანს მიუძღვნა, მაგრამ შემდეგ იგი იძულებული გახდა გაქცეულიყო. პოეტი 20 წლის განმავლობაში სიღარიბეში ცხოვრობდა, იმალებოდა, ხშირად იცვლიდა ადგილსამყოფელს, რათა გზა-კვალი აებნია სულთნის ჯაშუშებისათვის. სულთან მაპმუდის მიერ ფირდოუსის დევნას წყაროები სხვადასხვანაირად ხსნიან. საინტერესო ახსნას იძლევა ანონიმური

„სისტანის ისტორია“ (XI ს.): სულთანს, რომელიც ცენტრალიზაციის პოლიტიკას აგარებდა და რომელიც ეყრდნობოდა თურქ ღოლამებს, ძალიან არ მოეწონა ფირდოუსის პოემის პოლიტიკური ტენდენცია, რომელიც აქებდა და აღიდებდა ძველ დეპყანურ არისტოკრატიას, მათ ლტოლვას დამოუკიდებლობისა და სეპარატიზმისაკენ (განსაკუთრებით, დაუმორჩილებელ და ჭირვეულ რუსტამს).

მუსლიმ სუნიტ სასულიერო პირებს ეჯავრებოდათ ფირდოუსი და მისი სიკეთილის შემდეგ უარი თქვეს მის დამარხვაზე მართლმადიდებლური მუსლიმური წესით. ამის მიზეზი ის იყო, რომ ფირდოუსი „ერეტიკოსი“ შიიტი, არაბთა დაპყრობების მოწინააღმდეგე იყო, რომელიც აღიდებდა ისლამისწინადროინდელი ირანის „კერპთაყვანისმცემელ“ გმირებს.

XI ს-ში ირანის გამოჩენილი პოეტები იყვნენ: ფარუჰი — მონის შვილი, დახვეწილი ლირიკოსი და პეიზაჟის ოსტატი; ცხოვრების მომღერალი მანუჩეპრი; ფაჰრ ად-დინ გურგანი — ავტორი პოემისა „ვეის ო რამინ“, რომელიც ძველი სამეჯნურო რომანის სიუჟეტის გადამუშავებას წარმოადგენდა და გვაგონებდა დასავლეთევროპულ „ტრისტან და იზოლდას“.

მსოფლიო მნიშვნელობის პოეტი-ფილოსოფოსი, ქალაქის სამუალო ფენების იდეოლოგი, ლექსის ბრწყინვალე ოსტატი და თავისუფლად მოაზროვნე იყო ომარ ხაიამი (გარდ. დაახლ. 1123 წ.), საზეიმო ოდის ავტორი ანვარი (გარდ. 1191 წ.).

XI ს-დან სპარსულ პოეზიაში შეიჭრა სუფიზმის გაელენა, რომელმაც ქალაქის მცხოვრებთაგან გამოსული ზოგიერთი პოეტის შემოქმედებაში ოფიციალური მუსლიმური რელიგიის წინააღმდეგ ოპოზიციის ფორმა მიიღო. გამოჩენილი სუფიური პოეტები იყვნენ სანაი (გარდ. 1150 წ.) და ფერიდ ად-დინ ათარი (1119 — დაახლ. 1220) — ქალაქის დაბალი ფენების ინტერესების გამომხატველი.

მსაგვრული პროზიდან გამოირჩეოდა „ყაბუს-ნამე“ — ზიარიანთა საგვარეულოს მოსუცი ფეოდალის დარიგებები ჭაბუკი შვილისადმი, რომელშიც ნათლადაა ასახული XI ს-ის ფეოდალური წრის ყოფა-ცხოერება და სულიერი სამყარო.

ხალხური ანტიფეოდალური ტენდენციების გამომხატველი იყო პოეტი ბაბა ქუჰი ურიანი (გარდ. 1220 წ. ახლოს), რომელიც ხალხურ დიალექტზე წერდა.

ირანის ქალაქები კულტურის ცენტრებს წარმოადგენენ. ნიშაბური, რეი, ისპაანი, შირაზი განთქმული იყვნენ თავისი ბიბლიოთეკებით. X ს-ში ცნობილი იყო შირაზის ობსერვატორია. ოღუზების მიერ ნიშაბურის აღების დროს რვა ძვირფასი ბიბლიოთეკა დაიწვა. XIII ს-ის დასაწყისში მერვეში თორმეტი ბიბლიოთეკა იყო. ირანის ყველა მნიშვნელოვან ქალაქში X ს-ში ჩამოყალიბდა საშუალო და უმაღლესი ტიპის სასულიერო სკოლა (მედრესე).

რეიში, ჰამადანსა და ისპაანში ბუიდ მბრძანებლებთან ხანგრძლივად ცხოვრობდა იმ დროის დიდი მეცნიერი, ბუხარაში დაბადებული აბუ ალი იბნ სინა (ავიცენა, როგორც მას უწოდებდნენ დასავლეთ ევროპაში. 980-1037 წწ). სამანიანთა სახელმწიფოს დაცემის შემდეგ (999 წ.), იგი იძულებული გახდა ემიგრაციაში წასულიყო კასპიისპირა ოლქებში, ხოლო შემდეგ ბუიდთა სამფლობელოში, ჰამადანში. სიცოცხლის ბოლო წლები მან გაატარა ისპაანში; გარდაიცვალა ჰამადანში.

იბნ სინა, ისევე, როგორც იმდროინდელ მეცნიერთა უმრავლესობა, ენციკლოპედისტი იყო: მედიკოსი, ფილოსოფოსი, ბუნებისმეტყველი, პოეტი და გამოჩენილი მუსიკისმცოდნე.

მსოფლიო კულტურის ისტორიაში იბნ სინას მნიშვნელოვანი ადგილი უკავია. მისი თხზულება „ალ-კანუნ ფი-ტ-ტიბ" („მედიცინის კანონი") მედიცინის შესახებ საუკეთესო თხზულებად ითვლებოდა. ექვსი საუკუნის განმავლობაში (XIII ს-დან XVII ს-ის შუა ხანებამდე) მთელი ევროპის მედიკოსები მისით ხელმძღვანელობდნენ. „ალ-კანუნი" მრავალჯერ გამოიცა ევროპაში ლათინურ და სხვა ენებზე.

იბნ სინას ფილოსოფიური თხზულებებიდან განსაკუთრებით ცნობილია „ქითაბ აშ-შიფა" („წიგნი განკურნების შესახებ"), რომელშიც მოცემულია ლოგიკის, ბუნებისმეტყველების, მეტაფიზიკის და მათემატიკის განმარტებანი.

იბნ სინა იყო ფილოსოფოსი რაციონალისტი. იგი დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა ცდას, ფაქტების კრიტიკულ შემოწმებას – პრაქტიკით შემოწმებას. ანტიკური ფილოსოფოსების, განსაკუთრებით არისტოტელეს მემკვიდრეობის ათვისებისას. იბნ სინა არ იყო უბრალოდ მათი მიმდევარი; იგი ცდილობდა მათი იდეების შემოქმედებითად განვითარებას. იბნ სინას პროგრესულ შეხედულებებს, რომლებიც ისლამის დახავსებულ დოგმებს ეწინააღმდეგებოდა, მის სიცოცხლეშიც და მისი სიკვდილის შემდეგაც, თავს ესხმოდნენ მუსლიმი სასულიერო პირები.

თავი VI

ირანი XIII –XV საუკუნეებში

§1. მონღოლთა სახელმწიფოს შექმნა და მონღოლთა დაპყრობების დასაწყისი

XIII ს-ის დასაწყისში ცენტრალური აზიიდან გამოსულმა მომთაბარე ტომებმა ცეცხლითა და მახვილით დაიპყრეს იმდროინდელი კულტურული სამყაროს დიდი ნაწილი და თავიანთი ბატონობა გააკრცელეს უზარმაზარ ტერიტორიაზე წყნარი ოკეანიდან შავ და ხმელთაშუა ზღვებამდე. მომთაბარეთა ამ მოძრაობას, რომელიც მონღოლთა ანუ თათართა დაპყრობების სახელით არის ცნობილი, პქონდა მსოფლიო ისტორიული მნიშვნელობა. მონღოლთა ბატონობის ხანამ სულ ერთიანად შეცვალა ეკონომიკური და პოლიტიკური ვითარება ასლო აღმოსავლეთში.

მონღოლებმა დაიპყრეს შუა აზია, ირანი, ამიერკავკასიის ქვეყნები, მცირე აზიის აღმოსავლეთი ნაწილი და მიადგნენ სირიაეგვიპტის საზღვრებს. მათ გაანადგურეს ხორეზმის სახელმწიფო შუა აზიაში, დაამხეს აბასელთა სახალიფო ერაყში, ბოლო მოუღეს რუმის სასულთნოს მცირე აზიაში. ახლო აღმოსავლეთის პოლიტიკური რუკა არსებითად შეიცვალა.

მონღოლთა ბატონობის ხანა წარმოადგენს წყალგამყოფ საუკუნეს ასლო აღმოსავლეთის ქვეყნების სოციალურ-ეკონომიკურ, პოლიტიკურ და კულტურულ განვითარებაში. მონღოლთა ბატონობის სანაში მნიშვნელოვნად შესუსტდა წინარე ხანის მუსლიმურ-არაბული და მუსლიმურ-ირანული კულტურული ტრადიციების გაელენა.

ბაღდადის დამხობამ შეარყია რწმენა ისლამის სარწმუნოებისაღმი და ამ სარწმუნოების ენის – არაბულის მიმართ. განმტკიცდა მონღოლური ტრადიციები, წეს-ჩვეულებები და წარმოდგენები.

XIII ს-ის პირველ მეოთხედში აზიაში შექმნილი მონღოლთა იმპერიის დაპყრობების მიზეზების ასახსნელად (ეს დაპყრობები გაერცელდა ირანზეც) აუცილებელია განვიხილოთ მონღოლთა

საზოგადოების სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობა XIII ს-ის დასაწყისისათვის.

XI-XII სს-ში უზარმაზარი ტერიტორია მდ. ირტიშის ზემოწელიდან (დასავლეთით) მდ. ამურის შემო წელამდე და დიდი ხანგანის ქედამდე (აღმოსავლეთით) ეკავა ტომებს, რომლებიც ერთი ენის სხვადასხვა დიალექტზე ლაპარაკობდნენ. ამ ენას შემდეგ მონღოლური უწოდეს. უმსხვილესი ულუსები, ანუ ტომობრივი გაერთიანებანი, იყვნენ: ნაიმანები — მომთაბარეობდნენ მდ. ირტიშის ზემო წელსა და ალტაის მთებში, კერაიტები — მდინარეების ორხონისა და ტოლას მიდამოებში, მერკიტები — მდ. სელენგისა და ბაიკალის ტბის შორის ტყიან რაიონებში, ტაიჩუტები — მდ. კერულენისა და ონონის აუზებში, თათრები — ტობის უდაბნოს სამხრეთ-აღმოსავლეთით, ჩინეთის საზღვრამდე, ონგუტები — ჩინეთის დიდი კედლის გასწვრივ.

თათრების ყველაზე უფრო ძლიერი ტომის სახელით მეზობლები დანარჩენ მონღოლურ ტომებსაც თათრების, ანუ „შავი თათრების“ სახელით იხსენიებენ, საკუთრივ თათართა ანუ „თეთრ თათართაგან“ განსხვავებით. სახელწოდება „მონღოლი“ მაშინ ჯერ კიდევ არ იყო ცნობილი. აი, ამიტომაა, რომ XIII ს-ის პირველი ნახევრის არაბული, სპარსული, სომხური, ქართული და რუსული წყაროები მხოლოდ თათრებს იხსენიებენ. სახელწოდება „მონღოლის“ წარმოშობა არაა მთლად ნათელი. აკად. ე. პ. ვასილიევის აზრით, ეს სახელწოდება ხელოვნური, მწიგნობრული წარმოშობისაა ჩინური ფორმიდან „მენ-გუ“. ეს სახელწოდება შემოიღეს მხოლოდ ჩინგიზ-ხანის სახელმწიფოს ჩამოყალიბების შემდეგ, როდესაც ყველა მონღოლურენოვანი ტომისათვის საჭირო გახდა ერთი საერთო სახელწოდება.

მონღოლური ტომები იყოფოდნენ ტყის მონღოლებად-მონადირეები და მეთევზეები და ველის მონღოლებად — მომთაბარე მეჯოგეები. ეს უკანასკნელნი თავიანთი საქონლით ველებში მომთაბარეობდნენ, ხოლო ზაფხულობით — მთიან საძოვრებზე. ისინი აშენებდნენ მსხვილფეხა რქიან საქონელს, ცხვარს, თხას და ცხენს. ბორბლებზე დადგმული, ხარებშებმული, დიდი მრგვალი თექის კარვებით ისინი ერთი ადგილიდან მეორე ადგილზე გადადიოდნენ. ისინი წელიწადში რამდენჯერმე იცვლიდნენ სა-

ძოერებს; მეცხოველეობა და ნადირობა (მეთევზეობა) მათ ცხოერებისათვის ყველაფერ აუცილებელს აძლეედა.

წარსულში მონღოლური ტომები პირველყოფილ-თემური წყობილების საფეხურზე იმყოფებოდნენ; ჯერ კიდეე არადიფერენცირებული გვარი ერთად მომთაბარეობდა; დაბანაკების დროს კარეები წრის მსგავსად იდგებოდა: გვარის უხუცესის კარავი წრის შუაგულში იყო. მომთაბარეობის ეს წესი კარვისებურად იწოდებოდა, რადგანაც სიტყვა „კარავი" ნიშნავდა წრეს.

XI-XII სს-ში გვარიდან თანდათანობით დაიწყეს გამოყოფა ცნობილმა და მდიდარმა ოჯახებმა, რომლებიც რიცხვმრავალ ფარებს ფლობდნენ; ისინი გაერთიანდნენ მრავალოჯახიან თემებად („აილები"); მომთაბარეობის კარვისებური წესი ახლა უკვე აილური წესით შეიცვალა. გვარის დიფერენციაციის პროცესი სულ უფრო და უფრო ძლიერდებოდა: გვარის ღარიბი წევრები დამოკიდებულნი ხდებოდნენ მდიდრებზე. XIII ს-ის დასაწყისისათვის მონღოლთა სტეპებში უკეე ჩამოყალიბდა ადრეფეოდალური კლასობრივი საზოგადოება. გვაროვნული წყობა მთელი თავისი ნიშნებით — ეგზოგამიით, აგნატური გვარით, სისხლის აღებით, საგვარეულო კულტით და გვაროვნული წეს-ჩვეულებებით შენარჩუნებული იქნა, მაგრამ ამ პატრიარქალური გარსის შიგნით ახლა იქმნებოდა ახალი — ფეოდალური საზოგადოებრივი ურთიერთობანი.

მომთაბარეთა დიდ ნაწილს თავის საკუთრებაში ჰყავდა საქონელი, მაგრამ საძოვრების — წარმოების ძირითადი საშუალების, გამანაწილებლად იქცა ფეოდალი — ნოინი, რომლის სასარგებლოდაც უბრალო მონღოლი — მომთაბარე ვალდებული იყო შეესრულებინა ფეოდალური ვალდებულებანი. რიგითი მომთაბარე — არატების ძირითად ფეოდალურ ვალდებულებად ითვლებოდა ფეოდალის ჯოგის მწყემსვა. გარდა ამისა, არატები ბატონებს უგზავნიდნენ წერილფესა საქონელს ყოველდღიური საჭიროებისათვის, ფეოდალის ბანაკში გარკვეული ღროით აგზავნიდნენ მეწველ ფაშატებს და ჯერგით ნადირობის დროს მარეკთა მოვალეობას ასრულებდნენ.

მონღოლურ გვარებსა და ტომებს შორის მიმდინარეობდა ვაუთავებელი ბრძოლა საძოვრების, საქონლის, ტყვე-მონების და სამხეღრო დაელის ხელთგდებისათვის. დამარცხებული გვარი ან

ტომი გამარჯვებული ჯვარის ან ტომისადმი ფეოდალურად დამოკიდებული სდებოდა.

მონღოლებს ჰყავდათ მონა-ტყვეებიც, მაგრამ მონობა არ იყო წარმოების ძირითადი საფუძველი.

მონღოლური საგოჯადოების მთელ რთულ სტრუქტურას ეკიუატავს ძვირფასი მონღოლური წყარო — ანონიმური ქრონიკა „საიდუმლო გადმოცემა".

მომთაბარე ფეოდალ-ხანის, ნოინის, ბაღათურის ირგელიე შემოკრებილი იყვნენ ნუკერები — თავდაპირველად მოლაშქრეები, რომლებიც შემდეგ ვასალებად გადაიქცნენ. ისინი თავის ხანთან სამხედრო სამსახურს ასრულებდნენ, ამასთანავე მათზე დამოკიდებულ არატებს ექსპლოატაციას უწევდნენ. ნუკერები თავის ხანთან ერთად მიდიოდნენ სანადიროდ, მონაწილეობდნენ თავდასხმებში, დაელის გაყოფაში, იცავდნენ მას, მონაწილეობდნენ მის ნადიმებში, მშვიდობიანობის დროს თვალყურს აღევნებდნენ მის მეჯოგურ მეურნეობას, მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებების მიღებისას ხანებს რჩევებს აძლევდნენ.

ადრე ჩამოყალიბებული ტომობრივი გაერთიანებანი (ულუსები) ამ პერიოდში სახელმწიფო ორგანიზმებად გარდაიქმნენ. გარდა დიდი ტომობრივი გაერთიანებებისა — „თეთრი" თათრები, კერაიტები, ტაიჩუტები, მერკიტები, ნაიმანები — იყო საკმაოდ ბევრი მცირე ულუსი. ამ ულუსების სათავეში მდგომი ხანები იყვნენ არატებზე მომთბარული არისტოკრატიის კლასობრივი ბატონობის იარაღი. ულუსებს შორის გაუთავებელი ომები იყო.

ამრიგად, XIII ს-ის დასაწყისისათვის მონღოლებში ფეოდალური ურთიერთობა დასაწყის სტადიაზე იყო. ფეოდალიზმის სრული გამარჯვება და დამოუკიდებელი არატების ყმებად გადაქცევა მოგვიანებით, უკვე მონღოლთა იმპერიის წარმოქმნის შემდეგ მოხდა.

მონღოლური ტომები კულტურული განვითარების სხვადასხვა საფეხურზე იდგნენ. ყველაზე ჩამორჩენილი იყვნენ ტყის მონღოლები. მონღოლებს თავისი დამწერლობა ჯერ კიდევ არ ჰქონდათ. ყველაზე უფრო კულტურულმა ტომმა — ნაიმანების ტომმა უიღური დამწერლობა მიიღო. აღმოსავლეთ თურქესტანში (ახლა სინცზიანი) მცხოვრები თურქულენოვანი უიღურები, ნაიმანების მეზობლები, იმ დროს კულტურის უფრო მაღალ საფუხურზე იდგნენ

– მათ ჰქონდათ დამწერლობა და სირიული (არამეული) წარმოშობის ანბანი.

მონღოლთა ძირითადი მასა შამანისტი იყო. უმთავრეს ღვთაებად მათ მიაჩნდათ „მარადიული ლურჯი ცა"; თაყვანს სცემდნენ აგრეთვე მიწის ღვთაებას, სხვადასხვა სულებს. მონღოლებს სწამდათ, რომ გრძნეული შამანები შეიძლება დაუკავშირდნენ სულებს და მათი დახმარებით სძლიონ საფრთხეს. მაგრამ ნაიმანების საწილმა უიღურებისაგან, რომელთა შორის გავრცელებული იყო ბუდიზმი და ნესტორიანული ქრისტიანობა, ორიოვ რელიგია შეითვისა. კარაიტების ტომის ზედაფენამ უიღურების მეშვეობით ნესტორიანული მიმართულების ქრისტიანობა ჯერ კიდევ XI ს-ის დასაწყისში მიიღო.

XIII ს-ის დასაწყისში შინაური ბრძოლა მონღოლეთში გაფეოდალებული მომთაბარული დაჯგუფების გამარჯვებით დამთავრდა. ამ დაჯგუფების სათავეში იდგა ველის ბელადი თემუჩინი. გამარჯვებულმა დაჯგუფებამ ერთიმეორის მიყოლებით გაანადგურა ძველი ტომობრივი ულუსები.

თემუჩინი დაიბადა 1155 წ. ახლო ხანებში მომთაბარე ფეოდალის ტაიჩუტების ტომის, ბორჯიგინის ცნობილი გვარის წარმომადგენლის ესუგეი ბაღათურის ოჯახში. იგი ათი წლის დაობლდა და თავის ძმებთან ერთად დიდ გაჭირვებაში ჩავარდა, რადგანაც ესუგეის ნუკერებმა ქერიევ და მცირეწლოვანი ბავშვები უპატრონოდ მიატოვეს. თემუჩინმა კერაიტების ტომის ბელადის, ვან-ხანის დახმარებით და პირადი ნიჭის წყალობით მოახერხა გაძლიერება. მან დაიწყო თავის გარშემო ნუკერების შემოკრება, რომლებიც მომთაბარე ფეოდალის მთავარ ძალას წარმოადგენდნენ. მის მიერ შექმნილი ულუსი თანდათანობით მსხვილ პოლიტიკურ ძალად იქცა. თავდაპირველად ვან-ხანის დახმარებით მან გაანადგურა „თეთრი" თათრების და მერკიტების ულუსები, ხოლო შემდეგ იგი თავს დაესხა თავის ყოფილ მოკავშირე ვან-ხანს (კერაიტების ულუსის მბრძანებელს) და მოსპო მისი ულუსი. ამის შემდეგ თემუჩინმა გაანადგურა ნოიმანების ულუსი. განადგურებული ულუსების ნარჩენები შეერწყნენ თემუჩინის ულუსს. თემუჩინის ძველ მოქიშპეთაგან უკანასკნელი, ველის ბელადი ჯამუხა, რომელმაც თავის გარშემო გააერთიანა წერილ-წერილი ტომები, დამარცხდა. იგი დაატყვევეს და სიკვდილით დასაჯეს.

1206 წ. მონღოლეთში, მდ. ონონის ნაპირზე გამართულ ყურულთაიმე (მომთაბარე ფეოდალთა კრებაზე) ორმოცდაათი წლის თემუჩინი გამოცხადდა მთელი მონღოლეთის დიდ ხანად. მან მიიღო ჩინგიზ-ყაენის საპატიო ტიტული (ამ ტიტულის მნიშვნელობა აქამდე არაა გამორკვეული). აკად. ვ. ვ. ბარტოლდი წერს: „ჩინგიზ-ხანი არ იყო „ხალხის ბელადი" ამ სიტყვის თანამედროვე მნიშვნელობით და მის მიერ შექმნილი სახელმწიფო წყობილება არისტოკრატიული ხასიათისა იყო".

ასე ჩამოყალიბდა მონღოლთა სახელმწიფო, რის წყალობითაც გაძლიერდა ფეოდალური ურთიერთობის განვითარება. ერთიანი სახელმწიფოს ჩამოყალიბებამ ხელი შეუწყო მონღოლთა ეროვნების ფორმირებას.

მონღოლთა სახელმწიფოს სტრუქტურა ასეთი იყო: სახელმწიფოს სათავეში იდგა დიდი ხანი, რომელსაც ყაენსაც უწოდებდნენ. ასეთი იყო ჩინგიზ-ყაენი, ხოლო შემდეგ მისი შთამომავლები — ჩინგიზიდები. ჩინგიზ-ყაენის დროს ცალკეული ულუსები დანაწილებული იყო ხანის საგვარეულოს წევრებს შორის, რომლებიც „დიდი ხანის" ვასალები იყვნენ, ხოლო ამ უკანასკნელთა ვასალები იყვნენ ამ ტერიტორიაზე მომთაბარე ნოინები თავიანთი ნუკერებით და ყმა არატებით. ჩინგიზ ყაენი ტასტზე იჯდა 1206-1227 წწ-ში.

მთელი ეს ფეოდალურ-იერარქიული საზოგადოება ამავე დროს სამხედრო ორგანიზაციაც იყო, რამდენადაც, თანახმად თურქთა და მონღოლთა ძველი ჩვეულებისა, იგი დაყოფილი იყო დუმანებად ათასეულებად, ასეულებად, ათეულებად, ე. ი. სამხედრო-ადმინისტრაციულ ერთეულებად, რომლებსაც ჯარში გამოპყავდა 10 000 1000, 100 და 10 კაცი თითოეულს. დუმანებს, ათასეულებსა და სსვა სამხედრო ქვედანაყოფებს სახელქვეშ არსებობას განაგრძობენ ძველი ტომები და გვარები, რომელთა მემკვიდრეობითი ბელადები ამავე დროს იყვნენ დუმანების, ათასეულებისა და სსვ. უფროსები.

ჩინგიზ-ყაენი შეგნებულად უჭერდა მხარს მომთაბარე დიდებულებსა და მონღოლთა საზოგადოებაში არისტოკრატიულ ტრადიციებს. მან დააკანონა რიგით მომთაბარეებსა და მათ ბატონებს შორის მტკიცე კავშირის სტაბილურობა. რიგითი მომთაბარისათვის მისი ბატონი იყო ერთდროულად ფეოდალიც და მხედართმთავარიც. ჩინგიზ-ხანმა მონღოლთა საზოგადოებაში მანამდე არსებულ ფეოდალურ ელემენტს მისცა მკაფიო ორგანიზაცია. ფეოდა-

ლური სასალხო ლაშქრის გვერდით არსებობდა ჩინგიზ-ხანის ცნობილი ათიათასიანი გვარდია (ქეშიკი), რომელიც დაკომპლექტებული იყო არისტოკრატიული ოჯახებიდან გამოსული ჭაბუკებით. ეს ფეოდალურ-არისტოკრატიული გვარდია პრივილეგირებულ სამხედრო ძალას წარმოადგენდა: აქედან არჩევდნენ არმიის უმაღლეს ხელმძღვანელ კადრებს, ხოლო უფრო მოგვიანებით დაპყრობილი ქვეყნებისა და ოლქების აღმინისტრატორებს. სახელმწიფოს ძირითადი კანონი იყო „დიდი იასა“ — ადათობრივი წეს-ჩვეულებების კრებული — გადამუშავებული დიდებულთა ინტერესების შესაბამისად. პატრიარქალურ საბურველში გახვეული იყო ბატონყმური ურთიერთობა და სასტიკი სამხედრო დისციპლინა.

მონღოლთა პოლიტიკურმა გაერთიანებამ შექმნა მრისხანე სამხედრო ძალა, რომელიც ჩინგიზ-ხანმა გამოიყენა დიდი დაპყრობებისათვის. ჩინგიზ-ყაენის დაპყრობითი პოლიტიკა განპირობებული იყო მომთაბარე ფეოდალური არისტოკრატიის ინტერესებით. არისტოკრატიის შემოსავლის მთავარი წყარო არა-მარტო არატების ექსპლოატაცია იყო, არამედ მეზობელ ულუსებს შორის მძარცველური ომების შედეგად მოპოვებული ნადავლი. მონღოლეთის გაერთიანების შედეგად შინაური ომების შეწყვეტის შემდეგ, მომთაბარე არისტოკრატია საგარეო ომებისაკენ მიისწრაფოდა. ამ ომების წარმატებისათვის საჭირო იყო ძლიერი სანის ხელისუფლება და მტკიცე სამხედრო დისციპლინა, ამიტომაც მონღოლი დიდებულები ერთგულად ემსახურებოდნენ ჩინგიზ-ყაენს. ამ დიდებულთა წრიდან გამოვიდნენ ნიჭიერი მხედართმთავრები: ჯებე, სუბუდაი, მუხული, შიქი-ხუტუ და სხვ.

მონღოლთა დაპყრობების წარმატება ნაწილობრივ აიხსნება მათი ლაშქრის მტკიცე და მოქნილი ორგანიზაციითა და დისციპლინით, მომთაბარეთა ცხენოსანი ჯარის განსაკუთრებული მობილურობით, რაც მონღოლებს უპირატესობას ანიჭებდა მეზობელი თუ შორეული განვითარებული ქვეყნების ბინადარი ფეოდალების ნაკლებდისციპლინირებულ და ნაკლებად მობილურ ლაშქართან მიმართებაში. მაგრამ, განსაკუთრებული მნიშვნელობა იმას ქონდა, რომ მონღოლთა მიერ დაპყრობილ სახელმწიფოებში არ იყო შინაური ერთობა, გაბატონებული იყო ფეოდალური დაქუცმაცებულობა. ხშირად ამ სახელმწიფოთა მბრძანებლებს თავისი

ხალხის შეიარაღების და მტერთან საომრად გაგზავნის ეშინოდათ – ვერ ენდობოდნენ მათ.

1209-1210 წწ-ში ჩინგიზ-ყაენმა ღაიმორჩილა და დახარკა ტანგუტური სახელმწიფო სი-სია (ახლანდელი ჩინური პროვინცია გან-სუ) და უიღურების სახელმწიფო. 1211-1215 წწ შორის პერიოდში მონღოლთა ჯარმა საშინლად ააოხრა და დაიპყრო ჩრდ. ჩინეთის დიდი ნაწილი (ცზინის იმპერია). ჩრდ. ჩინეთის, ხოლო შემდეგ სამხრეთ-ჩინეთის (სუნის იმპერია) დაპყრობა დამთავრდა უკვე ჩინგიზ-ყაენის მემკვიდრეების დროს. ჩინეთში გამარჯვების შემდეგ, ჩინგიზ-ყაენმა თავისი მთავარი სამხედრო ძალები დაძრა დასავლეთისაკენ. 1218 წ. დაიპყრო აღმოსავლეთი თურქესტანი და შვიდმდინარეთი, 1219 წ. იგი თავს დაესხა ხორეზმშაპების სახელმწიფოს, რომლის შემადგენლობაშიც შედიოდა შუა აზია და თითქმის მთელი ირანი. კულტურული ოლქების დაპყრობის შედეგად მონღოლთა ხელში აღმოჩნდა დიდი მატერიალური რესურსები და მოწინავე სამხედრო ტექნიკა. მონღოლთა ჯარში მოხვდნენ კატაპულტების, კედლის სანგრევი მანქანების ოსტატები, მეიარაღეები და სხვ. ძველი დროიდანვე მონღოლეთში მოდიოდნენ ჩინელი და მუსლიმი ვაჭრები; ვაჭართა ქარავნებთან ერთად, მოდიოდნენ აგრეთვე ხელოსნები, რომლებიც მსხვილი მონღოლი ფეოდალების კარზე რჩებოდნენ; ისინი მომთაბარეთა ფეოდალურ ზედაფენას ჩინეთისა და შუა აზიის კულტურულ მიღწევებს აცნობდნენ.

ასეთი იყო მონღოლთა სახელმწიფოს მდგომარეობა დასავლეთში მონღოლთა შეჭრის წინ.

§2. ჩინგიზ-ყაენის ჯარის შეჭრა შუა აზიასა და ირანში

ჩინგიზ-ყაენი საგულდაგულოდ ემზადებოდა დასავლეთით ლაშქრობისათვის. საომარი მოქმედებების დაწყებას მტრის ძალის დაზვერვა უძღოდა წინ, რაც ჩინგიზ-ყაენის სამსახურში მყოფი მუსლიმი ვაჭრების მიერ კეთდებოდა; ეს უკანასკნელნი საქარავნო ვაჭრობას აწარმოებდნენ ჩინეთთან; ისინი იყვნენ აგრეთვე მონღოლთა ჯარის მეგზურები. 1219 წ. შემოდგომაზე ჩინგიზ-ყაენმა მდ. ირტიშის ნაპირებიდან თავისი ჯარი დაძრა ხორეზმშაჰ

მუჰამედის წინააღმდეგ სალაშქროდ. ხორეზმშაჰის სახელმწიფოს უმნიშვნელოვანეს ცენტრებზე ერთღროულად დასარტყმელად ჩინგიზ-ყაენმა თავისი ჯარი ნაწილებად დაპყო. მან ქ. ოთრარის ალყისათვის თავისი ჯარის ნაწილი დატოვა, სირდარიას ზემო და ქვემო წელზე ცალკეული რაზმები გააგზავნა, ხოლო თვითონ მთავარი ძალებით ბუსარისაკენ გაემართა.

მდ. სირ-დარიას გაყოლებაზე მდებარე ქალაქების ასაღებად გაგზავნილი მონღოლთა ჯარი სასტიკ წინააღმდეგობას შეხვდა ქ. ხოჯენდში. მონღოლთა წინააღმდეგ უთანასწორო ბრძოლას ხელმძღვანელობდა თემურ-მელიქი, რომელიც მცირერიცხოვან მამაცებთან ერთად ქალაქის ახლოს ერთ კუნძულზე გამაგრდა და იავგანწირვით იცავდა თავს მონღოლთა ურდოებისაგან.

ჩინგიზ-ყაენმა თორმეტდღიანი ალყის შემდეგ 1220 წ. თებერვალში ბუსარა აიღო. ქალაქი გაანაღგურეს, მოსახლეობა ნაწილობრივ გაწყვიტეს, ნაწილობრივ ტყვედ წაიყვანეს. 1220 წ. მარტში ჩინგიზ-ყაენი მიუახლოვდა სამარყანდს, რომლის დაცვასაც ხორეზმშაჰი დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა და ამიტომაც იქ თავი მოუყარა მრავალრიცხოვან გარნიზონს. მაგრამ სამარყანდსაც ბუსარის ბედი ეწვია: მონღოლების მიერ ქალაქის აღებისა და განაღგურების შემდეგ, იქ მცხოვრებთა მეოთხედიც კი არ დარჩენილა. ბუხარა და სამარყანდი ფეოდალური არისტოკრატიის გამცემლობის შედეგად დაეცა. 1220 წ. მაისისათვის მთელი მაევერანაპრი დაპყრობილ იქნა.

ხორეზმშაჰ მუჰამედის ძალები ბევრად აღემატებოდა მტრის ძალებს, მაგრამ მონღოლებისათვის წინააღმდეგობის გაწევა მან ვერ შეძლო. იგი არ ენდობოდა თავის მხედართმთავრებს, არც თავის ვასალებს და ფეოდალურ ლაშქარს, ეშინოდა გადამწყვეტი ომის წინ ერთ აღგილას ლაშქრის თავმოყრისა, ამიტომაც ისინი წვრილ-წვრილ რაზმებად დააქუცმაცა, რომლებიც ჩინგიზ-ყაენმა პირწმინდად გაანაღგურა. თვითონ მუჰამედი და მისი უფროსი ვაჟი ჯალალ აღ-დინი ირანში გაიქცნენ. ხორეზმშაჰს დაედევნა მონღოლთა რაზმი ჯებეს და სუბუდაის მეთაურობით. მუჰამედმა მდევარს თავი დააღწია, თავი შეაფარა კასპიის ზღვის ერთ-ერთ კუნძულს და იქ დაიღუპა მარტოობაში, 1220 წ. დეკემბერში. ღედამისი თურქან-სათუნი, ხორეზმშაჰის მთელ ჰარამხანასთან

ერთად, ჩინგიზ-ყაენს ტყეედ ჩაუვარდა. იგი მონღოლეთში წაიყვანეს, სადაც გარდაიცვალა.

ჯებესა და სუბუდაის მხედრები, რომლებიც მუჰამედს ფეხდაფეხ მისდევდნენ, მონღოლთა პირველი რაზმები იყვნენ, რომელნიც ხორასანში გამოჩნდნენ. მათ გაიარეს ჩრდ. ირანი და გაძარცვეს იგი, შემდეგ ისინი შეიჭრნენ ამიერკავკასიაში, დაარბიეს შირვანი და აღმოსავლეთ საქართველოს ნაწილი, დარუბანდის გადასასვლელით გადავიდნენ ჩრდ. კავკასიაში, დაამარცხეს ყიჩაღები (კოლოვეცელები) და შეიჭრნენ სამხრეთ რუსეთის ველებში, სადაც 1223 წ. მდ. კალკაზე გაანადგურეს რუსი მთავრების რაზმები; შემდეგ, მათ შემოუარეს კასპიის ზღვას დასავლეთიდან და შეუერთდნენ ჩინგიზ-ყაენის მთავარ ძალებს, რომლებიც მონღოლეთში ბრუნდებოდნენ. ყაზვინში, ჰამადანში და სხვა ქალაქებში მცხოვრებლებმა გმირული წინააღმდეგობა გაუწიეს დამპყრობლებს.

ხორეზმშაჰ მუჰამედის სიკვდილის შემდეგ ჯელალ ად-დინი დაბრუნდა სორეზმში, მაგრამ ადგილობრივი დიდებულები მას მგრულად შეხვდნენ, ამიტომაც იგი იძულებული გახდა თავის საუფლისწულო ქალაქ ღაზნაში წასულიყო.

სამარყანდის აღების შემდეგ, ჩინგიზ-ყაენმა თავისი ჯარი კელავ რამდენიმე რაზმად დაჰყო და გააგზავნა მუა ამიისა და ხორასნის მსხვილი ქალაქების დასაპყრობად. სამი უფროსი უფლისწული ჯუჩი, ჩაღათა და უგედე გააგზავნა ურგენჩის ასაღებად. ექვსთვიანი ალყისა და ქუჩებში სასტიკი ბრძოლების შემდეგ ქალაქი აიღეს 1221 წ. აპრილში. მოსახლეობა გაქლიტეს ან ტყეედ წაიყვანეს. მონღოლებმა დაანგრიეს ჯებირი მდ. ამუ-დარიაზე და მთელი ქალაქი წყალმა დაფარა. საყოველთაო ხოცვა-ქლეტას ვინც გადაურჩა, იგი წყალში დაიხრჩო ან ნანგრევებში დაიღუპა.

ხორასანში გააგზავნეს ჩინგიზ-ყაენის უმცროსი შვილი თულუ. მისმა ჯარის ავანგარდმა აიღო ნესა და საბზეკარი. თულუს პირველი საბრძოლო ოპერაცია იყო მერეზე შეტევა. მერეი, მცხოვრებთა სასტიკის წინააღმდეგობის მიუხედავად, დაეცა. შემდეგ პირწმინდად დაანგრიეს ნიშაბური, რომლის ტერიტორიაც გადახნეს და იქ ხორბალი დათესეს. ორივე ქალაქში მოსახლეობა გაქლიტეს. ამავე რაზმის მიერ დანგრეულ იქნა ტუსი და აღებული — პერათი. თულუმ აიღო და დაანგრია აგრეთვე თალიკანი.

თეითონ ჩინგიზ-ყაენი 1220 წლის ბოლოს გაემართა თერმეზისაკენ. ქალაქის აღების შემდეგ მოსახლეობა გაჟლიტეს. ბალსის მცხოვრებლებმა მონღოლებს ქალაქი უბრძოლველად ჩააბარეს და მათ დანებდნენ, მაგრამ ჩინგიზ-ყაენმა მაინც ბრძანა ქალაქის დანგრევა და მოსახლეობის ამოხოცვა: მას არ უნდოდა თავის ზურგში გაძარცვული ქალაქის დატოვება. ქ. ბამიანი აღგავეს პირისაგან მიწისა. ყველგან, სადაც კი ჩინგიზ-ყაენის ჯარი გამოჩნდა, აყრეული ქალაქები და სოფლები დაინგრა, ასი ათასობით ადამიანი დაიხოცა; უამრავი ქალი და ბავშვი, აგრეთვე ხელოსნები ტყვედ წაიყვანეს. ამ შემოსევის შედეგად ხორასანი სასტიკად ააოხრეს.

ფეოდალებს სალხის მასების შეიარაღების ეშინოდათ. არისტოკრატია მონღოლებთან შეთანხმებას და კაპიტულაციას ამჯობინებდა; ელესობა დაურაზმავი ღა უიარაღო იყო. სამაგიეროდ ქალაქების მცხოვრებნი, უპირველეს ყოელისა ხელოსნები, მტერს გმირულ წინააღმდეგობას უწევდნენ.

მომთაბარეთა თავდასხმები სამიწათმოქმედო რეგიონებზე საერთოდ ამაოხრებელია (არაბი ბედუინები, თურქი ოღუზები...), მაგრამ ეს აოხრებები სტიქიური ხასიათისა იყო. ჩინგიზ-ყაენმა და მისმა სარდლებმა კი პრაქტიკაში დანერგეს სამიწათმოქმედო რეგიონების, ქალაქების ორგანიზებული აოხრება და მოსახლეობის მასობრივი ამოელეტა. ეს სისტემა, რომლის ავტორიც თვითონ ჩინგიზ-ყაენი იყო, იმით იყო განპირობებული, რომ მონღოლთა ჯარის რაოდენობა, აკად. ე. ბარტოლდის გამოანგარიშებით, არ აღემატებოდა 200 000 კაცს. ასე რომ, ეს ჯარი საკმარისი არ იყო ღაპყრობილი ქვეყნების და ხალხების მორჩილებაში მოსაყვანად. იმ ხალხის განადგურებით, რომელთაც შეეძლოთ მონღოლთათვის წინააღმდეგობის გაწევა, ჩინგიზ-ჩაენი ცდილობდა დაპყრობილი ხალხების შეშინებას და დასუსტებას, აგრეთვე აჯანყებების თავიღან აცილებას. ჩინგიზ-ყაენთან დაასლოებულ პირთა შორის ყველა არ იზიარებდა ამ სისტემას. წყაროების ცნობების მიხედვით, ჩინგიზ-ყაენის ორი შვილიც კი, ჯუჩი და უგეღე წინააღმდეგი იყვნენ ამგვარი რბევა-აოხრებისა, მაგრამ მონღოლ მომთაბარე ფეოდალთა დიდი ნაწილი იწონებდა ჩინგიზ-ყაენის სისტემას, რომელიც მათ უაღვილებდა მანამდე არნახული მასშტაბებით ძარცვა-რბევას.

§3. ირანის ხალხების ბრძოლა მონღოლი დამპყრობლების წინააღმდეგ

ირანის ხალხთა მასები მთელ რიგ შემოხვევებში დამპყრობლებს გმირულ წინააღმდეგობას უწევდნენ, მაგრამ მათ საერთო ხელმძღვანელი არ პყავდათ, ამიტომაც მონღოლები მათ წინააღმდეგობას ადვილად აქარცხებდნენ. დამპყრობელთა წინააღმდეგ ირანის ხალხების ბრძოლის გაერთიანება და ხელმძღვანელობა სცადა უკანასკნელმა ხორეზმშაპმა ჯელალ ად-დინმა (1220-1231 წწ). მალე მან 70 000 კაცი შეკრიბა. ამ ძალით იგი გამოვიდა მტრის წინააღმდეგ. ბრძოლა გაიმართა ფერეანის ველზე – ქაბულის ახლოს. ორღღიანი სისხლისმღვრელი ბრძოლის შემდეგ მონღოლთა მრავალრიცხოვანი ჯარი მხედართმთავარ შიქიხუტუს მეთაურობით გაიქცა. ეს იყო მონღოლთა პირველი დამარცხება შუა აზიაში და ირანში მათი შემოჭრის დღიდან. მტერზე ამ გამარჯვების ამბის გაგებისთანავე პერათი, მერვი და სხვა ქალაქები აჯანყდნენ და დამპყრობთა გარნიზონები ამოწყვიტეს. მაგრამ ჯელალ ად-დინმა სწორად არ შეაფასა ხალხთა მასების მონაწილეობა ამ ბრძოლაში და მთელი თავისი იმედები ფეოდალურ ლაშქარზე დაამყარა, რომელიც უმეტესად თურქი მომთაბარეებისაგან (ოგუზები და ხალაჯები) შედგებოდა. მალე მისმა მხედართმთავრებმა ურთიერთშორის დაცილის გაყოფის გამო იჩხუბეს და იგი მიატოვეს. ფერეანთან დამარცხების შემდეგ მონღოლთა მთელი ძალები თვითონ ჩინგიზ-ყაენის მეთაურობით გამოვიდნენ ჯელალ ად-დინის წინააღმდეგ. გადამწყვეტი ბრძოლა მათ შორის მოხდა მდ. ინდის ნაპირზე 1221 წლის ნოემბერში. ჯელალ ად-დინის ჯარი გაანადგურეს, თვითონ იგი კი სასწაულით გადარჩა: ცხენიანად გადაეშვა მდ. ინდში. მასთან ერთად ინდოეთს შეაფარა თავი მისმა ოთხი ათასმა მეომარმა, რომელთა შორისაც იყო სოჯენდის თავდაცვის სახელოვანი გმირი თემურ-მელიქი.

ჯელალ ად-დინს გამოედევნა მონღოლთა ოციათასკაციანი რაზმი, რომელიც შეიჭრა ინდოეთში, ააოხრა ქალაქები მულტანი და დელი, მაგრამ უკან დაბრუნდა ისე, რომ დავალება ვერ შეასრულა.

მალე ჩინგიზ-ყაენი სამარყანდში დაბრუნდა. შუა აზიის და ხორასნის დაპყრობა დასრულდა. ხორეზმის იმპერია უკვე აღარ არსებობდა. ჯელალ ად-დინის წინააღმდეგობაც გატეხილი იყო.

უგარმაბარი ტერიტორია წყნარი ოკეანიდან კასპიის ზღამდე მონღოლთა იმპერიის შემადგენლობაში მოექცა.

ჩინგიზ-ყაენის მთავარი სამხედრო ძალები სამშობლოში დაბრუნდნენ. მონღოლთა პატარ-პატარა რაზმები თავიანთი ოჯახებით და საქონლით აღმოსავლეთ ირანის დაპყრობილ ოლქებში დარჩნენ და ახლო წარსულში აყვავებული ოაზისები საძოვრებად გადააქციეს. მთელი მუსლიმური აღმოსავლეთი შეძრწუნებული იყო მონღოლთა დაპყრობებითა და მათ მიერ ქალაქების, სოფლების ნგრევით, მოსახლეობის განადგურებით. მოსალოდნელი იყო, რომ დამპყრობელთაგან საბრძოლველად ურთიერთშორის გაუთავებლად მებრძოლი ფეოდალური მბრძანებლები გაერთიანდებოდნენ, მაგრამ ეს არ მოხდა.

ჩინგიზ-ყაენის მონღოლეთში წასვლის შემდეგ ჯელალ ად-დინი ინდოეთიდან ირანში დაბრუნდა. მისი ძალაუფლება ცნობილი იქნა ფარსში, ქერმანში და სპარსეთის ერაყში. დიდი პირადი სიმამაცის პატრონი, ენერგიული და შეურიგებელი მებრძოლი ჯელალ ად-დინი არ იყო დაჯილდოებული პოლიტიკური მოღვაწის ნიჭით. ნაცელად იმისა, რომ ჩინგიზ-ყაენის წინააღმდეგ საბრძოლველად ამიერკავკასიის და მცირე აზიის ქვეყნებთან კავშირი შეეკრა, იგი ტერიტორიული ბაზის გაფართოების მიზნით თვითონ გამოვიდა დამპყრობლის როლში. ექვსი წლის განმაელობაში (1225-1231 წწ.) იგი გაუთავებლად ომობდა: დაიპყრო აზერბაიჯანი, აიღო ახლათი, დაიწყო ომი ბაღდადის ხალიფასთან, ცდილობდა საქართველოსა და სომხეთის დამორჩილებას. მისი გამოჩენა ამიერკავკასიაში აღინიშნება ქალაქებისა და სოფლების ძარცვით. 1226 წ. 9 მარტს მან თბილისი აიღო, საშინლად გაძარცვა და დაანგრია. ჯელალ ად-დინმა გაბატონებული კლასის მხრიდან მხარდაჭერა ვერ პპოვა, ხოლო თავისი კლასობრივი შეზღუდულობის გამო, სალხთა მასებზე დაყრდნობა არ მოინდომა. ხალხთა მასებში (განსაკუთრებით ქალაქის მცხოვრებთა ქვედა ფენებში) მონღოლი დამპყრობლების წინააღმდეგ ბრძოლის სურვილი გაცილებით ძლიერი იყო, ვიდრე ფეოდალებსა და მდიდარ ვაჭრებს შორის. ქრისტიანი ხალხები — ქართველები და სომხები ჯელალ ად-დინმა მგრად მოიკიდა თავისი მუსლიმური ფანატიზმით, ხოლო მუსლიმ აზერბაიჯანელებს შორის იგი არაპოპულარული იყო თავისი მოადგილეების მძარცველური მოღვაწეობის

ვამო. საკუთარი სამხედრო პოტენციალის გაზრდის მიზნით, იგი თავის მეომრებს ლენურ მფლობელობაში ურიგებდა ქალაქებსა და სოფლებს (იკტა). ახალი მფლობელები, რომლებიც მონღოლთა დაპყრობების პირობებში გრძნობდნენ თავიანთი ძალაუფლების არასტაბილურობას, ცდილობდნენ ქვეშევრდომი მოსახლეობის რაც შეიძლება მალე გაძარცვას. ხვარაზმელების ძალადობისა და ძარცვა-გლეჯის გამო, მათ მიერ დაკავებულ ოლქებში ხშირი იყო სახალხო აჯანყებები და ფეოდალური არისტოკრატიის შეთქმულებები. განსაკუთრებით ძლიერი იყო სახალხო აჯანყება განჯაში (1231 წ.), რომლის ძირითადი მამოძრავებელი ძალა ქალაქის წვრილი ხელოსნები და ღარიბები იყვნენ. ამ აჯანყების ჩაქრობამ ჯალალ ად-დინის ძალები დაასუსტა; ამავე დროს, მის წინააღმდეგ შეიქმნა კოალიცია, რომლის შემადგენლობაშიც შევიდნენ საქართველო, რუმის სელჩუკიანთა სასულთანო და ხლათის (ახლათის) საამირო.

1228 წ. ჯელალ ად-დინმა, ქალაქის მცხოვრებთა რაზმების დახმარებით, მონღოლებზე გაიმარჯვა ისპაანთან, მაგრამ დიდი დანაკლისი განიცადა და ვერ შეძლო მგრის ღვენა. ამასობაში, 1229 წ. ირანში შევიდა მონღოლთა ახალი ჯარი ჩორმაღუნ-ნოინის სარდლობით, რომელმაც დაიწყო ბრძოლა ჯელალ ად-დინთან. 1231 წ. საბოლოოდ დასუსტებულმა ჯელალ ად-დინმა, თავისი ჯარის ნარჩენებთან ერთად, სამხრეთ ქურთისტანში დაიხია. მალე იგი დაიღუპა მარტოდმარტო, ქ. ამიდის (დიარბექირის) ახლოს, მთებში.

§4. მონღოლთა იმპერია ჩინგიზ-ყაენის სიკვდილის შემდეგ

თანასმად ჩინგიზ-ყაენის „იასას“ გადაწყვეტილებისა, ყველა დაპყრობილი ქვეყანა და ხალხი ითვლებოდა ხანის საგვარეულოს საკუთრებად, ამიტომაც მის დროს დაპყრობილი ტერიტორიები ჩინგიზ-ყაენმა საუფლისწულოებად დაუნაწილა თავის ვაჟებს. უფროს ვაჟს – ჯუჩის ერგო „დაშთ-ი ყიჭაღი“ („პოლოვეცელების ველი“) და ხორეზმი; მის საუფლისწულოში უნდა შესულიყო აგრეთვე ის მიწები, რომლებიც დასავლეთით დასაპყრობი იყო;

მეორე შვილმა — ჩაღათამ მიიღო მავერნაპრი, შეიდმდინარეთი და აღმოსავლეთი თურქესტანის სამხრეთი ნაწილი; მესამე შვილს — უგედეს ერგო აღმოსაელეთ თურქესტანის ჩრდილოეთი ნაწილი; უმცროს შვილს — თულუს მონღოლური ჩვეულების მისედვით, ერგო მამის ძირითად ულუსი — ცენტრალური მონღოლეთი, აგრეთვე — ჩრდ. ჩინეთი. მთელი იმპერიის სათავეში, დიდ ხანად ჩინგიზ-ყაენმა დანიშნა უგედე, რომელიც გამოირჩეოდა თავდაჭერილობით, რბილი ხასიათითა და ტაქტით. უგედე აგარებდა მიწისმოქმედების და ქალაქების აღორძინების პოლიტიკას. იგი აგრეთვე ცდილობდა დაპყრობილი ხალხების ბინადარ არისტოკრატიასთან დაახლოებას.

ჩინგიზ-ყაენი გარდაიცვალა 1227 წ. სამოცდათორმეტი წლის ასაკში. 1229 წ. მდ. კერულენის სანაპიროზე გამართულ ყურულთაიზე „დიდ ხანად“ გამოაცხადეს უგედე.

უგედე-ხანის ზეობის წლებში (1229-1241 წწ) გრძელდებოდა მონღოლთა დაპყრობები. 1231-1234 წწ-ში დამთავრდა ცზინის იმპერიის (ჩრდ. ჩინეთის) დაპყრობა და დაიწყო ხანგრძლიეი ბრძოლა სუნების სამხრეთ-ჩინურ იმპერიასთან (გაგრძელდა 1279 წლამდე). 1241 წ. დაიპყრეს კორეა. უგედეს დროს ყველაზე მნიშვნელოვანი სამხედრო ღონისძიება იყო მონღოლთა ლაშქრობა რუსეთზე და აღმ. ევროპისაკენ (1236-1242 წწ) ჯუჩის შვილის ბათოს და სუბუდაის შეთაურობით.

1246 წ. მონღოლ დიდებულთა ყურულთაიზე „დიდი სანის“ გახტზე აიყვანეს უგედეს შვილი გუიუქ-ყაენი (1246-1248).

მონღოლთა დაპყრობებით გამოწვეული უგარმაგარი ნგრევის მიუსედავად, ევროპასა და აზიას შორის სავაჭრო კავშირები არ შეწყვეტილა. დამპყრობლები ბრუნავდნენ სამხედრო-სტრატეგიული მიზნებით გზების კეთილმოწყობაზე, საფოსტო სადგურების (იამების) ქსელის გაფართოებაზე. ამ გზებით დადიოდნენ სავაჭრო ქარავნები ირანიდან ჩინეთში. მონღოლი ხანები მფარველობდნენ მსხვილ საბითუმო-საქარავნო ვაჭრობას, რომელიც ძლიერი შუააზიური და ირანული სავაჭრო კომპანიების ხელთ იყო. ამ კომპანიების წევრები იწოდებოდნენ ორტაღებად (ძვ. თურქული „წილში ამხანაგი“, „კომპანიონი“). დიდი ხანები, განსაკუთრებით უგედე-ხანი, ხალისით აბანდებდნენ თავიანთ თანხებს ორტაღების საქმიანობაში და მფარველობდნენ მათ. ეს იყო საერთაშორისო

საბითუმო ვაჭრობა ძვირფასი ქსოვილებით და ფეუფუნების საგნებით, რომელიც უმთავრესად არისტოკრატიის მოთხოვნილებას აკმაყოფილებდა.

მონღოლთა დაპყრობებმა გამოიწვია აზიისა და ევროპის ქვეყნებს შორის დიპლომატიური ურთიერთობის გაფართოება. მონღოლებთან ურთიერთობის დამყარებას განსაკუთრებით ცდილობდნენ რომის პაპები. ისინი კრებდნენ ცნობებს მონღოლთა შესახებ, რომელნიც დასავლეთ ევროპას შიშის ზარს სცემდნენ. რომის პაპებს სურდათ მონღოლების გამოყენება ჯვაროსნების მოკავშირეებად მუსლიმური სახელმწიფოების სირიის, პალესტინის, განსაკუთრებით კი, ეგვიპტის წინააღმდეგ ბრძოლაში, და ბოლოს, რომის პაპები იმედოვნებდნენ, რომ მონღოლ ხანებს მიაღებინებდნენ კათოლიკურ ქრისტიანობას. რომის პაპმა ამ მიზნით 1246 წ. დიდი ყაენის ურდოში — ყარაყორუმში გააგზავნა მონაზონი იოანე დე პლანო კარპინი. 1253 წ. იქვე ამ მიზნითვე გააგზავნეს მონამონი ეილპელმ რუბრუკვისი. ამ ავტორთა მოგზაურობის ჩანაწერები ძვირფასი წყაროა მონღოლების ისტორიისათვის.

მონღოლი ხანები — შამანისტები, რომლებიც ყველა რელიგიის სამღვდელოებას ზებუნებრივ ძალას მიაწერდნენ, პაპის გაგზავნილებს კეთილგანწყობილებით შეხვდნენ. ყარაყორუმიდან უკან გამომგზავრებისას პლანო კარპინს პაპ ინოკენტი მეოთხისათვის ვადასაცემად საპასუხო წერილი ჩააბარეს, რომლითაც გუიუქ-ყაენი თანახმა იყო რომის პაპთან და ევროპის მეფე-ხელმწიფეებთან კავშირ-ურთიერთობაზე, მხოლოდ ერთი პირობით: რომის პაპსა და ევროპის მეფეებს თავისი თავი „დიდი ხანის" ვასალებად უნდა ეცნოთ. ეს წერილი დაწერილი იყო სპარსულად და დამოწმებული მონღოლური ბეჭდით, რომელიც გუიუქისათვის რუსმა ტყვე ოსტატმა კუზმამ დაამზადა.

გუიუქ-ყაენის სიკვდილის შემდეგ, მონღოლ დიდებულთა შორის მძაფრი ბრძოლა დაიწყო „დიდი ყაენის" ტახტზე ასაყვანი კანდიდატის შესარჩევად. 1251 წ. „ოქროს ურდოს" ყაენის ბათოს დახმარებით ტახტზე აიყვანეს თულუს შვილი მუნკე (მანგუ, მენგუ) ყაენი (1251-1259 წწ.) ჩინელი მემატიანეები მაღალ შეფასებას აძლევენ მუნკე-ყაენის მმართველობას. ის ცდილობდა მიწისმოქმედებისა და ხელოსნობის აღორძინებას, მფარველობდა მსხვილ საბითუმო ვაჭრობას. მუნკე-ყაენმა გამოსცა ბრძანებულება, რო-

მელიც მიზნად ისახავდა საგადასახადო სისტემის მოწესრიგებას, გლეხებისა და მოქალაქეების მდგომარეობის რამდენადმე შემსუბუქებას, მაგრამ ირანში ეს ბრძანებულება არ განხორციელებულა. დაპყრობითი ლაშქრობები ჩინეთისა და დასავლეთისაკენ კელავ გრძელდებოდა.

დაპყრობებით შექმნილმა იმპერია-კონგლომერატმა თავის ხელქვეით გააერთიანა ბევრი ტომი, ეროვნება და სახელმწიფო სრულიად სხვადასხვა ეკონომიკითა და კულტურით. როგორც მთლიანი პოლიტიკური ერთეული იგი დიდხანს ვერ გაძლებდა. მუნკე-ყაენის სიკვდილის შემდეგ (1259 წ.) იგი საბოლოოდ დაიშალა რამდენიმე მონღოლურ სახელმწიფოდ (ულუსად), რომელთა სათავეშიც იდგნენ ულუსის ხანები — ჩინგიზ ხანის შთამომავალნი. ეს სახელმწიფოები იყო: ოქროს ურდო, რომელიც მოიცავდა ჩრდ. კავკასიას, ყირიმს, სამხრეთ რუსეთს, ქვემო ვოლგისპირეთს — იმყოფებოდა ჯუჩის შთამომავლების ხელში; ჩაღათას სახელმწიფო — მოიცავდა შუა აზიას და შეიდმდინარეთს (სახელწოდება მიიღო ჩინგიზ-ხანის შვილის ჩაღათასაგან); ჰულუგუიანთა სახელმწიფო — შეიქმნა ირანში მუნკე ყაენის ძმის ჰულაგუ-ხანის მიერ; სახელმწიფო მონღოლეთსა და ჩინეთში („დიდი ყაენის" სამფლობელო), სადაც ტასტზე იჯდა მუნკე-ყაენის ძმა ყუბილაი. ამ სახელმწიფომ მიიღო ოფიციალური ჩინური სახელწოდება — იუანის იმპერია. ამ სახელმწიფოების განვითარება სხვადასხვა გზით წარიმართა.

§5. ირანის მდგომარეობა XIII საუკუნის 30-50-იან წლებში

ჯელალ ად-დინის სიკვდილის შემდეგ მონღოლებმა მისი რაზმების ნაშთები გაანადგურეს და დაიპყრეს აზერბაიჯანი, არანი, შირვანი, საქართველო და სომხეთი (1231-1239 წწ). ამავე დროს გრძელდებოდა მონღოლთა დაპყრობები ირანში: მათ 1237 წ. აიღეს და ააოხრეს ისპაანი. ამავე დროს დაიპყრეს ჯეზირა (ზემო მესოპოტამია). მონღოლთა ჯარი ძარცვავდა და არბევდა ოლქებსა და სახელმწიფოებს დასავლეთშიც. მონღოლებმა გაანადგურეს ქალაქები მოსული, ნისიბინი, მარდინი, დიარბექირი, ბითლისი, XIII ს-ის დასაწყისში მონღოლებმა შეუტიეს რუმის სელჩუკიანთა

სასულთნოს, რომელიც მც. აზიაში მდებარეობდა (1077-1307 წწ). 1243 წ. ქიოსე-დაღთან ბრძოლაში რუმის სელჩუკიანთა სულთანი ღიას ად-დინ ქეიყობად II დამარცხდა. სულთანმა მონღოლებთან ზავი დადო: მას ხარკის სახით ყოველწლიურად უნდა გადაეხადა 1000 დინარი, ცხენი, მონა, მხეველი და მონადირე ძაღლი. დიდ ყაენს დამორჩილდა აგრეთვე ხეთუმი, კილიკის სომხეთის მეფე. ეს სახელმწიფო (1080-1375 წწ) ხმელთაშუა ზღვის სამხრეთ-აღმოსავლეთ სანაპიროზე დააარსეს თურქ-სელჩუკთა შემოსევების შედეგად სომხეთიდან ემიგრირებულმა სომხებმა.

XIII ს-ის 50-იან წლებში მონღოლ დამპყრობთა ხელში იყო ხორასანი, სისტანი, მაზენდარიანი, სპარსეთის ერაყი და აზერბაიჯანი. ირანის სამხრეთი და სამხრეთ-დასავლეთი მონღოლთა შემოსევებისაგან არ დაზარალებულა. ამ ტერიტორიაზე იყო რამდენიმე სხვადასხვა წარმოშობის და მონღოლებთან დამოკიდებულების თვალსაზრისითაც სხვადასხვანაირი სამფლობელო.

ქერმანს ფლობდა ყარა-კიდაების დინასტია. მისი დამაარსებელი ბურაქ-პაჯიბი შვიდმდინარეთში ყარა-კიდაების სახელმწიფოს დაღუპეის შემდეგ ხორეზმშაპ მუჰამედს შეუერთდა, ხოლო მონღოლთა შემოსევების დროს დაეუფლა ქერმანს და მთელ მის ოლქს. მონღოლი ყაენისაგან მან მიიღო ამ მიწების ფლობის იარლიყი და „ყუთლუღ-ხანის“ ტიტული, რომელიც შემორჩათ მის მემკვიდრეებსაც.

ფარსი იყო ათაბაგ აბუ-ბექრის (სალგურიდების დინასტიიდან) მფლობელობაში (1230-1260 წწ). სალგურიდები ყოველნაირად ამმეენიერებდნენ თავიანთ დედაქალაქ შირაზს, რომელსაც უმღერა მისმა მკვიდრმა დიდმა პოეტმა სა-ადიმ (1184-1291 წწ).

ლურისტანი X ს-ის დასაწყისიდან ორ ნაწილად იყოფოდა: სამხრეთ-აღმოსავლეთი ანუ დიდი ლური (საზარასპიდების ათაბაგთა დინასტიის სამფლობელო) და ჩრდილოეთ-დასავლეთი ანუ მცირე ლური, რომელსაც ათაბაგების დამოუკიდებელი დინასტია მართავდა.

ლურისტანიდან დასავლეთით იყო აბასიანთა ბაღდადის სახალიფოს სამფლობელოები, რომელსაც შედარებით მცირე ტერიტორია ეჭირა ტიგროსსა და ევფრატს შორის შუამდინარეთში.

მონღოლთა შემოსევები არ შეხებია ისმაილიტების ალამუთის სახელმწიფოს (1090-1256 წწ). ირანში, მც. აზიაში, სირიაში, მაევრ-

ანაკრში და შორეულ ყარაყორუმშიც მმართველებს და მათ ეეგ-ირების ძველებურად ეშინოდათ ალამუთის „მთის მოხუცის“ მიერ გაგზავნილი მკვლელების და ბევრი ამ მმართველთაგანი ხარკს უხდიდა მათ. ისმაილიტების თარეში სავაჭრო-საქარავნო გზებზე ხელს უშლიდა სავაჭრო ურთიერთობის განვითარებას.

ამ ათწლეულში განსაკუთრებულ მდგომარეობაში აღმოჩნდა ხორასანი. პირველი მონღოლი გამგებლის ჩინთემურის წინამე წამოიჭრა საკითხი: აღგილობრივ მოსახლეობიდან ამოექაჩა რაც შეიძლება ბევრი ფული, ძვირფასეულობა, პროდუქტები და მოწესრიგებინა გადასახადების სისტემატური აკრეფა. ჩინთემური სასტიკი წამებით აიძულებდა მოსახლეობას გამოტეხილიყვნენ, თუ სად მალავდნენ სიმდიდრეს. აღმინისტრაციული, პირველ რიგში საგადასახადო სისტემის, მოსაწესრიგებლად მან სამსახურში მიიზიდა აღგილობრივი, ირანელი მოხელეები. ჩინთემური, შემდეგ კი მისი მონაცვლეები, მონღოლი სანის წინაშე პასუხს აგებდნენ გადასახადების შეუფერხებლად შეტანაზე. ეს კი იმ შემთხვევაში იყო შესაძლებელი, თუ მოსახლეობა დიდი გადასახადებით დაიბეგრებოდა, მაგრამ საბოლოოდ არ გაღარიბდებოდა, ე. ი. ექნებოდა, თუნდაც, მარგინი აღწარმოების უნარი.

ხორასნის გამგებლებმა მთელი რიგი ღონისძიებები გაატარეს დაპყრობების დროს დანგრეული ქალაქებისა და სოფლების აღსადგენად. ასე, მაგ., ჩინთემურის მონაცელე კურკუზმა აღადგინა და თავის მუდმივ რეზიდენციად აქცია ქ. ტუსი. აღადგინეს აგრეთვე ქ. პერათი. ხორასნის გამგებელი და მისი გარემოცვა (მონღოლი ფეოდალები) დაუახლოვდნენ განადგურებას გადარჩენილ აღგილობრივ ბინადარ ფეოდალებს, შეითვისეს ირანული კულტურა.

დამორჩილებულ სალხთა ზეღაფენასთან დამპყრობლების დაახლოების პოლიტიკური ხაზი შეეჯახა მეორე მიმდინარებას, რომლის გამტარებელიც იყო მონღოლ დიდებულთა დიდი ნაწილი: მომთაბარული ტრადიციების დამცველნი, მტრულად იყვნენ განწყობილი ბინადარი მოსახლეობისადმი. ისინი სასტიკად ეწინააღმდეგებოდნენ მათთან დაახლოებას.

ძალმომრეობისა და მოსახლეობის დატყვევებასთან ერთად, მონღოლმა მსედართმთავრებმა დაიწყეს მიწების დატაცება. სომეხი ისტორიკოსი ვარდანი მოგვითხრობს, რომ მონღოლები „შეიჭრნენ საქართველოს სამეფოს ფარგლებში და კენჭისყრით

ვაანაწილეს ყველა ცნობილი ადგილი, ოლქი და მიუვალი ციხე თავიანთ მთავარსარდლებს შორის, რომელთაც ნოინებს უწოდებდნენ. ისინი დაუყოვნებლივ შევიდნენ იმ საამფლობელოებში, რომლებიც მათ კენჭისყრით ერგოთ". ასე იყო ირანშიც.

1254-1256 წწ. მონღოლებმა მთელი საყაენო აღწერეს. ამ აღწერას გარდა ფისკალურისა, სამსჯღრო მნიშვნელობაც ჰქონდა, ამიტომაც ივ. ჯავახიშვილი, სომეხი ისტორიკოსის გრიგოლ აკნერცის ცნობაზე დაყრდნობით, აცხადებს, რომ აღწერის დავთრებში 15-დან 60 წ-მდე მამაკაცები შეიტანეს. „ყამთააღმწერლის" ცნობის მიხედვით, საქართველოს 90 000 მოლაშქრე უნდა გამოეყენა.

ამგვარი გზით ხელში ჩაგდებულ სამფლობელოებში მონღოლ ფეოდალებს თავი, როგორც დამოუკიდებელ მბრძანებლებს, ისე ეკავათ. მოსახლეობაში აკრეფილ გადასახადს ისინი საკუთარი საჭიროებისამებრ ხარჯავდნენ. ისინი ადგილობრივ მწარმოებელ მოსახლეობას სასტიკ ექსპლოატაციას უწევდნენ: ბეგრავდნენ აუტანელი გადასახადებით, არ ზრუნავდნენ მიწისმოქმედების, ხელოსნობისა და ვაჭრობის აღორძინებაზე; ადგილობრივ მოსახლეობასთან, ადგილობრივ ფეოდალებთანაც კი, ისინი არავითარ კავშირ-ურთიერთობას არ ამყარებდნენ. ეს ორი ურთიერთსაწინააღმდეგო პოლიტიკური ხაზი, რომელიც მონღოლ ფეოდალებს შორის წარმოიშვა XIII ს-ის 30-40-იან წლებში, მონღოლთა ბატონობას ირანში წითელ საზად გასდევს. ამ ორ მიმართულებას შორის მწვავე ბრძოლა მიმდინარეობდა. კურკუზი და მისი შემცველი 1244 წ. არღუნ-აღა არაერთხელ ცდილან ხალხის დაბეგვრის ზუსტი ნორმების დაწესებას, მონღოლ ფეოდალთა თვითნებობის შებღუდვას; აიძულებდნენ მათ მოსახლეობაში აკრეფილი გადასახადების შეტანას.

ირანში ორი დაუმორჩილებელი პოლიტიკური ერთეულის — ბაღდადის სახალიფოს და ისმაილიტების სახელმწიფოს არსებობამ, რომლებთანაც მონღოლები ვერაფერს გახდნენ, ამასთანავე, უკვე დაპყრობილი ტერიტორიების უკეთ ათვისებამ და იმპერიის საზღვრების შემდგომმა გაფართოებამ, აუცილებელი გახადა დასავლეთისაკენ ახალი ლაშქრობის მოწყობა.

ირანი თავდაპირველად ჯუჩის ულუსის (ოქროს ურდოს) შემადგენლობაში უნდა შესულიყო, მაგრამ XIII ს-ის 50-იან წლებამდე მას დიდი ყაენის მოადგილეები მართავდნენ.

§6. ჰულაგუ-ხანის ლაშქრობა ირანში

1251 წ. მონღოლეთში გამართულ ყურულთაიზე დიდი ყაენის ტასტზე აიყვანეს მუნკე-ყაენი (1251-1259 წწ.) ამავე ყურულთაიზე გადაწყდა მონღოლთა მიერ ასლო და შორეულ აღმოსავლეთში დასაპყრობი ტერიტორიების დალაშქვრის დაჩქარება. ამ მიზნით გაგზავნილი იქნა ორი დიდი ლაშქარი: ჩინეთში — ყუბილაი ხანის, ხოლო — ირანში ჰულაგუ-ხანის, მუნკე-ყაენის ძმების მეთაურობით. ჰულაგუს მოქმედების გარკვეული გეგმა დაუსახეს: ისმაილიტების ძლიერების მოსპობა, ბაღდადის ხალიფას დამორჩილება და ასლო აღმოსავლეთის ქვეყნების დაპყრობა.

1252 წ. ჰულაგუმ დაიწყო მზადება ლაშქრობისათვის, რომელსაც საერთო იმპერიული მნიშვნელობა ჰქონდა. მონღოლთა ყველა ულუსიდან ყოველი ათი კაციდან ორ-ორი კაცი იქნა გამოყოფილი, ანუ ყველა მონღოლი მამაკაცის მეხუთედი (მომთაბარეებში ყველა მოზრდილი მამაკაცი მეომარი იყო) ოჯახებით. ისინი დაუქვემდებარეს ჰულაგუს. ჩინეთიდან გამოიძახეს ათასამდე ქვისმტყორცნელი, ცეცხლის მტყორცნელი და მეარბალეტეები. გრიგოლ აკანელის ცნობით, ჯარში 70 000 კაცამდე იყო.

ტერიტორია, რომელშეც ჰულაგუს უნდა გაევლო, წინასწარ გაწმინდეს მომთაბარე ურდოებისაგან. მდინარეებზე შენდებოდა ხიდები, წესრიგში მოჰყავდათ გზები. მოსახლეობა ჯარისათვის ამზადებდა საჭმელ-სასმელსა და ფურაჟს. 1253 წ. ჰულაგუ ყარაჟორუმიდან ირანისაკენ დაიძრა, მაგრამ ძალიან ნელა მოძრაობდა და მხოლოდ 1256 წ. შვიდმდინარეთისა და შუა აზიის გავლის შემდეგ, გადავიდა მდ. ამუ-დარიაზე.

1256 წ. მონღოლთა ჯარმა ალყა შემოარტყა ისმაილიტთა მთელ რიგ ციხესიმაგრეებს. ჰულაგუ-ხანმა „მთის მოხუცს“ მოსითხოვა სრული კაპიტულაცია და ისმაილიტთა ციხესიმაგრეების დანგრევა. ამ დროს ისმაილიტთა მმართველ ზედაფენაში შინაური ბრძოლა მიმდინარეობდა, რომელმაც ძალთა თანაფარდობა მონღოლთა სასარგებლოდ შეცვალა. „მთის მოხუცი“ — მონღოლთა დაუძინებელი მტერი მოკლეს. მის წინააღმდეგ შეთქმულებას ხელმძღვანელობდა მისი შვილი რუქნ აღ-დინ ხურშაჰი, რომელსაც მხარს უჭერდა ისმაილიტთა პრომონღოლური დაჯგუფება. ამ დაჯგუფების, რომელშიც იყო სწავლული ასტრონომი, ნასირ აღ-დინ

ტუსი, ძალისხმევით ხურშაჰი დათანხმდა დამორჩილებაზე იმ პირობით, თუ მონღოლები მას სამფლობელოებს შეუნარჩუნებდნენ. ხურშაჰმა სცადა მოლაპარაკების გაჭიანურება და კაპიტულაციის გადადება, მაგრამ მონღოლებმა ციხესიმაგრეებზე იერიში მიიტანეს. მეიმუნდაზის ცისის ხანმოკლე ალყის შემდეგ, ხურშაჰი ციხიდან გამოეიდა და გამოცხადდა ჰულაგუ-ხანთან. ჰულაგუ ხურშაჰს სიცოცხლის შენარჩუნებას შეჰპირდა, მაგრამ იგი მუნკეყაენთან გააგზავნეს ყარაყორუმს და გზაში მოკლეს.

1256 წ. ბოლოს მონღოლებმა აიღეს და დაანგრიეს ისმაილიტების მიუვალი ციხესიმაგრე ალამუთი, შემდეგ კი 40 ცისე. გირდქუჰის ციხესიმაგრე — ღამღანის ახლოს 3 წლის განმავლობაში უმკლაველებოდა მონღოლებს. ისტორიკოს ათამალექ ჯუვეინის, რომელიც ამ ლაშქრობაში თან ასდდა ჰულაგუს, დაეალეს პირადად გაცნობოდა ალამუთის მდიდარ ბიბლიოთეკას. ჯუვეინიმ თავის თხზულებაში გამოიყენა ჰასან-საბაჰის ცხოვრება-მოღვაწეობის ამსახავი თხზულება „სარგოშაშოეე სეიდნა“.

შემდეგ წელს ჰულაგუმ ჯარი წაიყვანა ბაღდადზე. ბაღდადის სახალიფო მაშინ შედარებით პატარა სამფლობელო იყო, მაგრამ ხალიფას რელიგიური ავტორიტეტი როგორც სუნიტების რელიგიური (სულიერი) მეთაურისა, კვლავ შეურყეველი იყო. ხალიფა მუსთასიმმა (1242-1258 წწ) თავისი სამფლობელოს მმართველობა ქარის დიდებულებს მიანდო, რომელთა შორის მიმდინარეობდა სასტიკი ბრძოლა და გამუღმებული ინტრიგები ხელისუფლების ხელში ჩასაგდებად.

მონღოლთა შემოტევის საფრთხის წინ ხალიფას გარემომცველ პირთა შორის ბრძოლა არ შეწყვეტილა, თითოეული მათგანი მას სთავაზობდა მონღოლთა იმპერიასთან ურთიერთობის სხვადასხვა გზას. ხალიფა უკიდურესად დაბნეული იყო. მან ბრძანა ჯარის შეკრება, მაგრამ შემდეგ დაენანა ჯარისათვის ფულის მიცემა და ბრძანა მისი დაშლა. ჰულაგუს წინადადება კაპიტულაციის შესახებ ხალიფამ უარყო.

1257 წლის დეკემბერში მონღოლთა ჯარი ყოველი მხრიდან გაემართა ბაღდადისაკენ. ხანმოკლე იერიშის შემდეგ მონღოლები ქალაქში შეიჭრნენ. 20 დღე გრძელდებოდა ბაღდადის რბევა. მოსახლეობა, სქესისა და ასაკის განურჩევლად, გაჟლიტეს. სხვათა შორის, შეიწყნარეს ქრისტიანები და ებრაელები, რომლებსაც ჰუ-

ლაგუ-ხანი ოაეის მომსრეებად მიიჩნეედა, რაღგანაც მუსლიმურ სახელმწიფოებში ისინი უუფლებონი და დაბეჩაეებულნი იყენენ.

ბიბლიოთეკა, სელოვნებისა და კულტურის ძეგლები გაანადგურეს. 1258 წ. 10 თებერვალს ხალიფა მუსთასიმი ჩაბარდა. რამდენიმე დღის შემდეგ ჰულაგუ-ხანი ბაღდადში შეეიდა და ხალიფას უბრძანა: ეჩეენებინა აბასიანთა საგანძურის სამალავი. შიშისაგან აკანკალებულმა ხალიფამ ძლივს იპოვა საგანძურის გასაღები; იგი იძულებული გახდა ეღიარებინა ოქრო-ვერცხლით და ძვირფასეულობით სავსე საიდუმლო საწყობების არსებობა. აბასიანთა მიერ რამდენიმე საუკუნის განმაელობაში დაგროვილი ძვირფასეულობა ხანის კარვის ირგელიე მიწაზე დააწყეს. ჰულაგუს ბრძანებით ხალიფა სიკვდილით დასაჯეს (იგი ცხენის ფლოქვებით გათელეს). მასთან ერთად სიკვდილით დასაჯეს აბასიანთა საგვარეულოს ყველა მამაკაცი, ქალები მონებად აქციეს. ამგვარად, აბასიანთა სახალიფო, რომელიც ხუთ საუკუნეზე მეტხანს არსებობდა, მონღოლებმა მოსპეს. აღსანიშნავია, რომ ჰულაგუს მიერ ბაღდადის აღებაში ქართეელებიც მონაწილეობდნენ. „ქამთააღმწერლის“ ცნობით, ქართეელებს უამრავი ოქრო-ვერცხლი უშოვნიათ.

შემდეგ მონღოლებმა სირიაზე გაილაშქრეს. მათ აიღეს და ააოხრეს ალეპო, დამასკო და სხვა ქალაქები (1260 წ.), მაგრამ შემდეგ მონღოლების წინსვლა შეაჩერეს, რაღგანაც მიიღეს ცნობა მუნკე ყაენის სიკვდილის შესახებ. ჰულაგუ სასწრაფოდ დაბრუნდა აზერბაიჯანში. მონღოლთა წინსელის დროებით შეჩერება გამოიყენა ეგვიპტემ წინააღმდეგობის გაწევის ორგანიზაციისათვის. მალე ეგვიპტელებმა მონღოლები დაამარცხეს და ისინი წაეიდნენ სირიიდან. 1260 წ. კაიროში აღადგინეს აბასიანთა სახალიფო როგორც სასულიერო ხელისუფლების მქონე, საერო (პოლიტიკური) ხელისუფლების გარეშე. ხალიფად გამოცხადდა ბაღდადიდან ლტოლეილი პიროვნება, რომელიც თავს აცხადებდა აბასიანთა საგვარეულოს ერთ-ერთ წევრად.

ბაღდადის განადგურებამ და ხალიფას სიკვდილით დასჯამ მთელი მუსლიმური სამყარო შეაწუხა და აღაშფოთა. ამით ისარგებლა „ოქროს ურდოს“ ხანმა გამუსლიმებულმა ბერქემ (1256-1265 წწ), რომელმაც ისლამის დაცვის საბაბით ჰულაგუს წინააღმდეგ კაეკასიაში ოცდაათათასიანი ჯარი გამოგზაენა. ჯარის გამოგზაენის ნამდვილი მიზეზი იყო „ოქროს ურდოს“ მისწრაფება

სამხრეთით გადმოეწია თავისი საზღვრები და თავის სამფლობელოს შემადგენლობაში მოექცია, უკიდურეს შემთხვევაში, აბერბაიჯანი და საქართველო, რადგანაც „ოქროს ურდოს“ ხანები თელიღნენ, რომ ჩინგიზ-ხანის ანდერძის თანასმად, ეს ქვეყნები მათ ეკუთვნოდათ. 1262 წ. ჰულაგუს და ბერქეს ჯარები ერთმანეთს შესვდნენ კუნდუზჩასთან. რამდენიმე შეტაკების შემდეგ, ჰულაგუს ჯარი თერგთან ბრძოლაში დამარცხდა, „ოქროს ურდო“ კავკასიონის ქედს მიღმა გადავიდა. 1262 წლის ლაშქრობა პირველი იყო „ოქროს ურდოსა“ და ჰულაგუიანებს შორის მრავალწლიანი ბრძოლების ციკლში. ჰულაგუიანები ხელიღან არ უშვებდნენ სამხრეთ და ჩრდილოეთ აზერბაიჯანს.

§7. ჰულაგუიანთა სახელმწიფო და მისი მეზობლები

ჰულაგუ-ხანი მთელი თავისი ჯარით ირანში დარჩა, სადაც თავისთვის და თავისი მემკვიდრეებისათვის თვითნებურად შექმნა მონღოლური ულუსი. 1261 წ. „ღიდმა-ხანმა“ ყუბილაი-ყაენმა მას ინვესტიტურა გამოუგზავნა: მისი ძალაუფლება სცნო ახლად დაპყრობილ და მონღოლთა ძველ სამფლობელოებზე ირანში. მასვე მიანიჭა ილხანის ტიტული (სიტყვა-სიტყვით „ტომის ხანი“ ულუსის ხანის შნიშვნელობით).

ჰულაგუ-ხანის სახელმწიფოს, რომლის არსებობის დასაწყისად მიჩნეულია 1258 წ., უზარმაზარი ტერიტორია ეკავა. ჩრდილოეთით – კავკასიონის ქედი იყო სტაბილური საზღვარი ოქროს ურდოსთან; ამიერკავკასიაში – საქართველო და შირვანშაპების სახელმწიფო ჰულაგუ-ხანის ვასალები იყვნენ; ჰულაგუს სახელმწიფოს ხარკს უსდიდა ტრაპიზონის იმპერია – 1204 წ. შავი ზღვის სანაპიროზე დაარსებული პატარა ბერძნულ-ქართული სახელმწიფო; დასავლეთში, მც. აზიაში, რუმის სელჩუკიანთა სასულთნო მისდამი ვასალურ დამოკიდებულებაში იყო; ჰულაგუიანებზე ვასალურ დამოკიდებულებას სცნობდა მც. აზიის სამხრეთ-აღმოსავლეთში მდებარე კილიკიის სომხური სამეფო (1080-1375 წწ), რომელიც შემდგომში ეგვიპტის სასულთნოს წინააღმდეგ ბრძოლაში ჰულაგუიანთა დასაყრდენად იქცა; მდ. ევფრატი იყო სირიასთან

საზღვარი; სამხრეთით-სპარსეთის ყურე იყო ბუნებრივი საზღვარი; სამხრეთ-აღმოსავლეთით სახმელეთო საზღვარი ინდოეთის სამთავროებთან გასდევდა ზღვას მდ. ამუ-დარიასაკენ, თერმეზთან ახლოს, ოოტა აღმოსავლეთით. თანამედროვე ავღანისტანში, ქ. პერათით ცენტრში, იყო ჰულაგუს ვასალი ქართველების (ქორთების) სახელმწიფო; აღმოსავლეთით — მდ. ამუ-დარია იყო საზღვარი ჩაღათაელების მონღოლურ სახელმწიფოსთან; ჩრდილოეთით, ურგენჩის სამხრეთით, კასპიის ზღვის აღმოსაელეთ სანაპირომდე — ესაზღვრებოდა „ოქროს ურდო". კასპიის ზღვა ჰულაგუიანთა სახელმწიფოს ჩრდილოეთიდან ესაზღვრებოდა. მხოლოდ ძნელადმისაგენი გილიანის ოლქი ღიდსანს ინარჩუნებდა თავის დამოუკიდებლობას.

„ოქროს ურდო", ჩაღათაელთა სახელმწიფო, სირიისა და ეგვიპტის მამლუქთა სასულთნოები ჰულაგუიანთა მტრები იყვნენ. ეგვიპტე, რომელიც მამლუქთა გვარდიის ბედაფენიდან გამოსული სულთნების ხელთ იყო, წარმოადგენდა ახლო აღმოსაელეთში ეკონომიკურად ყველაზე უფრო განვითარებულ და ცენტრალიზებულ სახელმწიფოს.

1261 წ. მამლუქებმა ღაიმორჩილეს სირია; 1291 წ. მათ დაიპყრეს ჯვაროსანთა უკანასკნელი სამფლობელოები პალესტინაში, რის შემდეგაც კაირო და ალექსანდრია აღმოსავლეთსა და დასაელეთს შორის ვაჭრობის საქმეში შუამავლებად იქცნენ. ამას ეგვიპტის კეთილდღეობისათვის თითქმის ორი საუკუნის განმავლობაში განსაკუთრებული მნიშვნელობა ჰქონდა.

ეგვიპტემ ჰულაგუიანთა სახელმწიფოს წინააღმდეგ ბრძოლაში „ოქროს ურდოს" სახით მოკავშირე ჰპოვა. მამლუქთა სულთნებმა მარჯვედ გამოიყენეს „ისლამის დამცველის" როლი „ურწმუნოების" (მონღოლები, ჯვაროსნები...) წინააღმდეგ ბრძოლაში.

ეგვიპტის წინააღმდეგ ბრძოლამ განაპირობა ჰულაგუიანთა ხანგრძლივი ურთიერთობა სირიელ ჯვაროსნებთან და ევროპის ქრისტიანულ სახელმწიფოებთან, განსაკუთრებით საფრანგეთთან და გენუასთან. უკვე პირველი ილხანების ღროს მათ შორის — ერთი მხრივ ილხანთა და მეორე მხრივ საფრანგეთს, ინგლისსა და რომის პაპს შორის გაიცვალა ელჩობები, რომელთა მიზანიც იყო მამლუქების წინააღმდეგ საერთო კავშირის შეკერა „ქრისტეს საფლავის გათავისუფლებისათვის" ანუ სირიის და პალესტინის

ერთობლიეი დაპყრობისათვის. ჰულაგუიდები ამ ქვეყნებს ჰპირდებოდნენ თავიანთ ქრისტიან ვასალ-ჯვაროსნებს.

ასეთი იყო საერთაშორისო ვითარება იმ დროს, როდესაც შეიქმნა და განვითარდა ჰულაგუიანთა სახელმწიფო. გაუთავებელმა და ძვირადღირებულმა ომებმა, რომლებიც ამ სახელმწიფოს თითქმის ყველა საზღვართან მიმდინარეობდა, მნიშვნელოვანი გავლენა მოახდინა ჰულაგუიანთა სამინაო პოლიტიკაზე.

§8. ჰულაგუიანთა სახელმწიფოს ორგანიზაცია

ჰულაგუიანთა სახელმწიფოს ორგანიზაცია მონღოლთა იმპერიის ორგანიზაციის მსგავსი იყო. უმაღლესი ხელისუფლება სახელმწიფოში ეკუთვნოდა ილხანს. მონღოლი უფლისწულები, ნოინები და ამირები ხანის ვასალებად ითვლებოდნენ. ისინი ხანისაგან საუფლისწულოდ იღებდნენ დიდ ტერიტორიებს ანდა ცალკეულ ქალაქებს, რომლებიც მათ დიდ შემოსავალს აძლევდა. საუფლისწულოების ყველა მფლობელი არ ცხოვრობდა თავის სამფლობელოში და არ განაგებდა მათ: სამფლობელოებს სახელმწიფო მოსელეები განაგებდნენ. თურქი და მონღოლი ფეოდალები მონღოლთა ჯარის მხედართმთავრები იყვნენ. ჯარს შემორჩენილი ჰქონდა გვაროვნულ-ტომობრივი დაყოფა, ისინი ვალდებული იყვნენ ხანის დაძახილზე თავისი მეომრებით გამოცხადებულიყვნენ საომარად.

ილხანი და მთელი მონღოლური არისტოკრატია მომთაბარულ ცხოვრებას აგრძელებდა; ჯერგით, შევარდნებით ნადირობები და ძვირადღირებული ნადიმები ენაცვლებოდა ლაშქრობებს. ილხანი ერთ მუდმივ ადგილზე არ ცხოვრობდა: წლის ნაწილს იგი აგარებდა ბაღდადსა და თავრიზში, დანარჩენ დროს მომთაბარეობდა, ზაფხულობით — იალაღებზე, ზამთრობით — ყიშლაღებზე. მონღოლ დამპყრობლებს განსაკუთრებით იზიდავდა აზერბაიჯანი თავისი შესანიშნავი საძოვრებით.

ძველი, ადგილობრივი დინასტიები საქართველოში, რუმში, ლურისტანში, ფარსში, ქერმანში, იეზდში, ჰერათში, აღანისტანში და სხვ., რომლებმაც ჰულაგუს ირანში შესვლის დროს თავიანთი მორჩილება გამოაცხადეს, დარჩნენ მის ვასალებად, მაგრამ მათ ქვეყნის მართვა შეეძლოთ მხოლოდ ილხანის წარმომადგენლის

(მონღ. ბასკაკი, სპარს. შისნა) კონტროლქვეშ. დიდი დამოუკიდებლობით სარგებლობდა კილიკიის სომეხთა სახელმწიფო.

ბინადარი მოსახლეობით დასახლებული უზარმაზარი ტერიტორია, რომელიც თავისი ეკონომიკით, ენით, რელიგიით და კულტურით სავსებით უცხო იყო მომთაბარე-დამპყრობთათვის, მონღოლთათვის ძნელად სამართავი აღმოჩნდა. მონღოლებს ქვეყნების მართვა-გამგებლობის გამოცდილება არ ჰქონდათ, ამავე დროს საჭირო იყო ფისკალური აპარატის შექმნა. რადგანაც მათ საამისო ძალები არ ჰყავდათ, ისინი იძულებული გახდნენ სამოხელეო სარბიელზე დაეწინაურებინათ ირანული სამოქალაქო ბიუროკრატია.

მონღოლები საჭირო კადრებს ქალაქებში მცხოვრებ ირანელ მოხელეებს შორის პოულობდნენ. ირანის მრავალ ქალაქში შემორჩენილი იყო ბევრი ძველი ირანული ოჯახი, რომლებიც მიეკუთვნებოდნენ ირანულ სამოქალაქო ბიუროკრატიასა და სასულიერო წოდებას, ამავე დროს კი იყვნენ მსხვილი მიწისმფლობელები – ოლქის მსხვილი ფეოდალები, რომლებიც თავიანთი მიწებიდან იღებდნენ ფულადსა და ნატურალურ რენტას. ეს სამოქალაქო ბიუროკრატია, რომელიც ადრე სელჩუკიანებთან და ხორეზმშაპებთან მსახურობდა, სიამოვნებით დათანხმდა მონღოლ-ილხანებთან თანამშრომლობას. ერთ-ერთი ასეთი ძველი ირანული ოჯახი, რომელიც ჰულაგუ-ხანმა სახელმწიფო სამსახურში დააწინაურა, ჯუვეინიანთა ოჯახი იყო. ილხანთა ადმინისტრაციულ-საფინანსო აპარატში მუშაობამ სამოქალაქო ბიუროკრატიას უზარმაზარი შემოსავალი მოუტანა; ასე, მაგ., ყოველისშემძლე ვეზირ შამს ად-დინ მუჰამედ ჯუვეინის (ისტორიკოსის ძმის) ყოველღიური შემოსავალი 1 თუმანს (ათი ათას ვერცხლის დინარს) უღრიდა, რაც შეადგენდა 360 თუმანს წელიწადში და 20%-ით აღემატებოდა ჰულაგუს სახელმწიფოს მთელ შემოსავალს.

მუსლიმმა სასულიერო პირებმა: სეიღებმა, ულემებმა, დერვიშული ორდენების შეიხებმა მონღოლთა ბატონობის დროს თავისი პრიეილეგირებული მდგომარეობისა და ეკონომიკური სიძლიერის შენარჩუნება შეძლეს. შამანისტმა მონღოლებმა, რომლებიც საერთოდ სარწმუნოებრივი შემწყნარებლობით გამოირჩეოდნენ, სწრაფად გაითვალისწინეს ის უზარმაზარი მორალურ-რელიგიური ავტორიტეტი, რომლითაც ხალხთა მასებში მუსლიმი სასულიერო პირები სარგებლობდნენ. მათ შეუნარჩუნეს

ეაკუფების ნაწილი. ისევე, როგორც აღრე, ვაკუფის სამფლობელოები მიწების დიდ ფართობს მოიცავდა; ეაკუფებს ჰქონდათ აგრეთვე სახელოსნოები, დახლები, ბაზრები, ქარვასლები, რომელთა შემოსავალსაც სასულიერო ფეოდალები ისაკუთრებდნენ. სასულიერო და სამოხელეო არისტოკრატია მჭიდროდ იყო დაკავშირებული როგორც ადგილობრივ, ასევე საგრანზიტო-საქარავნო ვაჭრობასთან. ძლიერი სავაჭრო კომპანიის წევრები — ორტაღები — ხშირად მოქმედებდნენ როგორც ხანების, უფლისწულების, ხანების ცოლების და მსხვილი ფეოდალების კონტრაგენტები. სავაჭრო ოპერაციებში დაბანდებული თანხა მათ უბრუნდებოდათ ორტაღების მიერ არაბეთის ქვეყნებიდან, ინდოეთიდან, ჩინეთიდან და დასავლეთის ქვეყნებიდან გამოტანილი საქონლის სახით. აბრეშუმისა და ფარჩის ტანსაცმელი, აბჯარი, იარაღი, მაუდი, ფაიფური, ძვირფასი ქვები, ოქროსი და ვერცხლის ნივთები ფეოდალთა კარზე ძვირად ფასობდა.

ირანული სამოხელეო ბიუროკრატია დამპყრობლებს სჭირდებოდა, რამდენადაც ის იყო დაპყრობილი ქალაქებისა და სოფლების მოსახლეობის ექსპლოატაციის საქმეში მათი ძირითადი მოადგილე და აგენტი. ამგვარად, ჰულაგუიანთა სახელმწიფოში ფეოდალთა გაბატონებული კლასი შედგებოდა ოთხი სოციალური ჯგუფისაგან, რომელიც ერთმანეთისაგან განსხვავდებოდა თავისი ეთნიკური წარმოშობით, ენით, რელიგიით და ცხოვრების წესით: 1. სამხედრო-მომთაბარული არისტოკრატია — მონღოლური, თურქული, ქურთული; 2. სამოქალაქო ბიუროკრატია — უმთავრესად სპარსელები; 3. უმაღლესი სასულიერო პირები — მუსლიმური, ხოლო ამიერკავკასიის ქვეყნებში, მც. ამიაში და არაბეთის ერაყში — აგრეთვე ქრისტიანული; 4. ადგილობრივი ირანული პროვინციული არისტოკრატია, რომელიც ცენტრალურ სასელმწიფო აპარატთან არ იყო დაკავშირებული. წამყვან პოლიტიკურ როლს მონღოლური და თურქული მომთაბარული არისტოკრატია თამაშობდა. ადგილობრივი ირანული არისტოკრატიიდან მხოლოდ ნაწილი გადარჩა, მეორე ნაწილი განადგურდა და მათი მიწები გადაეცა ან სახელმწიფოს, ან მონღოლური მომთაბარული არისტოკრატიის ხელში. ეს უკანასკნელი არ ანებებდა თავს მომთაბარული ცხოვრების წესს, მაგრამ როდესაც ხელში ჩაიგდო დამუშავებული მიწები, ამ მიწებზე მსხდომი გლეხების ფეოდალურ

ექსპლუატატორად გადაიქცა. გაბატონებული კლასის ამ ჯგუფებს შორის, მის შიგნითაც ზოგჯერ მკვეთრი დაპირისპირება იყო.

სახელმწიფოს მთელი ძალისხმევა მოსახლეობიდან შემოსავლის მაქსიმალური ამოქაჩვისაკენ იყო მიმართული. სამოქალაქო მმართველობის სათავეში იდგა დიდი დივანის ვეზირი (ანუ საპებ დივანი), რომელიც განაგებდა მთელ ხაზინას, გადასახადების აკრეფის საქმეს, სახელმწიფოს შემოსავალსა და გასავალს, მთელ საქმისწარმოებას და ადმინისტრაციის ქვედა ფენების საქმიანობას. ვეზირის უწყებაში შედიოდა აგრეთვე სახელოსნოები (სპ. ქარსანე, მრ. რ. ქარხანათ), რომლებიც ჩვეულებრივ სანს ან მის ოჯახს ეკუთვნოდა. ამ ქარხანებში დაპყრობების დროს მონად ქცეული ხელოსნები, ან მათი შთამომავლები ცხოვრობდნენ. ცალკეულ ოლქებსა და დიდ ქალაქებში ისხდნენ საფინანსო მოხელეები, რომლებიც ცენტრალური ხელისუფლების წინაშე ანგარიშვალდებულნი იყვნენ ხაზინაში გადასახადების დროულად და შეუფერხებლად შეტანაზე. პრაქტიკაში იყო გადასახადების აკრეფის შემსყიდველობითი სისტემა. შემსყიდველს შეეძლო აბსოლუტურად უკონტროლოდ გაეძარცვა მოსახლეობა. გადასახადების აკრეფა ქალაქებიდან და ოლქებიდან აბსოლუტურად სასტიკი ღონისძიებებით სორციელდებოდა და მინიატურულ ლაშქრობას ემსგავსებოდა. მოსახლეობიდან გამოძალული თანხები უზარმაზარი იყო. ჰამდალლაჰ ყაზვინის მიხედვით, სახელმწიფოს წლიური შემოსავალი 1295 წ. 1700 თუმანს უდრიდა (ვასაფის მიხედვით — 1800 თუმანს). ამის გარდა, არცთუ მცირე თანხა რჩებოდა მოხელეების, გადასახადის შემსყიდველებისა და ფეოდალების ხელში, რადგანაც ფეოდალთა მფლობელობაში მყოფ ოლქებში გადასახადები თუმცა სახელმწიფო მოხელეების მიერ იკრიფებოდა, მაგრამ შედიოდა არა სახელმწიფო ხაზინაში, არამედ თავს იყრიდა ფეოდალთა ჯიბეში.

გარდა ცენტრალური უწყების „უმაღლეს დივანისა", იყო სხვა დივანებიც, რომელთა შორის ინჯუს დივანი განაგებდა ხანის და მისი ოჯახის პირად უძრავ-მოძრავ ქონებას. ხანის ხაზინაში თავმოყრილი უზარმაზარი სახსრები, ისარჯებოდა ხანის და მისი საგვარეულოს, უფლისწულებისა და მათი ცოლების მდიდრულ ნადიმებსა და ნადირობაზე, აგრეთვე ჯარის შენახვაზე.

ჰულაგუ-ხანის ჯარი შედგებოდა ირანში მასთან ერთად მოსული მონღოლი და თურქი მომთაბარეებისა და XIII ს-ის 30-იანი

წლებიდან ირანში მყოფი ლაშქრისაგან. მომთაბარეთა ძველი ტრადიციის მიხედვით, ლაშქარი ტომობრივი პრინციპის მიხედვით იყო ორგანიზებული. ჯარის ორგანიზაციული დაყოფა ათეულებად, ასეულებად, ათასეულებად და დუმანებად თანხედებოდა გვართა და ტომთა დაჯგუფებებს და ქვედანაყოფებს. მომთაბარე მონღოლურ და თურქულ ტომთა ბელადებს ჯარში უმაღლესი თანამდებობები ეკავათ (ათასეულების და ათიათასეულების – დუმანების ამირების – ნოინების). ამავე დროს, ეს ნოინები, ამირები ან ბეგები მსხვილი ფეოდალები იყვნენ, რომლებიც ლენური მფლობელობის (იკტას) საფუძველზე ფლობდნენ მიწებს და გლესებს. ისინი თავიანთი ტომების მომთაბარეებთან ერთად სამხედრო სამსახურს ასრულებდნენ. მხედართმთავრები და მათი მეომრები მომთაბარულ ცხოვრებას ეწეოდნენ: ზაფხულობით მომთაბარეობდნენ მათთვის განკუთვნილ „იურტებზე“ – უმეტესად სასაზღვრო რეგიონებში – აზერბაიჯანში, ამიერკავკასიაში, ხორასანში, ხოლო ზამთრობით თავს იყრიდნენ ილხანის ან უფლისწულის ბანაკებში. ჯართან ერთად მომთაბარეობდნენ მათი ოჯახები, ჯოგები და მონები. თავდაპირველად ლაშქრის რიგითი მეომრები არ იღებდნენ ლენებს (იკტა), არამედ ღებულობდნენ მხოლოდ „შესანახს“, ტანსაცმელს („ჯამეგი“), „საჭმელს“ („ულუფა“) და ფურაჟს („ალაფე“).

მონღოლურ-თურქული მომთაბარული არისტოკრატია მტკიცედ იცავდა ჩინგიზ-ხანის „დიდ იასას“ და მომთაბარულ ტრადიციებს; არ ეადადიოდა ბინადარ ცხოვრებაზე და არ ითქვიფებოდა ირანულ ბინადარ არისტოკრატიაში. კიდევ მეტი, ბინადართა მუსლიმური კულტურისა და ისლამისადმი სამხედრო-ნომადური არისტოკრატია დიდი ხნის განმავლობაში მტრულად იყო განწყობილი. მონღოლური ნომადური არისტოკრატიისათვის მონღოლური ტრადიციების დაცვა უკავშირდებოდა კერპთაყვანისმცემლობას, ბუდიზმს ან ქრისტიანობას (ნესტორიანული მიმართულების). ეს ორი უკანასკნელი რელიგია მონღოლებში გავრცელდა უიღურების მეშვეობით ჯერ კიდევ ჩინგიზ-ხანის მიერ მათ გაერთიანებამდე. ჰულაგუ-ხანისა და მისი პირველი მემკვიდრეების დროს სხვადასხვა რელიგიის წარმომადგენელთა შორის გააუორებული ბრძოლა მიმდინარეობდა: ისინი ცდილობდნენ თავის სარწმუნოებაზე ხანის მოქცევას და ხანის კარზე ხელმძღ-

ეანელი მდგომარეობის დაკავებას. მოქიშპე მსარეები მოწინააღმდეგესთან ბრძოლისას ყოველგვარ საშუალებას იყენებდნენ.

თურქულ-მონღოლურ სამხედრო-ფეოდალურ არისტოკრატიასა და ირანულ ფეოდალებს შორის ბრძოლა რელიგიური საკითხებით არ ამოიწურებოდა: იგი განსაკუთრებით მწვავედ გამოვლინდა ხანის ხელისუფლებასთან, სახელმწიფოს ცენტრალიზაციასთან, ბინადარ მოსახლეობასთან, ფეოდალურ ექსპლუატაციასთან, მუსლიმურ კულტურასთან და ისლამთან მიმართებაში.

მმართველობის აპარატის სათავეში მდგომი ირანული სამოქალაქო ბიუროკრატია ძლიერი ცენტრალიზებული სახელმწიფოს შექმნისაკენ მიისწრაფოდა, რომლის ნიმუშად მიაჩნდათ სახალიფო და ღაზნევიანთა სახელმწიფო; თავის მხრივ, ეს უკანასკნელნი ცენტრალიზებული სახელმწიფოს ნიმუშად მიიჩნევდნენ სასანიანთა ირანს. ირანის სამოქალაქო ბიუროკრატია ცდილობდა ხანის ძალაუფლების გაძლიერებას, მის გამუსლიმებას, საგადასახადო სისტემის მოწესრიგებას, რენტა-გადასახადის ზუსტ ფიქსაციას, სახელმწიფო ხაზინის განმტკიცებას; იგი იბრძოდა მომთაბარე არისტოკრატიის გავლენის ბრდის, მისი ცენტრიდანული მისწრაფებების, ხანის საკვარეულოს მიმსვეჭელობის წინააღმდეგ. სამოქალაქო ბიუროკრატია რაიათების (გლეხების) მიმართ ექსპლუატაციის კურსს ატარებდა; ეს ექსპლუატაცია თუმცა მკაცრი იყო, მაგრამ ისეთი არა, რასაც გლეხები სრულ განადგურებამდე და საწარმოო ძალები გამოფიტვამდე მიიყვანდა.

თურქულ-მონღოლური მომთაბარული არისტოკრატიისათვის ეს მისწრაფებები საესებით უცხო იყო. თავიანთ ტომებში მათ პქონდათ სამხედრო დასაყრდენი, ხოლო თავიანთ მამულებში – ეკონომიკური. ამრიგად, მომთაბარე ფეოდალები წარმოადგენდნენ ანგარიშგასაწევ პოლიტიკურ ძალას. ამ ორ დიამეტრალურად საწინააღმდეგო პოლიტიკურ ძალას შორის ბრძოლა მიმდინარეობდა ჰულაგუიანთა სახელმწიფოს მთელი ისტორიის მანძილზე.

თავისებური ფიგურა იყო პირველი ილხანი ჰულაგუ-ხანი. იგი დაიბადა 1216/17 წ. მონღოლეთში და იყო ჩინგიზ-ყაენის ერთ-ერთი ყველაზე საყვარელ შვილიშვილთაგანი. მისმა ახალგაზრდობამ გაუთავებელ ლაშქრობებში გაიარა. ჰულაგუს, ირანის მბრძანებლად გასდომის შემდეგაც, თავისი ცხოვრების წესი და

მომთაბარე ფეოდალის ჩვეულებები არ შეუცელია. მთელი თავისი ბანაკით (ურღო) იგი წელიწადში ერთი ადგილიდან მეორეზე რამდენჯერმე გადადიოდა. მისი საყარელი გართობა იყო შეჯარდნებით და ჯერგით ნადირობა, აგრეთვე — დიდებული ნადიმები. სასელმწიფო მმართველობასა და პირად ცხოვრებაში იგი ძირითადად ხელმძღვანელობდა მონღოლური მომთაბარული ტრადიციებით და „დიდი იასით". ჰულაგუმ, ისევე, როგორც ჩინგიზ-ხანმა, იცოდა თავისი ინტერესების სასარგებლოდ მტრის ბანაკში წინააღმდეგობისა და შინაური ბრძოლის გამოყენება. თეითონ ჰულაგუ შამანისტი იყო, მაგრამ დიდი ტოლერანტობით გამოირჩეოდა. მისი განსაკუთრებული მფარველობით სარგებლობდნენ ქრისტიანები. ეს აიხსნება არამარტო იმით, რომ მისი დედა და მისი მთავარი ცოლი დოქუზ-ხათუნი (წარმოშობით კერაიტების ტომიდან) ქრისტიანები იყვნენ, არამედ იმითაც, რომ ისლამის დამცველ ეგვიპტის წინააღმდეგ ბრძოლისას ჰულაგუ-ხანი ცღილობდა ქრისტიანი ქართველი და სომეხი ფეოდალების გამოყენებას და მათი დასმარებით, ისევე, როგორც ჯვაროსნების დახმარებითაც, სირიის დაპყრობას. ჰულაგუ-ხანი თავისთვის საჭირო ხალხს სამსახურში იყენებდა მათი რელიგიური აღმსარებლობის გაუთვალისწინებლად: სამოქალაქო მართვა-გამგებლობის სათავეში მან დააყენა მუსლიმი, სპარსელი შამს ად-დინ მუჰამედ ჯუვეინი, კარის ექიმი იყო ჩინელი და სხვ.

ჰულაგუ მომთაბარედ რჩებოდა, მაგრამ იგი აღმშენებლობით საქმიანობასაც მისდევდა: ალა-დაღზე მან ააშენა სასახლე, ხოიში — ბუდისტური ტაძარი, ხაბუშანში — ქარხანე; 1259 წ. მისი ხელშეწყობით, დიდმა სპარსელმა მათემატიკოსმა და ასტრონომმა ნასირ ად-დინი ტუსიმ ააშენა ობსერვატორია, რომელთანაც იყო დიდი ბიბლიოთეკა. ამ ასტრონომიულ ობსერვატორიაში მუშაობდნენ არა მარტო არაბი და სპარსელი, არამედ ჩინელი და ინდოელი ასტრონომები. ჰულაგუ-ხანი, პრაქტიკული მიზნებით, ახალისებდა სწავლულ მათემატიკოსებს, მედიკოსებს და სხვ., უნიშნავდა მათ ჯამაგირებს და თავის კარზე პყავდა ისინი. ამავე დროს, ისევე, როგორც ყველა ილხანი, იგი ცრუმორწმუნე იყო: მკითხავები, წინასწარმეტყველები, ასტროლოგები და ყველა რელიგიის სასულიერო პირები მისი კეთილგანწყობილებით სარგებლობდნენ და მას ყოველთვის თან ახლდნენ. მან თავის კარზე

მოაგროვა ასტროლოგები და ალქიმიკოსები, რომლებიც მას ღიდი თანხის ფასად პპირდებოდნენ „ფილოსოფიური ქვის“ საიდუმლოს გამხელას და მისი დახმარებით ხელოვნური ოქროს დამზადებას. რაშიდ ად-დინის ცნობით, მათ ბევრი წამალი მოხარშეს, მაგრამ უშედეგოდ. ჰულაგუ-ხანმა ომების დროს ნაძარცვი საგანძური მოათავსა შაპის მთაზე (ურმიის ტბასთან) აგებულ ციხე-სიმაგრეში. თავადაც იქვე დაასაფლავეს. შემდეგ, მიწისძერის დროს მთა ჩამოინგრა და საგანძური დაიღუპა.

§9. ჰულაგუიანთა სახელმწიფო ჰულაგუ-ხანის პირველი მემკვიდრეების დროს (1265–1295 წწ)

ჰულაგუ-ხანის უახლოესი მემკვიდრეების დროს პოლიტიკური ხელმძღვანელობა კვლავ მონღოლურ-თურქული სამხედრო-ნომადური არისტოკრატიის ხელთ იყო.

ჰულაგუ-ხანის სიკვდილის შემდეგ ყურულთაიზე ტახტზე აიყვანეს მისი შვილი აბაღა-ხანი (1265-1282 წწ). აბაღა-ხანი აგრძელებდა ჰულაგუს საგარეო პოლიტიკას: ჩაღათაელთა ულუსთან შუა აზიაში მტრული ურთიერთობა ჰქონდათ. 1270 წ. ჩაღათაელი უფლისწული ბორაკი შემოიჭრა ხორასანში, მაგრამ ჰერათის ახლოს ჩაღათაელთა ჯარი ხაფანგში მოხვდა და განადგურდა. 1273 წ. აბაღამ, შურისძიების მიზნით, თავისი ჯარი გააგზავნა ბუხარაში. ბუხარა საშინლად, უფრო მეტად ვიდრე ჩინგიზ-ხანის დროს, ააოხრეს. შვიდი წლის განმავლობაში იგი საერთოდ დაუსახლებელი იყო.

გრძელდებოდა ჰულაგუიანთა მტრული ურთიერთობა ეგვიპტის მამლუქთა სულთანთან. მონღოლთა ჯარი არაერთხელ შეიჭრა სირიაში, მაგრამ ამ ოლქის შემომტკიცება ილხანებმა ვერ მოახერხეს: ჰულაგუიანთა ჯარი ორჯერ გაანადგურეს ეგვიპტელებმა (1260 და 1277 წწ-ში). ეგვიპტელებმა დაარბიეს ჰულაგუიანების ვასალური კილიკის სომხეთის სახელმწიფო და თანდათანობით დაიმორჩილეს მათი მოკავშირე ჯვაროსნების სამფლობელოები სირიაში (1291 წ.).

აბაღა-ხანის დროს დამყარდა კავშირ-ურთიერთობა რომის პაპებსა, დასავლეთ ევროპის სახელმწიფოებსა და ილხანებს შორის. დასავლეთ ევროპაში, სადაც ენთუზიაზმი ჯვაროსნული ლაშქრობებისადმი დიდი ხნის განელებული იყო, ძალიან გახარებულნი იყვნენ სირიის საზღვართან ახალი, ეგვიპტის მამლუქთა სახელმწიფოსადმი მტრული პოლიტიკური ერთეულის წარმოშობით. საფრანგეთის მეფეები და რომის პაპები დაინტერესებულნი იყვნენ არამარტო ილხანების ვაქრისტიანებით, არამედ მათი მონაწილეობით სირიისა და პალესტინის დასაპყრობად ეგვიპტის წინააღმდეგ ომში. ამ მიზნით აბაღა-ხანთან გააგზავნეს დესპანები რომის პაპმა კლიმენტ IV-მ და ინგლისის მეფე ედუარდ I-მა. ირანის ქალაქებში კათოლიკე მონაზონი-მისიონერები გამოჩნდნენ.

აბაღა-ხანის სიკვდილის შემდეგ, მონღოლ მომთაბარე დიდებულთა სხვადასხვა დაჯგუფების მიერ ილხანის ტახტზე ორი კანდიდატი იქნა წამოყენებული: აბაღა-ხანის ძმა თოგუდარი და აბაღას შვილი არღუნი. დროებით გაიმარჯვა თოგუდარმა (1282-1284 წწ).

თოგუდარმა, ილხანებს შორის პირველმა, მიიღო ისლამი და მუსლიმური სახელი აჰმედი. მან კურსი აიღო სასელმწიფოს ისლამიზაციასა და მამლუქებთან მეგობრული ურთიერთობის დამყარებაზე. აჰმედმა თავისი ერთ-ერთი პირველი ბრძანებულებით მიმართა სახალიფოს ყოფილი ცენტრის — ბაღდადის მოსახლეობას ისლამის მიღებისა და მუსლიმების მფარველობის შესახებ.

თოგუდარ აჰმედ-ხანმა ეგვიპტეში ორი ელჩობა გაავგზავნა მეგობრობისა და სავაჭრო ხელშეკრულების დადების წინადადებით. აჰმედის მიერ გატარებულმა ისლამიზაციის პოლიტიკამ ძლიერი უკმაყოფილება გამოიწვია მონღოლ მომთაბარე ფეოდალთა იმ ნაწილში, რომლებიც მხარს უჭერდნენ ძველ მონღოლურ ტრადიციებს და მტრულად იყვნენ ისლამისადმი განწყობილი. მონღოლი ფეოდალების და ჯარის სულ უფრო და უფრო დიდი რაოდენობა გადადიოდა არღუნის მხარეს. შინაურ ბრძოლაში დამარცხების შემდეგ, აჰმედი გაიქცა, მაგრამ დაიჭირეს და სიკვდილით დასაჯეს: მას ხერხემალი გადაუმტვრიეს, რადგანაც მონღოლური ჩვეულების თანახმად, ჩინგიზ-ხანის შთამომავლებისა და დიდებულების სისხლის დაღვრა არ შეიძლებოდა.

არღუნ-ხანის მმართველობის დროს (1284-1291 წწ) გახშირდა მონღოლ მომთაბარე ფეოდალთა აჯანყებები, რომლებიც ეყრდნობოდნენ მათზე დაქვემდებარებულ ტომობრივ ლაშქარს.

სასელმწიფოში გაელენისა და ძალაუფლებისათვის ფეოდალთა ღაჯგუფებს შორის ბრძოლა მიმდინარეობდა. დრო და დრო ეს ბრძოლა გასვლული იყო რელიგიურ საბურველში. ჰულაგუ-ხანისა და აბაღა-ხანის დროს სამოქალაქო ადმინისტრაციაში უზარმაზარი გაელენით სარგებლობდა ჯუვეინიანთა გვარი: მისი უფროსი შამს ად-დინ მუჰამედი საჰებ დივანი იყო, მისი შვილი ბეჰა ად-დინი – ისპაანის მმართველი, მისი ძმა ათამალექ ჯუვეინი, ისტორიკოსი – ბაღდადის მმართველი. საგვარეულოს წევრებს სხვადასხვა დიდი თანამდებობა ჰქონდათ. ამ საგვარეულოს სიმდიდრე უზარმაზარი იყო: საჰებ დივანი შამს ად-დინი 20 წელზე მეტი ხნის განმაელობაში განაგებდა სასელმწიფოს ფინანსებს. იგი პირად გამდიდრებაზეც ზრუნავდა: მან შეისყიდა 40 მილიონი დინარის საფასურის მულქის მიწები; მისი მოძრავი ქონება, ფარები და ჯოგები (ცხენების რემა) 20 მილიონ დინარად იყო შეფასებული. ილხანის კარზე ჯუვეინიანთა გვარი მუსლიმური ღაჯგუფების სათავეში იდგა. ჯუვეინიანები ეჯავრებოდა მონღოლურ მომთაბარულ არისტოკრატიას. აბაღა-ხანის მმართველობის ბოლო ხანებში ჯუვეინიანთა გვარი ძლივს გადაურჩა დაცემასა და გასამართლებას, მაგრამ მუსლიმების მფარველი აპმედ-ხანის დროს ის კვლავ გაძლიერდა. როდესაც ტახტზე ავიდა ქრისტიანობისმცემელი და მუსლიმების მტერი, ბუდისტების, ქრისტიანებისა და იუდეველების მფარველი არღუნ-ხანი, შამს ად-დინ ჯუვეინი დაუყოვნებლივ გადააყენეს და სიკვდილით დასაჯეს, მის პირად და ოჯახის ქონებას კონფისკაცია ჩაუტარეს. ისტორიკოს ათამალექ ჯუვეინის ამ ამბის გაგებაზე გული გაუსკდა.

ამის შემდეგ, სასელმწიფოში უზარმაზარი ძალაუფლება ხელში ჩაიგდო ამირა ბუღამ – ჯელაირთა ტომიდან, რომელიც სამხედრო საქმეს და ხაზინას განაგებდა. მისი ძალაუფლება იმდენად ძლიერი იყო, რომ პროვინციებსა და თავრიზშიც არღუნ ხანის ბრძანებები მხოლოდ იმ შემთხვევაში სრულდებოდა, თუ ამირა ბუღას ბეჭედასმული იყო. ადმინისტრაციულ თანამდებობათა უმეტესობა ამირა ბუღას ხალხისა და ნათესავების ხელთ მოექცა.

ამირა ბულას აღზევებამ ყაენის კარზე მას ბევრი მოშურნე და მტერი გაუჩინა. ყაენის კარზე ამირა ბულას მდგომარეობა შეირყა, ამიგომაც მან დასწრება ამჯობინა და ძალაუფლების შენარჩუნების მიზნით შეთქმულება მოაწყო: მას უნდოდა არღუნ-ხანის ჩამოგდება და მის ნაცვლად მისი გარეშე ბიძაშვილის დასმა, მაგრამ ამ უკანასკნელმა ბულა გასცა. იგი სიკვდილით დასჯეს (1289 წ. 17. I). ამირა ბულას სიკვდილით დასჯას თან გადაჰყვა დავით ულუს შვილი, საქართველოს მეფე დემეტრე II (1270-1289 წწ), რომელიც ამირა ბულასთან მეგობრობდა. დემეტრე მეფე ყაენის კარზე დაიბარეს. იქ მის წინააღმდეგ მოქმედებდა სადუნ მანკაბერდელის შვილი სუტლუ-ბულა, რომელიც დემეტრეზე იმის გამო იყო განაწყენებული, რომ სადუნის გარდაცვალების შემდეგ მეფემ ათაბაგობა მას კი არ მისცა, არამედ ტარსაიჭ ორბელს უწყალობა. დემეტრემ კარგად იცოდა, თუ რა მოელოდა მას ყაენის კარზე, მაგრამ მაინც უარყო დარბაზის რჩევა მთიულეთისათვის თავის მეფარების შესახებ, რასაც მოჰყვებოდა მონღოლთა მიერ მთელი საქართველოს აოსრება. დემეტრე II ყაენთან გამოცხადდა. 1289 წლის 12 მარტს მოვაკანში, მდ. მტკვრის ნაპირას იგი სიკვდილით დასჯეს. ქართულმა ეკლესიამ იგი წმინდანად შერაცხა, ქართველმა ხალხმა კი მას „თავდადებული" უწოდა.

არღუნ-ხანმა, ირანული მუსლიმური ბიუროკრატიის გაელენის შესუსტების მიზნით, გადაწყვიტა სახელმწიფო აპარატში სპარსელების შეცვლა იუდეველებითა და ქრისტიანებით. 1289 წ. არღუნ-ხანმა ვეზირად დანიშნა ებრაელი ეაჭარი სა-ად ად-დოულე, რომელიც ადრე საფინანსო უწყებაში მსახურობდა. სა-ად ად-დოულემ, არღუნთან შეთანხმებით, სამოქალაქო და საფინანსო თანამდებობებზე თავისი ერთგული ებრაელები დანიშნა. სა-ად ად-დოულემ სცადა სახელმწიფოს ფინანსების განმტკიცება და მოსახლეობის ძარცვა-გლეჯის შესუსტება. მან მონღოლ ფეოდალებს, ჯოხით ცემის შიშით, აუკრძალა მოსახლეობისაგან სასმელსაჭმელის და ფურაჟის თვითნებურად მოთხოვნა. მოხელეების ბოროტმოქმედებასთან საბრძოლველად, გადასახადების აკრეფის მოწესრიგებისა და ხაზინის შევსების მიზნით სახელმწიფოს ყველა ოლქში თავის ერთგული ხალხი დააგზავნა. მისი ამგვარი საქმიანობის შედეგად, უკვე ერთი წლის შემდეგ, თითქმის დაცარიელებულ ხაზინაში 1000 თუმანი შეგროვდა.

სა-ად ად-დოულეს ღონისძიებებმა მას აუმხეღრა მონღოლური სამხეღრო-ნომადური არისტოკრატია. უკმაყოფილო იყო ირანული სამოქალაქო ბიუროკრატიაც; მუსლიმი მოხელეები, რომელთაც ძველი პრივილეგიების დაკარგვის ეშინოდათ, ქალაქის მოსახლეობაში სა-ად ად-დოულეს ღა საერთოდ ებრაელების, საწინააღმდეგო აგიტაციას ეწეოდნენ. სა-ად ად-დოულეს ცილი დასწამეს: თითქოს მას უნდოდა მუსლიმების წინააღმდეგ დეენის დაწყება და ქააბას ტაძარზე ებრაელების ლაშქრობის მოწყობა იმ მიზნით, რომ მუსლიმთა მთაეარი ტაძარი „კერპთაყვანისმცემელთა საკრებულოდ" გადაექციათ. არღუნ-ხანის სიკვდილის წინ, მისი ავადმყოფობის ღროს, სა-ად ად-დოულეს წინააღმდეგ დიდებულთა შეთქმულება მოეწყო და იგი სიკვდილით დასაჯეს (1291 წ.). მისი ქონება დაიტაცეს, მისი ნათესაეები და მის მიერ დანიშნული ხალხი ან დახოცეს, ან მონებად გაყიდეს. სა-ად ად-დოულეს დაცემა გახდა საბაბი მთელ ქეეყანაში ებრაელების რბევის და ხოცვა-ჟლეტის, რამაც მუსლიმური ბიუროკრატიის სიხარული გამოიწვია.

ამირ ბუღას შეთქმულებასთან შედარებით სახელმწიფოსათეის გაცილებით უფრო საშიში იყო ამირა ნოერუზის (ოირატთა ტომიდან) აჯანყება ხორასანში 1289 წელს. 30-50-იან წლებში ხორასნის მონღოლთა ყაენის ნაცვლის არღუნ აღას შვილი ამირა ნოურუზი მონღოლი ფეოდალების იმ ჯგუფის წარმომადგენელი იყო, რომელთაც ისლამი მიიღეს და ბინადარ მუსლიმურ ზედაფენასთან ღაახლოვების მომხრე იყვნენ. არღუნ-ხანის ანტიმუსლიმურმა პოლიტიკამ ამ ფეოდალთა უკმაყოფილება გამოიწვია.

ილსანთა ურთიერთობა დასაელეთ ევროპასთან არღუნის ღროსაც გრძელდებოდა. 1287-1288 წწ-ში რომში, გენუაში, საფრანგეთსა და ინგლისში გააგზავნეს ელჩობა, რომლის სათაეშიც იდგა ნესტორიანელი მონაზონი რაბბან საუმა (რაბბან-სირიულად მასწაელებელი, მოძღვარი), წარმოშობით ჩინელი უიღური. ამის საპასუხოდ, რომის პაპმა არღუნს რამდენიმე წერილი გაუგზავნა და მოუწოდა, რათა მას მიეღო ქრისტიანობა და მამლუქთა წინააღმდეგ ჯვაროსნულ ლაშქრობაში მონაწილეობა.

1289 წ. გენუელმა ბიუსკარელ დე გისულაფმა არღუნ-ხანის წერილები მიუტანა პაპ ნიკოლოზ IV-ს, ინგლისის მეფე ედუარდ I-ს და საფრანგეთის მეფე ფილიპე IV ლამაზს. ეს წერილები — დაწერილი უიღურული ასოებით მონღოლურ ენაზე, ჩინური იერო-

ელიფებით შემკული — შემონახულია ფრანგულ არქივებში. არღუნი პაპსა და ევროპელ მეფეებს აცნობებდა „წმინდა მიწაზე“ სალაშქროდ თავისი მზადყოფნის შესახებ, აგრეთვე იმის თაობაზე, რომ იგი მზადაა დასავლეთ ევროპელი ჯვაროსნებისათვის მცირე ამიაში მოაგროვოს 20-30 ათასი ცხენი, სასმელ-საჭმელის და ფურაჟის აუცილებელი მარაგი. პაპი პასუხობდა არღუნს, რომ მან უკვე მოუწოდა თავის სამწყსოს ლაშქრობისაკენ. მაგრამ ამ მოლაპარაკებას არავითარი შედეგი არ მოჰყოლია. 1291 წ. ეგვიპტის სულთანმა აშრაფმა სირიასა და პალესტინაში ჯვაროსნების ყველა სამფლობელოს დაპყრობა დაამთავრა.

პულაგუიანთა სახელმწიფოსა და დასავლეთ ევროპის სახელმწიფოებს შორის სამხედრო კავშირის მარცხი იმით აიხსნება, რომ პირველი ოთხი ჯვაროსნული ლაშქრობის შემდეგ დასავლეთის რაინდებისა და ქალაქების სამხედრო-კოლონიზატორული მოძრაობა შესუსტდა. XIII ს-ის ბოლოს დასავლეთ ევროპაში თითქმის აღარ იყო ახალ ჯვაროსნულ ლაშქრობაში მონაწილეობის მიღების მსურველი, რადგანაც იგი სახიფათოდ და უშედეგოდ მიაჩნდათ.

უფრო მეტი გაკეთდა სავაჭრო კავშირების გასაფართოებლად. პულაგუიდებთან კარგი ურთიერთობა დაამყარა გენუამ, იმ დროს, როდესაც ვაჭრობის საქმეში მისი კონკურენტი ვენეცია, უმეტეს შემთხვევაში, მეგობრულად იყო ეგვიპტესთან. 1288 წ. გენუის სენატმა ეილპელმ ადამის, შემდგომ სულთანიეს კათოლიკური არქიეპისკოპოსის, შუამავლობით არღუნ-ხანს შემდეგი პროექტი შესთავაზა: მონღოლთა სამხედრო ფლოტს უნდა დაეკავებინა ინდოეთისაკენ მიმავალი ყველა სავაჭრო გემი, არ დაემეა მათი სელა წითელი ზღვით ეგვიპტისაკენ და ეიძულებინა ისინი წასულიყვნენ სპარსეთის ყურის ორმუზის პორტში. ამგვარად, მთელი ინდოეთ-ხმელთაშუა ზღვის ვაჭრობა შემდეგი გზით წარიმართებოდა: ინდოეთი — ორმუზი — ისპაანი — სულთანიე — არზრუმი — კონსტანტინოპოლი, ანუ ირანის გაელით. ამით, ამ ვაჭრობის შედეგად მთელი სარგებელი თავს მოიყრიდა პულაგუიანთა სახელმწიფოსა და გენუელი ვაჭრების ხელში, ხოლო ეგვიპტეზე და ვენეციაზე ტრანზიტს გადამწყვეტი დარტყმა მიადგებოდა. მაგრამ, პულაგუიანებმა ძლიერი ფლოტის უყოლობის გამო ვერ შეძლეს ამ პროექტის განსორციელება. ცოტა უფრო გვიან, XIV ს-ის დასაწყისში, თავრიზში, სულთანიაში და ირანის სხვა ქალაქებში გა-

მოჩნდნენ გენუელი და ვენეციელი ვაჭრების პატარა საზოგადოებები კონსულებით სათავეში. გამოჩდნენ აგრეთვე კათოლიკე მისიონერები. ახალ ქალაქ სულთანიაში, რომლის მშენებლობაც არღუნ-ხანმა დაიწყო და რომელიც უფრო გეიან ჰულაგუიანთა დედაქალაქი გახდა, კათოლიკური საარქიეპისკოპოსოც კი დაარსდა, რომელმაც XV ს-ის დასაწყისამდე იარსება.

1291 წ. არღუნს დამბლა დაეცა. უკეე მისი ავადმყოფობის დროს ამირათა სხვადასხვა დაჯგუფებებს შორის დაიწყო ბრძოლა ძალაუფლებისათვის. მონღოლთა ბატონობის წინააღმდეგ ლურისტანში მოხდა აჯანყება. აჯანყებულებმა ისპაანი დაიკავეს, ამოწყვიტეს ილხანის მოხელეები და გარნიზონი. აჯანყება ჩააქრეს.

მონღოლ დიდებულთა შორის ხანგრძლივი ბრძოლის შემდეგ, 1291 წ. ტასტგე აიყვანეს აბაღა-ხანის შვილი ქეიღათუ-ხანი (1291-1295 წწ). ქეიღათუ-ხანი, უპირველეს ყოვლისა, შეეცადა ცალკეულ რელიგიურ დაჯგუფებებს შორის მშვიდობიანობის დამყარებას.

ქეიღათუ-ხანი ხანის ცოლების, უფლისწულებისა და ამირებისათვის ძვირფასი საჩუქრების გაცემით ცდილობდა თავისი ავტორიტეტის განმტკიცებას. მალე ახალი ვეზირი მუსლიმი საღრ ად-დინ აპშედ ხალიდი ხაზინის სრული დაცარიელების ფაქტის წინაშე დადგა. მოსახლეობის უკიდურესი გაჩანაგების გამო ახალი განსაკუთრებული გადასახადების შემოღება შეუძლებელი იყო, ამიტომაც გადაწყდა ქაღალდის ფულის — ჩაოს გამოშვება, რომლის ნიმუშადაც აღებული იქნა დიდი ყაენის ყუბილაის მიერ გამოშვებული და მთელ ჩინეთში გავრცელებული ქაღალდის ფული. საღრ ად-დინი ეარაუდობდა, რომ მთელი საშინაო ვაჭრობა ქაღალდის ფულზე იქნებოდა, ხოლო ოქრო ხაზინაში დაგროვდებოდა. 1294 წ. თავრიზში გამოშვებული ქაღალდის ფული მოსახლეობას აუცილებლად უნდა მიეღო. მაგრამ, ჩაოს გამოშვებიდან უკვე ერთი კვირის შემდეგ თავრიზში დაიხურა ყველა ბაზარი, არაევითარი პროდუქტის ყიდვა აღარ შეიძლებოდა, დაირღვა საქარავნო ვაჭრობა, შეწყდა ქალაქებიდან გადასახადების აკრეფა. ჩაო გააუქმეს, ხაზინა კვლავ ცარიელი იყო. ილხანმა საღრ ად-დინს უბოძა ტიტული „საღრ-ი ჯეპან", ე. ი. „საღრი (საყრდენი) სამყაროსი", ხალხმა მას უწოდა „საღრ-ი ჩაო" („ქაღალდის საღრი").

მალე, ქეიღათუ-ხანის წინააამდეგ აჯანყდა მისი ბიძაშვილი ბაიდუ — მცირე აზიის წინანდელი მმართველი, მუსლიმების

ფარული მტერი და ქრისტიანობის მხარდამჭერი. მონღოლ დიდებულთა ნაწილი მის მხარეს გადავიდა. მომხრეებშემოცლილი ქეიღათუ-ხანი გაიქცა, მაგრამ დაიჭირეს და საბლით მოამთავეს.

ტახტზე აეიდა ბაიდუ-ხანი, რომლის წყობა 6 თვეს გაგრძელდა (1295 წლის აპრილი-ოქტომბერი). იგი დაიღუპა არღუნ-ხანის შვილთან, ხორასნის გამგებელთან ყაზანთან ბრძოლაში.

§10. ირანის სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობა პირველი ეჭვსი ილხანის დროს (1256-1295 წწ).

ჯერ კიდევ ირანში პულაგუ-ხანის ლაშქრობამდე მონღოლი მხედართმთავრები მათ მიერ დაპყრობილ ოლქებში იტაცებდნენ აღვილობრივი ფეოდალების კუთვნილ მიწებს. პულაგუიანთა სახელმწიფოს ჩამოყალიბების შემდეგ მონღოლთა მმართველი ზედაფენა ატარებდა ადგილობრივი ფეოდალებისაგან მიწების მიტაცებისა და იქიდან მიღებული შემოსავლის საგინაში (თუ მიწები სახელმწიფო იყო), ან მონღოლი ფეოდალებისათვის (თუ მიწები ამ ფეოდალების საკუთრებაში იყო) გადაცემის პოლიტიკას. ადრე ხორეზმშაპისა და მისი ნათესავების, ნაწილობრივ ვაკუფის მიწებიც, მონღოლთა სახელმწიფოს და ილხანთა საგვარეულოს საკუთრებად იქცა. პულაგუიანთა სახელმწიფოში მიწები ოფიციალურად შემდეგ კატეგორიებად იყოფოდა: 1. სახელმწიფო მიწები — დივანის მიწები; 2. ინჯუს, ანუ ხასინჯუს მიწები — ხანისა და მისი ნათესავების კუთვნილი მიწები; 3. კერძო საკუთრებაში მყოფი მიწები — მულქი, ეკუთვნოდა როგორც მონღოლ, ასევე ადგილობრივ ფეოდალებს; 4. ვაკუფის მიწები. დივანის მიწებიდან შემოსავალი სახელმწიფოს ხარჯების დაფარვას ხმარდებოდა; ინჯუს მიწებიდან შემოსავალი ხანის, მისი ნათესავების და შესაძლოა მისი ჯარის შენახვაზეც იხარჯებოდა; ვაკუფიდან შემოსავალს თავისი ნება-სურვილით განაგებდა მუსლიმური სამღვდელოება. დივანისა და ინჯუს მიწებზე მსხდომი რაიათებიდან გადასახადების აკრეფა უშუალოდ „უმაღლესი დივანის" ან ინჯუს დივანის საფინანსო აპარატის საშუალებით ხდებოდა, ან ეძლეოდათ შესყიდვით (მუკატა-ა) ფეოდალებსა და მსხვილ ვაჭრებს, რაც

განსაკუთრებით მძიმე იყო გადასახადის გადამხდელი მოსახლეობისათვის. დივანის მიწების მნიშვნელოვანი ნაწილი მონღოლი დიდებულების პირობით მფლობელობაში იყო ლენური წესით (იკტა). ილხანთა მთელი პოლიტიკა მიმართული იყო ადგილობრივი მოსახლეობიდან შემოსავლის მაქსიმალურად ამოქაჩვისაკენ, ამიტომ მონღოლთა ბატონობის ხანაში გლეხთა ფეოდალური ექსპლუატაცია მკვეთრად გაიზარდა. გლეხები ვალდებულნი იყვნენ გადაესადათ და შეესრულებინათ თხუთმეტიდან ოცდაათამდე სახის სხვადასხვა გადასახადი და ფეოდალური ვალდებულება. ერთ-ერთი ძირითადი გადასახადთაგანი იყო მალი, ანუ ხარაჯა — მიწაზე დადებული გადასახადი, რომელიც აიღებოდა მოსავლის ნაწილის სახით ნატურით, ან ქალაქების მიმდებარე რეგიონებში — ფულით. ხარაჯას რაოდენობა სხვადასხვა რეგიონში სხვადასხვანაირი იყო. ხანდახან მას ემატებოდა ზედნადები — ფარ, ხარაჯას რაოდენობის 10%. დამპყრობლებმა შემოიღეს გადასახადი „ყუჭური" („ყაფჩერი"), რომელიც თავდაპირველად მომთაბარეებიდან საქონლის სულადობის 1%-ის რაოდენობით აიღებოდა, ხოლო შემდეგ ფულადი სახით გავრცელდა გლეხებსა და ქალაქის მცხოვრებლებზე როგორც სულადი გადასახადი. მისი რაოდენობა სხვადასხვა დროს სხვადასხვანაირი იყო. სულადობრივი გადასახადი — ჯიზია, შარიათის საწინააღმდეგოდ, ახლა აიღებოდა არამარტო ქრისტიანების, ზოროასტრელებისა და იუდეველებისაგან, არამედ მუსლიმებისაგანაც, რაც ამ უკანასკნელთათვის განსაკუთრებით შეურაცხმყოფელი იყო. გარდა ზემოსსენებული გადასახადებისა, გლეხთაგან აიღებოდა ფულადი სახით და ნატურით მთელი კომპლექსი გადასახადებისა — იხრაჯათი (არაბ. გასავალი), რაც იხარჯებოდა ამირების, ჯარის დიდებულების, სახელმწიფო ელჩების (ელჩი) შენახვაზე. გლეხებს უნდა გამოეღოთ აგრეთვე ფურაჟი ცხენებისათვის და სასმელსაჭმელი ჯარისათვის (ალაფე და ულუფა), განსაკუთრებული გადასახადი მარცვლეულით და სასმელით (თაღარი) და სხვ.

დამპყრობთა მიერ გაძლიერებული ფეოდალური ექსპლოატაციის სიმძიმე კიდევ უფრო მძიმდებოდა გადასახადების აღების სისტემით. გადასახადებისა და ხარაჯას რაოდენობა თვითნებური იყო. მოხელეები ან გადასახადების შემსყიდველები სავსებით უკონტროლოდ მოქმედებდნენ, ისინი ითვისებდნენ ან ფლანგავდნენ

მათ მიერ აკრეფილ თანხას, ხოლო, როდესაც საბინა მათგან აკრეფილი თანხის შეტანას თხოულობდა, ისინი მეორედ და მესამედ კრეფდნენ იგივე გადასახადს. გადასახადის აკრეფას, ჩვეულებრივად, თან ახლდა გლეხთა ტანჯვა-წამება. გლეხის მეურნეობას დააწვა გადაუხდელი, სულ უფრო და უფრო მწარდი გადასახადები. XIII ს-ის 50-60-იან წლებში იმათ, ვინც გადასახადს ვერ გადაიხდიდა, მათ ოჯახებს მონებად პყიდდნენ.

მრავალრიცხოვან გადასახადებს გარდა, რომელიც ხაბინაში მედიოდა, მონღოლთა დროს ფართოდ დაინერგა პრაქტიკაში უფლისწულების, სანების ცოლების, ამირებისა და მოხელეთათვის ბარათების ბოძება, რაც ბარათის მფლობელს გადასახადების ნაწილიდან ჯამაგირის ან პენსიის მიღების უფლებას აძლევდა. რამიდ ად-დინი მოგვითხრობს, თუ როგორი მეთოდებით იკრიფებოდა გლეხებისაგან ეს გადასახადები: ერთი კაცი მივიდა სოფელში ბარათით გარკვეული თანხის მისაღებად. სოფელი უკაცრიელი დახვდა, რადგანაც გლეხები გაქცეული იყვნენ. მხოლოდ მოედანზე ნახა მან მეომრები, რომლებიც დაუზოგავად სცემდნენ ხეზე თავქვე დაკიდებულ გლეხებს, რომელთათვისაც უნდა ეთქმევინებინათ — სად წავიდა სოფლის მოსახლეობა, რომელთაგანაც უნდა აეღოთ ბარათში აღნიშნული თანხა. ამ ეგზეკუციას ატარებდა კაცი, რომელსაც აგრეთვე პქონდა ამ სოფელზე ბარათი.“

გლეხებისათვის არანაკლებ მძიმე იყო მრავალრიცხოვანი ნატურალური ვალდებულებანი სახელმწიფოს სასარგებლოდ: მაგ., საფოსტო ვალდებულება (ულაყი), რაც დაკავშირებული იყო საფოსტო სადგურებისათვის — იამებისათვის ცხენებისა და სახედრების გამოყვანასთან (საიამე); აგრეთვე სახელმწიფო მალემსრბოლებისათვის (ელჩი) და სამხედრო პირებისათვის ზემოხსენებული ცხოველების გამოყვანასთან. მძიმე ვალდებულება იყო ბეგარა: არხების გათხრა-გასუფთავება, ციხესიმაგრეების აშენება-შეკეთება, სასახლეების აშენება, გზების გაყვანა და სხვ. ამ სამუშაოების შესრულების დროს ათასობით ადამიანი და ცხოველი იღუპებოდა; შრომა არარენტაბელური იყო, ამიტომაც პირველი ილხანის ყველა მცდელობა ქალაქების და სასახლეების აშენებისა ბოლომდე არ განხორციელებულა.

ნამდვილი უბედურება იყო გლეხებისათვის ღამის გასათევი ვალდებულება — სამასპინძლო (ნუმული). ნებისმიერი ცნობილი

მონღოლი ამირა ან დიღებული რომელიმე ქალაქში ან სოფელში თავისი ამალით გაჩერებისას ასამდე სახლს იკავებდა. ამირას ნუკერები სახლის პატრონს ართმევდნენ ყველაფერს, რაც ხელში მოხვედებოდათ; ქალებს აუპატიურებდნენ. გლეხები და ქალაქის მცხოვრებლები თავის სახლებს ნახევრადდანგრეულ მდგომარეობაში ინახავდნენ, რათა თავიდან აეცილებინათ მონღოლ დიღებულთა „სტუმრობა“.

ირანის მრავალსაუკუნოვანი ისტორიის მანძილზე მონღოლთა ბატონობის დროს გლეხთა მდგომარეობა განსაკუთრებით მძიმე იყო. მონღოლთა ხანასთანაა დაკავშირებული გლეხთა მიწაზე მიმაგრების საკითხი. მუსლიმური სამართალი ბატონყმურ ურთიერთობას და ბატონყმურ დამოკიდებულებას არ სცნობდა. გადასახადის გადამხდელი მოსახლეობა — გლეხები და ქალაქის მცხოვრებლები პირადად თავისუფალ ადამიანებად ითვლებოდნენ. რაიათების დამოკიდებულება ფეოდალზე ფაქტიურად მიწის ჭერის პირობით არსებობდა. მიწისმფლობელს უფლება ჰქონდა თავის სასარგებლოდ აეკრიფა სარაჯა მთლიანად ან ნაწილობრივ; ამასთანავე, გადასახადი ემთხვეოდა რენტას. ამგვარად, წინა და შუა აზიის სასელმწიფოებში ფეოდალური ურთიერთობა მონღოლებამდე არ იღებდა ბატონყმობის ფორმას.

მონღოლთა მიერ ახალი ნორმები იქნა მოტანილი. ჯერ კიდე ჩინგიზ-ხანის დროს მონღოლეთში რიგითი მეომარი — მომთაბარე, სარაჩუ (არა მონა) ითვლებოდა ყმად და მიმაგრებული იყო თავის მემკვიდრეობით ბატონზე — მომთაბარე არისტოკრატზე, მის ათასეულზე, ასეულზე ან ათეულზე. ბატონსა და ყმას შორის კავშირი დაურღეველად ითვლებოდა: ეს დაკანონებული იყო ჩინგიზ-ხანის იასის მიერ. იასის დადგენილებები სავალდებულო იყო არა მარტო მონღოლთათვის, არამედ ყველა დაპყრობილი ხალხისათვის, განურჩეველად. მიმაგრების პრინციპი სოფლების ბინადარ მოსახლეობაზეც იყო გავრცელებული. მაგრამ ილხანთა ბატონყმური ღონისძიებები არ იყო მხოლოდ მონღოლეთის სამართლებრივი ნორმების ირანის ნიადაგზე მექანიკური გადატანა; ბატონყმობა იყო კანონზომიერი შედეგი ფეოდალური საზოგადოების საერთო განვითარების პროცესისა.

გლეხთა მდგომარეობა სხვადასხვა კატეგორიის მიწაზე სხვადასხვანაირი იყო. წყაროების ცნობების მიხედვით, კერძო

საკუთრების მიწებზე ის რამდენადმე უკეთესი იყო, ვიდრე დივანის ან ინჯუს მიწებზე: ფეოდალი დაინტერესებული იყო თავისი რაიათებისათვის, თუნდაც მარტივი აღწარმოების უნარის შენარჩუნებაში (სახელმწიფო მიწებზე მოხელისა და შემსყიდველებისაგან განსხვავებით; ეს უკანასკნელნი მოკლე დროით იყვნენ დანიშნულნი, ამიტომაც ისინი ცდილობდნენ გლეხის ხარჯზე გამდიდრებას და ძარცვავდნენ მათ. XIII ს-ის დასასრულისათვის მონღოლთა მიერ სასტიკი ექსპლუატაციის შედეგად მთელი ოლქები გაუდაბურდა, მოსახლეობამ მიწა მიატოვა. რაშიდ აღ-დინის მისედვით, მთელ რიგ ოლქებში მიწების მხოლოდ მეათედი მუშავდებოდა, დანარჩენები გაველრანებული იყო.

დაპყრობების დროს დანგრეული ქალაქების აღდგენა ძალიან ნელა მიმდინარეობდა. მონღოლი ყაენის ნაცვალთა, სოლო შემდეგ ილხანთა მცდელობამ ქალაქების აღდგენის, ან ახალი ქალაქების აშენებისამ, უმნიშვნელო შედეგი გამოიღო. საერთო აოხრებისა და სოფლის მეურნეობის დაცემის ვითარებაში, რაც სულ უფრო და უფრო ძლიერდებოდა, XIII ს-ის ბოლოსათვის, ილხანთა საგადასახადო პოლიტიკის წყალობით, ქალაქმა დაკარგა ბაზარი ოლქის (სოფლის) სახით. მონღოლი ხელისუფლების მიერ ქალაქის მოსახლეობა (ისევე, როგორც სოფლის) უმარმაზარი გადასახადებით იყო დაბეგრილი. ქალაქებზე დადებული ძირითადი გადასახადი თამღა იყო, რომელიც ითელებოდა ქალაქებიდან საზინის ძირითად შემოსავლად.

თამღა (მონღ.) ვაჭრობა-ხელოსნობაზე დადებული გადასახადი იყო. იგი დადებული იყო როგორც მსხვილ, საბითუმო, ასევე წვრილ, საცალო ვაჭრობაზე, ქალაქის ბაზარზე ახლო-მახლო სოფლების გლეხების მიერ შემოტანილ საკვებზე, ქალაქური წარმოების ყველანაირ საგნებზე. პირველად თამღა მონღოლმა ხანებმა შემოიღეს. მისი რაოდენობა სხვადასხვა დროს სხვადასხვა იყო, მაგრამ ყოველთვის დიდ ზიანს აყენებდა ხელოსნობა-ვაჭრობის განვითარებას. მძიმე ვალდებულება იყო ე. წ. თარხი, რომლის თანახმადაც როგორც გლეხები, ასევე ხელოსნები ვალდებული იყვნენ ხაზინისათვის ჩაებარებინათ ბაზრის ფასზე ნაკლებ ფასში საქონელი და პროდუქტები. შემდეგ, სახელმწიფო ამ პროდუქტებს მოსახლეობაზე პყიდდა გაცილებით ძვირად. გზებზე საქონლის გატარებაზე დაწესებული იყო გადასახადი — ბაჟი. გადასახადების

მაველი სიმძიმე წერილ ვაჭრებს და ხელოსნებს აწვათ კისერზე; ესხვილი ვაჭრები — ურტაღები, რომლებიც ილხანის მფარველობით ვაჭრობდნენ, საგადასახადო შეღავათებით სარგებლობდნენ. გარდა ამისა, ხელოსნები თავიანთი პროდუქციის ნაწილს ხაზინას ან ფეოდალებს უსდიდნენ და იძულებით სამუშაოებს ასრულებდნენ: მონაწილეობდნენ საზოგადოებრივი ნაგებობების მშენებლობაში, ქალაქების გამშვენიერებაში და სხვ.

უფრო უარესი იყო მონად ქცეული, სახელმწიფო სახელოსნოებში მომუშავე ხელოსნების მდგომარეობა, სადაც მზადდებოდა იარაღი, ტანსაცმელი და სხვ. ქარხანე ირანში გაჩნდა XIII ს-ის 30-იან წლებში. იგი ითვლებოდა ილხანის, მისი შვილის ან ხაზინის საკუთრებად. ქარხანეებში მომუშავე ხელოსნები თაობიდან თაობის განმავლობაში მონების მდგომარეობაში რჩებოდნენ.

მონღოლთა დაპყრობებმა მონათმფლობელური წყობა დროებით ააღორძინა. მონის შრომა კელავ საკმაოდ ფაროდ გამოიყენებოდა მომთაბარე მესაქონლეობაში, ხელოსნობასა და სოფლის მეურნეობაში. ჰულაგუს დროსაც და XIV ს-ის დასაწყისშიც მონადქცეულ ტყვეებს მიწაზე სვამდნენ და აიძულებდნენ მიწათმოქმედებას. ასე, მაგ., რაშიდ ად-დინის ორ ბაღში, თავრიზის ასლოს, ორივე სქესის 1200 მონა მუშაობდა; მათ შორის იყვნენ ბერძნები, ქართველები, აბისინიელები, ზანგები. მონების შევსება უმთავრესად სამხედრო ტყვეებით ხდებოდა, მაგრამ მონებს ყიდულობდნენ აგრეთვე მონებით ვაჭრებისაგან, რომელთაც ისინი მოპყაედათ ყირიმიდან, რუსეთიდან, ყივჩაღეთის სტეპებიდან, ინდოეთიდან, აფრიკიდან, ეგვიპტიდან, რუმიდან. მონად ქცევა ხდებოდა ვალის გადაუხდელობის გამოც.

მოსახლეობის ექსპლოატაციის გაძლიერებას ხელს უწყობდა მევახშეობა; მევახშეობას ხელს უწყობდნენ მონღოლი ხანების და უფლისწულების ცოლები, რომლებიც ხალისით შედიოდნენ ვაჭართა და მევახშეთა კომპანიებში, დებდნენ ფულს მათ საქმიანობაში და ამრიგად ხდებოდნენ მათი საეაჭრო და სავასშო ოპერაციების თანამონაწილენი. პრივილეგირებული ვაჭრები — ორტაღები, რომელთაც მონღოლური არისტოკრატია მფარველობდა, თავის საეაჭრო საქმეებთან დაკავშირებით მიმოსვლის დროს, მოსახლეობისაგან თხოულობდნენ საჭმელს, ფურაეს, ცხენებს და სახედრებს სახელმწიფო მალემსრბოლებს და ელჩებს ბაძავდნენ,

გადასახადის გადამხდელი მოსახლეობა, რომელიც ვერ იხდიდა მასზე დაკისრებულ გადასახადებსა და ვალებს, იძულებული იყო შეეახშის კაბალაში ჩავარდნილიყო.

დამპყრობლებმა თავიანთი მხეცური ექსპლოატაციით ქვეყნის საწარმოო ძალები გამოფიტეს. XIII ს-ის ბოლოსათვის ჰულაგუიანთა სახელმწიფოში საშინელი ეკონომიკური კრიზისი იყო. მოსახლეობა მასობრივად გარბოდა, ტოვებდა თავის მეურნეობას. მიწების დიდი ნაწილი დაუმუშავებელი და მიგოვებული იყო. სახელმწიფო ხაზინა დაცარიელდა, რადგანაც გადასახადების აკრეფა ვერ ხერხდებოდა, ხოლო დიდი გაჭირვებით შეგროვილი თანხა საჯინაში არ შედიოდა: იგი ადგილზევე იფლანგებოდა ფეოდალების, შემსყიდველებისა და მოხელეების მიერ. ადგილობრივი ვაჭრობა ძალიან შემცირდა. კატასტროფულად შემცირდა ვერცხლის ფული, რაც გამოწვეული იყო მაღაროების მხეცური ექსპლოატაციით.

§11. ყაზან-ყაენის მმართველობა და რეფორმები

სახელმწიფოს ეკონომიკისა და ფინანსების მძიმე მდგომარეობამ, მონღოლურ-თურქული მომთაბარული არისტოკრატიის ცენტრიდანულმა მისწრაფებებმა, აგრეთვე საგარეო დაპყრობების შეწყვეტამ, რომელსაც სამხედრო დავლა შემოპქონდა, ყველაფერმა ამან ერთად აღებულმა, აიძულა ცენტრალური ხელისუფლება ილხანის სახით მდგომარეობიდან გამოსავალი ეძებნა. ახალმა ილხანმა, არღუნ-ხანის შვილმა ყაზან-ყაენმა (1295-1304 წწ) ირანულ მუსლიმურ სამოხელეო და სასულიერო არისტოკრატიასთან დაახლოების მიზნით, აუცილებლად სცნო ისლამის მიღება. შემდეგ მან გაატარა მთელი რიგი რეფორმები, რომლებიც შეესატყვისებოდა ფეოდალთა კლასის ძლიერი ცენტრალური ხელისუფლებით და საგადასახადო რეფორმით დაინტერესებული ჯგუფის ინტერესებს.

თავდაპირველად ყაზან-ყაენი, იმისათვის, რათა გაემარჯვა ბაიდუ-ხანზე, იძულებული იყო გამოეყენებინა მონღოლური მომთაბარული არისტოკრატიის იმ ნაწილის მხარდაჭერა, რომელსაც უკვე მიღებული ჰქონდა ისლამი. ყაზან-ყაენს მხარი დაუჭირა ამირა ნოურუზმა ოირატთა ტომიდან, რომელმაც 1289 წ. ხო-

რასანში არღუნ-ხანის წინააღმდეგ აჯანყება მოაწყო. ნოურუზი ყაზან-ყაენს მსარდაჭერას დაპირდა იმ პირობით, თუ ეს უკანასკნელი ისლამს მიიღებდა. ყაზან-ყაენმა, რომელიც ადრე ბუდისტი იყო, ახლა მიიღო ისლამი და მუსლიმური სახელი მაჰმუდი.

ამგვარად, ისლამი კელავ გახდა სახელმწიფო რელიგია. ამირა ნოურუზის ძალდატანებით, გამოეიღა ყაენის ბრძანებულება იმ ეკლესიებისა და სინაგოგების დანგრევის შესახებ, რომლებიც აშენდა თავრიზში, პამადანში, შარაღაში და სხვა ქალაქებში. კერპთაყვანისმცემელ ილხანთა ზეობის წლებში (მუსლიმური სამართალი კრძალავდა ახალი ეკლესიებისა და სინაგოგების აშენებას. შეიძლებოდა მსოლოდ ძველი, ისლამამდელი ეკლესიების შენარჩუნება და რესტავრაცია). ქრისტიანები და ებრაელები მთელ რიგ ქალაქებში დაარბიეს. ყაზან-ყაენმა ძალიან მალე გაითვალისწინა ქართველი და სომესი ქრისტიანი ფეოდალების თხოვნა, რომელთა მსარდაჭერა მას ძალიან სჭირდებოდა ეგვიპტის მამლუქების წინააღმდეგ ბრძოლაში, გააუქმა ქრისტიანებისა და იუდეველების დევნა და მათ მიმართ ტოლერანტობის პოლიტიკის გატარება დაიწყო. ყაზან-ყაენმა გააუქმა არამუსლიმებზე დაწესებული გადასასადი „ჯიზია“, მაგრამ კერპთაყვანისმცემლები – „ბუდისტები“ კანონგარეშე გამოაცხადეს: მათ არ უნდა მიეღოთ ისლამი, ან დაეტოვებინათ სახელმწიფო. ყველა მათი ტაძარი დაანგრიეს.

ისლამის მიღებამ ყაზან-ყაენს მხარდამჭერები შესძინა როგორც ბინადარი მუსლიმი ფეოდალების ყველა ჯგუფის, ასევე მონღოლური ფეოდალური არისტოკრატიის ისლამმიღებული დაჯგუფების მხრიდანაც; მას მსარს უჭერდა აგრეთვე გამუსლიმებული თურქული მომთაბარული არისტოკრატია. 1295 წ. ოქტომბერში ყურულთაიზე ყაზანი გამოცხადებული იქნა ილხანად. მუსლიმი სულთნის სახით, ყაზან-ყაენმა უარი თქვა ჩინეთში ტახტზე მჯდარი „დიდი ყაენის“ (კერპთაყვანისმცემლის) ნომინალურ უზენაესობაზე და შეწყვიტა მასთან ურთიერობა.

ახალგაზდრა მონღოლი ყაენი (ყაზანი ტახტზე ავიდა 24 წლის) გამოჩენილი პიროვნება იყო. იგი რჩებოდა მონღოლ პატრიოტად და მონღოლური გადმოცემების საუკეთესო მცოდნედ; ამავე დროს, კარგად იცნობდა ირანის კულტურას, რომელსაც ძალიან აფასებდა. იგი დაინტერესებული იყო მედიცინით და საბუნებისმეტყველო მეცნიერებებით: ნადირობის დროს ბალახებს აგროვებდა.

მან დაადგინა ბევრი სამკურნალო ბალახის ირანში არსებობა (ეს სამკურნალო ბალახები ადრე შემოპქონდათ ჩინეთიდან, ინდოეთიდან და თურქესტანიდან). როგორც ჩანს, ენებიდან მან კარგად იცოდა თავისი მშობლიური მონღოლური, ნაწილობრივ – სპარსული და თურქული; რამდენადმე იცნობდა არაბულს, ჰინდის, ქამირულს, ჩინურს და ფრანგულს. იგი თვითონ ერეოდა სახელმწიფოს მართვა-გამგებლობის წვრილმანებში, ღიდ დროს უთმობდა სახელმწიფოს შემოსავალ-გასაელის დავთრების მესწავლას, შეპქონდა იქ თავისი შესწორებები.

თავის ხელმწიფობის პირველ წლებში ყაზანს მოუხდა უფლისწულთა შეთქმულებების ჩახშობა. უფლისწულებს უნდოდათ მისი ჩამოგდება ტახტიდან და მისი ადგილის დაკავება. ყაზან-ყაენისათვის უფრო ძნელი იყო ცალკეულ მხარეთა მმართველების სეპარატისტულ ტენდენციებთან ბრძოლა, რომლებიც ხშირად ჯანყდებოდნენ ცენტრალური ხელისუფლებისაგან განთავისუფლების მიზნით.

თავიანთი სეპარატისტული ტენდენციების მხარდასაჭერად აჯანყებულები ხშირად უკავშირდებოდნენ მეზობელ, ჯულაგუიანთა სახელმწიფოსაღმი მტრულად განწყობილ სახელმწიფოებს, ან თავიანთ მსსვილ ვასალებს. ფეოდალებთან შინაური ბრძოლა მიმდინარეობდა გაუთავებელი საგარეო ბრძოლების პარალელურად და მოითხოვდა სახელმწიფოს მთელი ძალების დაძაბვას. 1295 წ. ხორასნის და მაზენდარანის ტერიტორიაზე შემოიჭრნენ ჩაღათაელი დუვა-ხანის ჯარები, რომლებიც მალე განდევნეს, მაგრამ მათ მოასწრეს ორივე ამ ოლქის განაღგურება და იქიდან 200 000 მცხოვრების ტყვედ წაყვანა.

უფრო ძნელი იყო ამირა ნოურუზთან ბრძოლა, რომელიც თავდაპირველად აქტიურად ეხმარებოდა ყაზან-ყაენს ტახტისათვის ბრძოლაში: მას ეგონა, რომ ყოვლისშემძლე-მეფეროვედ იქცეოდა, მაგრამ იგი მოტყუვდა. 1298 წ. ამირა ნოურუზი ხორასანში აჯანყდა: მას უნდოდა ამ მხრის დამოუკიდებელი მბრძანებელი გამხდარიყო. ყაზანის ჯარებთან ბრძოლაში ამირა ნოურუზი დამარცხდა: იგი პერათში გაიქცა. ჰერათის მბრძანებელმა მელიქ ფაპრ ად-დინ ქურთმა – ილსანის ვასალმა იგი სტუმართმოყვარულად მიიღო, ხოლო შემდეგ კი გადასცა ყაენს. ამირა ნოურუზი სიკვდილით დასაჯეს. 1297 წ. საქართველოში მოხდა

ანტიმონღოლური აჯანყება. 1299 წ. სახელმწიფოს დასავლეთ ნაწილში, რუმში აჯანყდა ამირა სულამიში, რომელმაც მოახერხა 50 000 კაცის შეგროვება და ეგვიპტის მსარდაჭერის მოპოვება. ყაზანის ჯარებმა ეს აჯანყებაც ჩააქრეს.

მონღოლ მომთაბარე ფეოდალებთან ბრძოლაში ყაზან-ყაენს მოკავშირეები პყავდა ირანელი, ბინადარი მუსლიმი, სასულიერო და საერთო ფეოდალების სახით, რომელიც, ისევე როგორც ცენტრალური ხელისუფლება, დაინტერესებული იყვნენ სახელმწიფოს ძლიერებით და რომელთაც ეშინოდათ ფეოდალური ანარქიის.

1299-1303 წწ-ში ყაზან-ყაენმა სამჯერ ილაშქრა სირიაში. მისმა ჯარებმა დროებით დაიპყრეს პალები (ალეპო), დამასკო და სირიის სხვა ქალაქები, მაგრამ საბოლოოდ მაინც დამარცხდნენ და იძულებული გახდნენ უკან დაეხიათ. საფრანგეთი, არაგონია და დასავლეთ ევროპის სხვა ქრისტიანი სახელმწიფოები ყაზან-ყაენს სამხედრო ძალით პპირდებოდნენ დახმარებას, მაგრამ ამ დაპირებას არ ასრულებდნენ.

ყაზან-ყაენის მიერ გატარებული საშინაო რეფორმების დამუშავებაში ხელმძღვანელ როლს ასრულებდა რაშიდ ად-დინ ფაზულლაპ ჰამადანი — ექიმი, სწავლული ენციკლოპედისტი, ღვთისმეტყველი და გამოცდილი ფინანსისტი. რაშიდ ად-დინმა მოახერხა ყაზან-ყაენთან დაახლოება და მისი წყალობით თანამდებობიდან გადააყენეს და სიკვდილით დასჯეს წინანდელი ვეზირი „ქაღალდის საღრი“ — საღრ ად-დინ ხალიდი, რის შემდეგაც იგი გახდა ილხანის უახლოესი მრჩეველი და ორ ვეზირთაგან ერთერთი. ოფიციალურად პირველი ვეზირის და სახელმწიფო ბეჭდის მცველის პოსტი ეკავა სა-ად ად-დინ სავეჯის, ფაქტობრივად კი ოცი წლის განმვალობაში (1298-1218 წწ) სახელმწიფოს მთელ საქმეებს განაგებდა რაშიდ ად-დინი. თავის სახელმწიფო მოღვაწეობასთან ერთად ის იყო შუა საუკუნეების დიდი სპარსელი ისტორიკოსი.

რაშიდ-ად-დინის მიმოწერიდან ჩანს, რომ ყაზან-ყაენის რეფორმებს საფუძვლად ედო ვეზირი ისტორიკოსის პოლიტიკური იდეები: ილხანისა და მოღნოლთა არისტოკრატიის დაახლოება ირანულ ფეოდალურ არისტოკრატიასთან და ირანული სახელმწიფოებრიობის შეთვისება, ცენტრალური ხელისუფლების განმტკიცება, მონღოლურ-თურქულ სამხედრო-ნომადურ არისტოკრატიის ცენტრიდანულ მისწრაფებებთან ბრძოლა, მათი

აჯანყებებისა და თეითნებობის ალგმეა, რენტა-გადასახადის მტკიცე ფიქსაცია, გლეხთა და ქალაქის მცხოვრებთა მდგომარეობის გაუმჯობესების მიზნით საფინანსო აპარატის გაჯანსაღება, მწარმოებელი მოსახლეობის გადასახადის გადახდისუნარიანობის გაუმჯობესება, დანგრეული საირიგაციო სისტემის, სოფლის მეურნეობის, ხელოსნობის, ვაჭრობის და საქალაქო ცხოვრების აღორძინება. ყაზან-ყაენის დროს ხელმძღვანელი პოლიტიკური როლი მონღოლურ-თურქული სამხედრო-ნომადური არისტოკრატიის ხელიდან გადაეიდა ირანული სამოქალაქო ბიუროკრატიისა და სასულიერო არისტოკრატიის ხელში, რომლის პოლიტიკური ხაზის გამტარებელი რაშიდ აღ-დინი იყო. ყაზან-ყაენი არ ენდობოდა მომთაბარე არისტოკრატიას და ბევრი მისი წარმომაღგენელი სიკვდილით დასაჯა, მაგრამ ის მაინც იძულებული იყო მათთვის დაეთმო (იკტას მიწების მასობრიეი დარიგება და სხვ.).

ხაზინის გაღარიბების ერთ-ერთი მთავარი მიზეზთაგანი იყო ხარჯთამკრეფი მოხელეების და გადასახადის შემსყიდველების მომხვეჭელობა და ყაენის სახლის წევრების პირადი მოთხოვნილებების დასაკმაყოფილებლად უზარმაზარი სახსრების ხარჯვა, ამიტომაც ყაენის განსაკუთრებული ბრძანებულებით, დაღგენილ იქნა ხარაჯისა და ყუფჩურის მტკიცე რაოდენობა თეითეული ოლქიდან ფულადი და ნატურალური სახით. ყველა ეს საგადასახადო ნუსხა, ყაენის ბეჭდით დამტკიცებული, ინახებოდა თავრიზში, ხოლო ღითონის ან ქვის ფილებზე ამოკვეთილი ამ საგადასახადო ნუსხის პირი ჩასმული იყო მეჩეთების, მედრესეების, ბაზრების პორტალებში, ე. ი. თვალსაჩინო ადგილას, რათა ხალხი ნებისმიერ დროს გასცნობოდა მას. საგადასასადო ნუსხებში ფიქსირებული გადასახადის ჯარდა, რაიმეს მოთხოვნა მკაცრად იკრძალებოდა.

ხანების ცოლებს, უფლისწულებს და კერძო პირებს მალემსრბოლების გაგზავნა პირადი დავალებებით აეკრძალათ: მალემსრბოლებს მხოლოდ სახელმწიფო საქმეებთან დაკავშირებით აგზავნიდნენ და მათ მგზავრობისათვის აუცილებელ სახსრებს აძლეედნენ. ფეოდალური ვალდებულება „ნუზული“ გააუქმეს.

ბარათების გაცემა აიკრძალა. ამიერიდან, არა შემსყიდველი, არამედ სახელმწიფო მოხელე-ანგარიშვალდებული ხაზინის წინამე, კრეფდა მოსახლეობიდან მტკიცედ ფიქსირებულ გადასახადს. ხანების, უფლისწულების, ამირების, ჯარის და სხვ. სასარგებლოდ

დაწესებული მრავალრიცხოვანი გადასახადი გააუქმეს. მათ შესანახად გამოყოფილი თანხა შეგლუდეს. შეიზღუდა აგრეთვე ყაენის ნაღირობისათვის განკუთვნილი ხარჯები. საგინაში შემოსული ფული და ძვირფასეულობა საგულდაგულოდ აღიწერებოდა, იბეჭდებოდა და შესანახად ბარდებოდა რამდენიმე საიმედო პირს. ნებისმიერი თანსა საგანძურიდან თვითონ ყაზან-ყაენის ბრძანების საფუძველზე გაიცემოდა.

მონღოლი სამხედრო არისტოკრატიის მისწრაფებამ გლეხებისად მიწების ხელთგდებისაკენ, აიძულა ყაზან-ყაენი გაეტარებინა მონღოლი მეომრებისათვის მიწის ნაკვეთების (იკტა) მასობრივად დარიგების პოლიტიკა. მანამდე რიგითი მეომრები იღებდნენ თანსას ტანსაცმლისათვის („ჯამაგიათ") და საკვებ პროდუქტებს ნატურით („ულუფე"), რაც გლეხებში იკრიფებოდა. შეგროვილ თანსას და პროდუქტებს ხშირად მოხელეები იტაცებდნენ, ისე რომ მეომრებამდე არც მიდიოდა. მონღოლთა ჯარის რიგითი შემადგენლობის დაუკმაყოფილებლობა იყო ერთ-ერთი ძირითადი მიზეზი 1303 წ. სირიაში, მამლუქთა სულთანთან ომში ყაზან-ყაენის დამარცხებისა. მონღოლი მეომრების მოთხოვნილებების დაკმაყოფილების მიზნით, ყაზან-ყაენმა 1303 წ. გამოსცა იარლიყი ყველა მონღოლისათვის, მათ შორის ფეოდალური ლაშქრის მეომრებისათვის („ჩერიკ") „იკტად" მიწების დარიგების შესახებ. მთელი ოლქები ლენად ეძლეოდათ ათასეულის ამირებს, ანუ მონღოლური ტომების ცალკეული განშტოებების ამირებს, რომლებიც ლაშქარში 1000 მეომარს გამოიყვანდნენ. ათასის ამირა, როდესაც ამა თუ იმ ოლქს მიიღებდა, კენჭისყრით ჰყოფდა მას 10 ნაწილად ასეულის ამირებს შორის. ასევე კენჭისყრით, ასეულის ამირები თავის ტერიტორიას ჰყოფდნენ ათეულის ამირებს შორის, ხოლო ათეულების ამირები — ცალკეულ რიგით მეომრებს შორის, რომელთაგან თვითეული იკტად იღებდა პატარა მიწის ნაკვეთს — სოფელს ან მის ნაწილს გლეხებითურთ. „იკტას" მიწები ფორმალურად ეკუთვნოდა სახელმწიფო მიწების ფონდს, ფაქტიურად კი მიწების განსაკუთრებულ კატეგორიას ქმნიდა, რამდენადაც მათი ექსპლოატაცია სახელმწიფოს მიერ მისი აპარატის საშუალებით არ ხერხდებოდა. იარლიყის მიხედვით, იკტას მიწების გაყიდვა არ შეიძლებოდა; ცუდი სამსახურის გამო, ისინი შეიძლებოდა ჩამოერთმიათ მფლობელისათვის; იკტა გადადიოდა მამიდან

შეილზე ან სხვა ნათესავზე, ამგვარად იგი გადაიქცა იურიდიულად სამკვიდრო ლენად. განსაკუთრებით ბევრი მიწა გადაეცათ მეომრებს „იკტად“ აზერბაიჯანში, საზამთრო და საზაფხულო საძოვრებთან ახლოს, რადგანაც მონღოლი მეომრები მომთაბარულ ცხოვრებას აგრძელებდნენ.

„იკტას“ მიწაზე მცხოვრები გლეხებისაგან აიღებოდა ყველა ის გადასახადი, რომლითაც ისინი ადრეც იყვნენ დაბეგრილი, მაგრამ ეს გადასახადები ახლა ხაზინის ნაცვლად „იკტას“ მფლობელის ხელში იყრიდა თავს. ეს უკანასკნელი, თავის მხრივ, სახელმწიფოს შემოსაელის მხოლოდ მცირე ნაწილს უხდიდა.

ყაზან-ყაენმა 1302 წლის იარლიყით დაამტკიცა გლეხთა მიწაზე ბიმაგრება, რაც უკვე პირველი ილხანების დროს არსებობდა. გლეხებს ეკრძალებოდათ იმ მიწების მიტოვება, რომლებზეც ისინი მიწერილი იყვნენ; მიწისმფლობელებს ეკრძალებოდათ აყრილ-გაქცეული გლეხებისათვის თავშესაფრის მიცემა. დადგინდა ოცდათწლიანი ვადა, რომლის განმავლობაშიც შეიძლებოდა გაქცეული გლეხის მოძებნა და თავის საცხოვრებელ ადგილზე დაბრუნება.

შემორჩა აგრეთვე სოფლის მეურნეობაში მონის შრომის გამოყენება. მონა-ტყვეები ამუშავებდნენ ფეოდალთა კუთვნილ მიწებს. რაშიდ ად-დინის ჩვენამდე მოღწეულ წერილებში არის ცნობები, რომ იგი სწერდა თავის ვაქებს: მისი კუთვნილი მიწებიდან ოთხი სოფელი უკვე დასახლებულია მონებით და თხოულობდა მეხუთე სოფელში დასასახლებლად ბერძენ მონათა ახალი პარტიის გამოგზავნას.

ყაზან-ყაენი მიტოვებული და გავერანებული მიწების დასამუშავებლად საგადასახადო შეღავათებს ჰპირდებოდა იმ მიწის მფლობელებს, რომლებიც ამ მიწების დამუშავებას და დასახლებას ხელს მოკიდებდნენ. ჯარისათვის „იკტების“ დარიგების და დაცარიელებული მიწების (ეს მიწები გამოყოფილი იყო დივანისა და ინჯუს მიწების ფონდიდან) მიცემის შედეგად კერძომესაკუთრული მიწების ფონდი შესამჩნევად გაიზარდა, რამაც მნიშვნელოვნად შეუწყო ხელი სახელმწიფოში საწარმო ძალების ზრდას.

ყაზან-ყაენის დროს მნიშვნელოვნად გაიზარდა აგრეთვე „ვაკუფის მიწების“ ფონდი. ორთოდოქსი მუსლიმი ყაზან-ყაენი მუსლიმ სასულიერო პირებს მიწების დიდი ფართობებით და

ფულით ასაჩუქრებდა. საკმაოდ მალე ვაკუფის მიწის მფლობელებმა ამ მიწების გასაკუთრება მოასერხეს.

ყაზან-ყაენის რეფორმებმა არსებითი ცვლილებები შეიტანეს საქალაქო ცხოვრებაშიც. ყაზან-ყაენის წინამორბედთა დროს სახელმწიფოში დიდი წონა ჰქონდათ დიდ ვაჭრებს. ისინი არამარტო ვაჭრობას მისდევდნენ, არამედ აწარმოებდნენ მსხვილ სავახშო ოპერაციებს; მათ ხელში იყო აგრეთვე სახელმწიფოს მთელი გადასახადების შესყიდვის საქმე (მათ შორის „თამღისაც"). მსხვილი ვაჭრები სარგებლობდნენ გაბატონებული კლასის ზედაფენის მფარველობით და საგადასახადო შეღავათებით. ხანების ცოლებისა და უულისწულების სახლები სავაჭრო-საავახშო ოპერაციების მსგავსი დაწესებულებები იყო. „თამღის" სიმძიმის გამო საშუალო და წვრილი ვაჭრების მდგომარეობა საგალალო იყო. ქალაქებში მევახშეობა მთელი სიმძიმით თავს დააგყდა ხელოსნებსა და ქალაქის ღარიბებს. მევახშეობამ ისეთი საშიში ხასიათი მიიღო, რომ ყაზან-ყაენმა, მიუხედავად გაელენიანი ფენების და კარის დიდებულების წინააღმდეგობისა, სპეციალური იარლიყი გამოსცა მევასშეობის აკრძალვისა და მოვალეების გათავისუფლების შესახებ როგორც თავისი, ასევე პროცენტების გადახდისაგან. შემდგომში ხელისუფლება იძულებული გახდა ერთგვარ დათმობაზე წასულიყო და დაეწესებინა პროცენტების რაოდენობა, რომლის ზევითაც მევახშეს ვალის მოთხოვნის უფლება არ ჰქონდა.

ხელოსნებისა და ვაჭრების მდგომარეობის გაუმჯობესების მიზნით, ყაზან-ყაენმა მთელ რიგ ქალაქებში გააუქმა „თამღა", სხვაგან კი „თამღის" რაოდენობა სანახევროდ შეამცირა.

ყაზან-ყაენმა გააგარა აგრეთვე სამონეტო რეფორმა, რომელიც შეეხო საქართველოსაც: სხვადასხვა რეგიონებში მოჭრილი ფულის ნაცვლად, მის მიერ მთელი სახელმწიფოსათვის შემოღებული იქნა ერთიანი ვერცხლის მონეტა. ძირითადი ფულადი ერთეული იყო ვერცხლის დირჰემი, რომელიც იწონიდა 2,15 გრ. ვერცხლს. 6 დირჰემი უდრიდა ვერცხლის დინარს. 10 000 დინარი უდრიდა ერთ თუმანს. ეს ერთიანი სამონეტო სისტემა იმდენად მოხერხებული გამოდგა, რომ მალე შემოღებული იქნა ჩაღათაელების სახელმწიფოში. ამასთანავე, ნუმიზმატ დ. კაპანაძის აზრით, გიორგი ბრწყინვალის მიერ ქართული მონეტის („გიორგაული თეთრი") მოჭრა, ყაზან-ყაენის მონეტის მიბაძვით ყოფილა განპი-

რობებული. მთელ სახელმწიფოში შემოღებული იქნა ერთიანი ზომა-წონის სისტემა.

ყაზან-ყაენმა შეცვალა აგრეთვე ქარხანეებში მომუშავე მონა-ხელოსნების მდგომარეობა. ქარხანეების გამგებელი მოხელების ბოროტმოქმედებამ, მათ მიერ ხელოსნების შესანახად გაცემული ულუუების გაფლანგვამ, გამოიწვია იარაღის, უნაგირების და ტანსაცმლის დამამზადებელი სახელოსნოების გაჩერება: მათ შეწყვიტეს პროდუქციის გამოშვება. ქარხანეებში მონა-ტყვეების მდგომარეობაში მყოფი ხელოსნები დაინტერესებული არ იყვნენ თავიანთი ნაწარმის გამოშვებით. მონის შრომა ამიტომაც არარენტაბელური აღმოჩნდა. ყაზან-ყაენმა გააუქმა ულუუების გაცემა და მონა-ხელოსნები ქარხანეებში ღალაზე გადაიყვანა.

ყაზან-ყაენმა დედაქალაქი თავრიზი გააფართოვა და გაამშვენიერა. თავრიზის გარეუბანში — შამში (ანუ სხვანაირად შამბ-ი ყაზანში) ყაზან-ყაენმა თავისივე სიცოცხლეში ააშენა მავზოლეუმი, რომლის გუმბათიც სიმაღლით აღემატება მერეში სულთან სანჯარის მავზოლეუმის გუმბათს (ეს უკანასკნელი ითვლებოდა მუსლიმური სამყაროს ყველაზე მაღალ შენობად). ყაზან-ყაენის მავზოლეუმი მაღალკვალიფიციური სპარსელი ხელოსნების მიერ მოპირკეთებული იყო მდიდრულად და მაღალი ხელოვნებით. იგი საყოველთაო აღტაცებას იწვევდა. მავზოლეუმის ახლოს ააშენეს ორი მედრესე, ჰოსპიტალი, ობსერვატორია (პულაგუ-ხანის მიერ მარაღაში აშენებული ობსერვატორიის მსგავსი), ბიბლიოთეკა, არქივი, აბანოები, წყალსაცავი. ამ დაწესებულებების შესანახად შეიქმნა სპეციალური ვაკუფი 185 000 დინარის შემოსავლით. ქალაქის ყველა კარიბჭესთან აშენდა ქარვასლა, ბაზარი და აბანო. ყაზან-ყაენი თავის დიდებულებს ხელს უწყობა თავრიზში სასახლეების და სხვა ნაგებობების მშენებლობაში.

რაშიდ ად-დინი თავრიზში მთელ კვარტალს, როგორც ჩანს, ქალაქის მეოთხედს ფლობდა („რუბ-ე რაშიდი"), რომელიც მისი საკუთარი სახსრებით იყო აშენებული. ამ კვარტალში, რაშიდ ად-დინის ცნობით, ყოფილა 30 000 სახლი (ე. ი. ოჯახი), 24 ქარვასლა, 1500 დასლი, საქსოვი, სამღებრო, საქაღალდე სახელოსნოები, ბევრი ბაღი, აბანოები, საწყობები, წისქვილები და ზარაფხანა.

ხელოსნებს შორის ბევრი იყო სხვადასხვა ქალაქიდან და ქვეყნიდან გადმოსახლებული ოსტატი. „რუბ-ე რაშიდში" იყო

„ულემების ქუჩა“, სადაც ღვთისმეტყველები, მუეძინები და ყურანის მკითხველები სასლობდნენ. იქაურ მედრესეებში 6-7 ათასამდე სტუდენტი სწავლობდა. იქ იყო შესანიშნავი პოსპიტალი, სადაც ინდოეთიდან, ჩინეთიდან, ეგვიპტიდან და სირიიდან ჩამოყვანილი 50 ექიმი მუშაობდა, რომელთა შორის იყვნენ შესანიშნაები ოკულისტები, ქირურგები და ორთოპედები; თითოეული მათგანი რაშიდ ად-დინის 5 ახალგაზრდა მონას ასწავლიდა თავის ხელობას. რაშიდ ად-დინის კვარტალში იყო ბიბლიოთეკა, რომელშიც მოთავსებული იყო 60 000 წიგნი გუსტი მეცნიერებებიდან, ისტორიიდან, პოეზიიდან და მუსლიმური ღვთისმეტყველებიდან; მათ შორის იყო ეპოქის სახელგანთქმული კალიგრაფების მიერ გადაწერილი ყურანის ათასი ხელნაწერი. კვარტლის სარწყავად გაიყვანეს დიდი არხი, რომელსაც უწოდეს „რაშიდი“. რაშიდ ად-დინის სიმდიდრე განსაკუთრებული იყო მისი წრისა და ეპოქისთვისაც კი.

თაერიზის მღვბარეობა საქარავნო-სატრანზიტო გზების შესაყარზე, მისი განსაკუთრებული მნიშვნელობა როგორც ყაენის საგახტო ქალაქისა, ხელს უწყობდა მისი მოსახლეობისა და ტერიტორიის ზრდას. ყაზან-ყაენამდე ქალაქის კედელს პქონდა მხოლოდ 6 000 ნაბიჯი სიგრძე წრეწირში; ყაზანის მიერ აშენებული ახალი კედლის სიგრძე 25 000 ნაბიჯი იყო (24 კმ.). ქალაქის სიმდიდრე და მცხოერებთა მრავალრიცხოვნება, მის ბაზარზე საქონლის ნაირფეროვნება და სიუსვე თანამედროეეთა აღტაცებას იწვევდა.

ყაზანმა დიდი ყურადღება მიაქცია ვაჭრობის განვითარებას: ივი სასტიკი ღონისძიებებით ებრძოდა ქურდ-ავაზაკებს, მეკობრეებს და იცავდა მათგან სავაჭრო-გზებს. ვაჭართა ქარავნების მიმოსელა იმის გამოც ფერხდებოდა, რომ გზებზე გადასახადის ამკრეფნი (რაპდარები) მოქარაენეებისაგან რაც მოეხასიათებოდათ, იმ რაოდენობით იღებდნენ გადასახადს. ამაეე დროს, იმ საბაბით, თითქოს მათ შორის ავაზაკი იმყოფებოდა, ქარავნებს აჩერებდნენ, ამასობაში კი ავაზაკები გზებზე გამოდიოდნენ და ძარცვავდნენ ვაჭრებს. როგორც ვხედავთ, ხელისუფლების წარმომადგენელნი (რაპდარები) ავაზაკ-მეკობრეებთან შეთანხმებით მოქმედებნენ. ყაზან-ყაენის ბრძანებით, შეუბრალებლად სიკვდილით უნდა დაესაჯათ ყველა – მონღოლი თუ ირანელი, მომთაბარე თუ ბინადარი, ვინც მძარცველებთან აღმოჩნდებოდა დაკავშირებული და ეს ცნობილი გახდებოდა ხელისუფლებისათვის.

ყაშან-ყაენმა, სახელმწიფოს სამხედრო პოტენციალის განმტკიცების მიზნით, ბრძანა ტყვეებისაგან ან მონებისაგან დაკომპლექტებული გვარდიის ტიპის, ჯარის ჩამოყალიბება.

ყაშან-ყაენმა სასტიკად აკრძალა ღვინის სმა და ლოთობა. რაშიდ ად-დინის ცნობით, ლოთობასთან ბრძოლის მიზნით ქალაქებსა და დაბებში ლოთებს იჭერდნენ, აშიშვლებდნენ, ბაზარში ბოძზე მიაბამდნენ, რათა ხალხს გაეკიცხა ისინი.

ყაშან-ყაენი იბრძოდა პროსტიტუციის წინააღმდეგაც, მაგრამ მან ისიც კარგად იცოდა, რომ ამ სამარცხვინო პროფესიას დიდი ხნის ტრადიცია ჰქონდა და მისი მოსპობა ერთბაშად არ მოხდებოდა. იგი ფიქრობდა, რომ პროსტიტუცია ნელ-ნელა, თანდათანობით უნდა მოისპოს. რაშიდ ად-დინის მიხედვით, ყაზანს საამისო გეგმა შეუმუშაევია: პირველ რიგში სამეკიტნოებიდან (დუქნებიდან) უნდა გაათავისუფლონ იქ იძულებით მოხვედრილი ქალები. მან დააწესა მათი გამოსასყიდი თანხა და ბრძანა, რომ ისინი ამ თანხით გამოისყიდონ, გამოიყვანონ დუქნებიდან და მათი ნებასურვილის მიხედვით გაათხოვონ. აღსანიშნავია, რომ აღმოსავლეთის ქვეყნებში დუქნებში (სამეკიტნოებში) მეძაველის ყოლა აუცილებელი იყო: ბაღდადისა და კაიროს სამეკიტნოებში მრავალად ჰყავდათ ისინი. ადამ მეცის აზრით, ისლამურ სამყაროში პროსტიტუცია აყვავებული იყო, მიუხედავად იმისა, რომ მრავალცოლიანობას თითქოს უნდა გამოერიცხა პროსტიტუცია: ისლამი ბრუნავდა იმაზე, რომ გაუთხოვარი გოგოები და უცოლო ვაჟები არ ყოფილიყვნენ, მაგრამ, მიუხედავად ამისა, პროსტიტუცია მაინც ძალიან იყო გავრცელებული. მთავრობა იბრძოდა მის წინააღმდეგ.

ყაშან-ყაენმა განსაკუთრებული ყურადღება მიაქცია სოფლებში მეჩეთებისა და აბანოების აშენებას. გარეგნულად ეს ღონისძიება იმით იყო გამართლებული, რომ მუსლიმთათვის აუცილებელი იყო ლოცვა და განბანვა, მაგრამ, როგორც ჩანს, ამ ღონისძიებას ეკონომიკური საფუძველი ჰქონდა: აბანოს დიდი შემოსავალი შემოჰქონდა, რომელიც აბანოების კეთილმოწყობასა და მეჩეთების შენასვას სმარდებოდა.

ყაშან-ყაენის რეფორმების შედეგად სახელმწიფო საზინა მნიშვნელოვნად შეივსო. პამდალლაჰ ყაზვინი, რომელმაც თავის გეოგრაფიულ თხზულებაში ძვირფასი ცნობები მოგვაწოდა ილხანთა ირანის ფინანსების შესახებ, მოგვითხრობს, რომ ყაზანის

წინამორბედი მონღოლი ხანების დროს ხაზინაში შემოსული მთელი თანხა 1700 თუმანი იყო (ვასაფის მიხედვით — 1800 თუმანი), ხოლო ყაზან-ყაენის დროს ეს თანხა 2100 თუმნამდე გაიზარდა, ანუ თითქმის 25%-ით.

სახელმწიფო აპარატი განმტკიცდა და მოხელეების თვითნებობა შეიზღუდა, რის შედეგადაც მოსახლეობის დაცვა ბოროტმოქმედებისა და უკანონო გადასახადებიდან გარანტირებული იყო. ყაზან-ყაენმა ჩააქრო უეიღალთა აჯანყებები, რომლებიც ასუსტებდნენ სახელმწიფოს.

ყაზან-ყაენის რეფორმებს საფუძვლად ედო რენტა-ხარკის ზუსტი ფიქსაცია და მათი აკრეფის მოწესრიგება. ეს რეფორმები გატარდა არა გადასახადის გადამსდელი მოსახლეობის, არამედ სახელმწიფოს სასარგებლოდ: აუცილებელი იყო თუნდაც მარტივი აღწარმოების მოწესრიგება. ადრე არსებულ ტერორისტულ რეჟიმთან, რაი ათების ძარცვასთან და თვითნებურ გადასახადებთან შედარებით, ახალმა რეჟიმმა გლეხებსა და ქალაქის მცხოვრებლებს შვება მოუტანა. წყაროების, განსაკუთრებით რაშიდ ად-დინის, ჰამდალლაჰ ყაზვინის და ჰაფეზ-ე აბრუს ცნობებით, დადასტურებულია მიწისმოქმედების ერთგვარი აღმაფლობა, მაგრამ ირანმა ვერ მიაღწია იმ დონეს, რომელზეც ჩინგიზ-ხანის შემოსვამდე იმყოფებოდა.

აქვე გვინდა აღვნიშნოთ, რომ ყაზან-ყაენის პიროვნებას დადებითად აფასებს ქართველი ანონიმი ისტორიკოსი „ქამთა-აღმწერელი". იგი წერს: „იყო ყაზან ფრიად რამე კეთილ და უბოროტო გონება და სიმართლის მოქმედ, უფროს ყოველთა უწინარესთა ყაენთა, ესოდენ, რომელ ჯაჭუ განება ორთა შეშათა ზედა და ეეუნები მოება მრავლად, რათა გლახაკნი უღონონი და უქონელნი, ყაენისა და ნოინთა წინა მისლეისა უღირსნი და მოჩივარნი, მივიდოდნენ და შეარყევდენ შეშასა და ჯაჭუასა, და ესმოდის ყაესსა ქმა ეეუანთა და ცნის, რომელ სასჯელი უც გლახაკთა და შეურაცხთა კაცთა, რომელით თჯთ განიკითხოს პირისპირ. ესოდენ უყუარდა სამართალი, რომელ დღეთა მისთა არა იქმნებოდა ძალი და უსამართლობა, არა დიდითა და არა მცირეთაგან".

§12. ულუჯაითუ-ხანის მეართველობა

ყაზან-ყაენი 1304 წ. გარდაიცვალა. მან თავის შემცველელად თავისი ძმა ულუჯაითუ-სანი დანიშნა, რომელსაც მუსლიმური სახელიც ჰქონდა — სულთანი მუჰამედ ხუდაბანდე (1304-1316 წწ).

ულუჯაითუ-ხანის მთავრობამ სირიის დაპყრობის ძველ გეგმებზე სელი არ აიღო. ეგვიპტის სულთნის წინაღმდეგ ბრძოლაში მოკავშირის ძიების მიზნით ულუჯაითუ-ხანმა 1304 წ. საფრანგეთში, ფილიპე IV ლამაზთან გააგზავნა ორი ელჩობა. მონღოლურ ენაზე უიღურული ასოებით დაწერილი ეს წერილი ჩვენამდეა მოღწეული. მსგავსი წერილები ჩააბარეს ინგლისის მეფე ედუარდ II-ს და რომის პაპს კლემენტ V-ს. ორივე მეფე და პაპი სამხედრო დახმარების შესახებ უხვად იძლეოდნენ დაპირებებს, მაგრამ პრაქტიკულად არაფერს აკეთებდნენ. ულუჯაითუ-ხანი იძულებული გახდა ბოლოს და ბოლოს შეეწყვიტა სირიის დაპყრობის მცდელობა.

ულუჯაითუ-ხანის ზეობის წლებში მტრული ურთიერთობა ჩაღათაელთა სახელმწიფოსთან და ოქროს ურდოსთან გრძელდებოდა, მაგრამ მათ შორის საზღვარი უცელელი რჩებოდა.

1307 წ. ილხანთა სასელმწიფოს მტკიცედ შეუერთდა გილანი, რომელიც ბევრი წვრილ-წვრილი ნასევრადდამოუკიდებელი მბრძანებლის ხელთ იყო. ულუჯაითუ-ხანის დროს საშინაო პოლიტიკის სფეროში ყაზან-ყაენის მიერ აღებული კურსი გრძელდებოდა. მის მიერ გატარებული რეფორმები ძალაში რჩებოდა. ორი მონღოლი მხედართმთავარი ამირა ყულთუშაპი და ამირა ჩობანი სამხედრო საქმეებს განაგებდნენ; ისინი მონღოლური ულუსის ნოინები იყვნენ. სამოქალაქო მმართველობის სათავეში ნომინალურად იდგა ვეზირი სა-ად ად-დინი, ფაქტობრივად კი — რაშიდ ად-დინი, რომელმაც ულუჯაითუს დროსაც შეინარჩუნა თავისი ძალაუფლება. სა-ად ად-დინი ცდილობდა დაბეზღებებით რაშიდ ად-დინის თავიდან მოცილებას, მაგრამ რაშიდ ად-დინმა მოახერხა თვითონ სა-ად ად-დინის სიკვდილით დასჯა, რის შემდეგაც ვეზირად გაიამსანაგა ვაჭარი — ორტაღი თაჯ ად-დინ ალიშაპ გილიანი, რომელიც შემდეგ რაშიდ ად-დინის მოქიშპედ და მტრად იქცა.

1305 წ. ულუჯაითუ-ყაენმა განაახლა არღუნ-ყაენის დროს დაწყებული ახალი ქალაქის სულთანიეს მშენებლობა. საქარაენო

გზებთან და იალაღებთან სიახლოეემ განაპირობა ქალაქის აყვავება, რომელიც მალე ილხანის საზაფხულო დედაქალაქი გახდა. საზამთრო დედაქალაქად კელავ ბაღდადი რჩებოდა. ულუჯაითუ-ხანის დიდებულები ასალი ქალაქის გამშვენიერებაში ერთმანეთს ეჯიბრებოდნენ. სულთანიეში, ისევე როგორც თავრიზში, მთელი კვარტალი რაშიდ ად-დინის პირადი სახსრებით იყო გაშენებული. ყაენის კარის შეკვეთების შესრულება და ახლომდებარე საზაფხულო საძოვრებთან ეაჭრობა სულთანიეს საკმაოდ ჭრელ ეაჭრულ-ხელოსნურ მოსახლეობას კარგ შემოსავალს აძლევდა. სულთანიეს მოსახლეობა შედგებოდა სხვადასხვა ოლქებიდან მოსული, სხვადასხვა რელიგიის აღმსარებელი, სხვადასხვაენოვანი ხალხისგან. ქალაქის მშენებლობა 1313 წ. დასრულდა. ქალაქის გალავანს 30 000 ნაბიჯი სიგრძე ჰქონდა წრეწირში. ულუჯაითუ-ხანი თავისი დედის-ქრისტიანის მიერ ბავშვობაში ქრისტიანად იყო მონათლული, შემდეგ მან მიიღო სუნიტური ისლამი, ბოლოს კი გადაიხარა შიიზმისაკენ; იგი ცდილობდა სახელმწიფო რელიგიად შიიზმის გამოცხადებას, მაგრამ მისმა რელიგიურმა პოლიტიკამ მარცხი განიცადა: ირანის სასულიერო და სამოხელეო არისტოკრატიამ ილხანის ამ მცდელობას სასტიკი წინააღმდეგობა გაუწია, ისინი მტკიცედ იცავდნენ სუნიზმს. ულუჯაითუ-ხანის დროს კელავ დაიწყო არამუსლიმებისაგან ჯიზიას აღება.

§13. ჰულაგუიანთა სახელმწიფოს რღვევის დასაწყისი

აბუ-სა-იდ ბაპადურ-ხანი — ულუჯაითუს შვილი ტახტზე ავიდა 12 წლის ასაკში; ბუნებრივია, მას სახელმწიფოს დამოუკიდებლად მართვა არ შეეძლო: სახელმწიფოს ფაქტობრივ მმართველად იქცა ამირა ჩობანი — მონღოლური სულღუზის ტომიდან, ულუსის ამირა და მთავარსარდალი. მთელი რიგი ოლქები მონღოლ ამირებს მიეცა საგამგებლოდ. ვეზირი თაჯ ად-დინ ალიშაპი ამირა ჩობანის მხარდაჭერის წყალობთ გაძლიერდა. ალიშაპმა, რაშიდ ად-დინსუეე სამოცდაათი წლის მოხუცს, რომელსაც უჭირდა სასახლის ინტრიგებთან ბრძოლა, წაართვა სახელმწიფოს მართვა-გამგებლობა. იგი არ დაკმაყოფილდა რაშიდ ად-დინის გაღაყენე-

ბით: მას ბრალი დასდო ულუჯაითუ-ხანის მოწამელამი, რომელსაც რაშიდ ად-დინი, როგორც ექიმი, მკურნალობდა. მომთაბარული არისტოკრატია ვერ იგანდა რაშიდ ად-დინს ყაზან-ყაენის რეფორმებში მისი მონაწილეობის გამო. ახლა მათ ხელსაყრელი შემთხვევა გამოიყენეს მასთან ანგარიშის გასასწორებლად; რაშიდ ად-დინი გაასამართლეს და 1318 წ. იელისში სიკვდილით დასაჯეს: იგი ხმლით გაკეთეს შუაზე (ისევე, როგორც ადრე მის მიერ დაღუპული სა-ად-დინი). რაშიდ ად-დინის უზარმაზარი ქონება ხაზინამ წაიღო. მის მიერ თაბრიზში გაშენებული კვარტალი გაანადგურეს, მის მიერ ღაარსებული ეკეუეები და საქველმოქმედო დაწესებულებანი მოსპეს.

მონღოლური მომთაბარული არისტოკრატიის გაძლიერებამ, რომელმაც ხელში ჩაიგდო სახელმწიფოს მმართველობის ყველა უმნიშვნელოვანესი სფერო და უმთავრეს სამოქალაქო თანამდებობებზე თავისი ხალხი დანიშნა, ძალინ მალე მოსპო ყაზან-ყაენის ღონისძიებების შედეგები (ეს ღონისძიებები, როგორც უკვე ითქვა, მიმართული იყო მოხელეების თვითნებობის წინააღმდეგ და ფეოდალების ასალაგმავად).

მომთაბარე ფეოდალებმა, რომელთაც ცენტრალური ხელისუფლების სისუსტე იგრძნეს, აჯანყებები დაიწყეს. ცენტრალურ სულისუფლებას აჯანყებულებთან ბრძოლა უძნელდებოდა მეზობელ სახელმწიფოებთან მტრული ურთიერთობის გამო. 1317 წ. ხორასანში აჯანყდა შუა აზიიდან გამოძეეებული ჩაღათაელი იასავური; ამავე დროს, ოქროს ურდოს ხანი უბეკი, რომელიც აგრძელებდა ძველ ბრძოლას აზერბაიჯანის დასაუფლებად, შემოიჭრა დარუბანდის რეგიონში. ამირა ჩობანი იბრძოდა ოქროს ურდოს წინააღმდეგ, ამირა იასავურმა ააოხრა მაზენდარანი, ხორასნის ნაწილი და სისტანი. მხოლოდ 1320 წ. მოხერხდა ამ აჯანყების ჩაქრობა.

ამირა ჩობანის უზარმაზარმა ძალაუფლებამ მის მიმართ ბევრი მონღოლი ფეოდალი შურით აღავსო: ისინი ცდილობდნენ ილხან აბუ-სა-იდის წინაშე მის განქიქებას, მაგრამ უშედეგოდ. ბოლოს მის წინააღმეღგ მოეწყო შეთქმულება, რომლის სათაეეშიც აღმოჩნდა ამირა ირინჩინი — კერაიტების ტომიდან. მედროვის წინააღმდეგ შეთქმულება გადაიზარდა თვითონ ილხანის წინააღმდეგ

აჯანყებაში. აზერბაიჯანში სასტიკი ბრძოლის შემდეგ, 1319 წ. ეს აჯანყება ჩააქრეს. ამირა ირინჩინი სიკვდილით დასაჯეს.

1320 წ. ეგვიპტელებმა სასტიკად აჯოხრეს ილხანების ვასალური კილიკიის არმენია. აბუ სა-იდს უნდოდა თავისი სახელმწიფოს დასავლეთის საზღვრებზე რაც შეიძლება სწრაფად საომარი მოქმედების შეწყვეტა, სწორედ ამიტომ ეგვიპტის სულთან ნასირ მუჰამედთან დაიწყო მოლაპარაკება, რომელიც 1323 წ. დასრულდა პულაგუიანთა სახელმწიფოსა და ეგვიპტეს შორის მეგობრული, საზავო ხელშეკრულების დადებით. აბუ-სა-იდმა და ნასირ მუჰამედმა დაიწყეს მეგობრული ელჩობის გაცვლა.

1323 წ. რუმში (მცირე აზიაში) აჯანყდა ამირა ჩობანის ღვიძლი შვილი ამირა თემურთაში. ამირა ჩობანი პირადად წაეიდა ამ აჯანყების ჩასაქრობად, მაგრამ ბოლოს მიაღწია იმას, რომ ილხანმა მის შვილს დანაშაული აპაგია. ოქროს ურდოს წინააღმდეგ სამხედრო მოქმედებები კავკასიაში გრძელდებოდა.

ჩობანიანთა ძალაუფლება სულ უფრო და უფრო ძლიერდებოდა. 1324 წ. გარდაიცვალა ვეზირი ალიშაჰი — ერთადერთი ილხანთა ვეზირებს შორის, რომელიც თავისი სიკვდილით მოკვდა. უკვე დაეაქკაცებულ ილხანს ჩობანიანთა მეურვეობა უკვე მძიმე ტვირთად აწვა. ამირა ჩობანის შვილის დიმიშკ-ხოჯას ძალმომრეობამ და განუკითხაობამ თავრიზში მოსახლეობის საყოველთაო უკმაყოფილება გამოიწვია. 1327 წ. დიმიშკ-ხოჯა სიკვდილით დასაჯეს, რის საპასუხოდაც ამირა ჩობანმა ხორასანში აჯანყება მოაწყო, მაგრამ იგი დამარცხდა და ჰერათში გაიქცა; ჰერათის მბრძანებელმა მას თაედაპირველად თავშესაფარი მისცა, მაგრამ შემდეგ აბუ სა-იდის საამებლად მისი მოშთობა ბრძანა.

ფეოდალურმა აჯანყებებმა, ხშირმა ბრძოლებმა და ბინადარ რეგიონებში ჯარების ხშირმა გადაადგილებამ, ფეოდალების მიერ დაპყრობილი რეგიონების მოსახლეობის გაძარცვამ, მოხელეთა ბოროტმოქმედების ახალი ძალით ზრდამ, სტიქიურმა უბედურებებმა (1318-1320 წწ-ში იყო საშინელი გვალვა, კალიის შემოსევა და არნახული სეტყვა) გამოიწვია შიმშილი და სოფლის ბინადარი მოსახლეობის საბოლოო გამოფიტვა. ხალხი ტოვებდა თავის საცხოვრებელს და გარბოდა. ყაზან-ყაენის რეფორმებით შეჩერებული კრიზისი კვლავ გაძლიერდა.

ფეოდალთა ძალმომრეობისგან მოსახლეობის დაცვის მცდელობა დაკავშირებულია ვეზირ ღიას ად-დინ მუჰამედ რაშიდის — რაშიდ ად-დინის შვილის სახელთან, რომელმაც ეს თანამდებობა დაიკავა 1328 წ. ამირა ჩობანის დაცემის შემდეგ. იგი ცდილობდა საშინაო პოლიტიკის წარმართვას ყაზან-ყაენის რეფორმების ვგზით. მისი რჩევით, ილხანმა აბუ სა-იდმა გამოსცა ბრძანებულებები არაკანონიერი გადასახადებისგან და ვალდებულებებისგან მოსახლეობის გათავისუფლების შესახებ. ჩვენამდე მოაღწია ერთ-ერთმა ასეთმა ბრძანებულებამ, რომელიც ამოკვეთილია მანუჩეს მეჩეთის კედელზე ანისში (სომხეთში. ამჟამად თურქეთშია).

ილხანი აბუ სა-იდი გარდაიცვალა 1335 წ. ოქროს ურდოს წინააღმდეგ ლაშქრობის დროს.

ვეზირ ღიას ად-დინ რაშიდის პოლიტიკურმა ხაზმა მონღოლურ-თურქული მომთაბარე არისტოკრატიის მხრიდან ძლიერი წინააღმდეგობა გამოიწვია. იკტას მიწებს ფონდის გაფართოებასთან ერთად, ეს არისტოკრატია გაძლიერდა. საერთოდ, XIV ს-ის პირველ ნახევარში მიმდინარეობდა სახელმწიფო მიწების ხარჯზე იკტას, მულქის და ვაკუფის მიწების ზრდის პროცესი. ეს მიწები ადრე ცენტრალური ხელისუფლების ხელში იყო და მას ექსპლუატაციას უწევდნენ მოხელეების აპარატის სამუალებით. ამან გამოიწვია ილხანის ცენტრალური ხელისუფლების შესუსტება. ამიტომაც, ცენტრალისტური პოლიტიკის გატარების ცდებს წარმატება არ მოჰყოლია. ამავე დროს, მიმდინარეობდა მსხვილი ფეოდალების ხელში მიწების კონცენტრაციის პროცესი. მსხვილი ფეოდალები წერილ მიწისმფლობელებს პირდაპირ ძალმომრეობის, მიტაცების თუ სასამართლო პროცესების გზით ართმევდნენ მიწებს. ისინი იმით სარგებლობდნენ, რომ ბევრ მიწისმფლობელს ომიანობისა თუ ამბოხებების დროს მიწაზე საკუთრების თუ მფლობელობის დამადასტურებელი საბუთი დაკარგული აქონდა. თუ XIII ს-ის დასაწყისისათვის ირანში აქა-იქ მაინც შემორჩენილი იყვნენ თავისუფალი გლეხები, ასლა ისინი ყმებად გადაიქცნენ. სასოფლო თემი აქა-იქ კიდევ არსებობდა, მაგრამ იქაც კი, სადაც ის შემორჩა, იგი არათავისუფალი და ფეოდალებზე დამოკიდებული იყო. მსხვილი ფეოდალების, განსაკუთრებით მომთაბარული არისტოკრატიის, მიწების ფონდის ზრდამ, გააძლიერა მათი

პოლიტიკური გაელენა, რამაც ფეოდალურ დაჯგუფებებს მორის პოლიტიკური გაელენისათვის ბრძოლაში პპოეა გამოხატულება.

§14. სახალხო-განმათავისუფლებელი ემოძრაობები XIII ს.-XIV ს. დასაწყისში

ფეოდალური რენტის და გაღასახადების დიდმა ზრდამ, ბატონყმურმა პოლიტიკამ და დამპყრობთა მიერ ყოველსაირმა ჩაგვრამ ქვეყანაში კლასობრივი ბრძოლის გაძლიერება გამოიწვია. ამ ბრძოლის ერთ-ერთი გამოელინება გლეხთა მასობრივი აყრა-გაქცეეა იყო; დრო და დრო ეს ბრძოლა აჯანყებაში გადაიზრდებოდა.

1265 წ. ფარსში იფეთქა გრანდიოზულმა სახალხო აჯანყებამ სეიდ შერეფ ად-დინის ხელმძღვანელობით, რომელიც მონღოლთა ბატონობის წინააღმდეგ იყო მიმართული. იგი ილხანის ჯარმა საშინელი სისასტიკით ჩააქრო. 1275 წ. ილხან აბაღა ხანს, რომელიც ამალასთან ერთად ნადირობდა არანში (ჩრდ. აზერბაიჯანში), თავს დაესხა სმლებითა და კეტებით შეიარაღებული ადგილობრივ მცსოვრებთა ჯგუფი და კინაღამ მოკლა იგი. ამ თავდასხმამ აბაღა-ხანი ისე შეაშინა, რომ მან ყველა ოლქიდან ფეოდალური ლაშქრის შეგროვება ბრძანა: იგი საყოველთაო აჯანყებას ელოდა. 1291 წ. იფეთქა ირანული მომთაბარე ტომის — ლურების აჯანყებამ. აჯანყებულებმა დროებით ისპაანიც დაიკავეს.

XIII ს-ის 80-90-იან წწ-ში, ირანის ეკონომიკის დაცემის ეპოქაში, ფართოდ გაიშალა გლეხთა აჯანყება, რომელმაც პარტიზანული ომის ხასიათი მიიღო. ეს მოძრაობა დაწერილებითაა აღწერილი რაშიდ ად-დინის მიერ. მართალია, იგი, როგორც ფეოდალური ისტორიოგრაფი, ამ აჯანყების მონაწილეებს ყაჩაღებს უწოდებს, მაგრამ მისი მონათხრობიდან ნათლად ჩანს, რომ ეს იყო გლეხთა, ექსპლუატირებულთა და ჩაგრულთა ბრძოლა უცხოელთა უღლისა და სასტიკი ბატონყმური ექსპლოატაციის წინააღმდეგ. რაშიდ ად-დინის სიტყვით, მთებში და ტყეებში დამალულ პარტიზანთა რაზმები, შეღგებოდა გაქცეული მონების, ქალაქის „ნაძირალებისა და მღაბიოებისაგან“ — „რუნუდ ვა ოუბაშ“ ე. ი. ქალაქის ღარიბებისა და გაღარიბებული მომთაბარე-

ებისაგან. აღსანიშნავია, რომ ღარიბი მონღოლები მსარში ედგნენ ირანის ხალხის მასებს. თითოეულ სოფელში, თუ მომთაბარეთა ბანაკებში საძოვრებზე, აჯანყებულებს პყავდათ მეგობრები, მფარველები და მსტოვრები. სოფლის მამასახლისების დასმარებით, სოფლებში აჯანყებულთათვის ამზადებდნენ საჭმელს და ყველაფერ აუცილებელს. მათ ქალაქებშიც პყავდათ თავისი ხალხი, რომლებთანაც ისინი თავშესაფარს პოულობდნენ. აჯანყებულთა რაზმები თავს ესხმოდნენ ცნობილ ამირათა სასახლეებს და ბანაკებს და ძარცეავდნენ მათ; იგივე აჯანყებულები თავს ესხმოდნენ ვაჭარ-ორტაღების ქარავნებს, ანგარიმს უსწორებდნენ მდიდრებსა და ცნობილ ხალხს, იტაცებდნენ მათ საქონელსა და ქონებას, როგორც კანონიერ სამხედრო დაელას.

ხალხი აჯანყებულებს თანაუგრძნობდა: მათ სიამოვნებით აძლევდნენ თავშესაფარს, სასმელ-საჭმელით ამარაგებდნენ, მათ გმირობას აქებდნენ. აჯანყებულებს არ აბეზღებდნენ, რაც ხელისუფლებას მათთან ბრძოლას უძნელებდა. როდესაც რომელიმე მათგანს დაიჭერდნენ და მიჰყავდათ სიკვდილით დასასჯელად, აღშფოთებული ხალხი პროტესტს აცხადებდა: „როგორ შეიძლება ასეთი ბაჰადურის (გმირის) სიკვდილით დასჯა“. ეს აჯანყება ყაზან-ყაენის ჯარებმა ჩააქრეს.

1303 წ. ვიღაც სექტანტები ფირ (შეიხ) იაკუბით სათავეში, რომლებიც თავიანთ თავს დერვიშული ორდენის წევრებად აცხადებდნენ და რომელთაც რაშიდ ად-დინი მაზდაქელებს უწოდებდა, ცდილობდნენ აჯანყებას. მათთან დაკავშირებული იყო უფლისწული ალაფრანგი, რომელსაც ხელისუფლების ხელში ჩაგდება უნდოდა. მაგრამ მათი გეგმები გამომჟღავნდა, აჯანყების მოთაყეები შეიპყრეს და სიკვდილით დასაჯეს: ფირ იაკუბი მთის მწვერვალიდან გადააგდეს.

რაშიდ ად-დინი ამ სექტანტებს მაზდაქელებს უწოდებს: ამით მას იმის თქმა სურს, რომ მათი სოციალური პროგრამა ისეთივე იყო, როგორც ძველი მაზდაქელების — სოციალური თანასწორობის დამყარება და სასოფლო თემებისათვის მთელი მიწების გადაცემა. გლეხებისა და ხელოსნების განსაკუთრებით დიდი მოძრაობა ირანში სოციალური თანასწორობის ლოზუნგებით ფართოდ გაიშალა XIV ს-ის 30-იანსა და 80-იან წლებს შორის.

§15. პერიოდის შედეგები

მონღოლთა ბატონობის ხანა იყო ერთ-ერთი ყველაზე უფრო მძიმე ირანის ისტორიაში. მასთანაა დაკავშირებული ასიათასობით ადამიანის დაღუპვა, სოფლებისა და ქალაქების რბევა-აოსრება, ფეოდალური ექსპლუატაციის გაძლიერება. ყაზან-ყაენის დროს დროებითი ეკონომიკური აღმავლობა, ილხანთა რეზიდენციების, ორი-სამი ქალაქის აყვავება ვერ ცვლის ქვეყნის განადგურების საერთო სურათს. საქარავნო ვაჭრობა, ილხანთა ირანს თუმცა აკავშირებდა ბევრ შორეულ და ახლო ქვეყანასთან, აკმაყოფილებდა მხოლოდ და მხოლოდ გაბატონებული კლასის ინტერესებს და არ უწყობდა ხელს ირანში არც ახალი კულტურული ვაელენის და არც ახალი იდეების გაჩენას.

ილხან აბუ სა-იდის სიკვდილის შემდეგ (1335 წ), მსხვილი ფეოდალების ცენტრიდანულმა მისწრაფებებმა, ფეოდალურ დაჯგუფებათა შორის ბრძოლამ და კვლავ აშვირთებულმა სახალხო-განმათავისუფლებელმა მოძრაობებმა ილხანთა ირანი 1336-1353 წწ-ში დაშლამდე მიიყვანეს. მონღოლები ირანში თანდათანობით გაითქვიფნენ ნაწილობრივ იქ მცხოვრებ თურქებში, ნაწილობრივ კი — ირანელებში.

§16. ჰულაგუიანთა იმპერიის დაშლა

ყაზან-ყაენის საშინაო პოლიტიკამ და მისმა რეფორმებმა, თუმცა უზრუნველყვეს ქვეყნის სამეურნეო მდგომარეობის შედარებითი აღორძინება, მხოლოდ დროებით შეაჩერეს ჰულაგუიანთა სახელმწიფოს რღვევა. ეს სახელმწიფო ეკუთვნოდა შუა საუკუნეების იმპერია-კონგლომერატების ტიპს, რომელშიც გაერთიანებული იყვნენ სხვადასხვა ქვეყნები, ხალხები, რომლებსაც არ პქონდათ მტკიცე ეკონომიკური, ეთნიკური და კულტურული კავშირები. ეს სახელმწიფო მხოლოდ დროებით იყო შექმნილი და გაერთიანებული ხმლის ძალით. XIII ს-ში ნატურალური მეურნეობის ზრდამ ირანის ცალკეული ოლქების ურთიერთკავშირი დაასუსტა. მიუხედავად ყაზან-ყაენის ზეობის წლების ცნობილი აღმაველობისა, ირანის ეკონომიკამ XIV ს-ის პირველ ნახევარში

ჩინგიზ-ხანის შემოსევებამდელ დონეს ვერ მიაღწია. ამას მოჰყვა ფეოდალური დაქუცმაცებულობის ზრდა. ყაზან-ყაენის ცენტრალისტური პოლიტიკა საგოგადოების ფეოდალური განვითარების ტენდენციებში მტკიცე საყრდენს ვერ პოულობდა. ამ პოლიტიკას სასტიკ წინააღმდეგობას უწევდა ცენტრალურ ხელისუფლებასთან სამსახურით დაუკავშირებელი თურქულ-მონღოლური სამხედრო-მომთაბარული არისტოკრატია. ამიტომაც, ყაზან-ყაენის პოლიტიკა არ შეიძლებოდა რომ თანამიმდევრული ყოფილიყო და საბოლოო ჯამში უიღბლო აღმოჩნდა: სამხედრო-ნომადური არისტოკრატიის მეგავლენით გაძლიერდა სამხედრო ლენების – იკტას დარიგება; ამას უნდა გამოეწვია (და გამოიწვია კიდეც) ფეოდალური დაქუცმაცებულობის გაძარჯვება.

უკვე ილსან აბუსა-იდ ბაჰადურ-ხანის დროს ადგილი პქონდა სამხედრო-ნომადურ არისტოკრატიას შორის მინაურ ბრძოლას (ამირების ირინჩინის, ყურმიშის და სხვათა აჯანყებები – 1319 წ.) და ძლიერი ადგილობრივი ფეოდალური დაჯგუფებების ჩამოყალიბებას. თუ, პირველი ილსანების დროს სამხედრო-ნომადურ არისტოკრატიას ძლიერი ხანის ხელისუფლება სჭირდებოდა, ახლა სამხედრო არისტოკრატიას ასეთი ხელისუფლება უკვე ზედმეტად მიაჩნდა. ამიტომაც, ილხან აბუ-სა-იდ ბაჰადურ-ხანის სიკვდილის შემდეგ (1335 წ. 30 ნოემბერი) არ იყო ილსანი, რომლის ხელისუფლებასაც მთელი სახელმწიფო სცნობდა. მსხვილმა ფეოდალურმა დაჯგუფებებმა ტახტზე აიყვანეს ჩინგიზ-ხანის შთამომაელები, რომელთა ძალაუფლებასაც სცნობდნენ, ისიც ნომინალურად ამ ფეოდალური დაჯგუფებების მიერ დაპყრობილ ტერიტორიებზე. ეს მაროინეტი ილსანები სამხედრო-ფეოდალური არისტოკრატიის ხელში უბრალო იარაღის როლს ასრულებდნენ.

§17. დასავლეთი ირანი

აბუ-სა-იდ ბაჰადურ-ხანის სიკვდილის შემდეგ (მას ვაჟიშვილი არ ჰყავდა), ვეზირ ღიას ად-დინ მუჰამედ რაშიდის – რაშიდ ად-დინის შვილის მომხრეთა დაჯგუფებამ, რომელიც უმთავრესად ირანული სამოქალაქო ბიუროკრატიისაგან შედგებოდა და სახელმწიფოს მართვას ყაზან-ყაენის რეფორმების ყაიდაზე ცდილობდა, ილხანად გამოაცხადა არფა ჰულაგუ-ხანის ძმის არიქ-ბუღას შვილი. მონღოლ

მომთაბარე ამირათა მტრულმა დაჯგუფებამ, რომლის სათავეშიც იყო ოირატის ტომის ამირა ალი ფადიშაპი, წამოაყენა მეორე მარიონეტი ილსანი მუსა – მეექვსე ილხანის, ბაიდუს შვილიშვილი. მარაღას ახლოს ბრძოლაში (1336 წ. 29 აპრილს) ღიას ად-დინ მუჰამედ რაშიდის მომხრეები დამარცხდნენ; თვითონ იგი სიკვდილით დასაჯეს თავის ხან არფასთან ერთად. მაგრამ მუსას მომხრეებიც 1336 წ. ალათაღზე და 1337 წ. იენისში მარღასთან, ორ ბრძოლაში გაანადგურა სამხედრო-ნომადურმა დაჯგუფებამ, რომლის სათავეშიც იყო ჰასან დიდი (ბომორეი) ჯელაერიანთა მონღოლური ტომის ბელადი, რომელმაც მარიონეტი ილხანები წამოაყენა პულაგუიანთა საგვარეულოდან. ჯელაერიანთა ამ დაჯგუფებას მოუხდა შეჯახება სამხედრო-ნომადური არისტოკრატიის მესამე – ჩობანიანთა დაჯგუფებასთან, რომლის სათავეშიც იდგა ჰასან მცირე (ქუჩუკი), ამირა ჩობანის – მონღოლური სულდუზის ტომის ბელადის შვილიშვილი. ეს დაჯგუფებაც მარიონეტი ილსანების სახელით მოქმედებდა. ორ ბრძოლაში (ნასჭევანთან 1338 წ. და მარაღასთან, 1340 წ.) ჩობანიანთა დაჯგუფებამ დაამარცხა ჯელაერიანთა. ამის შემდეგ, ჩობანიანებმა თაეიანთი ძალაუფლება განამტკიცეს აზერბაიჯანში, არმენიაში და ირანის ჩრდ. დასავლეთ ნაწილში (ქალაქებში სულთანიაში და ყაზეინში), ხოლო ჯელაერიანებმა – არაბეთის ერაყში. მალევე, ორივე დინასტიის მეთაურმა შეწყვიტეს მარიონეტი ილხანების წამოყენება (ჰასან ბოზორგმა ჯელაერიანმა – 1340 წ., ხოლო ჰასან ქუჩუკმა ჩობანიანმა – 1344 წ-დან) და დაიწყეს მმართველობა როგორც დამოუკიდებელმა ხელმწიფეებმა.

§10. ხორასანი

ჩრდილო და დასავლეთ ხორასანში ძალაუფლება ხელში ჩაიგდო მონღოლური და თურქული მომთაბარული არისტოკრატიის დაჯგუფებამ, რომლის სათავეშიც იყო ამირა არღუნშაპი ჯანიყურბანის საგვარეულოდან, ოირატის მონღოლური ტომის ბელადის ამირა ნოურუზის შვილიშვილი. ამ საგვარეულოს სამფლობელოები უმარმაზარ ტერიტორიას მოიცავდა ქალაქებით სერახსით, აბივერდით, ნესით, ტუსით, მეშპედით, ნიშაბურით და სხვ. ხორასნის ამირების დაჯგუფებამ ილსანად გამოაცხადა თულაი-თემურ ხანი, ჩინგიზ-ხანის ძმის ოთჩიგანის შთამომავალი. თულაი-თემურ ხანის

ძალაუფლებას ნომინალურად სცნობდნენ მთელ ჩრდილო და დასავლეთ ხორასანში, მაგრამ რეალური ხელისუფლებით იკი მხოლოდ გურგანში სარგებლობდა. მისი ურდო ზამთრობით მდ. გურგანის სანაპიროზე მომთაბარეობდა, ხოლო ზაფხულობით — რეკანის საძოვრებზე. თუღაი-თემურ ხანი გურგანში 1353 წლამდე ბატონობდა. აბუ სა-იდ ბაპადურ-ხანის შთამომავლებს შორის ეს იყო ერთადერთი, რომელიც რეალური ძალაუფლებით სარგებლობდა, თუმცა მცირე ტერიტორიაზე. ჯანი-ყურბანის საგვარეულოს ამირები ცნობილნი იყვნენ თავიანთი სიმკაცრით, რაიათების სასტიკი ექსპლუატაციით; მათ თავი გამოიჩინეს როგორც ტირანებმა.

აღმოსავლეთ ხორასანში, ჯერ კიდევ პულაგუიანთა დროს, ჩამოყალიბდა დიდი ვასალური სამთავრო ქურთების (ქართების) ადგილობრივი დინასტიით სათავეში (1245-1389 წწ. ცენტრი — ქ. ჰერათი). პულაგუიანთა დროს ქურთები (ქართები) მბრძანებლობდნენ მონღოლი ყაენის ნაცვლის (შიხნა, ბასკაკი) კონტროლით ჰერათში (უკანასკნელად იხსენიება 1314 წ.). მიუხედავად ამისა, ჰერათელი მთავრები (მელიქები) ყოველთვის არ ემორჩილებოდნენ პულაგუიანებს, ამიტომაც ეს უკანასკნელნი მათ წინააღმდეგ ხშირად აგზავნიდნენ დამსჯელ რაზმებს. ჰერათი მათ მიერ სამჯერ იქნა განადგურებული (1270, 1306 და 1312 წწ-ში).

აბუ-სა-იდ ბაპადურ-ხანის გარდაცვალების შემდეგ ქურთებმა ფაქტიურად დამოუკიდებლობა მოიპოვეს. მათ ემორჩილებოდა ხორასნის აღმოსავლეთი ნაწილი ჩრდილოეთით მერვის ოაზისამდე, გარჩისტანის (მდ. მურღაბის ზემო წელში) და გურის (მდ. ხერი რუდის ზემო წელში) მთიანი ოლქები, სისტანი, ზაბულისტანი (მდ. ჰილმენდის ზემო წელი) და მთელი ავღანისტანი სულეიმანიეს მთებამდე — სულ 9 ღუმანი. მაგრამ, ეს ერთი შეხედვით დიდი სახელმწიფო იყო მხოლოდ ბევრი ფეოდალური სამფლობელოს ფორმალური გაერთიანება. ქურთების დინასტიის უშუალო ძალაუფლების ქვეშ იმყოფებოდა ჰერათის ოაზისი და გურის მთიანი ოლქი. ქურთების ძლიერი ვასალები — მოხარკეები იყვნენ გარჩისტანის, ისფიზარის, საფის, ფერაზის, სისტანის და სხვა მელიქები. მაგრამ მათაც პყავდათ თავიანთი ვასალები — ზა-იმები და ა-იანები, ხოლო ამ უკანასკნელთ რიგითი მელენეები — სიფაპები. მაგ., ხაფის მელიქს ჰქონდა 3 ციხესიმაგრე მთებში, ბევრი სოფელი; ჰყავდა ცხენოსანი მოლაშქრეების ათასკაციანი რაზმი.

ქურთების XIII-XIV სს სამთაეროს ისტორია დაწერილებითაა მოთხრობილი: 1. ჩვენამდე მოულწეველი რაბ-ი ბუშენჯის პოემაში „ქურთ-ნამე“ (XIV ს. დასაწყისამდე); 2. პროზაული „თარიხ ნამე-ი ჰერათში“, რომლის ავტორიცაა სეიფ ჰერათელი (თხრობა მოტანილია ჰიჯრით 720 წ-მდე = 1321 წ.), რომელმაც უხვად ისარგებლა რა-ბი ბუშენჯის ნაშრომით; 3. მუ-ინ ად-დინ ისფიზარის ნაშრომი (875 წ-მდე ჰიჯრით = 1470/71 წ.); 4. ფასიჰი ხაფის თხზულება. ყველა ეს თხზულება სპარსულენოვანია.

§19. სამხრეთ ირანი

პალუგუიანების სახელმწიფოს დაშლის შემდეგ სამხრეთ ირანში ფაქტობრივად დამოუკიდებელი გახდნენ ჰულაგუიანების ყოფილი ვასალები: დიდი ლურის (ლურისტანის) ათაბაგები ხაზარასპიდების დინასტიიდან, რომელთა დედაქალაქიც იყო ქ. იდაჯი; ისინი ფლობდნენ ხუზისტანის ნაწილსაც; მცირე ლურის ათაბაგები; ფარსის მბრძანებლები — ინჯუიდები (1336-1356 წწ), მაჰმუდ-შაჰ ინჯუს, ფარსის ყოფილი ილხანის ნაცელის შვილები, რომელთაც აგრეთვე ისპაანიც დაიკავეს; შაბანკარეს ათაბაგები — ფაშლუიდები; ორმუზის (ჰორმუზის) მფლობელები.

ძველი ორმუზი სპარსეთის ყურიდან ინდოეთის ოკეანეში გასასვლელზე, მატერიკზე იდო. უკვე XIII ს-ში ორმუზი ირანისათვის ინდოეთთან და მეზობელ ქვეყნებთან სამუამავლო ვაჭრობის მთავარი პუნქტი იყო. ნიკუდერის მონღოლური ურდოს ყაჩაღურმა თავდასხმებმა, რომლებიც ავღანისტანში მომთაბარეობდნენ და არ სცნობდნენ პულაგუიანთა ხელისუფლებას, ორმუზის მბრძანებელი აიძულეს ქალაქი და პორტი გადაეტანა უკაცრიელ და გვალვიან პატარა კუნძულ ჯერაუნზე (ძველი ორმუზიდან 20 კმ-ის დაშორებით). ინდოეთთან და ჩინეთთან სამუამავლო ვაჭრობის და სპარსეთის ყურეში ძვირფასი მარგალიტის მოპოვების წყალობით, ახალი ორმუზის მბრძანებლებს დიდი მატერიალური რესურსები ჰქონდათ, ჰყავდათ დაქირავებული ჯარი და დიდი სამხედრო ფლოტი (300 გემზე მეტი). არაბული წარმოშობის ორმუზის მბრძანებლებმა დაიმორჩილეს სპარსეთის ყურის კუნძულები კაისი, ქიშმი, ბაპრეინი და სხვ., ქერმანისა და ფარსის სანაპიროზე

ბევრი პუნქტი, სპარსეთის ყურის მთელი არაბული სანაპირო კალსაგით და ომანით.

XIV ს-ის I ნახევარში ირანის სამხრეთში წარმოიშვა ახალი ფეოდალური გაერთიანება მუზაფერიდების დინასტიით სათავეში (1313-1393 წწ.) ირანის არაბ დამპყრობთა გაირანელებული შთამომავალი მუზაფერიდები თავდაპირველად ხორასანში მიწათმოქმედებას მისდევდნენ. მონღოლთა შემოსევების დროს ისინი იეზდის რეგიონში გადასახლდნენ და იეზდის ათაბაგთან დაიწყეს სამსახური. XIII ს-ის ბოლოს ისინი ქ. იეზდის ახლოს პაგარა ქალაქ მეიბუღის მბრძანებლები და მონღოლ ილხანთა ერთგული ვასალები იყვნენ. მუზაფერიდებიდან დაწინაურდა ამირა მუბარეზ აღ-დინ მუჰამედი (1313-1359 წწ). მან, სრულიად ახალგაზრდამ, მამის ადგილი დაიკავა მეიბუღში. 1319 წ. აბუ სა-იდ ბაჰადურ ხანისაგან იეზდის მმართველობა მიიღო, შემდეგ კი დაქორწინდა მონღოლი ყაენის ქალიშვილზე. ყაენის მოადგილის თანამდებობის მიღებამდე და შერეც, იგი ქარავნებს ძარცვავდა.

დერვიშ სეფი აღ-დინ არდებილელის „ცხოვრებაში" (გარდაიცვალა 1334 წ.) აღწერილია შემდეგი ამბავი: ვაჭართა ქარავანი სარაიდან (ირანის აზერბაიჯანი), რომელიც ინდოეთიდან ბრუნდებოდა, ქერმანის ახლოს მუბარეზ აღ-დინის ნუკერებმა დააკავეს და მოითხოვეს გამოსასყიდი. ვაჭართუხუცესები მუბარაზ აღ-დინთან მოსალაპარაკებლად წავიდნენ, მიართვეს მას შაქარი, შალის ტანსაცმელი და ქარავნის განთავისუფლების საფასურად 5000 დინარის გადახდას (ოქროს კურსით) დაპირდნენ. მუბარაზ აღ-დინმა როდესაც გაიგო, რომ ეს ვაჭრები არიან მიურიდები (მიმდევარნი და მოწაფეები) ცნობილი დერვიშის სეფი აღ-დინისა, ისინი გამოსასყიდის გარეშე გაათავისუფლა: იგი საჩუქრებით დაკმაყოფილდა, მისცა ვაჭრებს გზებზე თავისუფლად მოგზაურობის სიგელი, რათა მის სალხს არ შეეწუხებინა ისინი.

მირხონდის (XV ს.) და სხვა ისტორიკოსთა ცნობებით, მუბარაზ აღ-დინი იყო დესპოტი და ხარბი მმართველი. იგი თავის თავში აერთიანებდა მოჩვენებით ღვთისმოსაობას სადისტურ სისასტიკესთან. არცთუ იშვიათად, ის თავს ანებებდა ყურანის კითხვას, რათა თავის ხელით აეჩეხა მასთან მოყვანილი „დამნაშავე", ხოლო შემდეგ, თითქოს არაფერი, განაგრძობდა „წმინდა წიგნის"

კითხვას. თავისი მბრძანებლობის განმავლობაში მან 800 კაცამდე დასაჯა სიკვდილით.

1340 წ. მუბარაზ ად-დინმა დაიპყრო ქ. ქერმანი, 1353 წ. ამირა აბუ ისჰაკ ინჯუს წაართვა ქ. შირაზი. 1354 წ. ინჯუიდების ხელისუფლების აღსადგენად შირაზში აჯანყდა დიდებულების ნაწილი. აჯანყება ჩააქრეს, რის შემდეგაც მუბარაზ ად-დინმა დაიკავა მთელი ფარსი, სოლო შემდეგ დაიმორჩილა ლურისტანის მბრძანებლები (1356 წ.), ბოლოს კი — 1357 წ. დაიპყრო ისპაანი. დატყვევებული აბუ ისჰაკ ინჯუ სიკვდილით დასაჯეს. ინჯუიდების სახელმწიფო გაანადგურეს და მთელი სამხრეთი ირანი შევიდა მუზაფერიდების სახელმწიფოს შემადგენლობაში, რომელიც წვრილი ფეოდალური სამთავროების ისეთივე არამყარი გაერთიანება იყო, როგორიც ირანის სხვა სახელმწიფოები.

§20. ჩობანიანთა და ჯელაერიანთა სახელმწიფოები

არაბეთის ერაყში გაბატონებული ამირა ჰასან ბოზორგი 1340 წ-დან თავის თავს სულთანს უწოდებდა. მან ჩაუყარა საფუძველი ჯელაერიანთა დინასტიას (1340-1440). ამ დინასტიის მმართველობა დროებით შეწყდა თემურ-ლენგის შემოსევების დროს. ჩვენამდე მოღწეული მუჰამედ იბნ ჰინდუშაპ ნახჩევანის „დასტურ ალ-ქათიბის" — ოფიციალური სპარსულენოვანი დოკუმენტების მიხედვით, პირველი ჯალაერიანები ჰასან ბოზორგი და მისი მემკვიდრე უვეისი (1356-1375 წწ) ცდილობდნენ ყაზან-ყაენის პოლიტიკის გაგრძელებას. პირიქით, მათი მტერი ჩობანიანები — ჰასან ქუჩუკი და მელიქ ამრაფი თავიანთ სამფლობელოებში განუსაზღვრელი და შეუზღუდავი სასტიკი ექსპლოატაციის ხამს ატარებდნენ. ისინი ეყრდნობოდნენ მხოლოდ და მხოლოდ მონღოლურ-თურქულ მომთაბარულ არისტოკრატიას, ბინადარ მიწისმფლობელ დიდებულებს აეიწროებდნენ, ართმევდნენ მათ მიწებს. ადგილობრივმა ბინადარმა მიწისმფლობელებმა დახმარებისათვის მიმართეს ოქროს ურდოს ხანს ჯანიბეგს, რომელიც დიდი ჯარით მოვიდა და დაიკავა თავრიზი. მან ბოლო მოუღო ჩობანიანთა სახელმწიფოს (1356 წ). ყველასგან მიტოვებული მელიქ ამრაფი, რომელსაც

წყაროები გვისატყვევენ, როგორც შუა საუკუნეების აღმოსავლეთის ერთ-ერთ ყველაზე საშინელ ტირანს, გაიქცა. მან თან გაიტაცა 2800 ჯორზე და 7000 აქლემზე აკიდებული, 2 მილიონ კილოგრამამდე მის მიერ ნაძარცვი ოქრო-ვერცხლი, ძვირფასეულობა და ქსოვილები. იგი შეიპყრეს და ჯანიბეგ-ხანის ბრძანებით სიკვდილით დასაჯეს. მისგან შეშფოთებულმა თავრიზის მცხოვრებლებმა სული მოითქვეს. ოქროს ურდოში მღელვარების გამო ჯანიბეგ-ხანი თავის სამფლობელოში დაბრუნდა.

მისი წასვლის შემდეგ სპარსეთის ერაყი და სამხრეთი აზერბაიჯანი ქ. თავრიზითურთ დაიპყრო მუზაფერიდმა მუბარაზ ად-დინ მუჰამედმა (1357 წ.), მაგრამ იგი მალე ჩამოაგდო, დაბრმავა და ციხეში დაამწყვდია საკუთარმა შვილმა შაჰ შუჯამ, რომელიც მის შემდეგ მბრძანებლობდა მუზაფერიანთა სახელმწიფოში (1359-1348 წწ). შემდეგ თავრიზი დაიკავა ჯელაერიანთა სულთანმა უვეისმა. ჯელაერიანთა სახელმწიფოს შემადგენლობაში ახლა შედიოდა: სპარსეთის ერაყის დიდი ნაწილი ქ. ჰამადანით, ყაზვინით და სულთანიეთი, ხოლო არასპარსული ოლქებიდან ქურთისტანი, სამხრეთი აზერბაიჯანი, ყარაბაღი, არმენია და არაბეთის ერაყი. სახელმწიფო ფეოდალურად დაქუცმაცებული იყო. მმართველობის ფორმები ისეთივე რჩებოდა, როგორიც ყაზან-ყაენის დროს, სულთნის რეზიდენციები იყო თავრიზი და ბაღდადი.

მთავარი წყარო ჯელაერიანთა ისტორიისათვის არის XV ს-ის ისტორიკოსის ჰაფეზ--ე აბრუს მიერ შედგენილი „ჯამი ათ-თავარიხის" გაგრძელება; აგრეთვე ოფიციალური დოკუმენტების კრებული „დასტურ ალ-ქათიბი".

§21. სახალხო მოძრაობანი ირანში XIV საუკუნეში

ირანის ისტორიის აღნიშნული პერიოდი (XIV ს-ის 30-80-იანი წლები) აღინიშნება კლასობრივი ბრძოლით, რაც ყაზან-ყაენის წინადროინდელი ფეოდალური ექსპლოატაციის მეთოდებისაკენ ადგილობრივი ფეოდალური მბრძანებლების დაბრუნების შედეგი იყო. ფეოდალები გლეხებსა და ხელოსნებს პირდაპირ ძარცვავდნენ. ერთმანეთთან მებრძოლი ფეოდალური დაჯგუფებები უკმაყ-

ოყილო გლეხებისა და ხელოსნების თავიანთი მიზნებისათვის გამოყენებას ცდილობდნენ.

ირანის ფეოდალურ საზოგადოებაში კლასობრივი ბრძოლის გამწვავება ამ ეტაპზე გამოვლინდა არამარტო გლეხთა მასობრივ აყრა-გაქცევაში, როგორც ეს იყო პირველი. 6 ილხანის დროს XIII ს-ში, არამედ ფართო მასშტაბის დიდ სახალხო აჯანყებებში. XIV-XV სს-ში არამარტო ირანში, არამედ მთელ ახლო და შუა აღმოსავლეთში, ხშირია სახალხო აჯანყებები, რაღგანაც დაყმევებისა და ფეოდალური ექსპლოატაციის პოლიტიკა ამ საუკუნეებში საერთო მოვლენა იყო მთელი რიგი ქვეყნებისათვის.

XIV ს-ში ირანში სახალხო მოძრაობების დამახასიათებელი ნიშანი ის იყო, რომ მასში, გლეხებთან ერთად, მონაწილეობდნენ აგრეთვე ხელოსნები და ქალაქის ღარიბები. აგრეთვე, გაქცეული მონებიც, მაგრამ ისინი მნიშვნელოვან როლს არ თამაშობდნენ. სახალხო მოძრაობის პირველ ეტაპზე აჯანყებულები ცდილობდნენ მონღოლურ-თურქული მომთაბარული არისტოკრატიის ბატონობის დამხობას და მათ მიერ დაკანონებული წესების — ჩინგიზ-ხანის „იასას" გაუქმებას. ამ ეტაპზე ექსპლუატირებული კლასები — გლეხები და ხელოსნები წვრილ ირანელ ფეოდალებთან ერთად გამოდიოდნენ. ეს უკანასკნელნიც მონღოლურ-თურქული არისტოკრატიის მხრიდან შევიწროებას განიცდიდნენ. იქ სადაც სახალხო მოძრაობები წარმატებით დამთავრდა, როგორც ხორასანსა და მაზენდარანში, წარმოიშვა ე. წ. „სარბედარული" ტიპის სახელმწიფოები.

სახალხო მოძრაობების მეორე ეტაპზე მის შიგნით გაჩაღდა ბრძოლა წვრილ ფეოდალებსა, რომელნიც ცდილობდნენ მხოლოდ თურქულ-მონღოლური მომთაბარული არისტოკრატიის უღლის მოცილებას და გლეხებს, ხელოსნებსა და ქალაქის ღარიბებს შორის, რომელთა მიზანიც იყო ფეოდალური უღლისაგან გათავისუფლება და არცთუ იშვიათად სოციალური თანასწორობის დამყარება. მაგრამ გლეხობას, როგორც არაორგანიზებულ კლასს, არ შეეძლო თავისი ნამდვილი გლეხთა ბელადების წარმოჩენა. ისინი ხშირად ემორჩილებოდნენ ფეოდალთა კლასიდან გამოსულ პირებს, რომლებიც გლეხებს თავიანთი მიზნების მისაღწევად იყენებდნენ. გლეხთა მასებს არ ესმოდათ ფეოდალური მონარქიის კლასობრივი არსი; მათ,

გარდა შარიათზე დაფუძნებული ისლამური მონარქიისა, ვერ წარმოეფინათ სახელმწიფოს მმართველობის რაიმე ფორმა.

§22. სახალხო მოძრაობათა იდეოლოგია XIV საუკუნეში

ფეოდალურ საზოგადოებაში სახალხო მოძრაობები გახვეული იყო რელიგიურ იდეოლოგიურ საბურველში; ასე იყო ირანშიც: ეს მოძრაობები მუსლიმური სექტანტობისა და მისტიციზმის დროშით მიმდინარეობდა.

ჯერ კიდევ აკად. ვ. ბარტოლდმა აღნიშნა, რომ ისლამის შიიტური ფორმა ირანში გავრცელებული იყო უმთავრესად სოფლურ წრეებში და არცთუ იშვიათად სახალხო მოძრაობების იდეოლოგიური საბურველი იყო. ეს დებულება შესწორებას საჭიროებს: შიიტობა გლეხურ წრეებში არ ჩასახულა და გლეხთა ინტერესების გამომხატველი არ ყოფილა. მაგრამ შიიტურ იდეოლოგიაში იყო ზოგიერთი ელემენტი, რომელიც გლეხთა სიმპატიას იმსახურებდა. უპირველეს ყოვლისა, ირანის ყველა ფეოდალურ სახელმწიფოში გაბატონებული რელიგია იყო სუნიზმი, ხოლო შიიზმი იდევნებოდა. შემდეგ, ძირითადი შიიტური იდეა იმის შესახებ, რომ მუსლიმური თემის კანონიერ მეთაურად შეიძლება იყოს მხოლოდ ალის შთამომავალი, მასების მიერ განიხილებოდა — როგორც ირანში მმართველი დინასტიის, ოფიციალური რელიგიის — სუნიტური ისლამის და შარიათის არაკანონიერება. შიიზმში დიდი ადგილი ეკავა მოწამეების კულტს (წამებულები არიან ალი, ჰუსეინი და სხვა იმამები....). ჩაგრული გლეხობისათვის, რომელთა ცხოვრებაც წამებას წარმოადგენდა, მოწამეების კულტი გულთან ძალიან ახლოს იყო. და ბოლოს, ხალხების მასებისათვის ყველაზე უფრო მიმზიდველი ჩანდა მესიის — მაჰდის მოსვლის იმედი. მაჰდის სახელქვეშ ირანში ყველაზე უფრო გავრცელებული იმამიტური მიმართულების შიიტები გულისხმობდნენ მეთორმეტე შიიტურ იმამს მუჰამედ მონთაზარის, რომელიც 875 წელს უკვალოდ დაიკარგა. შიიტებს სწამდათ, რომ იმამი მაჰდი ცოცხალია, აღრე თუ გვიან მოვა, დაანგრევს სუნიტების მიერ დამკვიდრებულ უსამართლო წესებს და აღადგენს ისლამს მისი პირველყოფილი სახით. მათ

სწამდათ, რომ იმამ მაჰდის მოსელა გააუქმებს შარიათით გაუთ-ვალისწინებელ გადასახადებს და ვალდებულებებს, დაამყარებს ყველა მუსლიმს შორის სოციალურ თანასწორობას და სამართლიანობას. ამრიგად, იმამი მაჰდი მიჩნეული იყო გაჭირვების, ტირანიისა და სიდუხჭირისაგან განმათავისუფლებლად; ამიტომ, იმამ მაჰდის მეორედ მოსელას მთავარი აღგილი ეჭირა XIV-XV სს ირანის სახალხო მოძრაობების იდეოლოგიაში. ასე, მაგ, გეოგრაფ იაკუთ ხამავის ცნობით, შიიტურ ქალაქში ქაშანში, ქალაქის უხუცესები, ჯერ კიდევ XIII ს-ის დასაწყისში, ყოველ ღილით ამხედრებულნი გადიოდნენ ქალაქგარეთ, თან მიჰყავდათ მორთული, შეკაზმული თეთრი ცხენი იმამ მაჰდისათვის, რომლის გამოჩენასაც ყოველდღე ელოდნენ.

შიიტურ „ერესთან" გადაჯაჭვული იყო სუფიზმი, ანუ მუსლიმური მისტიციზმი, რომლის საფუძველიც იყო მოძღერება იმის შესახებ, რომ ნებისმიერ ადამიანს შეუძლია მიაღწიოს ღმერთთან პირად ურთიერთობას. სუფიზმს ჰქონდა თავისი ორგანიზაცია – ღერვიშული ორდენები, ანუ ძმობები. სუფიზმი ერთგვაროვანი არ იყო, მასში სხვადასხვა მიმართულება გამოიყოფოდა, ამდენად, ბუნებრივია, ის სოციალური წრე, რომელშიც ესა თუ ის მიმართულება პოულობდა მიმდევრებს, ერთგვაროვანი არ იყო: ზოგიერთი სუფიურ-ღერვიშული ორდენი ფეოდალებს ეყრდნობოდა, სხვები ხელოსნურ ცეხებთან იყვნენ დაკავშირებული, რომელთა ორგანიზაციაც ღერვიშული ძმობის საფუძველზეც იყო აგებული. ამ უკანასკნელი ჯურის ღერვიშები ხშირად კიცხავდნენ სიმდიდრეს და მათ, „რომლებიც აკრძალულ საჭმელს ჭამდნენ", ანუ რომლებიც ცხოვრობდნენ ექსპლუატაციით და „ღვთის მონების" ჩაგვრით. ხშირად იდეის გამოსატვის სუფიური ფორმა ემსახურებოდა მხოლოდ თავისუფალი აზროვნების, ათეიზმის დაფარვას, ან გაბატონებული წყობილების კრიტიკას. სპარსელი პოეტი სა-ადი შირაზელი თავის „გულისტანში" (თავი 7, ამბავი 20) მოგვითხრობს, რომ ერთხელ იგი შეხვდა ეიღაც ღერვიშს „მხოლოდ გარეგნობით", რომელმაც გაშალა „საჩიერების რეეული" და ბრალი დასდო „მდიდრებს და ძლიერთ ამა ქვეყნისათა". იგი ამტკიცებდა, რომ მათ არ შეუძლიათ კეთილი საქმეების კეთება. იყო შემთხვევები, რომ სუფიზმის სახით ქადაგებდნენ მაზდაქური მოძღვრების იდეებს მიწების საერთო მფლობელობაში

გადაცემისა და მიწაზე კერძო საკუთრების მოსპობის შესახებ. ისტორიკოსი რაშიდ ად-დინი მოგვითხრობს, რომ ალაფრანგის აჯანყების ხელმძღვანელები (1303 წ.) ქადაგებდნენ „მაზდაქური ძოძღერების აზრებს". ჰამდალლაჰ ყიზვინი თავის გეოგრაფიულ ნაშრომში ისსენიებს მაზდაქელთა მიმდევრებს სპარსეთის ერაყში. საეჭვოა, რომ XIV ს-ში მაზდაქელთა რელიგიური სექტა შემონახულიყო; საფიქრებელია, ორივე ზემოხსენებული წყარო მაზდაქელების სახელქვეშ გულისხმობს მაზდაქელების სოციალურ პროგრამას — გლეხებისათვის მთელი მიწების სათემო მფლობელობაში გადაცემას.

§23. სარბედართა აჯანყება ხორასანში

ხორასნის სარბედართა სამხელმწიფოს ისტორიის ძირითადი წყარო ყოფილა ანონიმური „სარბედართა ისტორია". იგი ჩვენამდე არაა მოღწეული, მაგრამ უხვადაა გამოყენებული XV ს-ის ისტორიკოსების ჰაფეზ-ე აბრუს, აბდ არ-რეზაყ სამარყანდის მუ-ინ ად-დინ ისფიზარის და მირხონდის, აგრეთვე XVI ს-ის ისტორიკოსის ხონდემირის მიერ. ისინი გადმოგვცემენ ერთსა და იმავე ვერსიას მცირე სხვაობებით. ეს ვერსია სარბედართა ისტორიას ასახავს მოძრაობის ზომიერი ფრთის, წვრილი ფეოდალების პოზიციებიდან, რომელიც გამოხატავდა ხელოსნებისა და გლეხების ინტერესებს. პირველისაგან დამოუკიდებელ მეორე ვერსიას გადმოგვცემს სპარსელი პოეტების ბიოგრაფიების კრებულის „თაზქირათ ად-შუ — არას „ავტორი დოულეთშაჰი (XV ს-ის ბოლო). დოულეთშაჰის ვერსია პირველი ვერსიიდან გამოირჩევა ცალკეული ფაქტების გადმოცემით, მაგრამ იგივე პოლიტიკური მიმართულებისაა, როგორისაც პირველი ვერსია. სარბედარების შესახებ ზოგიერთ დეტალს ვრცლად მოგვითხრობს აგრეთვე არაბი მოგზაური იბნ ბატუტა.

ამ მოძრაობის იდეოლოგად წყაროები ასახელებენ დერვიშული ორდენის შეიხს, წარმოშობით მაზანდარანელს, ხალიფეს. ახალგაზრდობაში იგი არაერთი დერვიში შეიხის მოწაფე იყო, მაგრამ მათმა ქადაგებამ იგი ვერ დააკმაყოფილა, მიატოვა ისინი და მივიდა სემნანში იმდროინდელ სუფიურ-

ღერეიშულ შეიხებს შორის ყველაზე ცნობილ რუქნ ად-დინ სემ-ნანისთან. მან კითხა ხალიფეს, თუ ოთხი მართლმადიდებლური (სუნიტური) მაზპაბიდან (საღვთისმეტყველო სკოლიდან) რომელს ეკუთვნის იგი. „ო, შეიხო! – უპასუხა ხალიფემ – ის, რასაც მე ვეძებ, ვაცილებით მაღლაა ამ მაზპაბებზე!“ ამ ერეტიკულმა სიტყვებმა გააბრაზა შეიხი და მან თავისი სამელნე ხალიფეს თავზე გადაამსხვრია. შემდეგ ხალიფე გახდა შეიხი – როგორც ჩანს, თვითმარქვია, რადგან წყაროების მონაცემებით არ ჩანს, თუ ვისგან მიიღო მან ეს წოდება. იგი მიეიდა ქ. საბზევარში – დასავლეთ ხორასანში, ბეიხაყის ოლქში, დასახლდა საკრებულო მეჩეთთან და დაიწყო იქ თავისი მოძღვრების ქადაგება. ქადაგ-ების შინაარსის შესახებ შეიხ ხალიფესადმი მტრულად განწყო-ბილი წყაროები არაფერს გვამცნობენ, მხოლოდ ისაა ცნობილი, რომ საბზევარის სუნიტმა ფიკიპებმა (ღვთისმეტყველებმა) შეიხ ხალიფეს ბრალი დასდეს იმაში, რომ მისი მოძღვრება ეწი-ნააღმდეგება შარიათს, რომ სუფიზმის სახით იგი ქადაგებდა „სიახლეს“ და „სამოქალაქო იდეებს“. საფუძველი გვაქვს ვი-ფიქროთ, რომ არსებითად იგი არც იყო სუფი, მან მხოლოდ გამოიყენა სუფიური ფრაზეოლოგია და დერვიშული ძმობის გა-რეკნული ფორმა ქადაგებისა და მჩაგვრელთა წინააღმდეგ აჯანყების მომზადებისათვის.

ქადაგების აღგილი საბზევარი მარჯვედ იყო შერჩეული: საბზე-ვარის მოსახლეობის დაბალი ფენები და ახლომახლო სოფლების გლეხები ფანატიკოსი შიიტები და არსებული წყობილების მოწი-ნააღმდეგენი იყვნენ. აქ შემონახული იყო ძველი ირანული საგ-მირო გადმოცემები: ქ. საბზევარის მთავარ მოედანზე უჩვენებდნენ ადგილს, სადაც, ლეგენდის თანახმად, მოხდა როსტომისა და სო-ჰრაბის – „შაჰნამეს“ გმირების ორთაბრძოლა. საბზეკარი იყო ირანული პატრიოტიზმის ერთ-ერთი კერა; მონღოლთა ბატონობას აქ ვერ ურიგდებოდნენ.

ბევრი ქალაქის მცხოვრები, ირგვლივ მდებარე სოფლების თითქმის ყველა გლეხი, წერილი მისწისმფლობელები (განსა-კუთრებით ახალგაზრდობა) მოიხიბლა შეიხ ხალიფეს ქადაგებით. მათ თავი მის მიურიდებად გამოაცხადეს. შეიხ ხალიფეს ქადაგ-ბით შეშინებულმა სუნიტმა ფაკიპებმა მის შესახებ შეადგინეს ფეთვა (შარიათზე დაფუძნებული საღვთისმეტყველო – იურიდი-

ული დასკვნა): „ასეთი და ასეთი კაცი დასახლდა მეჩეთში, მაგრამ „სიახლეს“ ქადაგებს. მას ამას უშლიან, მაგრამ ის არავის უჯერებს და ჯიუტობს; ნებადართულია, თუ არა, ასეთი კაცის სიკვდილით დასჯა?“ ფაკიჰთა უმრავლესობამ ამ კითხვას დადებითად უპასუხა: „კი, ნებადართულია“. ფეთვა დასამტკიცებლად გაუგზავნეს ილსან აბუ სა-იდ ბაპადურ ხანს, რომელმაც პირფერულად უპასუხა, რომ იგი არაა ის კაცი, რომელიც დერვიშის სისხლში ხელს დაისვრის. თუ საბზევარელ ხელისუფლებს შეუძლიათ იმის დამტკიცება, რომ ეს დერვიში ერეტიკოსია, თვითონ, როგორც უნდათ, ისე გადაწყვიტონ“. საბზევარის არისტოკრატიამ და სუნიტმა სასულიერო პირებმა სცადეს შეიხ ხალიფეს შეპყრობა, მაგრამ მის მომხრეებთან შეტაკებაში დამარცხდნენ. მაშინ, შეიხ ხალიფეს მტრებმა გადაწყვიტეს მისი თავიდან მოშორება საიდუმლო მკელელობის გზით. 1335 წლის 9 ნოემბერს დილით საჯრებულო მეჩეთის ეზოში შეიხი რგოლზე ჩამომხრჩვალი ნახეს მისმა მოწაფეებმა. ეს იყო უეჭველი მკელელობა, თუმცა ქალაქის ხელისუფლებმა სმა გაავრცელეს, რომ შეიხმა თავი ჩამოიხრჩო.

შეიხ ხალიფეს მოწაფეებს შორის ენერგიითა და ჭკუით გამოირჩეოდა პასან ჯური, როგორც ჩანს, წარმოშობით გლეხი ჯურიდან. მან წარმატებით გაიარა მედრესეს კურსი და მიიღო მუდარისის (მედრესეს) ლექტორის წოდება; მაგრამ ის გაიტაცა შეიხ ხალიფეს ქადაგებამ და მან უარი თქვა თავის წოდებასა და ოფიციალურ (სუნიტურ) ისლამზე. შეიხ ხალიფეს ტრაგიკულად დაღუპვის შემდეგ, პასან ჯურიმ თავი გამოაცხადა შეიხად და წავიდა ქ. ნიშაბურში, სადაც დაიწყო შეიხ ხალიფეს მოძღვრების ქადაგება. იქაც მისი წარმატება უზარმაზარი იყო: ირგვლივ მდებარე სოფლების გლეხთა დიდი ნაწილი მიემსრო მას. შეიხმა ხალიფემ და შემდეგ პასან ჯურიმაც თავიანთი მიმდევრების ორგანიზაციას დერვიშული ორდენის გარეგნული ფორმა მისცეს: მიურიდების სახელი ფიქსირებული იყო. თვითოეული მათგანი სდებდა ფიცს, კისრულობდა ვალდებულებას, რომ საიდუმლოდ შეინახავდა ძმობისადმი თავის კუთვნილებას, მზად ექნებოდა იარაღი და შეიხის პირველსავე დაძახილზე გამოვიდოდა. აქედან ჩანს, რომ შეიხების ხალიფესა და პასან ჯურის ქადაგება მიზნად ისახავდა აჯანყებისაკენ მოწოდებას და მის მომზადებას. აჯანყება მიმართული იყო მონღოლთა ხელისუფლების და მათდამი მიმხრობილი აღგილობრივი მსხვილი ფეოდალების

წინააღმდეგ. აჯანყებისაკენ მოწოდება შიიტურ-სუფიური საბურ-ველში იყო გახვეული. შეიხი ჰასან ჯური სამი წლის განმავლობაში ქაღაგებდა ნიშაბურში, მეშჰედში, აბიევერდში, ჰერათში, ბალხში და ხორასნის სხვა ქალაქებში; იყო შუა აზიაშიც, ქერმანსა და სპარ-სეთის ერაყშიც. იგი ყველგან იმალებოდა, რადგანაც სდევნიდნენ. ბოლოს, ხორასნის სამხედრო-ნომადური არისტოკრატიის მეთაურმა არღუნ-შაჰ ჯანი ყურბანიმ (ოირატთა ტომიდან) მეშჰეთიდან ქუპის-ტანისაკენ მიმავალი ჰასან ჯური, მის 60-70 მოწაფესთან ერთად, დაიჭირა. „შეამბოხე“ შეისი თაყის ციხეში (იაზარის ოლქში) დაამ-წყვდიეს. ეს მოხდა უკვე აჯანყების დაწყების შემდეგ.

შეიხ ჰასან ჯურის ვარაუდზე უფრო ადრე, ხორასანში აჯანყე-ბამ სტიქიურად იფეთქა. სოფელ ბაშტიანში (ბეიხაკის ოლქი) ილხ-ანის მოსელე-მონღოლი ღამის გასათევად გაჩერდა ადგილობრივი გლეხების, ორი ძმის სახლში. მოითხოვა თაედაპირველად ღვინო, ხოლო შემდეგ – ღამაზი ქალების მოყვანა. ერთ-ერთმა ძმამ უთხრა, რომ სოფელში მეძაველები არ არიან. „ ა, რადგან ასეა, მოი-ყვანე ჩემთან შენი ცოლი“ – უპასუხა მოხელემ. აღშფოთებულმა ძმებმა მოხელე მოკლეს. ილხანთა ვეზირმა ხორასანში ალა ად-დინ მუჰამედ პინდუმ ბაშტიანის მცხოვრებლებს მკვლელების გაცემა მოსთხოვა, წინააღმდეგ შემთხვევაში მათ სასჯელით დაე-მუქრა. მაშინ სოფლელები აჯანყდნენ.

აჯანყებას სათავეში ჩაუდგა ადგილობრივი მიწისმფლობლის შვილი, არაბული წარმოშობის, სეიღების – ალის შთამომავლების ირანიზებული საგვარეულოდან, სასელად აბდ არ-რეზაყი. იგი ჰასან ჯურის მოწაფე იყო. „სარბედართა ისტორიის“ თანასმად, ეს იყო მამაცი და თავზე ხელაღებული, იშვიათი ფიზიკური ძალის მქონე ახალგაზრდა. სოფ. ბაშტიანში მომხარი ამბის გაგების-თანავე, იგი გლეხების მხარეს დადგა. იმავე ღამეს მან მოკლა სოფელში მომხდარი ამბის გამოსაძიებლად ჩასული ვეზირ ალა ად-დინ პინდუს ძმისშვილი (მეორე ვერსიით – ადგილობრივი რაისი) და გლეხებს აჯანყებისაკენ მოუწოდა. ახალგაზრდა მა-მაცების შეიარაღებულმა ჯგუფმა, რომლებიც თავს გმირი როს-ტომის დარად თვლიდნენ, თავის მეთაურად აბდ არ-რეზაყი აირ-ჩია. მათ გააქციეს ხორასნის ვეზირის მიერ გამოგზავნილი ათასკაციანი დამსჯელი რაზმი.

წყაროების უმეტესობის ცნობით, აჯანყება ბაშტიანში მოხდა 737 წ. 12 შა-ბანს = 1337 წლის 16 მარტს. დოულეთშაპის მიხედვით, ეს თარიღი უფრო გვიანდელი ამბის – ვეზირ ალა ად-დინ ჰინდუს აჯანყებულთა მიერ სიკვდილით დასჯის აღმნიშვნელია. აჯანყება მოხდა მალევე ილ-ან აბუ-სა ხიდის სიკვდილის შემდეგ, ე. ი. 1336 წ. გაზაფხულზე.

აჯანყებულები თავიანთ თავს უწოდებდნენ „სარბედარებს". „სარბედარების ისტორიაზე" დაყრდნობით, წყაროები ამ სახელს განმარტავენ როგორც „თავები სახრჩობელაზე", ანუ „სახრჩობელისათვის განწირულნი", „ჩამოხრჩობილები", „თავზეხელაღებულნი" და ამ სახელის წარმოშობას ასე განმარტავენ: აჯანყებულები ამბობდნენ, რომ თითოეული მათგანისათვის უკეთესია თავისი თავი (სპარს. „სარ") იხილოს სახრჩობელაზე (სპარს. „დარ"), ვიდრე მამაკაცისათვის სამარცხვინოდ დაიღუპოს. ჰაფეზ-ე აბრუს ცნობით, აბდ არ-რეზაყმა გლეხთა შეკრებაზე თქვა: „ხალხი, რომელიც მბრძანებლად გადაიქცევა, ბევრ ძალმომრეობას სჩადის. თუ მაღალი ღმერთი ჩვენ დაგვეხმარება, ჩვენ გავაუქმებთ ტირანიას და მოვსპობთ ტირანებს, და თუ არა, დაე, ჩვენი თავები იყოს სახრჩობელაზე, მაგრამ ძალმომრეობას და შევიწროებას ჩვენ მეტს ვეღარ მოვითმენთ!" დოულეთშაჰი სხვანაირად განმარტავს ამ სახელწოდების წარმოშობას: აჯანყებულებმა აღმართეს სახრჩობელა, ჩამოკიდეს მასზე ჩალმები, ქუდები და ისრებით დაიწყეს მათი ჩამოგდება. შესაძლებელია, რომ ეს არის ამ სახელწოდების გვიანდელი გააზრება (გვიანდელი თაობებისათვის გაუგებარი იყო ამ სახელწოდების მნიშვნელობა).

§24. სარბედართა სახელმწიფოს დაარსება ხორასანში

ვეზირ ალა ად-დინ ჰინდუს სამხედრო ძალების დამარცხების შემდეგ, სარბედარები თავდაპირველად პარტიზანულად ომობდნენ მთებში. მალე მათ აიღეს საბზევარი (1337 წ. აგვისტოში) და ეს გამაგრებული ქალაქი თავიანთ შტაბ-ბინად აქციეს, საიდანაც თავს ესხმოდნენ მეზობელი რეგიონების ფეოდალებს. მათ დაიპყრეს ქალაქები ისფერაინი, ჯაჯერმი და სხვ. მალე, 1338

წლის თებერვალში ან იენისში აბდ არ-რეზაყი საკუთარმა ძმამ ვეჯიპ ად-დინ-მას-უდიმ მოკლა. ყველა წყარო ამ ამბავს ასე გადმოგვცემს: აბდ არ-რეზაყმა მოინდომა ვეზირ ალა ად-დინ პინდუს ქვრივ, ულამაზეს ქალიშვილზე დაქორწინება და მის მოსატაცებლად ძმა გააგზავნა. ვეჯიპ ად-დინ მას-უდიმ შეასრულა დავალება, მაგრამ შემდეგ შეეცოდა სუსტი, ატირებული ქალი და მშვიდობიანად გაუშვა იგი. როდესაც ეს ამბავი გაიგო აბდ არ-რეზაყმა, ძმას უსაყვედურა: შენ, მამაკაცი არ ყოფილხარ, ქალის ცრემლებმა გული მოგილბო! ძმა შეეკამათა: შენ არ შეიძლება მამაკაცი და მუსლიმი გიწოდონ, რადგან შენ საქმიანობას საფუძველად ძალმომრეობა დაუდე! მალე ძმებმა სმლები იშიშვლეს და ვეჯიპ ად-დინ მას-უდიმ, რომელიც ხმლით თავს იცავდა, ძმა ციხის ტერასიდან გადააგდო. ეს გადმოცემა სარწმუნო არ არის. საქმე ისაა, რომ წყაროთა დიდი ნაწილი ვეჯიპ ად-დინ მას-უდის აიდეალებს და ცდილობს მის მიერ ძმის მკვლელობა კეთილშობილური მოტივებით ახსნას, სოლო აბდ არ-რეზაყის პირიქით ჩრდილს აყენებს. სამდეილად კი წყაროთა ამგვარი დამოკიდებულება ძმებისადმი კლასობრივი მოტივებით უნდა აიხსნას: აბდ არ-რეზაყი, მიუხედავად თავისი არისტოკრატიული წარმოშობისა, ბოლომდე რჩებოდა გლეხთა მასების ბელადად. იმ დროს, როდესაც ვეჯიპ ად-დინ მას-უდიმ თავისი მმართველობის დროს თავი გამოამჟღავნა როგორც სარბედართა ზომიერი, მიწისმფლობელთა ფრთის წარმომადგენელმა.

ვეჯიპ ად-დინ მას-უდიმ მიიღო სულთნის ტიტული. მან სასტიკად დაამარცხა მონღოლ-თურქთა და მათდამი მიმხრობილი აღგილობრივი ფეოდალების ლაშქარი ამირა არღუნშაპ ჯანი ყურბანით სათაეეში. წყაროები, რომლებიც ვეჯიპად-დინ მას-უდის აიდეალებენ, გვარწმუნებენ, რომ მისი ხელმძღვანელობით, სარბედარებმა, რომლებსაც მხოლოდ ათასი მხედარი და ორი ათასი ქვეითი ყყავდათ, ერთ დღეში სასტიკად დაამარცხეს არღუნშაპის სამი ფეოდალური, 30 000 კაციანი ლაშქარი და ორი ამირას ჯარი (მოლაშქრეების სხვადასხვა რაოდენობაა დასახელებული); ამგვარად, გააკეთეს ისეთი საქმე, რომლის მსგავსი „აღამის დროიდან არ გაკეთებულა". წყაროების მიერ ბრძოლის დეტალები უეჭველად შელამაზებულია, მაგრამ მომთაბარე ამირების ხორასანის დაჯგუფების ლაშქრის განადგურება (შეიძლება,

ერთ დღეში არა!) უეჭველი ფაქტია. სარბედარებმა მონღოლთა ბატონობისაგან გაათავისუფლებს ქ. ქ. ნიშაბური და ჯამი. შემდეგ, ვეჯიჰ ად-დინ მას-უდიმ გაანადგურა თვითონ ილხან თუღაი-თემურ ხანის მომთაბარეები (მდ. ატრეკის ნაპირზე).

წყაროთა სიტყვით, სარბედარებს უნდოდათ, რომ „არცერთ თურქს (მომთაბარეს) განკითხვის დღემდე ირანში კარავი არ დაედგა“.

ვეჯიჰად-დინ მას-უდის მიზანი იყო მონღოლთა ბატონობის დამხობა. როგორც ჩანს, მან გააუქმა ის გადასახადები, რომლებიც შარიათით არ იყო გათვალისწინებული. დოულეთშაჰი გვამცნობს „სარბედართა დიდებულების“ („ბოზორგანე სარბედარ“) შესახებ. საფიქრებელია, რომ უკვე ვეჯიჰ ად-დინ მას-უდიმ მონღოლებისა-თვის წართმეული მიწების ნაწილი თავის თანამებრძოლებს დაურიგა და ამგვარად შექმნა ახალი მიწისმფლობელური არის-ტოკრატია. ვეჯიჰ ად-დინ მას-უდიმ თავის მხარეს გლეხების გად-ბირების მიზნით, 12 000 კაცი თავის ლაშქარში ჩარიცხა და ისინი მუდმივი ჯამაგირით („ულუფე“) უზრუნველჰყო; მანვე, ხალხში ავტორიტეტის შენარჩუნების მიზნით, გადაწყვიტა შეიხ ჰასან ჯუ-რის განთავისუფლება, რომელიც ჯანი-ყურბანის ამირების სამ-ფლობელოში მდებარე ციხეში კვლავ იტანჯებოდა. მას-უდიმ ილაშქრა ამ ციხეზე, აიღო იგი და შეიხი ჰასან ჯური გაანთავისუ-ფლა. სხვა ვერსიით, შეიხი გაანთავისუფლეს მისმა მიურიდებმა. სარბედარებს მიემხრო ცნობილი პოეტი იბნ-ი იამინი.

თავდაპირველად მას-უდი და შეიხი ჰასან ჯური ერთად მო-ქმედებდნენ, მაგრამ მალე მათ შორის განხეთქილებამ იჩინა თავი; სარბედართა წრეში ორი მიმართულება გამოიკვეთა: ზომ-იერი, რომელიც ეყრდნობოდა „სარბედართა დიდებულებს“ და რადიკალური, რომელიც ხელოსნების და გლეხების სულისკვეთე-ბას გამოხატავდა — მოითხოვდა სოციალური თანასწორობის დამყარებას; ეს უკანასკნელი წარმოდგენილი იყო შეიხების ხალიფეს და ჰასან ჯურის ორდენების დერვიშებით.

მას-უდიმ ილაშქრა ჰერათზე და ქ. ზავესთან შეებრძოლა ჰერათის მელიქ მუ-იზ ად-დინ ქურთს. ომის დროს დაიღუპა შეიხი ჰასან ჯური. წყაროთა უმეტესობა ამტკიცებს, რომ იგი ერთ-ერთმა სარბედარმა მოკლა ვეჯიჰ ად-დინ მას-უდის საიღუმლო ბრძანებით. მას-უდიმ გადაწყვიტა შეიხის თავიდან მოცილება, რადგან იგი დამოუკიდებლად მოქმედებდა: მას არ უნდოდა მას-

უღის ხელში უბრალო იარაღად ქცეულიყო. შეისის სიკვდილმა სარბედართა ლაშქარში პანიკა გამოიწვია: ისინი დამარცხდნენ და გაიქცნენ. ამის შემდეგ, მას-უღიმ ილაშქრა მაზანდარანში და ამ რეგიონის ნაწილი დაიკავა, მაგრამ მთის ტყიან ხეობაში აღგილობრივი ფეოდალების ლაშქრის ალყაში მოექცა. მას-უღი და მისი ლაშქრის დიდი ნაწილი დაიღუპა (1344 წ.). მაგრამ ამ წარუმატებლობამ სარბედართა სახელმწიფოს ძლიერება ვერ შეარყია; ამ დროისათვის იგი გადაჭიმული იყო დასავლეთიდან — დამღანიღან აღმოსავლეთით ჯამამდე (550 კმ მანძილზე), ჩრდილოეთიდან საბუშანიდან — სამხრეთით ტურშიზამდე (200 კმ-ზე მეტ მანძილზე). დედაქალაქი იყო საბზევარი. ჰაფეზ-ე აბრუს გეოგრაფიულ თხზულებაში აღნიშნულია, რომ სარბედართა ბატონობის 4-5 წლის მანძილზე საბზევარი გადაიქცა კეთილმოწყობილ, სალსმრავალ ქალაქად — ირანის უდიდეს ქალაქთა მსგავსად (მდიდრული ბაზრებით). ეს მიუთითებს სარბედართა სახელმწიფოს პროგრესულ მნიშვნელობაზე ხორასნის ისტორიაში.

§25. შინაური ბრძოლა სარბედართა სახელმწიფოში

ვეჯიპ ად-დინ მას-უღის დაღუპვის შემდეგ, სარბედართა სახელმწიფოში სარბედართა ზომიერი და რადიკალური ფრთის მიერ დაყენებული ათი მმართველი შეიცვალა; ამ ორ მიმართულებას შორის ბრძოლისას ერთი მმართველი მეორეთი იცვლებოდა, რომლებიც ფორმალურად მოქმედებდნენ როგორც ვეჯიპ ად-დინ მას-უღის შვილის ლუთფულლაპის მოადგილეები. ლუთფულლაპი სულთნის მემკვიდრედ ითვლებოდა. განსაკუთრებით გამორჩეული მმართველი იყო ხოჯა შამს ად-დინი ალი (1347-1353 წწ) — სარბედარების რადიკალური ფრთის წარმომადგენელი. ფეოდალური ისტორიოგრაფია მისდამი უკიდურესად მტრულადაა განწყობილი, თუმცა კი სცნობს მას როგორც განსაკუთრებით ნიჭიერ მოღვაწეს.

შამს ად-დინ ალის დროის სარბედართა სახელმწიფოს საგოგადოებრივი წყობილების შესახებ წყაროები ცნობებს თითქმის არ გვაწვდიან, მხოლოდ გვამცნობენ, რომ ის იყო „საბზევარის ხელოსნების ამხანაგი", პასან ჯურის ორდენის დერვიშების მეგო-

ბარი, რომ მის დროს „რაიები (გლეხები) სრულ სიმშვიდესა და კეთილშობილებაში ცხოვრობდნენ“, რომ მან გააუქმა მსახურეული პირებისათვის ჯამაგირის გადახდა ასიგნაციებით (ბერათი), რომელიც ადგილობრივი ხანის სახელზე იყო გამოწერილი. მის დროს ჯამაგირი მოსელეებს ეძლეოდათ ნაღდით, ხოლო იმ პირთა რიცხვი, ვინც იმ ჯამაგირს იღებდა, 18 000-მდე გაზარდეს. იგი ცნობილ ხალხსაც ხშირად სჯიდა სიკვდილით (რა თქმა უნდა, თუ ის დამნაშავე იყო). მისი ავტორიტეტი ხალხში ძალიან დიდი იყო.

იგი, როგორც ჩანს, პოლიტიკური მოტივებით მოკლეს და მისი ადგილი დაიკავა სარბედართა არისტოკრატიის წარმომადგენელმა, ამ თანამდებობაზე ზომიერ ფრთის კანდიდატმა იაპია კერაბიმ (1353-1358 წწ). იგი ცდილობდა რადიკალური ფრთის წარმომადგენლებთან, ჰასან-ჯურის ორდენის დერვიშებთან კომპრომისული პოლიტიკის გატარებას. იაპია კერაბი, ისევე, როგორც მისი ნუკერები, ხალხთა მასებში პოპულარობის მოპოვების მიზნით, ხამი შალის ტანსაცმელს იცვამდა. მის სახლში ყოველდღიურად საერთო ტრაპეზი იმართებოდა, სადაც ყველას შეეძლო დასწრება — დიდებულსაც და ღარიბსაც. მის ამგვარ საქციელში შეიძლება დავინახოთ რადიკალური ფრთის თანასწორობის იდეის გაკვლენა. სასელმწიფო კმაყოფაზე მყოფი სამხედრო პირების რიცხვი 22 000 კაცამდე გაზარდეს. დაინერგა ფეოდალური ექსპლოატაციის შერბილებული ფორმები: გლეხები იხდიდნენ მხოლოდ მოსავლის 3/10, ამის ზევით არცერთ დინარს. ასეთი რეჟიმი შემდგომი მმართველობის დროსაც შენარჩუნებული იქნა.

იაპია კერაბის დროს სარბედართა სახელმწიფოს საზღვრები გაფართოვდა. სარბედარებმა ჯანი-ყურბანის ამირებს წაართვეს ტუსი და მეშჰედი. ეს რეგიონები ჯანი-ყურბანის ამირების მიერ გლეხთა ველური ექსპლოატაციის შედეგად გაპარტახებული იყო, ამიტომაც იქ დიდი საირიგაციო სამუშაოები ჩაატარეს, აღადგინეს კიარიზები.

მონღოლმა ილსანმა თუღაი-თემურ ხანმა, რომელიც გურგანში იმყოფებოდა, ამირა იაპია კერაბის შესთავაზა კეთილმეზობლური დამოკიდებულება, მის ურდოში მისელა სამშვიდობო ხელშეკრულების დასადებად და ამ ხელშეკრულების ფიცით განმტკიცება. იაპია კერაბი ურდოში მივიდა 300 სარბედარით (სხვა ვერსიით

1000 სარბედარით). ურღოში სამი დღე გრძელდებოდა ლხინი. თუღაი-თემურ ხანს მიზნად ჰქონდა სარბედარების დათრობა, მათი სიფხიზლის მოდუნება და დახოცვა. მაგრამ იაპია კერაბიმ დაასწრო. მესამე დღის ბოლოს, როდესაც ილხანის დიდ კარავში დაიწყეს ღვინით სავსე თასების ჩამოტარება, იაპია კერაბიმ იავზე სელი დაიდო. ეს იყო პირობითი ნიშანი: ერთ-ერთმა სარბედარმა ჩექმის ყელიდან დანა იძრო და ილსანი მოკლა, სოლო დანარჩენი სარბედარები გაშიშვლებული ხმლებით ეცნენ მონღოლებს და დაუწყეს ჩეხვა. მონღოლების ნაწილი გაწყვიტეს, ნაწილი კი გაიქცა პანიკით მოცული. მონღოლთა მდიდარი ურღო სარბედარებმა დაელად იგდეს ხელთ (1353 წლის დეკემბერი). ასტრაბადი შეუერთდა სარბედართა სახელმწიფოს.

ასე დაიღუპა ილხანთა სახელმწიფოს უკანასკნელი ნარჩენი, მაგრამ ამ მონღოლ-ილხანთა სახელმწიფოს დაცემა არ ნიშნავდა მთელ ირანში მონღოლთა ბატონობის სრულ ლიკვიდაციას: ირანის ფეოდალურ სახელმწიფოებში მეტ-ნაკლებად შემორჩა მონღოლური სახელმწიფოებრივი ტრადიციები და მართვა-გამგეობის წესები — განსაკუთრებით იქ, სადაც მონღოლურ-თურქულმა სამხედრო არისტოკრატიამ შეინარჩუნა სელმძღვანელი მდგომარეობა, როგორც მაგ., ჯელაერიანთა სახელმწიფოში და ჯანიყურბანის სამფლობელოებში ჩრდ. ხორასანში.

სარბედარების სახელმწიფოში შინაური ბრძოლა განახლდა ფეპლევან პასან დამღანის დროს (1360-1364 წწ). იგი სარბედარული არისტოკრატიის ზომიერი ფრთის წარმომადგენელი იყო, რომელმაც ძალაუფლება ხელში ჩაიგდო ვეჯიპ ად-დინ მას-უდის შვილის „სულთან" ლუთფულლაჰის მოკვლის შემდეგ. იგი ერთ წელზე ცოტა მეტხანს იჯდა ტახტზე. ტუსში და მეშპედში აჯანყებამ იფეთქა სარბედარების რადიკალური ფრთის — პასან ჯურის ორდენის დერვიშების მეთაურობით, რომელთა შორის განსაკუთრებით გამოირჩეოდა ენერგიული დერვიში აზიზი — პასან ჯურის მოწაფე. ფეპლევანმა პასან დამღანიმ მხოლოდ ნახევარი წლის შემდეგ ჩააქრო ეს აჯანყება, ხოლო დერვიში აზიზი გაამეცა სარბედართა სახელმწიფოდან. მალე აჯანყდა სარბედარი დიდებულების წარმომადგენელი ალი მუიაიადი, რომელმაც მოინდომა მმართველად გახდომა. მან იცოდა, რომ ძალაუფლების ხელში ჩაგდებას მხოლოდ ხალხის მასების მხარდაჭერით შეძლებდა.

ამიტომაც, მან თავი გამოაცხადა რადიკალური ფრთის მომხრედ, ისპაანიდან გამოიძახა დერვიში აზიზი და მასთან ერთად გაემართა ისპაანისაკენ. მცხოვრებლებმა მას ქალაქის კარი გაუღეს. ამასობაში, ფეპლევანმა ჰასან დამღანიმ აჯანყებულ ქალაქ მაგანს ალყა შემოარტყა. ხოჯა ალი მუიაიდმა მის მხედართმთავრებს წერილები გაუგზავნა, რომლებითაც იგი მათ შეწყალებას პირდებოდა იმ შემთხვევაში, თუ ისინი მას ფეპლევან ჰასან დამღანის თავს გამოუგზავნიდნენ. მათ ეს ასეც გააკეთეს. ძალაუფლების ხელში ჩაგდების შემდეგ ალი მუთაიადმა დერვიშ აზიზის და მისი მომხრეების თავიდან მოცილება გადაწყვიტა: ახლა მას ისინი უკვე აღარ სჭირდებოდა. დერვიშ აზიზმა დაგეგმა ლაშქრობა მუ-იზ ად-დინ ქურთის სამფლობელოზე. ალი მუიაიადი პირფერულად დათანხმდა ამ ლაშქრობაში მონაწილეობაზე, დერვიშ აზიზს ჯარი მისცა, მაგრამ მხედართმთავრებს საიდუმლოდ უბრძანა ლაშქრობის დროს დერვიშის ბანაკის დატოვება. ისინი ასე მოიქცნენ. დერვიშ აზიზმა თავისი მომხრეებიდან რამდენიმე ასი კაცი მოაგროვა და სპარსეთის ერაყისაკენ გაემართა: იგი ძალღონის მოკრების შემდეგ დაბრუნებას ფიქრობდა. ალი მუიაიადმა მას მდევარი დაადევნა და უბრძანა მათ არ დაბრუნებულიყვნენ დერვიშ აზიზის თავის გარეშე. უდაბნოში დასასვენებლად გაჩერებულ დერვიშ აზიზს მდევარი დაეწია. იგი თავის ამხანაგებთან ერთად მოკლეს. დერვიშის მოკვეთილი თავი მოიტანეს საბზევარში და ქალაქის ალაყაფის კარზე გამოდეს.

ალი მუიაიადმა სასტიკი რეპრესიებით გაანადგურა სარბედარების რადიკალური ფრთა. მან სარბედართა სახელმწიფოში ოფიციალურ რელიგიად შიიტური ისლამი დატოვა, მაგრამ აკრძალა შეიხების ხალიფესა და ჰასან ჯურის ორდენები. ამ შეიხების მავმოლეუმები დაანგრიეს და მათ ადგილებზე ბაზრის საპირფარეშოები მოაწყეს. ამ ღონისძიებებმა უზრუნველყო ალი მუიაიადის ხანგრძლივი, მაგრამ უსახელო მმართველობა (1364-1381 წწ). ალი მუიაიადიმ ფართო მასების მხრიდან მხარდაჭერა დაკარგა, სწორედ ამიტომ ჰერათის მელიქთან ბრძოლა წააგო: დაკარგა თავისი სამფლობელოები აღმოსავლეთში – ნიშაბურიც კი. დასავლეთიდან მას ემუქრებოდა ამირა ველი – ერთ-ერთი მონღოლი ამირას, უკანასკნელი მონღოლი ილხანის თუღაი თემურ-ხანის ხელქვეითის შვილი. თუღაი თემურ-ხანმა ძალაუფლება ხელთ იგდო

გურგანში და ასტრაბადში. ამირა ველი გამუდმებით ომობდა ალი მუიაიადთან, რომელმაც დროებით დაიბრუნა, მაგრამ შემდეგ ისევ დაკარგა ასტრაბადი. 1378 წ. საბზევარში, დერვიშ რუქნ ად-დინის ხელმძღვანელობით, იფეთქა სარბედარების რადიკალური ფრთის აჯანყებამ, რომელიც ალი მუიაიადმ, ამირა ველის დახმარებით, ჩააქრო. სახალხო აჯანყებების შიშით მტრები დროებით გაერთიანდნენ; მაგრამ აჯანყების ჩაქრობის შემდეგ, ამირა ველი კვლავ თავს დაესხა ალი მუიაიადის და ალყა შემოარტყა თვით საბზევარს. ყველასაგან მიტოვებულმა ალი მუიაიადმ დახმარებისათვის მიმართა შუაზიელ დამპყრობელ თემურ-ლენგს (1381 წ.).

§26. სახალხო მოძრაობანი გილიანსა და მაზანდარანში

მაზანდარანში, აღგილობრივი დინასტიებით სათავეში, რამდენიმე ფეოდალური სამფლობელო არსებობდა. მათ შორის ყველაზე ძლიერი იყო მონღოლი ილხანების ერთგული ვასალების ბავენდიდების დინასტია, რომელიც სალსს სძულდა. XIV ს-ის 40-იანი წლების ბოლოს ჰასან ჯურის დერვიშების ორდენის მეთაური სეიდი იზზ ად-დინ მარაში, რომელიც მესამე შიიტური იმამის, ჰუსეინის შთამომავლად, მაშასადამე ალიდად ითვლებოდა, საბზევარიდან მაზენდარანს წაიიდა პროპაგანდისათვის. იგი გზაში მოკვდა, მაგრამ მისი შვილი სეიდ შეიხ კავამ ად-დინი მივიდა სარიში და სათავეში ჩაუდგა სახალხო მოძრაობას, რომელსაც მისი სახელის მიხედვით სეიიდური მოძრაობა უწოდეს. ეს მოძრაობა თავისი სოციალური შემადგენლობითა და იდეოლოგიით არაფრით განსხვავდებოდა სარბედარული მოძრაობისაგან. სეიდ შეიხ კავამ ად-დინ მარაშის დერვიშები მოძრაობის რადიკალური ფრთის იდეების გამომხატველნი იყვნენ. ისინი ეყრდნობოდნენ ხელოსნებსა და გლეხებს, მოითხოვდნენ ქონების გათანაბრებას. აქ იყო აგრეთვე ზომიერი ფრთაც, რომელსაც წერილი მიწისმფლობელების მხარდაჭერა ჰქონდა. მისმა ხელმძღვანელმა აფრასიაბ ჩელებიმ ჩამოაგდო და მოკლა უკანასკნელი ბავენდიდი ფაპრ ად-დოულე ჰასანი და

ძალაუფლება ხელში ჩაიგდო ამულში, სარისა და მაზანდარანის სხვა რეგიონებში (1350 წ.)

რა თქმა უნდა, აფრასიაბს სახელმწიფოს მართვა მხოლოდ დერვიშების მსარღაჭერით შეეძლო. მან მიიღო მათი წესდება, იცვამდა უბრალო ტანსაცმელს და თავისთან, სახლში შემოიღო საერთო ტრაპეზი. მაგრამ დერვიშები თხოულობდნენ საერთო თანასწორობის შემოღებას.

მალე აფრასიაბსა და დერვიშებს შორის განხეთქილებამ იჩინა თავი. აფრასიაბმა შეიპყრო და ციხეში ჩასვა დერვიშების მეთაური სეიდი კავამ ად-დინ მარაში და იგი ერეტიკოსად გამოაცხადა. ამან სახალხო აჯანყება გამოიწვია. ბრბომ ციხე დაარბია და შეიხი კავამ ად-დინი გაათავისუფლა. აფრასიაბმა სცადა შეიხ კავამ ად-დინის ხელმეორედ დაპატიმრება, მაგრამ გააფთრებულმა ხალხმა თვითონ აფრასიაბი მოკლა. შეიხ კავამ ად-დინის ხელში მოექცა როგორც სასულიერო, ისე პოლიტიკური ხელისუფლება. მაზენდარანში შეიქმნა სეიდების სახელმწიფო ცენტრით ქ. ამულში (ხორასნის სარბედართა ტიპის).

ამ სახელწიფოს შესახებ საკმარისი ცნობები ჩვენ არ მოგვეპოვება. უეჭველია მხოლოდ ის, რომ გადასახადები და ფეოდალური ვალდებულებები, რომლებიც შარიათზე არ იყო დაფუძნებული, გააუქმეს. ძველი, მსხვილი ადგილობრივი ფეოდალები განდევნეს. მიტოვებული მიწები გააცოცხლეს; დანგრეული ქალაქები და სოფლები კვლავ გააშენეს: მაგ., კვლავ აშენდა მონღოლთა ბატონობის დროს დანგრეული ქ. სარი. მარაშის სეიდების სახელმწიფომ თემურ-ლენგის შემოსევებამდე (1392 წ.) იარსება.

ანალოგიური სახალხო მოძრაობა დერვიშებითა და სეიდებით სათავეში მოსდა გილიანში. აქ ხალხთა მასებს ადგილობრივ მსხვილ ფეოდალებთან ჰქონდა ბრძოლა. გილიანელი დერვიშების შეიხებმა დასმარებისათვის მაზანდარანელ შეიხებს მიმართეს (1370 წ.). ამ უკანასკნელთა დახმარებით, გილიანის აღმოსავლეთ ნაწილში შეიქმნა სეიდების სახელმწიფო – ცენტრით ქ. ლაჰიჯანში, რომელმაც ორ საუკუნეზე მეტხანს იარსება (1370-1592 წწ). შემდეგ იგი ჩვეულებრივ ფეოდალურ სასელმწიფოდ გადაიქცა.

მაზანდარანსა და გილიანში სახალხო მოძრაობების ისტორიის მთავარი წყაროა შეიხ კავამ ად-დინ მარაშის შთამომაელის ზაპირ ად-დინ მარაშის მიერ ჩვენამდე არმოღწეული წყაროების

საფუძველზე სპარსულ ენაზე დაწერილი „ტაბარისტანის, რუიანის და მაზენდარანის ისტორია“ და ამავე ავტორის „გილიანის და დეილემისტანის ისტორია“.

§27. სარბედართა აჯანყება ქერმანში

მუზაფერიდების სასელმწიფოში შაჰ შუჯას დროს (1359-1384 წწ.) გაუთავებელი დინასტიური შინაომები და ფეოდალური აშლილობა იყო, რითაც ძალიან ზარალდებოდა გლესობა და ქალაქის ქვედა ფენები. 1373 წ. ქ. ქერმანში იფეთქა ქალაქის ქვედა ფენების აჯანყებამ, რომლის სათავეშიც იდგა ფეჰლევანი ასადი. ქერმანში ძალაუფლების ხელში ჩაგდების შემდეგ, მან ადგილობრივი ფეოდალების ნაწილი სიკვდილით დასაჯა, ნაწილი კი ციხეში ჩასვა და მათ იკგას მიწებს და სიმდიდრეს კონფისკაცია ეაუკეთა. სხვათა შორის, მან დააპატიმრა დედოფლის მოხელეები, რომლებიც მის მამულებს განაგებდნენ და წამებით აიძულა ისინი ეჩვენებინათ საგანძურების სამალავები; მანვე მოაწამვლინა ქერმანის ოლქის უმსხვილესი იკგას მფლობელი და მის ქონებას კონფისკაცია გაუკეთა. ალი მუიაიადმა ფეჰლევან ასადის დასახმარებლად გამოგზავნა ხორასნელი სარბედარების რაზმი. ცხრათვიანი ალყის შემდეგ, 1374 წ. ქალაქის მცხოვრებთა გმირული წინააღმდეგობა გატეხეს: შაჰ შუჯას ჯარებმა ქერმანი აიღეს. ფეჰლევანი ასადი სიკვდილით დასაჯეს, ქალაქი დაარბიეს.

§28. თემურ-ლენგის დაპყრობები ირანში

XIV ს-ის უკანასკნელი მეოთხედი და XV ს-ის დამდეგი ახლო აღმოსავლეთის ისტორიაში აღინიშნა თემურ-ლენგის გამანადგურებელი ომებით.

გრიგალიეთ გადაუარა აზიის დიდმა დამპყრობელმა ირანს, ინდოეთს, ამიერკავკასიას, სამხრეთ რუსეთის ველებს, სირიას. მომთაბარეთა ბატონობას ახლაც მხოლოდ ეგვიპტე გადაურჩა. ხოლო ჩინეთის განმრახული დაპყრობა თემურ-ლენგს განუხორციელებელი დარჩა.

1370 წ. შუა აზიაში ჩამოყალიბებულ თემურ-ლენგის სახელმწიფოში შემონახული იყო მონღოლური სახელმწიფოებრიობის ტრადიციები. თემურ-ლენგს ტახტზე აპყავდა მარიონეტი ხანები ჩინგიზ-ხანის შთამომავლებიდან, მართავდა ქვეყანას მათი სახელით, უაქტობრივად კი — ერთპიროვნულად. თემურ-ლენგი, ისევე როგორც შუა აზიის უკანასკნელი ჩაღატეული ხანები (ქებექი, თარმაშირინი, ყაზანი...), ცდილობდა მონღოლურ-თურქული და ბინადარი ტაჯიკური არისტოკრატიის შერიგებას. მან შესანიშნავად იცოდა, რომ ეს დიდებულები მხოლოდ მაშინ დაანებებდნენ თავს შინაურ ომებს და ლოიალურად იქნებოდნენ განწყობილი ცენტრალური ხელისუფლებისადმი, თუ ეს უკანასკნელი შეძლებდა ფართო მასშტაბის მძარცველური დაპყრობითი ომების ორგანიზებას; ამ ომების შედეგად ფეოდალური არისტოკრატია ხელთ იგდებდა ასალ-ახალ მიწებს და მდიდარ სამხედრო დავლას.

ფეოდალთა კლასის, განსაკუთრებით მისი წამყვანი ნაწილის — მონღოლურ-თურქული არისტოკრატიის, მოთხოვნილებების დაკმაყოფილების მიზნით, თემურ-ლენგმა გადაწყვიტა დიდი დაპყრობები ოქროს ურდოს, ირანის, ინდოეთის, კავკასიის და წინა აზიის მიმართულებით. თემურ-ლენგი მიზნად ისახავდა ჩინგიზ-ხანის იმპერიის აღდგენას, მაგრამ მისი დაპყრობების არეალი გაცილებით მცირე იყო, ვიდრე ჩინგიზ-ხანისა. როგორც ეთქვით, „თემურ-ლენგის მთავარი პოლიტიკური ამოცანა მონღოლთა იმპერიის აღდგენა იყო. ამდენადვე მის ნათესაურ ურთიერთობას ჩინგიზიდებთან გარკვეული პოლიტიკური მნიშვნელობა ენიჭებოდა. ჩინგიზიდებთან მისი ამ ურთიერთობის აღმნიშვნელი იყო გურგანის (სიძის) წოდებულება, რომელიც მან ჩინგიზიდი უფლისწული ქალის ცოლად შერთვის შემდეგ მიიღო“ (ვ. გაბაშვილი).

თემურ-ლენგის საგარეო პოლიტიკაში შეინიშნებოდა ჩინგიზ-ხანისა და ჩინგიზიდების საგარეო პოლიტიკისაგან განსხვავებული ნიშნები. უპირველეს ყოვლისა, დაპყრობილი ქვეყნების გაძარცვის ხარჯზე, თემურ-ლენგი ცდილობდა შუა აზიის (მავერანაპრის) საწარმოო ძალების განვითარებას. ომების დროს ნაძარცვ სიმდიდრეს ის იყენებდა საირიგაციო ქსელის გასაფართოებლად, ქალაქების ასაყვავებლად და გასამშვენიერებლად. დაპყრობილი ქვეყნებიდან მას მავერანაპრში მოპყავდა კვალიფიციური ხელოსნები. რა თქმა

უნდა, ყველაფერი ეს კეთდებოდა ფეოდალთა კლასის ინტერესების სასარგებლოდ. თემურ-ლენგს უნდოდა გაბატონება ევროპისა და აზიის დამაკავშირებელ სავაჭრო-სატრანზიტო გზაზე, რაც მას უზარმაზარ შემოსავალს მოუტანდა. ამიტომაც იგი ლაშქრობდა ირანში, არაბეთის ერაყში, ამიერკავკასიისა და წინა აზიის ქვეყნებში; ამ ქვეყნებზე გადიოდა სავაჭრო-საქარავნო გზები; სოლო კასპიისპირა და შავიზღვისპირა ველებზე გამავალი საეაჭრო-საგრანზიტო მაგისტრალები, სადაც იგი ფეხის მოკიდებას არ ვარაუდობდა, ვაჭრობისათვის უვარგისად აქცია; ამ გზებზე მდებარე ქალაქები სარაი-ბერქე, ურგენჩი (გურგანჯი), ჰაჯითარხანი (ასტრახანი), აზაკი (აზოვი) და სხვ. ისე დაანგრია, რომ ამ გზაზე ვაჭრობა ჩაკვდა: ევროპა-აზიის ვაჭრობამ ტრანსირანული მიმართულება მიიღო.

ირანის მიმართ თემურ-ლენგი იყო არა მარტო უცხოელი დამპყრობი, არამედ სისხლიანი ჯალათი და სახალხო მოძრაობების ჩამქრობი, ამავე დროს — მონღოლური სახელმწიფოებრივი ტრადიციების რესტავრატორი. გასაგებია, რომ თემურ-ლენგმა ირანში ლაშქრობების დროს მხარდაჭერა ჰპოვა ფეოდალთა კლასის ნაწილის, განსაკუთრებით მონღოლურ-თურქული მოდგმის მომთაბარე ფეოდალების მხრიდან, რომლებიც სახალხო მოძრაობებს საკუთარი ძალებით ვერ გაუმკლავდნენ. რა თქმა უნდა, მთლიანობაში თემურ-ლენგისა და მისი გარემოცვის პოლიტიკა ღრმად რეაქციული იყო.

თემურ-ლენგმა, სახელმწიფოს ჩამოყალიბებამდე, ამირა ჰუსეინთან ერთად, შუაზიელთა ფეოდალური ლაშქრით, რომელიც უმთავრესად მომთაბარული არისტოკრატიისაგან შედგებოდა, გაანადგურა სამარყანდისა და მის ოლქში ჩამოყალიბებული სარბედართა სახელმწიფო (1365-1366 წწ) და სისხლში ჩაახშო სარბედართა მოძრაობა მაევერანაჰრში. შუა აზიაში ძალაუფლების გამტკიცების შემდეგ, თემურ-ლენგმა პირველად ილაშქრა ხორასანზე (1381 წ.). ამავე წლის გაზაფხულზე მან დაიმორჩილა ჰერათელი ქურთების (ქართების) მელიქების სახელმწიფო. ხორასნის სარბედართა სახელმწიფოს მეთაურს ალი მუიაიადის ეშინოდა ამირა ველი გურგანელის და თავისი სახელმწიფოს ხალხთა მასების, ამიტომ მან თემურ-ლენგს მიმართა დახმარებისათვის. თემურ-ლენგს სარბედრთა სახელმწიფოს შინაურ საქმეებში ჩარევის სა-

ბაბი მიეცა. ალი მუიაიადის ეს მოთხოვნა ფაქტიურად საკუთარი სახელმწიფოს ღალატი იყო. თემურ-ლენგმა ჰერათსა და საბზევარში თავისი მოადგილეები დააყენა და ამ რეგიონების მცხოვრებთ უშარმაგარი კონტრიბუცია დააკისრა; ამავე დროს, ღიას ად-დინ ქურთი ჰერათელი და ალი მუაიადი საბზეკარელი თავიანთ სამფლობელოებში ნომინალურ მბრძანებლებად დატოვა, მაგრამ მათ იქ არ უშეებდა, თავის კარზე პყავდა. რამდენიმე წლის შემდეგ მან ისინი სრულიად უმიზეზოდ და უსაბაბოდ დახოცა.

1383 წ. საბზევარსა და მის რეგიონში თემურ-ლენგის წინააღმდეგ აჯანყებამ იფეთქა. 1383 წლის ბოლოს თემურ-ლენგის ჯარმა აიღო საბზეკარი და მისი ძლიერი ციხესიმაგრე დაანგრია. თემურ-ლენგი აჯანყებულ სარბედარებს სასტიკად გაუსწორდა: 2000 კაცი მან ცოცხლად ჩამარხა კოშკების კედლებში: ხელფეხშეკრული ადამიანები მტაბელებად დაალაგეს და აგურითა და თიხით დაფარეს. იმავე წელს თემურ-ლენგმა დაიმორჩილა სისტანი და ყანდაარი, გაანადგურა ისინი და ყველგან მოკლულია თავის ქალებიდან კოშკები ააშენა. სისტანის მოსახლეობამ მას გმირული წინააღმდეგობა გაუწია, მაგრამ თემურ-ლენგის ლაშქრის რიცხობრივმა უპირატესობამ სძლია. 1384 წ. თემურმა დაიპყრო გურგანი და გაანადგურა ამირა ეელის სახელმწიფო. 1385 წ. თემურმა დაიმორჩილა ირანი დამღანიდანს სულთანიეამდე.

მინაური წინააღმდეგობებით დასუსტებულმა ჯელაერიანთა სახელმწიფომ ვერ შესძლო თემურ-ლენგისათვის წინააღმდეგობის გაწევა. ამავე დროს, ოქროს ურდოს ხანი თოხთამიში, რომელიც მიშობდა ამიერკავკასიის ქვეყნებისა და დასავლეთ ირანის თემურ-ლენგის ხელში მოსალოდნელი გადასვლის გამო, 1385 წ. თავს დაესხა ირანს. თოხთამიშის ჯარმა დაიკავა თავრიზი, ააოხრა იგი, თან წაიყვანა 90 000 ტყვე, წაიღო მდიდარი ნადავლი და დაბრუნდა ოქროს ურდოში. სხვათა შორის, ტყვეთა მორის იყო ცნობილი სპარსელი პოეტი ქემალ ხოჯენდი. 1386 წ. თემურ-ლენგმა დაიკავა თავრიზი, გაძარცვა იგი და იქიდან სამარყანდში გადაასახლა საუკეთესო ხელოსნები. სულთან აპმედ ჯალაერიდი, რომელიც მოსახლეობას არ უყვარდა მისი საშინელი საგადასახადო პოლიტიკის, დესპოტიზმის და რაიებზე (გლეხებზე) ძალმომრეობის გამო (თვითონ იგი და მისი ამირები თავს ესხმოდნენ მცხოვრებთა სახლებს, იტაცებდნენ სახლის პატრონის

ცოლებს, დებს, ქალიშვილებს და სსვ.), გაიქცა და თავისი სამ-ულობელოები თემურ-ლენგის ლაშქარს დაუტოვა.

1386 წ. თემურ-ლენგი შემოიჭრა აღმოსავლეთ ამიერკავკასი-აში. 1386 წ. 21 ნოემბერს თბილისი აიღო, საქართველოს მეფე ბა-გრატ V (1360-1393 წწ) და მისი ოჯახი დაატყვევა და ყარაბაღში წაიყვანა, სადაც ბაგრატ მეფე იძულებით გაამაჰმადიანა. აქვე ვიტყ-ვით, რომ თემურ-ლენგის ლაშქრობები საქართველოს წი-ააღმდეგ შემდეგ წლებშიც (1386-1403 წწ) გაგრძელდა.

ამიერკავკასიის ქვეყნებში ამაოხრებელი ლაშქრობის შემდეგ, თემურ-ლენგმა მუზაფერიდების სახელმწიფოს წინააღმდეგ ილაშქრა. 1387 წ. მან ისპაანი დაიკავა და მას დიდი კონტრიბუცია დააღო. თემურის ხარჯთამკრეფების მიერ კონტრიბუცია ისეთი ულმობლობითა და თვითნებობით იკრიფებოდა, რომ ქალაქში ხელოსნებისა და ღარიბების აჯანყებამ იფეთქა, რომელსაც სა-თავეში ერთი ახალგაზრდა მჭედელი ჩაუდგა. თემურ-ლენგმა აჯანყება ჩააქრო. ქალაქი საძარცვავად მისცა მეომრებს; თი-თოეულ მეომარს მოკვეთილი თავების გარკვეული რაოდენობა უნდა მოეტანა. დახოცილი ისპაანელების 70 000 თავის ქალიდან მინარეთები ააშენეს. თემურ-ლენგის მიერ სამხრეთ ირანში მუ-ზაფერიდების სამფლობელოების დაპყრობა 1393 წლამდე გა-გრძელდა. უფრო აღრე, 1392 წ. თემურ-ლენგმა საშინელი სისას-ტიკით ჩააქრო სახალხო აჯანყება გურგანში და დაანგრია ე. წ. სეიდების სახელმწიფო მაზანდარანში. 1393 წ. თემურ-ლენგმა მთელი ირანის დაპყრობა დაამთავრა.

რა თქმა უნდა, თემურ-ლენგის დაპყრობებმა და სახალხო მოძრაობების ჩაქრობის დროს ფეოდალთა ერთი ჯგუფის მხრი-დან მსარდაჭერამ, დროებით განამტკიცა თემურ-ლენგის ცენ-ტრალური ხელისუფლება. თემურ-ლენგმა თავის მოხელეებსა და მის მსარეს გადასულ მოხელეებს სოიურღალებად დაურიგა მი-წები, ჩრდ. ირანსა და აზერბაიჯანში დაასახლა შუა აზიიდან გა-მოყვანილი თურქულენოვანი მომთაბარე ტომები, ირანში თავისი შვილებისათვის შექმნა ორი დიდი საუფლისწულო: ხო-რასანი გურგანით, მაზანდარანით და სისტანით — პერათით ცენ-ტრში მისცა შაპრუხს; დასავლეთი ირანი, აზერბაიჯანი და არმე-ნია ცენტრით თავრიზში — მირანშაპს. მირანშაპს არანორმა-ლური აღამიანის ნიშნები გამოუმეღავნებია, რაც გაუმართლე-

ბელ სისასტიკეში გამოიხატებოდა, ამიტომაც თემურ-ლენგმა წაართვა მას ზემოხსენებული საუფლისწულო და გადასცა მის ვაეს ომარ-მირზას.

თემურ-ლენგის დაპყრობები და ბატონობა ირანში აღინიშნა დიდი ნგრევით და ირანელი გლეხობის ექსპლოატაციის დამძიმებით, რის სარჯზეც თემურ-ლენგი შუა აზიის საწარმოო ძალების გაზრდას ცდილობდა.

თემურ-ლენგი იღვწოდა შუა აზიის სამეურნეო დაწინაურებისათვის: დაპყრობილი ქვეყნებიდან მას შუა აზიაში გაპყავდა ხელოსნები, ვაჭრები, ხუროთმოძღვრები. თემურის დროს სამარყანდში შეიძლებოდა გვენახა ხელოსნები ხორეზმიდან, ისპაანიდან, შირაზიდან, ალეპოდან და აღმოსავლეთის სხვა ქალაქებიდან.

თემურის დროს სამარყანდი გაიზარდა და გამშვენიერდა. დიდებული მეჩეთები და მეღრესეები, ქარვასლები, მავზოლეუმები და სხვა ნაგებობანი, რომელთა ნაწილი დღემდეა მოღწეული ნანგრევების თუ ოდნავ დაზიანებული სახით, აოცებდა მნახველს. ასევე, გამშვენიერებულ იქნა ბუხარა, შაჰრისიაბზი და სხვ.

თემურ-ლენგის სახელმწიფოს დედაქალაქ სამარყანდს უნდა დაეჩრდილა ყველა მანამდე არსებული დედაქალაქი — ასეთი იყო დიდი დამპყრობლის განზრახვა. ამასთან დაკავშირებით, საინტერესოა იბნ არაბშაპის ცნობა: იბნ არაბშაპი მოგვითხრობს, რომ თემურ-ლენგმა სამარყანდის გარშემო გააშენა სოფლები, რომლებსაც მსოფლიოს სახელგანთქმული ქალაქების სახელები ეწოდა: მისრი (კაირო), დიმიშკი (დამასკო), ბაღდადი, სულთანია, შირაზი, რომელთაგან სამი მანამდე არსებული დიდი სახელმწიფოების დედაქალაქები იყო (დამასკო — ომაელთა სახალიფოსი, ბაღდადი — აბასიანთა სახალიფოსი, მისრი — ფატიმიანთა სახელმწიფოსი).

სამარყანდის გარშემო გაშენებული სოფლებისათვის ცნობილი დედაქალაქების სახელწოდებების მიცემაში გარკვეული პოლიტიკური მიზანი იყო ჩაქსოვილი: სამარყანდის წინაშე ისინი ისეთივე უფერული უნდა ყოფილიყვნენ, როგორც უბრალო სოფელი მდიდარი და დიდი ქალაქის წინაშე. ეს ფაქტი კიდევ ერთხელ მიუთითებს იმაზე, რომ თემურ-ლენგი მსოფლიო ბატონობაზე აცხადებდა პრეტენზიას.

§29. თემურ-ლენგის მეოთხე დრეული. სულთანი შაჰრუხი

ირანის ისტორიის შემდეგი ეტაპი (1405-1499 წწ) აღსანიშნავია ცენტრალური სელისუფლების შესუსტებით, ფეოდალური დაქუცმაცებულობის შემდგომი ზრდით, სამხედრო-ლენური სისტემის განეითარების პროცესის დასრულებით (სოიურღალის ინსტიტუტი), კლასობრივი ბრძოლის ასალი გამწვაეებით და სახალხო მოძრაობების ასალი აღმავლობით.

თემურ-ლენგის გარდაცვალების შემდეგ (1405 წ. თებერვალი) მისი უმარმაზარი იმპერია, რომელსაც არ ჰქონდა ერთიანი ეკონომიკური ბაზა, სწრაფად დაიმალა. თემურ-ლენგის სიკვდილით ისარგებლეს მის მიერ დაპყრობილმა ხალხებმა და თავის განთავისუფლება სცადეს. სხვებს არც საქართველოს ჩამორჩა. მირხონდს აქეს საინტერესო ცნობა, რომლის მიხედვითაც, თემურის სიკვდილის შემდეგ მალევე ქართველები აჯანყებულან, ნახჩევანი და განჯა დაურბევიათ, სოლო ხალსი დაუსოციათ. ქართველებმა დაამარცხეს ომარ-მირზას მიერ გაგზავნილი ამირები, გააქციეს ისინი და მარანდამდე გადარეკესო — მოგვითხრობს ისტორიკოსი. მირსონდის ცნობას ერთგვარად ავსებს კასტილიის მეფის ელჩის რიუ გონზალეს დე კლავიხოს ცნობა, რომლის მიხედვითაც, მეფე გიორგი თემურის სიკვდილის შემდეგ ანისისა და არგრუმის მიწაზე შევიდა, ბევრი ქალაქი დაარბია და არგრუმსაც მიაღწია.

ძალაუფლებისა და პირველობისათვის ბრძოლა ატყდა თემურის შემკვიდრეებს შორის. ხორასანში უმაღლესი სელისუფლებისა და სულთნის ტიტულისათვის ერთმანეთს ებრძოდნენ თემურ-ლენგის შვილი შაჰრუხი და თემურის შვილიშვილი (მირანშაჰის შვილი) ხალილ სულთანი. ამ ბრძოლაში გაიმარჯვა სულთანმა შაჰრუხმა (1406-1447 წწ). ამავე დროს დას. ირანში და აზერბაიჯანში მიმდინარეობდა ბრძოლა მირანშაჰსა და მის შვილს ომარ-მირზას შორის, რაც გამწვავებული იყო ადრე გაქცეული სულთან აპმედ ჯალაერანის დაბრუნებით; ამ უკანასკნელის მოკავშირე იყო მომთაბარე ტომთა ერთ-ერთი გაერთიანების, დასავლეთის ოღუზების „ყარა-ყოიუნლუს“ („შავბატკნიანი“ თურქმენების) ბელადი ყარა-იუსუფი (ეს თურქმენები მომთაბარეობდნენ სამხრეთ სომხეთში). ამ ბრძოლაში მირანშაპი

დაიღუპა (1408 წ.) და ჯელაერიანთა სახელმწიფო აღდგა, მაგრამ უკვე 1410 წ. სულთანი აპმედი წაეჩხუბა თავის მოკავშირე „ყარა ყოინლუს“ ოგუზებს და მათთან ბრძოლაში დაიღუპა. აზერბაიჯანსა, არმენიასა და არაბეთის ერაყში განმტკიცდა ყარა-ყოიუნლუს თურქმენული დინასტია (1410-1468 წწ), რომელმაც თემურიანებისადმი მტრული პოზიცია დაიკავა. ამ სახელმწიფოს ღედაქალაქი თავრიზი იყო.

სამხრეთ აზერბაიჯანში, ყარაბაღსა და სომხეთში ყარა-იუსუფი დიდი რაოდენობით ურიგებდა სოიურღალებს მომთაბარულ არისტოკრატიას. სომხეთში ადგილობრივი მიწისმფლობელები მომთაბარულმა არისტოკრატიამ შეცვალა. თურქმენებმა საქართველოშიც შემოაღწიეს. თურქმენებთან ბრძოლაში დაიღუპნენ საქართველოს მეფე გიორგი (1407 წ.) და კონსტანტინე (1412 წ.).

ყარა იუსუფი პირწავარდნილი მომთაბარე იყო. ასეთივე იყო მისი ვაჟი ისკანდერი (1422-1429 და 1431-1435). მამისა და ძმისგან ამ მხრივ განსხვავდებოდა ჯაჰანშაჰი (1435-1467), რომელიც ადრეულ დაუკავშირდა შაჰრუხს და ბინადარ მოსახლეობასთან ურთიერთობაშიც სულ სხვა თვალსაზრისს ადგა, ვიდრე შავბატკნიან თურქმენთა ამირები აღგნენ. მაგრამ ამიერკავკასიის ქვეყნების მიმართ ისიც მომთაბარული პოლიტიკის გამტარებელი იყო.

ამიერკავკასიის გაერთიანებული ძალების დამარცხების შემდეგ ყარა-იუსუფმა ყურადღება თემურიანთა ირანის სამფლობელოებზე გადაიტანა. მისი ომი შაჰრუხთან გარდუვალი იყო. საამისოდ იგი საგანგებოდ მოეშზადა.

შაჰრუხს მხარს უჭერდნენ: შირვანშაჰი ხალილულაჰ I, შაქის მფლობელი სიდი აპმედ ორლათი, საქართველოს მეფე ალექსანდრე. ესენი შავბატკნიანი თურქმენების განადგურებას უკავშირებდნენ თავიანთი ქვეყნების განვითარებას, დოლათსა და ვაჭრობას, მიწათმოქმედებასა და გლეხთა რაციონალურ ექსპლუატაციას.

სულთან შაჰრუხის კარზე მოვიდა ჩინეთის ელჩობა. 1420 წ. შაჰრუხმა თვითონ გააგზავნა ელჩობა ჩინეთში. ამ ელჩობის მგზავრობის აღწერა მოცემულია აბდ არ-რეზაყ სამარყანდის თხზულებაში. 1441, 1442 წწ-ში შაჰრუხმა აბდ არ-რეზაყ სამარყანდი ელჩობით გააგზავნა ინდოეთში და დაავალა მას ინდოეთის უმთავრესი სახელმწიფოების დედაქალაქების მონახულება. აბდ არ-რეზაყ სამარყანდის საისტორიო თხზულებაში მოტანილია ორ-

მუზიდან ინდოეთში მიმავალი საზღვაო გზის და თავად ინდოეთის ქალაქების აღწერილობა. ამ ელჩობას, გარდა სავაჭრო ურთიერთობის რამდენადმე გამოცოცხლებისა, მნიშვნელოვანი შედეგები არ მოჰყოლია.

თემურიანთა სახელმწიფო ახლა შემოფარგლული იყო შუა აზიით და ირანის ოლქებით (მდ. სეფიდ რუდსა და ფოშთ-ე ქუჰის მთებამდე დასავლეთით). სულთანმა შაპრუხმა თემურიანთა სახელმწიფოს დედაქალაქ აქცია ჰერათი, რომელიც XV ს-ში გადაიქცა უმსხვილეს საკავჭრო-ხელოსნურ და კულტურის ცენტრად. სულთანი შაპრუხი, თემურ-ლენგისაგან გასხვავებით, ეყრდნობოდა არა თურქულ-მონღოლურ მომთაბარულ არისტოკრატიას, არამედ ბინადარ (ირანულ და ტაჯიკურ) არისტოკრატიას, უმთავრესად სამოქალაქო ბიუროკრატიას და სასულიერო პირებს. ფეოდალთა კლასის ეს ჯგუფები ხელმძღვანელ პოლიტიკურ როლს თამაშობდნენ. ამით აისსნება ის ფაქტი, რომ XV ს-ის ისტორიკოსები: პაფეზ-ე აბრუ, ფასიჰი ხაფი, აბდ არ-რეზაყ სამარყანდი, დოულეთშაჰი და მირხონდი ყოველნაირად აქებენ და აიდეალებენ შაპრუხის პიროვნებას: გვიხატავენ მას განსაკუთრებით ბრძენ და სამართლიან მბრძანებლად, ძლევამოსილ, იდეალურ მუსლიმ ხელმწიფედ. შაპრუხი არ იმსახურებდა ამგვარ ქება-დიდებას: იგი იყო მხოლოდ საშუალო სახელმწიფოებრიეი ნიჭის მბრძანებელი; იგი არ იყო მეომარი და მამაცი, პირიქით – მშიშარა; მას არცერთი სამხედრო გამარჯვება არ მოუპოვებია; ის იყო პირფერი, შურისმაძიებელი და ვერაგი. მაგრამ, ირანელ ბინადარ დიდებულებზე დაყრდნობით, მან საკმაოდ მკვეთრად შეცვალა თემურ-ლენგის საშინაო და საგარეო პოლიტიკა.

შაპრუხმა ახალ-ახალ დაპყრობებზე ხელი აიღო და ცდილობდა მხოლოდ ირანისა და შუა ამიის შენარჩუნებას. მან თავდაცვის მიზნით სამჯერ იომა „ყარა ყოინლუს“ სახელმწიფოსთან; იგი ცდილობდა არ დაეშვა მათი შემდგომი ექსპანსია ირანში. ბოლოს და ბოლოს იგი მათ მოერია (1435 წ.). „ყარა ყოინლუს“ სულთანი ჯეჰანშაჰი მისდამი ვასალურ დამოკიდებულებაში მოექცა და შაპრუხთან ზაეი დასდო. მან დიპლომატიური ურთიერთობა დაამყარა თურქ-ოსმალთა სახელმწიფოსთან, ინდოეთის სახელმწიფოებთან და მინის ჩინურ იმპერიასთან. შაპრუხი რამდენიმე საუფლისწულოს შექმნით ცდილობდა თემურიანთა სახელმწიფოს

შინაური რღვევის თავიდან აცილებას: ამ საუფლისწულოების სა-თავეში მისი შვილები იქნებოდნენ, რომელთაც ადგილობრივი ფეოდალები უნდა დამორჩილებოდნენ. ამ ღონისძიებამ ვერ გაამართლა: თავიანთ საუფლისწულოებში მსხდომი თემურიანი უფლისწულები ამართლებდნენ შუა საუკუნეების არაბულ ანდაზას „არაა ნათესაური კავშირი მეფეთა შორის". მათი ხშირი აჯანყებები და შინაური ბრძოლები, რომელთა ჩაქრობაც დიდი გაჭირვებით უხდებოდა შაპრუხს, მხოლოდ აჩქარებდა თემურიანთა სახელმწიფოს დაშლას.

დიდი ექიმი და შაპრუხის ფაქტიური თანამმართველი იყო მისი შვილი ბაისუნღურ-მირზა (გარდაიცვალა 1433 წ.), რომელიც გამოირჩეოდა სახელმწიფო მოღვაწისათვის დამახასიათებელი თვისებებით. მან ჰერათის კარზე თავი მოუყარა ბევრ პოეტსა და სწავლულს. იგი ცნობილი იყო როგორც უდიდესი ბიბლიოფილი. მან ჰერათში შექმნა კალიგრაფთა, გადამწერთა სახელოსნო და ჩამოაყალიბა უზარმაზარი ბიბლიოთეკა.

სულთან შაპრუხის მთავრობა ეყრდნობა ირანის სამოხელეო და სასულიერო არისტოკრატიას. იგი ცდილობდა ირანის საწარმოო ძალების აღდგენას. ასე, მაგ., აღდგენილ იქნა ქ. ისპაანი. ამ მიზნით და აგრეთვე გლეხების დაწყნარების მიზნითაც, შაპრუხი ღაუბრუნდა ფეოდალური რენტის ზუსტი ფიქსაციის ყაზანყაენისეულ პოლიტიკას. დოულეთშაპი, მისთვის ჩვეული აღტაცებით და პანეგირიზმით, ამბობს: „ადამის დროიდან ამ დღემდე, რაიათები არასდროს და არცერთ ეპოქაში არ ყოფილან მოსვენებულნი და ყოველდღიური საგრუნავისაგან თავისუფალნი, როგორც მისი (შაპრუხის) დროს". სინამდვილეში, შაპრუხის მთავრობის მიერ გლეხთა მდგომარეობის შემსუბუქების მიზნით გატარებული ღონისძიებები მხოლოდ ოდნავ აუმჯობესებდა რაიათების მდგომარეობას და ვერ აკმაყოფილებდა მათ. დოულეთშაპი მოგვითხრობს იმის შესახებ, თუ როგორი სიძულვილით უყურებდნენ რაიათები გადახადის ამკრეფთ. პოეტი ჰასან სელიმი გადასახადების ამკრეფი იყო საბზევარში, სადაც ხალხში შემორჩენილი იყო სარბედარული განწყობილება. ერთხელ, სელიმმა ვიღაც მოსუც ქალს გადასცა საგადასახადო ბარათი. ქალმა ყვირილი დაიწყო: „ეი, კაცო! ეს უსამართლო ბარათი შენ გამოწერე ჩემზე? ვისი ბრძანებით? „სეიდ ფაპრ ად-დინის, სამეფო ექმ-

ირის ბრძანებით!“ — იყო პასუხი. მოსუცმა ქალმა უთხრა სელიმს: „ეი, ტირანო! განკითხვის დღეს მე მოჯიდებ ხელს შენ ტანსაცმლის კალთაზე (შენზე ეიჩიელებ ღმერთთან), იტყვი თუ არა მაშინ, რომ მე მაევიწროებდი სეიდ ფაჰრ ად-დინის ბრძანებით, თუ არა? და მიიღებს ღმერთი შენ სიტყვებს, შენს გასამართლებლად, თუ არა?“ სელიმი შეაძრწუნა მოსუცის სიტყვებმა და იყვირა: „არა, ვეფიცავ ღმერთს, არა!“ ქუჩაში გამოსულმა სელიმმა გაგზავნა თავისი სამელნე, ლერწმის კალამი და დაიფიცა, რომ „სანამ ცოცხალია, არ გააკეთებს მკრეხელურ საქმეს — აღარ აკრეფს გადასახადებს.“

§30. სახალხო მოძრაობები ირანში XV ს-ის პირველ ნახევარში

XV ს-ის პირველ ნახევარში ირანში სახალხო აჯანყებების ახალი ტალღა აზვირთდა. 1405 წ. იფეთქა სარბედართა ახალმა აჯანყებამ საბზევარში, რომელიც შაჰრუხის ჯარმა ძლივს ჩაქრო. 1406 წ. ასეთივე აჯანყება იყო მაზანდარანში; იქ სეი-იდების სასელმწიფო აღადგინეს, რომელიც თანდათანობით ჩვეულებრივ ფეოდალურ სამთავროში გადაიზარდა.

XV ს-ში სახალხო მოძრაობების განმასხვავებელი ნიშანი ის იყო, რომ გლეხები და ხელოსნები წვრილ ირანელ ფეოდალებთან ერთად უკვე აღარ გამოდიოდნენ. XV ს-ში სახალხო მოძრაობები მიმდინარეობდა უკვე არა ზომიერი შიიტების (იმამიტების) იდეოლოგიური საფარველით, როგორც ეს XIV ს-ში იყო, არამედ „უკიდურესი“ შიიტების (არაბ. ღალი, მრ. ღულათ) შიიტური სექტების იდეოლოგიით. „უკიდურესი“ შიიტების იდეოლოგიის ძირითადი დამახასიათებელი ნიშანი იყო რწმენა ადამიანებში ღმერთის პერიოდულად გარდასახვისა (ე. ი. ღმერთის გარდაქმნა ადამიანად). ასეთებად ითვლებოდნენ: მოსე, იესო, მუჰამედი, შიიტური იმამები და „უკიდურესი“ შიიტური სექტების ფუძემდებელნი. „უკიდურესები“ უარყოფდნენ მართლმადიდებლური (სუნიტური) ისლამის დოგმებსა და წეს-ჩვეულებებს, მათში შეიმჩნეოდა მკვეთრი გადახრა პანთეიზმისაკენ. „უკიდურესთა“ წრეში ად-

აგებდნენ მიწებზე საერთო საკუთრებას, სოციალური თანასწრობის უტოპიურ იდეას.

XV ს-ის „უკიდურეს“ სექტებს შორის გამოირჩეოდა XIV ს-ის ბოლოს ხორასანში ჩამოყალიბებული ჰურუფიტების სექტა, რომლის ფუძემდებელიც იყო აზერბაიჯანელი ფაზულლაპი, მეტსახელად ჰურუფი, ნაყოფიერი მწერალი, რომელიც სუნიტურ ისლამს აკრიტიკებდა. იგი უარჰყოფდა ორთოდოქსალური ისლამის დოგმებს; მან შექმნა კაცობრიობის განვითარების თაეისებური მოძღვრება. ფაზულლაპის აზრით, ამ განვითარების ციკლის მისტიკური გამოსახულება იყო არაბული ანბანი. აქედან სექტის სახელწოდება ჰურუფიტები (არაბ. ჰარფ. — ასო, მრ. — ჰურუფ.). სექტის მოღვაწეობამ მალე მიიღო ანტიფეოდალური ხასიათი. თემურლენგმა ფაზულლაპ ჰურუფი აზერბაიჯანში გააგზავნა, სადაც იგი მირანშაპმა (თემურ-ლენგის შვილმა) საკუთარი ხელით დაახრჩო (1401 წ.). ჰურუფიტებს ეჯაერებოდათ თემურ-ლენგი, განსაკუთრებით კი — მირანშაპი, რომელსაც მარანშაპს (გველურ მეფეს) და ანტიქრისტეს (ად-დაჯლალს) უწოდებდნენ. ჰურუფიტების სექტა მალე ფართოდ გავრცელდა ირანში, აზერბაიჯანში, სირიასა და ოსმალურ თურქეთის გლეხებსა და ქალაქის ბიუროკრატიაში. ჰურუფიტების მოძღვრების გამოჩენილი მიმდევარი იყო აზერბაიჯანელი პოეტი ნესიმი, რომელიც 1417 წ. სიკვდილით დასაჯეს ალეპოში როგორც ერეტიკოსი (მას ცოცხლად გააძვრეს კანი) და თეალსაჩინო პოეტი ყასემ-ი ანვარი („სანთლების გამანაწილებელი“), რომელიც ლექსებს წერდა აზერბაიჯანულ, გილიანურ, სპარსულ ენებზე. იგი დიდხანს ცხოვრობდა ჰერათში (გარდაიცვალა 1434 წ.); მას მიაწერენ ქონების ერთობის შესახებ მოძღვრების ავტორობას.

1427 წ. 21 თებერვალს ჰერათის კათედრალურ მეჩეთში ფაზულლაპ ჰურუფის მოწაფე ვინმე აპმედ ლური თაეს დაესხა სულთან შაპრუხს. სულთანი მძიმედ დაიჭრა მუცელში, თავდამსხმელი სულთნის მსახურებმა აკუწეს, ხოლო მისი ტანსაცმლის ჯიბეში ნაპოვნი განსაკუთრებული ფორმის გასაღების საშუალებით იპოვეს სახლი, სადაც მას ბინა ჰქონდა და დააღგინეს მისი ვინაობა. გამოძიებამ დაადგინა, რომ თაედასხმა მოაწყო ჰურუფიტების საიდუმლო სექტამ, რომელიც ამ სახლში იკრიბებოდა და რომლის სათავეშიც იდგა ცნობილი კალიგრაფი მაულანა

მა-რუფი. ეჭვი მიიტანეს ყასემ-ი ანვარიზე, რომლის სიკეთილით დასჯა, მისი განსაკუთრებული პოპულარობის გამო, ვერ გაბედეს: იგი მხოლოდ გაასასლეს ხორასნიდან.

ზოგიერთი მკვლევარის აზრით (ვ. ა. გორდლევსკი და სხვ.) XV ს-ში ჩამოყალიბდა მეორე, ირანში და მეგობელი ქვეყნების მომიაბარეებში, გლესებში, ხელოსნებსა და ქალაქის ქვედა ფენებში ვეიან გავრცელებული შიიტობის უკიდურესი სექტა „აპლე პაყი“ („ჭეშმარიტების სალხი“), სსვანაირად „ალი ილაპი“ („ალის გაშაღმერიოველნი“).;

1441 წ. სუზისტანში იფეთქა სახალხო აჯანყებამ, რომლის სათავეშიც იდგა სეიდი მუჰამედი, მეტსახელად მუშაშა (ბრწყინვალე) — უკიდურესი შიიტების განსაკუთრებული სექტის დამაარსებელი. იგი თავს თელიდა მაპდის წინამორბედად, ქადაგებდა მაპდის მალე მოსვლას და ამ ქვეყანაზე საყოველთაო თანაწორობისა და სამართლიანობის დამყარებას. ისტორიკოს ჯაფარის სიტყვით, მისი დროშის ქვეშ 10 000-მდე „უმეცარი“, „მაწანწალა“ და „ქურდი“ შეგროვდა (ასეთი და მსგავსი სიტყვებით ირანის ფეოდალური ისტორიოგრაფია იხსენიებს ქალაქის ღარიბებსა და გლესებს), რომელნიც აჯანყდნენ პუვეიზასა და შუშტერს შუა მდებარე რეგიონში. მათ ჩამოაგდეს და გაანადგურეს ადგილობრივი ფეოდალური მმართველის დინასტია, დიდებულები და სასულიერო ფეოდალები (შეიხები და სეიდები); მათი ქონება და სახლ-კარი ურთიერთშორის გაინაწილეს. ჯაფარი მუშაშას მიმდევრებს უწოდებს ფიდაებს (მოხალისეებს, რომლებიც მზად არიან თავგანწირვისათვის), აგრეთვე „ფილოსოფოსებს“ და „ისმაილიტებს“ („ფალსიფა ვა ისმაილია“); ამ სახელწოდებებით ხშირად იხსენიებოდნენ სახალხო მოძრაობების რადიკალური მიმართულების წარმომადგენლები.

სალხთა მასების აჯანყებამ სუზისტანში შეაშფოთა მეზობელი ოლქების ფეოდალური არისტოკრატია. მუშაშას აჯანყებულთა წინააღმდეგ ფარსის ფეოდალური ლაშქრით გამოვიდა შირაზის შეიხ ულ-ისლამი. ისტორიკოს ჯაფარის სიტყვით, „როდესაც ორივე ჯარი ერთმანეთს შეხვდა, მოხდა დიდი ბრძოლა. და რადგანაც მუშაშას მომხრეები იყვნენ ფიდაი, რომლებმაც სასიკვდილოდ გასწირეს თავი, ისინი მამაცურად იბრძოდნენ და შირაზის ჯარი მათ წინაშე გაიქცა.“ მუშაშამ

ალყა შემოარტყა ქ. პუეიზას. მაშინ აღგილობრიეემა ფეოდალებმა დახმარებისათვის მიმართეს „ყარა-ყოიუნლუს“ ერთ-ერთ უფლისწულს ისფენდს, რომელიც მიეიდა იქ თაეისი მომთაბარეების ლაშქრით, გაიმარჯვა აჯანყებულებზე, გაფანტა ისინი და დაარბია სუზისტანი. მაგრამ რამდენიმე წლის შემდეგ მუშაშა დაბრუნდა. აჯანყებამ კვლაე იფეთქა; აჯანყებულებმა შეძლეს ჰუეიზაის რეგიონში სარბედარული ტიპის პატარა სახელმწიფოს შექმნა, რომელმაც XVI ს-ის დასაწყისამდე იარსება.

§31. დასავლეთი ირანი და მისი მეზობელი ოლქები XV საუკუნის მეორე ნახევარში

„ყარა-ყოიუნლუს“ ფადიშაპებს შორის ყველაზე ძლიერი იყო ჯეჰან-შაპი (1436-1467 წწ). სულთან შაპრუხის სიცოცხლეში იგი მის ვასალად სცნობდა თავს და კმაყოფილდებოდა თავისი სამფლობელოებით სამხრეთ აზერბაიჯანში, არმენიასა და არაბეთის ერაყში. მაგრამ შაპრუხის სიკვდილის შემდეგ, მან ისარგებლა ხორასანში დინასტიური შინაომებით და თეითონ მიიღო სულთნის, ანუ დამოუკიდებელი ხელმწიფის ტიტული და 1453-1457 წწ მორის დაიკავა სპარსეთის ერაყი, ხუზისტანი, ფარსი და ქერმანი. მომთაბარეების მიერ დასაელეთ ირანის დაპყრობას თან სდეედა სისხლიანი რბევა-თარეში; განსაკუთრებით დაზარალდნენ ქალაქები სულთანია და ისპაანი. პირველში დარჩა მხოლოდ 7000 მცხოვრები და იგი აღარ აღორძინებულა, ხოლო ისპაანში XV ს-ის ბოლოს იყო მხოლოდ 50 000 მცხოვრები და XVI ს-ის ბოლომდე ყოველგვარი სამეურნეო მნიშვნელობა დაკარგა. ჯეჰან შაპი დაიკავებდა ხორასანსაც პერათითურთ (1458 წ.), მაგრამ თემურიანი სულთნის აბუ-სა-იდის შემოტეევამ და აზერბაიჯანში ფეოდალური ამბოხების შესახებ ცნობამ, იგი აიძულა სასწრაფოდ წასულიყო ხორასნიდან. სულთან აბუ-სა-იდსა და ჯეჰანშაპს მორის დადებული იქნა ხელშეკრულება, რომლის ძალითაც ირანის „დიდი უდაბნო“ („დეშთ-ე ქევირ“) ცნობილ იქნა მათი სამფლობელოების საზღვრად. მათ შორის სამხედრო კავშირი იქნა დაღებული, რომელიც ორივეს აძლევდა უფლებას თაეიანთ სახელმწი-

ფოებში შინაურ აშლილობებთან და სასალხო მოძრაობებთან ბრძოლისას (1459 წ.).

ჯეჰანშაჰი — დახვეწილი, განათლებული დესპოტი და მეცენატი, გამოირჩეოდა განსაკუთრებული ეჭვიანობით; მან ბევრი ამირა, „სახელმწიფოს საყრდენები" და უბრალო ხალხი ციხეებში ჩაყარა.

XVIII ს-ის თურქი, არაბულენოვანი ისტორიკოსი, მუნჯიმ-ბაში, ჩვენამდე არმოღწეულ პირველწყაროებზე დაყრდნობით, ასე ახასიათებს ჯეჰანშაჰს: „ეს იყო გარყვნილი, უმზეო, სისხ-ლისმსმელი ტირანი, ერესისა და უღმერთობისაკენ მიდრეკილი, რომელიც არ იცავდა წმინდა შარიათს; მთელ ღამეებს იგი ქეიფსა და დროსტარებაში ატარებდა, ხოლო დღე ეძინა, როგორც ძაღლს". იგი ცდილობდა ცენტრალისტური პოლიტიკის გატარებას, რითაც მომთაბარე არისტოკრატიის უკმაყოფილება გამოიწვია, ხოლო მისმა რელიგიურმა „თავისუფალმა აზროვნებამ" და ში-იტებთან დაახლოვების მცდელობამ, ხალხში მათი პოპულარობის ზრდის თავისი მიზნებისათვის გამოყენებამ, მას სუნიტი სასუ-ლიერო პირების მხრიდან სიძულვილი მოუტანა.

„ყარა ყოიუნლუს" მომთაბარე ტომთა გაერთიანება ჯერ კიდევ XIV ს-ის ბოლოდან მიწებისა და საძოვრების ხელში ჩასაგდებად გუთავებლად ებრძოდა მომთაბარე ტომთა მეორე გაერთიანებას „აყ-ყოინლუს" თურქმენებს („თეორბატკნიან" თურქმენებს), რო-მელიც მდ. ტიგროსის ზემო წელში და სივასსა და დიარბექირს შორის მომთაბარეობდა. სანამ ჯეჰანშაჰ „ყარა-ყოიუნლუმ" მას-თან ზავი არ დადო (1459 წ.) „აყ-ყოიუნლუს" ოღუზები ხშირად ებრძოდნენ ოსმალეთის სახელმწიფოს და მჭიდრო კავშირი ჰქონ-დათ ბერძნული ტრაპიზონის იმპერიასთან (1204-1461 წწ.). „აყ-ყოიუნლუს" მბრძანებელთათვის ტრაპიზონი სავაჭრო პორტი იყო.

სულთანმა პასან-ბეგ „აყ-ყოიუნლუმ" (1453-1478 წწ), რომელსაც თავისი მაღალი და გამხდარი ფიგურის გამო „უზუნ-ჰასანს" („გრძელი ჰასანი") უწოდებდნენ, „ყარა-ყოიუნლუს" თურქმენებს წაართვა სომხეთ-ქურთისტანის ზეგანი. 1467 წ. „აყ-ყოიუნლუს" ლაშქარმა სამხრეთ სომხეთში გაანადგურა „ყარა-ყოიუნლუს" ლაშქარი. უზუნ-ჰასანმა მოკლული ჯეჰანშაჰის თავი გაუგზავნა მის მოკავშირე თემურიან სულთან აბუ-სა-იდს, ხოლო ჯეჰანშაჰის შეილის თავი — ოსმალეთის სულთან მეჰმედ II. 1468 წ. „აყ-ყოიუნლუს" ჯარმა დაიკავა სამხრეთი აზერბაიჯანი თავრიზი-

თურთ, რომელიც უზუნ-ჰასანმა თავის დედაქალაქად აქცია. „აყ-ყოიუნლუს“ სახელმწიფოს ტერიტორია მოიცავდა სომხეთ-ქურთისტანის ზეგანს გარღა არაბეთის ერაყს, სამხრეთ აზერბაიჯანს, ჩრდ. აზერბაიჯანის ნაწილს მდ. მტკვრამდე, აგრეთვე სპარსეთის ერაყს, ფარსსა და ქერმასს, ანუ მთელ დასავლეთ ირანს. „აყ-ყოიუნლუს“ სახელმწიფომ ამ ტერიტორიაზე იარსება 1468 წ-დან 1502 წ-მდე. „ყარა ყოიუნლუს“ ტომების ნარჩენები გაითქვიფ-ნენ „აყ-ყოიუნლუს“ ტომებში.

თემურიანმა სულთანმა აბუ-სა-იდმა, რომელიც ეშინოდა „აყ-ყოიუნლუს“ სახელმწიფოს გაძლიერების, გადაწყვეტა ღიდი სამხე-დრო ძალით აზერბაიჯანში გალაშქრება. იგი უიქრობდა დასავლეთ ირანისა და სამხრეთ აზერბაიჯანის თავის სამფლობელოებთან შეერთებას, მაგრამ აბუ-საიდის ეს ლაშქრობა წარმატებით არ დასრულებულა. მუღანის ველზე ზამთრობის დროს თემურიანთა ლაშქარმა თითქმის მთლიანად დაკარგა ცხენები, ხოლო შემდეგ იგი ბლოკირებულ იქნა „აყ-ყოიუნლუს“ და მისი მოკავშირის ჯარის მიერ. თემურიანთა ლაშქარი დაიმშა, შემდეგ კი გაიფანტა. აბუ-სა-იდი გაიქცა, მაგრამ „თეთრბატკნიანებმა“ იგი შეიპყრეს და სიკვდილით დასაჯეს. არაბი და სპარსელი გეოგრაფების უმეტესობა მოგვითხრობს, რომ მუღანის ველის ზოგიერთ ადგილას წელიწადის გარკვეულ დროს ბალახი მოწამლულია და საქონლის საჭმელად გამოუსადეგარი ხდება. თემურიანთა მეომრებმა ეს არ იცოდნენ და ამიტომაც მთლიანად დაეხოცათ ცხენები.

თავისი სახელმწიფო წყობით „აყ-ყოიუნლუს“ სახელმწიფო არაფრით გამოირჩეოდა „ყარა-ყოიუნლუსა“ და თემურიანთა სახ-ელმწიფოებისაგან. უზუნ-ჰასანი უმთავრესად მომთაბარე არის-ტოკრატიას ეყრდნობდა, მაგრამ ამავე დროს იგი ცდილობდა თა-ვის მხარეზე ირანული ბინადარი არისტოკრატიის გადაბირებას. „აყ-ყოიუნლუს“ სახელმწიფოს მთავარი მტერი იყო ოსმალეთის იმპერია, რომელიც გაუთავებლად ომობდა დასავლეთით (ბალკანეთის ნახევარკუნძულსა და შავი ზღვის ჩრდილოეთ ნაწილში, აგრეთვე უნგრეთისა და ვენეციის წინააღმდეგ) და აღ-მოსავლეთში (მც. აზიასა და სომხეთ-ქურთისტანის ზეგანზე). ოს-მალეთის ექსპანსიის წინააღმდეგ საბრძოლველად უზუნ-ჰასანმა კავშირი დაამყარა ოსმალეთის მთავარ მტერთან დასავლეთით

ვენეციასთან და ცდილობდა აგრეთვე კავშირის დამყარებას უნგრეთთან, პოლონეთთან და დასავლეთის სხვა სახელმწიფოებთან.

თავრიზში, უზუნ-ჰასანის კარზე მუდმივად იმყოფებოდნენ ვენეციელი ელჩები კატერინო ზენო, ჯოზეფატო ბარბარო, ამბროჯიო კონტარინი, გამოჩნდნენ აგრეთვე უნგრეთისა და პოლონეთის ელჩები და რუსეთის მეფე ივანე III-ის ელჩი იტალიელი მარკო როსო, რომელიც აწარმოებდა მოლაპარაკებას უზუნ-ჰასანთან რუსეთისა და „აყ-ყოიუნლუს“ სახელმწიფოს ოქროს ურდოს წინააღმდეგ ერთობლივი ბრძოლის თაობაზე. უზუნ-ჰასანი შეეიდა ანგიოსმალურ ლიგაში, რომელშიც მონაწილეობდნენ აგრეთვე რომის პაპი, ვენეცია, ნეაპოლის სამეფო, უნგრეთი, კვიპროსი და საქართველო. ანგიოსმალურმა ლიგამ არ გაამართლა ის იმედები, რასაც მასზე ამყარებდნენ: მასში მონაწილე სახელმწიფოთა ინტერესები სხვადასხვა იყო, ამდენად ისინი შეთანხმებულად ვერ მოქმედებდნენ. აშასთანა�ე, ისინი ტერიტორიულად დაშორებული იყვნენ ერთმანეთისაგან. ვენეცია ცდილობდა უზუნ-ჰასანისათვის ცეცხლმსროლელი იარაღის მოწოდებას, მაგრამ ამ დახმარებამ უმნიშვნელო შედეგი გამოიღო: უზუნ-ჰასანისათვის გამოგზავნილი ვენეციური ზარბაზნები სელში ჩაიგდეს ნაწილობრივ ოსმალებმა, ნაწილობრივ კი ქურთმა ფეოდალებმა.

ოსმალების წინააღმდეგ აყ-ყოიუნლუს სამხედრო მოქმედება საბოლოოდ ამ უკანასკნელისათვის მარცხით დამთავრდა: უზუნ-ჰასანის ჯარი თერჯანასთან (მდ. ევფრატის ზემო წელში) ბრძოლაში 1473 წ. ოსმალებმა გაანადგურეს. მარცხის მიზეზი იყო უზუნ-ჰასანის არტილერიის დაბალი დონე, აგრეთვე „თეთრბატკნიანთა“ ჯარის ორგანიზაციის მოძველებული ფორმები: უზუნ-ჰასანის ჯარი ფაქტობრივად მხოლოდ და მხოლოდ მომთაბარე ტომთა ლაშქარი იყო, რომელიც ომში თავისი ოჯახებით, მონებითა და საქონლით მიდიოდა. მათი ლაშქრობა ფაქტობრივად ახალი საძოვრების საძიებლად გადასვლა იყო.

სახელმწიფოს ეკონომიკური დაცემა უკვე უზუნ-ჰასანის დროს შეიმჩნევა. ვენეციელი ელჩი კონტარინი გაოცებული იყო სამხრეთ აზერბაიჯანისა და სპარსეთის ერაყის სოფლების დაუსახლებლობითა და გაპარტახებით, აგრეთვე აუცილებელი საკვების სიძვირით. რადგანაც სოფლის მეურნეობის დეგრადაციის ძირითადი მიზეზი წინა საუკუნეებში გადასახადების ზრდა იყო, უზუნ-ჰასანმა

საგადასახო რეფორმა გააგარა: გადასახადების შესახებ ახალი ბრძანება გამოვიდა; შედგენილ იქნა ახალი „კანუნ-ნამე“ — „კანონთა წიგნი“, რომლის ტექსტი ჩვენამდე არაა მოღწეული. ცნობილია მხოლოდ ის, რომ დადგენილ იქნა ზუსტად ფიქსირებული მიწაზე დადებული გადასახადი მოსავლის 1/6-ის რაოდენობით; ცნობილია აგრეთვე ისიც, რომ თამღის რაოდენობა დაკანონდა საქონლის ღირებულების 5%-ის რაოდენობით (1 დინარი ყოველი 20 დინარიდან). მაგრამ უზუნ-ჰასანის საფინანსო უწყების მოხელეები დაწესებულ ნორმას ნაკლებ ანგარიშს უწევდნენ.

უზუნ-ჰასანის შვილის — სულთან იაკუბის ღროს (1479-1490 წწ) მისი აღმზრდელი და მრჩეველი ყადი სე-იფ ად-დინ ისა ცდილობდა ახალი საფინანსო რეფორმის გატარებას. ხაზინის შემოსავლის შემცირება შედეგი იყო არა მარტო სოფლის მეურნეობის დაცემის, არამედ სახელმწიფო მიწებისა და ხაზინის შემოსაყლის ხარჯზე სოიურღალების და იმუნიტეტის ზრდისა, ამიტომაც ყადი ისამ შეადგინა გეგმა, რაც ითვალისწინებდა სამხედრო და სასულიერო სამკვიდრო ლენები-სოიურღალების გაუქმებას; ამასთანავე, ახალი საგადასახადო სისტემის შემოღების მიზნით, ბრძანა მიწების აღწერა, ახალი საგადასახადო კადასტრის შემოღება (1489 წ.). სამხედრო და სასულიერო ფეოდალები ამ ღონისძიებებს წინ აღუდგნენ. 1490 წ. სულთან იაკუბის მოულოდნელმა სიკვდილმა (იგი მოწამლეს) ყადი ისას რეფორმებს ზღვარი დაუდო. იგი მისი მგრის მთავარსადალ თურქი ამირას სუფი ხალილის ბრძანებით სიკვდილით დასაჯეს.

უზუნ-ჰასანის მემკვიდრეების ღროს „აყ-ყოიუნლუს“ სახელმწიფოს შინაური სისუსტე გამომჟღავნდა, რაც შედეგი იყო ფეოდალური დაქუცმაცებულობის ზრდისა და ცალკეულ ოლქებს მორის სუსტი ეკონომიკური კავშირისა. ცალკეულ ფეოდალურ დაჯგუფებათა შორის დაიწყო შინაური ბრძოლები. მომთაბარე ფეოდალები სულთნის ტახტის პრეტენდენტებად ასახელებდნენ უზუნ-ჰასანის მემკვიდრეებს, უფლისწულებს, რათა შემდეგ ამ მარიონეტების სახელით თვითონ ემართათ სახელმწიფო. 25 წლის განმავლობაში 10 ფადიშაჰი შეიცვალა.

ერთ-ერთი სულთანი აჰმედ ფადიშაჰი (1497 წ.) ცდილობდა თურქი ფეოდალების ძლიერებისა და გავლენის შესუსტებით (ისინი იყვნენ ფეოდალური დამლილობის მთავარი სულის-

ჩამდგმელნი, სახელმწიფოს დაშლის მთავარი მიზეზი) სახელმწიფოში სტაბილური ვითარების აღდგენას. მან ზოგიერთი მათგანი სიკვდილით დასჯა და გააუქმა მისი წინამორბედების მიერ გაცემული ლენები — სოიურღალები. აპმედ ფადიშაჰი, მომთაბარე ფეოდალურ არისტოკრატიასთან ბრძოლაში, ეყრდნობოდა ფეოდალთა მეორე ჯგუფს — ირანულ სამოქალაქო ბიუროკრატიას. აპმედ ფადიშაპს უნდოდა გლესთა მსარდაჭერის მოპოვება, ამიტომ მან გაატარა საგადასახადო რეფორმა: შეინარჩუნა შარიათზე დაფუძნებული გადასახადები (ხარაჯა, უშრი, ზაქათი, ჯიზია), ხოლო დანარჩენი გადასასადები გააუქმა. ამ ღონისძიებებმა მომთაბარე ფეოდალები გააღიზიანეს: სპარსეთის ერაყში და ფარსში ისინი აჯანყდნენ. აპმედ ფადიშაპი შვიდთვიანი მმართველობის შემდეგ აჯანყებულებთან ბრძოლაში, ისპაანის ახლოს, დაიღუპა. გამარჯვებულებმა ყველა მისი ბრძანება დაუყოვნებლივ გააუქმეს. ასალი შინაური ბრძოლების შემდეგ, „აყ-ყოიუნლუს" სამფლობელოები ორმა პრეტენდენტმა გაიყო: ალვენდ „აყ-ყოიუნლუმ" მიიღო აზერბაიჯანი და არმენია, სულთანმა მურაღმა — არაბეთის ერაყი, სპარსეთის ერაყი და ფარსი (1500 წ.)

§32. აღმოსავლეთი ირანი XV საუკუნის მეორე ნახევარში

სულთან შაპრუხის სიკვდილის შემდეგ (1447 წ.) თემურიანთა სახელმწიფოში კვლავ დაიწყო შინაური ომი — დინასტიის წევრები სულთნის ტახტისათვის იბრძოდნენ. გაიმარჯვა კანონიერმა მემკვიდრემ — ნიჭიერმა მეცნიერმა ულუღ-ბეგმა, რომელიც მამის — შაპრუხის სიცოცხლეში შუა აზიის (მავერანაჰრის) მმართველი იყო; მაგრამ, უკვე ორი წლის შემდეგ იგი ტახტიდან ჩამოაგდო და სამარყანდის ახლოს მოკლა საკუთარმა შვილმა აბდ ალ-ლატიფმა (1449 წ), რომელსაც მსარს უჭერდნენ ნაყბესდიების დერვიშული ორდენის შეიხები, რომელნიც უკმაყოფილონი იყვნენ ულუღ-ბეგის კარის საერო განწყობილებით. შინაური ბრძოლის დროს ხორასანში თემურიანთა ბატონობის წინააღმდეგ სახალხო მოძრაობა დაიწყო, სულთან აბუ-სა-იდის

(1451-1469 წწ) სიკვდილის შემდეგ, რომელიც უპირატესად მომთაბარულ არისტოკრატიას ეყრდნობოდა, თემურიანთა იმპერია ფაქტიურად ორ ცალკეულ სასულთნოდ გაიყო, სადაც თემურიანთა დინასტიის ორი სხვადასხვა ფრთა იჯდა ტახტზე: ხორასნის სასულთნო — ცენტრით პერათში და შუა ამიის სასულთნო — ცენტრით სამარყანდში. ხორასნის სასულთნოს შემადგენლობაში შეეიდა სისტანი, მაზენდარანი, გურგანი (ასტრაბადი) და ხორეზმი.

აბუ-სა-იდის მემკვიდრის — ხორასნის სულთნის ჰუსეინ ბაიქარას (1469-1506 წწ) მმართველობის დასაწყისში ჰერათში ქალაქის ქვედა ფენები აჯანყდნენ. ეს აჯანყება გამოიწვია ფინანსთა დივნის მიერ შემოღებულმა აუტანელმა გადასახადებმა. აჯანყების მასშტაბებით შეშინებულმა სულთანმა ჰუსეინმა აჯანყებულებთან მოსალაპარაკებლად გააგზავნა თავისი ასალგაზრდობის მეგობარი ალიშერ ნავოი (1441-1501 წწ), შემდეგში დიდი ძველუზბეკი პოეტი და სახელმწიფო მოღვაწე; მასვე დაავალა საქმის გამოძიება და ხალხის დაწყნარება. ალიშერ ნავოი პერათში მივიდა და ბრძანა საკრებულო მეჩეთის კათედრიდან არაკანონიერი გადასახადების გაუქმების შესახებ ბრძანებულების წაკითხვა. მანვე ბრძანა იმ მოხელეების დაპატიმრება და სამართალში მიცემა, რომელთაც უკანონო გადასახადების შემოღებით სახალხო მოძრაობა გამოიწვიეს. ამის შემდეგ პერათის ოლქის ხელოსნები და გლეხები ორი წლით გაათავისუფლეს ჯარის შესანახი განსაკუთრებული გადასახადებისაგან. ასეთი ღონისძიებებით ალიშერ ნავოიმ რეპრესიების გარეშე შეძლო დედაქალაქ ჰერათში აჯანყების ლიკვიდაცია (1470 წ.)

სულთანმა ჰუსეინმა, ტახტზე განმტკიცების შემდეგ, ალიშერ ნავოი დანიშნა ფინანსთა დივანის ამირად, შემდეგ კი ვეზირად. ალიშერ ნავოიმ დიდებულებს შორის დაიკავა მეორე აღგილი ამირას — თურქულენოვანი მონღოლური ბარლასთა ტომის ბეღადის შემდეგ (მოვიგონოთ, რომ ბარლასთა ტომიდან იყო თემურ-ლენგი). ალიშენ ნავოი, როგორც სახელმწიფო მოღვაწე, ცხოვრებაში მოქმედებდა იგივე პრინციპებით, რაც თავის დროზე საფუძველად დაედო ყაზან-ყაენის რეფორმებს: რენტა-გადასახადების ზუსტი ფიქსაცია, არაკანონიერი გადასახადების გაუქმება. მალე ფინანსთა უწყების მხრიდან მტრობამ და ინტრი-

გებმა ალიშერ ნავოი აიძულა უარი ეთქვა ვეზირის თანამდებობაზე, მაგრამ სიცოცხლის ბოლომდე მან სულთან ჰუსეინმე გაჟლენა შეინარჩუნა. ალიშერ ნავოის ხელშეწყობითა და ინიციატიეით ჰერათში რამდენიმე მედრესე და ბიბლიოთეკა აშენდა; ტუსსა და მეშჰედს ახლოს გაიყვანეს 70 კმ-ის სიგრძის სარწყავი არხი. სხეადასხეა ადგილებში აშენდა რაბათები, ქარვასლები, საავადმყოფოები, აბანოები, ხიდები, წყალსაცავები და სხვ.

XV ს-ის უკანასკნელ მეოთხედში შეინიშნება გაღასახადების ზრდა. ამასთანავე, რაიათების აკრეფილი თანხა თავს იყრიდა ამირების, საფინასო მოხელეების და კარის დიდებულების ხელში, მსოლოდ უმნიშვნელო ნაწილი შედიოდა ცენტრალური ხელისუფლების ხაზინაში. სულთანი ჰუსეინი ლოთი იყო; ამასთანავე, სახელმწიფო საქმეებისადმი გულგრილი. ამით სარგებლობდნენ საფინანსო მოხელეები და უსირცხვილოდ ძარცეავდნენ როგორც ქვეშეერდომებს, ასევე სამინას. როდესაც ალიშერ ნავოის მთავარი მგერი ვეზირი მაჯდ აღ-დინი ბოლოს და ბოლოს ხაზინის გაქურდვისათვის მოხსნეს და სამართალში მისცეს, მოხელეები, რომელთაც მისი ქონება აღწერეს, გაოგნებული იყვნენ არნახული სიმდიდრით: აუარებელი ოქრო-ვერცხლი, ძვირფასი ქვები, ფაიფურის ჭურჭელი, აბრეშუმის სალიჩები და კარვები, იშვიათი წიგნები, ჯიშიანი ცხენები, მიწებზე რომ არაფერი ვთქვათ — ყველაფერი ეს მისი საკუთრება იყო.

სულთან ჰუსეინის ღროს ფეოდალურ დაჯგუფებებს შორის ბრძოლა 1497 წელს გადაიზარდა ფეოდალთა ნაწილის — უმთავრესად მომთაბარე ფეოდალების აშკარა აჯანყებაში, რომლის სათავეშიც იდგა სულთან ჰუსეინის შვილი, ბალსის გამგებელი ბადი აზ-ზამანი. სულთან ჰუსეინის ჯარმა ეს აჯანყება ჩააქრო, მაგრამ შემდგომმა ფეოდალურმა ანარქიამ განაპირობა თემურიანთა ხორასნის სასულთნოს დაშლა. ეს პროცესი დააჩქარა მათმა ბრძოლამ მომთაბარე თეთრი ურდოს ოზბეგებთან — შეიბანიდებთან (შეიბანდების ულუსი იყო დღევანდელ ყაზახისტანში). შეიბანიდმა ოზბეგებმა 1499-1500 წწ-ში დაიპყრეს თემურიანთა შუა აზიური სასულთნოს მიწები, ხოლო 1507 წ. სულთან ჰუსეინის სიკვდილის შემდეგ მალევე გაანადგურეს ხორასნის თემურიანთა სასულთნოც.

§33. ფეოდალური ურთიერთობა ირანში XIV ს-ის მეორე ნახევარსა და XV ს-ში

მიწაზე ფეოდალური საკუთრების ფორმებმა, ფეოდალურმა იერარქიამ, იმუნიტეტისა და სამხედრო-ლენური სისტემის განვითარებამ აღებულ პერიოდში განსაკუთრებულ სრულყოფილ განვითარებას მიაღწია. ლენის, როგორც მიწაზე და წყალზე პიროვნული ფეოდალური საკუთრების — იკტას კანონზომიერი განვითარება და გაგრძელება იყო სოიურღალი.

სოიურღალის პირველი ხსენება წყაროებში ჩნდება XIV ს-ის პირველ ნახევარში. სასოიურღალო მიწები გავრცელებული იყო როგორც დასავლეთ ირანში (ჯელაერიანთა, ხოლო შემდეგ ყარაყოიუნლუს და აყ-ყოიუნლუს სახელმწიფოებში), ასევე აღმოსავლეთ ირანშიც (თემურიანთა სახელმწიფოში). სოიურღალი (მონღ. „ბოძება") იყო სულთნის მიერ მისი ვასალებისათვის მემკვიდრეობით ნაბოძები სხვადასხვა ფართობის — ოლქებით დაწყებული სოფლებით დამთავრებული — მიწები. სოიურღალის მფლობელი („საპებ-ე სოიურღალი") ვალდებული იყო ყოფილიყო ხელმწიფის სამსახურში და სასოიურღალო მიწებზე მსხდომი ფეოდალურად ვალდებული გლეხებიდან გამოეყვანა შეიარაღებული მხედრების გარკვეული რიცხვი. სოიურღალი იკტასაგან იმით განსხვავდებოდა, რომ სოიურღალის მემკვიდრეობით მფლობელს, გარდა საგადასახადო იმუნიტეტისა (მუ-აფი), რაც ადრე მონღოლური პერიოდის იკტას მფლობელებს ჰქონდათ, ახლა ეძლეოდა სასამართლო და ადმინისტრაციული იმუნიტეტი: სასოიურღალო ტერიტორიაზე ყველა თანამდებობის პირი ინიშნებოდა სოიურღალის მფლობელის მიერ და მხოლოდ და მხოლოდ მასზე იყო დამოკიდებული. ცენტრალური სახელმწიფო აპარატის მოხელეებს სასოიურღალო ტერიტორიაზე აკრძალული პქონდათ შესვლა. ეს აკრძალვა სასოიურღალო სიგელებში გამოხატული იყო სპარსული ფორმულით: „კალამ ვა კადამ ქუთაპ ვა ქაშიდე დარანდ ვა ფირამუნ ნეგარდად" („მათ — მოხელეებმა დაიმოკლონ კალამი და ფეხი და ნუ ტრიალებენ [სოიურღალის] შემოგარენში".

ადმინსტრაციული იმუნიტეტი სოიურღალის მფლობელს ანიჭებდა სასამართლოში და სამხედრო საქმეში უზენაესობას, ხოლო საგადასახადო იმუნიტეტი მას უფლებას აძლევდა თავის სასარგებ-

ბლოდ აელო რაიათებიდან ყველა ის გადასახადი, რომელიც აღრე ცენტრალური ხელისუფლების ხაზინაში შედიოდა; ამასთანავე გადასახადი თან ემთხვეოდა ფეოდალურ რენტას. თუ სოიურღალად მთელ ოლქს აძლევდნენ, მაშინ მისი მფლობელი იღებდა მიწების ფონდის გამგებლობის უფლებას და სოიურღალებად თავის მსრივ მიწებს გასცემდა თავის ვასალებზე. მსხვილი სოიურღალების მფლობელებს ჰყავდათ თავისი ფეოდალური ლაშქარი და თავისი მოხელეები. სოიურღალები ეძლეოდათ როგორც სამხედრო, ასევე სასულიერო პირებს.

აღებული პერიოდისათვის მიწაზე ფეოდალური საკუთრების სხვა კატეგორიები ისეთივე რჩებოდა, როგორც აღრე; მაგრამ სახელმწიფო მიწების ფონდი ძალიან შემცირდა, ხოლო მულქმა (ალოდის ტიპის უპირობო მემკვიდრეობითი საკუთრება) და ვაკუფმა (სასულიერო და საქველმოქმედო დაწესებულებების მიწები) არსებითად შეცვალეს თავისი სახე, რადგანაც ბევრი მულქი საგადასახადო იმუნიტეტით სარგებლობდა („მულქ-ი ხურრ" – „თავისუფალი მულქი"). იმუნიტეტი მიეცა აგრეთვე ბევრ ვაკუფსაც.

მსხვილი მიწათმლობელების, ფეოდალთა კლასის ზედაფენების ხელში მიწების კონცენტრაციის პროცესი, რომელიც წინა პერიოდში იყო დაწყებული, ახლაც გრძელდებოდა. აი, ზოგიერთი მაგალითი: ამირა ბაბა პაჯი კაეერდიმ ყარა იუსუფისაგან სოიურღალად მიიღო 600 დიდი და პაგარა სოფელი; ქურთული მომთაბარე ტომის რუზექის ბელადმა ამირა შამს ად-დინმა იმავე ყარა-იუსუფისაგან სამხრეთ არმენიაში სოიურღალად მიიღო ოთხი დიდი ოლქი; თემურიანი უფლისწულის ბაისუნღურის სოიურღალები გურგანში, ხორასანში, სპარსეთის ერაყსა და ფარსის სხვადასხვა რეგიონებში 600 თუმნად (6 მილიონ დინარად) იყო შეფასებული (დინარი შეიცავდა 2 მისსლამდე ვერცხლს – 9 გრამს და უდრიდა პირველ მსოფლიო ომამდელი კურსით რუსულ 50 კაპიკს ვერცხლით); მედრესე მანსურიეს ვაკუფი შირაზში, რომელიც საგადასახადო იმუნიტეტით სარგებლობდა, შედგებოდა ფარსში მდებარე 50 სოფლიდან, საიდანაც 242 000 დინარი წლიური შემოსავალი შემოდიოდა; პერათის ოლქში მიწების დიდი ფონდი ეკუთვნოდა პოეტ აბდ არ-რაპმან ჯამის, რომელსაც ყოველწლიურად ყოველდღიური ხარჯებისათვის 100 000 დინარის გადადება შეეძლო; ფეოდალების პოლიტიკური გაელენა განპირობებული იყო არა მარტო მათი მიწების რაოდენობით და შემო-

საელიანობით, არამედ მათი ნუკერების (ე. ი. ვასალების), უმეტესად წვრილი ფეოდალების რიცხვით, რომელნიც ვალდებულნი იყვნენ შეესრულებინათ მაღლა მდგომი ფეოდალის წინაშე სამხედრო სამსახური. XV ს-ის ბოლოს თემურიანი სულთან ჰუსეინის უძლიერესი ვასალი იყო ამირა ხოსროუ, რომელიც სოიურღალის საფუძველზე ფლობდა მდ. ამუ-დარიასა და ჰინდუკუშის მთებს შორის მდებარე ოლქებს. მას ემორჩილებოდა 30 000 ნუკერი (მეომარი — მელენეები, მისი ვასალები), რაც შეადგენდა მის ფეოდალურ ლაშქარს.

თემურიანთა და აყ-ყოიუნლუს სახელმწიფოებში XV ს-ში იმუნიტეტის გავრცელებამ დაასუსტა ცენტრალური ხელისუფლება, რომელმაც დაკარგა საგადასახდო, სასამართლო და აღმინისტრაციული იმუნიტეტი. ყველაფერი ეს გადავიდა ადგილობრივი ფეოდალური მბრძანებლების ხელში. მიწების ბოძებისა და იმუნიტეტის გაცემის ფირმანები მხოლოდ ფორმალურად გამოდიოდა ცენტრალური ხელისუფლების (სულთნების) სახელით. ფაქტობრივად სულთნები იძულებით ასრულებდნენ ფეოდალთა მოთხოვნებს. ფართოდ გავრცელდა თარხნის ინსტიტუტი; დიდი და პატარა ფეოდალები, იმუნიტეტს გარდა, სარგებლობდნენ სხვადასხვა პირადი პრივილეგიებით: სამხედრო დაელის გაყოფის დროს უპირატესობით, დანაშაულის ცხრაჯერ ჩადენამდე სასამართლო პასუხისმგებლობიდან განთავისუფლებით და სხვ. თემურიანმა უფლისწულმა ზაპირ ად-დინ ბაბურმა XVI ს-ის დასაწყისში გადაწყვიტა თარხან ბაქი ჩაღანის, რომლის სამსახურითაც უკმაყოფილო იყო, გაგდება. მან უპასუხა: „სანამ მე ცხრა დანაშაული არ ჩამიდენია, მანამ ვერ დამსჯით". მაშინ ბაბურმა მას შეახსენა, რომ მას ჩადენილი აქვს ერთიმეორის მიყოლებით თერთმეტი დანაშაული და გაუშვა ის ოჯახით, ნუკერებითა და ქონებით; მას ინდოეთში წასვლის ნება დართო.

აღებულ პერიოდში, ისევე, როგორც ადრე, ფეოდალთა კლასი ოთხი ძირითადი ჯგუფისაგან შედგებოდა: 1. მომთაბარული ტომების სამხედრო არისტოკრატია მონღოლური, თურქული, ქურთული („აპლ-ე შამშირ" — „სმლის ხალხი"); 2. ადგილობრივი პროვინციული არისტოკრატია, რომელიც სასელმწიფოსთან სამსახურით არ იყო დაკავშირებული; 3. მუსლიმური სამღვდელოება; ამიერკავკასიაში — საქართველო, სომხეთი — ქრისტიანული; 4. სამოქალაქო ბიუროკრატია („აპლ-ი კალამ" — „კალმის ხალხი").

უკანასკნელი სამი კატეგორიის ფეოდალები უფრო სშირად სპარსელები და სხვა ირანელები იყვნენ.

XV ს-ის II ნახევარში, ირანში გლეხთა აჯანყებების ჩაქრობის შემდეგ, გლეხთა ფეოდალური ექსპლუატაცია გაძლიერდა. ერთ წყალობის სიგელში ჩამოთვლილია ოცდაშვიდი, მეორეში – ოცდათერთმეტი, მესამეში – თექვსმეტი გლეხებზე დაკისრებული გადასახადი და ფეოდალური ვალდებულება, რომელიც ადრე სულთნის სასარგებლოდ იკრიფებოდა და სრულდებოდა, ახლა კი მისთვის მიცემული იმუნიტეტის საფუძველზე – ფეოდალის სასარგებლოდ. წყაროები აღნიშნავენ გლეხთა მძიმე მდგომარეობას XV ს-ის ბოლოს, მაგრამ არ გვაწვდიან ისეთ დეტალებს, როგორიც ჩვენთვის ცნობილია XIV ს-ის ისტორიკოსთა მონათხრობიდან.

§34. ირანის კულტურა XIII-XIV სს-ში

მონღოლთა დაპყრობებმა ირანის კულტურულ ცხოვრებაზე უარყოფითი გავლენა იქონია, მაგრამ მისი სრული მოსპობა ვერ მეძლო.

მონღოლი ილსანები, ჰულაგუ-ხანიდან მოყოლებული, არ იცნობდნენ და არ აფასებდნენ სპარსულ პოეზიას, მაგრამ სამსახურში სიხარულით იღებდნენ სპარსელ სწავლულებს: მათემატიკოსებს ისინი იყენებდნენ საფინანსო უწყებაში და სააღმშენებლო საქმეებთან დაკავშირებით, მედიკოსებს — ექიმებად, ასტრონომებს — როგორც კარის ასტროლოგებს (ვარსკვლავთმრიცხველებს), ისტორიკოსებს შეკვეთით აწერინებდნენ ჩინგიზ-ხანისა და მისი მემკვიდრეების ცხოვრებისა და დაპყრობების ისტორიას. უდიდესმა მათემატიკოსმა და ასტრონომმა ნასირ-ადინ ტუსიმ (გარდ. 1277 წ.) მარაღაში ააშენა ობსერვატორია მდიდარი ბიბლიოთეკით. აქ მუშაობდნენ როგორც ადგილობრივი, ასევე ინდოელი და ჩინელი ასტრონომები. 1260 წ. ასლო ხანებში ათამალექ ჯუვეინიმ სპარსულ ენაზე შეადგინა დიდი საისტორიო ნაწარმოები „თარის-ეჯ-ეჰან გოშა“ („ქვეყნის დამპყრობის ისტორია“ — ჩინგიზ-ხანის ისტორია).

XIII-XIV სს მიჯნაზე ყაზან-ყაენის ვეზირმა რაშიდ ად-დინ ფაზულლაჰ ჰამადანიმ (1247-1318 წწ) არაბულ ენაზე შეადგინა ჩვენამდე არმოღწეული საბუნებისმეტყველო მეცნიერების ენციკლოპედია, სოლო შემდეგ სპარსულად დიდი საისტორიო ნაშრომი „ჯამი ათ-თავარიხ“ („მატიანეთა კრებული“) — უმნიშვნელოვანესი წყარო მონღოლთა პერიოდის ირანისა და საქართველოს ისტორიისათვის.

შირაზში დაიბადა, ახალგაზრდობისა და მოხუცებულობის წლები გაატარა გენიალურმა სპარსელმა პოეტმა, ლექსის დახვეწილმა ოსტატმა მუსლიჰ ად-დინგ სა'ადიმ (1184-1291 წწ); იგი აეტორია მსოფლიოში განთქმული დიდაქტიკური მოთხრობების კრებულის „ბუსთანის“ („ხილის ბაღი“) და „გოლესთანის“ („ვარდნარი“), ეგრეთვე ლირიკული ლექსების ოთხი კრებულის, ჰულაგუ-ხანის მიერ ბაღდადის აღებაზე დაწერილი ელეგიის და სხვ. მან თავის ნაწარმოებებში ასახა ფეოდალური საზოგადოების და მონღოლთა ბატონობის ჩრდილოვანი მხარეები.

XIII ს-ში ცხოვრობდა ნიზარი ქუჰისტანელი — პოეტი, რომელიც უმღერდა ღვინოს, სიყვარულს და ცხოვრების სიხარულს.

XIV ს-ში ცხოვრობდნენ და შემოქმედებით მუშაობას ეწეოდნენ პოეტი-პასეგირიკოსი, ლირიკოსი სალმან საევჯი და ლირიკოსი პაჯუ ქერმანი, რომელიც ნიზამის ტრადიციებს აგრძელებდა.

ერთ-ერთი უდიდესი სპარსელ პოეტთაგანი იყო ჰაფეზი (1300 წ. ახლოს — 1389 წ), რომელიც შირაზში ცხოვრობდა, იქვე გარდაიცვალა სიღარიბეში. ჰაფეზის ლექსები გამოირჩევა ფორმის შეუდარებელი ოსტატობით და დახვეწილი ლირიკული გრძნობებით. მისი ლექსების თემატიკაა სილამაზე და სიყვარული, მისწრაფების თავისუფლება, ყვავილები, ღვინო, სიცოცხლის სიხარული, ადამიანის ღმდაბლების გამო სევდა, უიმედო სიყვარულის გამო ტანჯვა, განშორების გამო წუხილი, პირფერობის ოფიციალური მორალის გაკიცხვა. ჰაფეზის სასიყვარულო ღაზელებს მუსლიმობის დამცველნი განიხილავდნენ როგორ ალეგორიებს „ღმერთისადმი მისტიკური სიყვარულის შესახებ", მაგრამ ეს ასე არ იყო.

ხალხური, ანტიფეოდალური ტენდენცია სპარსულ პოეზიაში წარმოდგენილია ცნობილი პოეტებით, სარბედართა მოძრაობის მონაწილე იბნ იამინით (გარდ. 1368 წ) და უბეიდ ზაქანით (გარდ. 1370 წ.), რომელთა საგირაში სასტიკადაა გაკიცხული ფეოდალური არისტოკრატიის გახრწნილება და პარაზიტობა, სამღვდელოების თვალთმაქცობა და სხვ. ზაქანის ლექსებში აშკარაა ათეისტური ტენდენცია. ზაქანიმ პოემა „თაგვებისა და კატების ომში" ალეგორიულად აგვისახა ფეოდალთა წინააღმდეგ სახალხო მოძრაობა: თაგვები აჯანყდნენ მათი მჩაგვრელი და მჭამელი გრძელბეწვიანი კატების წინააღმდეგ.

პურუფიტების თანასწორობის იდეები აისახა XV ს-ის გამოჩენილი პოეტის ყასემ-ი ანვარის შემოქმედებაში. XV ს-ში ცხოვრობდა გლეხი პოეტი იბნ ჰუსამ ქუჰისტანელი, ის მინდორში მუშაობის დროს ნიჩაბზე წერდა ლექსებს.

მონღოლთა და თემურ-ლენგის შემოსევებმა, მონღოლური და თურქულ-თურქმანული მომთაბარული არისტოკრატიის მხრიდან ჩაგვრამ ხელი შეუწყო სუფიზმის (მისტიციზმის) გაელენის ზრდას. სუფიზმი ქადაგებდა „ცხოვრებისაგან განდგომას", საბოგადოებრივ საქმიანობაზე ხელის აღებას, ასკეტიზმს და კარჩაკეტილ ცხოვრებას. მისტიკოსი პოეტებიდან ყველაზე დიდი იყო მცირე აზიაში

მცხოერები, მაგრამ სპარსულენოვანი დერეიში შეიხი ჯელალ ად-დინ რუმი (1207-1273 წწ) — დახვეწილი ლირიკოსი და სტილის ოსტატი. რუმის ლექსებში მისტიციზმი და პანთეიზმი გადაჯაჭვულია თავისუფალი აზროვნების, რჯულთშემწყნარებლობის ჰუმანისტურ ქადაგებასთან, ადამიანის მიერ ადამიანის ჩაგვრის წინააღმდეგ პროტესტთან. სუფიური თეორიები ლექსად გამოხატეს ცნობილმა პოეტებმა შაბისტარიმ (XIV ს.), აუპადიმ (XIV ს.), მალრიბიმ (გარდ. 1406 წ.), სეი'იდ ნიმეთულლაპ ქერმანიმ, რომელმაც შემდეგ ირანში დაარსა ძალზე გაავლენიანი დერეიშული ორდენი ნი'მეთულლაჰიე. ეს თეორიები აისახა აგრეთვე ტაჯიკებისა და სპარსელების დიდი პოეტის ჯამის შემოქმედებაში (1414-1492 წწ).

ამ პერიოდის ირანის არქიტექტურა გამოირჩევა მთელი რიგი მაღალი ხელოვნების ნიმუშებით. საფიქრებელია, XIII საუკუნისაა ალიდების მავზოლეუმი — გუმბადი ალავიიან ჰამადანში. ეს ნაგებობა გარედან კვადრატულია, შიგნით რვაკუთხიანი; მისი შეისრული პორტალი და შიდა კედლები მდიდრულადაა დეკორირებული დახვეწილი ვარსკვლავიანი და მცენარეული ორნამენტით, ფაიანსის ფილების გარეშე. XIII-XIV სს-ში აშენდა კოშკისებური, მრავალწახნაგოვანი მავზოლეუმი პირამიდისებური გადახურვით მარაღაში, სალამასში, რედგანში, ისპაანში (იმამზადე ჯავარის მავზოლეუმი) და სხვ ქალაქებში.

XIII-XIV საუკუნეთა მიჯნაზე მიმდინარეობდა ინტენსიური მშენებლობა თავრიზში: რაშიდ ად-დინის მიერ აგებული შენობები მის კუთვნილ კვარტალ „რუბ'ი რაშიდიში"; ყაზან-ყაენის მიერ აგებული შენობები თავრიზის გარეუბან შამბ-ი ღაზანიში (მათ შორის ყაზანის მავზოლეუმი ირანში უმაღლესი გუმბათით), ობსერვატორია, ჰოსპიტალი და სხვ., მარმარილოთი მოპირკეთებული ეზირ თაჯ ად-დინ გილანის მეჩეთი; ყველა ეს ნაგებობა დაინგრა ირან-ოსმალეთის ომების დროს XVI-XVII სს-ში.

XIV ს-ის დასაწყისს მიეკუთვნება ჩვენამდე მოღწეული ნაგებობები: ულუჯაითუ-ხანის რვაკუთხიანი გუმბათიანი მეჩეთი-მავზოლეუმი სულთანიეში; შეისრული პორტალით, ფერადი მოჭიქული, ჯვრისებური და ეარსკვლავისებური ფორმის შორენკეცით დეკორირებული საკრებულო მეჩეთი ვერამინში- — თეირანის ახლოს; ფირ ბექრანის მავზოლეუმი ისპაანის ახლოს, გრანდიოზული პორტალით და ძალზე ნატიფი ჩუქურთმიანი მიპრაბით;

ულუჯაითუ-სანის შესანიშნავი მიჰრაბი ისპაანიის ძველ საკრებულო მეჩეთში (1310 წ). XIV ს-შია აშენებული აგრეთვე ბაბა კასიმის მავზოლეუმი ისპაანში, რომელსაც შიგნით ლამაზი ფაიანსის მიჰრაბი აქვს. საკრებულო მეჩეთთან არის მედრესე. ამ დროსვეა აშენებული რეაწახნაგოვანი, მრავალწახნაგიანი პრიზმის ფორმის გუმბათიანი ალიდ ალი იბნ ჯაფარის მავზოლეუმი ყუმში.

XV ს-შია აშენებული დეკორირებული, მოჭიქული შორენკეცის მოზაიკით სულთან შაჰრუხის მეუღლის გაუჰარ შადის საკრებულო მეჩეთი მეშჰედში. ესაა სპარსული არქიტექტურის ერთ-ერთი საუკეთესო ძეგლთაგანი. იგი აშენებულია დიდი სპარსელი არქიტექტორის კაევამ ად-დინ შირაზის მიერ. იმავე დედოფალ გაუჰარ-შადის შეკვეთით აშენდა კიდევ უფრო ლამაზი მუსალლა (საღღესასწაულო მეჩეთი) ჰერათში (ამჟამად მისი ნანგრევებია შემორჩენილი). მისგან შემორჩა ლილისფერი და ცისფერი მოჭიქული შორენკეცებით მოპირკეთებული მინარეთები. სულთანმა შაჰრუსმა ჰერათში ააშენა დიდებული მეჩეთი-მავზოლეუმი, რომელიც შიგნით მოპირკეთებულია ფაიანსის ფილებით. შესამჩნევია ჩინური გავლენა. სულთანმა ჰუსეინ ბაიქარამ ჰერათში ააშენა მედრესე, რომლისგანაც მხოლოდ ოთხი მინარეთია შემორჩენილი; მისმა ვეზირმა ალიშერ ნავოიმ რესტავრაცია გაუკეთა 1200 წლის ასლო ხანებში ჰერათში აშენებულ საკრებულო მეჩეთს.

XV ს-ის პირველ ნახევრში ჯეჰანშაჰ ყარა-ყოიუნლუმ თავრიზში ააშენა შესანიშანები „ლურჯი მეჩეთი", რომელიც ცისფერი და ლურჯი ფაიანსით იყო მოპირკეთებული (ამჟამად დანგრეულია); მანვე ისპაანში ააშენა მავზოლეუმი „დარბ-ი იმამი". XV ს-ის ბოლოსაა აშენებული ლამაზი პორტალი ისპაანში „დარბი ყოშკი", რომელიც სტალაქტიტებითა და სხვადასხვაფერი მოზაიკით იყო შემკული.

აღწერილ პერიოდში, შენობის დეკორირების დროს, ალებასტრზე დეკორირების ძველ ხერხთან ერთად, შენობის (სასულიერო, საერო) მოსაპირკეთებლად სულ უფრო და უფრო ხშირად იყენებდნენ სხვადასხვა ფერის მოჭიქულ შორენკეცს და ფაიანსის ფილებს. ეს არქიტექტურული კერამიკა სამი სახისა იყო: შორენკეცი, რელიეფური შორენკეცი, მოზაიკა შორენკეცისაგან. „ლურჯი მეჩეთის" შორენკეცით მოპირკეთება (თავრიზი) ერთ-ერთი საუკეთესო მაგალითია სპარსული არქიტექტურული კერა-

მიკის. შესანიშნავია ალიდ ალი იბნ ჯაფარის მაგზოლეუმის დიდი მიკრაბი ყუმში: იგი სამსართულიანი ნიმის ფორმისაა, მოპირკეთებულია ქაშანური ფაინსის რელიეფური შორენკეცით, შემკულია ყურანიდან ამოღებული წარწერებთი (XIV ს.). ილუსტრირებული ფაიანსის მაღალსატვრული სპარსული სინები და ლარნაკები (XIII ს) ინახება ერმიტაჟში (პეტერბურგში).

ირანში იმ პერიოდში ფაიანსის წარმოების მთავარი ცენტრები იყო ქაშანი, ეერამინი და სულთანაბადი. გამოყენებითი ხელოვნების სხვა ნიმუშები: მინისა და მთის ბროლის ნაკეთობანი, მინანქარი, ოქროთი და ვერცხლით მოკაზმული იარაღი, ოქროთი და ვერცხლით ინკრუსტირებული ბრინჯაოს ნაკეთობანი, ეერცხლისა და ოქროს ძაფით ნაქსოვი მოხატული ქსოვილები, ფარჩა, აბრეშუმისა და შალის ხალიჩები აგრეთვე გამოირჩეოდნენ თავისი მაღალსარისხოვნებით.

დიდი ხნის განმავლობაში მკვლევართა შორის გაბატონებული იყო მოსაზრება, რომ XIII ს-დე მინიატურის ხელოვნება არ არსებობდა. დღეს-დღეობით ეს მოსაზრება უარყოფილია: აღმოჩენილია მინიატურებით ილუსტრირებული XII ს-ის სპარსული ხელნაწერები. XIII-XIV სს სპარსული მინიატურა ამეღავნებს ჩინურის გავლენის ნიშნებს. მონღოლმა ილხანებმა ირანში თან მოიყვანეს ჩინელი ასტრონომები, მათემატიკოსები, ექიმები, მხატვრები და მხატვრული ხელოსნობის ოსტატები. ჩვენამდე მოაღწიეს XIV ს-ის ხელნაწერებმა, რომლებიც შესანიშნავი მინიატურებით არის დასურათებული: მაგ., რაშიდ ად-დინის „ჯამი ათ-თავარიხის“ III მინატურა (დაცულია პარიზის ნაციონალური ბიბლიოთეკის საცავში). იგივე თხზულების 1314 წ. ხელნაწერი (დაცულია სამეფო საბჭოს საგოგადოების მუზეუმში, ლონდონში), მუჰამედ იბნ მაჰმუდ ბაღდადის ნამუშევრები, „მაჰ-ნამეს“ ხელნაწერის მინიატურები. 1332 წ. (დაცულია პეტერბურგის საჯარო ბიბლიოთეკაში). XIII-XIV სს-ის მინიატურებს, გარდა მხატვრული ღირსებისა, დიდი მნიშვნელობა აქვს სპარსელებისა და მონღოლების კოსტიუმების ისტორიის შესასწავლად. ამ მინიატურებზე გამოსახული მონღოლი ხანების, მათი ცოლების, უფლისწულების და სხვა მონღოლთა კოსტიუმები ეთნოგრაფიული თვალსაზრისით რეალურია და სავსებით იდენტურია XIII ს-ის ჩინელი ავტორი მენ-ხუნის აღწერილობისა მის „მონღოლ-თათართა შესახებ ჩანაწერებში“.

XIV ს-ის ბოლოსაა გადაწერილი ცნობილი კალიგრაფის მირ ალი თებრიზის მიერ პაჯუ ქირმანის პოემა, რომელიც ილუსტრირებულია მინიატურისტ ჯუნეიდ სულთანის მიერ. მის მინიატიურებში სპარსული ლანდშაფტი საოცარ შთაბეჭდილებას ასდენს.

XIV-XV სს მიჯნაზე ჩამოყალიბდა ახალი ე.წ. თემურიანთა, ანუ პერათის მსატვარ-მინიატურისტების ახალი სკოლა, რომლის უუძემლებლადაც აღმოსავლელი აკტორები ასახელებენ ოსტატ (უსტად) გუნგას. ეს სახელი, როგორც ჩანს, ჩინური წარმოშობისაა. მისი და მისი უახლოესი მოწაფეების ნამუშევრები ჩვენამდე არ მოსულა. ამ ფერწერის დამახასიათებელი ნიშნებია ჩინეთის ხელოვნებისათვის დამახასიათებელი კომპოზიციის ახალი ხერხების შემოტანა. მინიატურის თემურიანთა სკოლის გავლენა გავრცელდა ხორასანში და შუა აზიაში, რომლებიც თემურიანთა დროს პოლიტიკურად გაერთიანებული იყვნენ. ამ სკოლის მოღვაწეობის მთავარი ცენტრი იყო პერათი. სულთან შაჰრუხის დროს, მისი შვილის – უულიზწულ ბაისუნღურის ინიციატივით აქ შეიქმნა წიგნის ხელოვნების აკადემია, რომელმაც მნიშვნელოვანი როლი შეასრულა მინიატურისა და კალიგრაფიის, აგრეთვე ირანში წიგნის გადაწერის საქმის ტექნიკის განვითარებაში (აკადემია 1507 წლამდე არსებობდა). ამ აკადემიიდან გამოდიოდა მდიდრულად გაფორმებული და ილუსტრირებული ხელნაწერი წიგნები: მაგ., „მირჯ-ნამე: (წიგნი მუჰამედის „ამაღლების" შესახებ), რომელშიც წითელი, ცისფერი და ოქროსფერი ფერების შეხამება ძლიერ ეფექტს ქმნის. XV ს-ის დასაწყისიდან დიდი პროგრესი იქნა მიღწეული ნახატის განვითარებაში. ბუნების გაცოცხლება, კომპოზიციის სილამაზე, ფიგურების გაცოცხლება და გრაცია, ნახატის მკვეთრი გამოსახულება – ესაა პერათის სკოლის ხელოვნების დამახასიათებელი ნიშნები.

სპარსული მინიატურის უდიდესი ოსტატი იყო ბეჰზადი (დაიბადა 1455 წ. – გარდაიცვალა 1535 ან 1536 წწ). ბეჰზადიმ თემურიანთა სკოლის ხატვის სტილი სრულყო და სპარსულ ფერწერას შემდგომი განვითარების მიმართულება მისცა. ირანში ბეჰზადი იყო პეიზაჟის პირველი ოსტატი. აყვავებული ატმის ხეები, ამოლტილი კეიპაროსის რიგები, ბაღები აუზებით ლურჯი ცის ან მთვარიანი ღამის ფონზე – ყველაფერი ეს ბეჰზადისთან მომხიბვლელადაა ასახული. მისი შემოქმედება გამოირჩეოდა სუ-

რათის და ხაზების ოსტატობით, აგრეთვე ფიგურებისა და სახეების ინდივიდუალური გამოსახვით. მისი ნაშრომები ჰქმნიან ჰარმონიის, სიშვიდისა და სირბილის განწყობილებას. მას არ უყვარდა ბატალური სცენების გამოსახვა, ის იყო მშვიდობიანი ცხოვრების, გაბაფსულისა და რბილი ლანდშაფტების მხატვარი.

ბეჰზადის ნაშრომებს შორის აღსანიშნავია „ბაფარ-ნამეს" ხელნაწერის მინიატურები (1467 წ. დაცულია ნატიფი ხელოვნების მუზეუმში, ბოსტონში, აშშ), ნიზამის „ხამსეს" ორი ხელნაწერი (ერთი მათგანი, 1494 წ-სა, ინახება ბრიტანეთის მუზეუმში, ლონდონში), ხოსროუ დეჰლევის „ხამსეს" ხელნაწერები, კერძოდ ხოსროუ დეჰლევის „ლეილა და მეჯნუნის" ხელნაწერი (1495 წ) ინახება პეტერბურგის საჯარო ბიბლიოთეკაში. იმ პორტრეტებს შორის, რომლებიც ბეჰზადის კალამს მიეწერება, არის თემურიანი სულთნის ჰუსეინ ბაიქარას, ტყვე თურქი მთავრის, ჩაფიქრებული დერეიშის, ოსმალო უფლისწულის (ასლი კონსტანტინოპოლში, ოსმალეთის სულთნის მეჰმედ II-ის კარზე მცხოვრები იტალიელი მხატვრის ჯენტილე ბელლინის ნახატიდან) პორტრეტები; ბელლინის სურათიდან ასლად ითვლება აგრეთვე მწერალი ახალგაზრდის პორტრეტი. ბეჰზადიმ თავისი ცხოვრების უკანასკნელი ათი წელი გაატარა თავრიზში შაჰ ისმაილ I სეფიანის კარზე.

მთელ რიგი ქალაქებში, კერძოდ ჰერათში, აყვაყდა ირანში დიდად დაფასებული კალიგრაფიის ხელოვნება, კალიგრაფიის ოსტატებიდან განსაკუთრებით ცნობილი არიან ხოჯა მირ თებრიზი (ცხოვრობდა XIV-XV სს მიჯნაზე), რომელმაც შექმნა შემდეგში ირანში ყველაზე უფრო ფართოდ გავრცელებული ნას'თალექი. სულთან ალი მეშჰედი (გარდ. 1520 წ). — სულთან ჰუსეინ ბაიქარას კარის კალიგრაფი, „კალიგრაფების ყიბლა", ავტორი ტრაქტატისა ლექსად სტილის, კალიგრაფიის შესახებ. XIII-XIV სს-ში ირანის კულტურული ცხოვრების მთავარი ცენტრები იყო თავრიზი, ისპაანი და შირაზი, ხოლო XV ს-ში — ჰერათი და თავრიზი.

თავი VII

ირანი XVI–XVIII საუკუნეებში

§1. ირანი 1500 წლის ახლო ხანებში

XVI ს-ის დასაწყისისათვის ირანი არ იყო ერთიანი პოლიტიკური ერთეული. 1500 წლისათვის „აყ-ყოიუნლუს" („თეთრბატკნიას" თურქმენთა) სახელმწიფო გაყოფილი იყო ალვენდსა და სულთან მურადს შორის. პირველი მბრძანებლობდა არმენიასა და აზერბაიჯანში, მეორე კი — სპარსეთის ერაყში. ფარსში, იეზდიში, ქერმანსა, არაბეთის ერაყსა და დიარბექირში, ფაქტობრივად, სულთან მურადისაგან დამოუკიდებლად, მმართველობდნენ „აყ-ყოიუნლუს" დინასტიის სხვა უფლისწულები. ხუზისტანში ფესმოკიდებული იყო არაბული წარმოშობის „მუშაშას" დინასტია. აბერქუპში, ქაშანში, სემნანსა და სისტანში დამოუკიდებელი მბრძანებლები ისხდნენ. მაზანდარანი დაახლოებით ათ ადგილობრივ დინასტიას შორის იყო დაყოფილი. გილიანში იყო ორი საამირო (სახანო) — ლაჰიჯანის (ბიიე ფიშ) და რეშთის (ბიიე ფას). თალიში განსაკუთრებული სახანო იყო. აღმოსავლეთით-ხორასანი (ახლანდელი ავღანისტანი და თურქმენეთი) თემურიანი სულთნის ჰუსეინ ბაიქარას (1469-1506 წწ.) ხელში იყო (დღდაქალაქი — ჰერათი). ბალხში და ყანდაჰარში სულთან ჰუსეინ ბაიქარაზე ნომინალურად დამოკიდებული განსაკუთრებული მმართველები ისხდნენ. თითქმის ყველა ზემოხსენებულ დამოუკიდებელ ხელმწიფეს ჰყავდა თაეისი ვასალები, რომლებიც ცალკეულ ოლქებს მემკვიდრეობით განაგებდნენ. ამ პერიოდის ყველა მსხვილი და წვრილი დინასტია შეიძლება სამ კატეგორიად დაიყოს: 1. ადგილობრივი, ირანელი ფეოდალური დიდებულებისგან წარმოშობილი დინასტიები; 2. მომთაბარე ტომების ბელადებისაგან წარმოშობილი დინასტიები (უპირატესად თურქული; დასავლეთით, განაპირა რეგიონებში — ქურთული); შიიტური, სეი'იღების დინასტიები, რომლებიც XIV-XV სს-ში სახალხო მოძრაობების შედეგად სწრაფად დაწინაურდნენ და მალე გადაიქცნენ ჩვეულებრივ ფეოდალურ მბრძანებლებად (ხუზისტანსა და კასპიისპირეთის ოლქებში). ზემოხსენებული სახელმწიფო-

ბიდან განსაკუთრებით გამოირჩეოდნენ „აყ-ყოიუნლუს“ სახელმწიფოები და თემურიანთა სორასნის სასულთნო, მაგრამ ორივე ეს სახელმწიფო XV ს-ის ბოლოსათვის შინაური ბრძოლებით დასუსტებული იყო. ამასთანავე, ორივეს ძლიერი მტერი ემუქრებოდა: „აყ-ყოიუნლუს“ სახელმწიფოს – ოსმალეთი, ხოლო სორასნელ თემურიანებს – მოსთაბარე ოზბეგები შეიბან-ხანით სათავეში, რომელთაც უკვე დაიკავეს შუა აზიელი თემურიანების სამფლობელოები (1499-1500 წწ).

§2. სეფიანები და ყიზილბაშები XVI ს-ის დასაწყისამდე

სეფიანთა სახელმწიფოს წარმოშობა დაკავშირებულია ე.წ. „ყიზილბაშთა“ მოძრაობასთან, რომლის სათავეშიც სეფიანთა ფეოდალური გვარი იდგა. ამ გვარის აღზევება დაკავშირებულია XIII-XIV სს-ის ირანში სუფიზმის და დერვიშული ორდენების გავლენის მნიშვნელოვნად გაფართოებასთან. სუფიურ-დერვიშული ორდენი სეფეეიე, რომლის სათავეშიც იდგნენ მემკვიდრეობითი „უხუცესები“ (არაბ. შეიხი, სპარს. ფირ), ანუ „მურშიდები“ (არაბ. „მეგზურები“) სეფიანთა საგვარეულოდან, ჩამოყალიბდა ჯერ კიდევ მონღოლთა ბატონობის დროს. ორდენის და შეიხთა საგვარეულოს სახელწოდება დაკავშირებულია წმინდანად შერაცხული შეიხ სეფი ად-დინ ისპაყის (1252-1334 წწ) სახელთან. იგი იყო მოწაფე და სიძე დერვიშული ორდენის ცნობილი შეიხის ზაპედისა (გარდ. 1300 წ. ახლო ხანებში). შეიხი სეფი ად-დინი და მისი მემკვიდრეები – სეფიანები ცხოვრობდნენ სამხრეთ აზერბაიჯანის ქალაქ არდებილში. სეფევიეს ორდენის ადრეული ისტორიის წყაროებად მიჩნეულია შეიხ სეფი ად-დინის ორი ბიოგრაფია, რომლებიც დაწერილია XIV ს-ის მეორე ნახევარში აფლაკისა და დერვიშ იბნ ბაზაზის მიერ. მათში „წმინდა შეიხის სასწაულების“ ლეგენდარულ თხრობასთან ერთად არის სოციალურ-ყოფითი ხასიათის ბევრი ძვირფასი ცნობა, რომელთა მსგავსსაც ვერ ვხდებით ნარატულ წყაროებში.

დერვიშული წრე, რომელშიც XIII-XIV სს მიჯნაზე აღმოცენდა სეფევიეს ორდენი, თავდაპირველად, ისევე, როგორც იმავე პერი-

ოღის მოგიერთი სხვა ორდენი, დაკავშირებული იყო სახალხო მოძრაობებთან. იბნ-ბაბაში მოგვითხრობს, რომ შირვანშაპი შეიხ ზაპედის ბრალს სდებდა გლეხების აბუნტებაში და სამიწათმოქმედო სამუშაოებიდან მოცდენაში. დერვიშის მიმდევრებს შორის (არაბ. მურიდ, თურქ. მიურიდ) საკმაო რაოდენობით იყვნენ სელოსნურ კორპორაციებთან დაკავშირებული „აპიები“ („ძმები“), მაგრამ უკვე 2-3 ათეული წლის შემდეგ ორდენში უპირატესობა მოიპოვეს ფეოდალურ არისტოკრატიასთან დაკავშირებულმა ელემენტებმა. ორდენის მიურიდებს შორის გამოჩნდნენ ფეოდალური ზედაფენის წარმომადგენლები: მაგ., ცნობილი ისტორიკოსი რაშიდ ად-დინი, მისი შვილი ვეზირი ღიას ად-დინ მუჰამედ რაშიდი და თვით ილხანი აბუ-სა'იდი. შეიხი სეფი ად-დინი, რომელიც თავდაპირველად ფლობდა მიწის მხოლოდ ერთ პატარა ნაკვეთს („ჯუუთ-ე გაე“ — 6-7 ჰექტარს), სიცოცხლის ბოლო ხანებში იქცა საკმაოდ მსხვილ მიწისმფლობლად, რომელსაც ორ ათეულ სოფელზე მეტი ეკუთვნოდა.

უასლესი გამოკვლევების მიხედვით, შეიხი სეფი ად-დინი სუნიტი იყო. იგი არ მიიჩნევდა თავს მეოთხე ხალიფა ალის შთამომავლად (შეგახსენებთ, რომ ხალიფა ალი-მუჰამედის სიძე და ბიძაშვილი — გარდ. 661 წ., შიიტების რწმენით პირველი იმამია). როგორც ჩანს, ხალხთა მასებზე გავლენის შენარჩუნების მიზნით, შეიხ სეფი ად-დინის შვილმა და მისმა მემკვიდრემ შეიხმა საღრ ად-დინმა, არჩია ზომიერ შიიტებთან — „იმამიტებთან“ („თორმეტი შიიტური იმამის თაყვანისმცემლებთან“) დაახლოება: XIV-XV სს-ში შიიტობა გავრცელებული იყო გლეხებსა და ქალაქის ღარიბებს შორის. როგორც ჩანს, მაშინვე ჩამოყალიბდა ლეგენდა შეიხ სეფი ად-დინის წარმოშობის შესახებ მეშვიდე შიიტური იმამის მუსა კაზიმისაგან (გარდ. 799 წ) ოცდამეერთე მუხლად. მუსა კაზიმი იყო ალისა და ფატიმას შთამომავალი, მეხუთე თაობა. ეს ლეგენდა შემდეგში სეფიანებს გამოადგათ თავიანთი პოლიტიკური პრეტენზიების დასასაბუთებლად.

პირველი სეფიანი შეიხები არდებილში ცხოვრობდნენ. მათი მშობლიური ენა თურქულ-აზერბაიჯანული იყო. მათ დიდი გავლენა ჰქონდათ, ჰყავდათ მიურიდები არამარტო აზერბაიჯანში, არამედ დასავლეთ ირანშიც (ისპაანში, შირაზში და ა.შ.), განსაკუთრებით კი რუმში (მცირე აზიაში). სეფი ად-დინის შესამე შთამო-

მავალი შეიხი იბრაჰიმ შეიხშაჰი (1427-1447 წწ) უკვე არდებილის და მისი ოლქის ფეოდალური მბრძანებელი იყო. „საქმე ისაა, რომ ვლეხთა მდგომარეობის მკვეთრი გაუარესება XV ს-ის უკანასკნელ მეოთხედში ხელსაყრელ ნიადაგს უქმნიდა ყიზილბაშური მოძრაობის გავრცელებას, არდებილის შეიხები საზოგადოების დაბალი ფენების მისწრაფებებს მარჯვედ უხამებდნენ სოციალურ ღემაგოგიას. ამით აისსნება, რომ ყიზილბაშურ მოძრაობაში მომთაბარეებს გარდა ვხედავთ, გლეხებს, ეაჭრებს, ხელოსნებს. ამის მიუხედავად, დაუშვებელია ყიზილბაშთა მოძრაობის სახალხო მოძრაობასთან გაიგივება. და ეს იმიტომ, რომ ყიზილბაშთა ზედა ფენისათვის უცხო და მიუღებელი იყო ამ მოძრაობის სოციალური მოტივები. თვითონ არდებილის შეიხები მხოლოდ იმ სოციალური ძალების გამოყენებას ლამობდნენ, რომელთა ბრძოლა ფაქტიურად თეთრბატკნიან თურქმანთა დინასტიის და სახელმწიფოს წინააღმდეგ წარმოებდა“ (ვ. გაბაშვილი).

XV ს-ის სეფიანთა მთავარი დასაყრდენი მომთაბარე ტომები გახდნენ, რომელთა დიდი ნაწილი აზერბაიჯანსა და ირანში მცხოვრებ ადგილებიდან მოვიდა ოსმალო სულთნებთან კონფლიქტის გამო. თავდაპირველად ასეთი ტომი შვიდი იყო: შამლუ, რუმლუ, უსტაჯლუ, თექელუ, ავშარი, ყაჯარი, ზულკადარი. ამათგან მხოლოდ შამლუსა და რუმლუს ტომები ემორჩილებოდნენ სეფიანებს მთელი შემადგენლობით. ამ ტომებმა მოგვიანებით, შეიხ ჰაიდარის დროს (1460-1488) მიიღეს „ყიზილბაშების“ სახელწოდება („ყიზილბაში“ თურქულ-აზერბაიჯანულად ნიშნავს „წითელთავიანს“) მომთაბარეები 12 შიიტი იმამის საპატივცემოდ ატარებდნენ 12 წითელი გრაგნილისაგან შედგენილ ჩალმას. ყილიბბაშები წეერს იპარსავდნენ, გრძელ ულვაშებს უშვებდნენ, იტოვებდნენ მხოლოდ ქოჩორს. ისინი გამოირჩეობნენ მეომრული შიიტური ფანატიზმით. ყიზილბაშური ტომები თავიანთი მომთაბარე ფეოდალებით (ამირებით) პოლიტიკურად და სულიერად სეფიანებზე იყვნენ დამოკიდებულნი. ყიზილბაშები სეფიან შეიხს აღიარებდნენ თავიანთ სულიერ მეთაურად, ხოლო საკუთარ თავს უწოდებდნენ მის „მიურიდებს“, „დერვიშებს“, „სუფიებს“; ამავე დროს იყვნენ მისი ვასალები და შეადგენდნენ მის ფეოდალურ ლაშქარს; ამიტომაც, სეფევიეს ორდენი მშვიდობიანი დერვიშული ძმობიდან, როგორიც ის იყო XIV ს-ში, გადაიქცა თავისებურ სასულიერო-

რაინდულ ორდენად. „სარწმუნეობისათვის ომის“ საბაბით სეფიანი შეიხები — ყიზილბაშური ტომობრივი ლაშქრის სათავეში მდგომნი, XV ს-ის მეორე მესამედიდან ყოველწლიურად სისტემატურად თავს ესხმოდნენ არამუსლიმურ ქვეყნებს, დაღესტანსა და ჩერქეზთა ქვეყანას (XV ს-ში დაღესტნის დიდ ნაწილს, ჩერქეზებს ჯერ კიდევ არ პქონდათ ისლამი მიღებული: ისინი ნაწილობრივ ქრისტიანები იყვნენ, ნაწილობრივ კი — კერპთაყვანისმცემელები, ანიმისტები), საქართველოს, ტრაპიზონის სამეფოს. რელიგიურ საბურველში გასვეული ეს ექსპედიციები სხვა არაფერი იყო, თუ არა ყაჩაღური თავდასხმები, რომლებსაც მომთაბარეთათვის მოპქონდათ მღიდარი ნადავლი, განსაკუთრებით ცხენები, ჯოგი და ორიენ სქესის ტყვეები. ტყვეებს მონებად აქცევდნენ და მათ ნაწილს ვენეციელი ელჩის კატერინო ზენოს ცნობით, ყიდღნენ არდებილის მონათა ბაზარზე. სეფიანი შეიხები ჯუნეიდი და პაიდარი ყიზილბაშებზე დაყრდნობით ფართო დაპყრობებისაკენ მიისწრაფოდნენ და ამ მიზნის მისაღწევად შიიტობაში ხედავდნენ იდეოლოგიური იარაღს.

საქართველოზე, დაღესტანსა და ჩერქეზეთზე ხშირი თავდასხმების დროს ყიზილბაშებს შირვანშაპის სამფლობელოებზე უხდებოდათ გავლა. საქართველოს მოკავშირე სუნიტი შირვანშაპები, არცთუ უსაფუძვლად, ამ ლაშქრობებს თავიანთი ქვეყნისათვის საშიშად მიიჩნევდნენ და ზოგჯერ მათთვის გზის გადაჭრას ცდილობდნენ, რის შედეგადაც შეიხი ჯუნეიდი (1460 წ.) და შეიხი პაიდარი (1488 წ.) შირვანშაპის ლაშქართან ბრძოლაში დაიღუპნენ. შირვანშაპებს მხარს უჭერდნენ აყ-ყოიუნლუს სულთნები. შეიხ პაიდარის უფროსი ვაჟი შეიხი ალი აყ-ყოიუნლუს ლაშქართან ბრძოლაში დაიღუპა, რომელმაც 1495 წ. ქ. არდებილი დაიკავა. მაგრამ დამარცხებული ყიზილბაშები მალე მომაგრდნენ: მათ ისარგებლეს თავიანთი მტრის — აყ-ყოიუნლუს — ბანაკში მინაური ბრძოლით. შეიხ პაიდარის უმცროსი ვაჟი ჭაბუკი ისმაილი, რომელიც გილიანში იმალებოდა, არდებილში დაბრუნდა და ყიზილბაშებს ჩაუდგა სათავეში (1499 წ.) მან დაამარცხა სეფიანთა მტერი შირვანშაპი ფარუხ-იასარი და ააოხრა შირვანი (1500-1501 წწ), მაგრამ იქ მყარად ფეხის მოკიდება ვერ შეძლო. შემდეგ მან დაამარცხა ალვენდ აყ-ყოიუნლუ, დაიპყრო სამხრეთი აზერბაიჯანი, დაიკავა თავრიზი, აქცია იგი თავის დედაქალაქად და აქ

მიიღო ირანის შაპინ-შაპის ტიტული (1501 წ). 1503 წ. შაპ ისმაილ I (1501-1524 წწ) პამადანის ახლოს სასტიკად დაამარცხა და გააქცია სულთანი მურად აყ-ყოიუნლუ და დაიკავა მთელი სპარსეთის ერაყი. აყ-ყოინლუს სახელმწიფომ შეწყვიტა არსებობა. 1503 წ. ყიზილბაშებმა დაიკავეს აგრეთვე სემნანი და ფარსი დედაქალაქ შირაზითურთ, ხოლო 1504 წ. — იეზდი. 1502-1509 წწ. შორის პერიოდში შაპ ისმაილ I დამორჩილდნენ ხუზისტანის, ქურთისტანის, გილიანის, მაზენდარანის და დასავლეთ ირანის ღანარჩენი ნაწილის დინასტები. ყიზილბაშთა მიერ ირანის დაპყრობა გააღვივა ცალკეულ დინასტებს შორის წინააღმდეგობამ და მტრობამ. მთელი დასავლეთი ირანი ყიზილბაშთა ხელში მოექცა. 1504 წ. ოზბეგთა მიერ შევიწროვებულმა სულთანმა ჰუსეინმა შაპ ისმაილ I მოსალაპარაკებლად ელჩი გამოუგზავნა, მაგრამ რადგან ჰუსეინის მიერ შაპ ისმაილისადმი გამოგზავნილ წერილში სულთნის მორჩილებაზე შაპ ისმაილისადმი არაფერი იყო თქმული, ამ უკანასკნელმა მოლაპარაკებაზე უარი განაცხადა. ამასობაში, სულთან ჰუსეინის სიკვდილის შემდეგ მალევე, მუჰამედ-ხან შეიბანის ჯარებმა ხორასნის დიდი ნაწილი დაიკავეს (1507 წ). ამრიგად ყიზილბაშებს საქმის დაჭერა მოუხდათ აღმოსავლეთით ასალ მტერთან. მუჰამედ-ხან შეიბანიდს განზრახული ჰქონდა მთელი ირანის დაპყრობა. XVI ს-ის სპარსელი ისტორიკოსის სონდემირის ცნობით, შეიბან-ხანმა შაპ ისმაილ I წერილი მისწერა, რომლითაც ირონიულად ამცნო მექაში ჰაჯის თაობაზე თავისი განზრახვის შესახებ (ე.ი. ერაყსა და აზერბაიჯანში ლაშქრობის შესახებ); შაპ ისმალი I-მა საპასუხო წერილით ასევე ირონიული ტონით ამცნო მას თავისი სურვილის შესახებ მეშპედში, მერვე შიიტური იმამის ალ-რეზას საფლავზე ჰაჯის თაობაზე (ე.ი. ხორასანში ლაშქრობაზე). 1510 წ. ყიზილბაშებსა და ოზბეგებს შორის გადამწყვეტი ბრძოლა მოხდა მერვის ახლოს. ოზბეგთა ჯარი დამარცხდა; შეიბან-ხანი გაქცევის მცდელობის დროს მოკლეს. დახოცილი ოზბეგების თავის ქალებიდან ისმაილ I-მა მინარეთები ააშენებინა. ხორასანი მდ. ამუ-დარიამდე (ბალხის ოლქს გარდა) ყიზილბაშებმა დაიკავეს. ამ გამარჯვების მნიშვნელობა ძალიან დიდი იყო: მან ხელი შეუწყო ირანში სეფიანთა ბატონობის განმტკიცებას. ყიზილბაშები ცდილობდნენ შუა აზიის

დაპყრობასაც, მაგრამ ომბეგებმა ისინი ყარშთან ახლოს სასტიკად დაამარცხეს.

ყიზილბაშთა დაპყრობები დასავლეთითაც ვრცელდებოდა. ოსმალეთის სულთანმა ბაიაზეთ II „დერვიშმა“ ისმაილ I-მა ელჩობა გაუგზავნა, წარმატებები მიულოცა, შესთაყაზა კეთილმეზობლობა და მეგობრობა (1504წ), მაგრამ ამან ყიზილბაშთა წინსვლა დასავლეთისაკენ არ შეაჩერა. 1507 წლისათვის ყიზილბაშებმა დაიკავეს არმენია, ქურთისტანი, დიარბექირი. 1508 წ. მათ აიღეს ბაღდადი და დაიკავეს არაბეთის ერაყი. თურქეთის მც. აზიაში ბევრი შიიტი იყო, რომლებიც მზად იყვნენ თურქეთის სულთნის წინააღმდეგ ასაჯანყებლად და ყიზილბაშთა დასახმარებლად. მარინო სანუტოს ცნობით, მცირე აზიის მოსახლეობის 4/5 შიიტი იყო და სეფიანებს თანაუგრძნობდა.

სულთან ბაიაზეთ II-ის მმართველობის ბოლო ხანებში მც. აზიაში იფეთქა მომთაბარეებისა და გლეხების აჯანყებამ შიიტობისა და შაპ ისმაილ I-ის მხარდაჭერის ლოზუნგებით. აჯანყებას სათავეში ჩაუდგა ყიზილბაში თექელუს ტომიდან პასან-ოღლუ, რომელიც თაყის თავს უწოდებდა „შაპ-ყულუს“ („შაპის მონა“). ეს ზედმეტი სახელი სუნიტებმა და ოსმალთა მომხრეებმა გადააკეთეს „შეითან ყულად“ („ეშმაკის მონა“). მცირეაზიელი შიიტების აჯანყება ოსმალეთის იმპერიისათვის ძალზე საშიში აღმოჩნდა. მის ჩასაქრობად საჭირო გახდა დიდი ფეოდალური ლაშქრის შეგროვება. აჯანყებულებთან ბრძოლაში მდ. გოიუქ-ჩაიზე, სივასსა და კეისერს შორის, დაიღუპა თურქეთის დიდი ვეზირი და ზოგიერთი მონაცემის მიხედვით, თვით „შაპ-ყულუც“. მცირეაზიელი შიიტების აჯანყების ჩაქრობის შემდეგ, გადარჩენილი აჯანყებულები ირანში გაიქცნენ. შაპ ისმაილ I-ის მთავრობამ მხარი არ დაუჭირა მცირეაზიელ შიიტებს და არ დაესმარა მათ. ეს იმით უნდა აიხსნას, რომ მცირეაზიელ შიიტებს შორის ბევრი იყო ე.წ. „უკიდურესი“ შიიტი, რომლებიც საყოველთაო თანასწორობის იდეებს ქადაგებდნენ. ისინი შაპ ისმაილ I-ზე ამყარებდნენ დიდ იმედს. მაგრამ ყიზილბაშთა ფეოდალური ზედაფენა და თვით შაპიც ამ მოძრაობის სახალხო ხასიათის გამო შეშინდნენ და არ დაეხმარნენ მას. გარდა ამისა, შაპის მთავრობას არ უნდოდა ოსმალეთთან აშკარა კონფრონტაცია და არ გამოიყენა მისი მძიმე მდგომარეობა: ოსმალეთში, შიიტების აჯანყებასთან ერთად, დაი-

წყო შინაური ბრძოლა ღრმად მოხუც სულთან ბაიაზეთ II-სა და მის შვილებს შორის.

ბაიზეთ II-ის შვილმა სულთანმა სელიმ I-მა „იავუზმა“ („მრისხანე“) 1512-1520 წწ. შეცვალა თურქეთის საგარეო პოლიტიკა. მთელი XV ს-ის განმავლობაში თურქეთი დაპყრობით ომებს აწარმოებდა ბალკანეთის ნახევარკუნძულის სახელმწიფოების, აგრეთვე უნგრეთის, ვენეციის და ევროპის სხვა სახელმწიფოების წინააღმდეგ. სელიმ I-მა დაგეგმა ფართო დაპყრობები მცირე აზიაში. მან მოამზადა ლაშქრობა ირანის წინააღმდეგ „მართლმადიდებლური“ (სუნიტური) ისლამის ერეტიკოსი (შიიტი) მუსლიმებისაგან დაცვის საბაბით. სელიმ I-ის ბრძანებით, წინასწარ შედგენილი სიების მიხედვით, მც. აზიაში ორმოცი ათასი შიიტი გაჟლიტეს; ამრიგად, ზურგის უსაფრთხოება უზრუნველყოფილი იყო და სელიმ I-მა სეფიანთა სახელმწიფოსთან ომი დაიწყო. თურქეთის ჯარმა, რომელიც იმ დროისათვის ძლიერ არტილერიას ფლობდა (აღსანიშნავია, რომ ცეცხლმსროლელი ზარბაზნები — „რადანდაზი“ ირანში გამოჩნდა ჯერ კიდევ თემურლენგის დროს. 1387 წ. XV ს-ის ბოლოს პერათში ამზადებდნენ პრიმიტიულ ზარბაზნებს, მაგრამ ისინი დაბალი ხარისხის, არაეფექტური იყო), 1514 წლის 23 აგვისტოს სამხრეთ აზერბაიჯანში, ჩალდირანის ველზე დაამარცხა ყიზილბაშთა ლაშქარი, ყიზილბაშებმა სწრაფად დაიხიეს უკან, შაჰის პარემიც კი თურქეთის სულთნის ხელში მოხედა. სულთანი თავრიზსაც დაიკავებდა, მაგრამ მან ვერ გამოიყენა ეს გამარჯვება თურქი იანიჩრების, რომელთა შორის არცთუ ცოტა შიიტების მხარდამჭერი იყო, ამბოხების გამო. ამიტომაც და აგრეთვე ყიზილბაშების ახალი შემოტევის გამო, სელიმმა უკან დაიხია. სამხრეთი აზერბაიჯანი და არაბეთის ერაყი სეფიანებს დარჩა, რომელთაც აღმოსავლეთ ამიერკავკასიაშიც შეინარჩუნეს თავიანთი გავლენა. 1516, 1518 და 1521 წწ-ში შაჰ ისმაილი I-ის სარდალმა დიე-სულთან რუმლუმ სამჯერ ილაშქრა საქართველოში, 1524 წ. გაზაფხულზე კი თვითონ შაჰ ისმაილი წამოუძღვა ლაშქარს შაქისაკენ. „XVI ს. პირველ მეოთხედში ყიზილბაშთა ლაშქრობების შედეგად (რომლებიც ისმაილის გამეფებისთანავე დაიწყო და მის ზეობის ბოლომდე გაგრძელდა), საქართველოში ირანის პოლიტიკური ბატონობა არ დამყარებულა. ქართველმა მეფე-მთავრებმა (ქართლის მეფე

დავითი, კახეთის მეფე ლევანი, სამცხის ათაბაგები ყვარყვარე და მანუჩარი) „ბაჯ ო სარაჯ“-ის გადახდა იკისრეს, ისმაილმა კი ისინი თაჯებითა და ხალათებით დაასაჩუქრა. „მაგრამ ეს არც საქართველოს პოლიტიკურ დამოუკიდებლობას ხელყოფდა და არც განსაკუთრებით ამძიმებდა მის საერთო მდგომარეობას.სეფიანთა სახელმწიფოს არასტაბილურობა, ეკონომიკური სისუსტე, ყიზილბაშური ტომობრივი ლაშქრის არამდგრადობა და პარტიკულარიზმი, შუა აზიის ოზბეგურ სახანოებთან გაუთავებელი კონფლიქტები და სხვა მრავალი პოლიტიკური, სოციალ-ეკონომიკური თუ ფეოდალური საკითხების მოუგვარებლობა მაპ ისმაილს აღმოსავლეთ საქართველოს დაპყრობა-ინკორპორაციის შესძალებლობას არ აძლევდა. ამდენად იგი იძულებული იყო ამ რეგიონში მხოლოდ მარბეველი ხასიათის შემოსეევებით დაკმაყოფილებულიყო“ (ნ. გელაშვილი).

§3. სეფიანთა სახელმწიფო

ახლად შექმნილ სახელმწიფოს უწოდებდნენ ირანს, ისევე, როგორც უფრო ადრე ჰულაგუიანთა სახელმწიფოსაც, მაგრამ უფრო სშირად მას იხსენიებდნენ სეფიანთა ანუ ყიზილბაშთა სახელმწიფოს („დოულეთ-ი ყიზილბაშ“) სახელით.

საბღვარგარეთელი აღმოსავლეთმცოდნე ისტორიკოსები არცთუ იშვიათად ხედავდნენ და ხედაეენ სეფიანთა სახელმწიფოში ირანის ნაციონალურ სახელმწიფოს, რომელიც თურქ დამპყრობლებთან ირანელების ბრძოლის შედეგად ჩამოყალიბდა. ეს არაა სწორი უპირველეს ყოვლისა იმიტომ, რომ XVI ს-ში სპარსულმა ეროვნებამ სეფიანთა სახელმწიფოში არ დაიკავა გაბატონებული მდგომარეობა. „ირანის შაჰინ-შაპის“ ტიტული, რომელიც ისმაილ I სეფიანმა მიიღო, არ მიუთითებდა ირანული ელემენტის პოლიტიკური როლის რაიმე გაძლიერებაზე. საქმე ისაა, რომ ირანის შაპინ-შაპის („მეფეთა-მეფის“) ტიტულთან მცირე და შუა აზიაში სასანიანთა სახელმწიფოს დროიდან დაკავშირებულია წარმოდგენა უნივერსალურ მსოფლიო მონარქიასთან, მსგავსად იმისა, როგორც შუა საუკუნეების ევროპაში ასეთი წარმოდგენა დაკავშირებული იყო რომის, ხოლო შორეულ აღმოსავლეთში – ჩინეთის იმპერატორის ტიტულთან.

სეფიანთა სახელმწიფო შეიქმნა უმთავრესად თურქულ-თურქმანული ტომების მცდელობის შედეგად, ამიტომაც შაჰ ისმაილისა და მისი უახლოესი მემკვიდრეების დროს, XVI ს-ის ბოლომდე, სელძღვანელი როლი სახელმწიფოში აზერბაიჯანულ-თურქული (ყიზილბაშური) მომთაბარული არისტოკრატიის ხელთ იყო. სწორედ მათი წრიდან ინიშნებოდნენ უმთავრესი კარის მოხელეები, ოლქების გამგებლები და მხედართმთავრები. ჯარი ძირითადად დაკომპლექტებული იყო მომთაბარე ტომების მოლაშქრეებისაგან (მხოლოდ მცირე ნაწილი იყო ბინადარი ფეოდალური მოლაშქრე).

სასახლის კარზე და ჯარში დიდხანს ბატონობდა აზერბაიჯანული ენა, რომელიც გასაგები იყო ირანში მცხოვრები ყველა თურქული მოდგმის ხალხისათვის; თვით შაჰ ისმაილი ლექსებს წერდა ამ ენაზე „ხატაის“ ფსევდონიმით; მხოლოდ ოფიციალურ მიწერ-მოწერაში, ძველი ფეოდალური ტრადიციის (სელჩუკების, ილხანების) მიხედვით, სპარსული ენა გამოიყენებოდა. სეფიანთა სახელმწიფოს შემადგენლობაში, გარდა ირანისა, შედიოდა მთელი რიგი ქვეყნები არასპარსული მოსახლეობით: აზერბაიჯანი, არმენია, სამხრეთი თურქმენეთი, ავღანისტანი. XVI ს-ის შუა ხანებამდე სახელმწიფოს ცენტრი იყო არა ირანში, არამედ აზერბაიჯანში — თავრიზში. ამიტომ, სეფიანთა სახელმწიფოში უნდა დაეინახოთ ისეთივე კონგლომერატი დაპყრობების შედეგად შეკავშირებული ცალკეული ტომებისა და ხალხებისა, როგორიც იყო აღრინდელი ფეოდალური სახელმწიფოებრივი წარმონაქმნები ირანის ტერიტორიაზე. მხოლოდ მოგვიანებით, XVI ს-ის ბოლოდან ირანული ელემენტის როლი სეფიანთა სახელმწიფოს ცხოვრებაში უფრო მნიშვნელოვანი გახდა.

პირველმა სეფიანებმა კარგად იცოდნენ, რომ სხვადასხვა ეთნიკური მოსახლეობით და ეკონომიკური ცხოვრებით მოცული მთელი რიგი ქვეყნების და ოლქების ერთობის შენარჩუნება ადვილი არაა; მათ უნდოდათ შეენარჩუნებინათ ეს ერთობა, ამიტომაც თავის სახელმწიფოს სხვადასხვა ტომების მუსლიმურ მოსახლეობას თავს მოასყიეს ერთი სახელმწიფო რელიგია — შიიტური (ზომიერი შიიტების — იმამიტების) აღმსარებლობა. უკვე შაჰ ისმაილ I-მა, რომელმაც 1501 წ. დაიკავა თავრიზი, გამოსცა ბრძანება, რათა „მოეღნებზე ელანძღათ აბუ-ბექრი, ომარი და ოს-

მანი, ხოლო ვინც ამას წინ აღუდგებოდა, მისთვის თაეი მოეკვეთათ". „ის გარემოება, რომ XVI ს-ის დამდეგს სასელმწიფო რელიგიად ცსადღება შიიტობა, რომელიც იმთაეითვე ირანელთა გამათავისუფლებელ ბრძოლას დაუკავშირდა, აიხსნება არა „არიული სულის ენერგიის გამოვლინებით" (ფრანც ბაბინგერი) ან ირანული ელემენტის მონაწილეობით, არამედ უმთავრესად სოციალური, ეკონომიკური და პოლიტიკური ხასიათის მიზეზებით.

თუ არდებილის შეიხებმა შიიტობა სოციალური და პოლიტიკური რიგის მოვლენებს დაუკავშირეს, შაჰ ისმაილმა ის მსხვილი მიწისმფლობელობის გასაუქმებლად და მახლობელი აღმოსაელეთის საერთაშორისო ურთიერთობაში დამოუკიდებელი მდგომარეობის მოსაპოვებლად გამოიყენა.

შიიტობა ყიზილბაშებს შესაძლებლობას აძლევდა მოეხდინათ სუნიტ საერო და სასულიერო ფეოდალების მიწების ექსპროპრიაცია" (ვ. გაბაშვილი).

ყველგან, სადაც კი სეფიანთა ბატონობა დამყარდა, დაიწყო სისხლიანი დევნა „უკიდურესი" შიიტების და სუნიტებისა. სდევნიდნენ აგრეთვე სუფიზმის „ერეტიკულ" მიმდინარეობას და ყოველგვარ თავისუფალ აზროვნებას, ე.ი. საერო მეცნიერებას და ფილოსოფიას. შიიტური სასულიერო პირების ფანატიზმმა, აგრეთვე შუა აზიასთან და სხვა სუნიტურ ქეეყნებთან კავშირების გაწყვეტამ, მძიმე დაღი დაასვა XVI-XVIII სს. ირანის პოეზიის, ფილოსოფიის და, საერთოდ, სულიერი ცხოვრების განვითარებას.

§4. ფეოდალური ურთიერთობა ირანში სეფიანთა დროს

ფეოდალთა კლასი, ისევე როგორც წინა პერიოდში, შედგებოდა ოთხი ძირითადი ჯგუფისაგან: 1. მომთაბარე ტომთა სამხედრო-ნომადური არისტოკრატია, რომელთა შორის პირველი ადგილი ყიზილბაშური ტომების ამირებს ეკავათ; 2. ირანული წარმოშობის ძველი დინასტიები და ადგილობრივი ფეოდალები ცალკეულ ოლქებში; 3. უმაღლესი შიიტური სასულიერო პირები; 4. სამოქალაქო ბიუროკრატია. ამ უკანასკნელებმა მხოლოდ XVI ს-ის ბოლოდან დაიწყეს მნიშვნელოვანი პოლიტიკური როლის

თამაში; ისინი პირველ სამ ჯგუფზე დაბლა იდგნენ. მომთაბარე ტომთა ბელადები (მირ-ი ილ) არამარტო განაკებდნენ თავიანთ ტომებს, არამედ არცთუ იშვიათად მათთვის სარჩოდ მიცემულ მიწებს მემკვიდრეობით ისაკუთრებდნენ და ამ მიწებზე მსხდომი გლეხების ფაქტიურად ფეოდალ-ექსპლუატატორები იყვნენ. შაპის მიერ მომთაბარე ტომთა ბელადებისადმი ნაჩუქარ მიწებს სხვადასხვა სახელი პქონდა: იურტი (მონგ.), ოჯაკლიკი (თურქ.), ჯა ო მაყამ (სპარს.-არაბ.). ასეთივე წყალობა ეძლეოდათ სამხედრო-ნომადური არისტოკრატიის ცალკეულ წარმომადგენლებსაც (ამირებს): ასე, მაგ., 1553 წ. შაჰ-თამამ I-მა ქურთული მომთაბარე ტომის სიიპ მანსურის ბელად სალილ-ხანს უბოძა აბხარის, ზენჯანის და სულთანიეს ოლქები იმ პირობით, რომ მას შაპის ჯარში თავისი ფეოდალური ლაშქრიდან 3000 კაცი გამოეყვანა. მომთაბარე ტომების (ილ. მრ.რ. ილიათ-თურქ) „იურტები", გარდა ბინადარით ღასახლებული დამუშავებული მიწებისა, მოიცავდა აგრეთვე საძოვრებს — იალაღებს და ყიშლაღებს. ფაქტიურად, ეს საძოვრები ტომთა ბელადების განკარგულებაში იყო, მაგრამ ამ მიწების ყიდვა-გაყიდვა და თავის პირად საკუთრებად გადაქცევა მათ არ შეეძლოთ. მომთაბარე ტომებში, ისევე, როგორც ადრე, შენარჩუნებული პქონდათ პატრიარქალური ფეოდალური ურთიერთობანი: რიგითი მომთაბარის მიერ მომთაბარული არისტოკრატიის სასარგებლოდ ფეოდალური ვალდებულებების შესრულება „გვარის დახმარების " საბურველში იყო გახვეული; შენარჩუნებული იყო ტომებად და გვარებად დაყოფა, რაც სპარსელებსა და სხვა ბინადარ ხალხებში კარგა ხანია აღარ არსებობდა.

მომთაბარე ტომთა „იურტებს" გარდა, XVI ს. ირანში მიწაზე და წყალზე ფეოდალური საკუთრების ისეთივე კატეგორიები იყო, როგორც ადრე: 1. სახელმწიფო მიწები (დივანის მიწები); 2. შაპის საგვარეულოს მიწები (ხასსე); 3. ალოდიალური მიწები (მულქი); 4. სასულიერო და საქველმოქმედო დაწესებულებების მიწები (ვაკუფი); 5. სამკვდრო ლენები (სიიურღალი), რომელთა არსებობა სახელმწიფო სამსახურით იყო განპირობებული. მაგრამ, რადგანაც სეფიანთა სახელმწიფოს წარმოშობის შემდეგ, მიწების ფონდის დიდი ნაწილი ახალი პატრონების (სახელმწიფოსა და ყიზილბაშური არისტოკრატიის) ხელში გადაეიდა, სხვადასხვა კატეგორიის მიწებს შორის თანაფარდობა შეიცვალა: დივანის, ხასეს, გან-

საკუთრებით კი მომთაბარე ტომთა ბელადების „იურტების“ (ანუ ყაზილბაში ამირების – ხანებისა და სულთნების) მიწების ფონდი ვაიზარდა, სამაგიეროდ შემცირდა მულქებისა და სოიურღალების მიწების რაოდენობა. სეფიანმა შაჰებმა შეინარჩუნეს სასოიურღალო მიწების ნაწილი; ამავე დროს, ისინი თავს იკავებდნენ ახალი სოიურღალების გაცემისაგან, რაღგანაც სოიურღალების მფლობელებს განუსაზღვრელი ძალაუფლება ჰქონდათ. „საჰები სოიურღალის“ ამგვარი შეუზღუდავი ძალაუფლება ძირს უთხრიდა სახელმწიფოს.

სეფიანები ამჯობინებდნენ დიდებულებისა და მსახურეული პირებისათვის სამსახურის სანაცვლო „თიულების“ მიცემას. „თიული“ (თურქ. სიტყვაა) პირველად ისსენიება XV ს-ის დასაწყისში აბდ არრეზაყ სამარყანდის თხზულებაში, მაგრამ ეს ინსტიტუტი ფართოდ გავრცელდა XVI ს-ში. „თიულის“ სახელქვეშ იგულისხმებოდა გარკვეული მიწებიდან ფეოდალური რენტის მთლიანად ან ნაწილობრივ ბოძება. ზოგიერთი „თიული“ მიმაგრებული იყო ამა თუ იმ თანამდებობაზე, ზოგიერთი – პირადი დამსახურებისათვის პერსონალურად და სიცოცხლის განმავლობაში ეძლეოდა მსახურეულ პირს, მაგრამ არა მემკვიდრეობით და ადმინისტრაციული იმუნიტეტის გარეშე. ამგვარად, ცენტრალური ხელისუფლების მიერ „თიულის“ შემოღება „იკტას“ ფეოდალური ინსტიტუტის აღდგენის მცდელობა იყო. „იკტას“ ფეოდალური ინსტიტუტი (ბენეფიციუმი – დროებით, პირობითი მიწისმფლობელობის ფორმა), აბასიანთა სახალიფოში ჩამოყალიბდა. „თიულების“ გამოყოფა სახელმწიფო მიწების (დივანის მიწები) ფონდიდან ხდებოდა.

ყველა ადგილობრივი დინასტი – მომთაბარე ტომთა ბელადები, თუ ძველი ირანელი მბრძანებლები შაჰის „ჰაქიმებად“ – მმართველებად, მოხელეებად ითელებოდა, რომელთაც ნიშნავდა და ათავისუფლებდა შაჰი. ფაქტიურად, ისინი ადგილობრივი მემკვიდრეობითი ფეოდალური მმართველები იყვნენ. მომთაბარე ტომთა ბელადები ხანისა და სულთნის ტიტულს ატარებდნენ (მათ ხშირად უწოდებდნენ ამირებსაც). ადგილობრივი ბინადარი მბრძანებლები შელიქებად იწოდებოდნენ. ზოგიერთი მელიქი ემორჩილებოდა შაჰის მოადგილეს ოლქში – ბეგლარბეგს, ზოგიერთი კი უშუალოდ შაჰზე იყო დამოკიდებული და მას

ეწოდებდა „ვალი“. სეფიანთა ირანში ოთხი „ვალი“ იყო: არაბისტანის, ხუზისტანის, გურჯისტანის და ქურთისტანის.

1725 წ. ასლო ხანებში შედგენილ „თაზქირათ ალ-მულუქში“ (სპარსულ დასტურლამალში) ნათქვამია: „უპირველესია არაბისტანის ვალი, რომელიც უფრო მაღლაა დაყენებული და უფრო პატივცემული, ვიდრე დანარჩენი ვალიები, მისი სეიდების გვარის კუთვნილების, ღირსების და მის ტომთა რაოდენობის გამო. ამის მომდევნოა ლურისტანის ვალი, რომელიც, იმის გამო რომ ის მუსლიმანია, უფრო პატივცემულია, ვიდრე გურჯისტანის ვალი. ირანის კუთვნილი საქართველოს ნაწილებია („გურჯისტანათ“) ქართლი, კახეთი და თბილისი. გურჯისტანის ვალის მომდევნოა ქურთისტანის ვალი.

ვალის მდგომარეობა მეტად თავისებური იყო სეფიანთა ირანში. თითოეული ვალი ეკუთვნოდა შემკვიდრე მბრძანებლების დინასტიას. და იმის მიუხედავად, რომ ისინი დაკავშირებული იყვნენ სეფიანთა ირანის სახელმწიფოსთან, ფაქტიურად დამოუკიდებელი მდგომარეობით სარგებლობდნენ. ირანის ხელმწიფის ამ „ყმადნაფიცების“ შემოსავალი არ იყო შეტანილი ირანის სახელმწიფო ბიუჯეტში, და, გარდა სამხედრო დახმარებისა, დაკისრებული პქრონდათ გამოსაღები, რომელიც ძღვენის სახით იყო გამოხატული.

ვალის უფლება-მოვალეობაში შედიოდა: 1. მონაწილეობა მიეღო ირანის ხელმწიფის ხელდასხმაში, 2. ეტარებინა თაჯი და მურასა ხმალი, 3. გამოეყენანა ლაშქარი ხელმწიფის სამსახურში, 4. პქონოდა ნაღარახანა, 5. მოეგროვებინა „ხელმწიფის ხარჯი“ და 6. გაემზადებინა ბარხანა“ (ვ. გაბაშვილი)

ფეოდალური ლაშქრის ბირთვის მომთაბარეების (ილიათების) მდგომარეობა გაცილებით უკეთესი იყო გლეხი-მიწათმოქმედების (რაიათების) მდგომარეობაზე. რაიათების დიდი უმრავლესობა მძიმე ფეოდალურ დამოკიდებულებამი იყო მიწათმფლობელებზე, ხოლო გლესები სახელმწიფო და სახასო მიწებზე — სხვადასხვა მოხელეებზე, რომლებიც კიდეე უფრო სასტიკი მბრძანებლები იყენენ, ვიდრე კერძო მესაკუთრენი. გლეხები მიწისმფლობელს უხდიდნენ რენტას (სახელმწიფო მიწებზე ემთხვეოდა გადასახადს) უფრო ხშირად ნაგურით (ხორბლით, ბრინჯით, ნედლი აბრეშუმით...); რენტის საფუძველი იყო სარაჯა (ანუ „მალ

ო ჯეპათი") – მოსაელის ნაწილი. ისმაილ I-ის დროს, რომელსაც უნდოდა გლეხების მსარდაჭერის მოპოვება, ხარაჯა შემცირდა მოსაელის 1/6-დე. მაგრამ, ხარაჯასთან ერთად სხვა ბაჟებიც იყო, რომლებიც იკრიბებოდა როგორც სახელმწიფოს, ასევე მიწისმფლობელთა სასარგებლოდ. მთავარი ადგილი ეჭირა სახელმწიფოს სასარგებლოდ ნატურალურ ვალდებულებებს – ბეგარას ანუ სუხრას (არაბ.), რაც ითვალისწინებდა მუშაობას ცისეების, არსების, გზების ასაშენებლად, შესაკეთებლად და გასაყვანად. შემორჩენილი იყო სეფიანებამდე არსებული ვალდებულებები – ულუფე და ალაფე – პროვიანტისა და ფურაჟის სახის გადასახადი ჯარისათვის, ყონალღა – მუდმივი ვალდებულება, შექარი – სანადირო ვალდებულება. თუ როგორი მასშტაბების იყო ეს უკანასკნელი ვალდებულება, კარგად ჩანს იქიდან, რომ შაპ აბას I-ის მიერ გილიანის დაბურულ ტყეებში მოწყობილ ნადირობაში 10000 გლეხი იღებდა მონაწილეობას. მიწის მესაკუთრეთა სასარგებლოდ ვალდებულებები უმნიშვნელო იყო, რამდენადაც ფეოდალები თითქმის არ მისღევდნენ მსხვილ მეურნეობას.

§5. სეფიანთა სახელმწიფოს საშინაო და საგარეო პოლიტიკა შაპ თამაზ I-ის დროს

შაპ თამაზ I (1524-1576 წწ.) ტახტზე ავიდა 10 წლის ასაკში. პირველ ხანებში იგი სათამაშო ბურთი იყო ყიზილბაშური მომთაბარული არისტოკრატიის – ხანების და სულთნების ხელში. ეს არისტოკრატია შაპის სელისუფლებას მხარს უჭერდა მხოლოდ იმდენად, რამდენადაც ეს უკანასკნელი მათ სურვილებს ასრულებდა: უბოძებდა მათ მიწებს, დიდ თანამდებობებს და შემოსაელიან ადგილებს. ყიზილბაშური ტომები ხშირად ჯანყდებოდნენ. 1525 წ. ყიზილბაშური ტომების რუმლუს და უსტაჯლუს ბელადებმა იჩხუბეს იმის გამო, თუ ვინ უნდა ყოფილიყო მცირეწლოვანი შაპის „რეგენტი" და „აღმზრდელი". ტომებს შორის შინაური ბრძოლა გაიმართა. 1526 წ. აჯანყდა უსტაჯლუს, ხოლო 1531 წ. – თექელუს ტომი, რომელმაც თავრიზი გაძარცვა.

გარდა ყიზილბაშური არისტოკრატიის აბბოხებებისა, შაპის მოაერობას შაჰ თამაზ I-ის მბრძანებლობის პირველ ნახევარში, ბრძოლა უსდებოდა ცალკეულ ოლქებში ადგილობრივი ირანული არისტოკრატიის აჯანყებებთან. 1529 წ. აჯანყდა კალხურის მფლობელი ზულფიყარ-ბეგი ლურის მომთაბარე არისტოკრატიიდან, რომელმაც აიღო ბაღდადი, ხოლო შემდეგ დაიპყრო მთელი არაბეთის ერაყი. იგი დაემორჩილა თურქეთის სულთან სულეიმან I-ს და შემოიღო მეჩეთებში მის სახელზე ხუტბა. 1530 წ. შაპი იძულებული გახდა ბაღდადის დასაბრუნებლად ელაშქრა.

1535 წ. გილიანში აჯანყდა ამირა დუბაჯი — ბიიე ფასის გილიანის ხანი. 1538 წ. ასტრაბადი ხელთ იგდო ეინმე მუჰამედ სალიჰ ბითიქჩიმ — ადგილობრივი არისტოკრატიის წარმომადგენელმა, რომელმაც თავი გამოაცხადა ადგილობრივ სელმწიფედ და დასასმარებლად მოუსმო ხორეზმის ოზბეგთა ხანს. 1540 წ. აჯანყებამ იფეთქა რუსტემდარში, 1541 წ. — ხუზისტანში. შაპის ხელისუფლებამ ყველა აჯანყების ჩაქრობა მოახერხა. ზოგიერთ შემთხვევაში ადგილობრივი დიდებულების მხარეზე შაპის ხელისუფლების წინააღმდეგ გამოდიოდნენ ხალხის მასებიც, როგორც ეს იყო 1538 წ. ასტრაბიდის აჯანყების დროს. მომთაბარული არისტოკრატიის აჯანყებები უფრო ხშირად მხოლოდ იმ ტომების მხარდაჭერით მიმდინარეობდა, საიდანაც ეს არისტოკრატია იყო გამოსული. ზოგიერთი აჯანყება აშკარა სახალხო მოძრაობას გამოხატავდა. ასეთი იყო ხელოსნების, ქალაქის ქვედა ფენისა და ეკლესების აჯანყება პერათსა და მის ოლქში 1535 წ., რომელიც გამოიწვია შაპის ბეგლარბეგის, მოხელეებისა და სამხედრო მოსამსახურეების თვითნებობამ. მიუხედავად აჯანყებების კლასობრივი ბუნების განსხვავებისა, აშკარა იყო შაპის ცენტრალისტური პოლიტიკის წარუმატებლობა. ყიზილბაშური ტომებიც კი, რომლებიც ხელისუფლების დასაყრდენად ითვლებოდნენ, არაერთხელ აჯანყდნენ და შაპის ხელისუფლებას მათი დაშოშმინება მომთაბარული არისტოკრატიისათვის მიწებისა და შემოსავლიანი თანამდებობების ბოძების გზით უსდებოდა.

შაჰ თამაზ I-მა ჩრდ. აზერბაიჯანში 1538 წ. დაიპყრო შირვანი და 1555 წ. — შაქი. აღმოსავლეთ საქართველოში თავისი ბატონობის განმტკიცების მიზნით შაჰ თამაზ I-მა ქართლში, კახეთსა და

სამცხე-საათაბაგოში 1540-1554 წლებში ოთხჯერ ილაშქრა და სამ-ინლად აოხრა ეს რეგიონები.

შაპ თამაზ I-ის დროს შუა აზიის ოზბეგურ სახანოებთან გაუთავებელი ბრძოლები იყო. შუა აზიელი ოზბეგები თითქმის ყოველწლიურად ლაშქრობდნენ ხორასანსა და ასტრაბადის რეგიონებში; მათ რამდენჯერმე აიღეს მნიშვნელოვანი ქალაქი პერათი. 1528 წ. ყიზილბაშებმა უბეიდულლა-ხან უზბეკი სასტიკად დაამარცხეს ტურბეტი შეის ჯამთან, მაგრამ როგორც კი ყიზილ-ბაშთა ჯარი წავიდა, უბეიდულლა-ხანმა კელავ გაიმარჯვა და, მართალია დროებით, დაიპყრო მეშჰედი და ჰერათი (1529 წ.)

შემდგომ წლებში ყიზილბაშთა სამხედრო მოქმედებები ოზბეგთა წინააღმდეგ პასიურ-თავდაცვითი ხასიათისა იყო. ოზბე-გებისა და სეფიანების ქიშპის ობიექტი იყო მდიდარი ხორასანი (იმ დროს ხორასანი მოიცავდა აღანისტანისა და თურქმენეთის ნაწილს) მისი განვითარებული ირიგაციით, ნაყოფიერი ოაზისებით და დიდი სავაჭრო-ხელოსნური ქალაქებით (მეშჰედი, ჰერათი და სხვ.) ოზბეგების წარმატებები ხორასანში ზოგჯერ იმით იყო გააღვილებული, რომ ყიზილბაშ-მომთაბარეთა ძალმომრეობა მოსახლეობას მათ წინააღმდეგ განაწყობდა.

1535 წ. შაპის ხელისუფლების წინააღმდეგ ჰერათში აჯანყების შემდეგ, ოზბეგებმა დაიპყრეს ეს ქალაქი. უკვე 1536 წ. ისინი განდევნეს ხორასნიდან, მაგრამ ოზბეგი ხანების ლაშქრობები ხორასანში შემდეგ წლებშიც გრძელდებოდა (1543,1549, 1550, 1556, 1560, 1567 წწ-ში და ა.შ.).

ოზბეგთა სახანოებთან ბრძოლა შაპის ხელისუფლებას გაუძნელა 1550 წ. ასტრაბადის რეგიონში თურქმანული იაიკის ტომის აჯანყებამ, რომლის სათავეშიც იდგა ცნობილი ჭაბუკი აბა. ეს აჯანყება ჩააქრეს მხოლოდ 1558 წელს, აბას ღალატით მოკე-ლის შემდეგ. სეფიანთა სახელმწიფოს ბრძოლა ოზბეგთა სახ-ანოებთან შიიტებსა და სუნიტებს შორის რელიგიური ბრძოლის ნიშნით მიმდინარეობდა.

XVI ს-ის პირველი ნახევრის განმავლობაში (1514-1555 წწ) გრძელდებოდა გაუთავებელი ბრძოლა თურქეთთან ამ-იერკავკასიის ქვეყნების, ქურთისტანის და არაბეთის ერაყის ხელში ჩასაგდებად. ეს ქვეყნები მნიშვნელოვანი იყო სტრატეგი-ული და სამეურნეო თვალსაზრისით; ამ ქვეყნებზე გადიოდა ევ-

როპა-აზიის დამაკავშირებელი უმოკლესი სავაჭრო-სატრანსპორტო გზა. იმასთან დაკავშირებით, რომ თურქეთის სამხედრო ექსპანსია უნგრეთსა, აუსტრიასა და სხვა ევროპულ ქვეყნებში სულ უფრო მზარდ წინააღმდეგობას სვდებოდა, თურქეთი ევროპაში განცდილი მარცხის თუ წარუმატებლობის კომპენსაციას მცირე აზიაში დაპყრობების გზით ცდილობდა. სეფიანთა სახელმწიფოსა და თურქეთს შორის ომი რელიგიურ საბურველში იყო გახვეული (ბრძოლა სუნიტებსა და შიიტებს შორის). თურქეთი, არცთუ წარუმატებლად, ცდილობდა დაყრდნობოდა სუნიტურად განწყობილ არისტოკრატიას ქურთისტანსა და არაბეთის ერაყში. თურქეთის სულთანი სულეიმან I „კანუნი" (1520-1566 წწ.) 1533 წ. შეიჭრა აზერბაიჯანში, 1534 წ. დაიკავა თავრიზი და სულთანია, შემდეგ გაემართა სამხრეთისაკენ და აიღო ბაღდადი. თურქეთის ჯარი აზერბაიჯანიდან განდევნეს, მაგრამ ბაღდადი თურქების ხელთ დარჩა. 1538 წ. თურქების ჯარებმა დაიკავეს ქ. ვანი და ვანის ტბის აუზი (სამხრეთი სომხეთი). აღმოსავლეთი საქართველო თითქმის მუდმივად საომარი მოქმედებების ობიექტი იყო ყიზილბაშებსა და თურქ-ოსმალებს შორის. სეფიანთა სახელმწიფო თავისი სუსტი ცენტრალური ხელისუფლებით, ჯარის ჩამორჩენილი ორგანიზაციით და მოძველებული სამხედრო ტექნიკით იძულებული ხდებოდა ყოველთვის თავდაცვით შემოფარგლულიყო.

თურქეთის შეტევა ირანზე გააღვილებული იყო შაჰის ღვიძლი ძმის ალყას-მირზას აჯანყებით. 1538 წ. შირვანის დაპყრობის შემდეგ, შაჰ თამაზ I-მა თავისი ძმა ალყას-მირზა შირვანის ბეგლარბეგად დანიშნა. 1547 წ. ალყასმა სცადა განდგომა და შირვანის დამოუკიდებელი სახელმწიფოს შექმნა. ყიზილბაშმა ამირებმა ამჯერად მოასერხეს შაჰისა და ალყას-მირზას შერიგება: ალყასმა იკისრა ყოველწლიურად შაჰის ხაზინაში 1000 თუმნის შეტანა და შაჰის კარზე 1000 შირვანელი მსედრის გაგზავნა. მაგრამ მალე თავრიზში ავშარისა და ზულყადარის ყიზილბაშურ ტომებს შორის თანამდებობებისა და მიწებისათვის დაიწყო შინაური ბრძოლა, რომელიც მხოლოდ შაჰის ჩარევით შეწყდა; ამ დაძაბული ვითარებით ისარგებლა ალყას-მირზამ და კელაე აჯანყდა შირვანში: მან ბრძანა მისი სიქით მონეტის მოჭრა და ხუტბაში მისი მოხსენიება, რაც იმისი დადასტურება იყო, რომ იგი დამოუკიდებლობაზე აცხადებდა პრეტენზიას. შაჰის მიერ ორჯერ დამარცხებული

ალეას-მირზა ჯერ ყირიმის ხანთან გაიქცა, ხოლო შემდეგ – სტამ-ბულში სულთანთან. სულეიმან I „კანუნიმ“ თავისთვის სასარგებლოდ სცნო მისი პრეტენზიებისათვის მხარდაჭერა, 1548 წ. დიდი ლაშქრობა მოაწყო სამხრეთ აზერბაიჯანში და დაიპყრო თავრიზი. სულთნის ჯარი ირანის სიღრმეში შეიჭრა და დროებით დაიკავა ისპაანი. შემდგომ წლებში სამხედრო მოქმედებები ცვალებადი წარმატებით გრძელდებოდა. ორივე მეომარი მხარე მოწადინებული იყო ზავის დადებას. განსაკუთრებით აქტიურობდა ირანი. შაპ თამაზ I-მა სულთან სულეიმან I „კანუნის“ ელჩი გაუგზავნა და დაზავება შესთავაზა. 1554 წელს არზრუმში ირანსა და ოსმალეთს შორის დროებითი ზავი დაიდო. ზემოხსენებულ ამბებთანაა დაკავშირებული ერთი ძალზე მნიშვნელოვანი დოკუმენტი: სპარსულ ენაზე დაწერილი წერილი, მიწერილი ორი ყიზილბაში ამირას-სევინდუქ ბეგისა და შაპ ყულუ ბენ ჰამზა უსტაჯლუს მიერ არზრუმის ბეგლარბეგ აიას ფაშასადმი. ამ წერილით „ერთსელ კიდევ დასტურდება, რომ მოლაპარაკების მსვლელობაში (1554 წელს) განსაკუთრებული სიმწვავით იდგა „გურჯისტანის საკითხი“. წერილი (ირანის დიდმოხელეების ხელის მოწერით) გაგზავნილი იყო არზრუმის ფაშას აიასის მისამართით. ავტორები სევინდიკ-ბეგი და უსტაჯლუ შაჰყულუ ბ. ჰამზა, ცდილობენ შექმნან სამშვიდობო განწყობილება ოსმალეთში. ისინი მოითხოვენ აღიკვეთოს ისეთი მდგომარეობა, რომელიც ქართლისა და იმერეთის მეფეებს საშუალებას აძლევს ისარგებლონ ორი მეტოქე მუსლიმანური სახელმწიფოს უთანხმოებითა და წინააღმდეგობებით. ზავის პირობად წერილის ავტორები აყენებენ „გურჯისტანის საკითხის“ ისეთნაირად გადაჭრას, რომ დაუყოვნებლივ შეწყდეს ომი“ (ვ. ჩოჩიევი).

1555 წ. მარტში ამასიაში ჩავიდა შაპის ელჩი ფერუჰ-ზადე ბეგი, რომელსაც შაჰისაგან მიცემული ჰქონდა ოსმალეთთან ზავის დადების რწმუნება. ამასთანავე, ამასიაში მყოფ სულეიმან I-ს ეწვია ჰაბსბურგთა იმპერატორის ფერდინანდის ელჩი ბუსბეკი, რომელმაც სულთანს დააჩქარებინა ირანთან საზავო ხელშეკრულების დადება. აგრეთვე აქტიურობდა ამასიაში მყოფი საფრანგეთის ელჩი, რომელიც სულთანს ზავის დადებისაკენ მოუწოდებდა.

1555 წლის 29 მაისს, ამასიაში, საფრანგეთის ელჩის აქტიური ჩარევით, ირანსა და ოსმალეთს შორის ზავი დაიდო. ქართლი,

კასეთი, სამცხე-საათაბაგოს აღმოსავლეთი ნაწილი, სომხეთის აღმოსავლეთი ნაწილი, ჩრდილოეთი და სამხრეთი აზერბაიჯანი თავრიზითურთ წილად ხვდა ირანს; იმერეთი, გურია, სამეგრელო, სამცხე-საათაბაგოს დასავლეთი ნაწილი, სომხეთის დასავლეთი ნაწილი, არაბეთის ერაყი ბაღდადითურთ — ოსმალეთს; ყარსის ზონა ნეიტრალურად იქნა გამოცადებული. ყარსის ციხესიმაგრე საუუძელებამდე დაანგრიეს და არცერთ მეომარ მხარეს არ ჰქონდა მისი აღდგენის უფლება. „ირან-ოსმალეთის 1555 წლის სამშვიდობო ხელშეკრულების ერთი მთავარი დიპლომატიური ფორმულა იყო: ირანი ცნობს ოსმალეთის უფლებას დას. საქართველოზე. ოსმალეთი ცნობს ირანის უფლებას აღმ. საქართველოზე, ხოლო მესხეთი გაელენის სფეროებადაა განაწილებული. დამახასიათებელი, რომ დამპყრობლები სცნობდნენ მოპირდაპირე მხარის მიერ მიღწეულ წარმატებებს აღმ. ამიერკავკასიაში, მესხეთის დასაელეთ ნაწილში, მაგრამ ფაქტიურად ინაწილებდნენ იმას, რაც ჯერ ისევ დასაპყრობი და მისატაცებელი იყო" (ვ. გაბაშვილი).

მთავარი კი ისაა, რომ ამ ზავის მიხედვით, საქართველოს გაერთიანება საფუძველშივე ჩაკლული აღმოჩნდა: ირანი არ დაუშვებდა ოსმალეთის წილხვდომილი მხარის — დასაელეთ საქართველოს აღმოსაელეთ საქართველოს (ირანის კუთვნილი ქვეყნის) შინაურ საქმეებში ჩარევას; ამ აქტს განიხილაედა ოსმალეთის ჩარევად ირანის შინაურ საქმეებში და პირუკუ: ოსმალეთი არასგზით არ დაუშვებდა დასავლეთ საქართველოს შეერთებას აღმოსავლეთ საქართველოსთან, რადგან ეს უკანასკნელი ირანის ხელდებული ქვეყანა იყო, მაშასადამე, ეს განიხილებოდა ირანის ჩარევად ოსმალეთის შინაურ საქმეებში.

გარდა ამისა, საქართველოს დაპყრობის გასააღვილებლად ირანსაც და ოსმალეთსაც ხელს აძლევდა ფეოდალურად დაშლილ-დაქუცმაცებული საქართველოს შენარჩუნება. ისინი ცალკეულ ფეოდალურ სამეფო-სამთავროსთან ამყარებდნენ ურთიერთობის სხვადასხვა განსაკუთრებულ ფორმებს (ამკარა დაპყრობა, ზოგან მოხარკეობა).

ქართველ მეფე-მთავართა დამოკიდებულება ამ ზავისადმი არაერთგვაროვანი იყო: ამასიის ზავის პირობებით, ქვეყნის დაქუცმაცების დაკანონება ხელს აძლევდა ქართული სამეფო-სამთავროების მესვეურებს, რომლებიც ურთიერთშორის ქიშპისა

და მტრობის დროს ხან ირანის შაპის იმედად იყვნენ და ხან თურქეთის სულთნისა. გამონაკლისი იყო ქართლის მეფე ლუარსაბი, რომელიც ამ ზავის პირობების რეალურად ხორცშესხმას სასტიკად ეწინააღმდეგებოდა. ლუარსაბ I საქართველოს გაერთიანების იდეის ერთგული იყო, ამიტომაც არ მიიღო 1555 წლის ამასიის ზაეი, რომელიც ეწინააღმდეგებოდა საქართველოს გაერთიანებას და აღრმავებდა მის პოლიტიკურ დაშლილობას.

ამასთანავე, „ეიდრე თურქეთი და ირანი იცავდნენ 1555 წლის საზავო ხელშეკრულების პირობებს, დამოუკიდებლობისათვის მებრძოლ ქართულ სამეფოებს არ უნდა პქონოდათ დახმარების იმედი ამ მოქიშპე სახელმწიფოებისაგან; ისინი მთლიანად დამოკიდებული რჩებოდნენ საკუთარ სუსტ ძალებზე. გასაგებია, რომ ქართული სამეფო-სამთავროების დაპყრობა თურქეთისა და ირანის მიერ 1555 წლის შემდეგ წარმატებით წავიდა“ (ნ. ბერძენიშვილი).

1555 წ. ზავით დამთავრდა ირან-ოსმალეთის ომების პირველი ციკლი.

1559 წ. თურქეთის სულთან სულეიმან I-ს აუჯანყდა საკუთარი შვილი უფლისწული ბაიაზეთი; იგი ტახტს ეცილებოდა მამას, მაგრამ დამარცხდა და თავშესაფარი ეძია ირანში, შაპ თამაზ I-ის კარზე. შაჰს შეეძლო ესარგებლა ამ შემთხვევით: თურქეთის ტახტის პრეტენდენტი მის კარზე იმყოფებოდა, მაგრამ მშიშარა და ხარბმა თამაზ I-მა გადაწყვიტა რაც შეიძლება ძვირად გაეყიდა უფლისწული ბაიაზეთი. მეომრები თავის ლაშქარში ჩარიცხა, ხოლო უფლისწული ორწლიანი მოლაპარაკების შემდეგ გადასცა მამამისს, რის საზღაურადაც სულთნისაგან 400000 ოქრო მიიღო (1561).

სეფიანთა სახელმწიფოს სამხრეთ-აღმოსავლეთით (აღანისტანში) ესაზღვრებოდა „დიდ მოგოლთა“ ინდო-მუსლიმური სახელმწიფო. ყანდაარი და ზოგიერთი სხვა პუნქტი ხელიდან-ხელში გადადიოდა. 1544 წ. „დიდი მოგოლთა“ სახელმწიფოს მეორე სელმწიფე თემურიანი ჰუმაიუნი, რომელიც აჯანყების გამო გამოდევნილი იყო თავის სახელმწიფოდან, თაეშესაფარს ეძიებდა ირანში. შაპ თამაზ I-მა იგი კეთილგანწყობით მიიღო და თავისთეის სასარგებლოდ სცნო ჯარით დახმარება ინდოსტანში ძალაუფლების კელავ სელში ჩასაგდებად. ამ დახმარების სანაცელოდ სეფიანთა სახელმწიფომ მიიღო ყანდაარი.

ინგლისელების მიერ 1553 წელს თეთრი მღვეთ რუსეთთან დამაკავშირებელი საზღვაო გზის ათვისებამ, ივანე IV-ის მიერ ყაზანის (1552 წ). და ასტრახანის (1556 წ.) დაპყრობამ და თათრული სახანოების გაუქმებამ ახალი ეტაპი დაუფუძნა ირანისა და ევროპული სახელმწიფოების ურთიერთობის ისტორიაში. ევროპულ სახელმწიფოებს, ისევე როგორც ირანს, ძალზე სელსაყრელად ეჩვენებოდათ თურქეთის გვერდის ავლით, უშუალოდ საეაჭრო-ეკონომიკური კავშირ-ურთიერთობის დამყარება. რუსეთის მიერ ვოლგა-კასპიის სამდინარო გზის ათვისებას თავიანთი მიზნების გამოყენებისათვის ცდილობდნენ ინგლისელი ვაჭრებიც. ინგლისური „მოსკოვის" კომპანიის აგენტი ანტონი ჯენკინსონი 1557 წ. ჩამოვიდა რუსეთში. მეფე ივანე IV მრისხანემ იკი მიიღო და საეაჭრო-ეკონომიკური კავშირ-ურთიერთობის განმტკიცების დაეალებით გააგზავნა ჯერ უზბეკებთან ბუხარაში (1559 წ), შემდეგ კი სეფიანთა ირანში (1561-1563 წწ). ირანში მიმავალი ჯენკინსონი შემახაში კეთილგანწყობით მიიღო შირვანის ბეგლარბეგმა აბდულა-ხან უსტაჯლუმ. მისი იანადგომით შემახაში დაარსდა ინგლისური სავაჭრო ფაქტორია, რომლის ძირითადი მიზანიც იყო ნედლი აბრეშუმისა და აბრეშუმის ქსოვილების გატანა ინგლისში რუსეთის საშუალებით. ჯენკინსონი მივიდა შაჰის რეზიდენციაში, ყაზვინში და გამოეცხადა შაპს როგორც ინგლისის ოფიციალური ელჩი (თუმცა მას ელჩის სტატუსი არ პქონდა). ჯენკინსონისათვის საუბედუროდ, შაჰ თამაზმა სულთან სულეიმანისაგან ის-ის იყო უფლისწულ ბაიაზეთის გაცემისათვის მიიღო ღიდძალი ფული. შაპი იმედოვნებდა, რომ თურქეთთან მეგობრული ურთიერთობა ხანგრძლივი იქნებოდა და არ უნდოდა ამ ურთიერთობის გაფუჭება რუსეთთან და ინგლისთან თურქეთის საწინააღმდეგო კონტაქტების დამყარებით. ჯენკინსონმა არათუ მიზანს ვერ მიაღწია, არამედ კინაღამ თავიც წააგო: შაპს უნდოდა მისი მოკვეთილი თავის გაგზავნა სულთნისათვის სტამბულში. მაგრამ აბდულა-ხან უსტაჯლუმ, რომელიც დაინტერესებული იყო შირვანული აბრეშუმის ექსპორტით, არ დაუშვა მისი დასჯა სიკვდილით. მისი გაელენის წყალობით, ჯენკინსონი უვნებელი დაბრუნდა მოსკოვში. ინგლისური სავაჭრო კომპანიის კავშირი შირვანთან და ვოლგა-კასპიის გზით აბრეშუმის გატანა მოწესრიგდებოდა, მაგრამ 80-იანი წლების დასაწყისში ეს საქმე თურქე-

ბის ახალი შემოტევის გამო შეფერხდა. XVI ს-ის უკანასკნელ მეოთხედში სეფიანთა სახელმწიფოსა და რუსეთს შორის ურთიერთობა მოწესრიგდა; რუსეთ-ირანის ეაჭრობა გაცხოველდა.

1571 წ. შაჰ თამაზის კარი მოინახულა ვენეციის დესპანმა დ'ალესანდრიმ. მისი მიზანი იყო ანტითურქულ სამხედრო კოალიციაში ირანის ჩაბმა: თურქეთი იმ დროს ვენეციასთან და სხვა ევროპულ სახელმწიფოებთან ომობდა. თურქეთმა ვენეციას წაართვა კუნძული კვიპროსი, რომელსაც ომის გამოუცხადებლად თავს დაესხა. დ'ალესანდრის მისიას წარმატება არ პქონდა – შაჰ თამაზ I თურქეთთან ზავს მყარად თელიდა: მან ვენეციასთან კავშირი უარპყო.

§6. ირანი შაჰ თამაზ I-ის მმართველობის ბოლო წლებში. სახალხო აჯანყება გილიანში

შაპ თამაზ I არ იყო ნიჭიერი მბრძანებელი, თუმცა, როდესაც იგი სრულწლოვნი გახდა, ცდილობდა ჩარეულიყო მმართველობის ყველა სფეროში. იგი გამოირჩეოდა ანგარიშიანობით, სიძუნწით, წვრილმანობით და არაშორსმჭვრეტელობით. მისი ნებართვის გარეშე ვეზირებს არ შეეძლოთ ერთი ფელსის (წვრილი მონეტა) გაცემაც კი. იგი არ ბრუნავდა ქვეყნის საწარმოო ძალების აღდგენაზე; შაპ თამაზი და მისი დიდებულები ხაზინის შესავსებად გადასახადებს ზრდიდნენ. ხარაჯასა და სხვა გადასახადებზე დიდი დანამატები (თოუფირ, თაფავუთ) შემოიღეს. ასეთი საგადასახადო პოლიტიკა მძიმედ მოქმედებდა ირანის ეკონომიკაზე, შაპი უკანასკნელი 14 წლის განმავლობაში ჯარს არ უსდიდა ჯამაგირს. მისი ამგვარი ღონისძიებების შედეგი ის იყო, რომ მის მთავარ განძთსაცავში, კაპკაპეს ციხეში (ეს ციხე იყო აგრეთვე სახელმწიფო საპყრობილეც) აღმოჩნდა 380000 თუმანი ოქროს და ვერცხლის მონეტების სახით, 6000 ოქროს და ვერცხლის ზოდი (3000 მისხალი თითოეული), 200 ხარვარი აბრეშუმი, 30000 ძვირფასი ქსოვილისაგან შეკერილი ტანსაცმელი, 30000 მხედრის სრული აღჭურვილობა. მთელი ეს უზარმაზარი განძი ხელუსლებელად იდო, სამაგიეროდ სახელმწიფოს შემოსავალი, რომელიც XVI

ს-ის შუა ხანებში 5 მილიონ ოქროს უდრიდა (მინადაოის ცნობა, 1558 წ), დაეცა 3 მილიონ ოქრომდე (დ'ალესანდრის ცნობა, 1571 წ).

შაპი არაპოპულარული იყო სალსში. თურქეთის საზღვარიან სიახლოვემ და თავრიზის მცხოვრებთა მხრიდან მტრულმა დამოკიდებულებამ შაჰისადმი, თამაზ I აიძულა დედაქალაქი და თავისი რეზიდენცია სამხრეთ აზერბაიჯანიდან აღმოსავლეთით — ყაზვინში გადაეტანა (1548 წ.). მაგრამ, იგი აქაც რაიათებისგან არ იღებდა საჩივრებს; საერთოდ, მას არ უყვარდა ხალხის წინაშე გამოჩენა; იგი ოცი წლის განმავლობაში არ შემჯდარა ცხენზე და თერთმეტი წელი არ გამოსულა სასახლიდან.

შაპ თამაზ I-ის ზეობის ბოლო წლებში ირანის შინაური მდგომარეობა ძალზე მძიმე იყო. დ'ალესანდრის სიტყვით, გზებზე ხშირი იყო ყაჩაღთა თავდასხმები და ფეოდალთა შორის შინაური ბრძოლა. ამის გამო მნიშვნელოვანი საქარავანო გზები დასავლეთისაკენ (სირია-ალეპო) და სამხრეთისაკენ (ორმუზდის პორტი) მიგოვებული იყო. მოსელეები ცენტრალურ ხელისუფლებას არ ემორჩილებოდნენ და თავის ნებაზე იქცეოდნენ. ფეოდალები, განსაკუთრებით მომთაბარული არისტოკრატია, გლეხებისა და ქალაქის ქვედა ფენების ბედიღბალს თვითნებურად განაგებდნენ. გლეხთა გაღატაკება გააძლიერა 1571 წლის მოუსავლიანობამ და შავი ჭირის ეპიდემიამ. ქვეყანაში შიმშილი მძვინვარებდა; ზოგან საქმე კაციჭამიობამდე მივიდა. ხორასანი გამუდმებით განიცდიდა მომთაბარე ოზბეგების თავდასხმებს.

რაიათების მდგომარეობა — რამდენადმე შემსუბუქებული შაპ ისმაილ I-ის დროს — შაპ თამაზის მმართველობის ბოლო წლებში კვლავ დამძიმდა. სშირი იყო გლეხებისა და ხელოსნების აჯანყებები. განსაკუთრებით ძლიერი აჯანყება იყო გილიანში. ეს ოლქი შამინ ცენტრალურ ირანთან ეკონომიკურად სუსტად იყო დაკავშირებული. იქ შაპის ხელისუფლება სუსტი იყო.

„ბიიე-ფასის" (რეშტის) სანის ამირა დუბაჯის ამბოხების ჩაქრობის შემდეგ, მისი სამფლობელოები შაპმა სამმართველოდ მისცა ხან აპმედ-ხანს, „ბიიე ფიშის" (ლაჰიჯანის) მმართველს 1536-1568 და 1578-1592 წწ-ში. ქიიას დინასტიიდან. 1568 წ. შაპმა მოინდომა „ბიიე ფასის" სახანოს დაბრუნება ჯემშიდ-ხან რეშტელის — ამირა დუბაჯის შვილისათვის. ატყდა დავა მიწების გამიჯვნის გამო, რამაც აპმედ-ხან ლაჰიჯანელს აჯანყების საბაბი მისცა. ხანი

აპმედ-ხანი დამარცხდა. იგი ტახტიდან ჩამოაგდეს და დაამწყვდიეს ისთაპრის ციხეში (შირაზის ახლოს). გილიანელი სალხი თავგა-მოდებით იცავდა თავის დამოუკიდებლობას. 1569 წ. ხალხმა შეკრიბა 18000-იანი ლაშქარი და ხანად გამოაცხადა ჩამოგდებული დინასტიის ერთ-ერთი წევრი. აჯანყება ჩააქრეს. გილიანში შაპის მოადგილედ დანიშნეს შაპ თამაზის მეშვიდე შვილი მაპმუდ-მირზა; გილიანის მიწები უსტაჯლუს და სხვა ყიზილბაშურ მომთიაბარე ტომების ამირებს გაუნაწილეს (1570 წ.).

ამირების მხრიდან შევიწროებამ და ძალმომრეობამ „გილიან-ის უბრალო ხალხის, ნაძირალების და მაწანწალების“ აჯანყება გამოიწვია. ყიზილბაში ამირები და შაპის მოხელეები ნაწილო-ბრივ გაწყვიტეს, ნაწილობრივ კი გააძევეს (1571 წ.) მთელი ოლქი აჯანყებულთა ხელი აღმოჩნდა. გილიანელების ბრძოლა შაპის ჯარებთან ცვალებადი წარმატებით მიმდინარეობდა და მხოლოდ 1572 წ. ძლიერმა ფეოდალურმა ლაშქარმა, რომელიც შედგებოდა უსტაჯლუს და სხვა ყიზილბაშური ტომების მეომრებისაგან, აჯან-ყებულების დამარცხება შეძლო.

§7. აჯანყება თავრიზში

შაპის პოლიტიკით ხალხის უკმაყოფილების ნათელი გამოხ-ატულება იყო ხელოსნებისა და ქალაქის ღარიბების აჯანყება თავრიზში 1571-1573 წწ-ში თავრიზი, რომელშიც XVI ს-ის დასაწყ-ისში 300000 მცხოვრები იყო, მდებარეობდა ევროპა-აზიის სავაჭრო-საქარავნო გზების საკვანძო შესაყარზე. იგი ხელოსნური წარმოების: აბრეშუმის, შალეულის, ბამბეულის, ტარსიკონის, იარაღის და სხვ. ცენტრი იყო. თავრიზიდან ყაზვინში დედაქალაქის გადატანის შემდეგ, იგი მაინც რჩებოდა სეფიანთა სახელმწიფოს ერთ-ერთი უმსხვილეს ქალაქად.

თავრიზის აჯანყების შესახებ დაწვრილებით მოგვითხრობს ჰასან-ბეგ რუმლუ და მოკლედ – XVII ს-ის ისტორიკოსი ისქანდერ მუნში. ორიენ ამეღავნებს ამ აჯანყებისადმი კლასობრივ-მტრულ დამოკიდებულებას, მაგრამ გვამცნობს საინტერესო ფაქტებს. ამ აჯანყების შესახებ ცნობებს გვაწვდის აგრეთვე ევნეციელი დესპანი დ'ალესანდრი. მისი ბუნდოვანი და არეულ-დარეული თხრობა, რო-გორც ჩანს, ემყარება შაპის კარის ტენდენციურ ინფორმაციებს.

სპარსელი ავტორები არ გვიხატავენ თავრიზში შექმნილი ვითარების სურათს, არაფერს ამბობენ ამ აჯანყების უშუალო მიზეზების შესახებ. ისინი აღნიშნავენ, რომ ამ აჯანყების საბაბი იყო თავრიზის ტარუღას ალლაჰ-ყული ბეგ უსტაჯლუს მიერ მოსახლეობის შევიწროვება. საინტერესოა დ'ალესანდრის ცნობა, რომლის მისეულვითაც, თავრიზში ღიდი ხნის განმავლობაში ორი დაჯგუფება ებრძოდა ერთმანეთს, რომელთაგან ერთი ბატონობდა ქალაქის ოთხ კვარტალში, ხოლო მეორე კი – ხუთ კვარტალში. საფიქრებელია, რომ კვარტალებს შორის ბრძოლაში აისახა დაპირისპირება ქალაქის არისტოკრატიასა (ფეოდალები, მსხვილი ვაჭრები) და ქალაქის ქვედა ფენებს შორის.

აჯანყების კლასობრივ სასიათზე ნათლად მეტყველებენ ის სახელები, რომლითაც აჯანყების მონაწილეებს ისხენიებენ პასან რუმლუ და ისქანდერ მუნში: „უბრალო ხალხი" („აჯლაფ"), „ნაძირალები" („აჯამირე"), „ბრბო" („რუნუდ"), „გარეწრები" („ოუბაშ"); ამ სიტყვებით შუა საუკუნეების სპარსელი ისტორიკოსები იხსენიებენ გლეხებს, ხელოსნებს და ქალაქის ღარიბებს; პასან რუმლუ მოძრაობის ხელმძღვნელთა შორის ასახელებს ხელოსნებსა და წერილ ვაჭრებს: მკერავებს, ხარაზებს, მემწვანილეებს, შარვლების მკერავებს, აქლემების გამყოლებს. დ'ალესანდრის სიტყვით, ამ მოძრაობაში აქტიურ როლს ასრულებდა ყასბების ამქარი. იხსენიებიან აგრეთვე ფეპლევანები (ათლეტები, მოჭიდავეები და სხვ.), რომლებიც სპორტული თამაშობების არენაზე (ზურხანე) გამოდიოდნენ. ფეპლევანებს ჰქონდათ თავიანთი ამქარი. ამ აჯანყების მთავარი ხელმძღვანელი იყო ფეპლევანი იარი.

წყაროების ცნობით, როდესაც თავრიზის ტარუღა ალლაჰ ბული-ბეგმა არ დაუშვა დერჯუიეს კვარტალში აჯანყებული ქალაქის უღარიბესი მოსახლეობის მეთაურის დაკრძალვა, მოსახლეობა აჯანყდა. ტარუღას და ცნობილი ხალხის – სეიდების, სასულიერო პირებისა და მდიდართა სახლები დაარბიეს, მათ ოჯახებზე ძალადობა იმარეს. პასან რუმლუ მოგვითხრობს: „ყოველ ქუჩაზე, უბრალო სალსიდან რომელიმემ თავისი ძალაუფლების დროშა აღმართა: ფელეეან იარიმ სინჯარანის კვარტალში, ნაშმიმ-ღარდჯუეს კვარტალში, ფეძლევანმა ავაზმამაიდანში, კოჭლი მუსტაფას შვილმა შერეფმა – სერვის კვარტალში, შარვლების მკერავის (შალვარდუზ) შვილმა – მუპამედ

მახანის კვარტალში, აღა მუპამედმა – ნაუბრის კვარტალში, მირზა შელიქანიმ და გიოქჩამ – შეშ გილიანის კვარტლაში". ქალაქში მთელი ძალაუფლება აჯანყებულთა ხელში გადაეიდა.

„ცნობილი ხალხი" და „სახელმწიფოს ბოძები" არაერთხელ, თსოულობდნენ, რომ შაპ თამაზ I-ს ჯარი გაეგზავნა „თავრიზის ნაძირალების" დასამშვიდებლად, მაგრამ შაპი ფეხს იორეეღა და ყოყმანობდა: იგი იმიზეზებდა, რომ „არ უნდოდა ასეთი მნიმვნელოვანი ოლქის დარბევა". მაგრამ შაპის ყოყმანის ნამდეილი მიზეზი სეფიანთა სახელმწიფოს განსაკუთრებით მძიმე სამინაო მდგომარეობა იყო: ჯარი (ფეოდალური ლაშქარი) მრავალი წლის განმაელობაში აღარ იღებდა ჯამაგირს და ამიტომაც სანდო არ იყო; გილანი მოცული იყო აჯანყებით. ამიტომაც, შაპმა თავრიზის ტარუღად დანიშნა იუსუფ-ბეგ უსტაჯლუ, რომელიც გამოცდილ და ტაქტიან ადმინისტრატორად ითელებოდა და მას დაავალა აჯანყებულებთან მოლაპარაკება. იუსუფ-ბეგმა ქალაქის კვარტალების უხუცესები (ქეთხუღები) დაარწმუნა დიდებულებთან ბრძოლის შეწყვეტის აუცილებლობაში. შეთანხმება ფიცით განამტკიცეს. არცერთი აჯანყებული სიკედილით არ დაუსჯიათ. მაგრამ, როგორც ჩანს, ქალაქის უღარიბესი მოსახლეობა კმაყოფილი არ იყო ქალაქის ქედხუღებსა და იუსუფ-ბეგს შორის დადებული ხელშეკრულებით. ცოტა ხნის შემდეგ იუსუფ-ბეგის ნუკერებსა და ფეპლეევან იარის მომხრეებს შორის შეტაკება მოხდა. დაიღვარა სისხლი. ამის შემდეგ ქალაქის მთელი რიგი კვარტალი აჯანყდა. იუსუფ-ბეგმა შაპს დახმარება სთხოეა. აეტორიტეტულმა შიიტმა ღვთისმეტყველებმა ფეთეა შეადგინეს, რომლითაც „თავრიზის ნაძირალების" დასოცვა კანონიერ და შარიათით დასაშვებ საქმედ მიიჩნიეს. შაპმა უბრძანა ყარადაღის მემკვიდრეობითი მბრძანებლის შეილს, სოპრაბბეგს დასმარებოდა იუსუფ-ბეგს. სოპრაბ-ბეგი ფეოდალური ლაშქრით შეეიდა თავრიზში და საჰებ-აბადის მოედანი დაიკავა; იუსუფ-ბეგი თავისი ლაშქრით მას შეუერთდა. ორივემ აჯანყებულ კვარტალებს ალყა შემოარტყა. აჯანყებულებმა, როდესაც დაინახეს, რომ წინააღმდეგობის გაწევა უშედეგოა, აჯანყების აქტიურ ხელმძღვანელებთან ერთად, თავი შეაფარეს სსვადასხვა საიდუმლო თავშესაფარს. იუსუფ-ბეგმა სახლები გაჩხრიკა, საიდუმლო თავშესაფრებს მიაგნო და ბევრი დააპატიმრა.

ჰასან რუმლუ მოგვითხრობს: „ნაძირალების მეთაურები ჩამოასრჩვეს: მაგ., გიოქჩა, ნაშმი, შერეფი, მთელავი შუნჯი, მეწაღე ჰასანი, ჰაჯი დერაზი, შაპ-ალი ჩაიტაკი, მირზა ბაბა ქუჩი და მემწვანილე (საბბ-ე ფორუშ) ჰუსეინი. მათ გარდა, 150 კაცი სიკვდილით დასაჯეს“.შეიპყრეს აგრეთვე ფეპლეენ იარი, ფეპლევან ავაში და ალაი ჰასან-ჯანა. სოპრაბ-ბეგს მათი შეწყალება უნდოდა (როგორც ჩანს, სათანადო თანსის გამოძალვის ფასად), მაგრამ იუსუფ-ბეგმა დაეინებით მოითხოვა მათი გაღაცემა და სიკვდილით დასჯა. აჯანყების მეთაურთა თაეები ქალაქის მოედანზე გამოდეს.

ჰასან რუმლუს მიხედვით, თავრიზის აჯანყება მხოლოდ ორი წლის შემდეგ ჩააქრეს, ე.ი. 1573 წელს. წყაროები აჯანყებულთა მოთხოვნების შესახებ არაფერს გვამცნობენ. აჯანყების მასშტაბებმა და ხასიათმა ისე შეაშინა შაპ თამაზი, რომ იგი დაკმაყოფილდა აჯანყების 10-15 ხელმძღვანელის და 150 ყველაზე უფრო აქტიური მონაწილის სიკვდილით დასჯით. მან არ დაუშვა მასობრივი სიკვდილით დასჯა და ქალაქის განადგურება, რაც ასეთ შემთხვევაში შუა საუკუნეების აღმოსავლეთში ჩვეულებრივი ამბავი იყო. როგორც ჩანს, უზარმაზარი ქალაქის მოსახლეობის დამშვიდების და ახალი აჯანყების თაეიდან აცილების მიზნით, შაპმა ქალაქ თავრიზს მნიშვნელოვანი შეღავათები მიანიჭა. თავდაპირველად მან თავრიზელებს „აპატია“ ხელისნობაზე დადებული გადასახადები („მალ-ი მუპთარიფე“), ხოლო შემდეგ გაათავისუფლა ხაზინაში შესაგანი გადასახადებიდან, ანუ მას მიანიჭა საგადასახადო იმუნიტეტი – მუ'აფი.

შაპ თამაზ I-ის მმართველობის უკანასკნელ წლებში, ჯერ კიდევ თავრიზის აჯანყებამდე, გატარდა მნიშვნელოვანი რეფორმა: სამუდამოდ გააუქმეს თამღა, ანუ ეაჭრობასა და ხელოსნობაზე დადებული გადასახადი. თამღა პირველად შემოიღეს XIII ს-ში მონღოლმა ყაენებმა. იგი 300 წლის მანძილზე ამდიდრებდა უეოდალური სახელმწიფოს ხაზინას, მაგრამ უზარმაზარ ზიანს აყენებდა საქალაქო ცხოვრებას. ანონიმი ვენეციელი ვაჭრის სიტყვით (1514 წ), თავრიზში ყველა, ეისაც კი დახლი ჰქონდა ბაზარში, ყოველდღიურად, თავისი შემოსაელისა და ქონების მიხედვით. ვალდებული იყო გადაეხადა ორი ასპრიდან ერთ დუკატამდე (ოქროს მონეტა). ეს იყო თამღა. იგი ბაეისაგან და-

მოუკიდებლად აიღებოდა. ბაჟი მუსლიმებზე საქონლის საფასურის 5% ოდენობით აიღებოდა, ხოლო ქრისტიანებზე, ებრაელებსა და სხვა არამუსლიმებზე — 10%-ის რაოდენობით.

შაპ თამაზ I-ის მიერ თამღის გაუქმება „ზემოდან" ბრძანებით იყო ასსნილი, რომელიც თითქოსდა ძილში ღვთისაგან მიიღო. თამღის გაუქმების ნამდვილი მიზეზი კი XVI ს-ის II ნახევარში საქალაქო ცხოვრების დაცემა იყო, რამაც სახელმწიფოსათვის ძალზე საშიში ხასიათი მიიღო. შაპის ხელისუფლება იძულებული გახდა შეემსუბუქებინა ქალაქის მცხოვრებლების მდგომარეობა და გაეუქმებინა გამაჩანაგებელი თამღა. იმ დროიდან თამღა აღარ აღუდგენიათ. მის ნაცელად შემოიღეს ხელოსნობაზე დადებული შედარებით მსუბუქი გადასახადი — „მალი მუპთარიფე". გადასახადი საექსპორტო, საიმპორტო და სატრანსპორტო საქონელზე — ბაჟი შეინარჩუნეს.

§8. ირანი შაპ თამაზ I-ის მემკვიდრეების დროს

შაპ თამაზ I-ის სიკვდილმა (1576 წ.) ძალიან შეაშფოთა ყიზილბაში დიდებულები და შიიტი სასულიერო პირები. პასან რუმლუს ცნობით, სეიდები, ულემები და ყადიები შიშით კანკალებდნენ, რადგანაც „ნაძირალების და მაწანწალების" („რუნუდ ო ოუბაშ"), ანუ სახალხო აჯანყების ეშინოდათ. თამაზ I-ს თორმეტი ვაჟიშვილი პყავდა, რომლებიც, ყიზილბაშური ჩვეულებისამებრ, ყიზილბაში ამირას კარზე იზრდებოდნენ, თითოეულ მათგანს პყავდა „აღმზრდელი" — „ლალე" და უფლისწული ითვლებოდა ყიზილბაშური ტომის აღზრდილად. ბუნებრივია, შაპის გარდაცვალების შემდეგ, თითოეული ტომის ამირა ცილობდა თავის ტომში გაზრდილი უფლისწულის ტასტზე აყვანას. უსტაჯლუს ტომის ამირებმა შაპად გამოაცხადეს თავისი აღზრდილი შაპ-თამაზ I-ის მეხუთე შვილი პაიდარ მირზა, რომლის დედაც ქართველი ქალი იყო, შალიკაშვილის ასული. პაიდარ მირზას გახელმწიფებას მსარს უჭერდნენ შაპის კარზე დაწინაურებული ქართველები (პაიდარ მირზას დედის ძმა ალხან გურჯი, ზაალ გურჯი, თაჰმასპ გურჯი, დაუდ გურჯი და სხვანი), მაგრამ ავშარის, ყაჯარის, რუმლუს, ვარსაკის და სხვა ყიზილბაშური ტომების ამირებმა პაიდარ მირზას ხელმწიფობა არ სცნეს. ყაზვინში სისხლიანი ტრაგედია დატრიალდა:

ჰაიდარ-მირზა, მის მხარდამჭერთა დიდ ნაწილთან ერთად, მოკლეს. ავშარის ტომის ამირებმა ტახტზე აიყვანეს თავიათი „გაზრდილი“ ისმაილ-მირზა, რომელიც ეჭვიანი მამის – შაჰ თამაზ I-ის მიერ ოცი წლის განმავლობაში ალამუთის ციხეში იყო გამომწყვდეული (1556-1576 წწ.). სხვათა შორის, 1569 წლიდან ალამუთის ციხეში მასთან ერთად იყო ქართლის მეფე სიმონ I.

შაჰ ისმაილ II (1576-1577 წწ.) უნიჭო და სასტიკი მბრძანებელი იყო. იგი მასობრივი რეპრესიებით ცდილობდა თავისი ძალაუფლების განმტკიცება-შენარჩუნებას: მან სიკვდილით დასაჯა თავისი ექვსი ძმა, რომლებიც ყაზვინში ცხოვრობდნენ; მანვე პროვინციებში დააგზავნა ბრძანებები დანარჩენი ნათესავების დახოცვის შესახებ, მაგრამ ეს ბრძანება არ შესრულებულა, რადგანაც ისმალი II მოულოდნელად გარდაიცვალა თავისი ჰალეაჯი ბაშის (კონდიტრების უფროსის) სასახლეში. მისი მოულოდნელი სიკვდილის შესახებ რამდენიმე ვერსია არსებობს (ერთი ვერსიის მიხედვით, მან ბევრი თრიაქი მოსწია; მეორე ვერსიის მიხედვით, იგი ქალის ტანსაცმელში გადაცმულმა შეთქმულებმა მოკლეს; ზოგიერთი ვერსიის მიხედვით, მის მკვლელობაში ქართველები იყვნენ გარეული). ისმაილ II-ის სიკვდილის მიზეზად, ზოგიერთი მკვლევარი (პროფ. ნ. გელაშვილი და სხვ.) მის რელიგიურ პოლიტიკას ასახელებს. როგორც ცნობილია, ისმაილ II-მ დევნა დაუწყო შიიტებს და შეეცადა სუნიტობის გავრცელებას, რის გამოც აიმხედრა ყიზილბაშური არისტოკრატია, რომელმაც შეთქმულება მოაწყო მის წინააღმდეგ. შეთქმულებაში მონაწილეობდა მისი და ფერიხან-ხანუმი. „უმაღლესმა საბჭომ“ – „დივან-ე ალი“, ამირებმა და დიდებულებმა გადაწყვიტეს შაჰ თამაზ I-ის უფროსი შვილის მუჰამედის, მეტსახელად „ხოდაბენდეს“ („ღვთის მონა“) ტახტზე აყვანა. მუჰამედი ნახევრად უსინათლო იყო, რის გამოც ტახტის პრეტენდენტად არ ითელებოდა – იგი ხორასნის გამგებელი იყო. შაპი სულთან მუჰამედ „ხოდაბენდე“ (1577-1587 წ.) სუსტი ნებისყოფის და ავადმყოფი კაცი, მთლიანად მოქცეული იყო თავისი ცოლის, ყიზილბაშური ტომის ამირას ქალის, ენერგიული და მტკიცე ნებისყოფის მაჰდი ულიას გავლენის ქვეშ. შაჰ მუჰამედ „ხოდაბენდეს“ მასთან ორი ვაჟიშვილი ჰყავდა ჰამზა და აბასი. მაჰდი ულია ეყრდნობოდა ირანულ ბინადარ სამოქალაქო ბიუროკრატიას და ცდილობდა მათი დახმარებით ცენტრალური

ხელისუფლების განმტკიცებას, რის გამოც იგი მოკლეს, როგორც ჩანს, ყიზილბაშმა ამირებმა. შაჰი მუჰამედ-ხოდაბენდე იძულებული გასდა ჯარისათვის 14 წლის ჯამაგირი გაღაეხადა.

1578 წ. თურქეთმა ირანის წინააღმდეგ ომი განაახლა. ამჯერად, თურქეთის ერთ-ერთი უმთავრესი ამოცანა იყო ამიერკავკასიის ქვეყნების და კასპიის ზღვის დასავლეთ სანაპიროს ხელში ჩაგდება; აგრეთვე, ვოლგა-კასპიის სამდინარო მაგისტრალზე გაბატონება. ჯერ კიდევ თურქეთის სულთანი სელიმ II (1566-1574 წწ) ცდილობდა ვოლგისა და დონის არსით შეერთებას (1568 წ.); მან ამ მიზნით, ყირიმის ხანის დახმარებით მოაწყო ლაშქრობა ასტრახანზე (1569 წ.), მაგრამ ამ მცდელობამ მარცხი განიცადა. მაშინ სულთან მურადის მთავრობამ (მურად III, 1574-1595 წწ.) გადაწყვიტა ამიერკავკასიის ქვეყნების დაპყრობა. 1578 წ. თურქეთმა ამასიის 1555 წ. ზავი დაარღვია და აღადგინა ყარსის ციხესიმაგრე. თურქები მუსტაფა-ლალაფაშას მეთაურობით შემოიჭრნენ აღმოსავლეთ საქართველოში, აღმოსავლეთ სომხეთში, აზერბაიჯანში და ყველგან სიკვდილი და რბევა-აოხრება დათესეს. მათი შემოტევა შეაჩერა ნიჭიერმა და მამაცმა ტახტის მემკვიდრემ პამზა-მირზამ, რომლის ჯარებმაც სამხრეთ აზერბაიჯანში ორჯერ ბრწყინვალედ გაიმარჯვეს თურქებზე. მაგრამ, თურქებს მხარი დაუჭირა ქურთების სუნიტური არისტოკრატიის ნაწილმა. ამასთანავე, ჰამზა-მირზა ყიზილბაშური მომთაბარული არისტოკრატიის შეთქმულებმა მოკლეს. 1585-1589 წწ. თურქებმა დაიკავეს მთელი ჩრდილო და სამხრეთი აზერბაიჯანი თავრიზითურთ, რომელიც საშინლად ააოხრეს. ამასობაში, ხორასანში, ჯერ კიდევ შაპ მუჰამედ ხოდაბენდეს მმართველობის დასაწყისში აჯანყდნენ ყიზილბაშური ტომები უსტაჯლუ და შამლუ. ხორასნის ნომინალურ მმართველად ითელებოდა შაპ მუჰამედ „ხოდაბენდეს“ უმცროსი ვაჟი აბას-მირზა (დ. 1571 წ.). მისი „აღმზრდელი“ (ლალე) ალი-ყული ხან შამლუ დაუკავშირდა მურშიდ-ყული ხან უსტაჯლუს. მათ მხარს თავიანთი ტომები უჭერდნენ. მათ გადაწყვიტეს ახალგაზრდა აბას-მირზას შაჰად გამოცხადება, რაოა შემდეგ ბავშვის სახელით თეიმურ ემართათ სახელმწიფო. ჯერ კიდევ 1578 წ. მათ უარი უთხრეს მამას ბავშვის დაბრუნებაზე იმ საბაბით, რომ თითქოს უფლისწულის სიცოცხლეს სასახლეში საფრთხე ემუქრებოდა, ხოლო მერე, ხანგძლივი, უშედეგო მოლაპარაკების შემდეგ, აშკარა ომი დაიწყეს მუჰამედ — „ხოდაბენდეს-

თან". ჰამზა-მირზას, ერთადერთი ძლიერი მოქიშპის, მოკვლის ამბის გაგებისთანავე, ორივე ხანმა გაილაშქრა ყაზვინზე და დაიკავა ქალაქი (1587 წ.). შაპი მუჰამედი ამ დროს ფარსში სახალხო აჯანყების ჩაქრობით იყო დაკავებული. იგი ჯარმა მიატოვა, რის შემდეგაც მალე გარდაიცვალა.

§9. პერიოდის შედეგები

XVI ს-ის 80-იანი წლების ბოლოს ირანი განიცდიდა სერიოზულ ეკონომიკურ დაცემას, რომლის მიზეზიც იყო შაპის მთავრობის ეკონომიკური პოლიტიკა და ფეოდალური რენტის ზრდა. სეფიანთა სახელმწიფოს მდგომარეობა გართულებული იყო სახალხო აჯანყებებით და ფეოდალური შინაომებით; არასტაბილური იყო სახელმწიფოს საგარეო მდგომარეობა: თურქეთთან და ოზბეგთა სახანოებთან წარუმატებელი ომები სახელმწიფოსათვის განსაკუთრებით საშიში იყო.

§10. ირანის მდგომარეობა შაჰ აბას I-ის მეართველობის დასაწყისში

შაჰ აბას I-ის (1587-1629 წწ.) ზეობის დასაწყისში ირანის საშინაო, ისევე როგორც საგარეო-პოლიტიკური ვითარება უკიდურესად მძიმე იყო. 1587-88 წწ. შუა აზიის ოზბეგური სახელმწიფოს ჯარებმა მთელი ხორასანი ქალაქებით — მერვით, პერათით, მეშპედით და ნიშაბურით დაიკავეს; აღმოსავლეთი სომხეთი, აზერბაიჯანი და ირანის დასავლეთი, განაპირა რეგიონები თურქებმა დაიპყრეს. თურქებმა დაპყრობილი რეგიონების მოსახლეობის დიდი ნაწილი ტყვედ წაიყვანეს და მონად აქციეს. თურქების მიერ ძარცვა-რბევა რელიგიური ფანატიზმით იყო გამართლებული: თუმცა შარიათი სასტიკად კრძალავდა მუსლიმის მიერ მუსლიმის მონად ქცევას თვით ომის დროსაც კი, თურქეთის სუნიტურმა სამღვდელოებამ დასაშვებად მიიჩნია „ურწმუნო" შიიტების ტყვედ წაყვანა, გაყიდვა და მონად ქცევა. ამიტომაც იყო, რომ თურქების მიერ თავრიზის აღების შემდეგ, ადგილობრივი სეი'იდები მონად აქციეს და მიპყიდეს „ფრანგ" და ებრაელ ვაჭრებს სტამბულში.

ქვეყნის შიგნით ფეოდალურ დაჯგუფებებს შორის შინაური ბრძოლა და სშირი სახალხო აჯანყებები იყო. შაჰ აბას I ტახტზე აიყვანა ყიზილბაშური სამხედრო ნომადური არისტოკრატიის ერთმა დაჯგუფებამ მურშიდ-ყული ხან უსტაჯლუს და ალი-ყული ხან შამლუს მეთაურობით. ორივე ხანი ეარაულობდა ახალგაზრდა შაჰის ხელში ჩაგდებას და თავისი პირადი მიზნებისათვის გამოყენებას. შემდეგ, თანამგზრახველებს შორის დაიწყო ბრძოლა ძალა უფლებისათვის, რომელშიც გაიმარჯვა მურშიდ-ყული ხანმა. მაგრამ, მალე ეე შაჰ აბასმა უარი თქვა მურშიდ ყული-ხანის მეურვეობაზე და იგი მოაკელეეინა. მაშინეე შაჰმა დაიწყო დაყრდნობა ფეოდალთა კლასის იმ დაჯგუფებაზე, რომელიც დაინტერესებული იყო ძლიერი ცენტრალური ხელისუფლების არსებობით — სამოქალაქო ბიუროკრატიაზე, თიოქმის მთლიანად სპარსელებზე. მათზე დაყრდნობით, შაჰი უპირატესობას ანიჭებდა სპარსული ელემენტს თურქულ-აზერბაიჯანულ ელემენტთან შედარებით.

შაჰ აბას I-მა რუსეთის მთავრობას შესთავაზა თურქეთის წინააღმდეგ ერთობლივი საომარი მოქმედების დაწყება: მას უნდოდა თურქეთის მიერ ცოგა ხნის წინ დაპყრობილი კასპიის ზღვის სანაპირო ზოლის და შირვანის ხელში ჩაგდება (მოვიგონოთ, რომ შირვანი აბრეშუმით მდიდარი ქვეყანა იყო). სეფიანთა სახელმწიფოსათვის თურქეთის წინააღმდეგ ბრძოლაში დასმარების სანაცვლოდ აბას I-ის ელჩი ჰანდი-ბეგი რუსეთს პირდებოდა ბაქოსა და დარუბანდის მიმდებარე რეგიონების გადაცემას. მეფე თეოდორე ივანეს ძის მთავრობა ცდილობდა ირანისაგან ამ დათმობის ფორმალური დადასტურების მიღებას. შაჰ აბას I-ის ელჩი დიდხანს თავს არიდებდა რუსეთის ამ მოთხოვნის შესრულებას, ზეპირი დაპირებებით იფარგლებოდა. ბოლოს და ბოლოს მან შაჰისაგან მიიღო ნებართვა წერილობითი ვალდებულების შესახებ. მაგრამ რუსეთს, რომელიც დასუსტებული იყო „ლივონიის" ხანგრძლივი ომით და შვედეთთან, პოლონეთთან და ყირიმის ხანთან გამწვავებული ურთიერთობა პქონდა, არ შეეძლო ისეთ ძლიერ სახელმწიფოსთან, როგორც იმ დროს ოსმალეთის იმპერია იყო, ომი დაეწყო. იგი დაღესტნის საზღვრებთან ლოკალური ხასიათის საომარი ოპერაციებით შემოიფარგლა.

1590 წ. სეფიანთა სახელმწიფო იძულებული გახდა დაედო მისთვის საზიანო ზაეი ოსმალეთის იმპერიასთან, რომლის ძალი-

თაც ოსმალეთის ხელში გადაეიდა აღმოსავლეთი საქართველო, აღმოსავლეთი სომხეთი, ქურთისტანი, მთელ ჩრდილო და სამხრეთი აზერბაიჯანი (არდებილსა და თალიშს გარდა) და ლურისტანის ნაწილი.

უფრო აღრე, მთელ რიგ ოლქებში იფეთქა ადგილობრივი ფეოდალების აჯანყებებმა, რომლებსაც ხშირად, მსარს უჭერდა ხალხის მასა; სალხი იტანჯებოდა ცენტრალური ხელისუფლების მიერ XVI ს-ის 70-80-იან წლებში დაწესებული გადასასადების სიმძიმისაგან: ისქანდერ მუნშის სიტყვით, ზოგიერთი გადასახადი ხუთჯერ გაიზარდა.

1588 წ. აჯანყდა შაპვერდი-სანი — ლურისტანის მბრძანებელი; 1589 წ. ხორასანში აჯანყდა და სისტანის დაპყრობას ცდილობდა შაპის ნათესავი უფლისწული რუსტამ მირზა; ფარსში აჯანყდა ყიზილბაშური მომთაბარე ტომი შულკადარი; ქერმანში — ყიზილ-ბაშური ტომი ავშარი. ეს აჯანყებები შაპის მთავრობამ ჩააქრო. ისპაანში აჯანყდა ადგილობრივი მმართველი იული — ბეგი; შაპმა ვერ მოახერხა ციტადელის აღება, სადაც აჯანყებულები გა-მაგრდნენ და იძულებული გახდა იული — ბეგს მორიგებოდა.

გილიანში, გილიანის „ბიიე-ფიშის" ყოფილმა მფლობელმა, შაპ მუპამედ-„ხოდაბენდეს" მიერ თავის დროზე აღდგენილმა აპმედ-სან ლაპიჯანელმა, თურქეთთან გააბა მოლაპარაკება; იგი შემდეგ აშკარად განუდგა სეფიანებს (1590 წ.), მაგრამ შაპის ჯარებთან ბრძოლაში დამარცხდა და გაიქცა (1592 წ.). აბას I-მა გილიანი თა-ვის საკუთარ დომენად გადააქცია (ხასსე). ამასთან დაკავშირებით გადასასადების ზრდამ გამოწვია „გილიანის დაბალი ფენების" ანუ ხალხის აჯანყება, რომელიც შაპის ჯარებმა დიდი გაჭირვებით ჩააქრეს (1593 წ.). იმავე წელს ჩააქრეს სახალხო აჯანყებები თალიშში და ლურისტანში, ხოლო 1596 წ. სეიდ მუბარექის აჯანყება არაბისტანში. ამის შემდეგ შაპ აბას I-მა ილაშქრა მაზენდარანში, დაამხო ადგილობრივი მფლობელების ოთხი ღინა-სტია და ეს ოლქი თავის საკუთარ დომენად გადააქცია (1596 წ.). შაპ აბას I სახალხო აჯანყებებს დიდი სისასტიკით აქრობდა: მაგ., გილიანში ძალიანად ამოწყვიტეს ჯიქის ტომი, უფრო მოგვიანე-ბით ასეთივე ბედი ეწვია ქურთულ მუკრის და ყიზილბაშურ თე-ქელუს ტომებს.

§11. შაჰ აბას I-ის რეფორმები

შაჰ აბას I-ის ხელისუფლებამ თურქეთთან 1590 წ. ზავი გამოიყენა როგორც აუცილებელი შესვენება ოზბეგებთან ომისა და ზოგიერთი რეფორმის გატარებისათვის. აბას I-ის ჯარებმა გაიმარჯვეს მავერანაპრის უზბეკებთან ომში და მათ მთელი ხორასანი ქალაქებით ნიაბურით, მემპედით, ჰერათით და მერვით წაროვეს (1597 წ.).

შაჰ აბას I-ის მთავრობა, როგორც უკვე ითქვა, სამოქალაქო ბიუროკრატიას ეყრდნობოდა. იგი კარგად ხედავდა, რომ თურქების ჯარის წარმატების მიზეზები ნაწილობრივ საძიებელი იყო მათი ჯარის ორგანიზაციის უპირატესობასა და სეფიანთა სამხედრო ძალის ჩამორჩენილობაში. თურქეთს, ფეოდალური ლაშქრის ვეერდით, მუდმივი ჯარი ჰყავდა; კერძოდ, პქონდა შესანიშნავი არტილერია და ჰყავდა იანიჩართა ქვეითი ჯარი; სეფიანთა ჯარი ვარდა ცხენოსნების გვარდიელთა კორპუსისა (მოისრები, ყორჩიები), შედგებოდა აგრეთვე მომთაბარეთა ცხენოსანი ლაშქრისაგან, რომელსაც შენარჩუნებული პქონდა თავისი ტომობრივი ორგანიზაცია და რომელიც სალაშქროდ ოჯახებითა და ჯოგებით გამოდიოდა; ამასთანავე, ნაწილობრივ ადგილობრივი ფეოდალური ლაშქარიც იყო ჯარში. როგორც ყორჩიები (6000 კაცი), ასევე ფეოდალური ლაშქრის მეომრები (მულაზიმები) უმეტეს წილად მომთაბარე-ყიზილბაშები იყვნენ (მოგვიანებით ყორჩიებს უწოდებდნენ ყიზილბაშური ტომებიდან გამოსულ მეომარს). ყველა ყიზილბაშურ ტომში (XVI ს-ის ბოლოს ასეთი 15 ტომი იყო) 200000 სამხედროვალდებული ირიცხებოდა, მაგრამ ჯარში რეალურად 60000 ყიზილბაშზე მეტი არასოდეს ყოფილა. ამ რაოდენობაზე გამოპყოფდა სახელმწიფო ჯამაგირს. ამას ზედ ერთოდა ისიც, რომ ყიზილბაშური ლაშქარი სშირად დაუმორჩილებელი იყო.

შაჰის მთავრობამ გადაწყვიტა ჯარის რეორგანიზაცია და ეს საქმე ცნობილ სარდალ ალავერდი-ხან უნდილაძეს და ინგლისელ ავანტიურისტებს — ძმებს ანტონი და რობერტ შერლებს დაავალა. ეს უკანასკნელნი ყაზვინში მოვიდნენ და შაჰის კარზე სამსახური დაიწყეს 1598 წ. ინგლისელი ისტორიკოსები (ჯონ მალკოლმი და სხვები), ძმები შერლების მემუარებზე დაყრდნობით, შაჰ აბას I-ის რეფორმების საქმეში მათ როლს გადაჭარბებით აფასებენ. სპარ-

სული წყაროების მიხედვით, ძმები შერლები ამ საქმეში მოკრძალებულ, წმინდა ტექნიკურ როლს ასრულებდნენ. ჩამოყალიბდა თორმეტათასიანი მუდმივი ჯარი მეთოფეების (თოფანმჩიების-სპარსელები); შეიქმნა აგრეთვე ათიათასიანი ცხენოსანი ღოლამების კორპუსი (გვარდია). ღოლამების კორპუსი, თურქი იანიჩრების მსგავსად, კომპლექტდებოდა ქართველი, სომეხი, ჩერქეზი, აფხაზი და საერთოდ კავკასიელი ჭაბუკებით, რომლებიც ირანში იძულებით იყვნენ გამუსლიმებულნი. ღოლამთა კორპუსში (ყულის ჯარში) ქართული ელემენტი დომინირებდა. ჩამოყალიბდა აგრეთვე არტილერიის პარკი (თოფხანე) და არტილერისტთა ნაწილები (თოფჩიები-არტილერისტები). თოფანმჩიები და თოფჩიები სპარსელები იყვნენ.

ინგლისელი ისტორიკოსის მალკოლმის წყალობით, რომელიც სარგებლობდა XVIII ს-ის პირველი ნახევრის ისტორიკოსის მუჰამედ მუჰსინის „ზუბდათ ათ-თავარიხით", საისტორიო მეცნიერებაში დიდი ხნის განმავლობაში გაბატონებული იყო მოსაზრება, რომ შაჰ აბას I-მ გაანადგურა ყიზილბაშურ ტომთა ორგანიზაცია და მის ნაცელად შექმნა ახალი სამხედრო ორგანიზაცია „შაჰსევნებისა" („შაჰის მოყვარულების"), რომელში შესელაც შეეძლო სხვადასხვა მომთაბარე ტომთაგან გამოსულებს. ამჟამად დადგენილია, რომ ეს ცნობა მოგვიანებით შექმნილი ლეგენდაა. შაჰ აბას I-ის დროინდელი წყაროები (ისქანდერ მუნში და სხვები) არაფერს გვამცნობენ შაჰ აბას I-ის ამგვარ ღონისძიებებზე. პირიქით, ისქანდერ მუნშის და სხვა ავტორთა ცნობებიდან კარგად ჩანს, რომ ყიზილბალურ ტომთა გაერთიანებები არსებობას განაგრძობდნენ.

ისქანდერ მუნშის მიერ მოტანილი სიით (1629 წ.) ყიზილბაშური ტომები შემდეგი რიგით არიან წარმოდგენილი: შამლუ, უსტაჯლუ, ზულყადარი, ყაჯარი, ავშარი, თორექმანი, ასირლუ, რუმლუ, ყარადაგლუ, ბაიათი, თალიში, ალფაუთი, ჯაგირლუ, ყაზახლუ, ბაიბურდლუ; ამ ტომების სათავეში 35 ამირა (ხანი და სულთანი) იდგა. თალიში იყო ერთადერთი ირანული „ტომი" (სინამდვილეში ეროვნება), რომელიც ყიზილბაშურ ტომთა გაერთიანებაში ჯერ კიდევ XVI ს-ში იყო დაშვებული. მხოლოდ ერთი ყიზილბაშურ ტომთაგან — თექელუს ტომი, რომელიც ხშირად ჯანყდებოდა, შაჰის ბრძანებით 1596 წ. თითქმის მთლიანად ამოწყვიტეს: მან შეწყ-

ვიტა არსებობა. მაგრამ ყიზილბაშური ტომებიდან მულაზიმების რიცხვი, რომლებიც საზინიდან იღებდნენ ჯამაგირს, 30000-მდე შემცირდა. შაპ აბას I-ის დროს ჯარში 120000 კაცი ირიცხებოდა: 44000 კაცი — მუდმივ ჯარში (ყორჩიები, თოფანჩიგები, თოფჩიები და ღულამები; შაპ აბას I-ის შემკვიდრეების დროს მუდმივი ჯარის რიცხვი ძალზე შემცირდა) და 75000 კაცი — ფეოდალურ ლაშქარში (30000 ყიზილბაში, დანარჩენი თურქმენი, ქურთი, ლური, სხვა მომთაბარე და ბინადარი ირანელი ფეოდალური მფლობელის ლაშქარი).

წყაროების თნასმად, შაპ აბას I-ის დროს „შაჰსევეანს" უწოდებდნენ ყველა იმას, ვინც ნებაყოფლობით იწყებდა შაჰთან სამსახურს. მხოლოდ უფრო გვიან, XVII ს-ის მეორე ნახევარში „შაპსევენები" ეწოდა პრივილეგირებულ კორპორაციას, რომელიც ყიზილბაშური ტომების რაშმებიდან შეღგებოდა.

შაპ აბას I-ის სამხედრო რეფორმას მარტო ორგანიზაციულ-ტექნიკური კი არა, პოლიტიკური მნიშვნელობაც ჰქონდა. ყიზილბაშური მომთაბარე ტომების ძლიერება და გავლენა (ეს ტომები თავიანთი პრეტენზიებით და შინაური ბრძოლით შაჰის ხელისუფლებას ასუსტებდნენ), თუ სავსებით მოსპობილი არა, საფუძვლიანად იქნა შერყეული. მუდმივი ჯარის შექმნამ შეასუსტა ყიზილბაშთა და სხვა თურქულ-თურქმანულ ტომთა ფეოდალური ლაშქრის მნიშვნელობა. ამასთან ერთად, შაჰ აბას I-ის დროს განმტკიცდა ცენტრალური ხელისუფლება და გაძლიერდა სამოქალაქო ბიუროკრატია, რომლის კადრები ირანელებით დაკომპლექტდა. საერთოდ, შაჰ აბას I-ის დროიდან ირანული ელემენტი იწყებს გაცილებით მნიშვნელოვანი როლის შესრულებას სახელმწიფოს მმართველობაში, თუმცა თურქული მომთაბარული ელემენტის როლი, განსაკუთრებით ჯარში, მაინც მნიშვნელოვანი იყო. ჯარისა და ხელმწიფის კარის ენად თურქულს აღიარებდნენ (აზერბაიჯანული); სამხედრო და კარის მოხელეების თანამდებობების სახელწოდებები თურქული დარჩა. გვარდიელი ღულამების სახით გაძლიერდა ქართული ელემენტის როლი. შაპ აბას I-მა დედაქალაქი 1598 წ. ყაზვინიდან ცენტრალურ ირანში — ისპაანში გადაიტანა, რაც აგრეთვე ხელს უწყობდა ირანული ოლქების სამეურნეო და პოლიტიკური მნიშვნელობის ზრდას სეფიანთა სახელმწიფოს სისტემაში: სეფიანთა სახელმწიფოს ცენტრალური ოლქი ახლა უკვე არა აზერბაიჯანი, არამედ შიდა ირანია.

§12. სეფიანთა სახელმწიფოს საგარეო პოლიტიკა შაჰ აბას I-ის დროს

თურქეთთან ახალი ომის სამზადისის დროს, შაჰ აბას I-მა იზრუნა თურქეთისაღმი მტრულად განწყობილ ევროპულ სახელმწიფოებთან პოლიტიკური კავშირის დამყარებაზე. ჯერ კიდევ 1602 წ. ირანში მოვიდნენ გერმანიის იმპერატორის რუდოლფ II-ის ელჩები (კაკაში და ტეკტანდერი) და ესპანეთ-პორტუგალიის კოროლის ფილიპე III-ის ელჩი (გოვეა). თავის მხრივ, აბას I-მა ევროპაში ელჩებად გააგზავნა ანტონი შერლი და პუსეინ ალი-ბეგი; მათ დაავალა რუსეთის, გერმანიის იმპერატორის, რომის პაპის და ესპანეთის მეფის კარის მონახულება.

1603 წ. აბას I-მა თურქეთთან ომი დაიწყო. ამ ომში, პირველად მთელი საუკუნის განმავლობაში, სეფიანთა სახელმწიფო უტეედა, ხოლო თურქეთი თავს იცავდა. 1603 წ. ყიზილბაშებმა აიღეს თავრიზი. ირანისათვის განსაკუთრებით წარმატებული იყო 1603-1607 წწ. პერიოდი, როდესაც ლურისტანი და ქურთისტანის ნაწილი, აზერბაიჯანი, სომხეთის აღმოსავლეთი ნაწილი და აღმოსავლეთის საქართველო კვლავ დაიკავეს ირანის ჯარებმა. ამ საომარი კამპანიის დროს განსაკუთრებით გამოიჩინეს თავი ალავერდი-ხანის ჯარებმა.

აღსანიშნავია, რომ ამ ომის დროს შაჰ აბას I 1603 წ. 16.XI შემოადგა ძალზე გამაგრებული ერევნის ციხეს, რომლის ალყაც დიდხანს გაგრძელდა. ციხე მხოლოდ 1604 წ. გვიან გაზაფხულზე დაეცა. ერევნის ალყის დროს შაჰ აბას I-მა თავისი „ყმები" (ხელდებულები) ქართლის მეფე გიორგი და კახეთის მეფე ალექსანდრე II იხმო, რომლებიც ჯარითა და მისართმეველით ეახლნენ ირანის მბრძანებელს. შაჰ აბას I-მა ერევანი ქართველთა დახმარებით აიღო.

ერევნის ბრძოლაში მონაწილეობისათვის შაჰ აბას I-მა ხელმწიფური სიუხვით დააჯილდოვა ქართლისა და კახეთის მეფეები: გიორგი მეფეს უბოძა სამასი თუმანი ყოველწლიური ჯამაგირი ლაჰიჯანის შემოსავლიდან, ფუშთუქუნი (ფოშთ-ი ქუჰ) და ხუინი. სამაგიეროდ გამოსთხოვა ლორე-დებედას ხეობა, სადაც მაჰმადიანური სახანო შექმნა ლორის მელიქით სათავეში. ამავე დროს შაჰმა დებედას ქვემო წელში თურქმანული ტომი „ბორჩა-

ლუ“ ჩამოასახლა და ის აღჯაყალის ციხისთაეს დაუქეემდებარა. „ამრიგად, შაპ აბასმა ლორე-დებედას საკითხი საბოლოოდ გადაჭრა; ქართლის ალაყაფი მოარღვია და ქვეყნის თავდაცვის უნარიანობას ერთი დაკვრით დამბლა დასცა“ (ნ. ბერძენიშვილი).

ასეეე დაასაჩუქრა კახეთის მეფე ალექსანდრეც: მასაც უბოძა მიწები ირანში და ყოველწლიურად შეიდასი თუმანი ჯამაგირი. სამაგიეროდ, შაჰის „თხოვნით“ ალექსანდრე მეფემ საცხოვრებელი ადგილი მიუჩინა ერთ-ერთ თურქმანულ ტომს. ამავე დროს კახეთის მეფემ შაპ აბასს „დაუთმო“ კახეთის აღმოსავლეთი კარი: კაკ-ენისელი. აქედან შაჰმა ცალკე მაჰმადიანური სასულთნო შექმნა და ერთ რენეგატ კახელ თავადს უწყალობა. კაკ-ენისელის სულთანი ამიერიდან უმუალოდ შაპს ემორჩილებოდა.

სეფიანთა სახელმწიფოს გამარჯვება განპიროვნებული იყო არა მარტო შაპ აბას I-ის სამხედრო რეფორმით, არამედ თურქეთის სახელმწიფოს მძიმე შინაპოლიტიკური ვითარებითაც. თურქეთის ძლიერება ძირგამოთხრილი იქნა სამეურნეო დაცემით, ევროპაში სამხედრო წარუმატებლობით, ფეოდალური შინაომებით და მცირე აზიაში ე.წ. „ჯელალიების“ დიდი აჯანყებით, რომელშიც გლესებიც მონაწილეობდნენ. თურქეთის ჯარი იმდენად დემორალიზებული იყო, რომ მისი ცალკეული ნაწილები შაპის მხარეს გადადიოდნენ და მას თავის სამსახურს თავაზობდნენ. 1612 (13 წ.) სტამბულში დადებული ზავით სეფიანთა სახელმწიფომ შეინარჩუნა 1555 წ. ზავით მისთვის მიკუთვნებული ტერიტორია, მაგრამ შაპმა იკისრა სულთნისათვის ყოველწლიურად 200 ხარვარი (59000 კგ) ნედლი აბრეშუმის გაგზავნა, თითქოსდა თურქეთის მიერ შირვანის დაკარგვის საკომპენსაციოდ.

1616 წ. ირანსა და ოსმალეთს შორის ომი კელავ განახლდა, მაგრამ თურქეთმა წარმატებას ვერ მიაღწია. 1618 წ. სარავში (სამხრეთ აზერბაიჯანში) დაიდო საზავო ხელშეკრულება, რომელმაც სტამბულის ზავის პირობები დაადასტურა, მხოლოდ თურქეთის სულთნისათვის გასაგზავნი ნედლი აბრეშუმის რაოდენობა შეამცირეს 100 ხარვარამდე (29000 კგ-მდე). 1623 წ. ირან-ოსმალეთს შორის ომი განახლდა. შაპ აბას I-მა ისარგებლა ბაღდადში სულთან მუსტაფა I-ის წინააღმდეგ თურქი დიდმოხელის ბექირ სუბაშის აჯანყებით, ალყა შემოარტყა, აიღო ბაღდადი და დაიკავა მთელი არაბეთის ერაყი (1623-1624 წწ.). ამასთან ერთად შეიერთა ქალაქები

მოსული, ბასრა და შიიტებისათვის წმინდა ქალაქები ნეჯეფი და ქერბელა იმამების აღისა და პუსეინის საფლავებით.

შაჰ აბას I თავისი ელჩების პირით არაერთხელ ისოულობდა „დიდ მოკოლ“ ჯეპანგირისაგან მნიშვნელოვანი ქ. ყანდაპარის დაბრუნებას, მაგრამ ვერაფერს მიაღწია. თურქეთთან დადებულმა სარავის ხელშეკრულებამ და მაეერანაპრის ოზბეკთა სახანოებთან (ბუსარის) მშვიდობიანი ურთიერთობის განმტკიცებამ შაჰ აბას I-ს აღმოსავლეთისაკენ ლაშქრობის და ყანდაარის დაპყრობის საშუალება მისცა (1622 წ.).

შაჰ აბას I პორტუგალიელებთანაც ომობდა. ორმუზის (ჰორმუზი) კუნძულზე, სპარსეთის ყურეში, ირანული პორტის გამბრუნის პირდაპირ, მდებარეობდა ცნობილი ნაესადგური, რომელიც XVI ს-ში იყო ინდოეთთან, ნაწილობრივ ჩინეთთან, არაბეთთან და ევროპის ქვეყნებთან საქარავანო-საზღვაო გზის ბირეა და საქონლის საწყობი. ჯერ კიდევ 1507 წელს, პორტუგალიელებმა, რომელთაც ცოტა ხნით ადრე (XV ს-ის ბოლოს) აღმოაჩინეს ინდოეთისაკენ აფრიკის გარსშემოვლით საზღვაო გზა, დაიპყრეს ორმუზი და უარყვეს შაჰ ისმაილი I-ის მოთხოვნა მისთვის გადასახადის გადახდის თაობაზე, მაგრამ შემდეგ დაკარგეს კუნძული. 1515 წ. ალფონსო დ'ალბუკერკემ — ადმირალმა, ცნობილმა მეზღვაურმა და ინდოეთში პორტუგალიის სამფლობელოების (გოა და სხვ.) ეიცეკოროლმა, კელავ დაიპყრო ორმუზი, რაისთან ერთად გაქლიტა იქ ყიზილბაშთა მომსრეები, მაგრამ ადგილობრივი მბრძანებელი თურანშაპი დატოვა პორტუგალიის ვასალი — მოხარკის სტატუსით. პორტუგალიელებმა გაამაგრეს ორმუზი, იქ თავიანთი გარნიზონი ჩააყენეს, უფრო გვიან შემოიღეს ინკვიზიცია. XVI ს განმავლობაში ორმუზში ჩამოყალიბდა მნიშვნელოვანი სავაჭრო პორტუგალიური კომპანია და ის კიდევ უფრო გამდიდრდა.

შაჰ აბას I-სათვის ორმუზის პორტი მნიშვნელოვანი იყო ირანული აბრეშუმის ევროპაში გატანასთან დაკავშირებით. შაპი დაინტერესებული იყო იმით, რომ ირანული აბრეშუმი ევროპაში გატანილიყო არა სახმელეთო გზით — თურქეთის ტერიტორიის გაელით (თურქეთი დიდ საბაჟო გადასახადს ახლევინებდა ირანს), არამედ საზღვაო გზით — აფრიკის გარსშემოელით. ამ გზით აბრეშუმის გატანა უფრო იაფი დაჯდებოდა, ვიდრე თურქეთის ან

ეოლგა-კასპიის გზით და შაპს დიდ შემოსავალს მოუტანდა (აბრეშუმით ვაჭრობა შაპის ხაზინის მონოპოლია იყო).

შაპის მოლაპარაკებას ესპანეთისა და პორტუგალიის მეფე ფილიპე III-თან რობერტ შერლის შუამავლობით ორმუზის პორტიდან აბრეშუმის გატანის თაობაზე სასიკეთო შედეგი არ მოპყოლია. ამავე დროს პორტუგალიელებთან წარმატებით იწყებს მეტოქეობა სხვა კოლონიზატორებმა – ინგლისელებმა. 1600 წ. დაარსდა ინგლისური სავაჭრო კორპორაცია „ოსტ-ინდოეთის კომპანია", რომელიც ცდილობდა პორტუგალიელების გაძევებას მათი ბაზებიდან ინდოეთში. შაპის ხელისუფლების ინტერესები იმ დროს დაემთხვა ოსტ-ინდოეთის საავაჭრო კომპანიის ინტერესებს: ირანული აბრეშუმის ყიდვა უშუალოდ ირანში ინგლისელ ვაჭრებს 50%-ით იაფი უჯდებოდათ, ვიდრე იგივე ირანული ნედლი აბრეშუმის შესყიდვა სირიის ქალაქ ალეპოში – აბრეშუმით ვაჭრობის უმთავრეს თურქულ ქალაქში. უკვე 1614 წ. შაპ აბასმა ოსტ-ინდოეთის კომპანიის საავაჭრო გემებისათვის ხელსაყრელი ფირმანი გამოსცა, ხოლო შემდეგ ამ კომპანიას კიდევ უფრო დაუახლოდა. 1618 წ. შაპ აბას I-მა კეთილგანწყობით მიიღო ესპანეთ-პორტუგალიის ელჩობა, მაგრამ ამ უკანასკნელმა ორმუზის უსაფრთხოების გარანტია ვერ მოიპოვა.

1620 წ. ოსტ-ინდოეთის ინგლისური კომპანიის სამხედრო გემებმა გაიმარჯვეს პორტუგალიელების ფლოტზე სპარსეთის ყურეში, ჯასკთან. 1623 წ. ოსტ-ინდოეთის კომპანიამ ორმუზის დასაპყრობად შაპ აბას I-ს თავისი ფლოტი ათხოვა. ალაევერდი ხანის შვილი, ფარსის გამგებელი იმამყული-ხანი მეთაურობდა შაპის ჯარს, რომელიც ინგლისური გემებით გადაიყვანეს ორმუზთან. სეფიანთა ჯარებმა და ინგლისელებმა ერთობლივი ძალისხმევით ორმუზი აიღეს. პორტუგალიელები განდევნეს.

შაპ აბას I-ს ორმუზის დასაცავად ფლოტი არ ჰყავდა, ამიტომაც მან ბრძანა მისი სამაგრეების დანგრევა, ხოლო სავაჭრო პორტი გადაიტანა მატერიკზე – გამბრუნში, რომელსაც „ბენდერ-აბასი" („აბასის ნაესადგური") დაარქვეს. შაპის ინგლისელი მოკავშირეები პრივილეგიებით, კერძოდ, უბაჟოდ ვაჭრობის უფლებით დაჯილდოვდნენ; ამასთანავე, მათ მისცეს უფლება ბენდერ-აბასის საბაჟოს შემოსავლის წილზე, აგრეთვე ბენდერ-აბასიში ინგლისური საავაჭრო ფაქტორიის დაარსებისა. მაგრამ ინგლისუ-

ლები უფრო მეტს მოელოდნენ: მათ უნდოდათ ირანში ინგლისის ქვეშევრდომთათვის ექსტერიტორიალობის უფლება (ასეთი უფლება პქონდათ ევნეციელებს, ფრანგებს და ინგლისელებს თურქეთში), აგრეთვე — მონოპოლია ირანიდან ევროპაში აბრეშუმის გატანის საქმეში. მათ ეს ვერ მიიღეს და ამიტომაც შაჰის მთავრობით უკმაყოფილო იყვნენ; მით უმეტეს, რომ მალევე ბენდერ-აბასიში გამოჩნდა ჰოლანდიური საეკვრო ფაქტორია, რომელმაც შაჰისაგან ისეთივე პრივილეგიები მიიღო და რომელიც ექიშპებოდა ინგლისურ ფაქტორიას.

შაჰ აბას I-მა არაერთხელ გაცვალა ელჩობები რუსეთთან, ჰოლანდიასთან, საფრანგეთთან, ესპანეთთან, გერმანიის იმპერატორთან, რომის პაპთან. მთელი რიგი ევროპული ქვეყნების ვაჭრებმა აგრეთვე მიიღეს ირანში სხვადასხვა პრივილეგიები, მაგრამ ევროპელ ვაჭრებს ეს პრივილეგიები ეძლეოდა ევროპული სახელმწიფოებთან დადებული პოლიტიკური და ეკონომიკური ხელშეკრულებების შედეგად მიღებული სარგებლის სანაცვლოდ. არც შაპს აბას I-ის არც მისი მემკვიდრეების დროს ირანი ევროპულ სახელმწიფოებზე დამოკიდებული ქვეყანა არ ყოფილა.

§13. შაჰ აბას I-ის საშინაო პოლიტიკა

შაჰ აბას I-ის დროს სეფიანთა სახელმწიფო გაცილებით ცენტრალიზებული იყო, ვიდრე პირველი სეფიანების დროს. შაჰ აბას I-ის დროს გაიზარდა სახელმწიფო მიწების (დივანის მიწების) და შაჰის კერძო მიწების (ხასეს მიწების) ფონდი. შაჰ აბას I-მა ზოგიერთი სახანოს და სამელიქოს გაუქმება მოახერხა, მაგრამ ყველასი — ვერა. ფეოდალური დაქუცმაცებულობის აღკვეთა ცენტრალურმა ხელისუფლებამ ვერც შაჰ აბას I-ის და ვერც მისი მემკვიდრეების დროს მთლიანად ვერ შეძლო.

შაჰ აბას I ცდილობდა, რომ დაპყრობილი ქვეყნების გაძარცვისა და ექსპლუატაციის სარჯზე, ცენტრალური ირანის საწარმოო ძალები განვითარებულიყო. მაგ., შირვანის დაპყრობის შემდეგ (1607 წ.) შაჰი ცდილობდა თურქეთის მიერ ისედაც გაპარტახებული რეგიონიდან უზარმაზარი თანხის, 50000 თუმნის (500 მილიონი დინარის) აკრეფას, მაგრამ 30000 თუმანზე მეტი ვერ მოაგროვა; ლურისტანიდან აკრეფილ იქნა 10000 თუმანი და სხვ.

ამავე დროს, 1612 (13) წ. თურქეთთან დადებული ზავის შემდეგ ისპაანში დაბრუნებულმა შაპმა მოსახლეობა 3 წლით გაათავისუფლა გადასახადების გადახდისაგან 15000 თუმნის ფარგლებში. სპარსეთის ერაყში ანუ ირანის ცენტრალურ ოლქში გააუქმეს პირუტყვზე დადებული გადასახადი („ჩობანბეგი"), რომელიც მძიმე ტვირთად აწვა მოსახლეობას. XVI ს-ის 70-80-იან წწ-ში გაზრდილი გადასახადები წინა პერიოდის დონემდე შეამცირეს. ამ ღონისძიებებმა სგიმული მისცა ცენტრალური ირანის ცნობილ აღორძინებას. პირიქით, ცენტრალური ხაზინა პერიფერიებიდან გაძლიერებული ენერგიით ქაჩავდა სახსრებს გადასახადების სახით, რაც პერიფერიების ეკონომიკის დაცემას ხელს უწყობდა. ომები და დაპყრობილი ქვეყნების ძარცვა მარგო ხაზინას კი არ ამდიდრებდა, არამედ ფეოდალურ არისტოკრატიასაც. ყორჩიბაშმა ალაჰ-ყული ბეგ ყაჯარმა (ყორჩიების კორპუსის სარდალმა) სამხედრო დავლიდან თავისთვის უზარმაზარი თანხა 20000 თუმანი (200 მილიონი დინარი) დააგროვა.

შაჰ აბას I მფარველობდა ხელოსნებსა და ვაჭრებს. შაპმა აეაზაკობასთან დაუნდობელი ბრძოლით უზრუნველყო სავაჭრო-საქარავანო გზებზე უსაფრთხოება; იგი აშენებდა ქარავან – სარაებს, გაჰყავდა ახალი გზები; ახალ გზებს შორის იყო მაზანდარანში, კასპიის ზღვის სანაპიროზე, 270 კმ-ის სიგრძის, ქვის ფილებით დაგებული ფართო შარაგზა. ჩვენამდე მოღწეული შაჰ აბას I-ის ფირმანები გვამცნობენ, რომ შაპი ზოგიერთ ქალაქს საგადასახადო იმუნიტეტს (მოაფი) აძლევდა – ქალაქის მცხოვრებლებს ყველა სახის გადასახადიდან ათავისუფლებდა.

შაჰ აბას I-ის პოლიტიკა მიმართული იყო ირანის ცენტრალური რეგიონების სამეურნეო აღმავლობისაკენ, რაც განპირობებული იყო ხელმძღვანელი პოლიტიკური როლის თურქულ-აზერბაიჯანული მომთაბარე ფეოდალების ხელიდან ბინადარი ირანული სამოქალაქო ბიუროკრატიის ხელში გადასვლით. ეს უკანასკნელი ორგანულად იყო დაკავშირებული სახელმწიფო მიწისმფლობელობასთან, საგარეო ვაჭრობასთან და ირანის ვაჭრულ ზედაფენასთან. ეს პოლიტიკა ნათლად გამოვლინდა არაქსზე მდებარე სომხური ქალაქის ჯულფის (ჯულაპ) დანგრევასა და მცხოვრებლების ისპაანის გარეუბანში იძულებით გადასახლებაში. ამ გადასახლებას („დიდი სურღუნი") მიზნად ჰქონდა აბრეშუმით

ვაჭრობის საერთაშორისო ცენტრის (ჯულფის) გადატანა შიდა ირანში და საერთაშორისო საქარაუნო „აბრეშუმის გზის“ ისპაანზე და ბენდერ-აბასიზე გაელით სპარსეთის ყურესთან დაკავშირება. შაჰ აბას I-მა ჯულფელი სომხებისათვის ისპაანის გარეუბანში გააშენა ფაქტიურად ახალი ქალაქი – „ახალი ჯულფა“ (სპ. „ჯულფ-ე ნოუ“, „ნორ ჯუღა“ – სომხ.). დაუწესა მას თვითმმართველობა და გადასახადებისგან გაათავისუფლა. ძველი ჯულფიდან ისპაანში გადასახლების დროს 15000 ოჯახიდან ისპაანამდე მხოლოდ 3000 ოჯახმა მიაღწია. დანარჩენები გზაში დაიღუპნენ შიმშილის, ეპიდემიისა და მომთაბარეთა თავდასხმებისაგან. ჯულფელმა მსხვილმა სომეხმა ვაჭრებმა, რომლებიც აბრეშუმით ვაჭრობის და ევროპასთან ურთიერთობის საქმეში შაჰის კონტრაგენტები იყვნენ, მთელი რიგი პრივილეგიები მიიღეს. ნედლი აბრეშუმი და აბრეშუმის ქსოვილები რჩებოდა ირანის ექსპორტის მთავარ საგნად.

შაჰ აბას I პირადად რელიგიური უანატიზმით არ გამოირჩეოდა, მაგრამ პოლიტიკური მოსაზრებებით იგი აგრძელებდა სეფიანთა ძველ ტრადიციებს: მხარს უჭერდა შიიტებს და სდევნიდა თურქების თუ ობბეგი ხანების მომხრე სუნიტებს; სამაგიეროდ, მთელ რიგ პრივილეგიებს ანიჭებდა სომეხ და „ფრანგ“ (კათოლიკე) ქრისტიანებს. იგი მათში ხედავდა ევროპულ ქვეყნებთან ეკონომიკური და პოლიტიკური კავშირ-ურთიერთობების დამყარების საქმეში თავისთვის სასარგებლო აგენტებს.

შაჰ აბას I-ს უნდოდა ირანის მოსახლეობის რაოდენობის გაზრდა; ამ მიზნით მან ირანში ხელოსნები და მიწისმოქმედნი გადმოასახლა აზერბაიჯანიდან, არმენიიდან, საქართველოდან. ამ ღონისძიებებს მიზნად ჰქონდა აგრეთვე სეფიანთა სახელმწიფოს არაირანული ოლქების დასუსტება და მათი წინააღმდეგობის ჩახშობა. 1605 წ. ნასჭევანის მხარიდან ირანში გადაასახლეს 70000 სომეხი და აზერბაიჯანელი, რომელთა უმეტესობა გზაში დაიღუპა; ეს იყო ე.წ. „დიდი სურღუნი“ (თურქ. „დიდი გადასახლება“); აღმოსავლეთ საქართველოში (ქართლი, კახეთი) სისხლიანი ექსპედიციის დროს (1616 წ.) შაჰ აბასმა მარტო კახეთიდან აპყარა და ირანში გადაასახლა 100000-მდე მცხოვრები. აღმოსაელეთ საქართველოდან ხალხის მასობრივად გადასახლება განმეორდა 1625-1626 წწ-ში გიორგი სააკაძის მეთაურობით მოწყობილი ანტი-

ირანული აჯანყების ჩაქრობის შემდეგ. ქართველი (კახელი) სოფლის მეურნეები, უპირატესად მევენახეები, დაასახლეს მაზენდარანში, გილანში, ფერეიდანში. საინტერესოა ტავერნიეს ცნობა, რომელსაც ყურადღება მიაქცია ივანე ჯავახიშვილმა (შემდეგ კი ზურაბ ავალიშვილმა). ამ ცნობის მიხედვით, XVII ს-ის 60-70-იან წწ-ში ირანიდან ევროპაში ხდებოდა „შირაზულის" სახელწოდებით შესანიშნავი ღვინის ექსპორტირება. ღვინის სახელწოდების ქართული ფორმით მოხსენიება იმაზე უნდა მიუთითებდეს, რომ ეს ღვინო ქართველების დაყენებული იყო. 1618 წ. აზერბაიჯანიდან და სომხეთიდან 50000 კაცი გადაასახლეს. ქვისმთლელები ისპაანში გააგზავნეს სააღმშენებლო სამუშაოებზე, ხოლო მიწისმოქმედნი დაასახლეს „სამოთხისებურ" მაზანდარანში, სადაც ათასობით გადასახლებული დაიღუპა შიმშილით, მალარიით და მათთვის უცხო კლიმატით.

შაპ აბას I-ის დროს სააღმშენებლო საქმიანობა აღგილ-ადგილ გრანდიოზულ მასშტაბებს აღწევდა. დედაქალაქი ისპაანი მის დროს თითქმის ხელახლა გაშენდა. XVII ს-ის შუა ხანებში იგი უზარმაზარ ქალაქად იქცა, რომელიც 38 კმ-ზე იყო გადაჭიმული წრეწირში და რომელშიც 600000 მცხოვრები იყო (მოვიგონოთ, რომ XVI ს-ის ბოლოს მხოლოდ 80000 კაცი ცხოვრობდა; აღსანიშნავია, აგრეთვე ისიც, რომ XVII ს-ის ლონდონში 300000 კაცი ცხოვრობდა). დიდ „მეფის მოედანს" („მაიდან-ე შაპ), რომლის სიგრძეც 500 მ. უდრიდა და რომელსაც პოლოს სათამაშო ასპარეზი ჰქონდა, ეკროდა მაღალმხატვრული არქიტექტურული ანსამბლი: სამხრეთით – „შაპის მეჩეთი" („მასჯედ-ე შაპ") თაღოვანი პორტალით და ბრწყინვალე შორენეეცით მოპირკეთებული გუმბათით; ირანული არქიტექტურის ერთ-ერთი ბრწყინვალე ნიმუში; სამხრეთ-დასავლეთით – შაპის სასახლე შესანიშნავი პორტიკით „ალა-კაფუ" და პავილიონით „ჩეჰელ სოთუნ" („ორმოცი სვეტი"), კედლის მხატვრობით; პარკებით „ჩაპარ-ბაღით" და „ჰაშთ-ბეჰეშთით". მდ. ზაიენდე-რუდზე აშენდა ალავერდი-ხანის ოცდაცამეტმალიანი ხიდი, რომელიც ისპაანის გარეუბან ახალ ჯულფას ქალაქთან აკავშირებდა. შაპმა თავისთვის ფაროჰაბადში, ამრაფში, მაზენდარანსა და სხვა აღგილებში ააშენა სასახლეები; ჩატარდა მნიშვნელოვანი საირიგაციო სამუშაოები.

შაჰ აბას I შეეცადა სახელმწიფოში ერთიანი სამონეტო სისტემის შემოღებას. ახლად მოჭრილი ფულის ერთეულს ეწოდა „აბასი". იგი შეიცავდა 1 მისხალ (4,6 გრ.) ვერცხლს და უდრიდა 200 დინარს. 1 თუმანი უდრიდა 10000 დინარს ანუ 50 აბასის (თუმანი და დინარი ახლა იყო არა მონეტები, არამედ მხოლოდ საანგარიშო ერთეული. 1 აბასი უდრიდა 4 შაპის, 1 შაპი უდრიდა 2 სიაფულს). თუ მოვიგონებთ, რომ ყაზან-ყაენის დროს XIV ს-ის დასაწყისში 1 დინარი (მამინ ერთდინარიანი მონეტები იჭრებოდა) შეიცავდა ლაახლოებით სამ მისხალ ვერცხლს, მამინ ნათელი გახდება, რომ 300 წელზე მეტი ხნის განმავლობაში დინარის ფასი 600 ჯერ დაეცა. სახელმწიფოს მთელ ტერიტორიაზე ერთიანი მონეტის შემოღება არ მოხერხდა. XVII ს-ის ირანში „აბასისთან" ერთად მიმოქცევაში იყო სხვადასხვა ნომინალური ღირებულების, სხვადასხვა ღროს მოჭრილი, მათ შორის თურქული და ევროპული მონეტები; მათი კურსი სხვადასხვა ოლქში სხვადასხვანაირი იყო.

არც მანამდე და არც შაჰ აბას I-ის შემდეგ სეფიანთა სახელმწიფოს არ მიუღწევია ისეთი პოლიტიკური სიძლიერისათვს, როგორც აბას I „დიდის" დროს. XVII ს-ის სპარსელი ისტორიკოსები აიდეალებენ შაჰ აბას I-ის პიროვნებას. უეჭველია, რომ ის გამოირჩეოდა ენერგიით, სიმამაცით, პოლიტიკური მიზანსწრაფეით და შორმსჭვრეტელობით; მისთვის უცხო იყო რელიგიური ფანატიზმი, დიდ ინტერესს იჩენდა ევროპული ტექნიკისა და მატერიალური კულტურისადმი. მაგრამ არ იქნებოდა მართალი მისი როლის გადაჭარბებით შეფასება ირანის ისტორიაში. აბას I-ის მთავრობის პოლიტიკური საზი იყო ირანული სამოქალაქო ბიუროკრატიის გაელენის შედეგი. სამხედრო წარმატებები კი მეტწილად უნდა აიხსნას სეფიანთა სახელმწიფოს მტრების სისუსტით და ნიჭიერი მხედართმთავრების ალავერდი-ხანის (წარმოშობით ქართველის) და ყორჩიხაი მუკამედ-ხანის (წარმოშობით სომხის) სამხედრო ტალანტით.

შაჰ აბას I იყო ჭირვეული, ეჭვიანი და სასტიკი დესპოტი. მან მოაკელევინა უფროსი ვაეიშვილი — ნიჭიერი ჭაბუკი (შეეშინდა მისი პოპულარობის), ორი მომდევნო ვაეიშვილი დააბრმავებინა, მეოთხე — უმცროსი თაეისი სიკვდილით მოკვდა. ვაქების სიკვდილის შემდეგ, შაჰ აბას I-მა ტახტის მემკვიდრედ გამოაცხადა მცირეწლოვანი შეილიშვილი, ნაზი და უნებისყოფო, პარემში

გაზრდილი ჭირეული ასალგაზრდა — შემდეგში სეფი I. აქედან მოყოლებული სეფიანებმა წესად შემოიღეს თავიანთი უფლისწულების ჰარემში გაზრდა, რათა ისინი ტახტზე მჯდომი შაჰისათვის არასაშიშ პიროვნებად ჩამოყალიბებულიყვნენ. ამასთანავე, მცირედი ეჭვის გამოც კი, მათ აბრმავებდნენ. შაჰ აბას I გარდაიცვალა 1629 წ. იანვარში დიზენტერიით.

§14. ფეოდალური ურთიერთობა XVII ს-ის ირანში

ფეოდალთა კლასი ძველებურად ოთხი ძირითადი ჯგუფისაგან შედგებოდა: 1. სამხედრო არისტოკრატია; 2. მუსლიმური (შიიტური) სამღვდელოება; 3. სამოქალაქო ბიუროკრატია; 4. ადგილობრივი პროვინციული არისტოკრატია. სამხედრო არისტოკრატია ახლა მარტო მომთაბარე ფეოდალებისაგან აღარ შედგებოდა, როგორც ეს XVI ს-ში იყო. გაჩნდა სამხედრო არისტოკრატიის ახალი კადრი, რომელიც შაჰის ღოლამებიდან (ყულებიდან) იყო დაწინაურებული — ძირითადად ქართველები და სომხები, რომლებიც შაჰმა დაუპირისპირა ძველ სამხედრო-ნომადურ არისტოკრატიას. ამ უკანასკნელის გავლენის შესუსტება (განსაკუთრებით ყიზილბაშური ტომობრივი არისტოკრატიისა) ნათლად ჩანს ამირაოა (ხანების, სულთნების) ორი სიის (1576 და 1628 წწ.) შედარებიდან, რომლებიც ისქანდერ მუნშისთანაა მოტანილი. პირველ სიაში 114 ამირაა დასახელებული — ყველა მომთაბარული არისტოკრატიიდან და თითქმის ყველა ყიზილბაშური ტომიდან; 1628 წ. სიაში მხოლოდ 90 ამირა ფიგურირებს, მათგან მხოლოდ 35-ია ყიზილბაში, 34 ამირა მომთაბარული, მაგრამ არაყიზილბაშური ტომებიდანაა (შეტწილად ირანული — ქურთული და ლურის ტომებიდან); 21 ამირა შაჰის ღოლამებიდანაა — „თავის თანასწორთაგან" გამორჩეული, რომელთაც ნაბოძები ჰქონდათ როგორც სხვა ამირებს, მიწები (ელქე-აზერბ., ულქე-სპარს) და რომელთაც სხვა ამირების მსგავსად, ჰყავდათ თავიანთი ფეოდალური ლაშქარი (ყოშუნი-ქონგ.). XVII ს-ში ხელმძღვანელი როლი, როგორც უკვე ითქვა, ეკუთნოდა ირანულ სამოქალაქო ბიუროკრატიას.

XVII ს-ის ირანში მიწაზე და წყალზე ფეოდალური საკუთრების ისეთივე ფორმები იყო, როგორც ადრე. მაგრამ შაპ აბას I-ის რეფორმების შემდეგ მიწების კატეგორიებს შორის თანაფარდობა შეიცვალა. უპირველეს ყოვლისა, ძალიან გაიზარდა სახელმწიფო, ანუ დივანის მიწების ფონდი, რომლის მფლობელობა სამოქალაქო ბიუროკრატიის ძლიერების საფუძველი იყო. არაჩვეულებრივად გაიზარდა აგრეთვე შაპის საგვარეულოს საკუთარი დომენების რიცხვი (ხასსე-ხასსე-ი შერიფე-ი ფადიშაპი, ხალისე). მიწების ეს კატეგორია ირანში სასანიანთა დროიდან არსებობდა, მაგრამ არასოდეს სასეს მიწების ფონდი ისეთი დიდი არ ყოფილა, როგორც XVII ს-ში: ახლა ამ მიწების ფონდში შედიოდა არამარტო ოლქები (ისპაანი, აგრეთვე სეფიანთა სამეფო დომენი არდებილი), არამედ მთელი ქვეყნები (ორიეე გილიანი — „ბიიე ფიშ“ და „ფიიე ფას“).

რაფაელ დიუმანი (1660 წ.) გვამცნობს, რომ სეფიანთა სახელმწიფოში „დივანის“ მიწები ბევრი იყო, ხოლო „მულქის“ მიწები — ცოტა; მაგრამ მხედველობაში უნდა იქნას მიღებული ის გარემოებაც, რომ XVII ს-ში დივანის მიწებად ითვლებოდა ის მიწებიც, რომლებიც სხვადასხვა საფუძველზე („თიულის“ უფლებით და სხვ.) სარჩოდ ჰქონდათ მიცემული სამოქალაქო და სამხედრო არისტოკრატიის წარმომადგენლებს; ძალზე გაფართოვდა ტერიტორიები (იურტები), რომლებიც სარჩოდ ჰქონდათ მიღებული მომთაბარე ტომებს, ფაქტიურად ამ ტომების მემკვიდრეობით ბელადებს (მირ-ე ელ) — ტომობრივ არისტოკრატიას, რომელიც ექსპლუატაციას უწევდა როგორც მომთაბარეებს (ილიათებს), ასევე, მხოლოდ უფრო ძლიერად — ამ ტერიტორიაზე მცხოვრებს ბინადარ გლეხებს (რაიათებს).

XVII ს-ში გაიზარდა სასულიერო დაწესებულებების მიწების ფონდიც (ვაკუფი). მაგ., არდებილის სეფიანთა დიდი მეჩეთის საკუთრებაში XVII ს-ის დასაწყისისათვის იყო 650 გუთნეული მიწა („ჯუფთ-ი ავამილ“), რომელსაც მეიჯარეები ამუშავებდნენ (4-5000 ჰექტარი). 1671 წ. იმავე მეჩეთის ვაკუფის ქონება მხოლოდ სამხრეთ აზერბაიჯანში, სხვა ოლქებზე რომ არაფერი ვთქვათ, 40 სოფელს ითვლიდა. გარდა ამისა, ამ მეჩეთის კუთვნილება იყო ქ. არდებილში 200 სახლი, 9 აბანო, 8 ქარავან-სარაი, მთელი ბაზრის მოედანი, საბითუმო ვაჭრობისათვის განკუთვნილი დიდი დახურული ბაზარი (კეისარიე), 100 სხვა დუქანი და ყველა მოვაჭრეზე

დაღებულ გადასახადზე წილის უფლება; ქ. თავრიზში — 100 სახლი და 100 დუქანი; ქ. ყაზვინში — რამდენიმე ქარავან-სარაი და აბანოები; ძიწები (და შემოსაველები) მუღანში, გილიანსა და გურგანში.

სახელმწიფო სამსახურით განპირობებული ფეოდალური საკუთრების პირობითი მიწისმფლობელობის ფორმებიდან — სიურღალიღან და თიულიდან, შაპის მთავრობა XVII ს-ში ამჯობინებდა თიულების ბოძებას, რადგან თიული იურიდიულად არ ითვალისწინებდა მემკვიდრეობის უფლებას და მის მფლობელს, მსახურეულ პირს ნაკლებ უფლებებს აძლევდა, ვიდრე სიურღალი. ერთი სიტყვით, თიულების ბოძება უფრო ნაკლებად ასუსტებდა ცენტრალურ ხელისუფლებას, ვიდრე სიურღალების. „თაზქირათ ულ-მულუქის" მიხედვით, სეფიანთა მთელი სახელმწიფოს სიურღალების მფლობელების საერთო წლიური შემოსავალი შეადგენდა 367778800 დინარს, სოლო თიულების მფლობელების (თიულდარების) საერთო წლიური შემოსაკალი — 37536633000 დინარს, ანუ ათჯერ მეტს. ეს იმაზე მიუთითებს, რომ თიულები მეტი იყო, ვიდრე სიურღალები. თეორიულად თიულიც და სიურღალიც სახელმწიფო მიწების ფონდში შეღიოდა, მაგრამ ეს იყო ფიქცია.

ისევე, როგორც XVI ს-ში, თიული ორი სახის იყო: ა. პერსონალური, სიცოცხლის განმავლობაში; ბ. გარკვეულ თანამდებობასთან დაკავშირებით ამ თანამდებობაზე ყოფნის დროს. უმაღლეს ხელისუფლებს თიულად ეძლეოდა მთელი ოლქები, ასე, მაგ., ყორჩიბაშის თანამდებობაზე მყოფს (ყორჩიების უფროსს — იმ დროს ყიზილბაშური ტომების ფეოდალური ლაშქრის უფროსი) თიულად ჰქონდათ მიცემული კაზერუნის ოლქი 13917200 დინარი შემოსაველით; თოფანგჩი — ბაშის თანამდებობაზე მყოფს (თოფანგჩიების — მუშკეტერების უფროსი) თიულად ეძლეოდა აბერქუპის ოლქი 7115300 დინარის შემოსაველით; ყულარაღასის თანამდებობაზე (ყულების, ღოლამების გვარღიული კორპუსის სარდალი, ყოველთვის ქართველი) მყოფისათვის თიულად განკუთვნილი იყო გულფაიგანის ოლქი, რომლის შემოსავალიც არ იყო ფიქსირებული (ეს ოლქი ნაწილობრივ აღმოსავლეთ საქართველოდან იძულებით გადასახლებული ქართველებით იყო დასახლებული. ყულარაღასი, ჩვეულებრივად, სეფიანთა სახელმწიფოს მოსპობამდე ქართველთაგან ინიშნებოდა); თოფჩი-ბაშის

(არგილერიის უფროსის) თანამდებობაზე თიულად მიმაგრებული იყო შიფტის ოლქი 5 მილიონი დინარი შემოსაელით. თიულების შემოსავლიდან უდიდესი ნაწილი თავს იყრიდა ამირების (სამხედრო არისტოკრატიის) და უმაღლესი სასულიერო და საერო მოხელეების ჯიბეში. „თაბქირათ ულ-მულუქის“ მისეღვით, ამ კატეგორიის დიდი მოხელეების თიულების შემოსავალი შეადგენდა 3495004300 დინარს (მთელი თიულების შემოსავლი იყო 3753663000 დინარი). მოგვიანებით (XVIII ს-ში) თიული ფაქტობრივად გადაიქცა ისეთივე სამკვიდრო ლენად, როგორიც იყო სოიურღალი.

დაბალი რანგის მსახურეულ პირებს აძლევდნენ ან პატარა თიულს მცირე შემოსავლით, ან „ჰამესალეს“. ასე ეწოდებოდა სამსახურის სანაცვლოდ, რენტა-გადასახადის გარკვეულ წილს (ფულით ან ნატურით) გარკვეული ტერიტორიიდან, მაგრამ ამ ტერიტორიის მართვის უფლების გარეშე. მსახურეული პირები „ჰამე-სალეს“ თანხას იღებდნენ ბარათებით (პაეალე, ბერათი), რომელიც გამოწერილი იყო მოცემული ოლქის ხაზინის სახელზე მსახურეული პირის მიერ სამსახურის შესახებ დამადასტურებელი მოწმობის წარდგენის შემდეგ.

XVII ს-ის სხვადასხვა წყაროში რაიათებზე დადებული გადასახადების და ვალდებულებების 35 სახეობაა დასახელებული, მაგრამ ყველა ეს გადასახადი და ვალდებულება მთელ სახელმწიფოში ერთდროულად არ ყოფილა: ზოგიერთი მათგანი მხოლოდ გარკვეულ ოლქებში იყო, ზოგიერთი კი XVII ს-ის ბოლოს შემოიღეს.

შაჰ აბას I-ის დროს, როგორც უკვე ითქვა, XVI ს-ის 70-80-იან წლებში შემოღებული გადასახადები, ისევე, როგორც მათზე დანამატი, ირანის ცენტრალურ რეგიონებში ან შეამცირეს, ან საერთოდ გააუქმეს. მაგრამ შაჰ აბას I-ის მემკვიდრეების დროს გადასახადების რაოდენობა კვლავ თანდათანობით მატულობდა, სოლო XVII ს-ის ბოლოს (1698 წ.) გადასახადების რაოდენობა კელავ მკვეთრად გაიზარდა და შემოღებულ იქნა ახალი საგადასასადო სისტემა. ეს რამდენიმე მიზეზით იყო გამოწვეული. უპირველეს ყოელისა, სასაქონლო-ფულადი ურთიერთობის ზრდასთან დაკავშირებით, სახელმწიფო და ფეოდალები საჭიროებდნენ თანსებს და გადასახადების გადიდების გზით ცდილობდნენ თავიანთი შემოსაელის გაზრდას; ამასთანავე, 1639 წ. თურქეთთან და

ოზბეგთა სახანოებთან შეწყდა ომი, რომელსაც XVII ს-ის პირველი 40 წლის განმავლობაში სამხედრო დაელა მოქონდა.

მთავარი გადასახადი, როგორც წინა სანებში, იყო მიწაზე დადებული გადასახადი ხარაჯა, რომელსაც ახლა ხშირად უწოდებდნენ „მალ ო ჯეჰათს“ ანუ „მალიათს“. აიღებოდა მოსავლის 15-დან 20%-მდე წილის სახით. ზოგიერთ ადგილებში მოსავლის წილის ნაცვლად სახნავი ადგილიდან (ჯუფთი) აიღებოდა მუდმიეი გადასახადი ფულით. ხეხილის ბაღებიდან 10%-ის რაოდენობით იკრიფებოდა გადასახადი. თუთის ხის ბაღებიდან და ბამბის პლანტაციებიდან აკრეფილი გადასახადი მოსავლის 30% იყო. მეცხოველეები (გარდა სპარსეთის ერაყში მცხოერებლებისა) იხდიდნენ გადასახად „ჩობან-ბეგის“: ცხერის მატყლის და ნამატის 1/7, კეიცებისა და ჩოჩრების 1/3 რაოდენობით. ბაღებისა და მინდერების მორწყვაზე დაწესებული იყო განსაკუთრებული გადასახადი. სხვადასხვა რანგის მოხელეების (დიდი ვეზირი და სხვა) შესანახად დაწესებული იყო გადასახადები „იხრაჯათის“ საერთო სახელწოდებით. ძალიან ხშირად რაიათებიდან იღებდნენ განსაკუთრებულ გადასახადს (ავარიზ). რაიათებისათვის ძალზე მძიმე ვალდებულება იყო ფეოდალური ლაშქრისათვის ფურაჟისა და პროვიანტის („ალაფე“ და „ულუფა“) დამზადება, საფოსტო ეალდებულების („ულაყი“), მუდმივი ვალდებულების („ყონალღა“), შრომითი ვალდებულების (ბეგარა) შესრულება. არამუსლიმებზე (ქრისტიანებსა, იუდეველებსა და ზოროასტრელებზე) დაწესებული იყო სულადობრივი გადასახადი ჯიზია: ყოველი ასაკოვანი კაცისაგან (20-დან 50 წლის ასაკამდე) წელიწადში იღებდნენ 1 მისხალ (4,6 გრ.) ოქროს. გარდა ამისა, ყველა რაითი ვალდებული იყო ყოველწლიურად თავისი მიწისმფლობელისათვის და ხელისუფლებისათვის ნაგურით ან ფულის სახით, მკაცრად დადგენილი რაოდენობით მიერთმია „საჩუქარი“ („ფეშქაში“), „მისალოცი“ („სალმანე“) და „საღღესასწაულო“ („აიდი“).

სხვადასხვა კატეგორიის მიწებზე ძირითადად ერთი და იგივე გადასახადები იყო დაწესებული. მიწის კატეგორიის მიხედვით, ეს გადასახადები ან მთლიანად სახელმწიფოს (დივანის მიწებიდან), ან მიწისმფლობელის სასარგებლოდ (სასოიურღალო, ვაკუფის და მომთაბარე ტომების იურტები) იკრიფებოდა; ანდა გარკვეული პროპორციით იყოფოდა სახელმწიფოსა და მიწისმფლობელს შო-

რის (მულქის მიწები). იმ შემთხვევაში, თუ მიწისმფლობელი სახელმწიფოსაგან იღებდა საგადასახადო იმუნიტეტს (მუ'აფი), ყველა გადასახადს მიწისმფლობელი კრეფდა. ამრიგად, ერთი და იგივე გადასახადი, მიწის კატეგორიის მიხედვით, შეიძლებოდა ყოფილიყო რენტაც და გადასახადიც.

ფეოდალური ექსპლუატაციის წამყვანი ფორმა, ისევე, როგორც წინა საუკუნეებში, იყო მონახევრობა — ნატურით რენტის სახეობა. მიწის ჭერის სანაცელოდ (ჩვეულებრივად, სამკვიდრო მიწის), გლეხი მიწის მესაკუთრეს უხდიდა „ბატონის წილს" („საპრე-ი მალიქანე"), დივანის, შაპის (ხასეს), ეაკუფის, სასოიურ-ღალო მიწებზე ამ წილში ათავსებდნენ საერთოდ ყველა გადასახადს. მიწის ჭერის და წყლით სარგებლობისათვის ბატონის წილი ხშირად სახნავი მიწებიდან მოწეული მოსავლის 1/3 — 2/3 იყო. ბატონის წილი იზრდებოდა იმ შემთხვევაში, თუ გლეხი მიწის მესაკუთრისაგან მიწის ნაკვეთისა და წყლის გარდა იღებდა მუშა პირუტყვს და მარცელეულს. ასეთ შემთხვევაში წილის რაოდენობა მატულობდა მოსავლის 80%, ხშირად 90%-მდე (ამაში შედიოდა ყველა გადასახადი).

კემპფერის ცნობით, ისპაანის ოაზისში, სადაც სასაქონლო-ფულადი ურთიერთობა სჭარბობდა, გლეხებისაგან რენტა ხშირად ფულადი სახით აიღებოდა — 1 ჯერიბი სახნავი მიწიდან 6600 დინარი (33 აბასი). შაპის მიწებზე კი ისპაანის ოაზისში დაწესებული იყო მენახევრე გლეხების ექპლუატაციის შემდეგი ნორმები. თუ შაპი, როგორც მიწის მესაკუთრე, გლეხს აძლევდა მიწას, წყალს (სარწყავ მოწყობილობას) და სათესლეს, ხოლო ხარები გლეხისა იყო, მაშინ გლეხი შაპს მოსავლის 2/3 აძლევდა, ხოლო დარჩენილი ნაწილიდან ისდიდა დივანის გადასახადს; გარდა ამისა, იგი იძულებული იყო შეესრულებინა ბეგარა; იმ შემთხვევაში, როდესაც შაპი მონახევრე გლეხს ხარებსაც აძლევდა, სახნავ-სათეს იარაღსაც და მას ათავისუფლებდა დივანში შესატანი გადასახადებიდან, მოსავლიდან გლეხის წილი 1/4-დე მცირდებოდა; მოსავლის 3/4 იღებდა შაპი როგორც მიწის მესაკუთრე. ამას გარდა, თუ შაპი გლეხს გაათავისუფლებდა იძულებითი სამუშაოდან (ბეგარა), გლეხის წილი მოსავლის 1/8-დე მცირდებოდა, ხოლო 7/8 იღებდა შაპი;

შარდენის ცნობით, მდიდარ ისპაანის ოაზისში სპარსელი გლეხები უფრო შეძლებულები იყვნენ, ვიდრე ფრანგი გლეხები, მაგრამ მიელ ირანში ასე არ იყო: გლეხების მიმართ შეღავათები ქალაქის მიმდებარე რეგიონზე ვრცელდებოდა. იგივე შარდენის ცნობით, გლეხები აბსოლუტურად უუფლებონი იყვნენ: შაჰის მსახურები და მოხელეები მათ სცემდნენ, თუ ისინი (გლეხები) გადასახადს ვერ გადაიხდიდნენ. მათ აიძულებდნენ ემუშავათ მუქთად, იტაცებდნენ გლეხის კუთვნილ ურმებს და ცხენებს, რამდენ ხანსაც მოესურვებოდათ, ჩერდებოდნენ გლეხის სახლში, იკვებებოდნენ მის ხარჯზე, სანდასან გლეხისაგან ვერცხლსაც თხოულობდნენ.

მომთაბარეების როლი ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკურ ცხოვრებაში თითქმის ისეთივე მნიშვნელოვანი იყო, როგორც 3-4 საუკუნის წინ. XVII ს-ის ირანში მომთაბარული მოსახლეობის რაოდენობის შესახებ ცნობები ჩვენ არა გვაქვს, მაგრამ თუ XIX ს-ის ბოლოს ირანში მომთაბარეები მთელი მოსახლეობის 30% იყო, XVII ს-ში მათი რაოდენობა დიდი უნდა ყოფილიყო. მომთაბარეები მიწათმოქმედებასა და ბინადარ ცხოვრებაზე უმნიშვნელო რაოდენობით გადადიოდნენ (ისიც ყველაზე ღარიბები, იძულებით), რადგანაც ეს მათთვის ხელსაყრელი არ იყო; ბინადარი, უუფლებო და რენტა-გადასახადით გაჩანაგებული რაიათის მდგომარეობა მომთაბარე-ილიათის მდგომარეობასთან შედარებით გაცილებით უფრო მძიმე იყო. ტომობრივი ორგანიზაცია ილიათს იცავდა. პატრიარქალური წეს-ჩვეულებები ერთგვარად ზღუდავდა მომთაბარეებში დაკისრებული ვალდებულებების ზრდას. ილიათები, რომლებიც ფეოდალურ ლაშქარში მსახურობდნენ, სამსჯელრო ნადავლიდან წილს იღებდნენ; ისინი შეიარაღებულნი იყვნენ, იმ დროს, როდესაც რაიათები – უიარაღონი; ისინი არ იყვნენ დაცულნი წვრილი მოხელეების, მეომრებისა და მსხვილი ფეოდალების ოჯახის წევრების მხრივ ძალმომრეობისაგან.

ირანში შემორჩენილი იყო მონობა და მონებით ვაჭრობა, მაგრამ მონებს ახლა იყენებდნენ ოჯახში სამსახურისათვის და ჰარემის მსევლად. მონათა შორის რამდენიმე კატეგორია იყო: ტყვეები (ასირ), ფულით ნაყიდნი (ზარ-ხარიდ) და სახლში დაბადებულნი (ხანეზადე), ანუ მონათა შვილები (მეორე და შემდგომი თაობის მონები). ამ უკანასკნელთა მდგომარეობა უკეთესი იყო: აღაიი (და არა კანონი) კრძალავდა სახლში დაბადებული მონის

გაყიდეას. მონები უმთავრესად კავკასიიდან გამოპყავდათ. მათ ჰყიდნენ სხვა ქვეყნებში, უმთავრესად თურქეთში, ინდოეთსა და არაბულ ქვეყნებში. მაგრამ მონის შრომის გამოყენება წარმოებაში — მიწათმოქმედებაში, ხელოსნობასა და მომთაბარულ მეჯოგეობაში თითქმის უმნიშვნელო იყო. XVI ს-ის 30-იან წლებში შაპის აბრეშუმსაქსოე სასელოსნოებში მონაქალები მუშაობდნენ, XVII ს-ში იქ უკვე მხოლოდ და მხოლოდ თავისუფალი ხელოსნები, დაქირაველებულნი არიან დასაქმებულნი. ასე რომ, XVII ს-ში ირანის ფეოდალურ საზოგადოებაში ასე დიდხანს შემორჩენილი მონათმფლობელური წყობა თითქმის გაქრა.

§15. ირანის სოფლის მეურნეობის მდგომარეობა XVII საუკუნეში

სახელმწიფოში ხელმძღვანელი პოლიტიკური როლის გადასვლამ თურქი მომთაბარე ფეოდალების ხელიდან ირანელი ბინადარი ფეოდალების (სამოქალაქო ბიუროკრატიის) ხელში XVII ს-ის დასაწყისში, შაპ აბას I-ის რეფორმებმა, კერძოდ, საგადასახადო ტვირთის შემსუბუქებამ მის დროს, სასაქონლო-ფულადი ურთიერთობის ზრდამ და ბოლოს ოსმალებთან და ოზბეგებთან გამანადგურებელი ომების შეწყვეტამ (1639-1722 წწ). ირანში სტიმული მისცა საწარმოო ძალების, კერძოდ სოფლის მეურნეობის, საკმაოდ მნიშვნელოვან აღმავლობას. თუმცა ახლაც ირანის ეკონომიკას არ მიუღწევია XIII ს-ის დასაწყისის, მონღოლთა დაპყრობების წინაღროინდელი დონისათვის. ეს აღმავლობა გრძელდებოდა XVII ს-ის უკანასკნელ მეოთხედამდე.

XVII ს-ის მოგზაურები აღნიშნავენ, რომ იმ დროს ირანში დიდი საირიგაციო სამუშაოები ტარდებოდა — მიმდინარეობდა ახალი არხების და კიარიზების მშენებლობა და ძველების აღდგენა. მათი ცნობებით, XVII ს-ის ირანში ირიგაციის ოთხი ისეთივე სახეობა იყო, როგორც ადრე: მთის წყაროები, მდინარის არხები, კიარიზები, ჭები. შარდენის ცნობით, „რა თქმა უნდა, არაა მსოფლიოში ხალხი, რომელმაც ისე კარგად იცის მიწისქვეშა არხების გაყვანა, როგორც სპარსელებმა". შარდენს უნახავს 32-დან 40 კმ-დე და უფრო მეტი სიგრძის კიარიზი, რომელიც გაყვა-

ნილი იყო მთის ძირიდან (სადაც ჩვეულებრივად გროედებოდა ვრუნგის წყლები) ღაბლობამდე. ამ კიარიზებს ყოველ 8 მეტრის ინტერვალით აქონდათ სათვალთვალო ჭები, რომელსაც კიარიზების ვასაწმენდად იყენებდნენ. კიარიზების უმეტესობა 10-15 მეტრის სიღრმეში იყო, მაგრამ ზოგიერთი — უფრო ღრმადაც.

შარდენის მიხედვით, ჭებიდან წყალს ქაჩავდნენ სპეციალური მანქანებით, რომლებიც სარებს მოპყავდა მოძრაობაში; წყლის ამოქაჩვა ხდებოდა თოკებზე დამაგრებული დიდი რუმბების საშუალებით, რომლებშიც 200-250 ფუნტი წყალი თავსდებოდა; ბლოკის მეშვეობით წყალი რუმბებიდან იცლებოდა აუზში, საიდანაც არხების საშუალებით ბაღებისა და მინდვრების მოსარწყავად მიედინებოდა.

კიარიზების და ჭების საშუალებით მორწყვა უფასო იყო; მინდვრების და ბაღ-ვენახების მორწყვა ნაკადულებითა და მდინარის არხებით წელიწადში 20 სუ (1 აბასიზე ცოტა მეტი) ღირდა (შარდენის ცნობა). შარდენის მიხედვით, ისპაანის ოაზისის მთავარი ძირაბი (სარწყავი ქსელის უფროსი) ამ გადასახადის სახით წელიწადში 4000 თუმანს იღებდა (მხედველობაში არაა მიღებული ის თანხა, რასაც მისი მოადგილეები თავისთვის იტოვებდნენ).

XVII ს-ის მოგზაურები აღნიშნავენ ირანის ცალკეული სამიწათმოქმედო რეგიონების, განსაკუთრებით, ქალაქების მიმდგომი რეგიონების, სადაც საკმაოდ განვითარებული სასაქონლო-ფულადი ურთიერთობანი იყო და სადაც სოფლის მეურნეობის პროდუქცია ბაზარზე იყიდებოდა, ან ხდებოდა მისი ექსპორტირება, ეკონომიკურ აღმაველობას. კემპფერისა და შარდენის მიხედვით, ისპაანის ოაზისი მჭიდროდ იყო დასახლებული: 1329 წლის აღწერით, 4500 კვ.კმ. ფართობზე 800 დიდი და პატარა დასახლება იყო, ხოლო XVII ს-ის 70-იან წწ-ში — 1500 დასახლება.

ირანში ყველგან თესდნენ ხორბალსა და ქერს. შარდენის სიტყვით, სპარსეთში ბევრი ხორბლის პური იყო, მისი შოვნა ყველგან იაფად შეიძლებოდა; პური აქ გაცილებით მეტი იყო, ვიდრე ინდოეთში. დიდი რაოდენობით თესღნენ ბრინჯს. ბამბის კულტურა, რომელიც XIV ს-ში ზოგიერთი რეგიონებისათვის იყო დამახასიათებელი, XVII ს-ში თითქმის მთელ ირანში გავრცელდა და თითქმის განდევნა სელის კულტურა. ბამბის პლანტაციების ნახვა ყველგან შეიძლებოდა. ძალზე გავრცელდა ისეთი მცენარეების მოყვანა, რისგანაც საღებავი მზადდებოდა (ენდრო, ინა, ზა-

ფრანა..); ასევე, სამკურნალო და სანელებელი მცენარეების მოყვანა. ფართო გასაქანი მიეცა აგრეთვე მებოსტნეობას, რომელიც აღრე შუასაუკუნეებში შედარებით ნაკლებგანვითარებული იყო. XVII ს-ში ირანის ბევრ რეგიონში ფართოდ გავრცელდა XII ს-დან ცნობილი ოპიუმის ყაყაჩოს კულტურა. საუკეთესო ოპიუმის ყაყაჩო მოპყავდათ ისპაანის ოაზისში: მინდერები დაფარული იყო ყაყაჩოს პლანტაციებით. ირანისათვის ახალი იყო თამბაქოს კულტურა, რისი მოყვანაც XVI-XVII სს. მიჯნაზე დაიწყო და 70-იან წწ-ში უკვე ფართოდ გავრცელდა მთელ ირანში. საუკეთესო ხარისხის თამბაქო მოჰყავდათ ხუზისტანში, პამადაში, ქერმანსა და ხორასანში.

მეხილეობა და მევენახეობა, დაცემის პერიოდის შემდეგ, XVII ს-ში კვლავ განიცდის დიდ აღმავლობას. ხეხილი (განსაკუთრებით, გარგარი, ატამი, მსხალი, კომში, ნუში, ბროწეული და კენკროვანი მცენარეები, რისგანაც ღვინოს აყენებდნენ), ყველგან გააშენეს. ფართოდ იყო გავრცელებული ყურძნის და ნესვის კულტურა. მარდენის სიტყვით, ნესვის სეზონის ოთხი თვის განმავლობაში, ის ისპაანში ისეთი დიდი რაოდენობით შემოპქონდათ, რომ ერთი დღის განმავლობაში მეტს ჭამდნენ, ვიდრე საფრანგეთში ერთი თვის განმავლობაში. ფინიკის პალმის კულტურა ძალზე განვითარებული იყო ხუზისტანში, ფარსის დაბლობ რეგიონებში, სისტანში, განსაკუთრებით კი ქერმანში. XVII ს-ში, ისევე, როგორც აღრეც, სპარსული ფინიკი თავისი ხარისხით ითვლებოდა ერაყისა და არაბეთის ფინიკზე უკეთესად. საუკეთესო ფინიკი გაპქონდათ ჯაპრუნიდან. სპარსული ფინიკის დიდი რაოდენობით ექსპორტირება ხდებოდა ინდოეთსა და სხვა ქვეყნებში დაშაქრული, მტევნებად და მოწყვეტილი სახით; ფინიკი ზოგჯერ ჭურჭელში ან დიდ ვოგრებში საკუთარ წვენში იყო დაშაქრული (15-20 ფუნტი წონით). ფინიკის ექსპორტირება სამღვარგარეთ ხდებოდა ქერმანიდან, ბროწეულის – იეზდიდან და შირაზიდან, ფორთოხლის – მაზანდარანიდან, მსხვილი და ტკბილი ხახვის – ხორასნიდან. ფორთოხალი ძალიან გავრცელებული იყო კასპიისპირა ოლქებში. ზეთისხილი ხუზისტანსა და მაზანდარანში ხარობდა, მაგრამ ზეითუნის ზეთი დაბალი ხარისხისა იყო. შარდენის სიტყვით, ირანში მეყვავილეობა უფრო განვითარებული იყო, ვიდრე ევროპაში. ვარდის ზეთის და ხავერდოვანი ვარდის ესენციის დამზადებით ძველე-

ბურად განიქმული იყო ფარსი. მეღვინეობა ყველგან იყო გაერცელებული: ღვინოს აყენებდნენ ქრისტიანები (სომხები და ევროპელები, განსაკუთრებით კი ქართველები), ებრაელები და ზოროასტრელები. საუკეთესო ღვინოებს აყენებდნენ საქართველოში, სომხეთში, გილიანში, შირაზსა და იეზდიში.

მოგზაურები ერთხმად აღნიშნავენ ირანში პროდუქტების სიიაფეს XV ს-ის მეორე ნახევარში, ეკონომიკის დაცემის დროს, ბარბარო და კონტარინი უჩიოდნენ დასავლეთ ირანში საკვები პროდუქტების სიძვირეს). სუზისტანში XVII ს-ის 70-იან წწ-ში ერთი აბასით შეიძლებოდა 144 ფუნტი ქერის ან 54 ხორბლის პურის, ან 18 ცხერის ყიდვა.

მეაბრეშუმეობამ XVII ს-ში ირანში ისეთ მაღალ დონეს მიაღწია, რომლის მსგავსი არ ყოფილა არც ადრე და არც გვიან. ადამ ოლეარიუსის ცნობით, სეფიანთა სახელმწიფოში ყოველწლიურად ამზადებდნენ 20000 საპალნე ნედლ აბრეშუმს; შარდენის მიხედვით — 22000 საპალნეს (თითოეული საპალნე იწონიდა 276 ფუნტს). შარდენის ცნობით, გილიანი იძლეოდა 10000 საპალნე ნედლ აბრეშუმს, მაზენდარანი — 2000, ხორასანი — 3000, მიდია (სამხრ. აზერბაიჯანი) — 3000, ყარაბაღი (ჩრდ. აზერბაიჯანი) — 2000, საქართველო — 2000. აბრეშუმის მთელი რაოდენობიდან 1000 საპალნემდე რჩებოდა ირანში, დანარჩენი გაპქონდათ ინდოეთსა და ევროპაში. ნედლი აბრეშუმის გატანაზე დადებული საბაჟო გადასახადი უდრიდა 4000 თუმანს (40000000 დინარს) წელიწადში. საუკეთესო ნედლი აბრეშუმი შირვანსა და გილიანში (ლაპიჯანში) იზადებოდა.

სასაქონლო-ფულადი ურთიერთობის განვითარებასთან დაკავშირებით, ირანის გლეხები XVII ს-ში აგროვებდნენ და ბაზარზე ჰყიდდნენ ველური ხეების ნაყოფს.

მოგზაურთა ცნობების თანახმად, XVII ს-ში ირანში როგორც მომთაბარული (განსაკუთრებით მთიან რეგიონებში), აგრეთვე ბინადარი მესაქონლეობა დიდ აღმავლობას განიცდიდა. ოლეარიუსი გვაწვდის ცნობებს ევროპული ჯიშის ცხვრებზე უფრო ჯიშიანი დიდი რაოდენობით ირანულ ცხვარზე. ოლეარიუსის თანამგზავრებმა ჰოლშტინიაში წაიყვანეს რამდენიმე საუკეთესო ჯიშის ცხვარი. უმაღლესი ხარისხის იყო ბუხარის ჯიშის ცხვრის მატყლი. ბევრი იყო აგრეთვე თხა, რომელიც უხვად იძლეოდა სამ-

კურნალო თხის ქონს. უხეად იყო რძის პროდუქტები, რომლებიც პურთან და ხილ-ბოსტნეულან ერთად, მშრომელი კაცის უმთავრესი საკვები იყო. ირანში ხშირად შეხვდებოდით ერთკუზიან და ორკუზიან აქლემს. განვითარებული საქარავნო ვაჭრობის პირობებში, აქლემის სამეურნეო მნიშვნელობა ძალზე დიდი იყო. მოგზაურები აღნიშნავენ, რომ იმდროინდელ ირანში განვითარებული ყოფილა მეცხენეობა; ირანში ძალიან ბევრი ჯიშიანი ცხენი ყოფილა: არაბული, თურქმენული და სხვ. აღამ ოლეარიუსისა და „თაზქირათ ულ-მულუქის“ მისედეით, შაპს დიდი საკუთარი ცხენსამენები ჰქონია იმ ადგილებში, სადაც საუკეთესო საძოერები იყო (ყიშლაღებზე და იალაღებზე).

ამგვარად, სრული საფუძველი გვაქვს ვილაპარაკოთ XVII ს-ის ირანში სოფლის მეურნეობის აღმავლობაზე. მაგრამ XVII ს-ის წყაროების შედარებამ IX-XII სს წყაროების ცნობებთან ცხადყო, რომ XVII ს-ში სოფლის მეურნეობა ვერ აღწევს მონღოლთა შემოსევების წინადროინდელ დონეს. სასაქონლო-ფულადი ურთიერთობის განვითარებამ აიძულა ფეოდალები და ფეოდალური სახელმწიფო გაეზარდა რენტისა და გადასახადის რაოდენობა. ფეოდალური ექსპლუატაციის ზრდა წინ უსწრებდა სოფლის მეურნეობაში საწარმოო ძალების ზრდას. ეს დამღუპველად მოქმედებდა სოფლის საერთო მდგომარეობაზე. განვითარებული ფეოდალიზმის პირობებში მომთაბარული არისტოკრატიის ბატონობა, გლეხთა სასტიკი ექსპლუატაცია, მათი დაყმეება და უკიდურესი უუფლებობა დამღუპველად მოქმედებდა სოფლის მეურნეობის ეკონომიკაზე. ძველი საწარმოო ურთიერთობანი ამუხრუჭებდა საწარმოო ძალების განვითარებას სოფელში.

სასაქონლო ფულადი ურთიერთობის განვითარება ადრეულ ხანასთან შედარებით დიდი მასშტაბებით უბიძგებდა მევახშეობის განვითარებას, რაც აჩანაგებდა სოფელს. კ. მარქსი წერდა: „აზიური ფორმების დროს მევახშეობა დიდხანს გაძლებს, რაც სხვა არაფერს გამოიწვევს, თუ არა ეკონომიკურ დაცემას და კორუფციას“. მევახშეობა „კონსერვატიულია და არსებული წარმოების წესი დაჰყავს უბადრუკ მდგომარეობამდე“.

ირანში სოფლის მეურნეობის დაცემა აშკარად გამომჟღავნდა XVII-XVIII სს მიჯნაზე, მაგრამ პირველი ნიშნები უკვე XVII ს-ის 70-იან წ-ში შეინიშნებოდა (თუ უფრო ადრე არა). ყურადღებიანი

დამკვირვებელი შარდენი აღნიშნავს, რომ საირიგაციო ნაგებობების, განსაკუთრებით კიარიზების, რიცხვი ირანში შემცირდა. შარდენი წერდა: ყველგან, სადაც კი წყალს პოულობენ და არის მიწისქვეშა არხები (კიარიზები), მიწა ძალიან ნაყოფიერია, მაგრამ იმისათვის, რომ იპოვონ და მიწიდან ზევით ამოიყვანონ წყალი საკმარისი რაოდენობით, არ კმარა მუშახელი. სპარსეთში ხალხის სიმცირე ქვეყნის უნაყოფობის ბრალი კი არაა, პირიქით, ისევე, როგორც ოსმალეთის იმპერიაში, ქვეყნის უნაყოფობა ხალხის სიმცირის ბრალია. შარდენი მოსახლეობის შემცირების მიზეზად მართებულად თვლიდა ქვეყნის არასწორად მართვას, სასტიკ ექსპლუატაციას და დამპყრობთა (თურქული და მონღოლური სამხედრო-სომადური არისტოკრატიის) თვითნებობას უკანასკნელ ასწლეულში. გლესები მასობრივად გარბოდნენ, განსაკუთრებით სამხრეთ ირანიდან, ინდოეთში, სადაც ცხოვრების პირობები გაცილებით უკეთესი იყო. მოსახლეობის შემცირების გამო ირანის ყველაზე უფრო ნაყოფიერი მიწები მოურწყავი და დაუმუშავებელი რჩებოდა. შარდენი გვამცნობს, რომ ქვეყნის ტერიტორიის 1/12 ნაწილიც კი არ იყო დასახლებული და დამუშავებული. ძალიან ხშირად, მოგზაური დიდი ქალაქიდან 2 ლიეს (8 კმ) გავლის შემდეგ, უკვე 20 ლიეს (80 კმ) მანძილს ისე გაიელიდა, რომ დასახლებული აღგილი არ შესვდებოდა.

§16. ქალაქი, ხელოსნობა და ვაჭრობა XVII საუკუნეში

დაცემის ხანგრძლივი პერიოდის შემდეგ, XVII ს-ის დასაწყისში ღაწყებული საერთო ეკონომიკური აღმავლობა ქალაქების განვითარებამიც აირეკლა. შემთხვევითი არაა, რომ XVII ს-ის წყაროები ხელოსნურ საამქროებს (სინფ, მრ. ასნაფ. — არაბ.) გაცილებით უფრო ხშირად ახსენებენ, ვიდრე წინა საუკუნეებში. ამქარი ამტკიცებდა ოსტატის (უსტად) კვალიფიკაციას. არსებობდა მოწაფის (შაგირდ), ოსტატის მოადგილის (სალიფე) და ოსტატის ინსტიტუტები. არსებობდა აგერთვე ოსტატად ღალოცვის წესი. ამქრებს ჰყავდათ თავიანთი არჩეული უსუცესები, რომლებსაც ქალაქის ხელისუფალნი სცნობდნენ. „თაზქირათ ულ-მულუქი“

გვამცნობს: თიოეული კვარტალის, თითოეული სოფლის და თითოეული ხელოსნური ამქრის ხალხი თავისი წრიდან ნიშნავს სანდო პირს და განსაზღვრავს მის ჯამაგირს. ეს დოკუმენტი, ნაიბის მიერ ბეჭდით დამოწმებული, მათ მიაქვთ ქალანთართან და იღებენ მისგან მოწმობას (თალიკეს) და ამორჩეულისათვის საპატიო ტანსაცმელს; ამის შემდეგ, იგი იწყებს მათი საქმიანობის თაობაზე ზრუნვას. ამქრის უსტაბაშის (უსუცესის) ნებართვის გარეშე არავის შეეძლო სახელოსნოს გახსნა. ამქრის ხელოსნებს ჰქონდათ თავიანთი შეკრებები. ყოველწლიურად, პირველი სამი თვის განმავლობაში, ამქრების უსტაბაშებს თავის სახლში უხმობდა ქალანთარი და მართავდა კრებებს; მათთან ერთად აღგენდა ხელოსნობაზე დაწესებულ გადასახადს (ბონიჩე). ეს წესი მიუთითებს ქალაქის ცხოვრებაში ამქრების მნიშვნელობის ზრდაზე. სელჩუკებისა და ილხანების პერიოდის წყაროების მონაცემებით, საფინანსო მოხელეები თავიანთი ნება-სურვილით, ამქართან თათბირის გარეშე, ბეგრავდნენ ხელოსნებს გადასახადებით. XVII ს-ში ზოგიერთი ამქარი ხაზინაში თავისი ხელოსნური ნაწარმიდან ნატურით იხდიდა ნაწარმის გარკვეულ რაოდენობას, სხვები ამის ნაცვლად გადასახადს იხდიდნენ ფულით: მარდენის მიხედვით, 10-დან 20 სუ-მდე წელიწადში თითოეული სახელოსნოს დასლიდან ე.ი. 1/2 ან ერთ აბასიზე ცოტათი მეტს (1 აბასი, 1/50 თუმანი 18 ფრანგულ სუს უდრიდა). ამქრები ორგანულად იყვნენ დაკავშირებული პეიდარიების და ნი'შეთულლაპიბის დერვიშულ ორდენებთან, რომლებიც XVI-XVIII სს-ის ირანის ქალაქებში დიდი გავლენით სარგებლობდნენ.

პრივილეგირებული ხელოსნები იყვნენ სასახლის სახელოსნოების ოსტატები. XVII ს-ში სასახლის სახელოსნოებში მუშაობდნენ არა მონა-ხელოსნები, როგორც ადრე (XVI ს-ის პირველ ნახევარშიც კი), არამედ თავისუფალი, დაქირავებული ხელოსნები. „თაზქირათ ულ-მულუქი" გვამცნობს, რომ, იმდენად, რამდენადაც სასახლის სახელოსნოების — „ბიუთათ" ხელოსნების დანიშვნა, ესაა ხელმწიფისათვის არასაკადრისი საქმე, ამ ხელოსნების დანიშვნა ხდებოდა დიდი ვეზირის ბრძანებით ამ სახელოსნოების უფროსის („ნაზირ-ე ბუიუთათ") და მთავარი ხაზინადარის (მუსტუოუფი ალ-მამალექ) წინასწარ წარდგენის შემდეგ. სასახლის სახელოსნოების ოსტატები იღებდნენ ჯამაგირს და წლის ბოლოს

– დაწესებულ საჩუქრებს. სასახლის სახელოსნოების ნაწარმის შეფასება ხდებოდა ნაზირის მიერ საამქროების უსტაბაშებთან ერთად.

XVII ს-ის ირანის ქალაქებში, ისევე, როგორც აღრეც, საერთო საქალაქო თვითმმართველობა არ იყო. ქალაქის სათავეში იდგა ქალანთარი, რომელიც ოლქის მსხვილი ფეოდალების, საბითუმო ვაჭრობასთან დაკავშირებული წრიდან (უფრო იშვიათად, ვაჭრული ზედაფენიდან) იყო გამოსული. ქალანთრის უფლებამოვალეობანი დაწერილებითაა აღწერილი კემპფერის მიერ: ქალანთარს უნდა დაეცვა მოქალაქეების უფლება და ინტერესები სასამართლოში; თვალყური უნდა ედევნებინა ტარუღასათვის, რათა მას არ შეეიწროვებინა ქალაქის მცსოვრებნი. გადასახადები უნდა წესიერად აეკრიფათ; სახელმწიფოს სასარგებლოდ დაწესებული გადასახადები გაენაწილებინათ საამქროებსა და კვარტალებს შორის. ამგვარად, ფორმალურად, ქალანთარი ითვლებოდა მოქალაქეთა წარმომადგენლად და მათ დამცველად. სინამდვილეში იგი იყო ქალაქის ზედაფენების – ადგილობრივი მიწისმფლობელების, სასულიერო პირების და მსხვილი ვაჭრების ინტერესების დამცველი. ისპაანის გარეუბნის – სომსური ქალაქის „ახალი ჯულფის“ მცსოვრებნი სარგებლობდნენ თავიანთი მსხვილი ვაჭრების წრიდან ქალანთრის თვითონ არჩევის უფლებით.

თვითმმართველობა არსებობდა ვაჭრული, სასულიერო (სეიდების თემი, მედრესე), ხელოსნური საამქროების (ასნაფ) და ქალაქის კვარტალების (მაჰალე) შიგნით. ყველა ისინი სარგებლობდნენ თავიანთი უხუცესის არჩევის უფლებით, რომელსაც ამტკიცებდა ქალანთარი.

ხელოსნობას შორის წამყვანი აღგილი ქსოვილების წარმოებას ეჭირა. დაცემის პერიოდის შემდეგ, შაჰ აბას I-ის მმართველობის ღროს იგი შესამჩნევად აყვავდა. ისპაანში, ქაშანში, იეზდიში, ქერმანში, შირაზში, მეშპედში, თავრიზსა და სხვა ქალაქებში. ბევრი სახელოსნო გაჩნდა, რომელიც ამზადებდა აბრეშუმის ქსოვილებს, ფარჩას და ხავერდს. ადამ ოლეარიუსის სიტყვით, სპარსელი ხელოსნების უმეტესობა ფეიქრები და მღებავები იყვნენ. აბრეშუმის ქსოვილების ხელოსნური წარმოება ემსახურებოდა არისტოკრატიისა და მსხვილი ვაჭრების ინტერესებს; იგი საგარეო ბაზარს აძარაგებდა. ამზადებდნენ ერთფეროვან (ქამსა) და მრავალფეროვან (კასაბ) აბრეშუმის ქსოვილებს, უბრალო, ოქროქსოვილ

და ეერცსლითი ნაქსოე ფარჩას (ზარბაეთი), მრაეალი სახის ხაეერდს. შარდენის ცნობით, მარტო ფარჩა იყო ასნაირი, რომელთა შორისაც გამოირჩეოდა ორმაგი ფარჩა. ამგვარი სახეობის ფარჩის 1 გეზი (რუსული არშინი) 2500 აბასი (50 თუმანი) ღირდა. ეს იყო მსოფლიოში ყველაზე ძეირფასი ქსოეილი. შარდენი წერდა, რომ ამ ძეირფასი ქსოეილის დამზადებაში ერთიღროულად 5-6 კაცი მონაწილეობდა; მისი დასამზადებლად საჭირო იყო 24-30 საქსოეი დაზგა, იმ დროს, როცა ჩვეულებრივი ქსოვილებისათვის 2 დაზგაზე მეტი არ იყო საჭირო. ამ ძეირფასი ფარჩის არნახული ფასის მიუხედავად, მქსოველები დღეში 15-16 სუს (1 აბასიზე ნაკლებს) იღებდნენ. შარდენი აქებდა აგრეთეე სპარსულ ოქროქსოვილ ხაოიან ხავერდს, რომელიც მუდმივად ინარჩუნებდა თაეის ფერსა და ბრწყინვალებას და არასდროს არ ცვდებოდა. საუკეთესო ხაეერდს ამზადებდნენ ქაშანში, იეზდისა და ისპაანში.

ირანში ამზადებდნენ აქლემის ბეწვის ქსოვილებს, რისი წარმოებითაც განთქმული იყო იეზდი, ქირმანი და ყაზეინი. ცხერის მატყლის ქსოვილებით განთქმული იყო მაზანდარანი, ხოლო განსაკუთრებით წმინდა და საუკეთესო ქსოვილს ამზადებდნენ დოუკრაში — სპარსეთის ყურის სანაპიროზე. მზადდებოდა ძალზე წმინდა და მსუბუქი თაქნაბადი. მოსახლეობის ფართო ფენების მოთხოვნილების დასაკმაყოფილებლად დიდი რაოდენობით მზადდებოდა ბამბეულის, უმთავრესად უსეში ქსოვილები (კერბასი). ვანთქმული იყო აგრეთვე სპარსული ჭილობი, რომელიც, შარდენის სიტყვით, სისტანში მზადდებოდა ლერწმისაგან.

ხალიჩების ქსოვამ XVII ს-ის ირანში უმაღლეს ხელოვნებას მიაღწია. ირანული ხალიჩები, ბაღდადისა და თურქეთის გავლით, დიდი რაოდენობით გაპქონდათ დასაელეთ ევროპაში, ამიტომაც მათ ევროპაში შეცდომით თურქული ხალიჩებს უწოდებდნენ.

XVII ს-ის ირანულ ხალიჩებში მცენარეული ორნამენტი სჭარბობდა. არცთუ იშეიათად ხალიჩებზე გამოსახული იყო აყვაეებული ბაღები, წყლით სავსე აუზები და ანკარა წყაროები. ხალიჩებზე წინა საუკუნეებისათვის დამახასიათებელი სცენები ფეოდალთა ყოფიდან (ნადირობის სცენები და სხვ.), ახლა თანდათანობთი ქრება. XVII ს-ის ირანის ხალიჩებში კომპოზიციის მეტი თავისუფლებაა შესამჩნევი: იგრძნობა ხალხური შემოქმედების ხასიათი. ირანულ ხალიჩებს შორის პირველ ადგილზე იყო

თხისა და ცხვრის მატყლისაგან მოქსოვილი ქერმანული ხალიჩები, რომელიც შემკული იყო დახვეწილი მცენარეული ორნამენტით. სჭარბობდა მწვანე და ფირუზისფერი ტონები. განთქმული იყო აგრეთვე შალისა და აბრეშუმის ქაშანური ხალიჩები — აგრეთვე მცენარეული ორნამენტით შემკული; სჭარბობდა წითელი, ცისფერი, თეთრი, კრემისფერი ტონები.

შირაზული ხალიჩებისათვის დამახასიათებელი იყო გეომეტრიზირებული მცენარეული ორნამენტი: სჭარბობდა მწვანე, ლურჯი და წითელი ფერი. განთქმული იყო აგრეთვე ჰამადანის, ფერაჰანის და ხორასნის ხალიჩები. ყველა ეს ხალიჩა ერთმანეთისაგან განსხვავდებოდა ტექნიკური და სტილისტური თავისებურებებით. თავისი სტილით ირანული ხალიჩებისაგან მკვეთრად გამოირჩეოდნენ სამხრეთ აზერბაიჯანის (თაურიზი, არდებილი) და ირანის ქურთისტანის (ქ. სენნე) ხალიჩები. XVII ს-ის მოგზაურები მეტწილად ქერმანულ ხალიჩებს აქებენ.

საქვეყნოდ იყო განთქმული სპარსული ფაიფური, ნახევრად ფაიანსი და ფაიანსი. წარმოების დაცემის ხანგრძლივი პერიოდის შემდეგ, VII ს-ში სპარსული კერამიკა კვლავ აყვავდა. აღორძინდა ერთ დროს თითქმის გამქრალი ლიუსტრინით მოხატვა, კობალტით შეღებვა, მწვანე და ფირუზისფერი მოჭიქვით დაფარვა და სხვა. ქ. ქერმანმა მთელ მსოფლიოში გაითქვა სახელი ფირუზისფრად მოჭიქული კერამიკით. XVII ს-ის სპარსული მხატვრული კერამიკა ჩინურისაკენ მიბაძვის მისწრაფებას ამჟღავნებდა. ჩინური გაელენა ყველაზე უფრო ნაკლებად შეინიშნებოდა ქერმანში დამზადებულ ჭურჭელზე. სპარსეთის ყურის სანაპიროზე, გამბრუნში ამზადებდნენ მუქლურჯი საღებავით მოსატულ ფაიანსის ლამაზ ჭურჭელს, რომლის გვერდებში გამოწვამდე აკეთებდნენ ნაჩვრეტებს, რომელსაც შემდეგ ავსებდნენ მინის ხსნარით; გამოწვის შემდეგ მინა რჩებოდა გამჭვირვალე. განთქმული იყო აგრეთვე სხვადასხვაფერი ჭიქით დაფარული შორენკეცები, რომლებსაც იყენებდნენ შენობების ფასადების და გუმბათების მოსაპირკეთებლად. სპარსული მხატვრული კერამიკის საუკეთესო ნაწარმი მზადდებოდა ქერმანში, შირაზში, მეშჰედში, იეზდიში, ქაშანში, ნაინში, ისპაანში. ამ ქალაქების ნაწარმი არსებითად განსხვავდებოდა ერთმანეთისაგან სტილით, ტონებით და ნახატით. შარღენი სცნობდა შირაზის ფაიანსის უპირატესობას.

ხელოსნობის სხვა დარგებს შორის განთქმული იყო ტყავის ნაწარმის დამზადება. განსაკუთრებით გამოირჩეოდნენ შაგრენის ტყავის დამზადებით ქ. ყაზვინი და სსვადასსვაფერის და ხარისხის ტარსიკონის დამზადებით ქ. თავრიზი.

მოგზაურები სპარსულ მშვილდებს და ხმლებს მსოფლიოში საუკეთესოდ თვლიდნენ. აღამ ოლეარიუსის მიხედვით, საუკეთესო ფოლადს ამზადებდნენ ნეირიზის ტბის ნაპირზე, ხოლო საუკეთესო ხმლის პირებს — ქ. ყუმში (ყაზვინის ხალოს); მათი ფასი 4-დან 20 რეიხტალერამდე (18-80 აბასი) იყო. ოსტატობის განსაკუთრებული ტექნიკით გამოირჩეოდნენ ოქროს, ვერცხლის და ბრინჯაოს ნაკეთობანი (განსაკუთრებით, ვერცხლის ფილიგრანული და სპილოს ძვლისაგან დამზადებული ნივთები).

მაღალი დონეზე იყო საღებავების დამზადება: ლიაპის ლაზური (ლურჯი) საღებაკი ბრაზილიური და იაპონური ხიდან, წითელი საღებავი — ენდროდან, ყვითელი — ზაფრანიდან, ლურჯი — ინდიგოდან, საღებავები ბროწეულისა და ლიმონის წვენიდან და სხვ. „ლიაპის ლაზური" შემოქონდათ „უბნეკთა ქვეყნიდან", ინდიგო და იპონური ხე — ინდოეთიდან, ბრაზილიის ხე — ევროპის ქვეყნებიდან.

შარდენის მიხედვით, XVI-XVII სს. მიჯნაზე ირანში ფართოდ იყო გავრცელებული მინის წარმოება, მაგრამ მინა ხშირად დაბალხარისხოვანი, ნაცრისფერი და ალაგ-ალაგ გამობერილი იყო. საუკეთესო მინის ჭურჭელს ამზადებდნენ შირაზში. მთელს ირანში გავრცელებული იყო საწერი ქაღალდის წარმოება, მაგრამ ირანული ქაღალდი უფრო დაბალხარისხოვანი იყო არამარტო ევროპულზე, არამედ შუაზმიურზეც. ეს უკანასკნელი დიდი რაოდენობით შეპქონდათ ირანში. განვითარებული იყო საპნის წარმოებაც; საპონს ამზადებდენენ ცხვრის ქონისა და სურნელოვანი ბალასების ნაცრისაგან. ეს საპონი იაფი იყო და მას ფართო მომხმარებელი ყიდულობდა. არისტოკრატია ალეპოდან შემოტანილ მაღალხარისხოვან საპონს აძლევდა უპირატესობას.

მოგზაურები, განსაკუთრებით შარდენი, აგეიწერენ ირანული ვაჭრობის მეთოდებს. წინა საუკუნეებში არსებული საბითუმო ვაჭრობა XVII ს-ში დაივიწყეს: ახლა ვაჭრობდნენ მხოლოდ და მხოლოდ ნაღდ ფულზე — ვერცხლის მონეტაზე (როგორც სეფიანთა, ისე უცხოურ მონეტებზე). მსხვილი საბითუმო საკაჭრო გარიგებები წარმოებდა ტომრებით, რომელთაგან თითეული მოი-

ცავდა 2500 აბასს (50 თუმანს). მათი მოცულობა მოწმდებოდა ზუსტი წონით. შარდენი გვარწმუნებს, რომ წონაში მოტყუება შეუძლებელი იყო. ყველა მსხვილ ვაჭარს ნოქრები ჰყავდა. შარდენის სიტყვით, ირანში იყვნენ ვაჭრები, რომლებსაც თავიანთი სანდო აგენტები (ნოქრები) ჰყავდათ ისეთ შორეულ ქვეყნებშიც კი, როგორიც იყო შვედეთი და ჩინეთი. XVII ს-ის ირანში გაბატონებული ფეოდალთა კლასის — სამოქალაქო ბიუროკრატიის მხრიდან მფარველობის წყალობით, მსხვილი მობითუმე ვაჭრის მდგომარეობა ირანში ძალიან საპატიო იყო. საგარეო ვაჭრობა ძირითადად ქრისტიანი ვაჭრების (სომხების, ჰოლანდიელების, ინგლისელების და „ფრანგების") ხელში იყო, რომლებიც ვაჭრობდნენ რუსეთთან და დასავლეთ ევროპის ქვეყნებთან; ინდოეთთან და შორეულ აღმოსავლეთის ქვეყნებთან ვაჭრობის საღავეები ინდოელი ვაჭრებს ეკუთვნოდათ. აღსანიშნავია, რომ იმავე ხანებში საგარეო ვაჭრობა ქრისტიანების (ბერძნების, სომხების, ევროპელების) და ებრაელების ხელში იყო თურქეთშიც. შინაურ ვაჭრობას მეტწილად მუსლიმი (სპარსელი) ვაჭრები განაგებდნენ.

„ახალი ჯულფის" სომეხ ვაჭრებს შორის იყვნენ ძალიან მდიდრები, რომელთაც 60-200 ათასი თუმნის ქონება ჰქონდათ. ახალჯულფელი მსხვილი სომეხი ვაჭრების კომპანია ირანიდან აბრეშუმის ექსპორტის უფლების მონოპოლიით სარგებლობდა. შაპი სომეხ ვაჭრებს დიპლომატიურ დავალებებს აძლევდა ქრისტიანულ ქვეყნებში, აგრეთვე იყენებდა მათ როგორც კონტრაგენტებს, მათი საშუალებით ასაღებდა ევროპაში აბრეშუმის ქსოვილებს, ფარჩას, ხავერდს და სასახლის ხელოსნების სხვა ნაწარმს. „ახალი ჯულფის" სომხები საშინაში ყოველწლიურად 580 თუმანს იხდიდნენ.

სომეხ ვაჭრებს გარდა, მსოლოდ ინგლისელებისა და პოლანდიელების საავაჭრო ფაქტორიებს ჰქონდათ ნებლი აბრეშუმის გატანის უფლება. პოლანდიელები დიდი წარმატებით უწევდნენ კონკურენციას ინგლისელებს. ინგლისის ბურჟუაზიული რევოლუციის დროს (1645 წ.) პოლანდიელებმა შაჰ აბას II-ისაგან მიიღეს განსაკუთრებული უფლებები ირანიდან საქონლის ექსპორტის საქმეში.

საინტერესოა, რომ ინგლისელებთან კონფლიქტს როგორც შაჰის, ისე მოსკოვის მეფის მთავრობა ერთნაირი მოტივებით ხსნიდა

(ინგლისელებმა „გაბედეს“ თავისი კანონიერი მეფის კარლოსის სიკვდილით დასჯა). ინგლისში მონარქიის რესტავრაციის შემდეგ (1660 წ.), ინგლისელებმა ირანში მოახერხეს აბრეშუმით ვაჭრობის საქმეში მხოლოდ მეორე ადგილის დაკავება (ჰოლანდიელების შემდეგ). XVIII ს-ის 70-იან წწ-ში ჰოლანდიელებმა დასავლეთ ევროპაში გაიტანეს წელიწადში 500-დან 600 ათას ლივრამდე (დაახლოებით 11-დან 13000 თუმნამდე) ღირებულების ნედლი აბრეშუმი.

გარდა ნედლი აბრეშუმისა და აბრეშუმის ქსოვილებისა, ირანიდან დასავლეთ ევროპის ქვეყნებში გაჰქონდათ ტარსიკონი, შაგრენის ტყავი, აქლემისა და ცხვრის მატყლი, ხალიჩები, ფაიანსის ჭურჭელი, ოქროს და ვერცხლის ნაკეთობანი, ძვირფასი ქვები, კერძოდ კი დიდი რაოდენობით ფირუზი. XVII ს-ის რუსული ძვირფასეულობის სიებში ჩამოთვლილია: ყიზილბაშური ატლასი, ყიზილბაშური ხავერდი, დაროგი (დარუგაი-ოქრომკედით ან ვერცხლით ნაკერი აბრეშუმის ქსოვილი) გილიანის, ქაშანის, ყიზილბაშური; ბუფი (სუფ-შალის ქსოვილი), იზორბაეთი (ბარბაეთი — ფარჩა), ქამხა (კიმხა) იეზდის, ყიზილბაშური; ყუთნია (ყუთნი — ნახევრად აბრეშუმის ზოლიანი ქსოვილი) ყიზილბაშური; ობიარი (აბიარ — სქელი აბრეშუმის, ტალღისებური ქსოვილი, ოქროსა და ვერცხლის ზოლებით); ფატა (აბრეშუმის თავსაფრი) ყიზილბაშური და სხვ. აი, ამ აღწერილობის მაგალითები: ყიზილბაშური ხაევერდი — ვერცხლისფერ ფონზე ბალახი და ფოთლები, აბრეშუმი ცეცხლისფერი და შინდისფერი; ყიზილბაშური ხავერდი — ვერცხლისფერ მიწაზე მსხდომი ხალხი, ავაზა და სხვა ცხოველები; სხვადასხვანაირი აბრეშუმი; ყიზილბაშური ზოლებიან ქამხა, მასზე წითელი ზოლები, შავმოიისფრო (ვეკანი) ზოლები. ოქროსი და ვერცხლის ადამიანები და ფრინველები, მათ შორის ყვითელი არშია; გილიანური მწვანე დაროგა, ყიზილბაშური ცეცხლისფერი დაროგი, მასზე წერილი ოქროს და ვერცხლის ძაფები; ყიზილბაშური დაროგა, მასზე ოქროს სვები, აბრეშუმით ნაკერი და სხვ.

გარდა ამისა, ირანიდან რუსეთში გაჰქონდათ ნედლი აბრეშუმი, მიტკალი, ცხვრის ქურქები, იარაღი (ყიზილბაშური ხმლები, ისრები, მშვილდები; მეშპეღის მშვილდები). ყიზილბაშური უნაგირები, ორმუზდის მარგალიტი, ფირუზი, საღებავები, სმელი ხილი.

ირანისა და აზერბაიჯანის რუსეთთან ვაჭრობის მასშტაბები ძალიან გაიზარდა. ისპაანში, ყაზვინში და ჩრდ. ირანის სხვა

ქალაქებში გამოჩნდნენ რუსი ვაჭრები, ხოლო შემახაში მუდმივად ცხოვრობდა ბევრი რუსი ვაჭარი, რომლებსაც თავიანთი ეკლესია ჰქონდათ. ირანიდან, რუსეთზე გაელით, აბრეშუმი და სხვა ირანული საქონელი გაპქონდათ პოლონეთში (ლიახისტანში), გერმანიასა და ინგლისში.

ირანიდან თურქეთში (ბაღდადის გაელით) XVII ს-ში გაპქონდათ თამბაქო, სამელნე კაკალი, მატყლის უხეში ქსოვილები, სხვადასხვანაირი აბრეშუმის ქსოვილი, ხალიჩები, ბევრი ტარსიკონი, სხვადასხვა ჭურჭელი, ფოლადი, რკინის ზოდები და დამუშავებულ რკინა, ლერწამი, ბზის ხის ნაკეთობანი; ირანიდან თურქეთში რკინის გატანა ნებისმიერი სახით აკრძალული იყო, მაგრამ, მიუხედავად ამისა, არასოდეს შეწყვეტილა.

ირანიდან ინდოეთში დიდი რაოდენობით გაპყავდათ ცხენები, გაპქონდათ თამბაქო, ყველანაირი ხილი — ხმელი, დამაქრული, დამწნილებული, განსაკუთრებით ფინიკი და ქიშმიში, კომშის მარმელადი, ღვინო, ხილის და ყვავილების ესენციები, ფაიანსის ნაწარმი, ყველანაირი ტარსიკონი; გაპყავდათ მონები.

ინდოეთიდან ირანში შემოპქონდათ ბამბის თხელი ქსოვილები, ნელსაცხებლები სანელებლები, არომატული და სამკურნალო მცენარეები, ინდიგო, მონები, შორეული აღმოსავლეთიდან ტრანზიტის საგნები. მოგზაურები აღნიშნავენ, რომ XVII ს-ის განმავლობაში ინდოეთთან ირანის ვაჭრობის ბალანსი სულ უფრო და უფრო პასიური ხდებოდა: შეიმჩნეოდა სეფიანთა ვერცხლის მონეტის, აგრეთვე ოქროსი და ვერცხლის საგნების გატანა ინდოეთში. ამასთან დაკავშირებით, ინდოეთთან და შორეული აღმოსავლეთის ქვეყნებთან ვაჭრობა ინდოელი ვაჭრების ხელში გადაეიდა. სეფიანთა სახელმწიფოს თითქმის ყველა ქალაქში, შორეულ ბაქოსა და შემახაშიც კი, XVII ს-ში გაჩნდა ინდოელი ვაჭრების დასახლებები (ასეთები აღრე ანუ სულ არ იყო, ან ძალიან ცოტა). XVII ს-ის უკანასკნელ მეოთხედში ისპაანში 20000 ინდური ცხოვრობდა.

ვოლგა-კასპიის გზით რუსეთიდან ირანში, შემახას ან გილიანის გაელით, შემოპქონდათ ყოველნაირი ბეწვეული, დაუმუშავებელი ტყავი, ჩითი, ძაუდი, ტილო, რკინა, სპილენძი, ლითონის ნაწარმი, ზინა და მინის ნაწარმი, ქურქები, საწერი ქაღალდი, შაქარი, თაფლი, ცვილი, არაყი, ხიზილალა, თევზი, ცეცხლმსროლელი

იარაღი, რისი გაგანაც რუსეთიდან სპეციალური ნებართვის გარეშე, აკრძალული იყო, მაგრამ ირანში არალეგალურად მაინც შემოპქონდათ. რუსული სელის ტილო („ქეთან-ე რუსი") სპარსული წყაროებში უკვე XIV ს-ში იხსენიება, მაგრამ XVII ს-ში მისი შემოტანა ირანში ბევრად გაიზარდა. მოსკოველი, ყაზანელი და „ფრანგი" ვაჭრები გილიანის პორტებში 1629 წლის ახლო ხანებში ისსნიებიან.

დასავლეთ ევროპის ქვეყნებიდან XVII ს-ში ირანში დიდი რაოდენობით შემოპქონდათ: მაუდი და საერთოდ ქსოვილები ინგლისიდან, ჰოლანდიიდან, საფრანგეთიდან, იტალიიდან; საფანჯრე და სარკის მინა — ვენეციიდან; ლითონის ნაწარმი; ფუფუნების საგნები; ფრანგული, იტალიური ღვინოები და სხვ., შაქარი, ლამფები, საწერი და ფანჯრებზე გასაკრავი ქაღალდი. ირანში განსაკუთრებული მოთხოვნილება იყო ინგლისურ მაუდზე ე.წ. „ლონდრაზე" (იტალიური — Londra, ფრანგული — Londre) ანუ ლონდონურზე. სპარსელებს შორის გაჩნდნენ სპეციალურად ამგვარი მაუდით მოვაჭრენი — „ლონდრა ფორუშ". XVII ს-ის ბოლოსათვის ისპაანის სამ ქარვასლაში ვაჭრობდნენ ეს „ლონდრა ფორუშები". ამგვარად, უკვე XVII ს-ში ირანში დასავლეთ ევროპული საქონელი, ძირითადად ქსოვილები, დიდი რაოდენობით შემოდიოდა, მაგრამ ისეთი რაოდენობით არა, რომ ირანული ხელოსნური წარმოებისათვის სერიოზული კონკურენცია გაეწია: „ირანში უმთავრესად ისეთი დასავლეთ ევროპული და რუსული საქონელი საღდებოდა, რომელსაც ირანში არ აწარმოებდნენ, მაგ., მაუდი".

XVII ს-ის დასაწყისიდან განსაკუთრებით გაცხოველდა ირან-საქართველოს შორის სავაჭრო-ეკონომიკური ურთიერთობა. ამავე დროს საქართველო, განსაკუთრებით აღმოსავლეთი საქართველო, ირანის გზით მსოფლიო ვაჭრობას დაუკავშირდა.

აღმოსაელეთის ქვეყნებთან ვაჭრობის საქმეში მნიშვნელოვან როლს თამაშობდა თბილისი.

თბილისელი ვაჭრების სამოქმედო ასპარეზი ფართო იყო: ისინი აღებ-მიცემობას აწარმოებდნენ აზერბაიჯანის, რუსეთის, შუა აზიის, ირანის, თურქეთის და ერაყის ქალაქებში. თბილისში მეზობელი თუ შორეული ქვეყნებიდან დიდძალი რაოდენობით შემოპქონდათ ძვირფასი ქსოვილები, აბრეშუმი, თვალმარგალიტი,

იარაღი, ფართაღი, მარილი, თამბაქო, ბამბა, ბრინჯი, ქიშმიში და სხვ. ჩვენთვის საინტერესო ხანაში მნიშვნელოვანი საგაჭრო პუნქტი იყო გორიც.

ირანთან საგაჭრო ურთიერთობა პქონდა დამყარებული დასავლეთ საქართველოს ქალაქებსაც, კერძოდ კი ქუთაისს. ქუთაისში შემოპქონდათ ძვირფასი ირანული შალები, ინდური ფერადი ქსოვილები, ტყავები, კასპიის ზღვის დამარილებული თევზი, ხიზილალა, სანელებლები...

ირანთან საგაჭრო-ეკონომიკური ურთიერთობა პქონდა დადიანსაც, რომელიც სომეხ და ებრაელ ვაჭრებს საქონლის ჩამოსატანად ირანში აგზავნიდა.

ირანიდან საქართველოში ნაირგვარი საქონელი შემოდიოდა: უბრალო და ძვირფასი ქსოვილები, ოქროქსოვილები, ტყავეული, იარაღი, თვალმარგალიტი, ხალიჩები, ქაღალდი, საწერი იარაღი, სარკეები და სხვ.

ირანის ქალაქები შუამაელის როლს თამაშობდნენ საქართველოს და ინდოეთს, ჩინეთს, შუა აზიასა და ევროპის ქვეყნებს შორის ვაჭრობის საქმეში. მათი საშუალებით საქართველოში შემოდიოდა ინდური, შუა აზიური, ჩინური და დასავლეთ ევროპული („ფრანგული") საქონელი.

XVII ს. ირანსა და საქართველოს შორის სავაჭრო-ეკონომიკური ურთიერთობა ორმხრივი ხასიათისა იყო. XVI ს-ის უკანასკნელი მეოთხედიდან მოყოლებული საქართველოდან ირანში გაპქონდათ ნედლი აბრეშუმი, შესანიშნავი ღვინო, ხილი, ნიგოზი; გაპყავდათ ცხენები („ტურჯის" სახელით ცნობილი).

XVII ს-ის ბოლოს ირანის ეკონომიკაში რეაქციული ტენდენციების გამარჯვებამ და ამასთან დაკავშირებულმა სოფლის გაღატაკებამ და მინაური ბაზრის შევიწროებამ, უკიდურესად უარყოფითად იმოქმედა ხელოსნებისა და ვაჭრების მდგომარეობაზე. გადასახადებისა და სავაჭრო ბაჟების ზრდა, ფეოდალური სახელმწიფოს მძიმე ტვირთი, რაც განსაკუთრებით დამღუპველი იყო არაპრივილეგირებული საშუალო, წერილი ვაჭრებისა და ხელოსნებისათვის, ფეოდალების ბატონობა და თვითნებობა ქალაქებში ასმობდა XVII ს-ის დასაწყისში გაჩენილ პროგრესულ ტენდენციებს. აი, ამიტომ ირანის ქალაქებში ვერ მოხერხდა ერთიანი

ბაზრის ჩამოყალიბება და ახალი კაპიტალისტური ურთიერთობის დაფუძნება.

აღსანიშნავია, რომ XVII საუკუნის ირანში ეკონომიკური განვითარების დამახასიათებელი ნიშანი ის იყო, რომ სამეურნეო აღმავლობა აღინიშნებოდა უმთავრესად ცენტრალური და დასავლეთ ირანის (ისპაანი, შირაზი, ყაზვინი, პამადანი, ქერმანი, რეშთი, ფუმენი, ლაპიჯანი..) და სამხრეთ აზერბაიჯანის ქალაქებში. პირიქით, ხორასნის ქალაქები (მეშჰედისა და ყარღაარის გამოკლებით) ამ პერიოდში უძრაობის ნიშნებს ამჟღავნებდნენ, რაც შუა აზიასთან ეკონომიკური კავშირების შესუსტებით აიხსნება.

§17. სეფიანთა ირანის სახელმწიფო წყობილება XVII საუკუნეში

პირველ სეფიანთა დროს დაარსებული და შაპ აბას I-ის დროს რეფორმირებული სახელმწიფო აპარატი საბოლოოდ ჩამოყალიბდა შაჰ სულთან-ჰუსეინის დროს (1694-1722 წწ). ირანში, ისევე, როგოც აღმოსაელეთის ბევრ ქვეყანაში, ცენტრალური სახელმწიფო აპარატი (განსაკუთრებით საფინანსო უწყება) გაბერილი იყო. მთელი შუა საუკუნეების განმავლობაში ამ ქვეყნებში მიმდინარეობდა ბრძოლა ცენტრალიზებული ფეოდალური სახელმწიფოს მომხრეებსა და ფეოდალურ დაქუცმაცებულობის მომხრეებს მორის. ერთი მხრიე იყო სამოქალაქო ბიუროკრატია და სასულიერო წოდება, ხოლო მეორე მხრივ ადგილობრივი პროვინციული არისტოკრატია.

როგორც ზემოთ უკვე ითქვა, XVI-XVII სს მიჯნაზე სეფიანთა სახელმწიფოში პოლიტიკური ხელმძღვანელობა სამხედრონომადური (ყიზილბაშური) არისტოკრატიის ხელიდან გადავიდა სპარსული სამოქალაქო ბიუროკრატიის ხელში, რომელიც ეყრდნობოდა სასულიერო წოდებას და მსხვილ ვაჭრებს. ამ გადატრიალების უშუალო შედეგი კი იყო დიუანის მიწების, ხასეს მიწების და ვაკუფის მიწების ფონდის ზრდა და საშინაო პოლიტიკაში ცენტრალისტური ტენდენციების განმტკიცება. მაგრამ ეს ცენტრალისტური ტენდენციები არ შეიძლებოდა რომ საესებით თანმიმდევრული ყოფილიყო და არ შეეძლო ქვეყანა მიეყვანა

ფეოდალური დაქუცმაცემულობის სრულ ლიკვიდაციამდე, რადგანაც იგი ქვეყნის ეკონომიკური განვითარების მსრიდან საკმაო მსარდაჭერას ვერ პოულობდა. ამასთანავე, სამხედრო-ნომადური და პროვინციული არისტოკრატია ჯერ კიდევ ინარჩუნებდა გარკვეულ გავლენას ცენტრში და პროვინციებში; მათ შეეძლოთ საკმაო წინააღმდეგობის გაწევა.

შეიძლება დაბეჯითებით ითქვას, რომ ირანში სახელმწიფო ბიუროკარტიული აპარატი არასოდეს ყოფილა ასე დიდი, გაბერილი, დანაწევრებული და რთული, როგორც XVII ს-ში. იგი დაწერილებითაა აღწერილი „თაზქირათ ულ-მულუქში". ცალკული თანამდებობების და უწყების შესახებ მნიშვნელოვანი ცნობები და კომენტარები აქვთ მოცემული სპარსელ ისტორიკოსებს: მაგ., ისქანდერ მუნშის, მუჰამედ თაჰერს და სხვ., ასევე ევროპელებს, განსაკუთრებით შარდენს, კემპფერს და რაფაელ დიუმანს. მაგრამ მაინც ბევრი რამ დასაზუსტებელია, იმდენად რთული იყო ეს ბიუროკრატიული აპარატი.

შაპინ-შაპის ძალაუფლება, რა თქმა უნდა, შეუზღუდავად ითვლებოდა. სათათბირო უფლება ჰქონდა „უმაღლეს მეჯლისს" („მეჯლის ა'ლა), რომელსაც სახელმწიფო საქმეებზე დიდი გავლენა ჰქონდა. შაჰ-აბას I-ის დროს „უმაღლესი მეჯლისის" შემადგენლობაში შედიოდა შვიდი „სახელმწიფოს საყრდენი" („არკანე დოულეთ"): დიდი ვეზირი, მეჯლის ნაიისი, დივან-ბეგი, ყორჩი-ბაში, ყულარ-აღასი, თოფანგჩი-აღასი და ეშიკ აღასი-აბაში. მთელი ირანის ჯარების მთავარსარდალს (სიფაჰსალარი-ი ყულ-ი ირან) „უმაღლეს მეჯლისში" იწვეედნენ მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც ჯარის, საზღვრების დაცვის და მოსალოდნელი ომის საკითხები განიხილებოდა. XVII ს. ბოლოს უმაღლესი მეჯლისის შემადგენლობაში შეიყვანეს კიდევ სამი დიდებული: მუსტოუფი ალ-მამალექი, ნაზირი ბიუთათი და მირ შექარ-ბაში.

„დიდი ვეზირი", სხვანაირად უმაღლესი დივანის ვეზირი (ვეზირ-ე დივან-ი ალი), ანუ იმპერიის დივანის ვეზირი (ვეზირი დივან-ალ მამალიქ) იწოდებოდა აგრეთვე „სახელმწიფოს ნდობად" (ი'თიმად ად-დოულე) და „მარჯვენა ვეზირად" („ვეზირ-ი რასთ"). იგი იყო შაპის შემდეგ პირველი პირი, სამოქალაქო ადმინისტრაციის მეთაური და დიდი სამეფო ბეჭდის მცველი. ეს ბეჭედი იწოდებოდა „მოპრ-ე მიჰრ ასარ" („წყალობით გამორ-

ჩეული ბეჭელი"). დიდი ვეზირი ამტკიცებდა აქტებს, გაღასახადების, სასახლის უწყებების, უმაღლესი და საშუალო რანგის მოხელეების დანიშვნის, თიულების, სოიურღალების ბოძების შესახებ და სხვ. ისე აქტს, მისი დამტკიცების გარეშე, ძალა არა ჰქონდა. იგი აკონტროლებდა აგრეთვე ბიუჯეტის შესრულებას და განაგებდა საგარეო უწყების საქმიანობას. დიდი ვეზირის თანამდებობა სამოქალაქო იყო (თურქეთში დიდი ვეზირი ამავე დროს მთავარსაღალი იყო). მიუხედავად იმისა, რომ დიდი ვეზირის ძალაუფლება დიდი იყო, მას, ისევე, როგორც სხვა დიდებულებს, შაჰი ნებისმიერ დროს მოხსნიდა და სიკვდილითაც სჯიდა.

მეჯლის ნავსი (სხვანაირად ვაყა-ი ნაეისი) დიდი ვეზირის თანაშემწე, ხოლო მისი არყოფნის შემთხვევაში უმაღლეს მეჯლისში მისი მოადგილე იყო. მას უწოდებდნენ აგრეეე „მარცხენა ვეზირს" („ვეზირი ჩაფ"). იგი აწარმოებდა უმაღლესი საბჭოს ოქმებს, განაგებდა სახელმწიფო არქივს და კარის ისტორიოგრაფი იყო.

უმაღლეს სამოქალაქო მოსამართლეს დივან-ბეგი ეწოდებოდა. მონღოლთა ბატონობის პერიოდიდან მოყოლებული ირანში სასამართლო მხოლოდ სასულიერო პირების ხელთ აღარ იყო. XVII ს-ში დივან-ბეგს, უმაღლეს საღრთან (სასულიერო მოსამართლესთან) ერთად გამოჰქონდა მსჯავერი პოლიტიკური დანაშულის გამო (შაჰის წინააღმდეგ შეთქმულება, სახელმწიფოს ღალატი და სხვ); მის კომპეტენციაში შედიოდა აგრეთვე გასამართლება ოთხი კატეგორიის სისხლის სამართლის დანაშაულის გამო: მკვლელობა, გაუპატიურება, სხეულის დაზიანება და დაბრმავება. გარდა ამისა, დივან-ბეგი კვირაში ორჯერ არჩევდა საქმეებს ურფის (ადათობრივი სამართლის) საფუძველზე. დივან-ბეგი აგრეთვე აკონტროლებდა მუსლიმური სასულიერო სასამართლოების (შარიათი) განაჩენს (რაც შეეხებოდა სამოქალაქო და დანარჩენ სისხლის სამართლის დანაშაულს) და არამუსლიმთა (ქრისტიანი ეპისკოპოსების და ებრაელთა რაბინების) სასულიერო სასამართლოების განაჩენს. და ბოლოს, დივან-ბეგი იყო უმაღლესი სააპელაციო ინსტანცია.

მუსტოუფი ალ-მამალექი („იმპერიის ხაზინდარი") იყო დიდი ვეზირის მოადგილე დიეან ალ-მამალექის სფეროში. მის უწყებაში იყო მთელი საგადასახადო აპარატი, ბიუჯეტის შემოსავლისა და გასავლის შედგენა, საგადასახადო სიების დამტკიცება.

ყორჩი-ბაში იყო ყორჩიების გვარდიული კორპუსის და ყიზილ-ბაშია ფეოდალური ლაშქრის მეთაური. ყულარ-აღასი (თურქ., აზერბ., – „მონათა უფროსი“), ყოველთვის ქართველი, ცხენოსან გვარდიელთა კორპუსის მეთაური იყო; იურიდიულად ყულები (გვარდიელები) – მონები ითვლებოდნენ შაპის პირად მონებად. ითოფანგჩი-აღასი ეწოდებოდა თოფანგჩიების (მეთოფეების, მუშ-კეტერების...) გვარდიული კორპუსის მეთაურს. „სიფაპსალარ-ი ყულ-ი ირან“ იყო ყველა სახეობის ჯარის მთავარსარდალი. ის გარემოება, რომ იგი მეჯლისის სხდომებში მონაწილეობდა მხოლოდ და მხოლოდ სამხედრო საკითხების განხილვის დროს, სამოქალაქო ბიუროკრატიის ხელში ხელმძღვანელი როლის გადასვლის შედეგი იყო. ემიკ-აღასი ბაში (თურქ., აზერბ., „მღვურბლის – კარის მეთაურთა თავი“) იყო შაპის კარის მთავარი ცერემონმეისტერი. „ნაზირ-ი ბიუთათ“ იყო შაპის სასახლის ყველა სამეურნეო დაწესებულებების, მათ შორის სასახლის სახელოს-ნოების, მეთაური. შაპის მონადირეთა უფროსს მირ შექარ-ბაში ეწოდებოდა. მის სახელისუფლოში შედიოდნენ მარეკები, ბაზიერები და სხვ. მისი მნიშვნელობა იმით იყო განპირობებული, რომ დიდი ნადირობა ალყით (ჯერგით) იმართებოდა, რომელშიც ვარდა შაპისა და მისი კარის დიდებულებისა, ათი ათასობით მეომარი, მოლაშქრე და გლეხი მარეკი მონაწილეობდა

ცენტრალური აპარატის სხვა მრავალ თანამდებობას შორის თავისი მნიშვნელობით უნდა გამოიყოს შემდეგი: თოფჩი-ბაში – არტილერისტების უფროსი; დარუგა-ი დაფთარ-სანეი-ი ჰუმაიუნ – შაპის კანცელარიის უფროსი; მუსტოუფი-ი დივან-ი ხასსე – მთავარი ხაზინადარი (ანუ უფროსი) შაპის საკუთარი დომენებისა; მუსტოუფი მოუკუფათ – ეაკუფის ქონების მთავარი ხაზინადარი.

მუსლიმური შიიტური სამღვდელოების, უფროსი სასულიერო წოდების, სათაურში იდგა ორი დიდი სადრი (ანუ სადრთა სადრი – „საღრ ას-სუღურ“) – ერთი დივანის ოლქებისათვის, მეორე სასეს ოლქებისათვის. დიდი საღრების საგამგებლოში შედიოდა სასუ-ლიერო სასამართლო და ეაკუფის ქონება; მათ ემორჩილებოდნენ უმაღლესი რანგის ღვთისმეტყველები (მუჯდეპიდები) და დაბალი რანგის ღვთისმეტყველები (ულემები), აგრეთვე ცალკეული ოლქე-ბის შეიხ ულ-ისლამები, საღრები (ოლქების ეაკუფების გამგე-ბლები) ადგილობრივი ყადიები (სასულიერო მოსამართლეები).

XVII ს-ის ბოლოს, სპეციალურად ვაელენიანი მუჯდეპიღის, ცნობილი რეაქციონერისა და ფანატიკოსის მოპამელ ბაყირ-ხან მეჯლისისათვის მოლა-ბაშის – მთელი მიიტური სამღვღელოების უმაღლესი მეთაურის – თანამდებობა შემოიღეს. შაპი ბრძანებულების გამოცემის წინ, ჩვეულებრივად მუჯდეპიღებს ეკითხებოდა მუსლიმური კანონების თვალსაზრისით ამა თუ იმ აქტის კანონიერების შესახებ. მუჯდეპიღები ადგენდნენ მოკლე საღვთისმეტყველო-იურიდიულ დასკვნას (ფეთვას), რასაც შემდეგ შაპის ბრძანება ემყარებოდა.

შაპის სასასლის მოხელეების შტატი უზარმაზარი იყო. გარდა ზემოხსენებული ვაზირ-ი ბუიითათის, ეშიკ აღასი-ბაშის და მირ შექარ-ბაშისა, აღსანიშნავია შემდეგი თანამდებობები: მეპმანდარ-ბაში (მესტუმრეთუხუცესი) – განაგებდა ელჩებისა და საპატიო სტუმრების მიღებას; ორი მირახორ-ბაში (მეჯინიბეთუხუცესი), რომელთგან ერთი – „წინა“ განაგებდა კარის საჯინიბოებს, ხოლო მეორე – „ველის“ – შაპის ცხენსაშენებს; ყმჩი აღასი – ბაზიერთუხუცესი; სუფრაჯი-ბაში – მესუფრეთუხუცესი; პალავაჯი ბაში – კარის კონდიტერების უფროსი; შარაბჯი-ბაში – მეღვინეთუხუცესი; მუნაჯიმ-ბაში – კარის ასტროლოგების უფროსი; ამბარდარ-ბაში – სასახლის საწყობების უფროსი; ხოჯაი-ი სარაი – შაპის ჰარემის მთავარი საჭურისი და სხვ. ამ თანამდებობებიდან ბევრი მხოლოდ და მხოლოდ საპატიო სინეკურა იყო.

ზემოთდასახელებულ თითოეულ სამოქალაქო, სამხედრო, სასულიერო და კარის დიდმოხელეს ჰქონდა კანცელარია და პყადა თავის მოხელეების შტატი. ამ დიდებულებს ასაჩუქრებდნენ სასოიურღალო და თიულის მიწების შემოსაელიდან, ხელფასიდან („მავაჯები“) და მრავალგვარი საჩუქრების („ფიშქეშ“) პროცენტული შემოსაელიდან. ეს „საჩუქრები“ ფულადი და ნატურის სახით აუცილებელი წესით შემოდიოდა შაპის ხაზინაში სხვადასხვა ოლქებიდან.

სახელმწიფოს მთელი ტერიტორია ორ არათანაბარ ნაწილად იყოფოდა: დივანის ოლქები და ხასეს ოლქები. დივანის ოლქებში სჭარბობდა სახელმწიფო (დივანის) მიწები. იქ საერთოდ არ იყო შაპის პირად საკუთრებაში მყოფი მიწები. ხასეს ოლქებში სჭარბობდა შაპის საგვარეულოს მიწები; იქ სახელმწიფო მიწები თითქმის არ იყო. მულქისა და ვაკუფის კატეგორიის მიწები

შეიძლებოდა ყოფილიყო ორიეე კატეგორიის მიწებზე. დივანის მიწებს განაგებდა დიუან ალ-მამალექი, სასეს მიწებს – სასეს განსაკუთრებული დივანი. ეს დივანები კრეფდნენ გადასახადს ყველა კატეგორიის მიწიდან (გარდა იმ მიწებისა, რომელთაც საგადასახადო იმუნიტეტი ჰქონდა – სოიურღალის, ვაკუფის მიწები და სხვ.), რომელიც კი დივანის ან სასეს მიწებზე იყო.

საგადასახადო შემოსავლიდან, აუცილებელი „საჩუქრებიდან", საექსპორტო, საიმპორტო და სატრანზიტო ბაჟებიდან, მაღნეულზე დაღებული გადასასადიდან შედგებოდა ორივე დივანის შემოსავალი, არუ სხვანაირად სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსავლის ნაწილი. სეფიანთა სახელმწიფოს ყოველწლიური შემოსავალი ადამ ოლეარიუსის მიხედვით (1639 წ.) 8 მილიონი ტალერი, ანუ 640000 თუმანი (6400 მილიონი დინარი) იყო; შარდენის მიხედვით (1677 წ.) 32 მილიონი ლიერი, ანუ 700 000 თუმანი (7 მილიარდი დინარი); „თაბქირათ ულ-მულუქის" (1725 წ.) მიხედვით – 7 856 235 808 დინარი (ანუ 785623 თუმანზე მეტი); ეს თანხა შედგებოდა დივანის ოლქებიდან (6 086 523 403 დინარი) და სასეს ოლქებიდან (1769712405 დინარი) შემოსული თანხიდან. ამგვარად, დაახლოებით 85 წლის განმავლობაში (1638-1725 წწ) სეფიანთა სახელმწიფოს ყოველწლიური შემოსავალი მერყეობდა 640 ათასსა და 785 ათას თუმანს შორის. ეს უკანასკნელი და ზემოთმოტანილ ციფრებს შორის ყველაზე დიდი ციფრი 10-ჯერ ნაკლებია საფრანგეთის ყოველწლიურ შემოსავალზე 2*1/2*-ჯერ ნაკლები ინგლისისაზე (XVII-XVIII სს მიჯნა), მიუხედავად იმისა, რომ სეფიანთა სახელმწიფო ტერიტორიის და ალბათ მოსახლეობის რიცხვის მხრიეაც, საფრანგეთისაზე და ინგლისისაზე მეტი იყო. ეს შეუარდება ცსადეოფს, რომ XVIII ს-ის ირანი ეკონომიკური თვალსაზრისით ჩამორჩებოდა საფრანგეთსა და ინგლისს.

დივანის ოლქების მმართველობის სათავეში (უმთავრესად ეს იყო სასაზღერო ოლქები) იდგნენ ბეგლარბეგები, რომელთა ხელშიც აღმინისტრაციული და სამხედრო ხელისუფლება იყო თავმოყრილი. სამხედრო ხელისუფლება გულისხმობდა აღგილობრივი ფეოდალური ლაშქრის მეთაურობას. XVII ს-ის ბოლოსათეის ოლქები, რომლებსაც ბეგლარბეგები მართავდნენ, 13 იყო: შირვანი, განჯა და ყარაბაღი, აზერბაიჯანი (სამხრეთი, ანუ ირანის აზერბაიჯანი), „ჩუხურ-სა'ადი" (ერევნის ოლქი, ანუ აღმოსავ-

ლეთი სომხეთი), ყაზვინი, კალამროვი, ჰამადანი, ქუპ გილუე (ფარსი), ქერმანი, გურგანი და ასტრაბადი, მეშჰედი, ჰერათი, მერვი შაჰჯანი, ყანდაარი.

XVI ს-ში ბეგლარბეგობა მემკვიდრეობით ეკუთვნოდა მომთაბარე ყიზილბაშური ტომის ბელადს; ყარაბაღი და ასტრაბადი ეკუთვნოდა ყაჯართა ტომის ორს განშტოებას, ფარსი — ზულყადარის ტომს, ქერმანი — ავშარის ტომს და სხვ. XVII ს-ში შაჰის მთავრობა ცდილობდა საბეგლარბეგოების მმართველობის მემკვიდრეობითობის გაუქმებას, მაგრამ მან ეს მხოლოდ ნაწილობრივ შეძლო ზოგიერთ ოლქებში. XVI ს-ში ბეგლარბეგის ხელისუფლება ძალიან ძლიერი იყო; ზოჯერ იგი ცენტრალურ ხელისუფლებას არც ეპუებოდა. ბეგლარბეგის ძალაუფლების შეზღუდვის მიზნით, ცენტრალურმა ხელისუფლებამ შაჰ აბას I-ის დროს, ბეგლარბეგებს დაუნიშნა მოხელეები, რომლებიც ცენტრალურ ხელისუფლებაზე, იყვნენ დამოკიდებულნი. თითოეულ ბეგლარბეგთან იმყოფებოდა ჯანიშინი — ბეგლარბეგის მოადგილე, რომელიც თვალყურს აღევნებდა მის მოქმედებას და ცენტრს აცნობებდა მის შესახებ, ოლქის ეზირი, მუსტოუფი და მუნში.

ბეგლარბეგზე დამოკიდებული იყვნენ ჰაქიმები, უფრო ხშირად ადგილობრივ ფეოდალური მფლობელები მომთაბარე ან ბინადარი არისტოკრატიიდან. ყველა საბეგლარბეგოს, „თაზიქირათ ულ-მულუქ-ის“ მიხედვით, 51379 მეომარი გამოჰყავდა. ბეგლარბეგებსა და ჰაქიმებს თავისი ადგილობრივი ბიუჯეტი ჰქონდათ. ადგილობრივი გადასახადებიდან შემოსავლის ნაწილს ბეგლარბეგები ითვისებდნენ. მათი მომხვეჭელობა და სიხარბე ანდაზებად იქცა. რაფაელ დიუმანის სიტყვით, სპარსელები, როდესაც ბეგლარბეგებსა და ჰაქიმებზე ლაპარაკობდნენ, არ კითხულობდნენ თუ ვინ მართავს ამა თუ იმ ოლქს, არამედ კითხულობდნენ: ვინ ჭამს ამა თუ იმ ოლქს.

ხასეს ოლქებს, რომლებიც უმთავრესად სახელმწიფოს შიდა რეგიონებში მდებარეობდნენ (მაგ., არდებილი, გილიანი, მაზანდარანი, ისპაანი) მართავდნენ განსაკუთრებული ვეზირები და ამილები — შაჰის ხელისუფლების მიერ დანიშნული წმინდა სამოქალაქო ხელისუფლების წარმომადგენლები. რაიათებთან ურთიერთობის თვალსაზრისით, მათი მმართველობა ბეგლარბეგის მმართველობაზე უკეთესი არ იყო. ხასეს ოლქებიდან შემოსავალი ხმარდებოდა შაჰის კარის, მისი შტატის და მისი უწყებების შენახვას.

თავისი მდგომარეობით ბეგლარბეგზე მაღლა იდგა ვალი. ასე უწოდებდა შაპის მთავრობა თავის ყველაზე უფრო ძლიერ ვასალებს, ქვეყნებისა და ოლქების მემკვიდრეობით ხელმწიფეებს, რომელთა სამფლობელოები სეფიანთა სახელმწიფოს განაპირა მხარეებში მდებარეობდა. თავიანთი ღირსების მისაღებით ვალიების რიგი ასეთი იყო: არაბისტანის (ანუ ხუზისტანის) ვალი. იგი მუმაშას – XV ს-ში ხუზისტანში სასალხო მოძრაობის სელძღვანელის შთამომავალი იყო; 2. ლურისტანის ვალი; 3. ქართლის ვალი (ვალი-ე გურჯისტანი ქართილ); 4. კახეთის ვალი (ვალი-ე გურჯისტან-ი კახით); 5. ირანის ქურთისტანის ვალი (ვალი-ე ქურთისტან). ვალის ჰქონდა თავისი საკუთარი მმართველობის ორგანოები, ჰყავდა თავისი ვასალები, ჰქონდა თავისი ბიუჯეტი, თავისი კანონმდებლობა, თავისი განსაკუთრებული საგადასახადო სისტემა. შაპის ხელისუფლება თითქმის არ ერეოდა მის შინაურ საქმეებში. ვალის დამოკიდებულება შაპის ხელისუფლებაზე უმთავრესად იმით იყო გამოხატული, რომ იგი ხარკის ნაცვლად შაპს უგზავნიდა „შაპის ქარავნებს“ აუცილებელი „საჩუქრებით“ (ქართლის და კახეთის ვალები უგზავნიდნენ ღვინოს და ორივე სქესის მონებს; ქურთისტანის ვალი – ერბოს და მესაქონლეობის სხვა პროდუქციას...), ომის შემთხვევაში გამოჰყავდა მოლაშქრეთა გარკვეული რაოდენობა (მაგ., ქურთისტანის ვალის – 1400 მეომარი). სისტანის და ბახთიარების ოლქის მბრძანებლებს, მართალია, ვალის ტიტული არა ჰქონდათ, მაგრამ არსებითად ისინი ვალიების უფლება-მოვალეობას ფლობდნენ.

პროფ. კ. კუციას აზრით, გურჯისტანის ვალი არაბისტანის ვალისთან ერთად მესაპირე ამირთა შორის გამორჩეული პრივილეგიებით სარგებლობდა. იგი, თუ შეიძლება ასე ითქვას, ნამდვილი ვალი იყო ამ ინსტიტუტისათვის დამახასიათებელი ყველა ატრიბუტით.

თავისი ფაქტობრივი მდგომარეობით ლურისტანისა და ქურთისტანის ვალიები ჩამოუვარდებოდნენ მას. ამიტომ ისინი ხშირად უფრო მცირე – ბეგლარბეგის ტიტულით მოიხსენიებოდნენ.

გურჯესტანის ვალის რეალური სტატუსი უფრო მნიშვნელოვანი იყო, ვიდრე ამას ირანის ოფიციალური თვალსაზრისი აღიარებდა. ამას კი აპირობებდა ქართველ ბაგრატიონთა პოლიტიკური როლი და გავლენა კავკასიის რეგიონებსა და სეფიანთა სახელმწიფოში.

რაც შეეხება სეფიანთა რელიგიურ პოლიტიკას, მთელი XVI ს-ის განმაელობაში (გარდა შაჰ ისმაილ II-ის მოკლე ხნის მბრძანებლობისა 1576-1577 წწ-ში და XVII ს-ში შაჰ-აბას I-ის დროისა), შაჰის ხელისუფლება ღევნიდა სუნიტ მუსლიმებს (ისინი ბევრნი იყვნენ შირვანში, ქურთისტანში, ავღანისტანში, გურგანის თურქმენებში და სსკ.) და მათ ძალით თავს ახვევდნენ იმამიტური შიმართულების შიიზმს. ეს ღევნა ძირითადად პოლიტიკური მოტივებით იყო გამოწვეული: სუნიტებს ბრალს სდებდნენ ომბეგი ხანების ან თურქეთის თანაგრძნობაში. სუნიტურ სახელმწიფოებთან ომების შეწყვეტასთან ერთად (1639 წ.), შეწყდა სუნიტების ღევნაც. შაჰის ხელისუფლება XVI-XVII სს-ში ქრისტიანებს, იუდეველებს, ზოროასტრელებს და ინდუსებს უფრო ლოიალურად ექცეოდა, ვიდრე სუნიტებს და სხვა მუსლიმ „ერეტიკოსებს".

მოგზაურები აღნიშნავდნენ, რომ 40-90-იან წწ-ში ირანში. ყველა რელიგიის აღმსარებლობა დაშვებული იყო. მოვიგონოთ, რომ იმავე პერიოდში დასაელეთ ევროპის ქვეყნების უმეტესობაში რელიგიის შედარებითი თავისუფლებაც კი არ იყო: მაგ., ზოგიერთ კათოლიკურ ქვეყანაში (პორტუგალია, ესპანეთი და მისი კოლონიები) XVIII ს-ში პროტესტანტებს კოცონი ემუქრებოდა; პროტესტანტულ ქვეყნებში (ინგლისი, შოტლანდია, ჰოლანდია, დანია, შვეცია) კათოლიკური კულტის საიდუმლოდ შესრულება ციხეში ჩასმით ისჯებოდა, ხოლო განმეორების შემთხვევაში — სახრჩობელით (XVIII ს-ის II ნახევრამდე). გასაკვირი არაა, რომ ფრანგი შარდენი — პროტესტანტი, ჰუგენოტებს წარმომადგენელი, რომლებსაც ლუდოვიკო XIV დროს სასტიკად ღევნიდნენ, გაკვირვებული დარჩა ირანში არსებული შედარებითი რჯულშემწყნარებლობით. შარდენი წერდა: „თუ გამოვრიცხავთ სასულიერო პირებს, რომლებიც აქ ისეთივე არიან, როგორებიც სხვა ქვეყნებში და შეიძლება უფრო შეურიგებელნიც... სპარსელები არიან ძალიან პუმანური და სამართლიანები რელიგიის თვალსაზრისით იქამდე, რომ ისინი იმ ადამიანებს, რომლებმაც მათი რელიგია მიიღეს და შემდეგ მოისურვეს ისევ ძველ რელიგიაზე დაბრუნება, უფლებას აძლევენ დაუბრუნდნენ თავიანთ ძველ რელიგიას".

XVII ს-ის ბოლოს, როდესაც შაჰ სულთან ჰუსეინის დროს გაძლიერდა ფანატიკური შიიტური სამღვდელოების გაელენა, კერძოდ, უკვე ხსნებული ფანატიკოსის მუჰამედ ბაქირხან მეჯლისის

დროს, შაპის ხელისუფლება დაუბრუნდა სუნიტების ღევნის პოლიტიკას და ღაიწყო ქრისტიანების, იუდეველების და ზოროასტრელების შევიწროება.

§18. სახალხო აჯანყება გილიანში

ცენტრალური ხელისუფლების განმტკიცებამ შაჰ აბას I-ს შეაძლებინა ყველა აჯანყების აღგილებზეკე საშინელი სისასტიკით ჩაქრობა, მაგრამ მისი სიკვდილის შემდეგ სახალხო აჯანყებები კელავ დაემუქრენ სეფიანთა სახელმწიფოს.

XVII ს-ში ერთ-ერთი ყველაზე ძლიერი აჯანყება იყო 1629 წლის აჯანყება გილიანში, რომელიც გამოწვეული იყო გადასახადების სიმძიმით (შაპ აბას I-ის დროს შემოღებული საგადასახადო შეღავათები მსოლოდ და მსოლოდ ცენტრალურ ირანზე გავრცელდა; გილიანზე ის არ გავრცელებულა; პირიქით, საგადასახადო ტვირთი იქ კიდევ უფრო დამძიმდა). ეს აჯანყება კარგადაა აღწერილი წყაროებში: ფუმენის „გილიანის ისტორიაში", ისქანდერ მუნშის „თარიხ-ე ალამ არაი-ი აბასის" გაგრძელებაში, აგრეთვე აღამ ოლეარიუსის თხზულებაში. თავდაპირველად, 1629 წ. აპრილში აჯანყდა გილიანის წვრილი ფეოდალების ნაწილი, რომლებმაც შაპ აბას I-ის სიკვდილში ხელსაყრელი შემთხვევა დაინახეს ირანიდან განდგომისა და ძველი დამოუკიდებლობის აღდგენისათვის. მათ მოძებნეს აბას I-ის მიერ დამსობლი „ბიი-ე ფასის" ხანის რეშთის დინასტიის შთამომაეალი კალინჯარ სულთანი, რომელიც შაპ აბას I-ის შიშით „სიღარიბეში, ფარულად და გაჭირვებაში" იმრდებოდა, გამოაცხადეს იგი ხელმწიფედ (სულთნად) და უწოდეს მას ადილ-შაპ („სამართლიანი შაპი"); შაპის მომხრეები კალინჯარ სულთანს უწოდებდნენ ღარიბ-შაჰს. აჯანყებულმა დიდებულებმა გლეხთა მასების უკმაყოფილების გამოყენება თავისი მიზნებისათვის გადაწყვიტეს. გილიანელების და თალიშელების მასობრივი უკმაყოფილება აუტანელი გადასახადებით იყო გამოწვეული. ეს გადასახადები შაპის ხელისუფლებამ შემოიღო შაპის დომენად გილიანის გადაქცევის შემდეგ (1592 წ.).

კალინჯარ სულთნის დროშის ქვეშ გაერთიანდა „დაჩაგრული და უსახელო ხალხი". აჯანყებულთა საერთო რიცხვი 30000 კაცს

უდრიდა. მალე აჯანყებულმა გლეხებმა დამოუკიდებლად დაიწყეს მოქმედება. ისინი კალინჯარ სულთანს და მის ამირებს ანგარიმს აღარ უწევდნენ. აჯანყებულმა ფეოდალებმა მოძრაობაში აქტიური ხელმძღვანელი როლი დაკარგეს. „ბიიე ფასის“ ვეზირი შაპ სეფის ერთგულ დიდებულების ნაწილთან ერთად მდ. სიიაპ რუდბარის ნაპირზე „შეებრძოლა ნაძირალების“ ლაშქარს, მაგრამ დამარცხდა. ამის შემდეგ, ვეზირი, დიდებულთა დიდი ნაწილი, აგრეთვე ქალაქების ქალანთრები გაიქცნენ. აჯანყებულთა ჯარმა დაიკავა რეშთი, ფუმენი, ლაჰიჯანი და სხვა ქალაქები. მთელი ოლქი აჯანყებულთა ხელში აღმოჩნდა.

რეშთში აჯანყებულებმა გაძარცვეს სახელმწიფო ამბრები, გაიტაცეს იქიდან შაპის მოხელეების მიერ გლეხებისაგან გადასახადის სახით არკეფილი 200 ხარვარი (59000 კგ.) აბრეშუმი. დაურიგეს იგი „მდაბიოებს“ („არაზილ“) და „ნაძირალებს“ („ოუბაშ“) ანუ ღარიბებს. ზოგიერთი „საპატიო და ცნობილი უბრალო ხალხიდან“ (ე.ი. მოქალაქეთა საშუალო ფენა) მივიდა კალინჯარ სულთანთან და სთხოვა საწყობების დასაცავად ზომების მიღება; ეს ეპიზოდი აჯანყებულთა რიგებში წინააღმდეგობაზე მიუთითებს. აჯანყებულებმა რეშთში და ლაჰიჯანში ხელთ იგდეს აგრეთვე სახელმწიფო ამბრებში შენახული „მოსკოველი და ფრანგი“ (ევროპელი) ვაჭრების საქონელი. აჯანყებულებს უნდოდათ ფუმენში ქალანთარისა და ცნობილი ხალხის სახლების გაღაწვა, მაგრამ კალინჯარ-სულთანმა და აჯანყებულთა ზედაფენამ მოახერხა, ის, რომ მათ ამ განზრახვაზე ხელი აიღეს. გლეხებისა და ქალაქის მცხოვრებლების ეს საპროტესტო გამოსვლა იყო მხოლოდ უკმაყოფილების სტიქიური გამოხატულება, განსაზღვერული პროგრამა და მოქმედების გეგმა მათ არ ჰქონდათ.

შაპ სეფის მთავრობამ ამ აჯანყების ჩაქრობა დააველა სარუ-ხან თალიშელს, რომელსაც გამოუგზავნა ფირმანი და საპატიო ხალათი. სარუ-ხანმა შეაგროვა მეზობელი ხანებისა და შაპის ერთგული დიდებულების ლაშქარი, ისარგებლა აჯანყებულთა არაორგანიზებულობითა და სტიქიური მოქმედებით და ისინი ცალ-ცალკე დაამარცხა. აჯანყებისადმი მიგმასნილი ერთ-ერთი ფეოდალის შვილის გამცემლობის წყალობით, სარუ-ხანისათვის აჯანყებულთა გეგმები ცნობილი გახდა, რის გამოც ხანების ლაშქრის მიერ ქუჩისფაჰანთან ბრძოლაში 1629 წ. 17 ივნისს

აჯანყებულთა ჯარი განადგურებულ იქნა; მოკლულთა სახით აჯანყებულებმა 7870 კაცი დაკარგეს. „დიდი ხანები“ დაბანაკდნენ აჯანყებულ „ღეშთ-ე ნიშას“ ოლქში; მათ შეიპყრეს აღგილობრივ მცხოვრებთა ცოლები და ქალიშვილები, რომლებიც მონებად აქციეს; აჯანყებული დატყვევებული მამაკაცები დახოცეს. კალინ-ჯარ-სულთანი ტყვედ იგდეს ხელთ და აწამეს. აჯანყება ჩააქრეს, მაგრამ აჯანყებულთა ცალკეული რაზმები გილიანის უღრან ტყეებში გაიხიზნენ და პარტიზანული ბრძოლა დაიწყეს. მოსახლეობის განწყობით შეშინებულმა შაპის ხელისუფლებამ სარუ-ხანს დატყვევებული მშვიდობიანი მცხოვრობლების განთავისუფება უბრძანა. შაპის ხაზინის და დიდებულების ზარალი 300000 თუმანს უღრიდა. შაპის მოხელეები შეეცადნენ ამ ზარალის ანაზღაურებას: აჯანყებამი და საწყობების გაძარცვის მონაწილეობაში ეჭვმიტანილებს წამებით ართმევდნენ გადასახადებს.

1629 წ. გილანის აჯანყება იყო ფეოდალური ხანისათვის დამახასიათებელი კლასობრივი ბრძოლის ნათელი გამოხატულება...

§19. ირანი შაჰ აბას I-ის მემკვიდრეების დროს

1629 წ. ტახტზე ავიდა შაპ სეფი I, რომლის გახელმწიფებაში უდიდესი როლი შეასრულა ირანში მცხოვრებმა ქართველმა ბატონიშვილმა, დაუდ-ხანის „უკანონო“ შვილმა ხოსრო-მირზა ბაგრატიონმა, იმსნად ისპაანის ტარულამ.

შაპ სეფი I-მა (1629-1642 წწ). ჭირვეულმა და ავადმყოფურად სასტიკმა ახალგაზრდამ, ტახტზე ასვლისთანავე დაიწყო შაპ აბას I-ის კარზე მოღვაწე ნიჭიერი დიდებულების ჩამოცილება. მან, უბრალოდ ეჭვის ნიადაგზე, სიკვდილით დასაჯა მათ შორის ყველაზე ნიჭიერი, ორმუზის დამპყრობი იმამამყული-ხანი (უნდილაძე). უნდილაძეთა ფეოდალური სახლი გაანადგურეს (იმამყული-ხანის შვილები დახოცეს).

სეფი I-ის დროს ირანის საგარეო-პოლიტიკური მდგომარეობა შეირყა. ომბეგი ხანების თავდასხმა ხორასანზე მართალია მოიგერიეს, მაგრამ ყანდაარი დაიპყრო „დიდმა მოგოლმა“ ჯეჰან-შაჰმა. თურქეთმა, ევროპასთან ომში მთელი რიგი წარუმატებლობის შემდეგ, სულთან მურად IV-ის (1623-1640 წწ) დროს, კვლავ სცადა დაპყრობები აღმოსავლეთში. მურად IV-ის ჯარი თავს

დაესხა არმენიასა და აზერბაიჯანს. თურქეთთან ომი განახლდა. ამ ომში სეფიანთა სახელმწიფო იძულებული გახდა თაყდაცვით შემოფარგლულიყო. თურქების ჯარმა დაიპყრო ქ. ჰამადანი, ამოწყვიტა მისი მოსახლეობა, დროებით დაიპყრო ერევანი, გადაწვა ნახჩევანი და თავრიზი, ბოლოს კი აიღო ბაღდადი (1638 წ). 1639 წლის ზავით (ზოპაბის ზავი) სეფიანთა სახელმწიფოსა და თურქეთს შორის საზღვარი 1555 წლის ზავით გათვალისწინებული პირობების განმტკიცება იყო, მხოლოდ ერთი უმნიშვნელოვანესი კორექტივით: სამცხე-საათაბაგო, რომელიც ამასიის ზავის მიხედვით ორ მეომარ ქვეყანას შორის შუაზე იყო გაყოფილი, ახლა მთლიანად თურქეთმა დაისაკუთრა. ამასთანავე, არაბეთის ერაყი ბაღდადითურთ თურქეთის ხელში მოექცა.

1637 წ. ირანი ისახულა ჰოლშტინიის ელჩმა ბრუგმანმა, რომლის მანუფაქტურებიც სპარსულ აბრეშუმს ამუშავებდა. უკან დაბრუნებისას ბრუგმანი ეახლა რუსეთის მეფეს და შესთავაზა ასეთი გეგმა: რუსეთის სამხედრო ძალებს უნდა მოეხდინათ კასპიისპირეთის ოლქების — მეაბრეშუმეობის მთავარი რეგიონების — ოკუპაცია. შემდეგ, რუსეთს ჰოლშტინიელი ვაჭრებისათვის აბრეშუმით ვაჭრობის საქმეში უნდა მიეცა მთელი რიგი პრივილეგიები. მოსკოვის მთავრობამ მამინ ამ გეგმას შეხედა როგორც ავანტურას, მაგრამ შემდეგ იგი ნაწილობრივ იქნა რეალიზებული პეტრე I-ის მიერ. სეფი I-ის გარდაცვალების შემდეგ ტახტი დაიკავა აბას II (1642-1666 წწ). იგი იყო ლოთი, ემოციური და სუსტი ნებისყოფის ახალგაზრდა, რომელიც სასახლის კამარილიის გავლენაში მოექცა. მის დროს ირანმა უკან დაიბრუნა ყანდაარი (1649 წ). ირანი ინერციით ჯერ კიდევ სამეურნეო აღმავლობის გზაზე იდგა: ევროპელი მოგზაურები, რომელთაც ირანი მოინახულეს, მოგვითხრობენ ქვეყნის აყვავების შესახებ.

აბას II-ის დროს შესამჩნევად განმტკიცდა რუსეთის სავაჭრო კავშირები ირანთან და მაშინვე წარმოიშვა რუსეთსა და ირანს შორის პირველი სერიოზული კონფლიქტი. 1650 წ. ვრებენელმა კაზაკებმა შირვანელი ვაჭრების ქარავანი გაძარცვეს (შაპის მთავრობა კაზაკებს სდებდა ბრალს), რის საპასუხოდაც შაპის ამიერკავკასიელმა ბეგლარბეგებმა სუნჯას ციხეზე ლაშქრობა მოაწყვეს (1653 წ); ირანში დააკავეს იქ მყოფი რუსი ვაჭრები, ისევე, როგორც რუსეთში — ირანელი ვაჭრები. კონფლიქტი

ლიკვიდირებულ იქნა 1662 წ. 1667 წ. კასპიისპირეთის ოლქებს თავს დაესხნენ სტეფანე რაზინის კაზაკები, რამაც შაპის ხელისუფლების სერიოზულით შეშფოთება გამოიწვია. შაპმა კასპიისპირეთის ფეოდალურ მბრაძნებლებს — ხანებს უბრძანა: ასტრაბადიდან ღარუბანდამდე მზადყოფნაში ჰყოლოდათ თავიანთი ჯარები. მოკამედ თაპერ ვაპიდის ცნობით, შაპის ხელისუფლებამ შესანიშნავად იცოდა, რომ რაზინის „კაზაკ-ქიაფირების“ ლაშქრობა მოსკოვის სახელმწიფოს ორგანიზებული არ იყო. ეს ლაშქრობა მოაწყვეს თვითონ აჯასყებულმა კაზაკებმა და „ურუსების მაღალღირსეული ფალიშაპი“ — მეფე ალექსი, რომელიც იმ დროს ირანთან კარგ დამოკიდებულებაში იყო, ამ შემთხვევაში არაფერში დამნაშავე არ იყო. შეიძლება, არცთუ უსაფუძვლოდ, ვიფიქროთ, რომ შაპის მთავრობა შიშობდა: კაზაკები მოკავშირეების მოძებნას შეძლებდნენ კასპიისპირეთის მოსახლეობას შორის.

აბას II-ის დროს 7000-მდე მომთაბარე ოზბეგი, ერთ-ერთი უფლისწული თავისი ამირებით, მაკერანაპრში შინაური ბრძოლის გამო, ირანში ეძებდა თავშესაფარს; ისინი შაპის სამსახურში მიიღეს; ამიერკავკასიის ქვეყნებში იძულებით შეაგროვეს 7000 გოგონა, რომლებიც ამ ოზბეგებს ცოლებად დაურიგეს. სეფიანთა ირანის ურთიერთობა თურქეთთან XVIII ს-ის 20-იან წლებამდე მშვიდობიანი იყო. ორივე სახელმწიფოს შორის ძალთა თანაფარდობა დამყარდა და საომარი მოქმედების განახლება ორივე სახელმწიფოს უპერსპექტივოდ მიაჩნდა.

სეფი I-ის და აბას II-ის დროს ირანში ევროპელი ვაჭრების გავლენა გაძლიერდა. სეფი I-მა ინგლისურ ოსტ-ინდოეთის კომპანიასთან დადო ხელშეკრულება, რომლის ძალითაც ამ უკანასკნელმა იკისრა ყოველწლიურად შაპისათვის „საჩუქრის“ სახით 1500 გირვანქა სტერლინგის მირთმევა და 60000 გირვანქა სტერლინგის საფასურის ნედლი აბრეშუმის შესყიდვა. მაგრამ XVII ს-ის 40-იანი წლების მეორე ნახევრიდან ირანთან ვაჭრობის საქმეში პირველი ადგილი დაიკავეს ინგლისელების მეტოქე ჰოლანდიელებმა, რომლებმაც აგრეთვე მიიღეს ირანიდან აბრეშუმის უბაჟოდ ექსპორტირების უფლება. აბას II-ის დროს საგადასახადო პრივილეგიები მიენიჭათ აგრეთვე ფრანგ ვაჭრებს, რომელთა ფაქტორიებიც გაჩნდნენ ისპაანსა და ბენდერ-აბასიში.

შაპ სოლეიმანის (სხვანაირად სეფი II-ის 1666-1694 წწ.) დროს გამოიკვეთა პირველი ნიშნები ირანის სამეურნეო და პოლიტიკური დაცემისა. განახლდა ოზბეგი ხანების თავდასხმები ხორასანზე, ხოლო ჰოლანდიელებმა დაიპყრეს კუნძული კიშმი სპარსეთის ყურეში.

§20. ირანი XVIII ს-ის დასაწყისში

ირანის ეკონომიკური დაცემის შესახებ ზემოთ უკვე გექონდა საუბარი. ამ დაცემამ გამოიწვია გლეხების გაღარიბება და აქედან გამომდინარე, ფეოდალური სახელმწიფოს და ცალკეული ფეოდალების შემოსავლის შემცირება. ამასობაში, სახელმწიფოს ბიუროკრატიული აპარატის და ფეოდალური არისტოკრატიის მოთხოვნილება არათუ შემცირდა, არამედ წინარე პერიოდში სასაქონლო — ფულადი ურთიერთობის ზრდასთან ერთად, კიდევ უფრო გაიზარდა. ამ მოთხოვნილებების დასაკმაყოფილებლად შაპის ხელისუფლება იყენებდა ერთადერთ საშუალებას — საგადასახადო ტვირთის ზრდას. შაჰის ხაზინა გლეხებიდან და ქალაქის მცხოვრებლებიდან ყოველნაირი საშუალებით ცდილობდა დიდი თანხის გამოძალვას. კიდევ უფრო ძძიმე იყო საგადასახდო ტვირთი სეფიანთა სახელმწიფოს განაპირა რეგიონებში, სადაც არასპარსული მოსახლეობა იყო.

შაპის სელისუფლების საგადასახადო პოლიტიკა გლეხებისა და ქალაქის მცხოვრებთათვის აუტანელი გახდა შაპ სულთან-ჰუსეინის დროს (1694-1722).XVII ს-ის განმავლობაში გლეხებზე, ხელოსნებსა და ვაჭრებზე დადებული გადასახადი ნელ-ნელა იზრდებოდა, 1698-1701 წწ. შორის პერიოდში კი 2-3-ჯერ გაიზარდა. თანამედროვეებს (ისაია ჰასან ჯალალიანი) მისი რაოდენობა ზღაპრულად ეჩვენებოდათ. არსებულს გარდა შემოიღეს სამი ახალი გადასახადი. მკვეთრად გაიზარდა გადასახადები მომთაბარეებზე; და თუ XVII ს-ის ბოლომდე მათი მდგომარეობა ასატანი იყო, ახლა ის უასლოვდებოდა ბინადარი გლეხი-რაიათების მდგომარეობას.

ჩვენ არა გვაქვს ცნობები იმის შესახებ, თუ როგორ ხდებოდა ირანში ახალი გადასახადების შემოღება, მაგრამ ისაია ჰასან ჯალალიანის მონათხრობის მისედეით შეგვიძლია ვიმსჯელოთ

იმის შესახებ, თუ არმენიასა და აზერბაიჯანში როგორ ხდებოდა დაბეგრის მიზნით ახალი გადასახადებით ხალხის აღწერა.

ამ აღწერას მასობრივი უბედურების ხასიათი ჰქონდა. აზერბაიჯანის ვეზირი 1100 მოხელითა და ნუკერით 1698 წ. მივიდა განჯაში; მოხელეები სოფლებს მოედვნენ და ღაიწყეს ხალხის აღწერა; აღწერა ასე მიმდინარეობდა: ყოველ სოფელში გამოარჩევდნენ რამდენიმე კაცს — სოფლის მამასახლისს, სასულიერო პირებს და საპატიო ხალხს, რომლებსაც ცალ-ცალკე აიძულებდნენ ჩვენების მიცემას სოფლის მცხოვრებლების, მათი მეურნეობის და დაბეგვრას დაქვემდებარებული ობიექტების (მინდვრები, ბაღები, ვენახები, ზეთსახდელები, ბრინჯის საფქველი წისქვილები საქონელი და სხვა) შესახებ. მოხელების მიერ ჩაწერილ ამ ხალხის ჩვენებებს ერთმანეთს უდარებდნენ. ჩვენების არათანდამთხვევის შემთხვევაში, სოფლელებს, რომლებიც მოხელეთა აზრით, არასწორ ჩვენებებს იძლეოდნენ, სცემდნენ. მოხელეები მათ აიძულებდნენ გლეხის მეურნეობის შემოსავლის შესახებ გაბერილი ცნობების მიწოდებას, რათა შემდეგ მათ ჰქონოდათ საფუძველი რაც შეიძლებოდა მეტი რაოდენობით გადასახადის გაწერისა.

ერთი მხრივ, ამ არაკანონიერი გადასახადების დაწესება იყო შედეგი ეკონომიკური დაცემის პროცესის დაწყებისა, მეორე მხრივ, ახალი მკვეთრი ზრდა ფეოდალური ექსპლუტაციისა, კიდევ უფრო აძლიერებდა სოფლის შემდგომ განადგურებას და ეკონომიკურ დაცემას. ახლა უკვე აღარ შეიძლებოდა ლაპარაკი გლეხებისათვის ზედმეტი ან აუცილებელი პროდუქციის რაღაც ნაწილის მიცემაზეც კი; ახლა გლეხებისაგან თხოულობდნენ იმაზე მეტს, რასაც ისინი აწარმოებდნენ. შაპის მოხელეები ჯოხის ცემით და წამებით (თავდაყირა დაკიდება...) აიძულებდნენ გლეხებს უკანასკნელი სარჩოს გადახდას და, მიუხედავად ამისა, გლეხები მაინც მუდმივ ვალში იყვნენ (ვერ იხდიდნენ გადასახადს); ისინი გაღატაკდნენ. ამავე დროს, არ ვითარდებოდა არც ფეოდალთა მსხვილი მეურნეობა, რომელსაც წვრილი გლეხური მეურნეობიდან შემოსული შემოსავლის კომპენსირება უნდა მოეხდინა.

შაპის ხელისუფლების საგადასახადო პოლიტიკა ძირს უთხრიდა არამარტო სოფლის მეურნეობას, არამედ ხელოსნობას და ეაჭრობასაც.

როგორც მოსალოდნელი იყო, ამ პოლიტიკამ გამოიწვია გაღარიბებული გლეხების აყრა-გაქცევა, შეიმჩნეოდა მუშახელისა და გადასახადის გადამხდელთა სიმცირე, ასე რომ, XVIII ს-ის დასაწყისიდან აუცილებელი გახდა აბას I-ის დროინდელი რეჟიმის კვლავ შემოღება. შაპ სულთან-ჰუსეინის 1710 წლის ფირმანით კვლავ დამტკიცდა გლეხთა მიწაზე მიმაგრება. რაიათებს, რომლებიც თვითნებურად დატოვებდნენ თავიანთ საცხოვრებელ ადგილებს და სხვაგან გადასახლდებოდნენ, 12 წლის განმავლობაში ეძებდნენ და ძველ ადგილზე აბრუნებდნენ. ამ ვადის გასვლის შემდეგ, მათი ძებნა უკვე აკრძალული იყო და ისინი ახალი საცხოვრებელი ადგილის მიხედვით შეჰქონდათ საგადასახადო რეესტრებში.

სოფლის მეურნეობის დაცემამ არამარტო შაპის ხაზინის, არამედ ცალკეული ფეოდალების შემოსავლის შემცირებაც გამოიწვია. ამ მშფოთვარე დროის ერთ-ერთი თანამედროვე შეიხი მუჰამედ ალი საზინი გვამცნობს, რომ ცხოვრების პირობების გაუარესებისა და არეულობის გამო, გილიანის სხვადასხვა რეგიონში, სადაც შეიხის მამის სამკვიდრო მიწები იყო, შემოსავალი ყოველწლიურად ეცემოდა, და ბოლოს იმდენად შემცირდა, რომ წლიური შემოსავალი ერთი თვის ხარჯების დასაფარავადაც აღარ კმაროდა. ამის გამო აღგილობრივი პროვინციელი ფეოდალებიც შაპის მთავრობით უკმაყოფილო იყვნენ. სეფიანთა სახელმწიფოს განაპირა ოლქების ძლიერი ფეოდალური მბრძანებლები სეპარატისტულ ტენდენციებს ამჟღავნებდნენ.

ირანის საერთო ეკონომიკურმა დაცემამ XVIII ს-ის დასაწყისიდან პოლიტიკური დასუსტებაც გამოიწვია. შაპ სულთან-ჰუსეინი სუსტი ნებისყოფის, უნიჭო მბრძანებელი იყო. მაგრამ, რა თქმა უნდა, სეფიანთა სახელმწიფოს დაშლის მიზეზი მარტო მისი სუსტი ნებისყოფა და უნიჭობა კი არ იყო, როგორც ბოგიერთი ორიენტალისტი (მალკოლმი, ედვარდ ბრაუნი, ლოკჰარტი...) ფიქრობდა, არამედ საერთო სამეურნეო ნგრევა, გაბატონებულ კლასს შიგნით წინააღმდეგობის გამწვავება და ამასთან დაკავშირებით მთელი სახელმწიფო აპარატის გახრწნა. შაპ სულთან ჰუსეინის და მისი გარემოცვის არარაობა უფრო აშკარად ავლენდა ცენტრალური ხელისუფლების ორგანოების რღვევის პროცესს. რუსეთის ელჩი ირანში (მინისტრ-რეზიდენტი) ასტრას-

ანის გუბერნატორი არტემი ეოლინსკი შაპ სულთან ჰუსეინის შესახებ თავის დღიურში წერდა: „ძნელია მოიძებნოს ასეთი სულელი არამცთუ გვირგვინოსნებს, არამედ უბრალო ხალხშიც კი". „თვითონ არაეითარ საქმეში არ ერევა და ყველაფერში ეყრდნობა თავის ეთემად ად დოელეს" („დიდ ვეზირს"), რომელიც ნებისმიერ ცხოველზე უფრო სულელია, მაგრამ შაპის ისეთი ფავორიტია, რომ შაპი მას პირში მისჩერებია და ის რასაც იტყვის, იმას აკეთებს. შაპის სახელი ნაკლებად იხსენიება, მხოლოდ მისი; სხვები კი, ვინც შაჰს უფრო ჭკვიანი პყავდა, ყველა გაყარა".

საგარეო ვაჭრობის დაცემა ჯერ კიდევ XVII ს-ის 70 წლებიდან გახდა შესამჩნევი. შარდენის ცნობით, შაჰ სულეიმანის ზეობის პირველი ექვსი-შვიდი წლის განმავლობაში ბენდერ-აბასის და კონგის პორტების (ორმუზდის ახლოს) შემოსავალი მერყეობდა 400 000-დან 500 000 ლივრამდე (დაახლოებით 9100-დან 1100 თუმნამდე), როდესაც აბას II-ის ხანაში იგი 1 100 000 ლიერი (2444 თუმანი) იყო. საგარეო ვაჭრობის დაცემის მიზეზები იყო: ინდოეთის ოკეანის ქვეყნებთან ვაჭრობის გადასვლა ჰოლანდიელი და ინდოელი ვაჭრების ხელში და ტრანსირანული სავაჭრო-საქარავნო გზით ტრანზიტის შეკვეცა; XVII ს-ის განმავლობაში ევროპის ქვეყნების მიერ მთლიანად იქნა ათვისებული ჯერ კიდევ 1498 წ. აღმოჩენილი ევროპიდან ინდოეთში აფრიკის შემოვლით მიმავალი საზღვაო გზა, რის გამოც XVII ს-ის განმავლობაში სახმელეთო-საქარავნო გზების მნიშვნელობა სულ უფრო და უფრო ეცემოდა: ირანის საშუამავლო ვაჭრობის როლი დაკნინდა.

შაპ ჰუსეინის მთავრობას სურდა საგარეო ვაჭრობიდან ირანის შემოსავლის გაზრდა და ჰოლანდიელი ვაჭრების (ჰოლანდიის ოსტ-ინდოეთის კომპანია) გავლენის შესუსტება. როგორც ცნობილია, ჰოლანდიის ოსტ-ინდოეთის კომპანიამ ხელთ იგდო ევროპის ქვეყნებთან ირანის ვაჭრობის მონოპოლია. ამ მიზნით შაპ სულთან-ჰუსეინმა საფრანგეთთან დადო ორი სავაჭრო ხელშეკრულება (1708 და 1715 წწ), რომლების ძალითაც ფრანგ ვაჭრებს ყაილებით მეტი შეღავათები და პრივილეგიები ეძლეოდათ, ვიდრე ჰოლანდიელებს: ფრანგი ვაჭრები გაათავისუფლეს საბაჟო გადასახადიდან და ზედამხედველობიდან, ამავე დროს, ისინი შაპის მთავრობის განსაკუთრებული მფარველობით სარგებლობდნენ; მათ მიიღეს ექსტერიტორიალობის უფლება: ირანში მყოფი

ფრანგების გასამართლება მხოლოდ კონსულის სასამართლოს კომპეტენცია იყო, ხოლო ფრანგებსა და შაპის ქვეშევრდომებს შორის დავა შაპის მოსამართლეებსა და ფრანგ კონსულს უნდა გადაეწყვიტა. არსებითად, ეს იყო ისეთივე კაპიტულაციების რეჟიმი, რომელიც ფრანგებისათვის დაწესდა თურქეთში 1535 წ. ეს ხელშეკრულებები, შაპის იმედების წინააღმდეგ, საფრანგეთისათვის უფრო სასარგებლო იყო, ვიდრე ირანისათვის. მაგრამ საფრანგეთმა ვერ ისარგებლა ამ ხელშეკრულებებით, რადგანაც მალე ირანი გადაიქცა საომარი მოქმედებების და შინაური ბრძოლების ასპარეზად და სეფიანთა სახელმწიფო დაიშალა.

სოფლების გაჩანაგებამ შინაური ვაჭრობა შეამცირა და ცალკეულ ოლქებს შორის ეკონომიკური კავშირი შეასუსტა. მიუხედავად სეფიანების მჭიდრო კავშირისა შიიტურ სამღვდელოებასთან, ამ უკანასკნელს XVII ს-ში სახელმწიფოში ხელმძღვანელი მდგომარეობა არ ეკავა. უმაღლეს მეჯლისში სასულიერო წოდების არცერთი წარმომადგენელი არ იყო. მაგრამ უკიდურესი ფანატიკოსი შიიტის — შაპ სულთან ჰუსეინის დროს, რომელიც ცნობილი ფანატიკოსი მუჯდეჰიდის მუპამედ ბაქირ-ხან მეჯლისის გაელენის ქვეშ მოექცა, სახელმწიფოს მართვა-გამგეობა შიიტური სასულიერო პირების, მათი მხარდამჭერი სასახლის კამარილიის და საჭურისების ხელში გადავიდა. შაპ სულთან-ჰუსეინის ღროს სასულიერო წოდებისადმი კუთვნილება საკმარისი იყო ნებისმიერი სახელმწიფო თანამდებობის დასაკავებლად; ამითი შაპი მომთაბარე არისტორკატიას და სამოქალაქო ბიუროკრატიის დიდ ნაწილსაც აღიზიანებდა.

შიიტი ღვთისმეტყველების წაქეზებით, შაპ სულთან ჰუსეინმა მისი წინაპრების მიერ დაკანონებულ რჯულშემწყნარებლობაზე ხელი აიღო და კავკასიაში, ქურთისტანში, აღღანისტანში და სხვა რეგიონებში სუნიტების სისხლიანი დევნა დაიწყო. შირვანში (ჩრდ. აზერბაიჯანი), სადაც ბევრი სუნიტი ცხოვრობდა, სუნიტური მეჩეთები წაბილწეს ან საჯინიბოებად გადააქციეს, სასულიერო პირები დახოცეს. დევნა გავრცელდა აგრეთვე „ერეტიკოს“ დერვიშ-სუფიებსა და უკიდურესი შიიტური სექტების მიმდევრებზე, რომელთა ზომიერი-შემრიგებლური ტენდენციები საეჭვოდ მოეჩვენა ხელისუფლებას. ეს დევნა მარტო ფანატიზმით არ იყო გამოწვეული: შაპის მთავრობა შიშობდა, რომ სუნიტობა, რომელიც

სასელმწიფოს დასავლეთ და აღმოსავლეთ განაპირა რეგიონებში იყო გავრცელებული, შეიძლებოდა სეპარატისტული მოძრაობის დროშად ქცეულიყო, რაც მალე კიდეც მოხდა.

სასახლის კამარილია, მიუსედავად ხაზინის გაპარტახებისა, ბრწყინვალე ცხოვრებასა და ფუფუნებაზე ხელის აღებას არც ფიქრობდა. კარის შესანახი ხარჯები სულ უფრო და უფრო იზრდებოდა, შაპისათვის შენდებოდა ბრწყინვალე სასახლეები, ევროპიდან იწერდნენ ძვირფას სარკეებს, ბროლის და ფუფუნების სხვა საგნებს. შაპი თავის პარემზე ზრუნვით იყო დაკავებული და ოლქების გამგებლები, რომლებიც ცდილობდნენ ქალთა მოყვარული შაპის გულის მოგებას, იძულებით აგროვებდნენ თავიანთ ქვეშევრდომებს შორის ულამაზეს გოგონებს შაპისა და მისი ახლობლების პარემში გასაგზავნად.

§21. სახალხო-განმათავისუფლებელი მოძრაობანი სეფიანთა სახელმწიფოს განაპირა რეგიონებში

საგადასახადო ტვირთის სიმძიმე, შაპის ნაცვლების თვითნებობა და რელიგიური ჩაგვრა განსაკუთრებით ძლიერად იგრძნობოდა სეფიანთა სასელმწიფოს განაპირა ოლქებში, რომლებიც ირანთან შეერთებული იყო შაპ აბას I-ის დროს, ან უფრო აღრე. ბუნებრივია, რომ სწორედ ამ რეგიონებში იყო ძლიერი სეფიანებისადმი სიძულვილი და სწორედ აქ იფეთქა სახალხო აჯანყებებმა. ამ რეგიონებში უმეტესად ცხოვრობდნენ სუნიტები (დაღესტანი, შირვანი, ქურთები, აღანელები, თურქმენები), რომლებიც აშკარა დევნას განიცდიდნენ, ან ქრისტიანები (ქართველები, სომხები), რომლებიც აუტანელი გაღასახადებით იყვნენ დაბეჯრილნი, ასე რომ დაპყრობილ ხალხთა ეს აჯანყებები გამოხვეული იყო რელიგიურ საბურველში: ეს აჯანყებები მიმდინარეობდა დევნილი სუნიზმის დაცვის და „ერეტიკული“ შიიზმის წინააღმდეგ ბრძოლის, ან მუსლიმთაგან ქრისტიანების გათავისუფლების ლოზუნგებით.

ფეოდალთა კლასს შიგნით წინააღმდეგობა უფრო მკვეთრად იყო გამოხატული განაპირა რეგიონებში. ადგილობრივი პროვინციული ბინადარი, ისევე, როგორც მომთაბარული არისტოკრატია,

რომელიც ჩამოცილებული იყო მართვა-გამგებლობას და იძულებული იყო რაიათების ექსპლუატაციით შემოსული გადასახადის დიდი ნაწილი შაპის ხელისუფლებისათვის დაეთმო, აგრეთვე სუნიტური და ქრისტიანული სამღვდელოება, შაპის მთავრობის პოლიტიკით უკმაყოფილო იყო. ისინი ცდილობდნენ ჩაგრულთა ყარიო მასების თავისი მიზნებისათვის გამოყენებას, რათა დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ, თვითონ ჩამდგარიყვნენ ხელისუფლების სათავეში. ამიტომაც, დაპყრობილ ხალხთა მოძრაობა, რომელიც ჩვეულებრივ იწყებოდა როგორც სეფიანთა წინააღმდეგ ხალხთა ფართო მასების მოძრაობა, თავის ხასიათს იცვლიდა, როდესაც სელმძღვანელობა ადგილობრივი ფეოდალების ხელში გადადიოდა.

გამათავისუფლებელი მოძრაობის აღმავლობა XVIII ს-ის დასაწყისში გამოიკვეთა აღმოსავლეთ სომხეთსა და აღმოსავლეთ საქართველოში, რომლებიც სეფიანთა სასელმწიფოს ყველაზე განვითარებულ და ამავე დროს ყველაზე უფრო დაჩაგრულ ოლქების რიცხვს ეკუთვნოდნენ. ქართველები და სომხები გათავისუფლებას რუსეთის დახმარებით იმედოვნებდნენ. იმ დროისათვის რუსეთის ეკონომიკური და კულტურული კავშირები საქართველოსთან და სომხეთთან საკმაოდ ინტენსიური იყო. სომეხი ვაჭრები, არამარტო საკუთრივ სომხეთში, არამედ ირანშიც, აქტიურად მონაწილეობდნენ სომეხი ხალხის გამათავისუფლებელ მოძრაობაში და მთელ იმედებს ერთმორწმუნე, ეკონომიკურად და პოლიტიკურად მზარდ რუსეთზე ამყარებდნენ.

1700 წლის ახლო ხანებში სომეხმა მელიქებმა (წერილი ფეოდალური მბრძანებლები) და ამიერკავკასიის ქრისტიანულმა სამღვდელოებამ რუსეთის მთავრობასთან მოლაპარაკება დაიწყო იმის თაობაზე, რომ თუ რუსეთის ჯარი შევიდოდა ამიერკავკასიის ქვეყნებში, ქართველები და სომხები მას მხარს დაუჭერდნენ. ეს მოლაპარაკება მიმდინარეობდა სომეხი პატრიოტის ისრაელ ორის შუამავლობით. ასეთივე ხასიათის ურთიერთობა წარმოიშვა პეტრე I-სა და ქართველ არისტოკრატიას შორისაც.

ამიერკავკასიის ქვეყნების ვაჭრობასთან დაკავშირებულ მოსახლეობას, არამარტო ქართველებსა და სომხებს, არამედ აზერბაიჯანელებს შორისაც, სულ უფრო და უფრო იზრდებოდა ორიენტაცია რუსეთზე. იესუიტი თადეუშ კრუშინსკი წერდა: „კასპიის

ზღვის ახლოს მცხოვრები ხალხები არაფერზე ისე არ ლოცულობენ, როგორც იმაზე, რომ მოსკოვიტები რაც შეიძლება ჩქარა მოეიღნენ და გაათავისუფლონ სპარსეთის მონარქიის უღლისაგან".

1709 წ. აჯანყდა თავრიზის მოსახლეობა, რის შესახებაც მოკლედ მოგვითხრობს ა. ეოლინსკი.

1711 წ. დაიწყო ლეკთა და დაღესტნის ზოგიერთი სხვა ტომების აჯანყება. აღგილობრივმა ფეოდალებმა სურხაი-ხან ყაზი ყუმუხელის და მუღარის ჰაჯი დავუღით სათავეში შეძლეს ამ მოძრაობის ხელმძღვანელობის ხელში ჩაგდება, თავისი მიზნებისათვის გამოყენება და მისცეს მას დაპყრობითი ხასიათი. 1712 წ. სურხაი-ხანმა და ჰაჯი დავუღმა დაიპყრეს და გაძარცვეს შემახა; ამ დროს მოკლეს 300-მდე რუსი ვაჭარი და ხელში ჩაიგდეს 4000000 მანეთის საქონელი. ამ ციფრების საშუალებით შეიძლება წარმოდგენა ვიქონიოთ ამიერკავკასიის ქვეყნებთან რუსეთის საგაჭრო-ეკონომიკური კავშირ-ურთიერთობების მასშტაბებზე. შემდეგში სურხაი-ხანი და ჰაჯი დავუდი გადაიქცნენ თურქეთის აგენტებად. შაქის მთავრობამ ლეკთა აჯანყების ჩაქრობა მოახერხა, მაგრამ 1719 წ. მან ახალი ძალით იფეთქა. 1721 წ. სურხაი-ხანმა და ჰაჯი დავუდმა კელაე ხელთ იგდეს შემახა და იქ შიიტების ხოცვა-ელეტა მოაწყეეს.

1715 წ. დაიწყო ქურთების აჯანყება, რომელიც შემდეგ წლებშიც გრძელდებოდა. აჯანყებული ქურთები არაერთხელ დაეშუქრნენ თვით დედაქალაქ ისპაანს. მასკატის არაბთა მბრძანებელმა სპარსეთის ყურის კუნძულები დაიპყრო.

1717 წ. მუღანში შაპსევანების ტომი აჯანყდა.

1722 წ. დაიწყო სომეხთა აჯანყება სიუნკიში (თანამეღროვე სომხეთის რესპუბლიკის სამხრეთ-აღმოსავლეთში) დავით-ბეგის მეთაურობით, რომელიც 1731 წლამდე გაგრძელდა. იმავე წელს აჯანყდა აღმოსავლეთ საქართველო. ამ აჯანყებას სათავეში ჩაუდგა რუსეთის ორიენტაციის მომხრე ვახტანგ VI, რომელმაც თავისი ჯარი დაძრა სურხაი-ხანისა და ჰაჯი დავუდის რაზმების მიერ ალყაშემორტყმულ განჯისაკენ და გაათავისუფლა ქალაქი.

აჯანყდნენ აგრეთვე ღურები (1720 წ). და ბელუჯები (1721 წ). სისტანის მფლობელი მელიქი მაპმუდი, რომელიც თავს საფარიანთა ჩამომავლად თვლიდა, აშკარად განუდგა შაპს და თავი დამოუკიდებლად გამოაცხადა. 1723 წ. მან მეშპედი და მისი ოლქი დაიპყრო.

§22. ავღან-გილზაების აჯანყება

სეფიანთა სახელმწიფოს წინააღმდეგ დაპყრობილი ხალხების აჯანყებებიდან ყველაზე უფრო მნიშვნელოვანი იყო ყანდაარის ოლქში მცხოვრები ძლიერი აღმანური გილზაების ნახევრადმომთაბარე ტომის აჯანყება. გილზაების ტომი შერეული წარმოშობისა იყო. ზოგიერთი მკვლევარის მოსაზრებით, ამ ტომის ბირთვი შედგებოდა თურქული მომთბარე ხალაჯის ან ხილჯისაგან, რომელიც X-XIII სს-ში მნიშვნელოვან როლს ასრულებდა. ხილჯების ერთი ნაწილი დასახლდა აღმანისტანში, აიარია ავღანელებში, შეითვისა მათი ენა და როგორც ფიქრობენ, იწოდა გილზაიდ. XVI-XVII სს-ში გილზაები იმყოფებოდნენ გვაროვნული წყობილების რღვევისა და პატრიარქალურ-ფეოდალური ურთიერთობის საფეხურზე. ფეოდალური ურთიერთობის ჩამოყალიბება გილზაებში გამოსვეული იყო პატრიარქალური წეს-ჩვეულებების საბურველში (ისევე, როგორც სხვა ავღანურ ტომებში); ტომობრივი არისტორკატია ხალხში დიდი გავლენით სარგებლობდა, ამიტომაც აჯანყების დაწყებისთანავე მან ადვილად მოახერხა აჯანყების ხელმძღვანელობის ხელში ჩაგდება. გილზაები, ისევე როგორც ყველა ავღანელი, სუნიტები ყენენ. XVIII ს-ის დასაწყისში გილზაების ტომის ბელადი და ქალაქ ყანდაარის მემკვიდერობითი ქალანთარი იყო ენერგიული მირ ვეისი. მისი გავლენა ხალხის მასებზე და საქმიანობა, არცთუ უსაფუძვლოდ, საეჭვოდ ეჩვენა გურგენ-ხან ქართველს (ქართლის მეფე გიორგი XI, მუსლიმობაში შაპნავაზ II), რომელიც შაპის მიერ ყანდაარის ბეგლარბეგად იყო დანიშნული; იგი სასტიკი ღონისძიებებით ცდილობდა შაპის შერყეული ხელისუფლების განმტკიცებას აღმანისტანში. გურგენ-ხანმა მირ ვეისი დააპატიმრა და შაპთან გასასამართლებლად ისპაანში გააგზავნა. ცბიერმა მირ ვეისმა შეძლო შაპ სულთან-ჰუსეინის დარწმუნება თავის უდანაშაულობაში. თადეუშ კრუშინსკის ცნობით, ცბიერ მირვეისს მოუხიბლავს არამარტო მექრთამე კარის მოხელეები, არამედ თვით გიორგი XI-ის უმცროსი ძმა, ირანის დივანბეგი ლევანი. იგი უფროს ძმას უთვლიდა ყანდაარში (აღსანიშნავია, რომ ლევანმა გიორგი XI-თან წერილი თვითონ მირ ვეისს გაატანა ისპაანიდან ყანდაარს): „ნეტავ ვიცოდე, ამ

კაცმა ისეთი რა დაგიშავა, ულვთოდ რომ გასწირეთ. შენი ერთგული არის, ისპაანში შენი ქების მეტი არაუერი დასცდენიაო".

სომეხი პატრიოტის ისრაელ ორის ისპაანში მოსვლამ უკვე რუსეთის იოფიციალური ელჩის სახით (1708 წ.) შაპის და მისი კარი ძალიან შეაშფოთა: ქართველებისა და სომხების ერთგულებაში შაპს ეჭვი კიდევ უფრო გაუძლიერდა. ეს დაეჭვება გურგენ-ხანის, როგორც ქართველის, წინააღმდეგ მარჯვედ გამოიყენა მირ ვეისმა: შაპი ისედაც ეჭვის თვალით უყურებდა გურგენ-ხანს, როგორც ქართველს, ფარულად ქრისტიანს და პოტენციურ რუსოფილს. მირ ვეისი გაათავისუფლეს და იგი მექაში წავიდა ჰაჯისათვის. აქ, მირ ვეისმა მექელი სუნიტი ღვთისმეტყველებისაგან საიდუმლოდ მიიღო ფეთვა (საღვთისმეტყველო — იურიდიული დასკვნა), რომლის ძალითაც სუნიტების აჯანყება შიიტი შაპის წინააღმდეგ ღვთის საამებელი საქმე იყო. სამშობლოში დაბრუნების შემდეგ, მირ ვეისმა გილზაების დაწყებული მოძრაობა თავის გავლენას დაუმორჩილა. მირ ვეისის მეთაურობით მათ მოულოდნელად დაიკავეს ყანდაარი, ამოწყვიტეს შაპის გარნიზონი, მოკლეს გურგენ-ხანი და აშკარად განუდგნენ შაპს. გილზაების აჯანყებას მსარი დაუჭირეს შაპის მთავრობით უკმაყოფილო მეზობელმა აღლანურმა ტომებმა. მირ ვეისმა დაამარცხა გილზაების წინააღმდეგ გაგზავნილი ორი სამსედრო ექსპედიცია: შაპმა პირველი ექსპედიციის სათავეში ჩააყენა ქაიხოსრო ლევანის ძე, რომელიც ჯერ ისპაანის ტარულა იყო, ხოლო გიორგი XI-ის დაღუპვის შემდეგ შაჰმა იგი ქართლის მეფედ დანიშნა და სპარსეთის ჯარების ამირსპასალარობაც უბოძა. 1711 წლის 26 ოქტომბერს ქაიხოსრო მოკლეს. ბრძოლაში დაიღუპა ბაგონიშეილი ალექსანდრეც. 1712 წ. მირ-ვეისმა სასტიკად დაამარცხა შაპის ჯარი. იგი სიკვდილამდე (1715 წ.) დარჩა დამოუკიდებელ მმართველად.

მირ ვეისის მონაცვლე მირ აბდულა (1715-1717 წწ) მზად იყო შაპს შერიყებოდა იმ პირობით, თუ შაპი გააუქმებდა მის მიერ შემოღებულ გადასახადებს და ყანდაარის საბეგლარბეგოს მირ ვეისის შთამომავლების სამკვიდრო სამფლობელოდ გადააქცევდა. აჯანყებული აღლანელების მიერ ეს მოლაპარაკება საერთო საქმის ღალატად იქნა მიჩნეული. მირ აბდულა მოკლეს. მისი ადგილი დაიკავა მირ ვეისის ცხრამეტი წლის შვილმა, ენერგი-

ულმა და მამაცმა მირ მაპმუდმა (1717-1725 წწ). მაპმუდმა და მისმა მსარდამჭერმა დიდებულებმა ხალხის მასა თავის გავლენას ღაუ-მორჩილეს: სახალხო-გამათავისუფლებელი მოძრაობა გამოიყენეს მძარცველური და დაპყრობითი ომებისათვის.

§23. გილზაების ლაშქრობა ისპაანზე

შაჰის სახელმწიფოს მთლიანმა რღვევამ მაპმუდს შესაძლებლობა მისცა პირველად ირანის სიღრმეში ელაშქრა (1720 წ.), მაგრამ ეს ლაშქრობა წარუმატებელი აღმოჩნდა. შაჰის მხედარმთავარმა ლუთფ ალი-ხანმა, რომელიც ადრე მასკატის არაბთა საამიროს წინააღმდეგ იბრძოდა, დაამარცხა გილზაები და მოამზადა ჯარი ყანდაარზე სალაშქროდ. ამ საპასუხისმგებლო მომენტში შაჰის უნიჭო მრჩეველებმა ლუთფ ალი-ხანი გადააყენეს ეთემად აღ-დოულე ფათპ ალი ხანთან ნათესაობის გამო. ეს უკანასკნელი ინტრიგებით ბრალდებული იყო აჯანყებულ ქურთებთან და ლეკებთან კავშირში და შაპზე თავდასხმაში. ამით ისარგებლა ავღან-გილზაების წინამძღოლმა მაპმუდ-ხანმა, რომელმაც 20000 ავღანელი შეაგროვა და 1721 წლის ბოლოს ისპაანზე ილაშქრა ყველაზე უფრო მოკლე, მაგრამ ყველაზე უფრო ძნელი გზით — სისტანისა და ქერმანის გავლით. მაპმუდმა ქერმანისა და იეზდის ციხეები ვერ აიღო, მაგრამ მათ ალყა არ შემოარტყა, არ შეჩერებულა და ისპაანთან მივიდა. ეთემად აღ-დოულე მუპამედ-ყული ხანი შაპს თავაზობდა ხანგრძლივი ალყისათვის მომზადებას და წინააღმდეგობის გაწევის ვარიანტს; შაპს მოაგონებდა, რომ ავღანელებმა ქერმანი და იეზდი ვერ აიღეს, მაგრამ უმაღლესმა მეჯლისმა გადაწყვიტა ავღანელებთან შებრძოლება.

მაპმუდის ჯარში არ იყო მძიმე არტილერია, მაგრამ მათ პქონდათ აქლემებზე აკიდებული მსუბუქი ზარბაზნები (კულევრინები). ეს ზარბაზნები, ე.წ. „ზამბურაკები" (სპარს. ფუტკრები) ძალიან ეფექტურები აღმოჩნდნენ ბრძოლაში. 1722 წ. 8 მარტს გულნაბადთან ბრძოლაში შაპის ჯარი სასტიკად დამარცხდა. ბრძოლაში დაიღუპა მამაცი ყულარაღასი, შაპის ერთ-ერთი საუკეთესო მხედართმთავარი როსტომ-მირზა — ქართლის მეფე ვახტანგ XI-ის ნახევარძმა. შაჰის მძიმე არტილერია (24 ზარბაზანი) ავღანელებმა იგდეს ხელთ. ამის შემდეგ, ავღანელებმა აიღეს ახალი ჯუფა-

სომხებით დასახლებული ისპაანის გარეუბანი და დაადეს მას უზარმაზარი კონტრიბუცია 120000 თუმნის რაოდენობით, რაც შემდეგ შეამცირეს 70000 თუმნამდე (იმის გამო, რომ ვერ მოხერხდა შეგროვება). მაგრამ, გამაგრებული ალავერდი-ხანის ხიდის აღება (მდ. ზაიენდე-რუდზე) ვერ შეძლეს და შაპ სულთნ-პუსეინს შესთავაზეს ზაეი შემდეგი პირობით: შაპს გილზაებისათვის უნდა დაეთმო გარდა ყანდაარისა სისტანი და ხორასანი, გადაეხადა კონტრიბუცია 50000 თუმნის რაოდენობით და მაპმუდისათვის თავისი ერთ-ერთი ქალიშვილი ცოლად მიეცა. შაპის მეჯლისმა, მიუხედავად ეთემად ად-დოულეს გაფრთხილებისა, უხეშად უარპყო ეს მოთხოვნა. დაიწყო ისპაანის ალყა, რაც 7 თვე გაგრძელდა (1722 წლის მარტიდან — ოქტომბრამდე). ქართლის მეფე ვახტანგ VI-ემ, რომელიც ლეკებთან ბრძოლით იყო დაკავებული და უცდიდა ამიერკავკასიაში პეტრე I-ის ჯარების შემოსვლას, შაპის თხოვნას უარით უპასუხა. სისტანის მბრძანებელი მელიქ მაპმუდი აჯანყდა და თავი დამოუკიდებლად გამოაცხადა.

ავღანელებმა ენერგიულად დაიწყეს ისპაანის ალყა და მიუხედავად გარნიზონის, მოქალაქეების და ახლომდებარე სოფლების მოსახლეობის გმირული წინააღმდეგობისა, ქალაქი შიმშილამდე და გამოფიტვამდე მიიყვანეს. ტახტის მემკვიდრე თაპმასბ-მირზამ სცადა ირანის ჩრდილოეთში, ყაზვინის ახლოს, დედაქალაქის დასახმარებლად ჯარის შეგროვება, მაგრამ ვერ მოახერხა: შაპსევანებმაც კი უარი განაცხადეს შაპის დახმარებაზე. თავდაცვის ერთიანი გეგმის არარსებობამ, ირანის მთავრობაში შინაურმა კინკლაობამ და არასწორმა გადაწყვეტილებებმა, განაპირობეს ქალაქის დამცველთა დემორალიზაცია. ბოლოს და ბოლოს შაჰი სულიერად დაეცა და დაიწყო მაპმუდთან მოლაპარაკება: იგი ახლა მაპმუდს სთავაზობდა 100000 უმანს, თავის ერთ-ერთ ქალიშვილს და ხორასანთან და სისტანთან ერთად ქერმანსაც. მაგრამ მაპმუდმა ახლა უსიტყვო კაპიტულაცია მოითხოვა; მან განაცხადა, რომ ირანის ყველა ოლქი და შეიარაღებული ძალები ისედაც მის ხელში იქნება, სოლო შაპის ყველა ქალიშვილსა და ცოლს იგი თავის მეომრებს დაურიგებს როგორც მონა-მხევლებს.

დედაქალაქიდან წარუმატებელი გაქცევის ცდის შემდეგ, შაპ სულთან პუსეინი თავის ამირებთან ერთად 1722 წლის 22 ოქტომბერს გამოცხადდა მაპმუდის ბანაკში, გადასცა ქალაქი, თა-

ვის ხელისუფლება და შაპის ხელისუფლების ნიშნები. ორი ღღის შემდეგ მაპმუდი თავისი ჯარით შევიდა ისპაანში: მან დაიკავა შაპის ტახტი, სეფიანთა ამირების, ღიღებულების და სამხედროების ერთმა ნაწილმა ერთგულება შეპფიცა მაპმუდს. პირველ ხანებში მან ბევრი სპარსელი ღიღებული თავის აღგილზე დატოვა, მაგრამ მიელი რიგი თანამდებობები, მათ შორის ისპაანის ყადის სასულიერო თანამდებობა, სუნიტ ავღანელებს მისცა.

§24. სპარსელი ხალხის ბრძოლა ავღანელ დამპყრობთა წინააღმდეგ

ავღან-გილზაებმა დაიპყრეს შიდა ირანის მნიშვნელოვანი ნაწილი ქალაქებით ქაშანით, ყუმით, ყაზვინით, გულფაიგანით და სხვ. თუ აჯანყების დასაწყისში ავღან გილზაები სეფიანია უღლიდან განთავისუფლებისათვის იბრძოდნენ, ახლა თვითონ გამოვიდნენ დამპყრობთა როლში. ყაზვინში ავღანელმა სარდალმა ამანულა-ხანმა ქალაქის მცხოვრებლებს დააკისრა კონტრიბუცია 20000 თუმნის რაოდენობით და მოითხოვა ლამაში გოგონების მიცემა. ავღანელთა მხრიდან ძალმომრეობამ და მოსახლეობის ძარცვამ თავდაპირველად ყაზვინის ოლქის აჯანყება გამოიწვია, შემდეგ თვით ქალაქშიც აჯანყდნენ ქალაქის ღარიბები და „ბაზრის ხალხი" („ავამ ეა მარდუმ-ი ბაზარ"), ე.ი. სელოსნები და წვრილი ვაჭრები. ქალაქის მცხოვრებლებმა ავღანელთა ნაწილი ამოწყვიტეს, ნაწილი კი გააქციეს (1723 წ. იანვარი).

სახალხო აჯანყებებმა იფეთქა აგრეთვე ქაშანში, ხუნსარში და სხვა ადგილებში. ქ. იეზდი გმირულად უმკლავდებოდა ავღანელებს: დამპყრობლებმა მისი აღება ვერ შეძლეს. ამ ამბების თანამედროვე შეიხი მუჰამედ ალი ხაზინი ხაზგასმით აღნიშნავს, რომ აჯანყებებში მთავარ როლს „უბრალო ხალხი" („ავამ") თამაშობდა. აქედან კარგად ჩანს, რომ სწორედ ირანის ხალხის მასებმა აიღეს თავის თავზე დამპყრობლებთან ბრძოლის ინიციატივა.

თანამედროვეთა (შეიხი მუჰამედ ალი ხაზინი, თადეუშ კრუშინსკი) გადმოცემით, სპარსელი ხალხის მასა (გლეხები, ხელოსნები, წვრილი და საშუალო ვაჭრები) არ ბაძავდა სულიერად დაცემულ სეფიან ღიღებულებს, ამყღავნებდა ღიდ პატრიოტიზმს და აქტი-

ურად, მთელ რიგ შემთხვევაში გმირულად უწევდა დამპყრობლებს წინააღდმეგობას — იცავდა თავისი სამშობლოს დამოუკიდებლობას. ბევრი სოფელი წლების განმავლობაში ეწეოდა პარტიზანულ ბრძოლას დამპყრობლების წინააღმდეგ ასე, მაგ., ქ. ისპაანის ახლოს მდებარე დიდი სოფელი ბენ-ისპაანი, დედაქალაქის ალყის დროს და მერეც, არ დამორჩილდა აღვანელებს; დაამარცხა და გააქცია ამ სოფლის დასაპყრობად მაპმუდის გაგზავნილი ყეელა რაზმი. ბოლოს ავღანელთა სარდალმა ბენ-ისპაანის გლეხებთან საპატიო ზავი დადო. მაპმუდს უნდოდა ამ ხელშეკრულების დასარღვევად და ბენ-ისპაანის მცხოვრებლებთან სისხლიანი ანგარიშსწორებისთვის საბაბის პოვნა; ამ მიზნით სოფელში შეაგზავნა თავისი საიდუმლო აგენტები, რომელთაც დააყალა ხელშეკრულების დასარღვევად გლეხების წაქეზება. მაგრამ გლეხებმა გაუგეს ხრიკი, მათ დააღრჩვეს აგენტები და მათი გვამები მაპმუდს გაუგზავნეს. შეიხ საზინის გადმოცემით, ზოგიერთი სოფელი შვიდი წლის განმავლობაში თავს იცავდა ავღანელებისაგან და არ ემორჩილებოდა მათ.

ისპაანში ავღანელების მდგომარეობა მყარი არ იყო, ამიტომაც ეშვიანმა მაპმუდ-შაპმა გადაწყვიტა უკიდურესი სასტიკი ღონისძიებებით იქ სპარსელთა აჯანყება თავიდან აეცილებინა. 1723 წლის იანვარში მან თავისთან სანადიმოდ მიიწვია სპარსელი დიდებულები და გაჟლიტა ისინი; გაჟლიტა აგრეთვე ყორჩიები ამას მოქცვა მოქალაქეების დასჯა და ხოცვა-ჟლეტა. ისპაანს მძიმე კონტრიბუცია დაადეს: 4000 შეკვრა ფარჩა, 105 შეკვრა ოქროთი და ვერცხლით ნაკერი ქსოვილი და სხვა, მაგრამ ქალაქი ისე იყო გაძარცული, რომ მცხოვრებლებმა მხოლოდ ნახევრის შეგროვება შეძლეს. „ახალი ჯულფის“ სომხებს კიდევ ერთხელ დააკისრეს მძიმე კონტრიბუციის გადახდა. ჯულფის ქალანთარს თავის მოპკვეთეს; ინგლისელ, ჰოლანდიელ, ფრანგ და ინდოელ ვაჭრებს გამოსასყიდი გადაახდევინეს; ქალაქი გააპარტახეს.

ავღანელ დამპყრობლებს ირანის სამხრეთშიც დიდი წინააღმდეგობა გაუწიეს ხალხის მასებმა. 1724 წ. ქალაქის მცხოვრებლებისა და გარნიზონის გმირული და სასტიკი წინააღმდეგობის შემდეგ ავღანელებმა ქ. შირაზის აღება მოახერხეს. ავღანელები შეეცადნენ ბუშერ-ბუშირის პორტის აღებას, მაგრამ ეს მცდელობა მარცხით დამთავრდა. მაპმუდმა მოაწყო ლაშქრობა ქუჰ-გილუეს მთიანი

ოლქის დასაპყრობად (ფარსის ჩრდ. დასავლეთით), მაგრამ იგი ძლიერ წინააღმდეგობას შეხვდა და ხელცარიელი დაბრუნდა.

სპარსელთა წინაღმდეგობას დამპყრობთა წინააღმდეგ ამ პერიოდში თავისი ცენტრი არ ჰქონდა. შაპ სულთან-ჰუსეინის შვილი თაქმასპ II ნომინალურად იყო ცნობილი კანონიერ შაპად მაკმულ შაპ აღანელისაღმი დაუმორჩილებელ ოლქებში გილიანში, მაზენდარანში და სამხრეთ აზერბაიჯანში, მაგრამ იგი პასიურად იქცეოდა და ვერ ბედავდა დამპყრობთა წინააღმდეგ მასობრივი სასალხო მოძრაობის სათავეში ჩადგომას. სეფიანთა დიდებულებს ხალხის მასების შეიარაღების ეშინოდათ.

§25. რუსეთის ჩარევა

პეტრე I-მა 1721 წ. წარმატებით დაასრულა ომი შეედეთთან და ირანში შექმნილი ვითარება რუსეთის მიერ კასპიისპირეთის რეგიონების ოკუპაციისათვის გამოიყენა. პეტრე I-ს განზრახული ჰქონდა ვოლგა-კასპიის სამდინარო მაგისტრალზე მდებარე ტერიტორიის და კასპიისპირეთის უმთავრესი მეაბრეშუმეობის რეგიონების ხელში ჩაგდება. ფორმალურად, პეტრე I აჯანყებული ქართველებისა და სომხების დასახმარებლად მოდიოდა. ქართლის მეფე ვახტანგ VI ჯარით სამი თვის განმავლობაში ელოდა რუსების გამოჩენას განჯაში, მაგრამ უშედეგოდ: პეტრე I არ დაეხმარა ვახტანგ V-ეს.

მთავარი მიზეზი, რამაც პეტრე I აიძულა ამიერკავკასიის ქვეყნებში ლაშქრობა დაეწყო, ის იყო, რომ მას არ უნდოდა ამ მსარეების თურქეთის ხელში გადასვლა, რაც რუსეთს სამხედრო და საეჭრო თვალსაზრისით რეალურ საშიშროებას შეუქმნიდა. ეს საშიშროება სავსებით რეალური იყო, რამდენადაც სულთან აპმედ III-ის მთავრობა სტამბულში აშკარად ამზადებდა თურქეთის თავდასხმას ამიერკავკასიასა და ირანზე, ამგვარად, რუსეთის ჩარევა არ იყო მიმართული სეფიანთა წინააღმდეგ: მას მიზნად ჰქონდა თურქეთის აგრესიისათვის დასწრება. ჯერ კიდევ 1722 წლის ივნისში პეტრემ მანიფესტი გამოსცა, რომელშიც აღნიშნული იყო, რომ იგი გამოდის არა შაპ სულთან-ჰუსეინის მთავრობის წინააღმდეგ (რომელიც იმ დროს უკვე აღარ იყო სერიოზულ მოწინააღმდეგედ მიჩნეული), არამედ სურხაი-ხანის და პაჯი დაუდის

ასალაგმაეად, რომელთაც, როგორც ზემოთ გვქონდა აღნიშნული, შემასას აღების დროს 300-დე რუსი ვაჭარი დახოცეს; აგრეთვე ქრისტიანების – ქართველებისა და სომხების დასაცავად.

რუსის ჯარმა დაიკავა ქალაქები დარუბანდი (1722 წ.) და ბაქო (1723 წ.). გალიანელებმა თხოვნით მიმართეს რუსეთს ავღანელ დამპყრობთა წინააღმდეგ ბრძოლაში დახმარების შესასებ. პეტრე I-მა რუსეთის ჯარი გაგზავნა ენზელიში და რეშთში. შაჰ თამაზ II-მ, რომელიც არღებილში იყო გამაგრებული, მაპმუდ შაპ ავღანელის წინააღმდეგ ბრძოლაში რუსეთის მსარდაჭერის გარანტიისათვის, რუსეთში გააგზავნა გამოცდილი დიპლომატი ისმაილ-ბეგი, რომელმაც 1723 წლის 23 სექტემბერს სანკტ-პეტერბურგში დადო ხელშეკრულება, რის ძალითაც რუსეთი კისრულობდა შაპ თამაზ II-ისათვის ავღანელებთან ბრძოლაში დახმარებას, რის სანაცელოდ ირანისაგან უნდა მიეღო დაღესტანი და აზერბაიჯანის სანაპირო ზოლი, აგრეთვე გილიანი, მაზენდარანი და ასტრაბადი. მაგრამ თამაზ II განაცხადა, რომ ისმაილ-ბეგმა მისთვის მიცემული რწმუნებებს გადააჭარბა და პეტერბურგის ხელშეკრულება არა ცნო.

§26. თურქეთის გაეოსვლა

თურქეთი, რომელმაც დიდი ხნის განმავლობაში (1639-1723 წწ.) შეინარჩუნა სეფიანთა სახელმწიფოსთან მშვიდობიანი ურთიერთობა, ახლა ჩქარობდა სეფიანთა ირანის რღვევის თაეის სასარგებლოდ გამოყენებას. ჯერ კიდევ 1722 წ. თურქეთის ოდინდელმა აგენტებმა, ლეკთა ბელადებმა სურხაი-ხან ყაზი ყუმუხელმა და მუდარისმა პაჯი დაეუდმა, რომლებმაც შირეანი და ჩრდ. აზერბაიჯანის ნაწილი დაიკავეს, ფორმალურად ცნეს თურქეთის სულთნის აპმედ III-ის უზენაესობა. ისპაანში, თურქეთის ელჩის სახით, მაპმუდ შაპ ავღანელთან გააგზავნეს ვინმე ოსმანი, რომელსაც ჯაშუშური დავალებები ჰქონდა. სტამბულში დაბრუნების შემდეგ, მან ირანის მდგომარეობა განსაკუთრებით მუქ ფერებში დასატა. აპმედ II-ის მთავრობამ ამიერკავკასიასა და ირანზე თავდასხმა იმიტომაც გადაწყვიტა, რომ ახალ-ახალი გამარჯვებებით და დაპყრობებით უნდოდა თავისი შერყეული აეტორიტეტის განმტკიცება თვით თურქეთში. თურქეთის ჯარები უკვე 1723 წ. შემოიჭრნენ სომხეთსა და აღმოსავლეთ საქართველოში; მათ

დაიკავეს ერევანი და თბილისი. ქართლში „ოსმალობა“ დაიწყო (1723-1735 წწ.) ქართლის მიწები აღწერეს და ოსმალური დიუნის რეესტრში გაატარეს. თურქეთის მსრიდან საფრთხემ თამაზ II აიძულა ეცნო პეტერბურგის ხელშეკრულება: მან ფორმალურად დაუთმო რუსეთს კასპიის ზღვის დასავლეთი და სამხრეთი სანაპირო – დარუბანდი, ბაქო, გილიანი, მაზანდარანი. რუსეთი ვალდებულებას კისრულობდა: ირანი გაეწმინდა დამპყრობელ აღანთაგან. რუსეთმა, ხელშეკრულების საფუძველზე, თავისი ჯარები გილიანში შეიყვანა, მაგრამ მაზანდარანი და გურგანი (ასტრაბადი) რუსის ჯარს არასდროს დაუკავებია.

1723 წლის რუსეთ-ირანის ხელშეკრულებამ და თურქეთის ჯარის შემოჭრამ ამიერკავკასიის ქვეყნებში და ქერმანშაქში თურქეთსა და რუსეთს შორის ურთიერთობა დაძაბა. საქმე კინაღამ რუსეთ-თურქეთის ომამდე მივიდა; მაგრამ პეტრე I-მა, შვედეთთან ოცწლიანი მძიმე ომის შემდეგ, თავისი ქვეყნის ჩაბმა თურქეთთან ახალ ომში შესაძლებლად არ ცნო. თურქეთს ინგლისი და საფრანგეთი უჭერდნენ მხარს. საფრანგეთის აქტიური ჩარევით, 1724 წლის 24 ივნისს სტამბულში ხელმოწერილი იქნა კონსტანტინოპოლის რუსეთ-თურქეთის ტაქტატი, რომლის მიხედვითაც რუსეთს უნდა დარჩენოდა კასპიისპირეთის ყველა ოლქი, რომელიც ჩამოთვლილი იყო სეფიანთა სახელმწიფოსა და რუსეთის 1723 წლის ხელშეკრულებაში, ხოლო თურქეთს – ამიერკავკასიის სხვა დანარჩენი ტერიტორია; თურქეთის ხელში უნდა გადასულიყო აგრეთვე მთელი დასავლეთი ირანი ქალაქებით ქერმანშაპით და ჰამადანით; ქ. არდებილის ოლქი, როგორც სეფიანთა სამკვიდრო დომენი, ტრაქტატის მიხედვით შაპ-თამაზ II დაუტოვეს (მაგრამ, თურქების მიერ ისიც ოკუპირებული იქნა). ორივე სახელმწიფო ვალდებულებას კისრულობდა ერთად ეიძულებინათ შაპ თამაზ II, რათა მას ეცნო 1724 წლის ტრაქტატის პირობები. იმ შემთხვევაში, თუ შაპ თამაზ II არ დათანხმდებოდა, ორივე სახელმწიფო იმაზე შეთანხმდა, რომ შაპის ტახტზე დაესვათ მათ მიერ ერთად არჩეული „ღირსეული სპარსელთა შორის“, ანუ მათი სურვილის უსიტყვოდ შემსრულებელი.

კონსტანტინოპოლის ტრაქტატის თურქეთისათვის ხელსაყრელი პირობები აიხსნება თურქეთისათვის საფრანგეთის მხარდაჭერით; ამ უკანასკნელს ეშინოდა რუსეთის გაძლიერების. ტრაქტატის

დაღებისთანავე თურქეთის ჯარები დასავლეთ ირანისაკენ დაიძრნენ; მათ 1724 წ. ალყაში მოაქციეს და შემდეგ აიღეს ჰამადანი. აქ, ისევე, როგორც ირანის სხვა ქალაქებში, ხალხთა მასებმა თურქ დამპყრობლებს აქტიური წინააღმდეგობა გაუწიეს; თურქებმა, ჰამადანის აღების შემდეგ, მოსახლეობის ნაწილი გაქლიტეს, ნაწილი კი — განდევნეს. თურქეთი არ დაკმაყოფილდა 1724 წ. ტრაქტატში მოხსენიებული ოლქების დაკავებით: მისმა ჯარებმა 1725 წ. დაიკავეს ყაზვინი.

თურქი დამპყრობლების წინააღმდეგ აქტიურად იბრძოდნენ არამარტო სპარსელები, არამედ აზერბაიჯანელებიც. „უბრალო ხალხი", ანუ ხელოსნები და ღარიბები, გმირულად იცავდა ქ. თაერიზს. ბოლოს და ბოლოს თურქებმა სძლიეს, მაგრამ თაერიზის დამცველებმა მოიპოვეს ქალაქიდან იარაღით და ოჯახებით გასვლის უფლება. თაერიზის თავდაცვის შესახებ დაწერილებით მოგვითხრობს შეიხი ალი ხაზინი.

შაჰ თამაზ II პასიურად იდგა მაზანდარანში. მას მხარს უჭერდა ასტრაბადის ბეგლარბეგი და ყაჯართა ტომის ბელადი ფათჰ ალი-სანი.

ამასობაში, მაპმუდ შაჰმა, რომელსაც ეშინოდა სპარსელთა აჯანყებისა, ბრძანა სეფიანთა საგვარეულოს ყველა მამაკაცის (გარდა შაჰ სულთან ჰუსეინის) მოკვლა. 1725 წლის თებერვალში 39 კაცი სიკვდილით დასაჯეს. ეს ხოცვა-ჟლეტა იმით იყო გამოწვეული, რომ ბახთიარების აჯანყების სათავეში იდგა თვითმარქვია, რომელიც თავის თავს შაჰ ჰუსეინის შვილს სეფი-მირზას უწოდებდა.

ცენტრალური ირანის მოსახლეობა კელავ წინააღმდეგობას უწევდა დამპყრობლებს. ამასობაში, თვითონ ავღანელ დიდებულებს შორის დაიწყო დაჯგუფებების ბრძოლა პირველობისათვის, რის შედეგადაც მაპმუდ-შაჰი ტახტიდან ჩამოაგდეს და მოაშთვეს, ხოლო შაპის ტახტზე აიყვანეს მისი ბიძაშვილი (მისი ბიძის — აბდულაპის შვილი) აშრაფი.

აშრაფი შეუდარებლად უფრო მოქნილი პოლიტიკოსი აღმოჩნდა ვიდრე მაპმუდი. მას კარგად ესმოდა, რომ ირანში ძალაუფლებას ვერ შეინარჩუნებდა, თუ მხოლოდ და მხოლოდ ავღანელთა წინამძღოლად დარჩებოდა (ასეთად დარჩა მაპმუდი), ამიტომაც აშრაფი ცდილობდა თავის დაჭერას როგორც ირანის შაპი. მან თავის ჯარში დისციპლინა განამტკიცა, შეწყვიტა ძარცვა-

რბევა და სპარსელებზე ძალმომრეობა, ცდილობდა ირანელი დიდებულების თავის მხარეზე გადაბირებას; მან „ზოგიერთი ფარსის და ერაყის ხალხიდან (ე.ი. ძირძველი სპარსელები) ნებით თუ ძალით თავის სამსახურში აიყვანა"; სამაგიეროდ, აშრაფმა თავიდან მოიშორა აღელანელი დიდებულები, რომელთაც ირანში, როგორც დაპყრობილ ქვეყანაში, ისე უნდოდათ მბრძანებლობა. აშრაფმა დაიწყო თამაზ II-თან მოლაპარაკება, ცდილობდა მის შეტყუებას მახეში, მაგრამ ეს უკანასკნელი დროზე გააფრთხილეს. აშრაფმა ვერ მოახერხა თურქეთთან ზავის დადება: თურქეთის მიზანი იყო მთელი ირანის დაპყრობა. აშრაფი იძულებული გახდა თურქეთთან ომმა. მან მოახერხა ისპაანთან მოახლოვებული თურქეთის დამარცხება (1726 წ.). თურქეთი მხოლოდ მაშინ დათანხმდა მოლაპარაკებაზე.

აშრაფი თავისი წარმატებით არ გაყოყოჩებულა. 1727 წ. მან თურქეთთან ზავი დადო შემდეგი პირობებით: 1. აშრაფი თურქეთის სულთან აპმედ III-ს ცნობდა ყველა სუნიტი მუსლიმის სალიფად; 2. სულთანი ცნობდა აშრაფს ირანის ხელმწიფედ, მაგრამ როგორც თურქეთის ვასალს; ირანის მეჩეთებში სულთან აპმედ III-ის სახელი სუტბაში აშრაფის სახელის წინ უნდა მოეხსენებინათ; 3. აშრაფი თურქეთს უთმობდა არამარტო 1724 წლის რუსეთ-თურქეთის ტრაქტატით გათვალისწინებულ ოლქებს, არამედ ამას გარდა ხუზისტანს, ზენჯანს, ყაზვინს, სულთანიეს და თეირანს მათი ოლქებით, ე.ი. მთელი ირანის ტერიტორიის 2/5. აშრაფის მდგომარეობა გაართულა იმასაც, რომ ირანის მოსახლეობა მას წინააღდეგობას უწევდა; ამასთანავე, აღელანელი დიდებულები აშრაფის პოლიტიკით უკმაყოფილო იყვნენ: მათ მის წინააღმდეგ ყანდაჰარში აჯანყება მოაწყეს. მელიქი მაჰმუდ სისტანელი ებრძოდა აშრაფსაც და შაჰ თამაზ II-საც.

§27. აფღანელთა განდევნა. ნადირის აღზევება

აღელანელ და თურქ დამპყრობთა წინააღმდეგ ბრძოლა ირანის ჩრდილოეთში გაძლიერდა. წინააღმდეგობის მოძრაობის ცენტრი გამოიკვეთა მაზენდარანში, რომლის სათავეშიც მალევე აღმოჩნდა ენერგიული და ნიჭიერი სარდალი ნადირ-ყული. იგი წარმოშობით იყო აზერბაიჯანულ-თურქული (ყაზილბაშური) ავშარის

ტომიდან, რომლის ნაწილიც ჯერ კიდევ შაპ ისმაილის დროს იყო გადასახლებული აზერბაიჯანიდან სორასანში. 1688 წ. ნაკლებადცნობილ ღარიბ ოჯახში (მამამისი ტყავის გამოქნას მისდევდა) დაიბადა ნადირ-ყული. 18 წლის ნადირ-ყული, დედასთან ერთად, სორეზმელმა ოზბეგებმა ტყვედ წაიყვანეს. ნადირი ტყვეობიდან გამოიქცა და ხორასანში დაბრუნების შემდეგ სსვადასხვა ფეოდალის ლაშქარში მსახურობდა (კერძოდ, მელიქ მაპმუდ სისტანელთან). დროთა განმავლობაში მან ნიჭიერი მხედართმთავრის სახელი მოისვეჭა. ირანში გამეფებული არეულობისა და შინაური ბრძოლების დროს, ნადირი ყაჩაღების ბანდის მეთაურიც გახდა. უფრო გვიან, მან ხორასნელი ავშარებისა და ქურთებისაგან რიცხვმრავალი ლაშქარი შეაგროვა, დაეუფლა კელატის ციხეს, გაამაგრა იგი და აქცია თავის მთავარ ციხესიმაგრედ.

1726 წ. ნადირი შაჰ თამაზ II-ის მიწვევით მის სამსახურში შევიდა: იგი ხორასნის ამირად დაინიშნა. ნადირმა აიძულა უნებისყოფო შაპ თამაზ II, გაეცა ბრძანება გაელენიანი ფათჰ ალი-ხან ყაჯარის მოკვლის თაობაზე (ყაჯართა დინასტიის ფუძემდებლის — აღა მაპმად-ხან ყაჯარის ბაბუა), რომელსაც იგი თვლიდა ირანში ხელისუფლების ხელში ჩაგდების საქმეში თავის მთავარ მოქიშპედ. ნადირმა დაამარცხა მელიქ მაპმუდ სისტანელი და წაართვა მას შეშჰედი (1726 წ.), დაიმორჩილა ხორასანი, დაამარცხა აბდალები (ავღანელები) და ხელთ იგდო ჰერათი (1729 წ.). ნადირმა თავის თავს უწოდა თამაზ (თაპმასბ) ყული-ხანი (თაპმასბის მონა ხანი), თავის ხელში მოაქცია თამაზ II-ის მთელი ოლქების მმართველობა: თამაზ II თავისი „მონის" ხელში უბრალო იარაღად იქცა.

1729 წ. ნადირმა ორჯერ დაამარცხა ავღან-გილზაები: მიპმანდუსტთან და დერრე-ი ხარის ხეობაში, ელბრუსის მთებში. ისპაანში დაბრუნების შემდეგ, აშრაფმა, რომელსაც ქალაქის მცხოვრებთა აჯარყების ეშინოდა, 3000 კაცი სიკვდილით დასაჯა, დანარჩენები ქალაქიდან გაიყვანა და მიმდებარე სოფლებში დაასახლა. მიუხედავად იმისა, რომ აშრაფს თურქეთი არტილერიით დაეხმარა, ნადირმა 1729 წლის 29 ნოემბერს, იგი კელავ დაამარცხა მურჩეხურტთან, რის შემდეგაც აშრაფმა დატოვა ისპაანი, გაძარცვა ბაზარი, გაიტაცა ხაზინის ძვირფასეულობა და მოაკვლევინა ყოფილი შაჰი ჰუსეინი. ნადირმა ავღანელთა ჯარს

ფარსამდე მისდია, ერთხელ კიდევ დაამარცხა იგი და გაუანტა. თვითონ აშრაფი გაქცევის დროს მოკლა ბელუჯთა ტომის ერთ-ერთმა ბელადმა. ნადირის წარმატება მარტო მისი სამხედრო ნიჭით არ აიხსნება: არ უნდა დავივიწყოთ, რომ მას მხარი დაუჭირა ხალხმა, რომელსაც მტრისაგან ქვეყნის გათავისუფლება უნდოდა.

§28. ურთიერთობა რუსეთთან და თურქეთთან

რუსეთის მიერ ომისაგან განადგურებული კასპიისპირეთის ოლქების ოკუპაციამ არ მოუტანა მას მოსალოდნელი სარგებელი, პირიქით გამოიწვია დიდი ხარჯები და საგარეო პოლიტიკური გართულებები; ამიტომაც, 1725 წ, პეტრე I-ის სიკვდილის შემდეგ, მეფის მთავრობამ გადაწყვიტა ამ ოლქის დაბრუნება თამაზ II-ისათვის იმ პირობით, რომ ეს ოლქები თურქეთის ხელში არ გადავიდოდა. 1730 წ. ნადირის ჯარებმა თურქები დაამარცხეს და მათგან ჰამადანი, ქერმანშაჰი და სამხრეთი აზერბაიჯანი გა-ათავისუფლეს. სანამ ნადირი დაკავებული იყო აღლანელი აბ-დალის აჯანყების ჩაქრობით ხორასანში (1731), შაჰ თამაზ II, რო-მელიც შიშობდა, რომ ნადირის ჯარების მიერ ამიერკავკასიის დაპყრობა კიდევ უფრო გაზრდიდა ამ უკანასკნელის ავტორიტეტს, გადაწყვიტა თვითონ გამოსულიყო თურქების წინააღმდეგ საბრძოლველად; ამით იგი იმედოვნებდა თავისი სახელის გან-დიდებას, მაგრამ იგი დამარცხდა და 1731 წ. იძულებული გახდა თურქეთთან დაედო ზავი, რომლის ძალითაც თურქეთი იტოვებდა მდ. არაქსის ჩრდილოეთით მდებარე ამიერკავკასიის ტერიტო-რიას; გარდა ამისა, აჰმედ-ფაშა ბაღდადელმა სარჩოდ (არფალიქ) ქერმანშაჰის ოლქში ცხრა ოლქი მიიღო. 1732 წ. რეშთში რუსეთ-ირანის ხელშეკრულება დაიდო. რუსეთი ირანს დაუყოვნებლივ უბრუნებდა გილიანს, ხოლო მტკვრის ჩრდილოეთით მდებარე მი-წების დაბრუნებას კისრულობდა იმ შემთხვევაში, თუ ეს ტერიტო-რია თურქებისაგან გათავისუფლდებოდა. ნადირმა შაჰის ხელშეკ-რულება თურქეთთან სამარცხვინოდ გამოაცხადა და არ ცნო იგი. მან მოიწვია ხანებისა და დიდებულების კრება (კენგეშ. — თურქ., ყურულთაი — მონღ.), მიაღწია თამაზ II-ის ჩამოგდებას და შაჰად გამოაცხადა მისი 8 თვის შვილი აბას III-ის სახელით (შაჰად

ითელებოდა 1732-1736 წწ.). რეალური ხელისუფლება ნადირის ხელთ დარჩა.

ამის შემდეგ, ნადირის ჯარებმა თურქები დაამარცხეს კერკუკიან (1733 წ.), მათგან გაათავისუფლეს ჩრდ. აზერბაიჯანი, აღმოსავლეთი საქართველო და ჩრდილოეთ სომხეთი (1734-1735 წწ.). 1735 წ. ნადირმა მოაწყო თავისი პირველი ლაშქრობა ირანისადმი მტრულად განწყობილი ხანების და დაღესტნის „თავისუფალი" (პატრიარქალურ-საგვარეულო) თემების წინააღმდეგ, მაგრამ ამ ლაშქრობას სასიკეთო შედეგები არ მოპყოლია.

ამიერკავკასიის ქვეყნების დაპყრობისას ნადირის ჯარი ძარცვავდა და აოხრებდა ამ ქვეყნებს ისევე, როგორც თურქები. ნადირის მოლაშქრეებმა ათი ათასობით მშვიდობიანი მცხოვრები დააგდეს.

თურქების მიერ დაკავებული ციხეების (განჯა და სხვ.) ალყის დროს ნადირი სარგებლობდა რუსი ინჟინრებისა და არტილერისტების დასმარებით, მაგრამ, მიუხედავად ამისა, მან რუსეთისაგან მოითხოვა კასპიისპირეთის რეგიონების გათავისუფლება (ბაქო და დარუბანდი). რუსეთი ამ მოთხოვნას დათანხმდა მხოლოდ იმ პირობით, რომ ირანი რუსეთთან ერთად გააგრძელებდა თურქეთის წინააღმდეგ ბრძოლას და მასთან სეპარატულ ზავს არ ღადებდა (განჯის სელშეკრულება, 1735 წ). ეს პირობა ნადირმა მალე დაარღვია: 1736 წ. არზრუმში დაიდო თურქეთთან ზავი, რომლის ძალითაც თურქეთი ირანს უბრუნებდა ყველა იმ ტერიტორიას, რომელიც მას ეკუთვნოდა 1722 წლამდე.

§29. ირანის მდგომარეობა XVIII ს-ის 30-იან წლებში

სახელმწიფოს პოლიტიკური გაერთიანება დასრულდა: 20-იან წლებში დაკარგული ტერიტორიები სპარსული მოსახლეობით კვლავ დაიბრუნეს. მაგრამ ირანის შინაური მდგომარეობა უკიდურესად მძიმე იყო: ავღანელი და თურქი დამპყრობლების ბატონობამ და ომებმა ქვეყანა გაანადგურა; შაპ პუსეინის დროინდელი ეკონომიკური დაცემა მთლიანი სამეურნეო ნგრევით შეიცვალა. რა თქმა უნდა, ყველაზე უფრო სოფელი დაზარალდა.

მხოლოდ ერთ ისპაანის ოაზისში განადგურებული და აოხრებული იყო ათას სოფლამდე, ანუ სოფლების ორი მესამედი. კამხალები, არხები, კიარიზები და სხვა საირიგაციო საშუალებები დანგრეული და გამოუსადეგარი იყო (კერძოდ, ცნობილი კაშხალი ბენდი-სულთანი მდ. მურღაბზე მერვის ახლოს). ბევრი გლეხი მტერმა დახოცა, ტყვედ წაიყვანა თურქებმა, ან დაიღუპა შიმშილისა და ეპიდემიისაგან (უცხოელთა შემოსევებს, ომებს და შინაურ აშლილობებს ეს თან სდევდა). სოფლის მეურნეობის კატასტროფიული მდგომარეობა იმანაც განაპირობა, რომ იგი უკვე ადრე შაპ სულთან ჰუსეინის საგადასახადო პოლიტიკით ძირგამოთხრილი იყო.

იმის შესახებ, თუ როგორც ცხოვრობდა გლეხობა იმ დროს, შეიძლება წარმოდგენა ვიქონიოთ სოფ. ვანანდის (ნახჩევანის ოლქი) მეჩეთის პორტალზე 1732/3 წლის წარწერით. იქ ნათქვამია: „იყო ჯოჯოხეთი შიმშილისა და უბედური დროის სხვადასხვა შევიწროვების გამო. ერთი წლის განმავლობაში სოფელი ვანანდი და ახლო მდებარე სოფლები სამჯერ ააოხრეს და გაძარცვეს. ბევრი მართლმორწმუნე კაცი და ქალი მოკლეს ან მონად წაიყვანეს, ხოლო სხვა ღვთის მონები დაიფანტნენ, გადავიდნენ არაქსზე და იქითა ნაპირზე სოფლებში დასახლდნენ. და იმ დღეებში პლანეტების არასასურველი შერწყმის გამო ვაჭრობაც შეწყდა“.

თვითმხილველი, სომეხი პატრიარქი აბრაამ კრეტაცი, გვამცნობს, რომ 1735-1736 წ.,-ში შიმშილი ბატონობდა ყველგან აღმოსავლეთ საქართველოში, სომხეთსა და აზერბაიჯანში; ხორბალი და ქერი ყველგან გაძვირდა. ასე იყო ამიერკავკასიის ქვეყნებში, მაგრამ ირანშიც არ იყო უკეთესი მდგომარეობა“.

დასავლეთ და შიდა ირანში ქალაქები აოხრებული იყო: ისპაანი, შირაზი, ყაზვინი, იეზდი, თავრიზი გაძარცული იყო. ამ ქალაქებმა თავისი მოსახლეობის ორ მესამედზე მეტი დაკარგეს. თვითმხილველი შეიხი მუჰამედ ალი ხაზინი მოგვითხრობს, რომ თავრიზში მისვლისას მან მიტოვებული და თითქმის დაუსახლებელი ქალაქი ნახა. მისი სიტყვებით, ასეთი სურათი იყო მთელ სამხრეთ აზერბაიჯანში, რომელიც ოდესღაც ხალხმრავლობით და სიმდიდრით გამოირჩეოდა, ხოლო სპარსეთის ერაყი ისე იყო განადგურებული და გაღარიბებული, რომ აღწერა შეუძლებელი გახდა. გლეხებისა და ქალაქის მცხოვრებლების მსყიდველობითი უნარის შემცირებამ ქვეყანაში ვაჭრობისა და ხელოსნობის დაცემა

გამოიწვია. მეაბრეშუმეობის თითქმის მთლიანად განადგურებამ (ჰასვეის მონაცემებით, ნეღლი აბრეშუმის დამზადება ექვსზე მეტად შემცირდა), საქარაენო გზებზე ყაჩაღობამ და უცხოელი ვაჭრის პიროსნების ხელყოფამ საგარეო ვაჭრობაც ჩაკლა.

ყველაზე უფრო უარესი ის იყო, რომ მიუხედავად სამეურნეო ნგრევისა, არც თურქი, არც აღღანელი დამპყრობლები, არც აღგილობრივი ფეოდალური მბრძანებლები, არც ნადირი, არ ფიქრობდნენ რაიათების საგადასახადო ტვირთის შემცირებას და ცდილობდნენ გადასახადების ძველებური ნორმით აკრეფას. გლეხებს ფაქტიურად ატყუებდნენ, მაგრამ ისინი გადასახადს მთლიანად მაინც ვერ ისდიდნენ. აი, ამიტომაც ამბობს შეიხი მუ-ჰამედ ალი ხაზინი, რომ ირანიდან აღღანელთან განდევნამ ხალხს მდგომარეობა არ შეუმსუბუქა, იგივე ავტორი მოგვითხრობს, რომ ქ. ლარში მივიდა ნადირის მიერ ახლად დანიშნული პაქიმი, რომელსაც გაპარტახებული ქალაქი დახვდა; ქალაქში ძალიან ცოტა პროდუქტი იყო, რადგანაც გზებზე ყაჩაღობის გამო სოფლებიდან სასოფაგე თითქმის არ შემოდიოდა; პროდუქტებზე დადებული ფასი ძალიან მაღალი იყო. მიუხედავად ამისა, ჰაქიმმა უკიდურესად მკაცრი ზომებით ქალაქისა და ოლქის მცხოვრებლებიდან ერთბა-შად აიღო ორი წლის – მიმდინარე და მომავალი წლის გადასახადი გაზრდილი რაოდენობით. ეს ამბავი იმით დასრულდა, რომ აჯანყე-ბულმა გლეხებმა და ქალაქის მცხოვრებლებმა ჰაქიმი მოკლეს.

ჯერ კიდევ შაპ ჰუსეინის დროიდან იჭრებოდა გაფუჭებული მონეტა (შემცირებული ვერცხლით). მაპმუდ-შაპ აღღანელი ცდილობდა სრულფასოვანი მონეტის მოჭრას (1723 წ.), მაგრამ ომისა და მთლიანი ნგრევის ვითარებაში ამ რეფორმას ხელშესახ-ები შედეგი არ მოჰყოლია. მონეტის გაფუჭებამ და მიწათმოქმედე-ბის დაცემასთან დაკავშირებით პროდუქტების საერთო ნაკლებო-ბამ ფულის რეალური ღირებულების 10-12-ჯერ (ზოგან მეტჯერაც) შემცირება გამოიწვია (XVII ს-ის ბოლოსთან შედარებით). შესა-ბამისად იზრდებოდა ფასები პროდუქტზე; ასე, მაგ., მუჰამედ კაზიმის ცნობით, ნადირის მმართველობის დასაწყისში მერვის ოლქში 1 მანი მარცელეული – 200 დინარი ღირდა., ხოლო აბრაამ კრეტაციის სიტყვით, 1 მანი მარცელეული – 900 დინარი (თავრიზული მანი უღრიდა 2950 გრ. ნახჩევანის მანი – 13 კგ-მდე).

§30. ყურულთაი მუღანის ველზე

ნადირი (თაპმასბ-ყული სანი) ნათლად ხედავდა, რომ სეფიანთა დინასტიამ დაკარგა არამარტო რეალური ძალაუფლება, არამედ ფეოდალთა დიდ ნაწილში – აეტორიტეტიც. ნადირმა გადაწყვიტა გამოეყენებინა თავისი სამხედრო წარმატებები და „ირანის განმათავისუფლებლის“ სახელი შაპის ტახტის სელში ჩასაგდებად. ამისათვის მას ფეოდალთა მხრიდან მხარდაჭერა სჭირდებოდა; ამასთანავე, მან კარგად იცოდა, რომ აუცილებელი იყო ხალხის მხარდაჭერაც. ამ მიზნით მან დიდი ყურულთაის მოწვევა გადაწყვიტა, რომელსაც დაესწრებოდნენ დიდებულები (სამხედრო, სამოქალაქო, სასულიერო), ქალაქებისა და ზოგიერთი სოფლის მამასახლისი. მან შესანიშნავად იცოდა, რომ ეს უკანასკნელნი მიიღებდნენ სწორედ ისეთ გადაწყვეტილებას, როგორიც ზეიდან იქნებოდა ნაკარნახევი.

ნადირმა ეს ყრილობა მოიწვია 1736 წლის იანვარში, მუღანის ველზე, თავის სამხედრო ბანაკში და დაითხოვა იმავე წლის მარტში. ამ ყურულთაის აღწერა მოცემული აქვთ მირზა მეჰდი ხანს, მუპამედ კაზიმს (ორივე ტენდენციურია), მუპამედ ალი ხაზინს და სომეხ პატრიაქ-კათოლიკოს აბრაამ კრეტაცის (ეს უკანასკნელნი უფრო ობიექტურად, დამოუკიდებელი თვალთახედვით აღწერენ ამ ყურულთაის).

ყურულთაიზე გამოძახებული იყვნენ მუჯდეჰიდები, კათედრალური მეჩეთების იმამები, ყადიები, სომეხი კათოლიკოსი-პატრიარქი აბრაამ კრეტაცი, ბეგლარბეგები, ხანები და სხვა დიდი ფეოდალები, მომთაბარე ტომთა ბელადები, ქალანთარები (ქალაქის მამასახლისები), ბევრი ქედხუდაც (ქალაქის კვარტალის და სოფლის მამასახლისი). სულ შეგროვდა 20000 კაცამდე, ოფიციალური მონაცემებით – 100000 კაცი (დედაწულიანად). თავშეყრილთათვის აშენდა 12000 ლერწმის დროებითი ნაგებობა, მათ შორის მეჩეთები, აბანოები და ბაზრები. ყურულთაიზე სელმძღვანელ როლს თამაშობდნენ ხანები (სულ 54 ხანი იყო), დანარჩენები უბრალო სტატისტები იყვნენ.

ირანული მზის წლის, ახალი წლის (სამოქალაქო) დღესასწაულზე (ნოურუზი, 21 მარტი) ნადირმა შესთავაზა „ხანებს, სულთნებს, ბეგებს, აღებს, სომხების საპატიო ხალიფას (ანუ კა-

თოლიკოს-პატრიარქს), ქედხუღებს, ცნობილ ხალხს და ყველა იქ მყოფს თაყვანთი წრიდან ასალი შაპის არჩევა, რადგანაც აბას III ბაეშვია და მხოლოდ სახელითაა შაპი, ხოლო თვითონ ნადირი ღაიღალა ამდენი საქმეებისაგან და დასვენებას საჭიროებს". რა თქმა უნდა, ნადირი სელისუფლებაზე თვალთმაქცურად ამბობდა უარს და შაჰის ნებაყოფლობით არჩევნებზე ლაპარაკიც კი არ შეიძლებოდა. სპეციალურად შერჩეული ხალხით დაკომპლექტებული ყურულტაი ნადირის გარდა ვერავის არჩევას ვერ გაბედავდა. ნადირის წინააღმდეგ საიდუმლოდ განწყობილი იყო სეფიანთა დინასტიასთან მჭიდროდ დაკავშირებული შიიტური სამღვდელოება; მაგრამ შიიტური სალვდელოების მეთაურმა (მოლა ბაშიმ) როგორც კი სხა ამოიღო სეფიანთა დინასტიის შენარჩუნების სასარგებლოდ, მაშინვე მოკლეს ნადირის ბრძანებით. ამის შემდეგ, სხვა ულემებმა ეეღარ გაბედეს ხმის ამოღება. ყიზილბაშური მომთაბარე ტომების დიდებულთა შორის ზოგიერთი განწყობილი იყო ნადირის წინააღმდეგ (არ უნდა დაივიწყოთ, რომ, მართალია, ნადირი ყიზილბაშური ავშარის ტომიდან იყო, მაგრამ უბრალო წარმოშობის): ისინი მხარს უჭერდნენ სეფიანთა დინასტიის შენარჩუნებას, რომლისგანაც დავალებული იყვნენ თაეისი აღზევებით; მაგრამ ისინი ხმას არ იღებდნენ, რადგანაც კარგად ესმოდათ, რომ რეალური ძალაუფლება და სამხედრო ძალა ნადირის სელში იყო. ყიზილბაშური ტომების ამირებიდან ასალი შაჰის არჩევას სეფიანთა საგვარეულოდან მხოლოდ უღურლუ-ხან ყაჯარმა დაუჭირა აშკარად მხარი, რის გამოც იგი შემდეგ სამულობელოების ჩამორთმეეით დაისაჯა.

როდესაც ყურულთაიმ ნადირი შაპად „აირჩია", მან თაედაპირველად უარის კომედია გაითამაშა; ხალხს დიდხანს ახეეწნინა, შემდეგ დათანხდა, მაგრამ მთელი რიგი პირობები წამოაყენა: კერძოდ, იმამიტური შიიზმის აღმსარებლობა ოფიციალურად უნდა შეცელილიყო კომპრომისული ხასიათის აღმსარებლობით (უნდა გაუქმებულიყო პირველი სამი ხალიფას: აბუბექრის, ომარის და ოსმანის წყველა-კრულვა); ძველ შიიტებს ოთხი სუნიტური მიმდინარეობის (მლიქიტები, შაფიტები, ხანიფიტები, ჰანბალიტები) გვერდით უნდა შემოეღოთ მეხუთე მართლმადიდებლური მიმდინარეობა „ჯაფარიტებისა", რომელიც თაყვანს სცემდა წმინდა იმამ ჯაფარ სადიკს. ნადირისათვის შიიტობისა და

სუნიტობის შეერთების გეგმას პოლიტიკური მნიშვნელობა ჰქონდა: მან კარგად დაინახა, რომ სეფიანთა დროს სუნიტების დევნა ქურთისტანში, ჩრდ. აზერბაიჯანში, დაღესტანში, აღაანისტანში და სხვ. აჯანყებების საბაბი გახდა. სეფიანთა მიერ სუნიტების დევნას საბაბად იყენებდნენ თურქეთი და ოზბეგთა სახანოები, რომლებიც ხშირად ერეოდნენ ირანის საშინაო საქმეებში.

ნადირს უნდოდა თავის მხარეზე აღაანელების და სხვა ხალხების სუნიტური არისტოკრატიის გადმობირება. გარდა ამისა, ამ ღონისძიებებით ნადირი ფიქრობდა დამხობილი სეფიანების ძლიერი დასაყრდენის — შიიტური სამღვდელოებისათვის ძლიერი დარტყმის მიყენებას. ყურულტაიზე იქ დამსწრე შიიტმა სასულიერო პირებმა ვერ გაბედეს ამკარად შიიტური აღმსარებლობის დაცვა, მაგრამ როგორც შიიტი, ასევე სუნიტი ფანატიკოსების ფარული ოპოზიცია ძლიერი იყო: ნადირის მიერ გამოცხადებული შიიტებისა და სუნიტების შეერთება (უნია) არაერეალური აღმოჩნდა და მხოლოდ ქაღალდზე არსებობდა. „ჯაფარიტების" მიმდინარეობის ოფიციალური აღმსარებლობა „მართლმორწმუნეების" მიერ ცნობილი არ იქნა არც უზბეკეთში და არც თურქეთში.

„არჩევნების" შემდეგ ახალმა შაჰმა ყურულტაის ყველა მონაწილეს წოდების და თანამდებობის მიხედვით საჩუქრები დაურიგა. მაგ., ხანებმა, სხვა საჩუქრებს შორის, მიიღეს 5 თუმნად ღირებული ოქროქსოვილი ფარჩის ხალათები, ქეთხუდებმა კი მხოლოდ 1 თუმანი. ნადირმა ყველას აჩუქა ქართველი და სომეხი მონა ქალები. ნადირ-შაჰმა ტახტიდან ჩამოგდებული ოთხი წლის აბას III მამასთან გააგზავნა სორასანში, სადაც, უფრო გვიან ორივე მოკლეს. სეფიანთა დინასტია საბოლოოდ დაემხო, მის ადგილზე განმტკიცდა ავშართა დინასტია.

§31. ნადირ-შაჰის საგარეო პოლიტიკა

ნადირ-შაჰი (1736-1747) ირანის ერთიანობის აღდგენით, ადრე დაპყრობილი და შემდეგ სეფიანთა მიერ დაკარგული ქვეყნების უკან დაბრუნებით არ შემოიფარგლა. მთელმა მისმა ზეობამ დაპყრობით და მძარცველურ ომებში გაიარა. ნადირ-შაჰის დაპყრობითი პოლიტიკა გაპირობებული იყო ძირითადად შემდეგი

მიზეზით: მას უნდოდა მომთაბარე და ბინადარი ფეოდალური არისტოკრატიის თავის მსარეს გადმობირება და ახალი დინასტიის მბრძანებლობასთან შეგუება. ნადირ-შაპი არისტოკრატიას აძლევდა სამხედრო დაელის სარჯზე გამდიდრების საშუალებას. დაპყრობები და სამხედრო ნადავლი ნადირ-შაპს დაცარიელებული ხაზინის შესავსებად და ძლიერი ჯარის შესანახად სჭირდებოდა; ჯარის შეგროვება და, მით უმეტეს, შენახვა განადგურებულ და იავარქმნილ ირანში ძნელი იყო. ნადირ-შაპისათვის ჯარი აუცილებელი იყო ირანში მისი ძალაუფლების განმტკიცებისათვის, ქვეყნის შიგნით სახალხო აჯანყებებისა და ფეოდალთა ამბოხებების ჩასაქრობად; და ბოლოს, დაპყრობებს უნდა მოეტანა დიდება ახალი დინასტიისათვის და გაემდიდრებინა მისი წევრები.

1735 წ. ნადირ-შაჰმა „დაამშვიდა“ დაუმორჩილებელი ირანელი მომთაბარე-ბასთიარები, ხოლო 1737-1738 წწ-ში დაიმორჩილა აღანური ტომები. ნადირმა ოზბეგები დაარწმუნა თავის მეგობრობაში და მათ აღანელთა დასმარებაზე ხელი ააღებინა. ოზბეგების მხრიდან უსაფრთხოების მოპოვების შემდეგ, ნადირ-შაჰმა ომი გამოუცხადა ინდოეთის „დიდ მოგოლთა“ სახელმწიფოს, რომელიც აღანელ აჯანყებულებს თავშესაფარს აძლევდა.

ნადირის ჯარმა დაამარცხა „დიდ მოგოლთა“ ხელმწიფის მუჰამედ-შაპის ჯარი, აიღო მისი დედაქალაქი დელი, რომელიც გაძარცვა (1736 წ.). „დიდი მოგოლთა“ სახელმწიფომ უზარმაზარი კონტრიბუციის გადახდა იკისრა (ზოგიერთი მონაცემით, 6 მილიონი რუფია ფულად და 500 მილიონი რუფიას საფასური ძვირფასი ქვები; ევროპელი წყაროების ცნობებით, 30-დან 87 მილიონამდე ვირვანქა სტერლინგი). კონტრიბუციაში შეავიდა ცნობილი ბრილიანტი „ქუჰ-ი ნურ“ („სინათლის მთა“) და ძვირფასი ქვებით მოოქვეილი ოქროს ტახტი – „უარშევანგის ტახტი“. ნადირის მიერ მოპოვებული სამხედრო დავლა შეფასებულია, სულ მცირე, 700 მილიონ რუფიად. აღსანიშნავია ისიც, რომ ნადირ-შაჰმა სამხედრო დაელიდან, რომელიც ჯარს გაუნაწილა, აქოიღო და თავისთვის დაიტოვა ყველა ძვირფასი ქვა, რამაც მისი მეომრების უკმაყოფილება გამოიწვია.

1740 წ. ნადირ-შაჰმა ილაშქრა ოზბეგთა სახანოებზე – ბუხარასა და ხივაზე. ბუხარის მბრძანებელმა აბულ ფეიზ-ხანმა (1711-1747 წწ) თავისი თავი ნადირ-შაჰის ვასალად სცნო. ხივა

(ხორეზმი), სასტიკი წინააღმდეგობის შემდეგ, იძულებული გახდა ნადირს დამორჩილებოდა. ნადირმა ხორეზმში ტყვეობიდან ეაათავისუფლა 30000 მონა-ტყვე; ხივაში მონობაში მყოფს რუს ტყვეებს მან სამშობლოში დაბრუნების ნება დართო.

1741-1743 წწ. ნადირმა ილაშქრა დაღესტნის სახანოებისა და თავისუფალი (პატრიარქალური-საგვარეულო) თემების დასაპყრობად, მაგრამ მარცხი განიცადა, რამდენადაც დაღესტნელი ხალხის წინააღმდეგობა ნამდვილ სახალხო ომში გადაიზარდა. მიუხედავად ცალკეული გამარჯვებებისა, ამ ლაშქრობას რაიმე დადებითი შედეგი არ მოპყოლია. უკან დაბრუნებისას შაპის ჯარს შიმშილისა და სიცივისაგან ძალიან გაუჭირდა: გზა მდ. სამურის ხეობიდან მუღანის ველამდე გეამებით მოიფინა. დაღესტნის წარუმატებელი სამხედრო ექსპედიცია ნადირ-შაპის ომების ისტორიაში პირველი მარცხი იყო. ამ ლაშქრობამ ნადირს არ მოუტანა სამხედრო დაველა და შაჰის ავტორიტეტი შეარყია, ამიტომაც იგი შეეცადა საქმის გამოსწორებას: ნადირმა არაბეთის ერაყის დაპყრობის და იქ მდიდარი სამხედრო დაველის მოპოვების მიზნით დაიწყო ომი თურქეთთან.

თურქეთთან ომი (1743-1746 წწ.) ცვალებადი წარმატებებით მიმდინარეობდა; ნადირ-შაჰისათვის ამ ომს გამარჯვება არ მოუტანია ნაწილობრივ იმის გამოც, რომ ამ დროს ირანსა და დაპყრობილ ქვეყნებში დიდმა აჯანყებებმა იფეთქა, რომელთა ჩასაქრობადაც საომარი მოქმედების თეატრიდან ჯარის ნაწილის მოხსნა გახდა საჭირო. 1746 წლის საგავო ხელშეკრულებით ირანსა და თურქეთს შორის საზღვრები ძველებური დარჩა. ნადირ-შაპმა ორჯერ 1737-1738 და 1741-1743 წწ-ში გააგზავნა ჯარები ომანის და სამხრეთ არაბეთის დასაპყრობად, მაგრამ წარუმატებლად.

ამგვარად, ნადირ-შაჰის დაპყრობითი პოლიტიკა 1740 წლის შემდეგ სულ უფრო და უფრო წარუმატებელი იყო: იგი უზარმაზარ ხარჯებს მოითხოვდა, სანაცვლოდ კი სამხედრო დავლა და ახალი დაპყრობილი ტერიტორიები არ მოპქონდა. ნადირ-შაპი აშკარად გადაჭარბებით აფასებდა თავისი სახელმწიფოს სამხედრო პოტენციალს და ფინანსურ შესაძლებლობებს, ამიტომაც მისი სამხედრო ეგეამები სულ უფრო და უფრო ავანტიურისტული ხდებოდა.

ზოგიერთი წყაროს თანახმად, ნადირ-შაპს განზრახული პქონდა კასპიის ზღვის მთელი დასავლეთი სანაპიროს დაპყრობა,

ამიტომაც ნადირის მმართველობის დასაწყისში რუსეთთან მეგობრული ურთიერთობა შემდეგ გაფუჭდა. ნადირ-შაპის ლაშქრობებმა დაღესტანში და კასპიის ზღვაზე ინგლისელი აკანტიურისტის, ინგლისური საეჭვო კომპანიის წარმომადგენლის (1743 წლიდან) კაპიტან ელტონის ხელმძღვანელობით ირანის ფლოტის შექმნის განზრახვამ შეაშფოთა რუსეთი. რუსეთის სამხედრო ძალები კონცენტრირებული იქნა ირანის საზღვართან ახლოს — ყიზლიარში.

§32. ნადირ-შაჰის საშინაო პოლიტიკა

ნადირ-შაპის მოღვაწეობას ირანის გასაერთიანებლად და უცხოელ დამპყრობთა გასაძევებლად პირველ სანებში, შაპად გამოცხადებამდე, სპარსელი ხალხი აქტიურად უჭერდა მხარს. მაგრამ შემდეგ, მისი დაპყრობითი პოლიტიკა და გაუთავებელი ომები მძიმე ტვირთად დააწვა ისედაც გაჩანაგებულ ქვეყანას. ნადირის დაპყრობებს თან სდევდა დამორჩილებული ქვეყნების ძარცვა, მაგრამ ირანი არ მდიდრდებოდა. ნადირ-შაპის დროს ირანში არ იყო საწარმოო ძალების ისეთი აღმავლობა, როგორიც შაპ აბას I-ისა და მისი მემკვიდრეების დროს. „დიდ მოგოლთა“ სახელმწიფოსაგან უზარმაზარი კონტრიბუციის აღების შემდეგ, ნადირ-შაპმა თაეისი ქვეშევრდომები სამი წლით გაათავისუფლა გადასახადებიდან. მაგრამ, ინდური განძი ნაწილობრივ სამხედრო საჭიროებას მოსმარდა, ნაწილი კი ხელუხლებელად იდო ნადირის საგანძურში, კელატის ციხეში: იგი არ გამოუყენებიათ ირანის საწარმოო ძალების აღდგენისათვის. შემდეგ ნადირმა, რომელსაც იმედი პქონდა დაღესტანში დიდი ნადაელის ხელში ჩაგდების, მაგრამ ეს იმედი არ გაუმართლდა, გააუქმა მის მიერ ირანის მოსასლეობისადმი მიცემული საგადასახადო შეღავათები და 1743 წლიდან დაიწყო სამი წლის აუკრეფავი გადასახადების აკრეფა.

გადასახადების აკრეფას თან ახლდა რაიათების წამება, გვემა და გაძარცვა. მუჰამედ ქიაზემის სიტყვით, ვინც გადასახადს არ ისდიდა, მას ენას გლეჯდნენ, აბრმავებდნენ, ხოლო მათ, ვინც ხალხის შფოთისაკენ მოუწოდებდა, ყურებს, ცხვირსა და ენას სჭრიდნენ და მთელ მის ქონებას კონფისკაციას უკეთებდნენ. იმავე ავტორის სიტყვით, მოგიერთ ოლქში „ვინც დაწესებულ თანხას არ მოიტანდა, მის ცოლ-შვილს ჰყიდდნენ „ფრანგ“ და ინდოელ ვაჭ-

რებზე". სარჯთამკრეფები ასეთი სიმკაცრით არ იქცეოდნენ სეფიანთა, შაპ სულთან-ჰუსეინის დროსაც კი. სსეულის დაზიანება და გადასახადების გადაუხდელობის გამო ტყვედ გაყიდვა მუსლიმური სამართლის ნორმების აშკარა დარღვევა იყო. იმავე მუჰამედ ქიაზემის ცნობით, 2-3 წლის განმავლობაში დამახინჯებული და გადასახადების გადაუხდელობის გამო ციხეში გამომწყვდეული იქნა 200-დან 300 ათასამდე რაიათი. კიდევ მეტი, 1744 წლიდან დაიწყო ასალი გადასახადების დიდი ზრდა: მაგ., ხოის ოლქს, რომელსაც ადრე წელიწადში 3000 თუმნის გადახდა პქონდა შეწერილი, ახლა 100000 თუმანი უნდა გადაეხადა. ამ თანხის გადახდა ოლქმა ვერ შეძლო და მოსახლეობა აჯანყდა. ჰანვეის ცნობით, ნადირ-შაპის იმპერიის წლიური შემოსავალი 2950 ათას თუმანს აღწევდა, მაგრამ თუ მხედველობაში მივიღებთ ფულის გაუფასურებას, ეს თანხა ორჯერ ნაკლები იყო უკანასკნელი დროის სეფიანთა სახელმწიფოს წლიურ შემოსავალთან შედარებით.

1743 წლის მეორე ნახევარში მთელ რიგ ოლქებში აჯანყებები დაიწყო. ევროპელი მოგზაურები აღნიშნავენ, რომ ნადირ-შაპის მმართველობის ბოლოსათვის ყველგან ჩანდა ნგრევის, მიწათმოქმედებისა და ხელოსნების დაცემის, ქალაქების გაუკაცრიელების კვალი. ქ. ისპაანი დანგრეული და თითქმის უკაცრიელი იყო, ნადირ-შაპი დაუახლოვდა ინგლისელ ვაჭრებს: იგი მფარველობდა ინგლისურ სავაჭრო კომპანია „რუსეთს", რომელიც ირანიდან რუსეთის გზით აბრეშუმის გატანის მონოპოლიის ხელში ჩაგდებას ცდილობდა. რეშთში და მეშჰედში ინგლისური სავაჭრო ფაქტორიები დაარსდა. ინგლისელი ვაჭრების და ავანტიურისტ ელტონის საქმიანობამ რუსეთის მთავრობის საპასუხო ღონისძიებები გამოიწვია, რის შედეგადაც ირანიდან ეოლგა-კასპიის გზით ვაჭრობა ოთხჯერ შემცირდა.

იმის თქმა, რომ ნადირ-შაპის ხელისუფლება საერთოდ არ გრუნავდა ირანის საწარმოო ძალების აღორძინებაზე არ იქნებოდა სამართლიანი. ზოგიერთ, უმთავრესად სახელმწიფოს აღმოსაელეთ რეგიონებში სააღმშენებლო სამუშაოები მიმდინარეობდა: აღადგინეს საირიგაციო ქსელი (კერძოდ — სულთანაბადის კაშხალი მდ. მურღაბზე), მიტოვებულ ქალაქებსა და სოფლებში კვლავ ასახლებდნენ იძულებით გადასახლებულ ქალაქის მცხოვრებლებს, გლეხებსა და მომთაბარეებს. მაგრამ სააღმშენებლო ღონისძიე-

ბები უსისტემოდ და არათანმიმდევრულად, სშირად ტექნიკურად არაკვალიფიციურად ტარდებოდა. კიდევ მეტი ამ მშენებლობებისათვის გამოიყენებოდა იძულებითი შრომა, ყოველგვარი ანაზღაურების გარეშე; უსასყიდლოდ ამუშავებდნენ ისედაც გაძვალტყაევებულ რაიათებს. ზოგიერთი ნაგებობა ნადირ-შაპს სჭირდებოდა ომისათვის და ირანის ეკონომიკის აღორძინებისათვის: ასე, მაგ., ბუშირში, სპარსეთის ყურის სანაპიროზე აშენდა ზარბაზნების ჩამომსხმელი ქარხანა, სოლო ამულის მახლობლად მაზენდარანში – რკინისმკეთებელი ქარხანა, რომელიც ზარბაზნის ყუმბარებს ამზადებდა. სპარსეთის ყურის სანაპიროზე საალმშენებლო ხე-ტყე მოქონდათ მაზენდარანიდან, რაიათების მუქთი შრომის გამოყენებით (რაიათები სხვადასხვა რეგიონებიდან იყენენ შეგროვილი). ასევე, მუქთი შრომის გამოყენებით ნადირ-შაპმა ხორასანაში, მიუვალი მთის წვერზე, თავისთვის ააშენა კელატის ციხესიმაგრე სასახლითა და განძსაცავით. ამ სასახლისთვის მარმარილოს ლოდები წონით 50 ხარვარი (თავრიზული ხარვარი 295 კგ. უდრიდა) ბეგარის სახით მოატანინეს აზერბაიჯანელ გლეხებს. იძულებითი შრომა და გადასახადები კიდევ უფრო აჩანაგებდა რაიათებსა და მომთაბარეებს (ილიათებს), ამიტომ ნადირ-შაპის აღდგენითმა ღონისძიებებმა დადებითი შედეგები არ მოგვცა.

ნადირ-შაპი ცდილობდა ცენტრალისტური პოლიტიკის გატარებას. მაგრამ, თუ ასეთ პოლიტიკას წარმატება შეიძლებოდა მოეტანა შაპ აბას I-ისა და მისი უახლოესი მემკვიდრეების დროს – ეკონომიკური აღმავლობის პირობებში, ნადირ-შაპის დროს სასტიკი სამეურნეო ნგრევისა და ცალკეულ ოლქებს შორის კავშირის არარსებობის ვითარებაში, იგი აშკარად უტოპია იყო. ცენტრალური ხელისუფლების განმტკიცების და სახელმწიფო მიწების ფონდის გაზრდის მიზნით, ნადირ-შაპმა 1 მილიონი თუმნის შემოსაელის მქონე ვაკუფის მიწების დიდ ნაწილს კონფისკაცია გაუკეთა. მან აგრეთვე შეამცირა ზოგიერთი ყიზილბაშური მომთაბარე ტომის, განსაკუთრებით ყაჯართა ტომის, მიწების ფონდი (იურტები). ამ ღონისიძებებს უნდა შეესუსტებინა ამ მიწების უწინდელი მესაკუთრეების – შიიტური სამღვდელოების და დამხობილი დინასტიის ერთგული მომთაბარე ფეოდალების გავლენა, რამაც ფეოდალთა კლასის ეს გავლენიანი ჯგუფი გააბოროტა. ნადირ-შაპმა ხელჰყო აგრეთვე ბეგლარბეგების მემკვიდრეობითობა; იგი

ცდილობდა სამხედრო და სამოქალაქო უმაღლესი დიდებულებისათვის მიწების ბოძების შეცელას ფულადი ანაბღაურებით.

ნადირ-შაპის ამგვარმა საშინაო პოლიტიკამ ირანის ფეოდალთა დიდ ნაწილში უკმაყოფილება გამოიწვია, რაც გაძლიერდა XVIII ს-ის 40-იანი წლების წარუმატებელი ომების გამო. ნადირ-შაპმა ამ უკმაყოფილების შესახებ იცოდა და ამიტომაც იგი ცდილობდა დაყრდნობოდა უპირატესად თავისი იმპერიის აღმოსავლეთის პროვინციების მომთაბარე ფეოდალებს — თურქმენულ, უზბეკურ და ავღანურ მომთაბარულ არისტოკრატიას, რომელიც ძალიან გამდიდრდა ინდოეთში ლაშქრობის დროს. აღმოსაელეთის ოლქები ისე გაჩანაგებული არ იყო, როგორც შიდა ირანი, ამიტომაც ნადირ-შაჰი იქ დაფუძნდა: მან დედაქალაქი გაპარტახებული ისპაანიდან მეშჰედში გადაიტანა. იქვე ახლოს იყო შაპის თავშესაფარი კელატის ციხესიმაგრე („მთის ბუდე").

სამეურნეო რღვევის და ნადირ-შაპის იმპერიის ცალკეულ ნაწილებს შორის ეთნიკური კავშირის სისუსტის პირობებში, ეს იმპერია — ხმლის ძალით გაერთიანებული ტომებისა და ხალხების კონგლომერატი არ შეიძლებოდა რომ მყარი სახელმწიფო ყოფილიყო. ცენტრალურ ხელისუფლებას მისი ერთიანობის შენარჩუნება შეეძლო მხოლოდ ტერორისტული რეჟიმის დახმარებით. ამიტომაც, ნადირ-შაპის ცენტრალურ პოლიტიკაში არავითარი პროგრესული ტენდენციები არ იყო.

§33. სახალხო აჯანყებები ნადირის დროს

ნადირ-შაპის საგადასახადო პოლიტიკამ გლეხთა და მომთაბარეთა მთელი რიგი აჯანყება გამოიწვია როგორც დაპყრობილ ქვეყნებში, ისე საკუთრივ ირანში. ნადირ-შაპით უკმაყოფილო ფეოდალური არისტოკრატიის ნაწილი და მიიტი სასულიერო პირები ცდილობდნენ სახალხო უკმაყოფილების თავისი ინტერესებისათვის გამოყენებას, ემხრობოდნენ ამ აჯანყებებს და ცდილობდნენ მათი ხელმძღვანელობის ხელში ჩაგდებას. 1742 წ. იუეთქა უკმაყოფილებამ ხორეზმში და აჯანყებამ ბალხში; შირვანში მოხდა გლეხთა ორი აჯანყება (1740 და 1743 წწ), რომელთა სათავეშიც იდგნენ თვითმარქვიები, რომელნიც სეფიანი უფლისწულის საამ-მირზას სახელს ატარებდნენ. ნადირ-შაპის მოხელეები

სახალხო აჯანყების მონაწილეებს საშინელი სისასტიკით გაუსწორდნენ: შირვანში მეორე აჯანყების ჩაქრობის შემდეგ შაპს გაუგზავნეს 14 ბათმანი (დაახლოებით 42 კგ.) „მეამბოხეების“ დახსრილი თავები. აღმოსავლეთ საქართველოში აჯანყებას (1743 წ.) სათავეში ჩაუდგა გიეი ამილახვარი. 1743-1744 წწ-ში მთელი ფარსი მოიცვა მომთაბარეთა და გლეხთა გრანდიოზულმა აჯანყებამ, რომელსაც შეუერთდა ფარსის ბეგლარბეგი თაღი-ხანი და სათავეშიც ჩაუდგა მას.

1744 წ. ასტრაბადის რაიონში აჯანყდა ყიზილბაშური ყაჯარის ტომი, რომლის სათავეშიც იდგა ტომის მემკვიდრეობითი მბრძანებელი მუჰამედ ჰასან-ხან ყაჯარი, რომლის მამა ფათჰ ალი-ხანი, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ნადირმა მოაკვლევინა. 1726 წ. აჯანყებას შეუერთდა თურქმენული მომთაბარე იომუდის ტომი, აგრეთვე ასტრაბადისა და მაზანდარანის ოლქების გლეხები და მოქალაქეები. მომთაბარე ტომთა აჯანყების საშინელი სისასტიკით ჩაქრობის შემდეგ, მაზანდარანისა და ასტრაბადის გლეხობა კიდევ რამდენიმე თვეს იბრძოდა. ასტრაბადის მმართველმა შაპისაგან მიიღო ბრძანება აჯანყების ყველა მონაწილის სიკვდილით დასჯის შესახებ. მან უპასუხა, რომ ეს შეუძლებელია, რადგან მთელი ოლქის მოსახლეობა გახდება ამოსაწყვეტი. პანვეის ცნობით, მიუხედავად ასეთი პასუხისა, ასტრაბადის მმართველმა აჯანყების ზოგიერთი მონაწილე ცოცხლად დაწვა, ბევრი ჩამოასრჩო, ბევრი გლეხი დაუბრმავა, ხოლო მათი ცოლები მონებად დაურიგა ნადირ-შაპის მეომრებს.

1744 წელსვე ხოისა და სალამასის რეგიონებში მოხდა ქურთული მომთაბარე დუმბულის ტომის აჯანყება, რომელშიც მონაწილეობდა ტომობრივი არისტოკრატია და გლეხობა. მუჰამედ ქიაზემი აღიარებს, რომ დუმბულის ტომს აჯანყების გარდა, სხვა გზა არ ჰქონდა, რადგან მას არ შეეძლო მასზე დაკისრებული უზარმაზარი გადასახადის გადახდა. ეს აჯანყება გაჭირვებით ჩააქრეს.

ცოტა უფრო ადრე, 1743 წ. თურქეთის ტერიტორიაზე, ყარსის რეგიონში, ირანიდან ლტოლვილთა მიერ მომზადდა თვითმარქვიას გამოსვლა, რომელიც თავს ასაღებდა შაჰ სულთან ჰუსეინის ერთ-ერთ შვილად სეფი-მირზად. ეს თვითმარქვია სეფი-მირზა ღერეიში იყო, რომელიც 1730 წ. მეთაურობდა ქალაქის ღარიბების (ლუთ) აჯანყებას შუშტერში, ხოლო შემდეგ იმალებოდა თურ-

ქეთში. მის ბანაკში თავი მოიყარა ბევრმა გაქცეულმა გლეხმა, მომთაბარემ (ილიათ) და მომთაბარე ფეოდალებმაც კი თავისი ლაშქრით. ნადირ-შაჰმა მოასერხა ამ აჯანყების ჩაქრობა და თეიმურაზ II-ს შეპყრობა.

უეჭველია, რომ ყველა ამ აჯანყებაში აქტიურად მონაწილეობდნენ გლეხები, ქალაქის ღარიბები და მომთაბარეები. ამის თაობაზე ცნობებს გვაწვდიან წყაროები, კერძოდ მუჰამედ ქიაზემი.

ფართო მასშტაბისა იყო არაბი მომთაბარეების აჯანყება ბაჰრეინსა და მასკატში, რომლებიც ნადირის ჯარების მიერ დროებით იყო დაკავებული (1743-1744 წწ.).

1743-1746 წწ. შორის გლეხებისა და მომთაბარეების აჯანყებები იყო ხორასანში, ქერმანში, ბახთიარების ოლქში და ლურისტანში. ნადირ-შაჰმა ყველა ეს აჯანყება ჩააქრო. იმავე წლებში გლეხები მასობრივად გარბოდნენ ინდოეთში, ომბეგებთან, არაბულ ოლქებში და სხვ.

სასალხო მოძრაობებიდან ნადირ-შაჰმა სათანადო დასკვნა ვერ გააკეთა: მან ხელი არ აიღო თავის საგადასახადო პოლიტიკასა და ტერორისტულ რეჟიმზე, ამასობაში კი, სახალხო მოძრაობებთან სისხლიანმა ანგარიშსწორებამ კიდევ უფრო გააღრმავა ქვეყნის სამეურნეო ნგრევა და შეარყია ნადირ-შაჰის იმპერია.

როდესაც ცნობილი გახდა, რომ სისტანის ოლქმა უზარმაზარი თანხა 500000 თუმნის რაოდენობით უნდა გადაიხადოს, იქ სახალხო აჯანყებამ იფეთქა, რომელსაც ადგილობრივი ფეოდალებიც შეუერთდნენ (1747 წ.). ნადირ-შაჰმა აჯანყების ჩასაქრობად გააგზავნა თავისი ძმისშვილი ალიყული-მირზა ჯარით. ალი ყული-მირზა სისტანში მისელისთანავე დარწმუნდა, რომ ნადირის რეჟიმმა საერთო სიძულვილი გამოიწვია და რომ ამ გრანდიოზული აჯანყების ჩაქრობა ძალზე ძნელი იქნება. ამიტომ ალი ყული-მირზამ გადაწყვიტა ამ აჯანყების თავისი მიზნებისათვის გამოყენება: ნადირ-შაჰის გაწირვა და ტახტის შენარჩუნება თავისთვის და ავშართა დინასტიისათვის. ალი ყული-მირზა შეუერთდა აჯანყებულებს და თავი შაჰად გამოაცხადა.

§34. ფეოდალური შინაომები ირანში

ნადირ-შაჰის მიერ გატარებულმა ცენტრალიზაციის პოლიტიკამ მისდამი საყოველთაო სიძულვილი გამოიწვია. მას ჩამოსცილდა ფეოდალური არისტოკრატიის დიდი ნაწილი. მისი სიცოცხლის ხელყოფამ მაზანდარანის ტყეში ნადირობის დროს (1741 წ.), რის ორგანიზებაშიც მან ბრალი დასდო თავის შვილს რეზა-ყული მირზას, წარუმატებლობამ დაღესტანსა და თურქეთთან ომში და ყველაზე უფრო 1743-1747 წწ-ის დიდმა აჯანყებებმა, იგი ავადმყოფურად ეჭვიანი გახადა. მან არანორმალური, სადისტური სიმკაცრის ნიშნები გამოამჟღავნა და დაიწყო მასობრივად სიკვდილით დასჯა. იგი სიკვდილით სჯიდა ცნობილ სალსსაც კი, განსაკუთრებით — თავის რეზიდენციაში, მეშჰედში. ნადირის წინააღმდეგ დიდი შეთქმულება მომზადდა, რაშიც ავშარის ტომის სანებიც კი მონაწილეობდნენ. შეთქმულებმა იგი თავის კარაეში მოკლეს (1747 წ.).

მისი სიკვდილის შემდეგ ირანში ფეოდალურ დაჯგუფებებს შორის სელისუფლებისათვის შინაური ბრძოლა დაიწყო.

1747 წ. ხორასანში (მეშჰედში) ნადირ-შაჰის ძმისშვილი ალი ყული-მირზა ავშარი ადილ-შაჰის სახელით შაჰად გამოაცხადეს; მაგრამ 1748 წ. იგი ტასტიდან ჩამოაგდო და დაბრმავა თავისმა ძმამ იბრაჰიმმა, რომელიც მალევე მოკლეს; იგი შეცვალა ნადირის შვილიშვილმა შაპრუხმა, რომლის წინააღმდეგაც მომზადდა მეშჰედის შიიტური სამღვდელოების შეთქმულება; ამ უკანასკნელმა ტახტის თავისი პრეტენდენტი, სეფიანთა საგვარეულოს წარმომადგენელი ქალის ხაზით, მუჯდეჰიდი მირზა სეიდ მუჰამედი წამოაყენა. მუჰამედმა ტახტიდან ჩამოაგდო და დაბრმავა შაპრუხი და თავი გამოაცხადა შაჰად სულეიმან II-ის სახელით. მაგრამ, მალევე იგი ტახტიდან ჩამოაგდო და სიკვდილით დასჯა იუსუფ ალი-ხანმა, რომელმაც ბრმა შაპრუხი ნომინალურ შაჰად აღადგინა და ფაქტობრივად თვითონ დაიწყო მართვა მისი სახელით. შაპრუხს (1748-1796 წწ.) შაჰად სცნობდნენ მხოლოდ ხორასანში.

ავღანისტანში ფესი მოიკიდა აჰმედ-ხანმა აბდალის ტომიდან (დურანი), რომელმაც ავღანისტანი ცალკე სახელმწიფოდ გამოაცხადა, მიიღო შაჰის ტიტული, დაიკავა ჰერათი და სისტანი. ასტრაბადსა და მაზანდარანში განმტკიცდა ყაჯართა ტომის ბელადი მუჰამედ ქასან-ხანი, სამხრეთ აზერბაიჯანში — ნადირ-შაჰის

სარდალი აეღანელი აბაგ-ხანი. აზერბაიჯანის და სომხური სახანოები, აგრეთვე აღმოსაელეთი საქართველო ფაქტობრივად დამოუკიდებელი იყო.

სამხრეთ ირანში ძალაუფლება ხელში ჩაიგდეს ბახთიარების ტომის ბელადმა ალი მარდან-ხანმა და ირანული მომთაბარე ტომის (ლურების) ზენდების ბელადმა ქერიმ-ხანმა. მათ შუაზე გაიყვეს ქ. ისპაანი. ისინი მბრძანებლობდნენ მათ მიერ წამოყენებული უკანასკნელი სეფიანი შაპ ისმაილ III-ის სახელით. მალე ორივე მოკაეშირეს შორის დაიწყო ბრძოლა, რაც ალი მარდან ხანის დაღუპვით და ქერიმ-ხან ზენდის გამარჯვებით დამთავრდა, იგი იყო ზენდების დინასტიის დამაარსებელი, რომელმაც იარსება 1750-1794 წწ-ში.

შემდგომ, ირანში ბატონობისათვის ბრძოლა მიმდინარეობდა სამ ფეოდალურ დაჯგუფებას შორის, რომლებმაც ძალაუფლება ხელში ჩაიგდეს: ფარსში — ქერიმ ხანმა, ასტრაბადში — მუპამედ პასან-ხან ყაჯარმა და სამხრეთ აზერბაიჯანში — აბაგ-ხანმა. ეს ბრძოლა დამთაერდა ქერიმ-ხანის გადამწყვეტი გამარჯვებით (1758 წ.), მაგრამ ქერიმ-ხანმა მხოლოდ 1763 წ. მოახერხა თავის ხელში მთელი ირანის გაერთიანება (ხორასანს გარდა, სადაც ბრმა შაჰრუხ ავშარი იჯდა ტახტზე). აეღანისტანი, ჩრდ. აზერბაიჯანის და აღმოსაელეთ სომხეთის სახანოები, აგრეთვე აღმოსაელეთ საქართველოს სამეფოები (ქართლი, კახეთი) დამოუკიდებელნი იყენენ.

§35. ქერიმ-ხან ზენდის მმართველობა

ქერიმ-ხანმა ლურების ტომის საძოვრებთან სიახლოვის გამო დედაქალაქად აქცია შირაზი. მან თავიდან მოიცილა ისმაილ III, რომელიც უკვე აღარ სჭირდებოდა და ირანის მართვა დაიწყო თავისი სახელით, მაგრამ მას შაპის ტიტული არ მიუღია: იგი ვექილის (რეგენტის) ტიტულით დაკმაყოფილდა.

ქერიმ-ხანი, ბუიდების დინასტიის დამხობის შემდეგ (1055 წ.), პირველი იყო რომელიც მთელ ირანს მართავდა როგორც ირანელი და არა თურქი, ან მონღოლი. მან თავი გამოიჩინა როგორც ნიჭიერმა და ენერგიულმა მმართველმა. თვითონ ის წარმოშობით მომთაბარული არისტოკრატიიდან იყო, მაგრამ იგი ცდი-

ლობდა დაყრდნობოდა არამარტო მომთაბარეებს, არამედ ბინადარ ფეოდალებს და ვაჭრებს. ვაჭრებს, განსაკუთრებით კი, სომეს ვაჭრებს, მან მთელი რიგი პრივილეგიები მისცა. ქერიმ-ხანი ცდილობდა ხელოსნობის აღორძინებას: მის დროს დაარსდა მინის, ფაიანსის და სხვა დიდი სახელოსნოები. განსაკუთრებით გაითქვა სახელი შირაზის მინის ჭურჭელმა. იგი ფართო ექსპორტის საგანი იყო. შირაზში ნადირ-შაჰის მიერ ინდოეთიდან წამოყვანილი ხელოსნები დაასახლეს. რაიათებზე გაწერილი გადასახადები შეამცირეს. ქერიმ-ხანმა გამოსცა ფირმანი გლეხებზე ფეოდალთა თვითნებობის შეზღუდვის შესახებ. ფარსში და ირანის სამხრეთში ნაწილობრივ აღადგინეს საირიგაციო ქსელი. ეს ღონისძიებები საწარმოო ძალების აღდგენას ისახავდა მიზნად.

ქერიმ-ხანმა თაეის დედაქალაქ შირაზში ახალი ნაგებობები, ბაზარი, საკრებულო მეჩეთი, სასახლე ააშენა. ქერიმ-ხანი იყო გაუნათლებელი მომთაბარე, უწიგნურიც კი, მაგრამ მას ესმოდა განათლების მნიშვნელობა და თაეის ირგვლივ განათლებული ხალხი შემოიკრიბა. თაეისი პოპულარობის გაზრდის მიზნით, იგი ყოველდღიურად ორ-სამ საათს უთმობდა მომჩივანთა და მთხოვნელთა მიღებას. ქერიმ-ხანი მფარველობდა შიიტებს და შიიტურ სამღვდელოებას, მაგრამ ამავე დროს ატარებდა რჯულთშემწყნარებლობის პოლიტიკას. ქერიმ-ხანმა მთელი რიგი შეღავათები მისცა ინგლისურ „ოსტ-ინდოეთის კომპანიას“: ირანში შალის ქსოვილების შემოტანის განსაკუთრებული უფლება, საქონლის ექსპორტ-იმპორტზე ბაჟებისაგან გათავისუფლება, ბუშირში საეაჭრო ფაქტორიის დაარსების უფლება. ინგლისელ ვაჭრებს ამასთანავე წაუყენეს მოთხოვნები: ირანიდან არ უნდა გაეტანათ ოქრო და ეერცსლი, შემოტანილი ინგლისური საქონლის-უპირატესად ქსოეილების, ნაცელად უნდა შეესყიდათ ირანული საქონელი. XVIII ს-ის ბოლომდე ევროპული საქონლის იმპორტი დიდი არ იყო და ირანი ჯერ-ჯერობით არ იყო გადაქცეული რომელიმე ევროპული ქვეყნის ნასეერად კოლონიად ან დამოკიდებულ ქვეყნად. ირანის საგარეო ვაჭრობის აღორძინების მიზნით, ქერიმ-ხანმა თურქეთს წაართვა ბასრა – სპარსეთის ყურეში უმთავრესი პორტი (1775 წ.).

ინგლისელებმა ქერიმ-ხანის მიერ მათთვის წაყენებული მოთხოვნები თავისთვის არახელსაყრელად სცნეს და 1770

წელს თავისი საეჭვო ფაქტორია ბუშირიდან ბასრაში — თურქეთის ტერიტორიაზე გადაიტანეს. ისევისელ ვაჭრების წარმატებით უწევდნენ კონკურენციას ჰოლანდიელი ვაჭრები. მათ ხელთ იგდეს კუნძული კერაკი (ხარგი) სპარსეთის ყურეში, გაამაგრეს ის და აკონტროლებდნენ საზღვაო გზას ბასრიდან ბუშირში და ინდოეთში; ჰოლანდიელებმა ხარგში საეჭვო ფაქტორია დააარსეს და მარგალიტის ძიება დაიწყეს. მაგრამ, უკვე რამდენიმე წლის შემდეგ ეს კუნძული ხელთ იგდო მეკობრე მირ მუხანამ (1776 წ.).

§36. ახალი შინაური ბრძოლები ირანში. ყაჯართა დინასტიის დაარსება

ქერიმ-ხანის სიკვდილის შემდეგ (1779 წ.) ზენდების დინასტიის წევრებს შორის დაიწყო შინაური ბრძოლა. ქერიმ-ხანის შვილის აბუ-ლ ფათჰ ხანის მმართველობის დროს (1779-1782 წწ-ში იყო ნომინალურ ხელმწიფედ) ფაქტიურ ხელისუფლებას ერთმანეთს ეცილებოდნენ ქერიმ-ხანის ძმები და სარდლები საღიკ-ხანი და ზექი-ხანი, აგრეთვე მათი ძმისშვილი ალი მურად-ხანი თავიანთ მხარდამჭერ ფეოდალურ დაჯგუფებებთან ერთად. ხანგრძლივი ბრძოლის შემდეგ გაიმარჯვა ალი მურად-ხანმა (მბრძანებლობდა 1782-1785 წწ-ში), შემდეგ იგი დაამარცხა მისმა ბიძაშვილმა ჯაფარ-ხანმა (1785-1789 წწ-ში), მაგრამ მთელი რიგი ოლქების მმართველებმა იგი არა ცნეს; ირანის სახელმწიფო კვლავ დაიშალა.

ზენდების დინასტიის განსაკუთრებით ძლიერი მოწინააღმდეგე აღმოჩნდა საჭურისი აღა მუჰამედ-ხანი, ზემოხსენებული მუჰაშედ ჰასან-ხანის შვილი (თურქული მომთაბარული ყაჯართა ტომის ასტრაბადის შტოს ბელადის შვილი). ქერიმ-ხან ზენდთან ბრძოლაში მამის დაღუპვის შემდეგ, იგი როგორც მძევალი, ისე ცხოვრობდა შირაზში, ქერიმ-ხანის სასახლეში. ქერიმ-ხანის გარდაცვალების შემდეგ, იგი გაიქცა მშობლიურ მაზენდარანში და თავის ტომს ჩაუდგა სათავეში. პატივმოყვარე და ენერგიული, უკიდურესად გაბოროტებული და სადისტურად სასტიკი აღა მუჰამედ ხანი (1779-1797 წწ.) თავს გამოიჩენს როგორც ენერგიული პოლი-

ტიკოსი და ორგანიზატორი, მას წილად ხვდა ყაჯართა სამეფო ღინასტიის დაარსება.

ჯაფარ-ხან ზენდის დამარცხებისა და მისთვის ისპაანის წართმევის შემდეგ, აღა მუჰამედ-ხანმა მოხერხებული მოლაპარაკებებით თავის გარშემო შემოიკრიბა ჩრდილოეთი ირანის ხანები და მომთაბარული არისტოკრატია. თავის დედაქალაქად მან გამოაცხადა თეირანი (ძველი რეს ნანგრევებთან ახლომდებარე სოფელი), რომელიც ახლოს იყო მისი ტომის საძოვრებთან და უმნიშვნელოვანეს სავაჭრო-საქარავნო გზებთან. დამარცხებული ჯაფარ-ხან ზენდი შირაზში გაიქცა, სადაც შეთქმულების შედეგად დაიღუპა. ზენდების მმართველობის ცვლის საქმეში მნიშვნელოვან როლს ასრულებდა „მეფეების მკეთებელი", ქ. შირაზის ქალაქთარი პაჯი იბრაჰიმი (ადგილობრივი დიდებულებიდან), რომლის მცდელობითაც ტასტგზე დასვეს ჯაფარ-ხანის შვილი ახალგაზრდა ლუთფალი-ხანი (1789 წ.).

ირანის ფეოდალური არისტოკრატიის ორ აშკარად გამოკვეთილ დაჯგუფებას – ჩრდილოეთის – ყაჯარებით და სამხრეთის – ზენდებით სათავეში, შორის ბრძოლა ყაჯართა გამარჯვებით დამთავრდა. ჰაჯი იბრაჰიმმა, რომელიც ხელმძღვანელ როლს თამაშობდა ზენდების ფეოდალურ დაჯგუფებაში, უღალატა ლუტფალი-ხანს და შირაზი აღა მუჰამედ-ხანს გადასცა, რის გამოც იგი პირველი ვეზირის თანამდებობით დაჯილდოვეს. ლუტფ ალი ხანი ერთხანს ქერმანში იყო ფეხმოკიდებული, მაგრამ იგი ღალატის წყალობით ტყვედ ჩაუვარდა ხელთ აღა მუჰამედ-ხანს, რომელმაც იგი თავის ხელით დააბრმავა. აღა მუჰამედ-ხანი ქირმანის მცხოვრებლებს მისთვის ჩვეული სისასტიკით გაუსწორდა ლუტფ ალი-ხანისათვის მხარდაჭერის გამო: ახალგაზრდა ქირმანელი ქალები თავის მეომრებს დაურიგა მონებად, ხოლო ყველა მამაკაცის დაბრმავება ბრძანა: მეომრებმა მას 20000 დათხრილი თვალი მოუტანეს.

ირანში გაბატონებისათვის ბრძოლაში ჩრდილოეთის – ყაჯართა დაჯგუფების ფეოდალების გამარჯვება შემთხვევითი არ იყო. XVIII ს-ის განმავლობაში აშკარად გამოიკვეთა ირანის ჩრდილოეთი რეგიონების წამყვანი ეკონომიკური როლი: იქიდან გაპქონდათ ნედლი აბრეშუმი და ბამბა რუსეთში, მასზე გადიოდა საქარავნო გზები, რომლებიც რუსეთსა და თურქეთს აკავშირებდა

ირანთან და შუა აზიასთან, იქ იყო კასპიის ზღვის პორტები. ჩრდ. ირანის ეკონომიკისათვის ძალიან დიდი მნიშვნელობა პქონდა რუსეთთან სავაჭრო კავშირების გაფართოებას.

ირანის სამხრეთის ოლქებმა, მიუხედაეად ქერიმ-ხანის დიდი მცდელობისა, ვერ მიაღწია ავღანელთა შემოსევების წინაღროინ-დელ დონეს. სპარსეთის ყურის პორტებიდან საქონლის ექსპორტს იმ დროს უფრო ნაკლები მნიშვნელობა პქონდა, ვიდრე რუსეთთან ვაჭრობას; ამგვარად, ჩრდილოეთ ირანის ფეოდალები უფრო მდიდარი და ძლიერი იყვნენ სამხრეთისაზე; აქედან გამომდინარე, აღა მუპამედ-ხან ყაჯარი ზენდების ფეოდალურ დაჯგუფებასთნ ბრძოლაში ეყრდნობოდა გაცილებით დიდ მატერიალურ რესურ-სებს და მაშასადამე — დიდ სამხედრო ძალას. ყაჯართა დაჯგუფე-ბის გამარჯვებასთან ერთად, ირანის ტასტზე კვლავ თურქული დინასტია გაბატონდა.

აღა მუპამედ-ხანმა ცენტრალური ხელისუფლების გასამტკიცე-ბლად ზომები მიიღო: იგი სასტიკად გაუსწორდა ქურთისტანის, ფარსის, არაბისტანის და სხვ. დაუმორჩილებელ ხანებს და აღადგ-ინა შინაური ომებით დარღვეული სავაჭრო კავშირები; მან რაიათებზე ფაქტიურად ტერორისტული რეჟიმი დააწესა, მაგრამ გადასახადების მკვეთრად გაზრდა ვერ გაბედა. აღა მუპამედ-ხანმა დიდი მნიშვნელობა მიანიჭა ამიერკავკასიის ქვეყნების დაპყრო-ბას, რომელნიც ნადირ შაპის სიკვდილის შემდეგ ფაქტიურად და-მოუკიდებელნი იყვნენ. ეს ქვეყნები მას აინტერესებდა როგორც პოლიტიკური, ასევე სავაჭრო-ეკონომიკური თვალსაზრისითაც (როგორც ნედლეულის წყარო და ირანული ხელოსნური ნაწარმის გასაღების ბაზარი). აღა მუპამედ-ხანს აშინებდა ერეკლე II-ის პრორუსული ორიენტაცია; იგი ქართლ-კახეთის მეფეს აფრთხ-ილებდა გაეწყვიტა კავშირი რუსეთთან, მაგრამ უშედეგოდ: ერეკლე II-მ მტკიცედ გადაწყვიტა რუსეთის მფარველობაში ქართლ-კახეთის შესვლის საკითხი (1783 წლის გიორგიევსკის ტრაქტატი).

1795 წ. აღა მუპამედ-ხანმა აზერბაიჯანსა და არმენიაში ილაშქრა. მან ალყა შემოარტყა ქ. შუშას, მაგრამ ვერ აიღო იგი. 1795 წ. 11 სექტემბერს მან აიღო თბილისი, სასტიკად დაარბია და ააოხრა იგი, დაანგრია და ორიეე სქესის 22000 მშვიდობიანი მცხოვრები ტყვედ წაიყვანა. ეკატერინე II-ის მთავრობამ, რო-

მელიც ჩრდ. აზერბაიჯანის ხანებს და ქართლ-კახეთის მეფე ერეკლე II დასმარებას აპირდებოდა, არ შეასრულა დაპირება.

1796 წ. აღა მუჰამედ-სანმა თეირანში გვირგვინი დაიდგა თავზე და შაჰინ-შაპის ტიტული მიიღო. ამის შემდეგ, მან დაიპყრო ხორასანი, ბრმა შაჰრუხი შეიპყრო, აწამა და აიძულა მისთვის მიეცა დაფლული საგანძური. რუსეთის მთავრობამ დიდი დაგვიანებით გააგზავნა ამიერკავკასიაში რუსის ჯარი გენ. ვ. ზუბოვის სარდლობით 1796 წ., მაგრამ ეკატერინე II-ის გარდაცვალებისა და პაველ I-ის ტახტზე ასვლის შემდეგ, ჯარი უკან გაიწვიეს რუსეთში. პაველ I-მა ამიერკავკასიასთან დაკავშირებით აქტიურ პოლიტიკაზე ხელი აიღო. ამის გამო, აღა მუჰამედ-სანი კიდევ ერთხელ დაუბრკოლებლად შემოიჭრა ამიერკავკასიაში; ამჯერად დაიკავა ქალაქი შუმა, რომელიც მას ზურგს უმაგრებდა. მან სიკვდილით დასაჯა ათასობით თავისი მოჩვენებითი და ნამდვილი მტრები: ზოგი ძელზე გასვა, ზოგი გალიაში ეუფხეებს შეუგდო შესაჭმელად ა.შ. აქ იგი მოკლეს 1797 წლის მაისში შეთქმულებმა, რომელთა შორის მისი კარის დიდებულები და ხანებიც იყვნენ (არის ვერსია, რომ მკვლელთა შორის იყო ვინმე მცხეთელი ანდრია — ქართველი). შეთქმულებმა მისი სიმდიდრე გადაიტანეს და გაიქცნენ. მისმა ჯარმა უკან დაიხია ირანში, სადაც აღა მაჰმად-სანის ძმისშვილი ბაბა ხანი შაპად გამოაცხადეს ფათჰალი-სანის სახელით (ტახტზე იჯდა 1797-1834 წწ.). ირანში ხანგრძლივად გაბატონდა ყაჯართა დინასტია (1796-1925 წწ).

§37. ირანის კულტურული ცხოვრება XVI–XVIII სს-ში

ამ პერიოდის ირანის კულტურული ცხოვრებაში თანდათანობით ქრებოდა ის შემოქმედებითი აღმაველობა, რაც დამახასიათებელი იყო ირანის კულტურისათვის X-XV სს-ში. ამ მოვლენის მიზეზები სათანადო სისრულით ჯერ კიდევ არაა შესწავლილი. უეჭველია, რომ სეფიანთა დროს ფანატიკური შიიტი სამღვდელოების მხრიდან დევნამ, აგრეთვე შუა აზიასთან და აღმოსავლეთის სხვა სუნიტურ ქვეყნებთან კულტურული კავშირის გაწყვეტამ, უკვე XVI-XVII სს-ში ქვეყნის ინტელექტუალურ ცხოვრებაზე უარყ-

ოფიი ზეგაელენა მოახდინა, ხოლო XVIIIს-ში ქვეყნის კულტურული ჩამორჩენილობა გარდუვალი შედეგი იყო თითქმის განუწყვეტელი ომებისა და შინაური ბრძოლებისა, აგრეთვე ქვეყნის ეკონომიკურად დაღმასვლისა. მაგრამ კულტურის ყველა სფეროში დაცემა ერთდროულად და ერთბაშად არ გამოვლენილა; ამ პერიოდში კულტურის ზოგიერთი დარგი აღორძინდა და გაიფურჩქნა კიდეც; მხოლოდ XVIII ს-ის ბოლოსათვის კულტურის დაცემა მეტნაკლებად საყოველთაო მოვლენა გახდა.

XVI-XVII სს-ის სპარსული არქიტექტურა ჯერ კიდევ წარმოდგენილია მაღალმხატვრული ძეგლებით. XVI საუკუნისაა სეფიანთა მეჩეთი არდებილში შეიხ სეფი ად-დინის, სხვა შეიხების და ამ საგვარეულოს შაჰების მაუზოლეუმებით. ამ პერიოდში ისპაანი იქცა შესანიშნავი ხელოვნების ქალაქად. XVI ს-ში აშენდა მაუზოლეუმი ჰარუნ ვილაიეთი მოზაიკით, მეჩეთი მასჯიდ-ი ალი ორიგინალური კონსტრუქციის გუმბათით და სხვ ნაგებობანი.

შაჰ აბას I-ის დროს ისპაანი, როგორც უკვე გვქონდა აღნიშნული, ირანის დედაქალაქად და უზარმაზარ ქალაქად იქცა. მასში ნახევარ მილიონზე მეტი მცხოვრები იყო. ქალაქი ხელახლად დაიგეგმა. ფართო, სწორი ქუჩების ჩაყოლებაზე დიდებული შენობები იდგა, ხოლო ქალაქის განაპირას — პარკები. ქალაქის შუაგულში გააკეთეს სწორკუთხოვანი ფორმის ახალი მოედანი — „მაიდან-ი შაჰ“ (500 მ. სიგრძე, 160 მ. სიგანე). მოედანს გარს ერტყა კედლით ამოშენებული შავი თაბაშირით (აჰაყ-სიიაჰ) მოპირკეთებული არხები. მოედნის შუაგულში აღმართული იყო ანძა თავზე სანიშნოთი და ორი მარმარილოს ბოძი, რითაც აღნიშნული იყო მინდვრის საზღვარი პოლოს თამაშის დროს (სპ. ჩოუგან — ცხენბურთი). სამხრეთიდან მოედანს ეკვრის მასჯიდ-ი შაჰ („შაპის მეჩეთი“. დამთავრებული (1616 წ.) — ოთხი პორტალით, ორიარუსიანი შეისრული თაღებით შემოზღუდული ეზოთი. მეჩეთის ცენტრალურ შენობას აქვს პორტალი შეისრული ნიშით, ორი მინარეთით და მაღალი გუმბათით. მეჩეთის მთელი შენობა მოპირკეთებულია სხვადასხვა ფერის მოჭიქული ფილებით. შაჰ სეფის დროს მეჩეთს შეაბეს ვერცხლის კარი და არდასტანის მარმარილოთი მოაპირკეთეს. „შაპის მეჩეთი“ მსოფლიოს არქიტექტურული ხელოვნების ერთ-ერთი საუკეთესო ძეგლია. „შაპის მეჩეთის“ პირდაპირ „შაპის მოედანს“ ეკვროდა „სამეფო ბაზრის“ („კაისარიე“) შენობა ფაიანსის

პორტალით და გუმბათით; აქ პყიდნენ საუკეთესო ქსოვილებს. იმაკე მოედანზე, ალა-კაპუს პორტალით გამოდიოდა შაპის დიდი სასახლე. შაპის მოედანზე არის აგრეთვე სადრის მეჩეთი (ამჟამად იკი ცნობილია შეის ლუთფულლაპის მეჩეთის სახელით) მაღალმხატვრული დეკორირებით, ფიანსის მოზაიკით და ისპაანში ყველაზე ლამაზი გუმბათით (1602 წ. აშენებული). შაპ აბას II-ის დროს შაპის მოედანზე ააშენეს პავილიონი კურანტებით, რომელიც ყოველ საათში რეკავდა. „შაპის მოედანი" მთლიანობაში წარმოადგენდა მსოფლიოს ერთ-ერთ საუკეთესო არქიტექტურულ ანსამბლს, რომელიც ვერსალის ცნობილ ანსამბლზე საუკუნენახევრით ადრე აშენდა. იტალიელი მოგზაური პიეტრო დელლა ვალე, რომელიც აღტაცებული იყო შაპის მოედნის არქიტექტურული ანსამბლით, რომში ნავონას განთქმული არქიტექტურულ ანსამბლთან შედარებთი მას უპირატესობას ანიჭებდა.

შაპ აბას I-ის დროინდელი ისპაანის ერთ-ერთ საუკეთესო ძეგლად ითვლება მას-უდბეგის მეჩეთი. შაპ აბას I-ის დროსვე ჩატარდა სამუშაოები ისპაანის ძველი კათედრალური მეჩეთის („მასჯედ-ი ჯუმა") რესტავრაციისა და დეკორირებისათვის. შაპ აბას I-ის დროს აშენდა აგრეთვე დიდი ხიდი მდ. ზაიენდე-რუდზე, რომელიც ამშენებლის, ცნობილი მხედართმთავრის ალავერდი — ხანის (უნდილაძე) სიდის სახელით არის ცნობილი. ეს ხიდი 33 მალიანია, 300 მეტრის სიგრძის და 14 მეტრამდე სიგანის. იმავე შაპის დროს გაშენდა ისპაანის გარეუბანი „ახალი ჯულფა" („ჯულფ-ე ნოუ" — სპარს., „ნორ ჯუღა" — სომხ.) სომხური ვაჭრულ-ხელოსნური მოსახლეობით, რომლებიც ძალით გადმოასახლეს არაქსზე მდებარე სომხური ქალაქიდან — ძველი ჯულფიდან. ახალ ჯულფაში საყურადღებო არქიტექტურული ძეგლია სომხური კათედრალური ტაძარი — ცენტრალურ გუმბათიანი, სომხურ-სპარსული შერეული სტილით ნაგები შენობა. იმავე შაპის დროსვე ისპაანის გარეუბანში აშენდა შეიხ ბაბა რუქნ-ად დინის მავზოლეუმი — ხუთკუთხიანი ნაგებობა; მრავალწახნაგა პირამიდისებური გუმბათით, რომელიც საერთო ფირუზისფერ ფონზე მოპირკეთებული იყო ლურჯი, თეთრი და შავი ფერის ფაიანსის ფილებით; შაპ აბას I-ის დროსვე აშენდა ქალაქგარეთა სასახლეები ჩაპარ-ბაღისა და ჰაზარ ჯერიბის პარკებში პავილიონებითა და შადრევნებით.

შაპ აბას I-ის მემკვიდრეების დროს აგებული ისპაანის ძეგლებიდან აღსანიშნავია XVII ს-ის II ნახევარში აგებული მაყბოლეუმების ჯგუფი „დარბი იმამი“ და შაპ სულთან ჰუსეინის მიერ თაეისი დედის პატივსაცემად აგებული მედრესე „მადარ-ე შაპი“ („შაპის დედა“). დამთავრდა 1714 წ. მაღალი პორტალით და დიდებული გუმბათით. თაეისი დახვეწილი პროპორციებით და ფაიანსის ორნამენტის სილამაზით ეს მედრესე სპარსული არქიტექტურის საუკეთესო ნიმუში იყო. ისპაანის არც ერთ ძეგლს არ გამოუწვევია ევროპელი მოგზაურების ისეთი აღტაცება, როგორც ამ მედრესეს. XIX ს-ის ფრანგი მწერალი ჟ. პოტი წერდა, რომ ამ ძეგლისათვის დამახასიათებელია „ორნამენტების სირთულე დეტალებში. საბოლოო ჯამში სისადავისა და სიმშვიდის შთაბეჭდილება იქმნება: ასეთია აქ, ისევე როგორც ყველგან, სპარსული ხელოვნების უმარმამარი საიდუმლოება“.

შაპ აბას I-ის დროის სააღმშენებლო ძეგლებს მორის ისპაანს გარეთ — მაზანდარანსა, ფაროპაბადსა და ამრაფში გამოირჩევა სასახლეები და კასპიის ზღვის სანაპიროს გაყოლებაზე დიდი, 270 კმ. სიგრძის, ქვის დიდი ფილებთი მოგებული შარაგზა.

XVIII ს-ის მეორე ნახევარში ქერიმ-ხან ზენდმა შირაზში ააშენა სასახლე, მეჩეთი, ბაზარი, მაყბოლეუმები პოეტების სა'ადისა და ჰაფეზის საფლავებზე და მაყბოლეუმი ისპაანში. ეს ნაგებობები ისეთი სრულყოფილი არაა, როგორიც XVII საუკუნისა და XVIII საუკუნის დასაწყისის ძეგლები. XVIII ს-ის ბოლოსათვის სპარსული არქიტექტურის დაცემა უკვე აშკარა იყო.

მინიატურის ხელოვნებამ ირანში ახალ აყვავებას მიაღწია XVI ს-ში და XVII ს-ის პირველ მეოთხედში. XVI ს-ში არსებობას აგრძელებდა XV ს-ში ჩამოყალიბებული მინიატურის სკოლა. რომელიც დიდი ბეჰზადის ტრადიციების ერთგული იყო; თვითონ ბეჰზადი, სეფიანთა სახელმწიფოს წარმოშობის შემდეგ, გადაეცა მას დედაქალაქ თავრიზში, სადაც იგი შაპ ისმაილ I დააყენა ახლად ჩამოყალიბებული სამხატვრო აკადემიის სათავეში. ბეჰზადი სასახლის კარის მხატვრად დარჩა შაპ ისმაილ I-ისა და შაპ თამაზ I-ის დროს, სიკვდილამდე (1533 ან 1536 წწ). ბეჰზადის და მისმა ნაჭირვეულ მოწაფემ აღა მირეკიმ საფუძველი ჩაუყარეს თავრიზის მხატვრულ სკოლას. აღა მირეკიმ, სხვათა შორის, მინიატურებით დააბურავა XII ს-ის დიდი პოეტის ნიზამის თხზულებების ხელნაწერება (ინბაბა

ბრიტანეთის მუზეუმში). აღა მირეკის საუკეთესო მინიატურა „მუკამელის ამაღლება“ – ესაა სპარსული მინიატურის საუკეთესო ნიმუში. მასში განსაკუთრებით კარგია ფერთა შეხამება: ღია ლურჯი ცა, ოქროსფერი ნიადაგი, მუქი ვერცლისფერი ნაკადულები; იმ დროს, როდესაც ბეჰზადისთან იშვიათად გვხვდება ქალის ფიგურები, აღა მირეკისთან ქალთა სახეებს დიდი ადგილი უკავია.

მინიატურის თავრიზის სკოლის გამოჩენილი ოსტატი იყო ბეჰზადისა და აღა მირეკის მოწაფე სულთან მუკამედი. მან მოსაწილეობა მიიღო „შაჰ-ნამეს“ ძვირფასი ხელნაწერის (1537 წ.) მინიატურებით დასურათებაში (სულ 256 მინიატურა ინახება პეტერბურგის საჯარო ბიბლიოთეკაში). სულთან მუკამედის მინიატურები სიცოცხლითაა სავსე. წმინდა ირანული იერსახის ოსტატს განსაკუთრებით უყვარდა აყვავებული ხეების ქვეშ მსხდომი ჭაბუკების გამოსახვა. ჭაბუკები გამოსახულნი არიან განზე გაშიდული თვალებით, მორკალური წარბებით და სასეზე რბილი ღიმილით, ეიწრო, ელეგანტურ ტანსაცმელში. სულთან მუკამედი ირანული არისტოკრატიის ბედნიერი, უბრუნველი ცხოვრების მხატვარია.

სულთან მუკამედის მოწაფე ოსტატი მუკამადი (XVI ს-ის II ნახევარი), თავისი მასწავლებლისაგან განსხვავებით, ძირითადად ხალხის ცხოვრებიდან აღებულ სიუჟეტებს ხატავდა: გლეხი, რომელიც ხარებით ხნავდა მინდორს, მწყემსი ძაღლით და სხვ. მუკამადის მინიატურებზე ფიგურები, სახეები, ბუნება და სხვ. გამოირჩეოა ცხოვრების რეალისტური ასახვით. თავრიზის სკოლის სხვა მხატვრებს შორის გამოირჩევა მხატვარი ქალი ბიბიჯე მერვიდან. თავრიზის სკოლის მხატვრები არ იფარგლებოდნენ მინიატურით: ისინი წიგნების ლაქით დაფარული ყდების მომხატველებიც იყვნენ; ამავე დროს აკეთებდნენ ესკიზებს ხალიჩებისათვის.

ბეჰზადის მოწაფემ, უსტად მაჰმუდმა (XVI ს-ის პირველი ნახევარი) საფუძველი ჩაუყარა მხატვართა ბუხარის სკოლას, სადაც მანამდე არ იყო მყარი მხატვრული ტრადიცია.

XVII ს-ის დასაწყისში შაჰ აბას I-მა ისპაანში დააარსა სამხატვრო აკადემია, რომლის ბაზაზეც ჩამოყალიბდა ისპაანელი მხატვრების სკოლა. შაჰ აბას I-მა, ირანის ისტორიაში პირველად დაიწყო რომში მოსწავლე-სტიპენდიანტების გაგზავნა იტალიური მხატვრობის შესასწავლად (ამასვე აკეთებდნენ შემდეგ მისი მემკვიდრეებიც). ამ სტიპენდიანტებს შორის განსაკუთრებით ცნო-

ბილი იყო მუჰამედ ზამანი, რომელიც XVII ს-ის 40-იან წლებში რომში სწავლობდა და იქ ფარულად მიიღო ქრისტიანობა. იგი ირანში დაბრუნდა შაჰ აბას II-ის კარზე, მაგრამ მალე გადავიდა ინდოეთში, მუშაობდა „დიდი მოგოლის“ შაჰ ჯეჰანის და სხვა ინდო-მუსლიმი ხელმწიფეების კარზე. 1675 წ. მუჰამედ ზამანი ირანში დაბრუნდა. მან მინიატურებით დაასურათა „შაჰ-ნამე“ და ნიზამის პოემები; გარდა ამისა, იტალიელი მხატვრების სურათების რამდენიმე ასლი გადაიღო და ლათინურიდან სპარსულად თარგმნა თხზულებები.

„ფრანგული“ (არსებითად იტალიური) სამხატვრო სკოლის გავლენა ისპაანის სკოლის მხატვრებზე აისახა არა მარტო მათ მხატვრულ ხერსებში, არამედ სპარსული მხატვრობისათვის მანამდე უცხო სიუჟეტებშიც; მაგ., „ბრმები“, „ქრისტეს დატირება“ და სხვ.

ისპაანის სკოლის უდიდესი მხატვარი იყო რიზა აბასი — უფროსი: მინიატურისტი და კალიგრაფი. მისი მინიატურებისათვის დამახასიათებელია ხაზების სიმშუნტე და ფერების განსაკუთრებული კომბინაცია — მოწითალო და ცისფერის შესამება. რიზა აბასის ზოგიერთი მინიატურა დასავლეთ ევროპაში XVII ს-ის 30-იან წწ-ში უკვე ცნობილი იყო და ხდებოდა მათი რეპროდუქცირება. მისი თანამედროვე იყო მოჰამედ რიზა თავრიზიღან (გარდ. 1627 წ.), რომელიც ისპაანში და კონსტანტინოპოლში მუშაობდა. ამავე სკოლის მნიშვნელოვანი მხატვარი იყო აგრეთვე მუ'ინ მუსსაგირი, რომელმაც, სხვათა შორის, რეზა აბასის პორტრეტი დახატა. ისპაანის სკოლისათვის დამახასიათებელია პორტრეტული მინიატურები — განსაკუთრებით, ლამაზი ჭაბუკებისა და ახალგაზრდა ქალების პორტრეტები — ეფემერულ პოზებში და ბრწყინვალე თავსაბურავებში (კერძოდ, ჭაბუკები მაღალ ჩალმებში) და კოსტიუმებში, რომლებიც „ფრანგული“ კოსტიუმების მიბაძვით იყო დახატული.

XVII ს-ის ბოლოდან აღინიშნება სპარსული მინიატურის ხელოვნების ძლიერი დაცემა, თუმცა მისი მხატვრული ტრადიციები XVIII-XIX სს-ში შემოინახა, მაგრამ მინიატურისტები მონურად ბაძავდნენ წინა საუკუნეების ღიღოსტატებს, არ ქმნიდნენ არაფერ ახალს.

კალიგრაფიის ხელოვნება XVI-XVII სს ირანში ჯერ კიდევ მაღალ დონეზე იყო. შაჰ ისმაილ I-ის კარის კალიგრაფის მაჰმუდ ნიშაბურიღან დაწყებული ცნობილია კალიგრაფიის მთელი რიგი

ოსტატის სახელი. XVI ს-ის ბოლოს ყადი აპმედ იბნ მირ მუსში ალ-ჰუსეინმა კალიგრაფების და მხატვრების შესახებ სპეციალური ტრაქტატი დაწერა. იმავე საუკუნეში განთქმული იყო ხელნაწერის გაფორმების ხელოვნება: ოქროს მტვრით (აფშან) ფონის დაფარვა, ორნამენტირება, ტყავის ყდაში ჩასმა და სხვ. XVIII ს-ში ხელოვნების ეს დარგიც დაეცა.

XVII ს-ში კედლების მოპირკეთება ფაიანსის მოზაიკის ფილებით ჯერ კიდევ მაღალ დონეზე იყო. შესანიშნავია „ჩეჰელ სოთუნის“ პავილიონის მოპირკეთება: სცენები შეყვარებული ჭაბუკებით და ქალიშვილებით; კვიპაროსებსა და ბუჩქებში გამოსახული ფიგურებით. XVIII ს-ში ხელოვნების ეს დარგიც დაკნინდა.

XVI-XVII სს-ში მაღალ დონეზე იყო ხალიჩების ქსოვის ხელოვნება. ამ პერიოდის სპარსული ხალიჩები შეიძლება ორ ჯგუფად დავყოთ: კარის ხელოსნების ნაწარმი და სალხური შემოქმედება (ნაწილობრივ მომთაბარეთა ხელოვნება). აღსანიშნავია უბარმაზარი ხალიჩა, რომელიც შესრულებულია ოსტატ მა'სუდ ქაშანის მიერ არდებილის სეფიანთა მეჩეთისათვის (ყურადღებას იპყრობს სხვადასხვა ფერის მდიდრული მცენარეული ორნამენტი ცისფერ ფონზე). ცნობილია სპარსული ხალიჩების რამდენიმე ჯგუფი სტილიზებული ცხოველური და მცენარეული ორნამენტით. XVI-XVII სს სამხრეთ ირანული ხალიჩები განიცდიან ინდურ გაელენას; ამ პერიოდის სპარსული ხალიჩებისათვის უცხო არ არის ჩინურის გავლენაც.

XVI-XVII სს სპარსული მოსატული ქსოვილები გამოირჩეოდნენ ნახატის მაღალი ხელოვნებითა და ფერთა სიმდიდრით. ამ ქსოვილებში იგრძნობა თავრიზის და ისპაანის მინიატურის სკოლის ძლიერი გავლენა. გამოყენებითი ხელოვნების ეს დარგიც XVIII ს-ში დაქვეითდა.

თუ ხელოვნების ზემოთჩამოთვლილ დარგებში დაცემა დაიწყო XVII ს-ის ბოლოდან ან XVIII ს-ში, მხატვრული ლიტერატურის სფეროში ეს პროცესი შეინიშნება XVI ს-ის დასაწყისიდან — მალევე უკანასკნელი დიდი სპარსელი პოეტის ჯამის სიკვდილის შემდეგ. მართალია, წინა ეპოქის პოეტების მიერ შემუშავებული მხატვრული ტრადიციები და სრულყოფილი ლექსის ფორმა XVI-XVIII სს-ში შემორჩენილი იყო, მაგრამ ეს ფორმა გაიყინა და თვითმიზნად გადაიქცა: ხელოვნურობასა და ფორმის ღელარ-

ჭნილობის განეითარებას ითან სდეედა შინაარსის უკიდურესი გაღარიბება და ორიგინალურობის დაკარგვა. ახალი იდეები და სიუჟეტები აღარ არის. პოეტები ახლენილ სუფიური პოეზიის სახეებისა და ალეგორიების გადამღერებას, ბაძავდნენ XI-XV სს ძველ ოსტატებს, სესხულობდნენ მათგან სიუჟეტებს, ან თხზავდნენ ჭრძელ ჰიმნებს შიიტური იმამების სადიდებლად.

XVI-ის პოეტებიდან განსაკუთრებით ცნობილი არიან: ხატიფი (გარდ. 1521 წ.) — ავტორი პოემისა თემურის შესახებ — „შაჰ-ნამეს" მიბაძვაა; ხალილი ასტრაბადი (გარდ. 1532) — ავტორი პოემისა „შაპ ო გადა" („მეფე და მათხოვარი") — ვარიაციები ძველ სუფიურ თემაზე; ყასიმი (გარდ. 1572 წ. შემდეგ) — ავტორი პოემებისა, რომელთა სიუჟეტები ბევრი ადრინდელი პოეტის მიერ არის დამუშავებული: „ლეილა და მეჯნუნი" და სხვ. აგრეთვე პოემები შაპ ისმაილ I-ის შესახებ: „შაპ ნამეი შაპ ისმაილ"; ზულალი (გარდ. 1616 წ.) — ავტორი შეიდი პოემისა საერთო სათაურით „საბ'საი'იარე" („შვიდი პლანეტა"), რომელთაგან საუკეთესოა მემვიდე — „სულთან მაპმუდი (ღაზნევი) და აიაზი"; შეიხი ბეპა ადდინ ბეჰაი ამილი (გარდ. 1621 წ.) — ცნობილია სუფიურ-დიდაქტიკური მოთხრობების კრებულით „ქეშკული". (ქეშკული — ესაა ქოქოსის კაკლისაგან გაკეთებული ფინჯანი, რასაც სპარსელი დერვიშები მოწყალების შესაგროვებლად იყენებდნენ). სა'იბ ისპაანი — ბევრი ღაზელის ავტორი, უმეტესად მიმბაძველობითი ხასიათისაა, დაუმსასურებლად იწოდებოდა თავისი ეპოქის პაფეზად.

სპარსულმა პოეზიამ XVI ს-ში ინდოეთში ჰპოვა თავშესაფარი. იქ მოღვაწეობდნენ თვალსაჩინო სპარსელი პოეტები ურფი — წარმოშობით შირაზიდან (გარდ. 1591 წ.) და ფეიზი (გარდ. 1595 წ.). XVIII ს-ის ირანში კი სპარსული პოეზია სავსებით დაეცა.

სპარსულმა ისტორიოგრაფიამ XVIII ს-ის შუა ხანებამდე მოგვცა მთელი რიგი ფასეული ნაშრომი, თუმცა ეს ნაშრომები მეტწილად უგემოვნო ხატოვანი სტილით იყო დაწერილი. XVIII ს-ის მეორე ნახევრიდან ამ სფეროშიც შეინიშნება დაქვეითება.

ზუსტი მეცნიერების სფეროში (მათემატიკა, ასტრონომია, მედიცინა) უკვე XVI ს-დან არაფერი ახალი არ შექმნილა. ერთადერთი ფაქტი, რაც ამ სფეროში ყურადღებას იმსახურებს, იყო ჯერ კიდევ ყაზან-ყაენის დრო მარაღაში აშენებული ობსერვატორიის აღდგენის ცდა შაპ ისმაილ I-ის დროს. შემდეგ, რელიგი-

ური რეაქციის მხრიდან დაწოლის შედეგად ზუსტი მეცნიერების სფეროში შემორჩენილი წინა საუკუნეების მემკვიდრეობა XVIII ს-ში თითქმის გაქრა. იგი შეცვალა ოფიციალური შიიტური ღვთისმეტყველების სქოლასტურმა ლიტერატურამ. რა თქმა უნდა, ასეთ ვითარებაში სპარსულ საერო ფილოსოფიას არ შეეძლო განვითარება. იგი იდევნებოდა შიიტური სამღვდელოების მიერ და მოსასპობად იყო განწირული, მაგრამ სანამ მოისპობოდა, მიუხედავად არახელსაყრელი პირობებისა, მაინც გაიელვა ფილოსოფოს შირაზის სახით (გარდ. 1641 წ.). ღრმა და ორიგინალური მოაზროვნე სადრი ისლამის დაარსებული წყობილების წინააღმდეგ მიმართული თავის რადიკალურ თვალსაზრისს ძნელადგასაგები ენით და ალეგორიულად გადმოგვცემდა. სადრის დიდი ნაშრომი „ალასფარ ალ-არბა'ა" („ოთხი წიგნი") არაბულადაა დაწერილი. მან შემდგომში ადრინდელი ბაბიდების მოძღვრებაზე მოახდინა გავლენა. სადრის მოწაფე აბდ არ-რეზზაყ ლაპიჯი თავისი მასწავლებლის პოპულარიზაციას ეწეოდა, მაგრამ დევნის თავიდან აცილების მიზნით, ცდილობდა მისი მოძღვრების შეგუებას შიიტურ ისლამთან.

პერიოდის შედეგები

ირანი – ოდესღაც ეკონომიკურად და კულტურის თვალსაზრისითაც მაღალგანვითარებული ქვეყანა, რომელიც IX-XII სს-ში ბევრად მაღლა იდგა ევროპის ქვეყნებზე – XVIII ს-ის ბოლოს ჩამორჩენილ ქვეყნად გადაიქცა და უკვე არანაირი თვალსაზრისით აღარ შეიძლებოდა მისი შედარება ევროპულ სახელმწიფოებთან, რომლებშიც კაპიტალისტურმა ურთიერთობამ ან უკვე გაიმარჯვა (ინგლისი, პოლანდია, საფრანგეთი...), ანდა ვითარდებოდა როგორც წყობა (რუსეთი). ირანის ამ სისუსტემ ის გამოიწვია, რომ XVIII ს-ის ბოლოსათვის ევროპულმა სახელმწიფოებმა ირანზე ეკონომიკური და პოლიტიკური დაწოლა გააძლიერეს (განსაკუთრებით ინგლისმა – მწარმოებლური კაპიტალიზმის ქვეყანამ). XIX ს-ის განმავლობაში ირანი თანდათანობით გადაიქცა დამოკიდებულ ქვეყნად, ხოლო შემდეგ კი ევროპის კაპიტალისტური სახელმწიფოების სახევრად კოლონიად.

ლიტერატურა

შესავალი

1. Бартольд В.В., К истории крестьянских движений в Персии. Академик В.В. Бартольд. Сочинения, VII, М., 1971
2. Бартольд В.В., К вопросу о феодализме в Иране. Академик В.В. Бартольд. Сочинения, VII, М., 1971
3. Заходер Б.Н., Иран при Сасанидах, Исторический журнал, № 12, 1938
4. Пигулевская Н.В., Проблема распада рабовладельческого общества и формирования феодальных отношений на Ближнем Востоке. "Вопросы истории", № 6, 1953
5. ვ. გაბაშვილი, ფეოდალიზმის გენეზისის პრობლემა, ნარკვევები მახლობელი აღმოსავლეთის ისტორიიდან, თბ., 1957
6. ვ. გაბაშვილი, აღმოსაელური ფეოდალიზმის გენეზისის პრობლემა, მახლობელი აღმოსავლეთის ისტორიის საკითხები, თბ., 1963
7. ვ. გაბაშვილი, ქართული ფეოდალური წყობილება XVI-XVII საუკუნეებში, თბ., 1958
8. ვ. გაბაშვილი, შუა საუკუნეების ახლოაღმოსაელური ქალაქი (პერიოდიზაციის ცდა), ნარკვევები მახლობელი აღმოსაელეთის ქალაქების ისტორიიდან, II, თბ., 1970
9. ვ. გაბაშვილი, შუა საუკუნეების ასლოაღმოსაელური კულტურა (პერიოდიზაციის ცდა), აღმოსაელური კრებული, თბ., 1980

თავი I-II

1. История Ирана, ред. проф. М. С. Иванов, Москва, 1977
2. История стран зарубежной Азии в средние века, Москва, 1970
3. Луконин В. Г., Культура Сасанидского Ирана, Москва, 1969
4. Луконин В. Г., Иран в III веке, Москва, 1979
5. Луконин В. Г., Древний и раннесредневековый Иран, Москва, 1987
6. Пигулевская Н. В., Города Ирана в раннем средневековье, Москва-Ленинград, 1956
7. Пигулевская Н. В., Византия на путях в Индию, Москва-Ленинград, 1951
8. Пигулевская Н. В., Арабы у границ Византии и Ирана в IV-VI вв., Москва-Ленинград, 1964
9. Пигулевская Н. В., Византия и Иран на рубеже VI-VII веков. Труды Института востоковедения, 1946, XLVI

10. Пигулевская Н. В., Якубовский А. Ю., Петрушевский И. П., Строева Л. В., Беленицкий А. М., История Ирана с древнейших времен до конца 18 века, Ленинград, 1958

11. ვ. გაბაშვილი, სასანური ირანის სახელმწიფო, ნარკვევები მასლობელი აღმოსაელეთის ისტორიიდან, თბ., 1957

12. ვ. გოილაძე, ვახტანგ გორგასალი და მისი ისტორიკოსი, თბ., 1991

13. ს. კაკაბაძე, ვახტანგ გორგასალი, თბ., 1959

14. საქართველოს ისტორიის ნარკვევები, II, თბ., 1973

15. არდაშირ პაპაკის ძის საქმეთა წიგნი, ფალაურიდან თარგმნა, გამოკელევა და ლექსიკონი დაურთო თეო ჩხეიძემ, „მეცნიერება", თბ., 1975

16. თ. ჩხეიძე, აღმრდის ინსტიტუტი სასანურ ირანში, თბ., 1979

17. ივ. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, წიგნი I, თხზულებანი 12 ტომად, ტ. I, თბ., 1979

18. ს. ჯანაშია, ფეოდალური რევოლუცია საქართველოში, შრომები, , I თბ., 1979

19. ს. ჯანაშია, საქართველო აღრინდელი ფეოდალიზაციის გზაზე, შრომები, I, თბ., 1949

თავი III

1. Бартольд В. В., Сочинения, VI, 1966

2. Беляев Е. Л., Арабы, ислам и арабский халифат в ранее средневековье, Москва, 1965

3. Мэри Бойс, Зорострийцы. Верования и обычаи, Москва, 1988

4. Фон Грюнебаум, Классический ислам, Москва, 1988

5. История Ирана, Москва, 1977

6. История стран зарубежной Азии в средние века, Москва, 1970

7. История стран Азии и Африки в средние века, часть I, Москва, 1987

8. Колесников А. И., Завоевание Ирана арабами, Москва, 1982

9. Массэ, Ислам, Москва, 1962

10. Петрушевский И. П., Ислам в Иране в VII-XV веках, Ленинград, 1966

11. Пигулевская Н. В., Якубовский А. Ю., Петрушевский И. П., Строева Л. В., Беленицкий А. М., История Ирана с древнейших времён до конца 18 века, Ленинград, 1958

12. ვ. გაბაშვილი, არაბები, ნარკვევები მასლობელი აღმოსაელეთის ისტორიიდან, თბ., 1957

13. ივ. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, წ. II, თხზულებანი თორმეტ ტომად, ტ. II, თბ., 1983

14. ს. ჯანაშია, არაბობა საქართველოში, შრომები, II, თბ., 1952
15. ს. ჯანაშია, შრომები, V, თბ., 1987

თავი IV

1. Бартольд В. В., Туркестан в эпоху монгольского нашествия. Академик В. В. Бартольд. Сочинения, т. I, Москва, 1963
2. Гафуров Б. Г., Таджики. Древнейшая, древняя и средневековая история, Москва, 1972
3. История Ирана. Ред. проф. М. С. Иванов, Москва, 1977
4. История стран зарубежной Азии в средние века, Москва, 1970
5. Пигулевская Н. В., Якубовский А. Ю., Петрушевский И. П., Строева Л. В., Беленицкий А. М., История Ирана с древнейших времен до конца 18 века, Ленинград, 1958
6. Якубовский А. Ю., Восстание Муканы. Советское востоковедение, т. V, Москва, 1948
7. ვ. გაბაშვილი, არაბთა სახალიფო VII-VIII საუკუნეებში. ნარკვევები მახლობელი აღმოსავლეთის ისტორიიდან, თბ., 1957
8. ვ. გაბაშვილი, მახლობელი აღმოსავლეთი X-XII საუკუნეებში, ნარკვევები მახლობელი აღმოსავლეთის ისტორიიდან, თბ., 1957
9. ე. სისარულიძე, აბასელთა სახალიფოს სოციალურ-ეკონომიკური ვითარება VIII-IX საუკუნეებში, ნარკვევები მახლობელი აღმოსავლეთის ისტორიიდან, თბ., 1957

თავი V

1. Бартольд В. В., Туркестан в эпоху монгольского нашествия. Сочинения, I, Москва, 1963
2. Бартольд В. В., Очерк истории туркменского народа. Сочинения, II, часть I, Москва, 1963
3. Гафуров Б. Г., Таджики. Древнейшая, древняя и средневековая история, Москва, 1972
4. История Ирана, ред. проф. М. С. Иванов, Москва, 1977
5. Пигулевская Н. В., Якубовский А. Ю., Петрушевский И. П., Строева Л. В., Беленицкий А. М., История Ирана с древнейших времен до конца 18 века, Ленинград, 1958
6. Строева Л. В., Государство Исмаилитов в Иране в XI-XIII вв., Москва, 1978
7. Энгельс Фр., Людвиг Фейербах. Соч. т. XIV
8. Энгельс Фр., Крестьянская война в Германии, Москва, 1952
9. Маркарян С. А., Сельджуки в Иране XI века, Саратов, 1991

10. Якубовский А. Ю., Сельджукское движение и туркмены в XI веке. Известия АН СССР. Отдел общественных наук, №4, 1934

11. ნ. ბერძენიშვილი, საქართველოს რუსეთთან შეერთების ისტორიული მნიშვნელობისათვის, საქართველოს ისტორიის საკითხები, V, თბ., 1971

12. ვ. გაბაშვილი, თურქ-სელჩუკების შემოსევები და ბატონობა, ნარკვევები მახლობელი აღმოსავლეთის ისტორიიდან, თბ., 1957

13. ვ. გაბაშვილი, ქართული ფეოდალური წყობილება XVI-XVII საუკუნეებში, თბ., 1958

14. ვარღიზი, „ზეინ ალ-ახბარ", სპარსული საისტორიო ტექსტები, ქრესტომათია, I, შეადგინეს ჯემშიდ გიუნაშვილმა და დავით კაციტაძემ, თბ., 1972

15. ნ. შენგელია, სელჩუკები და საქართველო XI საუკუნეში, თბ., 1968

16. ივ. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, II, თხზულებანი თორმეტ ტომად, ტ. II თბ., 1983

თავი VI

1. Али-заде А. А., Социально-экономическая и политическия история Азербайджана XIII-XIV вв, Баку, 1956

2. Бабаян Л.О., Социально-экономичская и политическая история Армении в XIII-XIV веках, М., 1969

3. Бартольд В.В., Образование империи Чингис-хана. Сочинения, V, М., 1968

4. Бартольд В.В., Туркестан в эпоху моногольского нашествия, Сочинения,I, М., 1963

5. Бартольд В.В., Персидская надпись на стене анийской мечети мануче. Сочинения, IV, М., 1966

6. Бартольд В.В., История Туркестана. Сочинения, II, часть II, М., 1963

7. Бартольд В.В., Улугбек и его время. Сочинения, II, часть II, М., 1964

8. Большаков Г., Средневековый город Ближнего Востока, VII, середина XIII в, М., 1984

9. Гордлевский В.А. Стамбул в XVI веке, Сочинения, IV, М., 1968

10. Беленицкий А.М., Белтович И.Б., Большаков О.Г., Средневековый город Средней Азии, Л., 1975

11. Мец Адам. Мусульманский Ренессанс, М., 1966

12. Петрушевский И.П., Феодальное хозяйство Рашид ад-дина. Вопросы истории, 4, 1951

13. Петрушевский И.П., Земледелие и аграрные отношения в Иране XIII-XIV веков, М.-Л., 1960
14. Петрушевский И.П., Государство Азербайджана в XV веке, ССИА, вып. I,Баку, 1949
15. Петрушевский И.П., Великий патриот ширваншах Ибрагим, Баку, 1942
16. Пигулевская Н.В., Якубовский А.Ю., Петрушевский И.П., Строева Л.В., Беленицкий А.М., История Ирана с древнейших времен до конца 18 века, Л., 1958
17. Якубовский А.Ю., Тимур и его время. Тревер К. В. Якубовский А.Ю., Воронец М.Э., История народов Узбекистана, т. I, Ташкент, 1960, стр. 345-368
18. Якубовский А.Ю., Самарканд при Тимуре и тимуридах, Л., 1933
19. Якубовский А.Ю., Тимур (Опыт краткой характеристики), Вопросы истории, 8-9, 1946
20. ნ. ბერძენიშვილი. თათართა ბატონობის ხანა, საქართველოს ისტორიის საკითხები, III, თბ., 1966
21. ვ. გაბაშვილი. ქართული ფეოდალური წყობილება XVI-XVII საუკუნეებში, თბ., 1958
22. ვ. გაბაშვილი. მონღოლები, ნარკვევები მახლობელი აღმოსავლეთის ისტორიიდან, თბ., 1957
23. ვ. გაბაშვილი. თემურ-ლენგი, ნარკვევები მახლობელი აღმოსავლეთის ისტორიიდან, თბ., 1957
24. ვ. გაბაშვილი. ილხანთა ირანი XIV ს-ის პირველ ნახევარში, ნარკვევები მახლობელი აღმოსავლეთის ისტორიიდან, თბ., 1957
25. დ. კაპანაძე. ქართული ნუმიზმატიკა, თბ., 1969
26. დ. კაციტაძე. საქართველო XIV-XV საუკუნეთა მიჯნაზე, თბ., 1975
27. რ. კიკნაძე. ულულ-ბეგი, თბ., 1968
28. კ. ტაბატაძე, ქართველი ხალხის ბრძოლა უცხოელ დამპყრობთა წინააღმდეგ XIV-XV საუკუნეების მიჯნაზე, თბ., 1974
29. ი. ცინცაძე. მონღოლები და მონღოლთა დაპყრობები, თბ., 1960
30. ი. ჯავახიშვილი. ქართველი ერის ისტორია, წ. III, თბ., 1966
31. ი. ჯავახიშვილი. საქართველოს ისტორია, XI-XV საუკუნეები, თბ., 1949

<u>თავი VII</u>

1. Арунова М.Р., Ашрафян К.З., Государство Надир-шаха Афшара, М., 1958
2. Ашурбейли Сара, Государство Ширваншахов, Баку, 1983

3. Зулалян М.К., Армения в первой половине XVI в., М., 1971
4. История Ирана, ред. проф. М.С. Иванов, М., 1977
5. История стран зарубежной Азии в средние века, М., 1970
6. История стран зарубежного Востока в средние века, М., 1957
7. Куция К.К., Социально-экономическая структура и социальная борьба в городах Сефевидского Ирана, Тб., 1990
8. Миклухо-Маклай Н.Д., О налоговой политике шаха Аббаса I, Советское востоковедение, т. VI, М.-Л., 1949
9. Натроцвили Т.Г., От машрика до магриба, М., 1978
10. Папазян А.Д., Аграрные отношения в восточной Армении в XVI-XVII веках, Ереван, 1970
11. Петрушевский И.П., Ислам в Иране в VII-XV веках, Л., 1966
12. Петрушевский И.П., Очерк по истории феодальных отношений в Азербайджане и Армении в XVI начале XIX вв. Ленинград, 1949
13. Пигулевская Н.В., Якубовский А.Ю., Петрушевский И.П., Строева Л.В., Беленицкий А.М., История Ирана с древнейших времен до конца 18 века, Л., 1958
14. Тер-Мкртичян Л.Х., Армения под властью Надир-шаха, М., 1963
15. Эфендиев О.Л., Образование Азербайджанского государства Сефевидов, Баку, 1962
16. ნ. ბერძენიშვილი. რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის ისტორიიდან XVI-XVII საუკუნეების მიჯნაზე, საქართველოს ისტორიის საკითხები, IV, თბ., 1967
17. ნ. ბერძენიშვილი. საქართველოს რუსეთთან შეერთების ისტორიული მნიშვნელობისათვის, საქართველოს ისტორიის საკითხები, V. თბ., 1971
18. ვ. გაბაშვილი. ფეოდალური საქართველოს საზოგადოებრივი კლასები და კლასობრივი ბრძოლა ირანისა და ოსმალეთის ბატონობის პერიოდში, ნარკვევები მახლობელი აღმოსავლეთის ისტორიიდან, თბ., 1957
19. ვ. გაბაშვილი. ქართული დიპლომატიის ისტორიიდან (საქართველო და ანტიოსმალური კოალიციები XVI-XVII სს.) მასალები საქართველოსა და კავკასიის ისტორიისათვის, ნაკვ., 31, თბ., 1954
20. ვ. გაბაშვილი. ქართული ფეოდალური წყობილება XVI-XVII საუკუნეებში (შედარებითი შესწავლის ცდა), თბ., 1958
21. ვ. გაბაშვილი. სეფიანთა სახელმწიფო, ნარკვევები მახლობელი აღმოსავლეთის ისტორიიდან, თბ., 1957

22. ე. გაბაშვილი. უნდილაანთ ფეოდალური სახლი XVI-XVII სს ირანში (ქართული წყაროების მიხედვით), მახლობელი აღმოსავლეთის ისტორიის საკითხები, II, თბ., 1972
23. ნ. გელაშვილი. ირან-საქართველოს ურთიერთობის ისტორიიდან, თბ., 1995
24. დ. კაციტაძე. ახლო აღმოსავლეთის ქვეყნებთან და რუსეთთან საქართველოს სავაჭრო-ეკონომიკური ურთიერთობის ისტორიიდან (XVII-XVIII სს.), თბ,. 1992
25. დ. კაციტაძე. ირან-საქართველოს ურთიერთობის ისტორიიდან, თსუ შრომები, 108, თბ., 1964
26. დ. კაციტაძე, XVI-XVII საუკუნეთა სპარსული დოკუმენტური წყაროები საქართველოს ისტორიისათვის, კავკასიურ-ახლოაღმოსავლური კრებული, II, თბ., 1962
27. დ. კაციტაძე. ირან-ოსმალეთის ომები და საქართველო XVI ს-ის II ნახევარში, ქართული დიპლომატიის ისტორიის ნარკვევები, II, თბ., 1998
28. კ. კუცია. ამქრები XVII-XVII სს. საქართველოს ქალაქებში, თბ., 1984
29. კ. კუცია. სეფიანთა ირანის ქალაქები და საქალაქო ცხოვრება, თბ., 1966
30. კ. კუცია. აღმოსავლეთ ამიერკავკასიის ქალაქები XVI-XVIII საუკუნეებში, თბ., 1976
31. კ. კუცია. კავკასიური ელემენტი სეფიანთა ირანის პოლიტიკურ სარბიელზე, მახლობელი აღმოსავლეთის ისტორიის საკითხები, თბ., 1963
32. კ. კუცია. ისფაჰანის ქართველი ტარუღები (1618-1722), მახლობელი აღმოსავლეთის ისტორიის საკითხები, II, თბ., 1972
33. თ. ნატროშვილი. მაშრიყით მაღრიბამდე, თბ., 1991
34. მ. სვანიძე. საქართველო-ოსმალეთის ურთიერთობის ისტორიიდან XVI-XVII სს., თბ., 1971
35. ნ. სურგულაძე. სეფიანთა ირანის ცენტრალური მმართველობა, თბ., 1990
36. კ. ტაბატაძე. ამიერკავკასიის ქვეყნები და სეფიანთა სახელმწიფო (შაჰ-თამაზ I-ის „თეზქერეს" მიხედვით), ნარკვევები მახლობელი აღმოსავლეთის ისტორიიდან, თბ., 1957
37. კ. ტაბატაძე. მერეფ-ხან ბითლისის ცნობები საქართველოს შესახებ, კაუკასიურ-ახლოაღმოსავლური კრებული, II, თბ., 1962
38. ი. ტაბაღუა, მასალები XVIII საუკუნის პირველი მეოთხედის საქართველოს ისტორიისათვის, თბ., 1982
39. ზ. შარაშენიძე. ირანი XVIII საუკუნის მორე ნახევარში, თბ., 1970

40. ლ. შენგელია. ირანი ქერიმ-ხან ზენდის დროს, თბ., 1973
41. ვ. ჩოჩიევი. ირან-ოსმალეთის 1639 წლის ზაეი და საქართველო, ნარკვევები მახლობელი აღმოსავლეთის ისტორიიდან. თბ., 1957
42. ვ. ჩოჩიევი. ირან-ოსმალეთის 1554 წლის დროებითი ზაეი, აღმოსავლური ფილოლოგია, ტ. III, თბ., 1973
43. ნ. გელაშვილი. სეფიანთა ირანის რელიგიური პოლიტიკის ისტორიიდან, ახლო აღმოსავლეთი და საქართველო, II, თბ., 1999
44. კ. კუცია, გორჯესტანის ვალი, ახლო აღმოსავლეთი და საქართველო, II, თბ., 1999

სარჩევი

წინასიტყვაობა 3

შესავალი. აღმოსავლური ფეოდალიზმის გენეზისის და ფეოდალური ურთიერთობის პერიოდიზაციის პრობლემა 5

თავი I. სასანიანთა ირანის წარმოშობის დრო და პირობები 11

თავი II. ირანი III-VII საუკუნეებში 18

§ 1. ირანი III-V საუკუნეებში 18

§ 2. ირანის საზოგადოებრივი და სახელმწიფო წყობილება III-V საუკუნეებში 30

§ 3. რელიგია სასანიანთა ირანის სახელმწიფოში 33

§ 4. მაზდაქელთა მოძრაობა 36

§ 5. ხოსრო I ანუშირვანის რეფორმები 40

§ 6. ირანი VI-VII საუკუნეებში 43

§ 7. სასანიანთა ირანის სახელმწიფოს მმართველობა VI საუკუნის II ნახევარსა და VII საუკუნის დასაწყისში 50

§ 8. ქალაქები, საქალაქო ცხოვრება 51

§ 9. სასანიანთა ირანის კულტურა 53

სასანიანთა დინასტიის მეფეები 57

თავი III. არაბთა მიერ ირანის დაპყრობა 59

§ 1. არაბთა მიერ ირანის დაპყრობის სოციალურ-ეკონომიკური და პოლიტიკური წანამძღვრები 59

§ 2. არაბთა მიერ ირანის დაპყრობა 72

თავი IV. ირანი VII საუკუნის II ნახევარსა და XI საუკუნის პირველ მესამედში 85

§ 1. ირანი ომაელთა სახალიფოს შემადგენლობაში 85

§ 2. სოციალური ურთიერთობა ირანში VII-VIII ს-ის პირველ ნახევარში 90

§ 3. ომაელთა სახალიფოს წინააღმდეგ ბრძოლა ირანში 95

§ 4. აბუ მუსლიმის აჯანყება 99

§ 5. ირანი აბასიანთა ბატონობის ქვეშ 102

§ 6. აბასიანთა საშინაო პოლიტიკა 106

§ 7. სოციალური ურთიერთობა ირანში VIII ს-ის II ნახევარსა და X საუკუნეში 111
§ 8. სახალხო მოძრაობები სახალიფოში VIII-IX საუკუნეებში 115
§ 9. არაბთა სახალიფოს დაშლის წანამძღვრები 119
§ 10. სახალხო მოძრაობანი ირანის აღმოსავლეთ ნაწილში 121
§ 11. თაჰერიანთა სახელმწიფო ხორასანში (821-873) 125
§ 12. საფარიანთა სახელმწიფო (861-900) 127
§ 13. სახალხო მოძრაობანი კასპიისპირეთის ოლქებში. ალიდების სახელმწიფო (864-929) 129
§ 14. ბინჯების აჯანყება 132
§ 15. ისმაილიტები 133
§ 16. კარმატების მოძრაობა 134
§ 17. სახალიფოს ბატონობის დაცემა ირანში 136
§ 18. ირანის ეკონომიკა XI.-XI საუკუნის შუა ხანებში 139
§ 19. ფეოდალური ურთიერთობა ირანში XI.-XI ს-ის პირველ ნახევარში 147
§ 20. ფეოდალური ქალაქი ირანში XI.-XI ს-ის პირველ ნახევარში 150
§ 21. ბუიდების სახელმწიფო. აზულ ად-დოულე 155
§ 22. ბუიდები აზულ ად-დოულეს შემდეგ 157
§ 23. ხორასანი სამანიანთა ბატონობის ქვეშ 158
§ 24. ღაზნევიანთა სახელმწიფო 160

თავი V. ირანი XI საუკუნის პირველ მესამედსა და XIII საუკუნის პირველ მესამედში 165
§ 1. ოღუზები და სელჩუკთა სახელმწიფოს ჩამოყალიბება 165
§ 2. ირანი სელჩუკიანთა ბატონობის ქვეშ 168
§ 3. სელჩუკთა სახელმწიფო და ნიზამ ულ-მულქი 171
§ 4. სელჩუკიანთა სახელმწიფოს დაშლა 176
§ 5. ბალხელი ოღუზების აჯანყება 177
§ 6. ისმაილიტები ირანში 178
§ 7. ათაბეგები და ხორეზმშაჰები ირანში 181
§ 8. ფეოდალური ურთიერთობა ირანში XI ს-ის მეორე ნახევარსა და XII საუკუნეში 184
§ 9. იდეოლოგიური სისტემები X-XII საუკუნეებში 187

§ 10. ირანის კულტურა VIII-XIII ს-ის დასაწყისში 191

თავი VI. ირანი XIII-XV საუკუნეებში 198
§ 1. მონღოლთა სახელმწიფოს შექმნა და მონღოლთა დაპყრობების დასაწყისი 198
§ 2. ჩინგიზ-ყაენის ჯარის შეჭრა შუა აზიასა და ირანში 205
§ 3. ირანის სალხების ბრძოლა მონღოლი დამპყრობლების წინააღმდეგ 209
§ 4. მონღოლთა იმპერია ჩინგიზ-ყაენის სიკვდილის შემდეგ 211
§ 5. ირანის მდგომარეობა XII საუკუნის 30-50-იან წლებში 214
§ 6. ჰულაგუ-ხანის ლაშქრობა ირანში 218
§ 7. ჰულაგუიანთა სახელმწიფო და მისი მეზობლები 221
§ 8. ჰულაგუიანთა სახელმწიფოს ორგანიზაცია 223
§ 9. ჰულაგუიანთა სასელმწიფო ჰულაგუ-ხანის პირველი მემკვიდრეების დროს (1265-1295 წწ) 230
§ 10. ირანის სოციალურ-ეკონომიკური ვითარება პირველი ექვსი ილხანის დროს (1256-1295 წწ) 237
§ 11. ყაზან-ყაენის მმართველობა და რეფორმები 243
§ 12. ულუჯაითუ-ხანის მმართველობა 255
§ 13. ჰულაგუიანთა სახელმწიფოს რღვევის დასაწყისი 256
§ 14. სახალხო-განმათავისუფლებელი მოძრაობები XIII-XIV ს.-ის დასაწყისში 260
§ 15. პერიოდის შედეგები 262
§ 16. ჰულაგუინთა იმპერიის დაშლა 262
§ 17. დასავლეთი ირანი 263
§ 18. ხორასანი 264
§ 19. სამხრეთ ირანი 266
§ 20. ჩობანიანთა და ჯელაერიანთა სახელმწიფოები 268
§ 21. სახალხო მოძრაობანი ირანში XIV საუკუნეში 269
§ 22. სახალხო მოძრაობათა იდეოლოგია XIV საუკუნეში 271
§ 23. სარბედართა აჯანყება ხორასანში 173
§ 24. სარბედართა სახელმწიფოს დაარსება ხორასანში 277
§ 25. შინაური ბრძოლა სარბედართა სახელმწიფოში 280
§ 26. სახალხო მოძრაობანი გილიანსა და მაზანდარანში 284
§ 27. სარბედართა აჯანყება ქერმანში 286
§ 28. თემურ-ლენგის დაპყრობები ირანში 286
§ 29. თემურ-ლენგის მემკვიდრენი. სულთანი შაპრუხი 292

§ 30. სახალხო მოძრაობები ირანში XV ს-ის პირველ ნახევარში 296
§ 31. დასავლეთი ირანი და მისი მეზობელი ოლქები XV საუკუნის მეორე ნახევარში 299
§ 32. აღმოსავლეთი ირანი XV საუკუნის მეორე ნახევარში 304
§ 33. ფეოდალური ურთიერთობა ირანში XIV ს-ის მეორე ნახევარსა – XV ს-ში 307
§ 34. ირანის კულტურა XIII-XIV ს-ში 311

თავი VII. ირანი XVI-XVIII საუკუნეებში 318
§ 1. ირანი 1500 წლის ახლო სანებში 318
§ 2. სეფიანები და ყიზილბაშები XVI ს-ის დასაწყისამდე 319
§ 3. სეფიანთა სახელმწიფო 326
§ 4. ფეოდალური ურთიერთობა ირანში სეფიანთა დროს 328
§ 5. სეფიანთა სახელმწიფოს საშინაო და საგარეო პოლიტიკა შაპ თამაზ I-ის დროს 332
§ 6. ირანი შაპ თამაზ I-ის მმართველობის ბოლო წლებში სახალხო აჯანყება გილიანში 340
§ 7. აჯანყება თავრიზში 342
§ 8. ირანი შაპ თამაზ I-ის მემკვიდრეების დროს 346
§ 9. პერიოდის შედეგები 349
§ 10. ირანის მდგომარეობა შაპ აბას I-ის მმართველობის დასაწყისში 349
§ 11. შაპ აბას I-ის რეფორმები 352
§ 12. სეფიანთა სახელმწიფოს საგარეო პოლიტიკა შაჰ აბას I-ის დროს 355
§ 13. შაჰ აბას I-ის საშინაო პოლიტიკა 359
§ 14. ფეოდალური ურთიერთობა XVII ს-ის ირანში 364
§ 15. ირანის სოფლის მეურნეობის მდგომარეობა XVII საუკუნეში 371
§ 16. ქალაქი, ხელოსნობა და ვაჭრობა XVII საუკუნეში 376
§ 17. სეფიანთა ირანის სახელმწიფო წყობილება XVII საუკუნეში 387
§ 18. სასალხო აჯანყება გილიანში 396
§ 19. ირანი შაჰ აბას I-ის მემკვიდრეების დროს 398
§ 20. ირანი XVIII ს-ის დასაწყისში 401

§ 21. სახალსო-განმათავისუფლებელი მოძრაობანი სეფიანთა სახელმწიფოს განაპირა რეგიონებში 406
§ 22. ავღან-გილზაების აჯანყება 409
§ 23. გილზაების ლაშქრობა ისპაანზე 411
§ 24. სპარსელი ხალხის ბრძოლა ავღანელ დამპყრობთა წინააღმდეგ 413
§ 25. რუსეთის ჩარევა 415
§ 26. თურქეთის გამოსვლა 416
§ 27. ავღანელთა განდევნა. ნადირის აღზევება 419
§ 28. ურთიერთობა რუსეთთან და თურქეთთან 421
§ 29. ირანის მდგომარეობა XVIII ს-ის 30-იან წლებში 422
§ 30. ყურულთაი მუღანის ველზე 425
§ 31. ნადირ-შაჰის საგარეო პოლიტიკა 427
§ 32. ნადირ-შაჰის საშინაო პოლიტიკა 430
§ 33. სახალხო აჯანყებები ნადირის დროს 433
§ 34. ფეოდალური შინაომები ირანში 436
§ 35. ქერიმ-ხან ზენდის მმართველობა 437
§ 36. ახალი შინაური ბრძოლები ირანში. ყაჯართა დინასტიის დაარსება 439
§ 37. ირანის კულტურული ცხოვრება XVI-XVIII სს-ში 442

ლიტერატურა 451

გამომცემლობის რედაქტორი მ. ჯანელიძე

კორექტორი ნ. ჩახაია

ხელმოწერილია დასაბეჭდად 25.12.00
საბეჭდი ქაღალდი 60X84 1/16

პირ. ნაბეჭდი თაბახი 29
სააღრ.-საგამომცემლო თაბახი 22,17

შეკვეთა №8 ტირაჟი 300

ფასი სახელშეკრულებო

თბილისის უნიეერსიტეტის გამომცემლობა,

380028, თბილისი, ი.ჭავჭავაძის გამზ., 14.

დაიბეჭდა თბილისის უნიეერსიტეტის

სარედაქციო-სადუბლიკაციო კომპიუტერულ სამსახურში

380028, თბილისი, ი.ჭავჭავაძის გამზ., 1